გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2008

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

გ. წერეთლის სახელობის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ნანი გელოვანი

თანამედროვე არაბული ქვეყნები

თბილისი

2008

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში, ვრცელი ფაქტოლოგიური მასალისა და უახლესი მონაცემების საფუძველზე, განხილულია თანამედროვე არაბულ ქვეყნებში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების თავისებურებები – არაბული ქვეყნების სახელმწიფო სისტემების ევოლუცია, ტრადიციისა და პოლიტიკური ურის როლი თანამედროვე პოლიტიკური სტრუქტურების ფორმირებაში, კონსტიტუციური განვითარების ცალკეული ისტორიული ეტაპები, პოლიტიკური ელიტის პრობლემები, არმიისა და ხელისუფლების ურთიერთმიმართების საკითხები, რეგიონის ქვეყნების ინდუსტრიის წამყვანი სფეროები და ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის წინააღმდეგობები, არაბული ნაციონალიზმი და ფუნდამენტალიზმი, საინფორმაციო ტექნოლოგიები, გლობალიზაცია და ინტეგრაციული პროცესები. მეორე ნაწილი (ენციკლოპედიური ცნობარი) ქვეყანათმცოდნეობითი ხასიათისაა და შეიცავს აქტუალურ ინფორმაციას გეოგრაფიის, დემოგრაფიის, ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკისა და განათლების სფეროში. ინფორმაცია თითოეულ ქვეყანაზე დაყოფილია ცალკეულ რუბრიკებად.

წიგნი განკუთვნილია სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის და მათთვის, ვისაც აინტერესებს არაბული აღმოსავლეთის პრობლემატიკა.

The book consists of two parts. The first part, based on the voluminous factual material and modern data, deals with the peculiarities of the socio-political and socio-economic processes taking place in the modern Arab countries, in particular, evolution of the state systems of the Arab countries, role of tradition and political culture in the formation of the modern political structure, individual historical stages of the constitutional development, problems of political elite, questions of relationship between the army and the state authority, leading industrial branches of the countries of the region and problems of the new world economic order, Arab nationalism and fundamentalism, informational technologies, globalization and integration processes. The second part of the book (Encyclopaedic Reference) is of a regional studies in nature and contains urgent information in the fields of geography, demography, history, politics, economics and education. The information about each country is divided into separate headings.

The book is designated for the students and those interested in the problems of the Arab East.

რედაქტორი	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გოჩა ჯაფარიძე
რეცენზენტები:	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გიული ალასანია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გიორგი სანიკიძე
Editor	professor **Gocha Japaridze**
Critiques	professor **Giuli Alasania** professor **George Sanikidze**

© ნ. გელოვანი, 2008

გამომცემლობა „უნივერსალი", 2008

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-462-4

შინაარსი

I ნაწილი

პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები თანამედროვე არაბულ ქვეყნებში 7

1. არაბული ქვეყნები XXI საუკუნის დასაწყისში 8
2. არაბული ქვეყნების პოლიტიკური სისტემები 14
3. ხელისუფლების მემკვიდრეობითობის პრობლემა არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებში 24
4. არაბული ქვეყნების საარჩევნო ცენზი 33
5. რელიგიის თავისუფლების საკითხი არაბულ ქვეყნებში 37
6. არმიის როლი არაბული ქვეყნების პოლიტიკურ პროცესებში და საკონსტიტუციო მექანიზმში 52
7. ნავთობის როლი სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში 61
8. წყლის რესურსები არაბულ ქვეყნებში 66
9. სასურსათო კრიზისი არაბულ ქვეყნებში 72
10. რკინიგზა არაბულ ქვეყნებში 76
11. ტურიზმის ინდუსტრია არაბულ ქვეყნებში 80
12. არაბული ქვეყნების მასობრივი საინფორმაციო საშუალებები 84
13. ისლამისტური მოძრაობა არაბულ სამყაროში XXI საუკუნის დასაწყისში 94
14. ინტეგრაციული პროცესები არაბულ სამყაროში 108
15. გლობალიზაცია და არაბული სამყარო 117

II ნაწილი

არაბული ქვეყნები /ენციკლოპედიური ცნობარი 121

1. ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა 122
2. არაბთა გაერთიანებული საამიროები 128
3. ბაჰრაინის სამეფო 132
4. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა 138
5. ერაყის რესპუბლიკა 145
6. თუნისის რესპუბლიკა 154
7. იემენის რესპუბლიკა 159
8. იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო 163
9. კატარის სახელმწიფო 169
10. კომორის კუნძულების კავშირი 173
11. ლიბანის რესპუბლიკა 175
12. დიდი სოციალისტური სახალხო ლიბიის არაბული ჯამაჰირია 183
13. მავრითანიის ისლამური რესპუბლიკა 188
14. მაროკოს სამეფო 193
15. ომანის სასულტნო 197
16. პალესტინის ეროვნული ადმინისტრაცია 203
17. საუდის არაბეთის სამეფო 209

18. სირიის არაბთა რესპუბლიკა 217
19. სომალის რესპუბლიკა 224
20. სუდანის რესპუბლიკა 228
21. ქუვეითის სახელმწიფო 236
22. ჯიბუთის რესპუბლიკა 242

ძირითადი ლიტერატურა 246
დამატებითი ლიტერატურა 246

დანართები 251
1. არაბული ქვეყნების დემოგრაფიული ინდიკატორები 251
2. არაბული ქვეყნების უდიდესი ქალაქები 251
3. ქრისტიანული თემები არაბულ ქვეყნებში 252
4. ეთნიკური ჯგუფები არაბულ ქვეყნებში 252
5. არაბული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დახასიათება. 253
6. ქალები არაბული ქვეყნების პარლამენტში 254
7. ნავთობის მსოფლიო მარაგი და მისი მოპოვება სპარსეთის ყურის ქვეყნებში 254
8. არაბული ქვეყნების წყლის რესურსები 255
9. ტურიზმის ინდუსტრია არაბულ ქვეყნებში 255
10. უცხოელი ტურისტების რაოდენობა (ათასებში) არაბულ ქვეყნებში და სავალუტო შემოსავლები (მილიონებში) 256
11. მედიისა და პრესის თავისუფლების ინდექსი არაბულ ქვეყნებში 256
12. 2008 წელს არაბულ ქვეყნებში გამომავალი ძირითადი გაზეთები 257
13. საქართველოსა და არაბული ქვეყნების დიპლომატიური ურთიერთობა 259
14. არაბული ქვეყნების რუკა 260

I ნაწილი

პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესები თანამედროვე არაბულ სამყაროში

არაბული სამყარო XXI საუკუნის დასაწყისში

ტერმინი არაბული სამყარო (არაბ. ალ-'ალამ ალ-'არაბი) აღნიშნავს ყველა არაბულენოვან ქვეყანას, რომლებიც გადაჭიმულია დასავლეთით ატლანტის ოკეანიდან, აღმოსავლეთით არაბულ ზღვამდე და ჩრდილოეთით ხმელთაშუა ზღვიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ინდოეთის ოკეანემდე. არაბული სამყაროს ტერიტორიის საერთო ფართობი 12,9 მლნ კვ. კმ-ს აღწევს. ის შედგება 22 ქვეყნისაგან, რომლებიც განლაგებულია აზიისა და აფრიკის კონტინენტზე: ალჟირი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბაჰრაინი, ეგვიპტე, ერაყი, თუნისი, იემენი, იორდანია, კატარი, კომორი, ლიბანი, ლიბია, მავრითანია, მაროკო, ომანი, პალესტინის ავტონომია, საუდის არაბეთი, სირია, სომალი, სუდანი, ქუვეითი და ჯიბუთი. არაბული სამყაროს აზიურ ნაწილს ჰქვია *მაშრიკ* („აღმოსავლეთი" – ეგვიპტის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნები), ხოლო ჩრდილოეთ-აფრიკული ნაწილი დასავლეთით ეგვიპტემდე და სუდანამდე ცნობილია როგორც *მაღრიბ* („დასავლეთი"). მაშრიკი (რეგიონი, „სადაც მზე ამოდის"; ეგვიპტე და ახლო აღმოსავლეთი) მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, „ნაყოფიერი ნახევარმთვარის" 5 ქვეყანას (ერაყს, იორდანიას, ლიბანს, სირიას, და პალესტინას) და აგრეთვე ეგვიპტეს. გეოსტრატეგიული კუთხით, მაშრიკს მიეკუთვნება აგრეთვე საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, კატარი, ბაჰრაინი, ქუვეითი, იემენი და ომანი. ზოგჯერ მას მიაკუთვნებენ სუდანსაც. არაბები მაღრიბს უწოდებენ ქვეყნებს, რომლებიც განლაგებულია იქ, „სადაც მზე ჩადის". ეს არის ჩრდილოეთ აფრიკა, რომელიც მოიცავს ალჟირს, მაროკოს, თუნისს და ლიბიას. მაროკოს არაბული სახელწოდებაა – „ალ-მაღრიბ ალ-აკსა" („უკიდურესი დასავლეთი"). დასავლეთი საჰარა ძირითადად მაროკოს ადმინისტრაციაში განიხილება. არსებობს „დიდი მაღრიბის" შექმნის გეგმა, რომელშიც შევა მავრითანიაც.

არაბულ სამყაროში ფართობის მიხედვით ყველაზე დიდი ქვეყნებია სუდანი (2,505,813 კვ.კმ), ალჟირი (2,381,741 კვ.კმ) და საუდის არაბეთი (2,149,690კვ. კმ). ყველაზე პატარა არაბული ქვეყანა არის ლიბანი (10,452 კვ.კმ), ხოლო ყველაზე პატარა კუნძულოვანი ქვეყანა – ბაჰრაინი (665 კვ. კმ). ყველაზე დიდი არაბული ქალაქებია: კაირო (ეგვიპტე), ბაღდადი (ერაყი), ხართუმი (ლიბანი), დამასკო (სირია), არ-რიადი (საუდის არაბეთი) და კასაბლანკა (მაროკო).

არაბული სამყაროს მოსახლეობის საერთო რაოდენობა 339,510,535-ს შეადგენს. მოსახლეობის ზრდის საშუალო მაჩვენებელი არის 2,3%. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ყველაზე დიდი ქვეყანაა ეგვიპტე, შემდეგ მოდის სუდანი და ალჟირი. არსებული სტატისტიკით, 2020 წლისათვის ეგვიპტის მოსახლეობის რაოდენობა მიაღწევს 105,002-ს, სუდანის – 44,493-ს, ხოლო ალჟირისა – 44,620-ს. არაბული ქვეყნების ტერიტორიის დიდი ნაწილი უდაბნოა და მოსახლეობა ძირითადად თავმოყრილია ქალაქებში (კატარში მოსახლეობის 93,1%, ბაჰრაინში – 92,8%, ქუვეითში – 96,2%, ლიბანში – 90,3%, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში – 87,6% და საუდის არაბეთში – 87,1%). სოფლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი თავმოყრილია დამუშავებული მიწის ფართობების გარშემო. ამ ინდიკატორით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ბაჰრაინს (2564 ადამიანი 1 ჰა მიწის ფართობზე), ომანსა (1533) და ეგვიპტეს (1306). დემოგრაფიულ ვითარებაზე საუბრისას, უნდა გამოვყოთ ამ პროცესის ორი მხარე: შობადობა (მისი საუკეთესო მაჩვენებელი არის ფერტილურობის კოეფიციენტი) და სიკვდილიანობა. თითქმის ყველა არაბულ ქვეყანაში, ერაყის გარდა, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 60 წელს აღწევს, მაშინ როცა XX საუკუნის შუა წლებში უტოლდებოდა 35-45 წელს.

არაბული სამყაროს მოსახლეობის უმრავლესობა არის მუსლიმი და არაბული ქვეყნების ძირითად ნაწილში ისლამს აქვს სახელმწიფო რელიგიის სტატუსი. პოლიტიკური ისლამი სულ უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებზე. ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში, განსაკუთრებით არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებში მოქმედებს ისლამური სამართალი (შარიათი), დანარჩენ ქვეყნებში აღიარებულია ორივე – სამოქალაქო და სასულიერო სამართალი. არაბული ქვეყნების მოსახლეობის უმეტესობა აღიარებს სუნიტურ ისლამს, მაგრამ შიიტები უმრავლესობას შეადგენენ ერაყში. შიიტებს დიდი თემები აქვთ ლიბანში, იემენში, სირიაში, ქუვეითსა და ბაჰრაინში. საუდის არაბეთის აღმოსავლეთ პროვინციაში, ალ-ჰასას რეგიონში და სამხრეთით ნაჯრანში კომპაქტურად ცხოვრობენ შიიტები. იმამიტებს (ან ალ-ისნა'აშარიია, თორმეტიანები) აქვთ ყველაზე დიდი რელიგიური სკოლა შიიზმში (80%). დრუზები ცხოვრობენ ლიბანსა და სირიაში. იბადიტები (ხარიჯიტული თემი) არიან ომანში და შეადგენენ ქვეყნის მოსახლეობის 75%-ს. არაბები შეადგენენ მსოფლიო მუსლიმების (1,4 მილიარდი) მეოთხედს (311,093,951; მოსახლეობის 88%).

არაბულ სამყაროში მუსლიმების გარდა ცხოვრობენ იუდეველები და ქრისტიანები. ისრაელის სახელმწიფოს დაარსებას (1948წ.) მოჰყვა იუდეველთა თანდათანობითი ემიგრაცია. დღეისათვის არაბ ებრაელთა თემები ძირითადად არის ბაჰრაინში (10,000), მაროკოში (7,000), ალჟირსა (3,000) და თუნისში (1,300). დაახლ. 12-15 მლნ ქრისტიანი ცხოვრობს არაბულ ქვეყნებში – ლიბანში, ეგვიპტეში, პალესტინის ავტონომიაში, ერაყში, იორდანიაში, სუდანში, სირიასა და ქუვეითში (ისინი შეადგენენ არაბული სამყაროს მოსახლეობის დაახლ. 5%-ს). XX ს-ის 70-იანი წლებიდან ფართო მასშტაბები მიიღო ქრისტიანთა ემიგრაციამ არაბული ქვეყნებიდან, რასაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო ისლამური ექსტრემიზმის ზრდამ. არაბული ქვეყნებიდან ქრისტიანთა ემიგრაციის პროცესი შეფასებულია, როგორც „დამცავი რეაქცია" კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციაზე. არაბული ქვეყნების ქრისტიანები ეკუთვნიან სხვადასხვა ეკლესიას, მართლმადიდებლურიდან პროტესტანტულამდე. ახლო აღმოსავლეთში არსებობს რეგიონალური ორგანიზაცია „ეკლესიების ახლოაღმოსავლური საბჭო", რომელიც აერთიანებს 28 ქრისტიანულ კონფესიას.

თანამედროვე სალიტერატურო არაბული ენა – *ფუსჰა* ერთიანი სამწერლობო და ოფიციალური ენაა ყველა არაბული ქვეყნისათვის. ამ ენაზე იბეჭდება მხატვრული ლიტერატურის დიდი ნაწილი, სამეცნიერო შრომები, პრესა, მიმდინარეობს ოფიციალური მოლაპარაკებები, რადიო თუ ტელეგადაცემები. ამავე დროს, ამ სახელმწიფოების მოსახლეობა ყოველდღიურ მეტყველებაში იყენებს ადგილობრივ დიალექტს (სულ 27 დიალექტი). ეს დიალექტები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ფუსჰასგან. თითოეულ არაბულ ქვეყანაში გავრცელებულია ერთი ადგილობრივი დიალექტი მაინც. არაბული არ არის მშობლიური ენა არაბული ქვეყნების მოსახლეობის 25%-თვის. არაბულის გარდა ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული სამი ენა: ქურთული – ერაყის ჩრდილოეთ რეგიონში (15-20%) და ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში (5-10%), ბერბერული – ჩრდილოეთ აფრიკის ძირითად ნაწილში და ნუბიური – ნილოსის ხეობაში. არაბული ქვეყნების მოსახლეობის მცირე ნაწილი საუბრობს აგრეთვე ისეთ ენებზე, როგორიცაა: 'აფარი, სირიული, სომხური, ებრაული, სპარსული, თურქმენული და სომალური. ორენოვნების პრობლემა არაბულ ქვეყნებში მეტად მწვავედ დგას. 1974 წელს სომალი გახდა არაბთა ლიგის წევრი და ამ სახელმწიფოში სომალური და არაბული არის ოფიციალური ენები. ჯიბუთი, სადაც მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენს ორი ეთნიკური ჯგუფი – 'ისა და 'აფარი (სომალური ტომები), მსგავს მდგომარეობაშია. აქ არაბული ერთ-ერთი ოფიციალური ენაა და მოსახლეობის 94% მუსლიმია. ჩადის რესპუბლი-

კა, ერითრეა და ისრაელი აღიარებენ არაბულს ოფიციალურ ენად, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის არაბთა ლიგის წევრი (ერითრეას აქვს დამკვირვებლის სტატუსი).

არაბულ ქვეყნებში, არაბების გარდა, ცხოვრობს არაარაბი მოსახლეობაც. ჩრდილოეთ აფრიკაში მოსახლეობის უმეტესობას ბერბერები შეადგენენ (16,364,100). ეთნონიმი „ბერბერი" (არაბ. ბარბარ, ბარბარრ, მრ. ბარაბირ, ბარაბირა) მომდინარეობს ბერძნულ-რომაული სიტყვიდან "Barbaros" („ბარბაროსი"). ბერბერები ეკუთვნიან სემიტურ-ქამიტურ ენათა ჯგუფის ხალხს, რომლის წინაპრები ჩრდილოეთ აფრიკაში მოვიდნენ დასავლეთი აზიიდან და ბერბერულ ენაზე თავს უწოდებენ „იმაზიგენ"-ს („კეთილშობილები"). მათ მიეკუთვნებიან კაბილები[1] და ტუარეგები[2]. ბერბერები მაღრიბის მკვიდრი მოსახლეობაა. VII-VIII სს-ში მოხდა ისტორიული მაღრიბის ბერბერული მოსახლეობის უმრავლესობის ისლამიზაცია, ხოლო XI ს-დან – არაბიზირება. მაროკოში ბერბერულ ენაზე საუბრობს მოსახლეობის 35%, ალჟირში – 20% (ძირითადად კაბილიაში), ლიბიაში – დაახლ. 4% (ძირითადად თუნისის საზღვართან). მცირერიცხოვანი ბერბერული თემები არის მავრითანიაში, თუნისში და ეგვიპტის ერთ ოაზისში. არაბულ ქვეყნებში ქურთების საერთო რაოდენობა არის 6,216,500. არაბულ ქვეყნებში ცხოვრობენ აგრეთვე თურქმენები, ასირიელები, სომხები და სხვ.

არაბები ცხოვრობენ ბრაარაბულ ქვეყნებშიც – ირანში, თურქეთში, ავღანეთში, ისრაელში, ინდონეზიაში, ეთიოპიაში, ჩადის რესპუბლიკაში, ტანზანიასა და აღმ. აფრიკის სხვა ქვეყნებში. არაბული ქვეყნებიდან ემიგრირებულია დაახლ. 6 მლნ არაბი (ისინი, ვინც ინარჩუნებენ მოქალაქეობას), რომლებიც მიდიან სამუშაოს საძებნელად როგორც არაბულ ქვეყნებში, ისე ევროპაში. ამ თვალსაზრისით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია იემენში, იორდანიასა და ლიბანში (20%-ზე მეტი), მერე მოდის ეგვიპტე და სირია (0-20%), შემდეგ კი მაროკო, ალჟირი, თუნისი, მავრითანია და სუდანი (3-10%). არაბ ემიგრანტთა დიდი ჯგუფებია ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში, ესპანეთში, ნიდერლანდებში, იტალიასა და გერმანიაში. მცირე რაოდენობით გვხვდებიან არაბები შუა აზიაში (უზბეკეთში). სპარსეთის ყურის[3] არაბულ ქვეყნებში 33-40% არის მიგრანტი (12,8 მლნ უცხოელი), რომელთა ძირითადი ნაწილი სამხრეთ აზიის – პაკისტანის, ინდოეთის, ბანგლადეშის და შრი-ლანკის მოქალაქეები არიან. უცხოელები შეადგენენ ომანის მოსახლეობის 18-19%-ს, საუდის არაბეთის მოსახლეობის – 20-33%-ს, ბაჰრაინის მოსახლეობის – 33%-ს, ქუვეითის მოსახლეობის 50%-ზე მეტს, კატარის მოსახლეობის – 75-80%-ს, არაბთა გაერთიანებული საამიროების – 85-90%-ს. უცხოური სამუშაო ძალა უპირატესად დაკავებულია კერძო სექტორში, მოქალაქეები კი ძირითადად მუშაობენ ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში (ფინანსების, ნავთობმომპოვებელი და ტელეკომუნიკაციების სფერო), სადაც არის მაღალი ანაზღაურება და შეღავათები. სტატისტიკა არ ასახავს არალეგალურ იმიგრაციას, რომლის შედეგადაც მიგრანტების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ოფიციალურ მონაცემებს. სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებში მიგრანტების დაახლ. 35%-ს არაბები შეადგენენ. საუდის არაბეთის უცხოურ მოსახლეობაში არაბების წილი 38%-ია, ქუ-

---

[1] არაბ. კაბილა, მრ.რ. კაბა'ილ („ტომები") აღნიშნავს ალჟირის ბერბერული ტომების კავშირს.

[2] ტუარეგი (ნიშნავს „იზოლირებულებს") – არაბ. ტაუარიკ, წარმოადგენენ ბერბერთა ერთ-ერთ შტოს და საუბრობენ ბერბერული ენის სპეციალურ დიალექტზე (თიფინაღ).

[3] სპარსეთის ყურე (არაბ. ხალიჯ ფარის, ალ-ხალიჯ ალ-არაბი) – ყურე ირანსა და არაბეთის ნახევარკუნძულს შორის. არაბები მას უწოდებენ „არაბულ ყურეს". სპარსეთის ყურის ქვეყნებია: ომანი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, საუდის არაბეთი, კატარი, ბაჰრაინი, ქუვეითი, ერაყი და ირანი.

ვეითში – 34% (სხვა მონაცემებით 46%). ამ ქვეყნებში ძირითადად ჭარბობენ ეგვიპტელები. კატარში ეს მაჩვენებელი შეადგენს 20-25%-ს (ჭარბობენ იორდანელები, პალესტინელები, ეგვიპტელები), არაბთა გაერთიანებულ საამიროებში – 10-11%-ს (ძირითადად ეგვიპტელები, იორდანელები, პალესტინელები). არაბი იმიგრანტების 10%-ზე ნაკლები არიან ბაჰრაინსა და ომანში.

ზოგიერთ არაბულ ქვეყანას აქვს ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი რეზერვები. სპარსეთის ყურის 4 ქვეყანა – საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ქუვეითი და კატარი არიან მსოფლიო ნავთობის ან გაზის მსხვილ ექსპორტიორთა ათეულში. ამის გარდა ალჟირს, ბაჰრაინს, ერაყს, ლიბიას, მაროკოს, დას. საჰარას და სუდანს აქვთ მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი რეზერვები. საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, საბოლოო პროდუქტის ფასი დაახლ. 30-ჯერ აღემატება პირველადი ნედლეულის ღირებულებას. მხოლოდ ცალკეულმა ქვეყნებმა შეძლეს თანამედროვე სამრეწველო კომპლექსის შექმნა ადგილზე მოპოვებული ნედლეულის გადასამუშავებლად. რეგიონი ფლობს აგრეთვე ფოსფატების, ძვირფასი ლითონების, მათ შორის ოქროს მარაგს. საქონლის ცალკეულ სახეებზე (ტექსტილი, მზა სამოსი, ხილი და ბოსტნეული, სუნელები, ზეთის ხილი, პარფიუმერიისათვის საჭირო ნედლეული, ზღვის პროდუქტები და სხვ.) არაბულ ქვეყნებს უკავიათ მნიშვნელოვანი ნიში როგორც ევროპულ, ისე მსოფლიო ბაზრებზე.

ეროვნული შემოსავლების მიხედვით, არაბულ სამყაროში პირველ ადგილას დგას საუდის არაბეთი (555,055 მლრდ დოლარი), შემდეგ მოდის ეგვიპტე და ალჟირი. ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავლებით, კატარი უმდიდრესი ქვეყანაა მსოფლიოში (2008 წლის მონაცემებით, 86,669 დოლარი). ამ ინდიკატორით მაღალი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე ქუვეითს და არაბთა გაერთიანებულ საამიროებს, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – სომალის (600 დოლარი). რეგიონის მოსახლეობის საშუალოდ 30-40% ყოველდღიურად მოიხმარს მხოლოდ 2 დოლარს, ხოლო 5-7% ფლობს ეროვნული შემოსავლების 50%-ს. არაბულ ქვეყნებში დაახლ. 20 მლნ უმუშევარია. ოფიციალური მონაცემებით, არაბული ქვეყნებიდან უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე არის ჯიბუთიში (50%) და ლიბიაში – 30%. ამ ინდიკატორით ყველაზე დაბალი მაჩვენებელია არაბთა გაერთიანებულ საამიროებსა და ქუვეითში. არაბული ქვეყნების ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 95% დაკავებულია მომსახურების სფეროში და ეკონომიკის ჩრდილოვან სექტორში, 3% – სოფლის მეურნეობაში და მხოლოდ 19% – მრეწველობაში. 90-იან წლებთან შედარებით, 2005 წლისათვის ეკონომიკური ზრდის ტემპების მატებამ შეადგინა 5,6%, რაც იყო არა ეკონომიკური რეფორმების შედეგი, არამედ გამონვეული იყო სახელმწიფო დანახარჯების გაზრდით ნავთობიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე. 2006 წელს არაბული ქვეყნების ეკონომიკაში უცხოურმა კაპიტალდაბანდებებმა შეადგინა მხოლოდ 8 მლრდ დოლარი, ხოლო იმავე პერიოდში არაბულმა ინვესტიციებმა საზღვარგარეთ – 1500 მლრდ დოლარი. 2008 წლის სტატისტიკური გამოთვლებით, მხოლოდ საუდის არაბეთის უცხოური აქტივები 2011 წლისათვის მიაღწევს 600 მლრდ დოლარს. საზღვარგარეთ საუდის არაბეთის ინვესტიციების 40% მოდის აშშ-ზე, 30% – დას. ევროპაზე, ხოლო 10% – აზიის ქვეყნებზე (საუდის არაბეთს ამ ქვეყნებიდან ყველაზე დიდი ინვესტიციები აქვს სამხრეთ კორეაში). ამის პარალელურად საუდის არაბეთის განვითარების ფონდი ფინანსურ დახმარებას უწევს განვითარებად არაბულ ქვეყნებს.

იუნესკოს მონაცემებით, განათლების საშუალო დონე (დეფინიცია:15 წლის ასაკი და ზემოთ, შეუძლია წერა და კითხვა) რეგიონში აღწევს 66%-ს, რაც ითვლება ერთ-ერთ დაბალ მაჩვენებლად მსოფლიოში. მავრიტანიაში, მაროკოსა და იემენში კი მხოლოდ 50%-ს აღწევს. ეგვიპტის 17 მლნ-ზე მეტი მცხოვრები წერა-კითხვის უცოდინარია, თუმცა ეს ქვეყანა ცნობილია მთელს მსოფლიოში თავისი უნივერსი-

ტეტებით (კაიროს უნივერსიტეტი და ალ-აზჰარის ისლამური უნივერსიტეტი). მოზარდებში განათლების დონე ყველაზე მაღალია ლიბანში, პალესტინასა და იორდანიაში (90%). 1990 წლიდან 2004 წლამდე მოზარდებში წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა 64 მილიონიდან შემცირდა 58 მილიონამდე. ამ თვალსაზრისით დარღვეულია გენდერული ბალანსიც. ყოველი 100 წერა-კითხვის მცოდნე მოზარდიდან 69 მდედრობითი სქესისაა. განათლების დონე უფრო მაღალია ახალგაზრდებში (15-24 წლის ასაკი), ვიდრე მოზარდებში. ამ ინდიკატორით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ კომორს, ჯიბუთის, მავრითანიას, სომალის, სუდანსა და იემენს. არაბულ ქვეყნებში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს დაწყებითი განათლება. არაბულ ქვეყნებში დაახლ. 10 მლნ ბავშვი არ ესწრება სასკოლო მეცადინეობებს. განათლების სფეროში დიდ წარმატებებს მიაღწიეს სირიამ და საუდის არაბეთმა. ყველა არაბულ ქვეყანაში სწავლა უფასოა. ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში უფასოა სასკოლო ინვენტარი, სასკოლო ფორმა, კვება, მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურება და ტრანსპორტირებაც. პროფტექნიკური სასწავლებლებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები იღებენ სტიპენდიას. კურსდამთავრებულებს გარანტირებული აქვთ შრომითი მოწყობა.

არაბულ სამყაროში წიგნის გამოცემა შეადგენს მსოფლიო გამოცემების 1,1%-ს, მაშინ როცა არაბები მსოფლიო მოსახლეობის 5%-ს შეადგენენ. გამოქვეყნებული წიგნების დიდი ნაწილი არის რელიგიური ლიტერატურა. არაბულ სამყაროში 5 ათასიანი ტირაჟით გამოცემული წიგნი ითვლება ბესტსელერად, სხვა ქვეყნებში ასეთი ტირაჟით გამოდის რიგითი გამოცემები. არაბულ სამყაროში საგამომცემლო საქმიანობის განვითარებას ხელს უშლის აქ დაწესებული ცენზურა და გარკვეული სახის აკრძალვები, მკითხველთა დაბალი პროცენტული მაჩვენებელი, ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დაბალი კოეფიციენტი, წიგნის გავრცელების არასათანადო სისტემა, ინტელექტუალური საკუთრების უფლების ხშირი დარღვევა. ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ყველაზე დიდი, საერთაშორისო წიგნის ბაზრობა ყოველწლიურად (1969 წლიდან) ტარდება კაიროში (ეგვიპტე) და დაახლ. 2 კვირა გრძელდება. 2007 წელს ამ გამოფენაში მონაწილეობა მიიღო 25 ქვეყნის 516 გამომცემლობამ. 2003 წელს კაიროს ალ-აზჰარის უნივერსიტეტის ღვთისმეტყველთა ჯგუფმა, არაბთა გაერთიანებული საამიროების თავდაცვის მინისტრისა და დუბაის მემკვიდრე პრინცის დაფინანსებით, დაიწყო გრანდიოზული საგრანტო პროექტის – „ალ-აზჰარ ონლაინ" განხორციელება. დაგეგმილია ელექტრონული ვერსიის შესრულება დაახლ. 42 000 ისლამური ხელნაწერის, რომელთაგან 9 ათასი მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლარის სახით არსებობს. ითვლება, რომ ეს პროექტი მესამეა თავისი მოცულობით და მასშტაბურობით აშშ-ს კონგრესისა და ვატიკანის ბიბლიოთეკების პროექტების შემდეგ.

XX ს. 40-60-იან წლებში არაბული ქვეყნების უმეტესობამ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ჩამოყალიბდა სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ფორმა: ბაჰრაინი, კატარი, იორდანია, არაბთა გაერთიანებული საამიროები, მაროკო, ქუვეითი, ომანი და საუდის არაბეთი არის მონარქიები, ხოლო დანარჩენი არაბული ქვეყნები – რესპუბლიკები. რეგიონის ქვეყნების პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სისტემების თავისებურებას წარმოადგენს სუსტად განვითარებული ფედერალიზმი[4] და, მრავალი ქვეყნის პოლიეთნიკურობის მიუხედავად, ჭარბობს

[4] ფედერალიზმი – სტრუქტურა, დამყარებული ფედერაციის პრინციპებზე. ფედერაცია არის სახელმწიფო წყობის ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც რამდენიმე სახელმწიფო ერთ სახელმწიფოდ ერთიანდება. ფედერაციის ტერიტორია მასში შემავალი სახელმწიფო წარმონაქმნების ტერიტორიებისაგან შედგება. ყოველ წარმონაქმნს უფლება აქვს საკუთარი კონსტიტუცია მიიღოს.

უნიტარული[5] სტრუქტურები. თუ არ ჩავთვლით არაბთა გაერთიანებულ საამიროებს, რომელიც არის აბსოლუტური მონარქიების ფედერაცია, სომალის რესპუბლიკას და ერაყს, რომელიც არის უნიტარულ-ფედერალური, ქურთთა ავტონომიის გამო.

არაბულ სამყაროში პოლიტიკური პარტიები დაშვებულია მხოლოდ 14 ქვეყანაში, სადაც არის მრავალპარტიული[6] ან ერთპარტიული[7] სისტემები. პოლიტიკური პარტიების დაარსება იკრძალება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ლიბია, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, კატარი, ბაჰრაინი, ქუვეითი და ომანი. არაბულ ქვეყნებში დამკვიდრებულია კლიენტელას ინსტიტუტი – მმართველი ეყრდნობა პირად მრჩეველებს, რომლებიც ეხმარებიან მას თავისი კურსის გატარებაში. დემოკრატიის დასავლური მოდელები ძნელად მკვიდრდება არაბულ-მუსლიმურ სამყაროში. რეგიონის ქვეყნებს აქვთ აგრეთვე განსხვავებული საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია. იზრდება პოლარიზაცია რეგიონის ქვეყნებს შორის. არაბული ქვეყნების საგარეო კავშირების ზრდას განაპირობებს პრობლემები პოლიტიკის, ეკონომიკის და უსაფრთხოების სფეროში.

არსებობს ერთიანი კონსტიტუციაც. ფედერაციის ერთეულებს თავიანთი სამართლებრივი და სასამართლო სისტემები აქვთ.

[5] მთლიანი, ერთიანი, უნიტარული სახელმწიფო – ისეთი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაც არ არის დაყოფილი ფედერაციულ ერთეულებად (შტატებად, მხარეებად და სხვ.).

[6] პოლიტიკური სისტემა, რომლის დროსაც დაშვებულია მრავალი პარტიის არსებობა, რომლებიც თეორიულად ფლობენ თანაბარ შანსებს პარლამენტში უმრავლესობის მისაღებად. ამის პარალელურად არსებობს აგრეთვე მრავალპარტიული სისტემა, დომინირებული პარტიით. ეს არის სისტემა, რომელშიც მხოლოდ ერთ პარტიას აქვს რეალური პოლიტიკური ხელისუფლება, ჰყავს უმრავლესობა პარლამენტში და აყალიბებს მთავრობას საკუთარი ძალებით ან ზოგ შემთხვევაში მმართველი კოალიციის შემადგენლობაში. მართალია, ოპოზიციური პარტიები ნებადართულია კანონმდებლობით, ისინი საკმაოდ სუსტნი ან არაეფექტური არიან ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

[7] პოლიტიკური სისტემა, როცა ერთადერთი პარტია ფლობს საკანონმდებლო ხელისუფლებას. ოპოზიციური პარტიები ან აკრძალულია ან არ არის დაშვებული ხელისუფლებაში.

არაბული ქვეყნების პოლიტიკური სისტემები

არაბული სამყაროს პოლიტიკური სისტემების განხილვა უნდა დავიწყოთ პოლიტიკური რეჟიმებით, რადგანაც ამ რაკურსით უფრო ადვილია პოლიტიკური სისტემების პრობლემატიკის გააზრება. არაბული ქვეყნების პოლიტიკური რეჟიმები მმართველობის ფორმის მიხედვით იყოფა ორ ნაწილად – მონარქიული და რესპუბლიკური. მმართველობის არც ერთ ფორმას ევროპაში ხელი არ შეუშლია დემოკრატიის თანამედროვე ფორმების განვითარებისათვის, რამაც განსაზღვრა პოლიტიკური ინტეგრაციის შესაძლებლობა. არაბულ სამყაროში კი ორივე რეჟიმს – მონარქიულს და რესპუბლიკურს[8] – პოლიტოლოგები აფასებენ ავტორიტარულად.

არაბულ მონარქიებში ავტორიტარიზმის ძირითად საყრდენად ითვლება თვითონ მონარქიის ინსტიტუტი, სადაც გადამწყვეტ როლს ასრულებს ან საკრალურობის პრინციპი,[9] როგორც ეს მაროკოში,[10] იორდანიასა[11] და საუდის არაბეთშია (მონარქი არის საერთო მუსლიმური სიწმინდეების მცველიც) ან ტომობრივი სოლიდარობის და ტომობრივი კონსენსუსის პრინციპი, როგორც ეს სპარსეთის ყურის მონარქიებშია. რესპუბლიკურ რეჟიმებში, რომლებიც აღმოცენებულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და არაბული ნაციონალიზმის იდეოლოგიის საფუძველზე, ავტორიტარიზმი გარკვეულწილად ეფუძნება პრეზიდენტის შეუზღუდავ ხელისუფლებას.

არაბულ ქვეყნებში მონარქიის ინსტიტუტი განსხვავდება ევროპული ქვეყნების მონარქიებისაგან. არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებში მეფის იურიდიული და ფაქტობრივი მდგომარეობა არ არის ნომინალური. აქ „მეფე არა მარტო მეფობს,

---

[8] რესპუბლიკა – სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლეს ხელისუფლებას ახორციელებენ განსაზღვრული ვადით არჩეული ორგანოები. რესპუბლიკების კლასიფიკაცია უკავშირდება სამ პარამეტრს: როგორ აირჩევა პარლამენტი, როგორ ყალიბდება მთავრობა და რა უფლებამოსილებები აქვს პრეზიდენტს. რესპუბლიკის ტიპები – საპარლამენტო, საპრეზიდენტო და შერეული. საპარლამენტო რესპუბლიკა ხასიათდება პარლამენტის უზენაესობის პრინციპით, რომლის წინაშეც არის პასუხისმგებელი მთავრობა. საპრეზიდენტო რესპუბლიკა ხასიათდება პრეზიდენტის მნიშვნელოვანი როლით სახელმწიფოს მართვაში, ის თავის ხელში აერთიანებს სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის თავმჯდომარის ფუნქციებს. მას უწოდებენ აგრეთვე დუალისტურ რესპუბლიკას, რითაც ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება არის პრეზიდენტის, ხოლო საკანონმდებლო – პარლამენტის ხელში. შერეული (ნახევრადსაპრეზიდენტო, ნახევრადსაპარლამენტო, საპრეზიდენტო-საპარლამენტო) – მმართველობის ფორმა, რომელიც არ არის არც საპრეზიდენტო და არც საპარლამენტო. ერთი მხრივ, პარლამენტს უფლება აქვს უნდობლობის ვოტუმი გამოუტანოს პრეზიდენტის მიერ ჩამოყალიბებულ მთავრობას, მეორე მხრივ, პრეზიდენტს უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს მორიგი არჩევნები (ახლად არჩეული პარლამენტი არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს კონსტიტუციით განსაზღვრული დროის განმავლობაში). თუ პარლამენტის ახალ შემადგენლობაში პრეზიდენტის პარტია მიიღებს უმრავლესობას, შენარჩუნდება „ბიცეფალური" აღმასრულებელი ხელისუფლება, როცა პრეზიდენტი განსაზღვრავს მთავრობის პოლიტიკას, ხოლო პრემიერ-მინისტრი სუსტ რგოლს წარმოადგენს. თუ გაიმარჯვებენ პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები, როგორც წესი, პრეზიდენტი იძულებული იქნება დაეთანხმოს მთავრობის გადადგომას და ახალი მთავრობის ჩამოყალიბების უფლებამოსილება ფაქტობრივად გადასცეს იმ პარტიის ლიდერს, რომელიც ხმების უმრავლესობას მიიღებს არჩევნებზე. ამ შემთხვევაში პრეზიდენტს არ შეუძლია არსებითი ზეგავლენა მოახდინოს მთავრობის პოლიტიკაზე და მთავარი პოლიტიკური ფიგურა ხდება პრემიერ-მინისტრი.

[9] საკრალური – რელიგიურ კულტთან და რიტუალთან დაკავშირებული.

[10] მაროკოში მმართველი დინასტიის წარმომადგენლები არიან არა მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელმძღვანელთა შთამომავლები, არამედ საიდები – მოციქულ მუჰამადის შთამომავლები.

[11] აქ ხელისუფლების სათავეში არიან მექის შერიფის და შესაბამისად, მოციქულის შთამომავლები.

არამედ მართავს". აბსოლუტურ მონარქიებში სახელმწიფოს მეთაურის ხელისუფლება ვრცელდება საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე და ის პრაქტიკულად შეუზღუდავია. კონსტიტუციურ მონარქიებში[12] მეფის ხელისუფლება შეზღუდულია კონსტიტუციით და ის უყოფს თავის უფლებამოსილებას პარლამენტს და მთავრობას, განსაკუთრებით საკანონმდებლო და საფინანსო სფეროში. თუმცა, ამ პირობებშიც მეფე წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ ინსტიტუტს და აქვს არსებითი უფლებამოსილება სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

მონარქი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, თავის პოსტს იღებს ტახტის მემკვიდრეობის წესით, რომელიც ჩვეულებრივ მოცემულია ქვეყნის ძირითად კანონში – კონსტიტუციაში, ან განმტკიცებულია სპეციალური საკონსტიტუციო კანონით, ან კონსტიტუციის არარსებობის შემთხვევაში აქტით, რომელსაც გამოსცემს მონარქი თავის მემკვიდრესთან დაკავშირებით მოქმედი ნორმების შესაბამისად და ისტორიული ტრადიციის გათვალისწინებით. ყველა მონარქიულ სახელმწიფოს მართავს სამეფო ოჯახი. სწორედ მას ეკუთვნის უმაღლესი ხელისუფლების განხორციელების პრივილეგია, ხოლო მონარქი არის მისი ხელმძღვანელი და ის პასუხისმგებელია პოლიტიკურ ხელისუფლებაზე. ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში მმართველ დინასტიას ხელისუფლება ხელთ უპყრია საუკუნეების მანძილზე (ბაჰრაინში 1782 წლიდან, კატარში – 1822 წლიდან და სხვ.). სამეფო ოჯახის წევრებს უკავიათ მნიშვნელოვანი პოსტები მთავრობაში და სახელმწიფო აპარატში. ძირითადად, მონარქი არის ერთადერთი მფლობელი საკანონმდებლო ხელისუფლების, რასაც ახორციელებს თავის მიერ დანიშნული სათათბირო ორგანოს საშუალებით ან ის უყოფს საკანონმდებლო ხელისუფლებას წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოს. პირველი კატეგორიის მონარქიებს ეკუთვნის საუდის არაბეთი და ომანი. მეორე კატეგორიას – კატარი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ქუვეითი, ბაჰრაინი, მაროკო და იორდანია. რამდენიმე მონარქიაში არსებობს სათათბირო ორგანო – შურა ანუ საკონსულტაციო საბჭო. მმართველი იერარქიის სათავეში დგანან მემკვიდრეობითი დინასტიების შაიხები – საამიროების მმართველები, რომლებიც აკონტროლებენ არაბული სახელმწიფოების ცხოვრების ყველა სფეროს. სწორედ მმართველი დინასტიის ხელში აღმოჩნდა ნავთობის უდიდესი რეზერვებიც.

არაბულ ქვეყნებში მონარქიის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი პრინციპი არის მონარქის გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან. კონსტიტუციით ის არის სახელმწიფოს მეთაური, წმინდა და ხელშეუხებელი პიროვნება, რომელსაც აქვს სრული იმუნიტეტი. მონარქი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მინისტრების საშუალებით, რომლებსაც აქვთ კოლექტიური პასუხისმგებლობა მონარქის წინაშე სახელმწიფოში გატარებული პოლიტიკის გამო. ისინი პრემიერ-მინისტრთან ერთად პასუხისმგებელნი არიან მონარქის მიერ გამოცემული აქტების შესრულებაზე. არც ერთი მონარქიული არაბული სახელმწიფოს კონსტიტუცია არ აწესებს მონარქის იურიდიული პასუხისმგებლობის რაიმე ფორმას. მონარქის იმუნიტეტი და ხელშეუხებლობა განმტკიცებულია ქუვეითის კონსტიტუციის 54-ე მუხლით, ომანის კონსტიტუციის 41-ე მუხლით, იორდანიის კონსტიტუციის 30-ე მუხლით, მაროკოს კონსტიტუციის 23-ე მუხლით და სხვ. კონსტიტუციის პრეამბულაში დეკლარირებულია, რომ კონსტიტუცია ცხადდება და ძალაში შედის მეფის სახელით. მონარქიული

[12] კონსტიტუციური მონარქია არსებობს ორი ფორმით: 1. დუალისტური მონარქია (ლათ. ორმაგი) – კონსტიტუციური მონარქია, სადაც მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია კონსტიტუციით, მაგრამ მონარქი ფორმალურად და ფაქტობრივად ინარჩუნებს მთელ ხელისუფლებას; 2. საპარლამენტო მონარქია – კონსტიტუციური მონარქია, რომლის დროსაც მეფე უყოფს თავის უფლებამოსილებას პარლამენტს და მისი ფუნქციები ნომინალურია.

ქვეყნების კონსტიტუციაში ფორმალურად აღნიშნულია ხელისუფლების განაწილების შესახებ, მაგრამ ხელისუფლების შტოებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან. ამასთანავე კონსტიტუციით, ხელისუფლების არც ერთ შტოს არ შეუძლია თავისი უფლებამოსილება გადასცეს სხვა შტოს. მონარქი კი ჩვეულებრივ ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებასაც. ქუვეითის კონსტიტუციის 51, 52 და 53-ე მუხლები პირდაპირ აცხადებს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ამირას და ეროვნულ ასამბლეას, აღმასრულებელი – ამირას, მინისტრთა კაბინეტს და მინისტრებს, ხოლო სასამართლო ხელისუფლება – სასამართლოებს, რომლებიც ახორციელებენ მას კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში ამირას სახელით. ანალოგიური ნორმები განმტკიცებულია იორდანიის კონსტიტუციაში, რომელიც მთელი ხელისუფლების წყაროდ აცხადებს ხალხს. კონსტიტუციის 25, 26 და 27-ე მუხლები კი აცხადებს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ეროვნულ ასამბლეას და მეფეს, ხოლო აღმასრულებელი – მეფეს, რომელიც მას ახორციელებს მინისტრების მეშვეობით, მაგრამ კონსტიტუციის შესაბამისად.

მონარქი, როგორც სახელმწიფოს თავმჯდომარე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციების გარდა, ასრულებს მთელ რიგ მნიშვნელოვან სახელმწიფო ვალდებულებებს. ის, ჩვეულებრივ, არის ეროვნული ერთიანობის სიმბოლო, მისი დამცველი. ის არის უმაღლესი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიც. ეს უფლებამოსილება მას საშუალებას აძლევს განახორციელოს ღონისძიებები ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, მოქალაქეთა უფლებების დასაცავად, უზრუნველყოს კანონის მოქმედება ქვეყანაში და წარმართოს ქვეყნის პოლიტიკური კურსი სათანადო მიმართულებით. მეფეს აქვს უფლება გამოაცხადოს ქვეყანაში საგანგებო ვითარება, საყოველთაო მობილიზაცია ან ომი ან დადოს სამშვიდობო ხელშეკრულება კანონის შესაბამისი პუნქტების საფუძველზე. იგი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე. მხოლოდ მეფეს აქვს უფლება დანიშნოს და გამოიწვიოს ქვეყნის სრულუფლებიანი წარმომადგენლები სხვა ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან. ამის გარდა მეფეს უფლება აქვს შეიწყალოს დამნაშავენი, მიანიჭოს საპატიო ტიტულები და წოდებები, დააჯილდოვოს სახელმწიფო ორდენებით და უმაღლესი სამხედრო წოდებებით. არაბული აღმოსავლეთის ზოგიერთ მონარქიაში სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებას ემატება რელიგიური ხელისუფლებაც. მაგ. საუდის არაბეთის მეფე ასრულებს რელიგიურ ფუნქციას – ის არის მუსლიმური სამყაროს მთავარი სიწმინდეების (მექა და მედინა) მცველი.

საინტერესოა მონარქისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთმიმართება. ძირითადად მეფე ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებასაც. საუდის არაბეთის კონსტიტუცია აცხადებს მეფეს – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო მინისტრები ეხმარებიან მეფეს განახორციელოს თავისი უფლებამოსილება კონსტიტუციის შესაბამისად. მეფე ნიშნავს და ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრის მოადგილეებს და მინისტრებს სპეციალური დეკრეტით. პრემიერ-მინისტრის მოადგილეები და მინისტრები ვალდებული არიან გამოხატონ სოლიდარობა მეფისადმი და პასუხისმგებელი არიან მის წინაშე ისლამური სამართლის ნორმების განხორციელებისა და სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისათვის. მეფეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს დაითხოვოს ან რეორგანიზება მოახდინოს მინისტრთა საბჭოსი. მეფის ან სახელმწიფოს მეთაურის მიერ ხელმოწერილი სპეციალური დეკრეტით რეგულირდება სახელმწიფო სამსახურის პრინციპები, მაგ. ხელფასის ოდენობა, ჯილდოები, კომპენსაციები, შეღავათები და პენსიები. მეფესთან შექმნილია სპეციალური საკონსულტაციო საბჭო. მინისტრთა საბჭოს წევრი უნდა იყოს საუდელი წარმოშობით, ჰქონდეს სათანადო ცოდნა და კომპეტენცია, არ იყოს მანამდე ბრალ-

დებული რელიგიის და სინდისის სანინააღმდეგო დანაშაულში. მინისტრთა საბჭოში წევრობის შეთავსება არ შეიძლება სხვა სამთავრობო პოსტთან, თუ ეს საჭიროდ არ მიიჩნია სახელმწიფოს მეთაურმა. თანამდებობაზე ყოფნისას მას არ შეუძლია იყიდოს ან არენდით გასცეს ნებისმიერი სახელმწიფო საკუთრება. მას ეკრძალება აგრეთვე გაყიდოს ან არენდით გადასცეს თავისი საკუთრება სამთავრობო ორგანიზაციებს. მას არ შეუძლია აგრეთვე ანარმოოს კომერციული ან ფინანსური საქმიანობა, არ შეიძლება იყოს რომელიმე კომპანიის დირექტორატის წევრი. მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც მას მოინონებს მეფე. ამ საბჭოს უფლებამოსილების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 4 წელს, რომლის შემდეგაც ხდება მისი რეორგანიზება მეფის დეკრეტით. სხდომის ჩატარება შესაძლებელია თუ მას ესწრება წევრების ორი მესამედი. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

კონსტიტუციურ მონარქიებში (მაროკო) აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს არა მეფე, არამედ პრემიერ-მინისტრი. მას აქვს საკანონმდებლო ინიციატივა წარმომადგენლობით პალატაში, მაგრამ კანონპროექტის განხილვა ხდება მინისტრთა საბჭოს სხდომაზე. მეფე ნიშნავს აგრეთვე პრემიერ-მინისტრს და მისი რეკომენდაციით სხვა მინისტრებსაც. თავისი ინიციატივით ან მთავრობის გადადგომისას მეფე უფლებამოსილებას უწყვეტს მთავრობას. მეფე თავმჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს. პრემიერ-მინისტრი პარლამენტის სხდომაზე გამოდის სამთავრობო პროგრამით (წარმომადგენლობით პალატაზე). მინისტრები შეიძლება დაისაჯონ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო და მათი განსჯა ხდება უმაღლესი ტრიბუნალის მიერ, რომელიც შედგება სენატის სპიკერის და 8 წევრისაგან (3 მათგანი აირჩევა სენატის შემადგენლობიდან და 5 ინიშნება სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს მოსამართლის მიერ).

დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით დასავლეთისათვის ყველაზე პერსპექტიულია იორდანია და მაროკო. ამ ქვეყნებში მონარქიის გვერდით არსებობს პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც ფორმალურად ან რეალურად დაკავშირებულია წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფორმებთან – პარლამენტი, პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო სისტემა და სხვ. მაროკოს კონსტიტუციით (1972 წლის კონსტიტუცია, 1992 წლის შესწორებებით), გაძლიერებულია პარლამენტის კონტროლი მთავრობის მოქმედებებზე – შექმნილია დამოუკიდებელი საკონსტიტუციო საბჭო, რომლის ამოცანაა კანონების შესაბამისობის განსაზღვრა კონსტიტუციასთან, პარლამენტის წევრთა არჩევნებისა და რეფერენდუმების ჩატარებაზე კონტროლი. 1992 წელს მაროკოს კონსტიტუციაში პირველად შეიტანეს მუხლი, რომლის თანახმადაც მაროკო დაიცავს ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს. კონსტიტუციით, სუვერენიტეტი ქვეყანაში ეკუთვნის ხალხს, რომელიც ახორციელებს მას ან რეფერენდუმით ან კონსტიტუციური მითითებების საშუალებით. კონსტიტუციით, კანონები არის ხალხის ნების უმაღლესი გამოხატულება, ამიტომ კონსტიტუცია ადგენს კანონებისადმი ხალხის საყოველთაო მორჩილებას და აცხადებს, რომ კანონს არა აქვს უკუქმედების ძალა. საპარლამენტო დემოკრატიის ფორმა მაროკოში მომდინარეობს მოქალაქეთა დიდი უფლებებიდან, რომლებიც განმტკიცებულია კონსტიტუციით. მაროკოში და იორდანიაში არის რეალური მრავალპარტიულობა, პარტიების კონკურენტული ბრძოლა არჩევნებში გამარჯვებისათვის და, შესაბამისად, პარლამენტების და მინისტრთა კაბინეტების ფორმირება ხდება არჩევნებში გამარჯვებული პარტიებისა და კოალიციების საფუძველზე. მაროკოში მეფე, ისევე როგორც სხვა მონარქიებში, ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო მისი წინადადებით კი სხვა მინისტრებსაც. მეფეს თავისი ინიციატივით შეუძლია უფლებამოსილება შეუწყვიტოს მთავრობას. მეფე თავმჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს. მეფის მიერ მთავრობის ყველა წევრის დანიშვნის შემდეგ,

პრემიერ-მინისტრი წარსდგება წარმომადგენლობითი პალატის სხდომაზე სამთავრობო პროგრამით, რომელსაც განხილვის შემდეგ ამტკიცებენ კენჭისყრით. ამისათვის საჭიროა პალატის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა. კონსტიტუციით მაროკოში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს არა მეფე, არამედ პრემიერ-მინისტრი. კონსტიტუცია ნებას რთავს პრემიერ-მინისტრს გადასცეს თავისი უფლებამოსილებების ნაწილი ცალკეულ მინისტრებს. თუმცა პრემიერ-მინისტრს აქვს პასუხისმგებლობა ყველა მინისტრის და მთავრობის აპარატის საქმიანობის კოორდინაციაზე. მაროკოს კონსტიტუციის 65-ე მუხლში პირდაპირ ჩამოთვლილია საკითხები, რომლებიც ექვემდებარება აუცილებელ განხილვას მინისტრთა საბჭოში მათ საბოლოო გადაწყვეტამდე. ამ საკითხებს შორის არის: დეკლარაცია საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ; მთავრობის ნდობის საკითხის დაყენება წარმომადგენლობით პალატაში; ქვეყნის განვითარების გეგმის პროექტი; კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტი; დეკრეტები, რომლებიც შეიძლება გამოსცეს მთავრობამ საპარლამენტო არდადეგების დროს და უნდა დამტკიცდეს პარლამენტის შემდგომ სესიაზე და მრავალი სხვა საკითხი. მთავრობასა და საკანონმდებლო ორგანოს შორის საკამათო საკითხებს წყვეტს საკონსტიტუციო საბჭო (მთავრობის ან წარმომადგენლობითი პალატის მიმართვიდან 8 დღის განმავლობაში). წარმომადგენლობით პალატაში, კვირაში ერთი სხდომა ეთმობა დეპუტატთა კითხვებს და მთავრობის წევრთა პასუხებს მათზე (პასუხებისათვის 20 დღე ეძლევათ). იორდანიაში მთავრობა პასუხისმგებელია არა მარტო მეფის, არამედ დეპუტატთა პალატის წინაშე. თითოეული მინისტრი პასუხისმგებელია დეპუტატთა პალატის წინაშე თავისი სამინისტროს საქმიანობისათვის. დეპუტატთა პალატას შეუძლია დასვას საკითხი პრემიერ-მინისტრის ან ცალკეული მინისტრის პასუხისმგებლობის შესახებ. მთავრობის ან ცალკეული მინისტრის ნდობის საკითხი დეპუტატთა პალატაში შეიძლება განხილულ იქნეს პრემიერ-მინისტრის ან დეპუტატთა მოთხოვნით (პალატის 10 წევრი-დეპუტატი მაინც უნდა აწერდეს ხელს). მინისტრებს, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ჩადენილი დანაშაულისათვის, ასამართლებს უმაღლესი ტრიბუნალი, რომელიც შედგება სენატის სპიკერის (თავმჯდომარე) და 8 წევრისაგან, რომელთაგან სამი არჩეული უნდა იყოს კენჭისყრით სენატის შემადგენლობიდან და 5 დაინიშნოს სამოქალაქო უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეებისაგან უფროს-უმცროსობის პრინციპით. მინისტრების გასამართლებისას უმაღლესი ტრიბუნალი იყენებს სისხლის სამართლის კოდექსს და სპეციალურ კანონს. იორდანიის კონსტიტუციით, აღმასრულებელი ხელისუფლების თავმჯდომარე მეფეა და არა პრემიერ-მინისტრი. ამიტომ სახელწიფოს მეთაურის უფლებამოსილება მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელობაზე უფრო დიდია, ვიდრე მაროკოში.

ომანის სასულტნოში პარლამენტი დღემდე არ არსებობს, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებაც ეკუთვნის სულტანს. ომანის პოლიტიკური სისტემის მთავარ თავისებურებად ითვლება ხელისუფლების ზეცენტრალიზაცია ერთი ადამიანის – სულტან კაბუს ბინ საიდ ბინ თაიმურის[13] ხელში. სხვა არაბული მონარ-

[13] თანამედროვე არაბულ ქვეყნებში გავრცელდა საკუთარი სახელების ვესტერნიზებული ფორმა, რაც აისახა ოფიციალურ დოკუმენტებში (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ვიზები და სხვ.). არაბულ საკუთარ სახელებში ფლექსიის მოშლამ და სასაუბრო ნორმების არაერთგვაროვნებამ გამოიწვია არაბული სახელების სხვადასხვაგვარი ტრანსლიტერაცია (მაგ., აბდულ რაჰმანი, აბდურ რაჰმანი, აბდ ალ-რაჰმანი ან აბდ არ-რაჰმანი), რადგანაც არ არის ერთიანი მიღებული სისტემა. ძალიან ხშირად არაბული საკუთარი სახელის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტის – ნასაბის (სია წინაპრებისა, რომელიც მოსდევს საკუთარ სახელს) გადმოცემისას *იბნ* (ძე) აღინიშნება როგორც *ბინ* ან *ბენ* (მაგრითანიაში ნასაბი აღინიშნება ვულდ-ით). ნაშრომში არაბული

ქიებისაგან განსხვავებით, სულტანს არ სურს გადასცეს უფლებამოსილებათა ნაწილი თავის ნათესავებს. კაბუსი არის არა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური და ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, არამედ მას უკავია პრემიერ-მინისტრის, თავდაცვის, ფინანსთა და საგარეო საქმეთა მინისტრების პოსტები, აგრეთვე თავმჯდომარეობს ცენტრალურ ბანკს. ომანის კონსტიტუცია ძირითად სახელმწიფო პრინციპად აცხადებს სამართლიანობას, თანასწორობას და კონსულტაციას სათათბირო ორგანოს საშუალებით. ეს ავალდებულებს სახელმწიფოს მეთაურს მოეთათბიროს სხვა უმაღლეს სახელმწიფო ორგანოებს. არაბული მონარქიების კონსტიტუციების ანალიზი აჩვენებს, რომ კატარის, ომანისა და საუდის არაბეთის კონსტიტუცია ითვალისწინებს საკონსულტაციო საბჭოს შექმნას. გარკვეულ სათათბირო ორგანოს წარმოადგენს არაბთა გაერთიანებული საამიროების ფედერალური ეროვნული საბჭო. კონსტიტუცია და სპეციალური დადგენილებები საკონსულტაციო საბჭოების შესახებ მიუთითებს იმაზე, რომ ამ ორგანოს სახელმწიფო სისტემაში აქვს დამხმარე ფუნქცია სახელმწიფოს მეთაურთან და მთავრობასთან მიმართებაში. კონსტიტუციაში არ არის მუხლი, რომელიც დაავალდებულებს სახელმწიფოს მეთაურს შეასრულოს საბჭოს რეკომენდაციები. თუმცა ამ ორგანოს პოლიტიკური მნიშვნელობა დიდია. სპარსეთის ყურის არაბული მონარქიებიდან ქუვეითი გახდა პირველი ქვეყანა, სადაც ჩამოყალიბდა სრულუფლებიანი პარლამენტი, რომლის პირველი სესია გაიხსნა 1963 წლის 29 იანვარს.

არაბული მონარქიებისაგან განსხვავებით, სადაც ხელისუფლება მემკვიდრეობითია, არაბული რესპუბლიკების მეთაურების არჩევა ხდება კონსტიტუციით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. თავისი ფუნქციების განხორციელებისას პრეზიდენტი ეყრდნობა მთავრობას, რომლის სათავეშიც არის პრემიერ-მინისტრი. თითქმის ყველა არაბული ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით, პრეზიდენტს აქვს დიდი ძალაუფლება, რაც აძლევს მას საშუალებას განსაზღვრული ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფო პოლიტიკაზე. არაბულ ქვეყნებში პრეზიდენტის როლს სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების სისტემაში აძლიერებს ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნებში არმია ტრადიციულად არის მთელი პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი. შესაბამისად, პრეზიდენტი წყვეტს ვინ უნდა განახორციელოს უმაღლესი ხელისუფლება ქვეყანაში. ალჟირში მაგ., პრეზიდენტი არის არა მარტო ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, არამედ თავდაცვის მინისტრიც და ხელმძღვანელობს უშიშროების უმაღლეს საბჭოს, რომელიც არის საკონსულტაციო ორგანო.

არაბულ რესპუბლიკებში არსებობს პრეზიდენტის არჩევის ორი ფორმა: 1. უფრო დემოკრატიული, დასავლური მოდელის შესაბამისად, როცა პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრით, ალტერნატიულ საფუძველზე (ალჟირი, თუნისი, მავრითანია და სხვ.). თუმცა, ამ შემთხვევაშიც, პრეზიდენტობის კანდიდატსა და ამომრჩევლებს შორის შეიძლება არსებობდეს შუალედური ინსტანცია, კონსტიტუციით განმტკიცებული. მაგ., თუნისში მოქმედ პრეზიდენტთან იქმნება სპეციალური კომისია (საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარე, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე და ადმინისტრაციული ტრიბუნალის თავმჯდომარე), რომელიც განსაზღვრავს წამოყენებული კანდიდატურების შესატყვისობას, საარჩევნო კანონის მოთხოვნებთან მათ შესაბამისობას და აცხადებს კენჭისყრის საბოლოო შედეგებს. პრეზიდენტი აირჩევა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ასეთი უმრავლესობა პირველ ტურში, მაშინ კენჭისყრის მეორე ტურში დაიშვება ორი კანდიდატი, რომელ-

---

საკუთარი სახელების ტრანსლიტერაციისას მითითებულია ვესტერნიზებული ფორმა, ფრჩხილებში – არაბული.

თაც პირველ ტურში მიიღეს ყველაზე მეტი ხმები. მავრითანიის კონსტიტუციით, მეორე ტური ინიშნება პირველი ტურის ჩატარებიდან მეორე პარასკევს. ლიბანის პრეზიდენტიც აირჩევა პარლამენტის მიერ, მაგრამ ფართო უფლებამოსილება აქვს. 2. მეორე ფორმის დროს პრეზიდენტის კანდიდატურას ასახელებს ქვეყნის (სირია) ეროვნული ასამბლეა (პარლამენტი), შემდეგ ამ კანდიდატურას ამტკიცებს ამომრჩეველთა საყოველთაო რეფერენდუმი. სირიის კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებს უალტერნატივო არჩევნების ჩატარებაზე, რადგანაც სიტყვა კანდიდატს მხოლობით რიცხვში მოიხსენიებს. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ერთი და იგივე პირის ყოფნა პრეზიდენტის პოსტზე არ არის შეზღუდული და ფაქტობრივად საპრეზიდენტო არჩევნები ატარებს უალტერნატივო ხასიათს. ამ პირობებში პრეზიდენტის ინსტიტუტი აბსოლუტური მონარქიისაგან განსხვავდება მხოლოდ ტახტის მემკვიდრეობის მექანიზმის არარსებობით.

არაბულ პოლიტიკურ სისტემებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ლიბანს, რომელსაც სამოქალაქო ომამდე უწოდებდნენ „არაბულ შვეიცარიას". ლიბანი წარმოადგენს პოლიტიკური პლურალიზმის მაგალითს, მაგრამ ხელისუფლების მექანიზმის მოწყობის პრინციპი, შვეიცარიისაგან განსხვავებით, ეფუძნება არა ეთნოკულტურულ, არამედ ეთნოკონფესიურ საფუძველს. ლიბანის სახელმწიფო სისტემის მოწყობის პრინციპები ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ საფრანგეთის მანდატის პერიოდში. 1932 წელს მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ქრისტიანები შეადგენდნენ მოსახლეობის 52%-ს, ხოლო მუსლიმები – 48%-ს. ლიბანის სახელმწიფოს კონფესიური საფუძველი განმტკიცებულია 1926 წლის კონსტიტუციით (95 მუხლი) და 1943 ნლის ეროვნული პაქტით, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია სახელმწიფო აპარატში სხვადასხვა რელიგიური თემების გარკვეული პროპორციით წარმომადგენლობა. პრეზიდენტის პოსტი ეკუთვნის ქრისტიან მარონიტს, პრემიერ-მინისტრის – სუნიტს, პარლამენტის თავმჯდომარის – შიიტს, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარეების მოადგილეთა პოსტები – მართლმადიდებელს. ასეთივე თანაფარდობა დადგინდა რელიგიური თემების წარმომადგენელთათვის პარლამენტში, მთავრობაში, სამინისტროებში და უწყებებში. გარკვეულწილად შეიცვალა ლიბანის პრეზიდენტის უფლებამოსილება 1989 წელს ე. წ. „ტა'იფის შეთანხმების" („ლიბანის ეროვნული თანხმობის ქარტია") საფუძველზე. პრეზიდენტს არ შეუძლია თვითონ აირჩიოს პრემიერ-მინისტრი, ის უნდა მოეთათბიროს ამაზე პარლამენტის სპიკერს და ფაქტობრივად ვალდებულია დაეთანხმოს პარლამენტის გადაწყვეტილებას. მას არ შეუძლია აგრეთვე პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების დათხოვნა პარლამენტში კენჭისყრის გარეშე. პრეზიდენტი აირჩევა დეპუტატთა პალატის მიერ 6 წლის ვადით. იმავდროულად, სამოქალაქო ომმა წარმოაჩინა ლიბანის დემოკრატიული მოწყობის (მრავალპარტიულობა, ალტერნატიული არჩევნები, პრესის თავისუფლება) ზედაპირული ხასიათი, რომლის უკანაც იმალებოდა ავტორიტარიზმი. 2005 წლის თებერვლის ტერაქტი, რომელსაც შეეწირა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, სუნიტური თემის ავტორიტარული ლიდერი რაფიკ ალ-ჰარირი, ამის თვალსაჩინო დადასტურებაა.

არაბულ სამყაროში XX საუკუნის ერაყს პოლიტიკური რეჟიმების სხვადასხვა მოდიფიკაციების დიდი გამოცდილება აქვს. ასეთ სისტემას ახასიათებენ როგორც ავტორიტარულ-ტოტალიტარულს. ბაასისტური იდეოლოგია საკმაოდ ინდიფერენტული იყო კონფესიური პრობლემების (ქურთები, შიიტები) მიმართ. ამჟამად ერაყში არ არის ერთიანი პოლიტიკური სისტემა. ქვეყანა ფაქტობრივად გაყოფილია სამ ზონად: ჩრდილოეთი, რომელსაც ქურთები მართავენ, შიიტური სამხრეთი და ქვეყნის ცენტრალური რეგიონები, სადაც ბაღდადისა და ცალკეული რაიონების გარდა, ჭარბობენ არაბი-სუნიტები. ეს სიტუაცია ხელს უშლის ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. შიიტების კონსოლიდაციამ ზომიერი ლიდერის – აი-

ათოლა ალი ას-სისთანის გარშემო განაპირობა არჩევნების წარმატება შიიტურ და ქურთულ რეგიონებში. არაბი-სუნიტები ფაქტობრივად არ მონაწილეობენ ლეგალურ პოლიტიკურ პროცესში. პოლიტიკურ სპექტრში არ აღმოჩნდნენ აგრეთვე სამოქალაქო პოლიტიკური პარტიები (თუ არ ჩავთვლით ქურთთა წარმომადგენლებს) და ეროვნული უმცირესობები – თურქმენები, ასირიელები, სომხები და სხვ. ხელისუფლება გადავიდა შიიტური უმრავლესობის ხელში, რომელთაც არა აქვთ რეალური კონფრონტაცია ქურთებთან. სუნიტებისა და შიიტების დაპირისპირებაზე კი მოწმობს რეალური პოლიტიკური ფაქტები – ტერორისტული აქტების უმრავლესობა მიმართულია შიიტების წინააღმდეგ. თუ ადრე ტერორისტები მასშტაბურ ტერორისტულ აქტებს ახორციელებდნენ ქვეყნის შიიტურ რაიონებში (ქერბელა, ნეჯეფი, ქუფა, ბასრა და სხვ.), ბოლო ტერორისტული აქტები განხორციელდა იმ ადგილებში, სადაც არის შერეული მოსახლეობა.

სირიის პოლიტიკური რეჟიმი ხასიათდება როგორც ავტორიტარული საპრეზიდენტო ხელისუფლება (კონიუნქტურულ-პოლიტიკური თვალსაზრისით), რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა ძალოვან სტრუქტურებს. ამასთანავე, ეს პოლიტიკური სისტემა ჩამოყალიბდა ორგანიზაციულ-იდეოლოგიური ფაქტორის – მმართველი ბაასის პარტიის გავლენით. ის არ წარმოქმნილა არც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს, სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურის საფუძველზე (როგორც თუნისში ან ალჟირში) და არც ხელისუფლების ხელშეწყობით სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურიდან, რომელმაც გაიმარჯვა რევოლუციური რეჟიმის შედეგად (მაგ., ეგვიპტეში). ბაასის პარტიას ჰქონდა საკუთარი ისტორიული საფუძვლები არაბული აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში და ხელისუფლების სათავეში მოვიდა ხანგრძლივი პოლიტიკური ბრძოლის შემდეგ, პარტიათაშორისი კონკურენციის გზით. სირიას სხვა ქვეყნებისაგან განასხვავებს ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ ჰაფეზ ალ-ასადის მმართველობის დროიდან (1970წ.), ქვეყნის ხელისუფლებაში ერთდროულად მონაწილეობდნენ ბაასისტები და კომუნისტები. ეს საბჭოთა იდეოლოგებმა „სახალხო დემოკრატიაზე" (აღმოსავლურ-ევროპული ტიპის პოლიტიკური სისტემა) გადასვლის ერთ-ერთი გზად განიხილეს. სირიასთან მიმართებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში წარმატებით განხორციელდა, რესპუბლიკური რეჟიმებისათვის საკმაოდ უცხო, ტახტის მემკვიდრეობის ექსპერიმენტი. ამასთანავე, სირიაში ისლამისტები უფრო მცირე რაოდენობით არიან, ვიდრე რესპუბლიკური რეჟიმების სხვა არაბულ ქვეყნებში.

მრავალი სპეციალისტის მიერ იემენი განიხილება ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ არაბულ საზოგადოებად, სადაც ტრადიციულ ინსტიტუტებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურაში. ამით შეიძლება მნიშვნელოვანწილად აიხსნას 1962 წლიდან აქ არსებული სამხედრო-ავტორიტარული რეჟიმის არქიტექტონიკა. იემენში საკანონმდებლო ხელისუფლება ყალიბდება მრავალპარტიული სისტემის საფუძველზე, არჩევნების შედეგად, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება (მთავრობა) – ავტორიტარული მოდელით, მთლიანად პრეზიდენტის მითითებების საფუძველზე. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ისლამისტები მონაწილეობენ საარჩევნო სისტემაში როგორც ლეგალური პოლიტიკური ძალა და პრეზიდენტის მიერ არ განიხილებიან არსებული რეჟიმისა და პოლიტიკური სისტემის სერიოზულ საფრთხედ. ამის მიზეზად ითვლება ის ფაქტი, რომ იემენის ხელისუფლება ეყრდნობა არა მხოლოდ არმიას, არამედ ქვეყნის ჩრდილოეთში გაბატონებულ ტომთა კავშირებს – ჰაშიდს და ბაკილს. სწორედ ეს შიიტური ტომები წარმოადგენს არსებით ბარიერს ისლამიზმის (ნეოვაჰაბიზმი) გავრცელებისათვის.

„ახალი დემოკრატიის" ელემენტები ნათლად ჩანს თუნისის პრეზიდენტის (ზაინ ელ აბიდინ ბენ ალი) მოქმედებებში, რომელიც თვლის, რომ მხოლოდ ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებას შეუძლია წაიყვანოს ქვეყნის მოსახლეობა პროგრესისა-

კენ. მაგ., კადრების როტაცია თუნისში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და პრეზიდენტის ხელშია ფაქტობრივად მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება. პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნის პრეზიდენტს და დეპუტატებს, მაგრამ პრიორიტეტი ენიჭება სახელმწიფოს მეთაურის ინიციატივას. მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები თუნისს ხშირად მოიხსენიებენ როგორც „პოლიციურ სახელმწიფოს".

წარუმატებელი „დემოკრატიზაციის" ცოცხალ მაგალითად ითვლება ალჟირის გამოცდილება XIX საუკუნის 90-იან წლებში. 1991 წელს ალჟირის ისტორიაში პირველად ჩატარდა დემოკრატიული, მრავალპარტიული, საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც ფაქტობრივად გაიმარჯვა „ისლამური ხსნის ფრონტმა". ეს ისლამისტური ორგანიზაცია ამ არჩევნებამდე ორი წლით ადრე ჩამოყალიბდა და მის შემადგენლობაში იყო ავღანეთის ომის ფრონტიდან დაბრუნებული მრავალი მუჯაჰიდი.[14] 1990 წლიდან 1996 წლამდე ისლამისტები აკონტროლებდნენ ქვეყანაში არა მხოლოდ მეჩეთებს და განათლების სფეროს ნაწილს, სტუდენტურ მოძრაობას, არამედ ხელისუფლების ორგანოების საქმიანობასაც ქვეყნის ტერიტორიის ორ-მესამედ ნაწილში. მხოლოდ 1992 წლის სამხედრო გადატრიალებამ შეუშალა ხელი ისლამისტების რეალურ მოსვლას ხელისუფლების სათავეში. ამის შემდეგ ქვეყანაში ფაქტობრივად სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებით დასრულდა პოლიტიკური დესტაბილიზაციის პერიოდი. ალჟირის პოლიტიკური სისტემა სერიოზული გამოცდის წინაშე აღმოჩნდა არა მხოლოდ ადგილობრივი ტერორისტული ძალების აქტიურობის და საგარეო-პოლიტიკური მხარდაჭერის („ალ-კა'იდას" მხარდაჭერა) ზეგავლენით, არამედ დაჩქარებული პოლიტიკური მოდერნიზაციის (დემოკრატიზაციის) შედეგად.

სუპერსაპრეზიდენტო რესპუბლიკის განსაკუთრებულ ფორმად ითვლება მმართველობის ისეთი მოდელი, რომელიც დამყარდა მრავალ არაბულ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალებების შედეგად. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, პარლამენტი დათხოვნილია, ხოლო პრეზიდენტი და მთავრობა გადაყენებულია თავიანთი პოსტებიდან. იქმნება ახალი უმაღლესი ორგანო – სამხედრო საბჭო (რევოლუციური საბჭო, ეროვნული ხსნის საბჭო და სხვ.), რომლის თავმჯდომარეც (როგორც წესი, გადატრიალების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი) შემდეგ ცხადდება პრეზიდენტად. არაბული ქვეყნების უმრავლესობაში ასეთი ლიდერები ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იყვნენ ხელისუფლების სათავეში, რაც ხელს უწყობდა რესპუბლიკური რეჟიმების განმტკიცებას ამ ქვეყნებში (ჰაფეზ ალ-ასადი იყო სირიის პრეზიდენტი 1970-2000წწ.; ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი – 1969 წლიდან დღემდე; ჯაფარ ნიმეირი სუდანის პრეზიდენტი იყო 16 წელი – 1969-1985წწ.).

ლიბიაში და სუდანში ისლამიზმი გახდა არა მარტო ერთ-ერთი იდეოლოგიური ფორმა, არამედ პოლიტიკური ცხოვრების ნაწილი. სუდანში, 1989 წლის გადატრიალების შემდეგ, რომელიც განახორციელა პროისლამისტურად განწყობილმა გენერალმა – ომარ ალ-ბაშირმა, რადიკალური ისლამის მიმდევრებს რეალური შესაძლებლობა მიეცათ მოეხდინათ თავიანთი იდეების რეალიზება პოლიტიკურ პრაქტიკაში და ისლამიზმის ცნობილი თეორეტიკოსი – ჰასან ათ-თურაბი მოვიდა ხელისუფლებაში (ის იყო პარლამენტის სპიკერი 1993-1999 წწ.). პირველად არაბული ქვეყნების ისტორიაში ორგანიზაცია „მუსლიმი ძმები" აღმოჩნდა არა ოპოზიციაში, არამედ პოლიტიკური ხელისუფლების ეპიცენტრში. ამის მიუხედავად, ისლამისტებმა ვერ შეძლეს ინტეგრირება სუდანის საზოგადოებაში მათ მიერ წამოყენებული იდეური პრინციპების გამო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ინტეგრირება არ გულის-

[14] არაბ. მუჯაჰიდ – „სარწმუნოებისათვის მებრძოლი", „ის, ვინც აწარმოებს ომს ურწმუნოთა წინააღმდეგ".

ხმობს სუდანის მთელი საზოგადოების, მათ შორის ქრისტიანული სამხრეთის, ინტეგრაციას.

სუდანისაგან განსხვავებით, ლიბიის მოდელს არა აქვს ანალოგი არაბულ სამყაროში, რადგანაც მან მოახერხა საზოგადოებრივი კონსოლიდაცია. 1973 წელს ლიბიაში დაიწყო ე.წ. „სახალხო კულტურული რევოლუცია", რომელიც მიზნად ისახავდა ძველი სახელმწიფო სტრუქტურის დანგრევას. პარალელურად გაჩნდა მმართველობის ახალი ორგანოები – სახალხო კომიტეტები, რომლის არჩევნები ჩატარდა 1975-76წწ-ში. 1977 წლის 3 მარტიდან ლიბია იწოდება ასე: *სოციალისტური სახალხო ლიბიის არაბული ჯამაჰირია* (სახალხო სახელმწიფო, სახალხო მმართველობა). ლიბიის ხელისუფლებამ მიზნად დაისახა ისლამური საზოგადოების დაფუძნება. პირველი ელემენტი, რაც განაპირობებს ლიბიის ჯამაჰირიას მსგავსებას მუჰამადის მუსლიმურ თემთან (უმმა), არის სახალხო კონგრესი, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის პირველადი ფორმა. დემოკრატიის მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია ლიდერსა და მასებს (ჯამაჰირია) შორის ახლო ურთიერთობა. მესამე ელემენტი, რაც ქმნის ანალოგიას ჯამაჰირიასა და მუჰამადის უმმას შორის, არის პოლიტიკურ სისტემაში ხელმძღვანელის როლისა და მდგომარეობის ფორმალიზაციის უქონლობა, რაც მას აძლევს მოქმედების თავისუფლებას. სხვა ქვეყნებში პრეზიდენტის როლი, როგორც წესი, განსაზღვრულია მოქმედი კონსტიტუციით. ჯამაჰირიას იდეოლოგიის საფუძველს წარმოადგენს „მწვანე წიგნი", რომელიც იმავდროულად არის ნორმატიული დოკუმენტი და ცვლის კონსტიტუციას. ამ დოკუმენტში არის მოცემული ლიბიის დემოკრატიის სტრუქტურისა და მექანიზმების აღწერა, ჩამოყალიბებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობის პრინციპები.

რაც შეეხება პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციას, აქ სახელმწიფო და, შესაბამისად, პოლიტიკური სისტემა საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულა ობიექტური მიზეზების გამო. უნდა ითქვას, რომ პალესტინის საზოგადოებას აქვს მრავალი ისეთი პოლიტიკური სტრუქტურა და მექანიზმი (პოლიტიკური პარტიები, სამოქალაქო საზოგადოების მთელი რიგი ინსტიტუტები, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ხასიათი და სხვ.), რომლებიც დამახასიათებელია საკმაოდ განვითარებული საზოგადოებებისათვის. ამასთანავე, უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, პალესტინის პრობლემის გადაწყვეტის გაჭიანურებამ გააძლიერა ნეგატიური პოლიტიკური ტენდენციები ამ საზოგადოების შიგნით.

არაბული ქვეყნების პოლიტიკური სისტემის ქრესტომათიულ მაგალითად შეიძლება დასახელდეს სომალის რესპუბლიკა. აქ დაიშალა არა მხოლოდ რეჟიმი, არამედ პოლიტიკური სისტემაც. ქვეყანა არის ქაოსის მდგომარეობაში. პოლიტოლოგები სომალის განიხილავენ „არშემდგარი სახელმწიფოს" მაგალითად იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური კატაკლიზმების მიუხედავად, რაც მოხდა აფრიკის სხვა ქვეყნებში (უგანდა, კონგო და სხვ.).

რთული კომპლექსი ეთნიკური, კონფესიური, პოლიტიკური და სხვა წინააღმდეგობების, რომლებიც არსებობს არაბულ ქვეყნებში და მუდმივი წინააღმდეგობა სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის (რომელიც ხშირად მწკავე ხასიათს იღებს) არ აძლევს საშუალებას მმართველ წრეებს იმოქმედონ „ლიბერალური დემოკრატიის" ფარგლებში. ეს ფაქტორები განაპირობებს პრეზიდენტის უფლებამოსილების გაზრდას ამ ქვეყნებში და საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების და მთავრობის დამორჩილებას პრეზიდენტის ხელისუფლებისადმი.

ხელისუფლების მემკვიდრეობითობის პრობლემა არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებში

მონარქიული მმართველობის ფორმის ძირითადი განმასხვავებელი თავისებურება არის ხელისუფლების მემკვიდრეობითობა. არაბულ მონარქიებში ტახტის მემკვიდრეობის წესი განსაზღვრულია შესაბამისი ქვეყნების კონსტიტუციებით ან კონსტიტუციური ხასიათის აქტებით.

ომანის სასულტნოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, „მმართველობის ფორმა არის მემკვიდრეობითი სასულტნო, რომელშიც ხელისუფლებას მემკვიდრეობით იღებენ სა'იდ თურქი იბნ სა'იდ იბნ სულტანის მამრობითი სქესის შთამომავლები. სახელმწიფოს მეთაური უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: 1. უნდა იყოს სრულწლოვანი; 2. მუსლიმი; 3. ფსიქიკურად ჯანმრთელი; 4. ომანელი მუსლიმი მშობლების კანონიერი შვილი". მე-6 მუხლის თანახმად კი, „სამი დღის განმავლობაში, როგორც კი სახელმწიფოს მეთაურის პოსტი გახდება ვაკანტური, მმართველი ოჯახის საბჭო განსაზღვრავს მემკვიდრეს. თუ მმართველი ოჯახის საბჭო ვერ შეთანხმდება მემკვიდრის კანდიდატთან დაკავშირებით, თავდაცვის საბჭო ადასტურებს იმ პირის დანიშვნას, რომელიც განსაზღვრა სულტანმა (მემკვიდრედ) მმართველი ოჯახის საბჭოსადმი გაგზავნილ წერილში". სამეფო ოჯახი დაახლოებით 100 წევრისაგან (მამრობითი სქესის) შედგება.[15] 1996 წელს სულტნის დეკრეტით, ხელისუფლების შეცვლისას კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, შეიქმნა თავდაცვის საბჭო, რომელშიც შედიან: სასახლის კანცელარიის საქმეთა მინისტრი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, პოლიციისა და საბაჟოს მთავარი ინსპექციის გენერალური ტაბის უფროსი, შეიარაღებული ძალების სამი ხელმძღვანელი, სულტნის გვარდიის ჰტაბის უფროსი და შინაგანი უსაფრთხოების აპარატის ხელმძღვანელი.

ბაჰრაინის 1973 წლის კონსტიტუცია განამტკიცებს ტახტის მემკვიდრეობის შემდეგ წესს: „ტახტი მემკვიდრეობით გადაეცემა მის უდიდებულესობა შაიხ ისა იბნ სალმან ალ-ხალიფადან მის უფროს ვაჟს, შემდეგ მის უფროს ვაჟს და ასე შემდეგ თაობიდან თაობას, თუ ამირამ თავის სიცოცხლეში არ დანიშნა ტახტის მემკვიდრედ არა უფროსი ვაჟი, არამედ სხვა ვაჟი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ დეკრეტის შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია მომდევნო პუნქტში. ტახტის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დებულებები რეგულირდება ამირას სპეციალური დეკრეტით, რომელიც არის კონსტიტუციური ხასიათის აქტი და შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ კონსტიტუციის 104-ე მუხლის შესაბამისად".

არაბული აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში არის არჩევითობის გარკვეული ელემენტები სახელმწიფოს მეთაურის განსაზღვრისას. მაგ., ქუვეითის კონსტიტუციის მე-4 მუხლში არის ასეთი დებულება: „ტახტის მემკვიდრე უნდა დაინიშნოს ამირას ტახტზე ასვლის მომენტიდან არა უგვიანეს ერთი წლის განმავლობაში. ტახტის მემკვიდრის დანიშვნა ხორციელდება ამირას ბრძანებით, მისი რეკომენდაციის საფუძველზე, რომელიც უნდა მოიწონოს ეროვნულმა კრებამ. ტახტის მემკვიდრის დასამტკიცებლად საჭიროა ეს კანდიდატურა მოიწონოს პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ. თუ ტახტის მემკვიდრე არ დაინიშნება ზემოაღნიშნული პროცედურის გავლის შემდეგ, ამირა ტახტის მემკვიდრედ ასახელებს სულ მცირე სამ კანდიდატს ზემოთ მითითებული დინასტიიდან და ეროვნული კრება ამტკიცებს ერთ-ერთ კანდიდატურას. ტახტის მემკვიდრე უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს: იყოს სრულწლოვანი, ინტელექტუალურად განვითარებული და მუსლიმი მშობლების შვი-

[15] ომანში, სხვა არაბული მონარქიებისაგან განსხვავებით, ტახტის მემკვიდრე ცნობილი არ არის. თვითონ სულტანი კაბუსი არ არის დაოჯახებული და შვილები არ ჰყავს. ტახტის შესაძლო პრეტენდენტებად განიხილება სულტნის ორი ბიძა და სამი ბიძაშვილი.

ლი". ტახტის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სხვა დებულებები საამიროში რეგულირდება სპეციალური კანონებით.

ძალიან თავისებურია სახელმწიფოს მეთაურის შეცვლის პროცედურა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. ეს სახელმწიფო არის ფედერაციული და ყველა მის შემადგენლობაში შემავალ საამიროში მმართველობის ფორმა არის აბსოლუტური მონარქია. არაბთა გაერთიანებული საამიროების 1971 წლის დროებითი კონსტიტუციის 51-ე მუხლის შესაბამისად, ფედერაციის უმაღლესი საბჭო ირჩევს თავისი წევრებიდან ფედერაციის პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს. მათი უფლებამოსილების ვადა 5 წელია, მაგრამ დაშვებულია ხელმეორედ არჩევა ამ პოსტებზე. ამასთანავე, „ვაკანსიის შემთხვევაში პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე, სიკვდილის, ან გადადგომის ან მმართველობის ვადის გასვლის შემთხვევაში, რა მიზეზიც არ უნდა არსებობდეს, ერთი თვის განმავლობაში ამ მოვლენიდან იკრიბება ფედერაციის უმაღლესი საბჭო და ირჩევს მემკვიდრეს შესაბამისი პოსტის დასაკავებლად".

საუდის არაბეთის მეფის მიერ მიღებული საკონსტიტუციო ხასიათის დოკუმენტის (1992წ. მარტი) თანახმად, „სახელმწიფოს მმართველობას ახორციელებენ ქვეყნის დამაარსებლის – მეფე აბდ ალ-აზიზ იბნ აბდ არ-რაჰმან ალ-ფაისალ იბნ თურქი ას-საუდის ვაჟები და მათი შთამომავლები. მეფე ირჩევს მემკვიდრე პრინცს და ათავისუფლებს მას სამეფო დეკრეტით. მეფის გარდაცვალების შემთხვევაში მემკვიდრე პრინცი იღებს თავის ხელში ძალაუფლებას და ასრულებს მეფის მოვალეობებს ფიცის ცერემონიამდე". 2006 წლის 19 ოქტომბერს მეფე აბდულლაჰ ბინ აბდულ აზიზ ას-საუდმა მიიღო სამეფო დეკრეტი (№ A/135), რომელმაც დაადგინა ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესი. მმართველ მონარქს აღარ აქვს პრეროგატივა დამოუკიდებლად დანიშნოს პოლიტიკური ისტებლიშმენტის მეორე პირი. ეს უფლება გადაეცა კოლექტიურ ორგანოს – ფიცის დადების კომიტეტს. ეს ორგანო იქმნება მმართველი მეფის ბრძანებით. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან სამეფოს დამაარსებლის (იბნ საუდის) შვილები. კომიტეტს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე – მეფე-დამაარსებლის უფროსი ვაჟი, ხოლო მისი მოადგილე ხდება „ასაკით მომდევნო მისი ძმებიდან". კომიტეტის თავმჯდომარე გახდა იბნ საუდის მე-14 ვაჟი – მაშალ იბნ აბდულ აზიზი. ახალი კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, „მეფე, ერთგულების ფიცის მიღების შემდეგ, კომიტეტის წევრებთან შეთანხმებით განსახილველად წარუდგენს კომიტეტს ერთ, ორ ან სამ პირს, რომლებსაც შეუძლიათ ტახტის მემკვიდრის მოვალეობების შესრულება. კომიტეტმა უნდა აირჩიოს მეფის მიერ შეთავაზებული ერთი კანდიდატი ტახტის მემკვიდრედ. თუ კომიტეტი ვერ შეთანხმდება შეთავაზებულ კანდიდატებთან მიმართებაში, მაშინ მისი წევრები თვითონ წამოაყენებენ ტახტის მემკვიდრის, მათი აზრით, შესაფერის კანდიდატურას". თუ მეფე არ დათანხმდება ამ კანდიდატურას, კომიტეტის წევრები კენჭს უყრიან იმ კანდიდატებს, რომლებიც შემოთავაზებულია ორივე – მეფის და კომიტეტის – მხრიდან. ტახტის მემკვიდრე გახდება ის, ვინც კომიტეტის წევრების ყველაზე მეტ ხმებს მიიღებს. თუ მეფეც და ტახტის მემკვიდრეც ერთდროულად გარდაიცვლება, კომიტეტმა 7 დღის განმავლობაში უნდა აირჩიოს შესაფერისი კანდიდატი, მეფე-დამაარსებლების ვაჟებიდან ან შვილიშვილებიდან და ერთგულების ფიცი მისცეს, როგორც ქვეყნის მეფეს. ახალი კანონის თანახმად, მმართველი მეფის ავადმყოფობის შემთხვევაში კომიტეტი აყალიბებს სპეციალურ სამედიცინო კომისიას, რომელიც წერს დასკვნას მეფის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. კომისიის შემადგენლობაში უნდა შევიდეს სამეფო სამედიცინო სამსახურის თავმჯდომარე, მეფე ფაისალის სახ. სპეციალიზირებული საავადმყოფოს დირექტორი და სამეფოს სამი სამედიცინო ფაკულტეტის დეკანები. თუ სამედიცინო დასკვნით მეფეს არ შეუძლია მასზე დაკისრებული სახელმწიფო ვალდებულებების შესრულება, მაშინ კო-

მიტეტი ქმნის „დროებით საბჭოს", რომელშიც უნდა შეევიდეს მისი 5 წევრი. ეს საბჭო დროებით წარმართავს სახელმწიფო საქმეებს მეფის გამოჯანმრთელებამდე და მას შეზღუდული უფლებები აქვს. საუდიანთა რაოდენობა 7 ათასს აჭარბებს და ეს მხოლოდ მამაკაცების რიცხვია. აქედან მხოლოდ 50 ამირა შეადგენს ოჯახურ კლანს, რომლებიც წყვეტენ ყველა საკითხს სახელმწიფოში და ინაწილებენ სახელმწიფო პოსტებს.

კატარში კონსტიტუციის თანახმად, მთელი ხელისუფლება, საკანონმდებლო და აღმასრულებელი, ეკუთვნის ამირას – ას-სანის სამეფო ოჯახიდან, რომელიც არის ყველაზე მრავალრიცხოვანი მმართველი დინასტია არაბეთის ნახევარკუნძულზე. ის მონათესავე და მოკავშირე ტომებთან ერთად ითვლის 20 ათასამდე ადამიანს, ე. ი. კატარის მოსახლეობის10%-ს. მონარქის პიროვნება ხელშეუხებელია, მისი პატივისცემა სავალდებულოა ყველა ქვეშევრდომისათვის. ტახტი გადადის მამიდან შვილზე ან თუ პირდაპირი მემკვიდრეები არ არსებობენ, ას-სანის ოჯახის რომელიმე წევრზე, რომელსაც ამირა ირჩევს. ამირა ნიშნავს ტახტის მემკვიდრეს თავისი ბრძანებით.

იორდანიის კონსტიტუცია დაწვრილებით განსაზღვრავს ტახტის მემკვიდრეობის წესს (მუხლი 28): „იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო ტახტს მემკვიდრეობით იკავებს მეფე აბდულლაჰ I ბინ ალ-ჰუსეინის მამრობითი სქესის პირდაპირი ხაზით შთამომავალი შემდეგი წესების შესაბამისად: 1. მეფის ტიტული გადადის ტახტის მფლობელიდან მის უფროს ვაჟზე, შემდეგ მის უფროს ვაჟზე და ასე შემდეგ, თაობიდან თაობაზე. თუ უფროსი ვაჟი გარდაიცვლება იმ მომენტამდე, ვიდრე ტახტი გადაეცემა მას, მაშინ ტახტს მემკვიდრეობით მიიღებს მისი უფროსი ვაჟი, მიუხედავად იმისა, რომ გარდაცვლილ ვაჟს ჰყავს ძმები. თუმცა, მეფეს შეუძლია აირჩიოს ერთ-ერთი თავისი ძმა მემკვიდრედ. ამ შემთხვევაში მეფის ტიტული მას გადაეცემა. 2. თუ პირი, რომელმაც მიიღო ტახტის მემკვიდრეობის უფლება, გარდაიცვალა ისე, რომ არ დატოვა მამრობითი სქესის მემკვიდრე, ტახტი გადადის უფროსი ძმის უფროს ვაჟზე. თუ უფროს ძმას არ ჰყავს ვაჟი, ტახტი გადადის მისი სხვა ძმის უფროს ვაჟზე უფროს-უმცროსობის წესის შესაბამისად. 3. ძმების და ძმისშვილების არაარსებობის შემთხვევაში, ტახტი გადადის ბიძებზე და მათ შთამომავლებზე. 4. თუ მეფე გარდაიცვლება ისე, რომ არ დატოვებს მემკვიდრეს, ზემოთ მითითებული დებულებების შესაბამისად ტახტი გადაეცემა პირს, რომელსაც აირჩევს ეროვნული კრება მეფე ჰუსეინ იბნ ალის შთამომავლებიდან. 5. ტახტის მემკვიდრეობით მიღება შეუძლია მხოლოდ პირს, რომელიც არის მუსლიმი, მუსლიმი მშობლებისაგან დაბადებული, ფსიქიკურად ჯანმრთელი. 6. არ შეუძლია ტახტი მემკვიდრეობით მიიღოს პირმა, რომელიც ჩამოცილებულია მემკვიდრეობას, ტახტის მემკვიდრისადმი წაყენებულ მოთხოვნებთან შეუსაბამობის მიზეზით. მემკვიდრეობისაგან ამგვარი ჩამოცილება არ ნიშნავს, რომ მისი შთამომავლებიც ჩამოცილებული იქნებიან მემკვიდრეობიდან. მეფის დეკრეტი ტახტის მემკვიდრეობისაგან ჩამოცილების შესახებ საჭიროებს კონტრასიგნაციას პრემიერ-მინისტრის და 4 მინისტრის, რომელთაგან ორი არის შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრი. 7. მეფე ხდება სრულწლოვანი 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ მთვარის კალენდრით. თუ ტახტი გადაეცემა უფრო მცირეწლოვან პირს, მეფის მოვალეობებს ასრულებს რეგენტთა საბჭო, რომელიც ინიშნება მმართველი მეფის სამეფო დეკრეტით. თუ მეფე ისე გარდაიცვალა, რომ არ დანიშნა რეგენტთა საბჭო, მაშინ მინისტრთა საბჭო ნიშნავს რეგენტს ან რეგენტთა საბჭოს. 8. თუ მეფეს არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება ავადმყოფობის გამო, მაშინ ვიცე-რეგენტთა საბჭო ასრულებს მეფის მოვალეობებს. ვიცე-რეგენტი ან ვიცე-რეგენტთა საბჭო ინიშნება მეფის დეკრეტით. თუ მეფეს არ შეუძლია გასცეს განკარგულება ვიცე-რეგენტის ან ვიცე-რეგენტთა საბჭოს დანიშვნის შესახებ, მაშინ ამ განკარგულებას გამოსცემს მინისტრთა საბჭო. 9. თუ მეფე

ტოვებს ქვეყანას, წასვლის წინ სამეფო დეკრეტით უნდა დანიშნოს ვიცე-რეგენტი ან ვიცე-რეგენტთა საბჭო მისი არყოფნის დროს მეფის მოვალეობების შესასრულებლად. ვიცე-რეგენტმა ან ვიცე-რეგენტთა საბჭომ უნდა შეასრულოს ყველა პირობა, რომლებიც მოცემულია სამეფო დეკრეტში. თუ მეფის არყოფნა გრძელდება 4 თვეზე მეტხანს, ეროვნული კრება აუცილებლად უნდა შეიკრიბოს შექმნილი სიტუაციის განსახილველად. თუ მეფის უუნარობა გამოწვეულია ფსიქიკური დაავადებით, მინისტრთა საბჭო ამ ფაქტის დადასტურების შემდეგ დაუყოვნებლივ იწვევს ეროვნულ კრებას. მეფის ფსიქიკური დაავადების ფაქტის დადასტურების შემდეგ ეროვნული კრება მას ჩამოაცილებს ტახტიდან და გადასცემს ხელისუფლებას პირს, რომელსაც აქვს ტახტის მემკვიდრეობის უფლება კონსტიტუციის შესაბამისად. თუ ამ მომენტში დეპუტატთა პალატა დათხოვნილია ან მისი უფლებამოსილების ვადა ამოიწურა, ხოლო პალატის ახალი შემადგენლობა არ არის არჩეული, იკრიბება პალატის ახალი შემადგენლობა". იორდანიაში მომაკვდავმა მეფემ ჰუსეინმა შეცვალა ანდერძი და 1999 წლის 25 იანვარს, თავისი ძმის ჰასანის ნაცვლად, მემკვიდრედ დანიშნა თავისი ვაჟი – აბდულლაჰი. მემკვიდრე პრინცს ჰქონდა ბიძასთან შედარებით შემდეგი უპირატესობები: ის დაბადებული იყო მუსლიმი მშობლების კანონიერი ქორწინების შედეგად; მას ჰქონდა მყარი პოზიციები არმიაში და ჰყავდა იქ პოლიტიკური მომხრეები; ის იყო აპოლიტიკური და მას იორდანიის საზოგადოებაში არ ჰყავდა შეურიგებელი ოპოზიცია. ამის გარდა, მას ჰქონდა ინგლისური წარმოშობა დედის მხრიდან, ინგლისურენოვანი სამხედრო განათლება და დასავლეთის გავლენიანი ფინანსური წრეებისათვის უფრო მისაღები იყო მისი იდეოლოგიური ორიენტაცია.

მაროკოს 1992 წლის კონსტიტუციის მე-20 მუხლი ადგენს შემდეგ დებულებებს: „სამეფო ხელისუფლება მემკვიდრეობითია და გადაეცემა მამიდან შვილს, მისი უდიდებულესობა მეფე ჰასან II-ის მამრობითი სქესის შთამომავლებს პირდაპირი ხაზით, თუ მეფე არ დანიშნავს თავის სიცოცხლეში მემკვიდრედ არა უფროს, არამედ სხვა ვაჟს. თუ არ არსებობენ პირდაპირი ხაზით მამრობითი სქესის შთამომავლები, ტახტი გადადის მამრობითი სქესის ირიბი ხაზით შთამომავლებზე, იგივე პირობების შესაბამისად". კონსტიტუციის 21-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ მეფე არასრულწლოვანად ითვლება 16 წლის ასაკის მიღწევამდე. როდესაც მეფე მიაღწევს 16 წელს, რეგენტთა საბჭო ახორციელებს კორონაციის კონსტიტუციურ უფლებას, კონსტიტუციის უფლების გადასინჯვის გარდა. რეგენტთა საბჭო ახორციელებს სათათბირო ფუნქციებს, ვიდრე მეფე მიაღწევს 20 წლის ასაკს. რეგენტთა საბჭოს თავმჯდომარეობს უმაღლესი სასამართლოს პირველი პრეზიდენტი. რეგენტთა საბჭოს შემადგენლობაში არის აგრეთვე წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარე, 'ალიმთა'[16] რეგიონალური საბჭოს თავმჯდომარე და 10 წევრი, რომელთაც უშუალოდ მეფე ნიშნავს. წესები, რომლებიც არეგულირებს რეგენტთა საბჭოს საქმიანობას, დგინდება ორგანული კანონით".

რაც შეეხება არაბულ რესპუბლიკებს, აქ ხელისუფლების მემკვიდრეობის პრობლემა დგება მაშინ, როდესაც პრეზიდენტი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არის შრომისუუნარო ან მოულოდნელად მიდის პოლიტიკური არენიდან. სახელმწიფო მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი პირობაა ხელისუფლების უწყვეტობა. ყველა არაბული რესპუბლიკა, ლიბანის გარდა, არის საპრეზიდენტო რესპუბლიკა, სადაც სახელისუფლებო უფლებამოსილება თავმოყრილია სახელმწიფოს მეთაურის ხელში. მათი არჩევის წესი განსაზღვრულია კონსტიტუცი-

---

[16] არაბ 'ალიმ („მცოდნე", „სწავლული"), მრ. რ. 'ულამა' – ულემები, აღნიშნავს პრაქტიკულად ყველა სფეროში მოღვაწე სწავლულებს. თუმცა ამ ტერმინით უმთავრესად მოიხსენიებდნენ რელიგიის მცოდნეებს (ფაკიჰები, მუფთიები, მუჰადისები, მუთაქალიმები და სხვ.).

ით. არაბული რესპუბლიკების კონსტიტუცია ადგენს პრეზიდენტობის კანდიდატთა შესაბამისობის წესს და მათი შეცვლის მექანიზმს.

ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის 1996 წლის კონსტიტუციით (მუხლი 73) პრეზიდენტის პოსტზე შეიძლება წარდგენილ იქნეს კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: 1. უნდა იყოს დაბადებით ალჟირის მოქალაქე. 2. უნდა იყოს მუსლიმი. 3. არჩევის მომენტში უნდა იყოს არა ნაკლებ 40 წლის ასაკში. 4. უნდა ფლობდეს ყველა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებას. 5. უნდა დაადასტუროს თავისი მეუღლის ალჟირის მოქალაქეობა. 6. თუ დაიბადა 1942 წლის ივლისამდე, უნდა დაადასტუროს თავისი მონაწილეობა 1954 წლის 1 ნოემბრის რევოლუციაში. 7. თუ დაიბადა 1942 წლის ივლისამდე, უნდა დაადასტუროს თავისი მშობლების უდანაშაულობა იმ ქმედებებში, რომლებიც მიმართული იყო 1954 წლის 1 ნოემბრის რევოლუციის წინააღმდეგ. 8. უნდა წარმოადგინოს საჯარო ინფორმაცია თავისი მოძრავი და უძრავი ქონების შესახებ ალჟირში და საზღვარგარეთ. სხვა პირობები განსაზღვრულია კანონით. პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით. მოქმედი კონსტიტუციით ნებადართულია ორჯერ ზედიზედ არჩევა პრეზიდენტის პოსტზე. კონსტიტუციის 88-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ „თუ პრეზიდენტს არ შეუძლია შეასრულოს თავისი უფლებამოსილება სერიოზული ხანგრძლივი ავადმყოფობის მიზეზით, ამ შემთხვევაში აუცილებლად იკრიბება საკონსტიტუციო საბჭო. როდესაც საკონსტიტუციო საბჭო დარწმუნდება იმ გარემოებების ჭეშმარიტებაში, რაც ხელს უშლის პრეზიდენტს შეასრულოს თავისი მოვალეობები, იკრიბება პარლამენტის ორივე პალატა და წევრთა ხმების უმრავლესობით (2/3) აცხადებს იმ გარემოებათა ჭეშმარიტების შესახებ, რაც ხელს უშლის პრეზიდენტს შეასრულოს თავისი მოვალეობები. შემდეგ გადასცემს პრეზიდენტის უფლებამოსილების შესრულებას არა უმეტეს 45 დღით ერთა საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას კონსტიტუციის 90-ე მუხლის შესაბამისად. თუ პრეზიდენტის უფლებამოსილების შესრულებისათვის ხელშემშლელი გარემოებები 45 დღეზე მეტხანს გრძელდება, ცხადდება ვაკანსია პრეზიდენტის გადადგომის შედეგად იმ პროცედურის შესაბამისად, რომლებიც აღწერილია წინამავალ პარაგრაფებში და ამ მუხლის შემდგომ პარაგრაფებში. პრეზიდენტის გადადგომის ან მისი სიკვდილის შემთხვევაში იკრიბება საკონსტიტუციო საბჭო და ამტკიცებს პრეზიდენტის პოსტზე საბოლოო ვაკანსიას. რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ვაკანსიის შესახებ დასკვნა მიდის პარლამენტში, რომელიც ასეთ შემთხვევაში აუცილებლად იწვევს სხდომას. ერთა საბჭოს თავმჯდომარე ასრულებს სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობებს არა უმეტეს 30 დღე, რომლის განმავლობაშიც ტარდება რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის გადადგომა ან მისი სიკვდილი დაემთხვა ერთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ვაკანსიას, დაუყოვნებლივ იკრიბება საკონსტიტუციო საბჭო და ერთხმად ამტკიცებს პრეზიდენტის პოსტზე საბოლოო ვაკანსიას და ერთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ვაკანსიას. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობებს ასრულებს საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარე. ამგვარად დანიშნული სახელმწიფოს მეთაური ასრულებს სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობებს კონსტიტუციის 30-ე მუხლის შესაბამისად. მას არ შეუძლია წამოაყენოს თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე".

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის 1971 წლის კონსტიტუციით (75-ე მუხლი), პრეზიდენტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს შემდეგი ცენზი: უნდა იყოს ეგვიპტელი, ეგვიპტელი მშობლებისაგან დაბადებული, ფლობდეს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, არ უნდა იყოს 40 წელზე ნაკლები ასაკის გრიგორიანული კალენდრით. 1980 წლამდე ეგვიპტის პრეზიდენტს შეეძლო ხელახლა არჩეულიყო მეორე ვადით. 1980 წლის საკონსტიტუციო შესწორებით (77-ე მუხლი) შეიძლება პრეზიდენტის ხელახლა არჩევა შეზღუდვის გარეშე. 2005 წლის საკონსტიტუციო შესწორებით (76-

მუხლი) სახელმწიფოს მეთაურის არჩევა უნდა მოხდეს ალტერნატიულ საფუძველზე. პირველ ტურში კანდიდატმა უნდა მოიპოვოს უბრალოდ ხმების უმრავლესობა. ადრე პრეზიდენტის არჩევა ხდებოდა რეფერენდუმზე (ხმას აძლევდნენ მხოლოდ 1 კანდიდატს, რომელსაც აირჩევდა პარლამენტი). ახალი პრეზიდენტის არჩევის პროცედურა უნდა დაიწყოს მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის (6 წელი) ამოწურვამდე 60 დღით ადრე და არა უგვიანეს 30 დღით ადრე. ეგვიპტის კონსტიტუციაში არის დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს პრეზიდენტის პოსტზე დროებითი და მუდმივი ვაკანსიის შესახებ მითითებებს. კონსტიტუციის 81-ე მუხლი ადგენს: „თუ რესპუბლიკის პრეზიდენტს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობების შესრულება, იგი გადასცემს მათ შესრულებას ვიცე-პრეზიდენტს". კონსტიტუციის 84-ე მუხლის შესაბამისად კი, „რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ვაკანსიის ან პრეზიდენტის ხანგრძლივი უუნარობის შემთხვევაში, სახალხო კრების თავმჯდომარე დროებით ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობებს. იმ შემთხვევაში, თუ სახალხო კრება დათხოვნილია, უმაღლესი საკონსტიტუციო საბჭოს თავმჯდომარე დროებით ასრულებს რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობებს. ამასთანავე, არც სახალხო კრების თავმჯდომარეს და არც უმაღლესი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლებიც დროებით ასრულებენ რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობებს, არ შეუძლიათ წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურები რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე. რესპუბლიკის პრეზიდენტი არჩეულ უნდა იქნეს პრეზიდენტის პოსტზე ვაკანსიიდან არა უგვიანეს 60 დღის განმავლობაში". ბოლო წლებში ეგვიპტეში აქტიურად საუბრობენ იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი ამზადებს თავის ერთ-ერთ შვილს (გამალი) მემკვიდრედ, რომელიც არის კვალიფიციური ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში. გამალ მუბარაქმა მიიღო საუნივერსიტეტო განათლება ფინანსებისა და მენეჯმენტის სპეციალობით, მუშაობდა ეგვიპტის ბანკებში, ხოლო შემდეგ 5 წელი იმაღლებდა კვალიფიკაციას ლონდონში. 2002 წლის სექტემბერში აირჩიეს მმართველი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრად, მაგრამ სურს შექმნას მენარმეთა პარტია. მას ჰყავს მხარდამჭერები არმიაში. ჰოსნი მუბარაქი ჟურნალისტებთან საუბარში კატეგორიულად უარყოფს მოვლენათა ასეთი განვითარების შესაძლებლობას.

იემენის 1994 წლის კონსტიტუციით (104-ე მუხლი), პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ა) უნდა იყოს არა ნაკლებ 40 წლის ასაკის. ბ) ჰყავდეს იემენელი მშობლები. გ) თავისუფლად სარგებლობდეს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით. დ) იყოს კეთილგონიერი, ასრულებდეს მუსლიმის რელიგიურ ვალდებულებებს და არ ჰქონდეს სამარცხვინო სისხლის სამართლის განაჩენი. ე) არ იყოს ქორწინებაში უცხოელთან და სახელმწიფოს მეთაურის ვალდებულების შესრულების დროს არ შევიდეს ასეთ ქორწინებაში. პრეზიდენტის პოსტის დაკავება შეუძლია მხოლოდ ორი ვადით. პრეზიდენტის პოსტზე ვაკანსიის შემთხვევაში, კონსტიტუციით (115-ე მუხლი), პრეზიდენტის ფუნქციებს დროებით ასრულებს ვიცე-პრეზიდენტი არა უმეტეს 60 დღე, რომლის განმავლობაშიც ტარდება ახალი პრეზიდენტის არჩევნები. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ვაკანსია ემთხვევა რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე ვაკანსიას, წარმომადგენელთა პალატის პრეზიდიუმი დროებით ასრულებს სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება ხელახლა არჩეული წარმომადგენელთა პალატის პირველი სესიიდან არა უმეტეს 60 დღის განმავლობაში".

ლიბანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 49-ე მუხლის შესაბამისად, პრეზიდენტობის კანდიდატი არ შეიძლება იყოს მოსამართლე, პირველი კლასის სახელმწიფო მოსამსახურე თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში და გადადგომიდან ორი წლის განმავლობაში. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა არის 6 წელი. ის შეიძლება ხე-

ლახლა იქნეს არჩეული ბოლო მანდატის დასრულების ვადიდან 6 წლიანი შესვენების შემდეგ. ლიბანის კონსტიტუციის 62-ე მუხლი პრეზიდენტის პოსტზე ვაკანსიასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ ამ პერიოდში რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებას ასრულებს მინისტრთა საბჭო. 69-ე მუხლის შესაბამისად კი, „თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი ვაკანტური გახდება სიკვდილის, გადადგომის ან ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო, დეპუტატთა პალატა დაუყოვნებლივ იკრიბება და ირჩევს პრეზიდენტს. თუ იმ პერიოდში, როცა პრეზიდენტის პოსტზე ვაკანსია გამოცხადდა, დეპუტატთა პალატა დათხოვნილია, მაშინ საარჩევნო ორგანო დაუყოვნებლივ იკრიბება. პრეზიდენტის ასარჩევად მოწვეული პალატა აყალიბებს საარჩევნო ორგანოს და არა სათათბირო ორგანოს, რათა დაუყოვნებლივ დაიწყოს სახელმწიფოს მეთაურის არჩევნები“.

მავრითანიის ისლამური რესპუბლიკის 1991 წლის კონსტიტუციით, პრეზიდენტი უნდა იყოს მუსლიმი, დაბადებით მავრითანიის მოქალაქე, სარგებლობდეს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით და იყოს არა ნაკლებ 40 წლის. ის აირჩევა 6 წლის ვადით და შეიძლება ხელახლა იქნეს არჩეული (მუხლი 26-28). 2006 წლის 25 ივნისის საკონსტიტუციო შესწორებით, პრეზიდენტობის ვადა 5 წლამდე შემცირდა. კონსტიტუციის 115-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტის პოსტზე ვაკანსიის დროს, რომელსაც გამოაცხადებს საკონსტიტუციო საბჭო, სახელმწიფოს მეთაური დროებით ხდება სენატის თავმჯდომარე და ასრულებს მიმდინარე საქმეებს“. 41-ე მუხლის თანახმად კი, ვიდრე საკონსტიტუციო საბჭო გამოაცხადებს რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე ვაკანსიას ან სახელმწიფოს მეთაურის აბსოლუტურ უუნარობას, მანამდე ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ამის შესახებ რესპუბლიკის პრეზიდენტს, ეროვნული კრების თავმჯდომარეს და პრემიერ-მინისტრს.

სირიის 1973 წლის კონსტიტუციით, პრეზიდენტი უნდა იყოს არაბი, სირიის მოქალაქე, არა ნაკლებ 40 წლის და ფლობდეს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. ჰაფეზ ალ-ასადის სიკვდილის შემდეგ, 2000 წლის ივნისის საკონსტიტუციო შესწორებით, პრეზიდენტობის კანდიდატის ასაკობრივი ცენზი დაწიეს 34 წლამდე. კონსტიტუციაში არ არის მითითებული შესაძლებელია თუ არა პრეზიდენტის ახალი ვადით არჩევა. კონსტიტუციის 86-ე მუხლის შესაბამისად, პრეზიდენტის მოვალეობის დროებით შესრულება შეუძლია ვიცე-პრეზიდენტს. 88-ე მუხლი კი აზუსტებს: „პრეზიდენტის მიერ დანიშნული პირველი ვიცე-პრეზიდენტი ან ვიცე-პრეზიდენტი ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას, როდესაც ამ უკანასკნელს არ შეუძლია ამის გაკეთება. პრეზიდენტის სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში, 34-ე მუხლის შესაბამისად ტარდება რეფერენდუმი პრეზიდენტის ასარჩევად არა უმეტეს 90 დღის განმავლობაში. თუ სახალხო საბჭო დათხოვნილია, ან მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე დარჩა 90 დღეზე ნაკლები, პრეზიდენტის უფლებამოსილებას ასრულებს პირველი ვიცე-პრეზიდენტი ახალი საბჭოს მოწვევამდე“. კონსტიტუციის 89-ე მუხლის თანახმად, „პრეზიდენტის პოსტის გათავისუფლების ან ვიცე-პრეზიდენტის არყოფნის დროს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რეფერენდუმზე პრეზიდენტის არჩევამდე, რომელიც ტარდება 90 დღის განმავლობაში“. სირიაში, ეგვიპტის მსგავსად, მწვავედ იდგა ხელისუფლების მემკვიდრეობითობის პრობლემა, რაც განხორციელდა 2000 წელს ჰაფეზ ალ-ასადის გარდაცვალების შემდეგ, როცა პრეზიდენტი გახდა მისი ვაჟი – ბაშარ ალ-ასადი. 1994 წლამდე ჰაფეზ ალ-ასადის ერთადერთ მემკვიდრედ ითვლებოდა მისი უფროსი ვაჟი – ბასელი, რომელიც ხალხს ძალიან უყვარდა და განუზომელი ავტორიტეტით სარგებლობდა არმიაში. მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ აიძულა ჰაფეზ ალ-ასადი მოემზადებინა მემკვიდრედ უმცროსი ვაჟი. ბაშარმა გაიარა ინტენსიური სამხედრო მომზადება, დაასრულა სამხედრო აკადემიის ორწლიანი კურსი, სადაც დაიცვა დისერტაცია. ჰაფეზ ალ-ასადმა მას დაავალა ლიბანთან ურთიერთობის კური-

რება. იემენის პრეზიდენტი ალი აბდულაჰ სალეჰი ამზადებს მემკვიდრედ თავის ვაჟს – აჰმედს, რასაც ენინააღმდეგება ოპოზიცია და აშშ.

სუდანის რესპუბლიკის 1998 წლის კონსტიტუციით (37-ე მუხლი), პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა იყოს სუდანის მოქალაქე, ფსიქიკურად ჯანმრთელი, არ უნდა ჰქონდეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, იყოს არა ნაკლებ 40 წლის, წინამავალი 7 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს დადანაშაულებული, რაც ჩრდილს მიაყენებს მის ღირსებას და აღძრავს უნდობლობას მისდამი. ის შეიძლება არჩეულ იქნეს პრეზიდენტად კიდევ ერთი ვადით. სუდანშიც პრეზიდენტის არყოფნის ან დაკავებული თანამდებობიდან მისი გათავისუფლების შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას დროებით ასრულებს პირველი ვიცე-პრეზიდენტი.

თუნისის 1991 წლის კონსტიტუციით (მუხლი 38-40), პრეზიდენტი უნდა იყოს: მუსლიმი; თუნისის მოქალაქე, რომლის მამა, დედა, ბაბუა დედის და მამის მხრიდან უნდა იყვნენ უწყვეტად თუნისის მოქალაქეები; არ უნდა ჰქონდეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა; არ უნდა იყოს 40 წელზე ნაკლები ასაკის და 70 წელზე მეტი; უნდა ფლობდეს ყველა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებას. პრეზიდენტს შეუძლია თავისი კანდიდატურის წამოყენება ზედიზედ ორი ვადით. პრეზიდენტის პოსტზე დროებითი ან მუდმივი ვაკანსიის დროს, კონსტიტუცია ადგენს შემდეგ წესებს: 56-ე მუხლის შესაბამისად, „თუ რესპუბლიკის პრეზიდენტს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, ის დეკრეტით გადასცემს თავის უფლებამოსილებას პრემიერ-მინისტრს, გარდა ეროვნული პარლამენტის დათხოვნის უფლებისა". 57-ე მუხლის შესაბამისად, „თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი ვაკანტური ხდება მისი გარდაცვალების ან გადადგომის ან აბსოლუტური უუნარობის გამო, ეროვნული პარლამენტის თავმჯდომარე დროებით ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობებს 45 დღიდან 60 დღემდე. ის საკონსტიტუციო ფიცს დებს ეროვნული პარლამენტის წინაშე, ხოლო მისი არარსებობის დროს ეროვნული პარლამენტის ბიუროს წინაშე. სახელმწიფოს დროებითი მეთაური არ შეიძლება იყოს კანდიდატი პრეზიდენტის პოსტზე, გადადგომის შემთხვევაშიც კი".

პრეზიდენტის შეცვლის განსხვავებული მექანიზმი არსებობს ლიბიასა და პალესტინაში. ლიბიის ოფიციალურ გამოცემებში გვხვდება მტკიცება იმის შესახებ, რომ ჯამაჰირიას თავმჯდომარედ ითვლება საყოველთაო სახალხო კონგრესი, რადგანაც სწორედ ის არის უმაღლესი საფეხური ლიბიის სახელმწიფო ინსტიტუტების იერარქიაში. პოლიტოლოგები აღნიშნავენ აგრეთვე, რომ საყოველთაო სახალხო კონგრესი სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს უნაწილებს გენერალურ სამდივნოს და უმაღლეს სახალხო კომიტეტს, რომელთაც გადასცემს თავისი უფლებამოსილების ნაწილს. არსებობს აგრეთვე თვალსაზრისი, რომ სახელმწიფოს მეთაურად აღიარებულია საყოველთაო სახალხო კონგრესის გენერალური სამდივნო ან გენერალური მდივანი. პოლიტოლოგების დასკვნით კი, ლიბიის სახელმწიფოს მეთაურის ძირითად ფუნქციებს გარკვეულ პერიოდში დე-ფაქტო და გარკვეულ პერიოდში – დე-ფაქტო და დე-იურე ერთპიროვნულად ასრულებდა მუამარ კადაფი (არაბ. მუ'ამარ კაზზაფი). ლიბიის სახელმწიფო-პოლიტიკურ მექანიზმში რევოლუციის ლიდერის ინსტიტუტის არსებით თავისებურებად ითვლება ის გარემოება, რომ ყველა სახელმწიფო პოსტის დატოვების მიუხედავად, მ. კადაფი ლიბიის პოლიტიკურ სისტემაში ასრულებს პოლიტიკური და სულიერი ხელმძღვანელის ფუნქციებს. ამდენად, მუამარ კადაფი აგრძელებს ფაქტობრივად და ზოგ შემთხვევაში დე-იურე სახელმწიფოს მეთაურის ტრადიციულ უფლებამოსილებებს. მუამარ კადაფი მოიხსენიება, როგორც „1 სექტემბრის რევოლუციის ლიდერი". ის არის აგრეთვე ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიც. ფაქტობრივად მ. კადაფი სახელმწიფო სტრუქტურებზე მაღლა დგას, არ აირჩევა და არავის კონტროლქვეშ არ არის.

რაც შეეხება პალესტინას, პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის გამოცხადებული. პალესტინის ავტონომიაში მოქმედებს ძირითადი კანონი, რომელიც მიიღო პალესტინის საკანონმდებლო საბჭომ 1997 წლის ოქტომბერში და ხელი მოაწერა იასირ არაფათმა 2002 წლის 29 მაისს. ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარე არის მაჰმუდ აბასი, რომელიც იმავდროულად ინარჩუნებს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის პოსტს. რაც შეეხება ვაკანსიას პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარის პოსტზე, მოქმედებს ასეთი წესი: დროებით (2 თვე) ხელისუფლება გადადის ეროვნული საკანონმდებლო კრების თავმჯდომარის ხელში. ორი თვის განმავლობაში უნდა შედგეს ახალი პრეზიდენტის არჩევნები.

არაბული ქვეყნების საარჩევნო ცენზი

საარჩევნო კანონმდებლობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების სამართლის სისტემაში. თითოეული ქვეყნის საზოგადოებრივი მოწყობის თავისებურებები განაპირობებს განსხვავებებს საარჩევნო კანონმდებლობაში. არაბულ ქვეყნებში ამ კანონმდებლობის განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთი მხრივ, ჩამოყალიბებულ ტრადიციებთან და მეორე მხრივ, – დასავლეთის გავლენასთან. თუმცა არსებული ტრადიციები ყოველთვის არ ატარებენ დემოკრატიულ ხასიათს. სწორედ არაბულ ქვეყნებში მეტად ძლიერია ხელისუფლების თავმოყრის ტენდენცია ერთი გარკვეული ნაწილის ხელში. ხშირ შემთხვევაში ეს ხორციელდება მონარქის შეუზღუდავი ხელისუფლების ფორმით, ხოლო ზოგ შემთხვევაში – სამხედრო-ტოტალიტარული სახელმწიფოს შექმნით (ხელისუფლება თავმოყრილია ან პოლიტიკური ან კლანურ-ოლიგარქიული ელიტის ხელში).

საარჩევნო კანონმდებლობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს საარჩევნო ცენზი – დადგენილი საკანონმდებლო მოთხოვნებისა და შეზღუდვების ერთობლიობა, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე პირმა. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში საარჩევნო კანონმდებლობა არ არის საყოველთაო. თვით ყველაზე დემოკრატიული ქვეყნების საარჩევნო კანონმდებლობაც კი შეიცავს ისეთ დებულებებს, რომლებიც ზღუდავს ამომრჩეველთა და ასარჩევ კანდიდატთა შემადგენლობას. ეს შეზღუდვები გამოწვეულია ობიექტური აუცილებლობით. მაგ., მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში საარჩევნო უფლება ეზღუდება პირს, რომელიც არის ფსიქიკურად დაავადებული. განვითარებად ქვეყნებში კი საარჩევნო ცენზები ხშირად არის თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ხელშემშლელი მიზეზი. არაბული ქვეყნებიც არ არის გამონაკლისი. სწორედ ამ ქვეყნებში გავრცელდა ე.წ. „ფარული ცენზების" სხვადასხვა ფორმა.

საარჩევნო კანონმდებლობის ფორმირების პირველ ეტაპზე ქალებს არ ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მაგ., 1920 და 1930 წლების სირიის საარჩევნო კანონით ხმის მიცემის უფლება ჰქონდათ მხოლოდ მამაკაცებს. 1949 წლიდან ეს უფლება მიიღეს ქალებმაც. ჯერ კიდევ 1946 წელს მოიპოვეს ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჯიბუთიში, ხოლო 1952 წლიდან – ლიბანში (დღემდე მათ აქვთ მხოლოდ ფაკულტატური საარჩევნო უფლება; ხმის მიცემა შეუძლიათ მხოლოდ ქალებს, რომლებსაც აქვთ ელემენტარული განათლება). ეგვიპტის საარჩევნო კანონი 1956 წლიდან ითვალისწინებდა ქალებისათვის ფაკულტატურ, ხოლო მამაკაცებისათვის – სავალდებულო საარჩევნო უფლებას.

ქალთა პოლიტიკური უფლებების საკითხს და მათ მონაწილეობას კენჭისყრაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არაბულ ქვეყნებში. იორდანიაში ქალებმა ხმის უფლება მიიღეს 1974 წელს, ხოლო ქუვეითში – 2005 წელს, ომანში – 2003 წელს და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში – 2006 წელს (ქალებს აქვთ შეზღუდული საარჩევნო უფლება). საუდის არაბეთი არის ერთადერთი არაბული ქვეყანა, სადაც ქალებს არა აქვთ საარჩევნო ხმის უფლება (ეს უფლება შესაძლოა მოიპოვონ 2009 წელს). მრავალი არაბული ქვეყნის სამართალი ეფუძნება შარიათს. ამიტომ არ ცნობდნენ ქალების პოლიტიკურ უფლებებს. ქუვეითის, ბაჰრაინის, არაბთა გაერთიანებული საამიროების კონსტიტუციებში დღემდე არ არის ქალისა და მამაკაცის თანასწორობის შესახებ დებულება. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ეგვიპტის საკანონმდებლო გამოცდილება. 1979 წელს ეგვიპტეში გამოიცა კანონი, რომელმაც შეღავათები დაუწესა ქალებს პარლამენტში არჩევნების დროს. მათთვის იყო გამოყოფილი 30 ადგილი. ქვეყნის ყველა რაიონში ჩამოყალიბდა საარჩევნო ოლქები, სადაც ქალებს უნდა წარედგინათ თავიანთი კანდიდატურები. არჩევნების მსოფლიო ისტორიაში ეს იყო პრაქტიკულად ერთადერთი შემთხვევა, როცა ქალებს მიეცათ

დამატებითი უპირატესობა საარჩევნო სამართალთან მიმართებაში. დღეს ქალებისათვის კვოტები დაწესებულია მხოლოდ იორდანიისა (6 ადგილი) და სომალის პარლამენტში (12% 275 წევრიდან). ეგვიპტეში ასეთი კანონის შემოღებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში სარჩელის შეტანის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა ეს კანონი, რადგანაც ის არღვევდა ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპს და ასევე სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აძლევდა საშუალებას მიეღწიათ ანალოგიური პრივილეგიებისათვის. ეგვიპტის კანონმდებლობა ამით შეეცადა უზრუნველეყო მოსახლეობის ადრე დისკრიმინირებული ნაწილი (ქალები) დამატებითი უფლებებით, მაგრამ ეს ინიციატივა არ აღიარეს დემოკრატიულად. ის თავისთავად ზღუდავდა მამაკაცების საარჩევნო უფლებებს.

არაბული ქვეყნების პარლამენტში ქალები უფრო ნაკლებად არიან წარმოდგენილი, ვიდრე მამაკაცები. ეს ერთი მხრივ, დაკავშირებულია ამ ქვეყნებში გავრცელებულ წარმოდგენასთან ქალის მეორეხარისხოვანი როლის შესახებ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და მეორე მხრივ, მათ რეალურად დაბალ პოლიტიკურ აქტივობასთან. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მრავალ ქვეყანაში ქალები ძირითადად ანტიდემოკრატიულ, კონსერვატორულ პარტიებს უჭერენ მხარს. პალესტინის ავტონომიის 2006 წლის თებერვლის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა ჰამასმა და მისი 74 დეპუტატიდან 6 ქალია.

1957 წლის ეგვიპტის პარლამენტში პირველად აირჩიეს ორი ქალი, ხოლო 5 წლის შემდეგ ეგვიპტის მთავრობაში პირველი ქალი გახდა ჰიქმათ აბუ საიდი – კაიროს უნივერსიტეტის სოციოლოგიის პროფესორი, რომელიც დაინიშნა მინისტრად სოციალურ საკითხებში. ამჟამად ეგვიპტის ეროვნულ კრებაში 10 ქალია. კომორის კუნძულების კავშირის ასამბლეაში არის მხოლოდ ერთი ქალი. ცვლილებები განხორციელდა ისეთ კონსერვატიულ ქვეყნებში, როგორიცაა ბაჰრაინი, კატარი და სხვ. 2000 წელს ბაჰრაინის ამირამ საკონსულტაციო საბჭოში დანიშნა 4 ქალი – 3 მუსლიმი და 1 ქრისტიანი. აღადგინა 1975 წელს გაუქმებული კონსტიტუცია და ქალებს მისცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. 2002 წლის ბაჰრაინის მუნიციპალურ არჩევნებში ქალებმა პირველად მიიღეს ხმის უფლება და ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში კანდიდატურის წარდგენის უფლებაც მოიპოვეს. ჰაია რაშიდ ალ-ხალიფა არის კანონთმცოდნე და დიპლომატი ქალი, ბაჰრაინის ალ-ხალიფას სამეფო ოჯახის წევრი. 1999-2004 წლებში ის იყო ბაჰრაინის ელჩი საფრანგეთში, ხოლო 2006-2007 წლებში – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პრეზიდენტი. 2002 წელს კატარში ჩატარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, სადაც ქალებმა მიიღეს მონაწილეობა. არჩევნების შედეგებით, ვერც ერთმა ქალმა ვერ მოიპოვა გამარჯვება, იმის მიუხედავად, რომ ამომრჩეველთა ნახევარს ქალები შეადგენდნენ. ამასთანავე, სპარსეთის ყურის რეგიონში არჩევნების დროს ქალებისათვის ორგანიზებულია ცალკე რიგები, რათა არ მოხდეს მათი შერევა მამაკაცებთან. კატარში პირველად დაირღვა ეს წესი 2002 წელს.

არაბული ქვეყნების საარჩევნო კანონმდებლობით ასაკობრივი ცენზი არ არის მაღალი – 18 წელი. სუდანში საარჩევნო ცენზი არის 17 წელი, ხოლო ქუვეითში – 20 წელი. ლიბანის კონსტიტუციით განსაზღვრულია 21 წელი, რაც ითვლება აქტიური საარჩევნო უფლების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან შეზღუდვად არა მხოლოდ არაბულ ქვეყნებში, არამედ მსოფლიოში. ეს ასაკობრივი ცენზი დაწესდა ჯერ კიდევ 1926 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ და, რა თქმა უნდა, არ ასახავს თანამედროვე სოციალურ სიტუაციას, არ ითვალისწინებს ახალგაზრდობის პოლიტიკურ აქტივობას, განსაკუთრებით ბოლო წლებში. საარჩევნო ცენზის დაწევის საკითხი აქტიურად განიხილება ლიბანის პარლამენტში. ომანშიც და საუდის არაბეთშიც ასაკობრივი ცენზი არის 21 წელი. ანტიდემოკრატიულად ითვლება ასაკობრივი ცენზის

შეცვლა „კონკრეტული პიროვნების გამო". მაგ., 2000 წელს, სირიის პრეზიდენტის ჰაფეზ ალ-ასადის გარდაცვალების შემდეგ, მოიწვიეს ქვეყნის პარლამენტის რიგგარეშე სესია, რომელზედაც განიხილებოდა ერთადერთი საკითხი – ცვლილება კონსტიტუციაში: პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატის ასაკობრივი ცენზის დანევა 40 წლიდან 34 წლამდე. ამ შესწორების მიზანი იყო შესაძლებლობა მიეცათ ბაშარ ალ-ასადისათვის (გარდაცვლილი პრეზიდენტის, ჰაფეზ ალ-ასადის, ვაჟი) – გამხდარიყო ქვეყნის ახალი პრეზიდენტი.

რაც შეეხება გარემოებებს, რომლებიც ხელს უშლის საარჩევნო უფლების მოპოვებას, ისინი ერთნაირია ყველა ქვეყნის საარჩევნო კანონმდებლობით. ესენია: ფსიქიკური მდგომარეობა, საარჩევო უფლების შეწყვეტა გარკვეულ პერიოდში, ნასამართლევობა ღირსების ჩამორთმევის განაჩენით რეაბილიტაციამდე.

არაბულ ქვეყნებში საარჩევნო უფლება შეზღუდული აქვთ ნატურალიზებულ[17] მოქალაქეებს. 1995 წელს ცვლილება შეიდა ქუვეითის 1959 წლის მოქალაქეობის კანონში, რომლის თანახმადაც ნატურალიზებულ მოქალაქეთა შვილებს მიეცათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება, ხოლო თვითონ ამ მოქალაქეებს – მოქალაქეობის მიღებიდან 20 წლის შემდეგ და არა 30 წლის, როგორც ეს ადრე იყო განსაზღვრული.

არაბული ქვეყნების უმრავლესობა არ აძლევს უფლებას სამხედროებს მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში. ეს დაკავშირებულია არმიის მაღალ როლთან განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკურ პროცესებში. ხელისუფლების სათავეში მოსული სამხედრო ელიტის შიგნით ბრძოლამ გამოიწვია სამხედრო გადატრიალებები მთელ რიგ არაბულ ქვეყნებში. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია სირიის პოლიტიკური განვითარებისათვის.

თითქმის ყველა ქვეყანაში დაწესებულია განათლების ცენზი. ჩვეულებრივ ეს ცენზი ძალიან დაბალია: წერა-კითხვის ცოდნა. მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუცია აზუსტებს ამ ცოდნას და ამატებს სიტყვას – კარგად. კატარის კონსტიტუციით, უნდა შეეძლოს თავისუფლად წერა-კითხვა. ლიბანში ეროვნული კრების დეპუტატობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს განათლება. თუმცა არ არის დაკონკრეტებული განათლების დონე. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცენზი ლიბანში მოქმედებს კონსტიტუციის მიღების დღიდან (1926წ.). ეს შეზღუდვა შემოიტანეს ფრანგმა კოლონიზატორებმა. ისინი იმედს ამყარებდნენ მოსახლეობის განათლებული ნაწილის მხარდაჭერაზე, რომლებიც უფრო ლოიალურად იყვნენ განწყობილნი ფრანგების მიმართ.

ზოგიერთი არაბულ ქვეყანაში, მაგალითად სირიაში, კონსტიტუცია უწესებს აუცილებელ მოთხოვნად პრეზიდენტობის კანდიდატს, რომ იყოს მუსლიმი (მე-3 მუხლი: რესპუბლიკის პრეზიდენტის რელიგია უნდა იყოს ისლამი) და სირიელი არაბი (83-ე მუხლი). ამით სხვა არამუსლიმური კონფესიების წარმომადგენლებს ავტომატურად უწყდებათ უფლება არჩეული იყვნენ სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე. ამასთანავე, „სახელმწიფო უზრუნველყოფს აღმსარებლობის თავისუფლებას და პატივს სცემს ყველა რელიგიას" (35-ე მუხლი). ამ უფლების დარღვევის შემთხვევაში ქვეყნის მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ სახელმწიფოს თავმჯდომარემ თანამდებობის დაკავებისას უნდა წარმოთქვას ფიცი ალაჰის სახელით. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ეს არის ირიბი რელიგიური ცენზი. იორდანიის კონსტიტუციის 28-ე მუხლის შესაბამისად, მეფე შეიძლება იყოს მხოლოდ მუსლიმი, რომელსაც ორივე მშობელი მუსლიმი ჰყავს.

---

[17] ნატურალიზაცია – სახელმწიფოს მიერ უცხოელის მიღება მოქალაქედ, ქვეშევრდომად; სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება.

არსებობს აგრეთვე საარჩევნო გირაო, რომელიც ჩვეულებრივ ითვლება კანდიდატის რეალური მისწრაფების (დაიკავოს საარჩევნო თანამდებობა) დადასტურების ფორმად. იმ ქვეყნებში, სადაც რიგითი მოქალაქის შემოსავალი დაბალია, გირაო იქცევა დაბრკოლებად დამოუკიდებელი კანდიდატებისათვის. იორდანიაში მაგ., კანდიდატმა უნდა შეიტანოს 500 დინარი (დაახლ. 700 დოლარი). გირაო ირიცხება სახელმწიფოს ხაზინაში და უკან არ ბრუნდება. ზოგიერთი მკვლევარი პირდაპირ მიუთითებს, რომ ამგვარი საარჩევნო გირაო იორდანიის პირობებში არის ქონებრივი ცენზის შენიღბული ფორმა და პრაქტიკულად უსპობს საშუალებას მუშებს, გლეხებს და ტომთა რიგით წევრებს წარადგინონ თავიანთი კანდიდატურები. ეს ცენზი დაწესებულია სხვა ქვეყნებშიც.

არაბულ ქვეყნებში ფართო გავრცელება ჰპოვა სპეციალურმა ცენზებმა, რომელთა მიზანია უზრუნველყოს მმართველი წრეების დამატებითი გარანტიები. წარმომადგენლობით ორგანოებში ოპოზიციის მოსვლის შეზღუდვის მიზნით, ეგვიპტეში მიიღეს რამდენიმე ანტიდემოკრატიული კანონი, რომლითაც გარკვეული კატეგორიის პირებს აეკრძალათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება. მაგ., პირები, რომელთაც ჩამოერთვათ პოლიტიკური უფლება მათი პოლიტიკური ბიოგრაფიისა და დაკავებული თანამდებობის საფუძველზე. ასეთ პირებს განეკუთვნებოდა ყველა, ვინც რევოლუციამდე კორუმპირებული იყო და რომელთა ქონება სეკვესტრს ექვემდებარებოდა რევოლუციის შემდეგ. აგრეთვე ისინი, ვინც გარკვეული პერიოდით დაპატიმრებული იყვნენ რევოლუციის შემდეგ (ეს კანონები ამ პირებზე ვრცელდებოდა 10 წლის მანძილზე). ანვარ ას-სადათის (1970-1981) დროიდან ამ სიას დაემატა ის პირები, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ ქვეყნის ეროვნულ ერთიანობას და სოციალურ სტაბილურობას. ამის გარდა, 1956 წლის 22 ივნისის კანონი არ აძლევდა უფლებას თავიანთი კანდიდატურა წამოეყენებინათ საკანონმდებლო ორგანოში იმ პირებს, რომლებთან მიმართებაშიც გამოტანილი იყო გადაწყვეტილება ქონების მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამორთმევის შესახებ, ან ჩამორთმეული ჰქონდათ პოლიტიკური უფლება ან სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი აგარარულ რეფორმასთან დაკავშირებით და სხვ. იმ პერიოდში, როდესაც ეგვიპტეში არჩევნები ტარდებოდა პარტიული სიებით, შემოიღეს მრავალი შეზღუდვა: პარტიის კანდიდატს არჩევნების პერიოდში მკაცრად უნდა დაეცვა ის პრინციპები, რომლებიც დაამტკიცა ხალხმა 1979 წლის 20 აპრილის რეფერენდუმზე – „არ გამოეხატათ თავიანთი მტრული დამოკიდებულება ეგვიპტესა და ისრაელს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებაზე". აგრეთვე პატივი უნდა ეცათ 1978 წლის 33-ე კანონის პირველ მუხლში დაცული დებულებებისათვის, რომლებიც კრძალავდა: გამოსვლას იმ პრინციპების წინააღმდეგ, რის გამოც განხორციელდა 1952 წლის 23 ივლისის რევოლუცია; გავრცელებას იმ მოძღვრებებისა და დოქტრინების, რომლებიც მიმართული იყო სოციალისტური დემოკრატიული წყობის, 1971 წლის 15 მაისის რევოლუციის პრინციპების, ეროვნული ერთიანობისა და კანონის სუვერენიტეტის პატივისცემის წინააღმდეგ. ზემოაღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით შეიძლებოდა საარჩევნო კამპანიაში მონაწილე პრაქტიკულად ნებისმიერი პარტიის აკრძალვა იმ საბაბით, რომ პროპაგანდა ეწინააღმდეგება ზემოთ აღნიშნულ პირობებს და არღვევს კონსტიტუციას. მაგ., 1978 წელს აიკრძალა სოციალისტური არაბული ერთიანობის პარტიის საქმიანობა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არაბული ქვეყნების ნორმატიულ აქტებში, რომლებიც უკავშირდება ელექტორატს, ჩართულია საარჩევნო კანონმდებლობის ზოგადი დემოკრატიული პრინციპები – მოქალაქეთა მონაწილეობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირებაში, ფარული კენჭისყრის პრინციპი და სხვ. თუმცა კანონმდებლობა მხოლოდ თეორიული მხარეა და მთავარია კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებების რეალიზება პრაქტიკაში.

რელიგიის თავისუფლების საკითხი არაბულ ქვეყნებში

თვითიდენტიფიკაციის პრობლემა ამა თუ იმ რელიგიური ჯგუფისადმი კუთვნილების მიხედვით, თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. კონფესიური ფაქტორი სულ უფრო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მსოფლიო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე და ხშირ შემთხვევაში ის ხდება კონფლიქტების წყარო. როგორც წესი, კონფესიათა თანაბარი უფლებები ქვეყნის კონსტიტუციით არის განმტკიცებული.

1998 წელს ჩამოყალიბდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო კომისია რელიგიის თავისუფლებაზე. ეს არის დამოუკიდებელი სტრუქტურა, რომელიც საერთაშორისო მონიტორინგს ახორციელებს რელიგიის თავისუფლების სფეროში და თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-18 მუხლით: „ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, ღირსებისა და რელიგიის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას – შეიცვალოს თავისი რელიგია ან რწმენა, თავისუფლად აღიაროს თავისი რელიგია ან რწმენა ერთპიროვნულად ან სხვებთან ერთად, საჯაროდ ან პირადად, შეასრულოს ღვთისმსახურება, რელიგიური და რიტუალური წესები". კომისიის ყოველწლიური ანგარიში, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რელიგიის თავისუფლების სფეროში, წარედგინება ამერიკის კონგრესს, პრეზიდენტს და სახელმწიფო დეპარტამენტს რეკომენდაციის სახით, რათა გაითვალისწინოს ის საგარეო პოლიტიკის გატარებისას. არაბული ქვეყნები ამ კომისიის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. რელიგიის თავისუფლების პრინციპის დაცვის საკითხებს სწავლობს აგრეთვე „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია" – Human Rights Watch, რომელსაც არაბული ქვეყნები ხშირად უწოდებენ „სიონისტურ-ქრისტიანული" ექსპანსიის იარაღს.

არაბულ ქვეყნებს ახასიათებს ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური განვითარების თავისებურებები. ყველა არაბულ ქვეყანაში ისლამი არის სახელმწიფო რელიგია. ისტორიულად და ტრადიციულად, რელიგიური ფაქტორი და მასზე აგებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობები წარმოადგენდა მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც განსაზღვრავდა არაბული ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ისლამური პოლიტიკური კონცეფცია გამომდინარეობს იქიდან, რომ მუსლიმური სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ძირითადი ამოცანაა ისლამური რწმენის შენარჩუნება და შარიათის დაცვა, რომელიც თავის თავში აერთიანებს რელიგიურ დოგმატიკას, პრაქტიკულ ნორმებს და ისლამურ ეთიკას.

საუდის არაბეთში ისლამი არის არა მხოლოდ სახელმწიფო რელიგია, არამედ სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო და საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის საფუძვლებს, სახელმწიფო მმართველობის სისტემას, ქვეშევრდომთა უფლებებსა და მოვალეობებს. სამოქალაქო და რელიგიური სტრუქტურები აქ მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც განასხვავებს საუდის არაბეთს სპარსეთის ყურის სხვა მონარქიებისაგან, სადაც სამოქალაქო ხელისუფლება განმსაზღვრელ როლს ასრულებს სახელმწიფო საქმეებში, ხოლო სახელმწიფო არეგულირებს ისლამური დაწესებულებების საქმიანობას, რათა არ გასცდნენ „დადგენილ საზღვრებს".

1992 წლის საუდის არაბეთის კონსტიტუციით: „საუდის არაბეთის სამეფო სუვერენული არაბული სახელმწიფოა. მისი რელიგია არის ისლამი, კონსტიტუცია – ყურანი და ალაჰის მოციქულის სუნა". ამ დოკუმენტში არის კატეგორიული მითი-

თება ისლამის აღმსარებლობაზე და ფაქტობრივად არ დაიშვება სხვა რელიგიის გავრცელება. უფრო მეტიც, სახელმწიფომ უნდა დაიცვას ისლამი ყველა საშუალებით. მოსახლეობა იძულებულია შეასრულოს ისლამური, ფაქტობრივად ვაჰაბიტური პოსტულატები და ამას აკონტროლებს სპეციალური „საზოგადოებრივი მორალის ლიგა",[18] რომელიც მოქმედებს სამეფოს ყველა დასახლებულ პუნქტში. საკონსტიტუციო ნორმების მიხედვით, „სახელმწიფო დგას ისლამური რწმენის სადარაჯოზე", ახორციელებს მის დადგენილებებს. საუდის სამეფოში რელიგიის თავისუფლება მკაცრად არის შეზღუდული. საუდის არაბეთის მოქალაქე შეიძლება იყოს მხოლოდ მუსლიმი. იმ პირებს, რომლებიც არ არიან საუდის არაბეთის მოქალაქეები, აქვთ ქვეყანაში კანონიერად ყოფნის დამადასტურებელი პირადობის მოწმობა (იკამა), სადაც არის აღნიშნული მათი რელიგიური კუთვნილება: „მუსლიმი" ან „არამუსლიმი". ქვეყანაში არ არის სხვა რელიგიის საკულტო ტაძარი. ისლამისაგან განდგომა, თუ განდგომილმა არ მოინანია, სიკვდილით ისჯება. საუდის არაბეთში არის რელიგიური პოლიცია (მუტავვა'ინ), რომელსაც ჰყავს შეიარაღებული და შეუიარაღებელი რაზმები და ისინი აკონტროლებენ ისლამური ნორმების დაცვას ქვეყანაში. პოლიციის თავმჯდომარეს აქვს მინისტრის სტატუსი. საუდის არაბეთი არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც არსებობს სპეციალური ცენტრები (50-მდე), რომლებიც ატარებენ გარკვეულ სამუშაოს, რათა უცხოელები მოექცნენ ისლამზე. მარტო 2003 წელს 942 უცხოელმა მიიღო ისლამი. თუმცა ისლამზე ძალით მოქცევა იკრძალება.

სხვა მონარქიებში (მაროკო, იორდანია, ბაჰრაინი, კატარი, ომანი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ქუვეითი) ისლამური ფაქტორი არ ატარებს ასეთ კატეგორიულ ხასიათს. იქაც ისლამი სახელმწიფო რელიგიაა, მაგრამ ამ ქვეყნების კონსტიტუცია უშვებს რელიგიის თავისუფლებას. ქუვეითის კონსტიტუციის 35-ე მუხლი უშვებს „აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას" იმ პირობით, თუ რელიგიური ჯგუფები არ შეუქმნიან პრობლემებს არსებულ რეჟიმს. პრაქტიკულად კი, სახელმწიფოს მიერ კანონიერად აღიარებულია მხოლოდ გარკვეული რელიგიური თემები. ომანის 1996 წლის კონსტიტუციის 17-ე მუხლი „ადგენს ყველა მოქალაქის თანასწორობას კანონის წინაშე" და იკრძალება დისკრიმინაცია წარმომავლობის, ენის, კანის ფერის, რელიგიის და სოციალური სტატუსის მიხედვით. ხოლო 28-ე მუხლი ითვალისწინებს რელიგიური რწმენის თავისუფლებას – „დადგენილი ტრადიციის თანახმად იმ პირობით, რომ დაიცავენ საზოგადოებრივ წესრიგს და ქცევის აღიარებულ ნორმებს". ბაჰრაინის კონსტიტუციის 22-ე მუხლის თანახმად, „სახელმწიფო უზრუნველყოფს რელიგიური რწმენის ხელშეუხებლობას, რელიგიური გრძნობების გამომჟღავნების თავისუფლებას, კულტმსახურების აღვლენის ადგილების ხელშეუხებლობას, ასევე რელიგიური რიტუალების დაცვის თავისუფლებას, რელიგიურ შეკრებებში მონაწილეობის თავისუფლებას ქვეყანაში არსებული ტრადიციების შესაბამისად". ამავე კონსტიტუციის 18-ე მუხლი კი ამბობს: „ყველა ადამიანი თანაბრად სარგებლობს პატივისცემით და ყველა მოქალაქე თანაბარია კანონის წინაშე იმ საკითხებში, რაც ეხება ადამიანის უფლებებსა და მოვალეობებს, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე რასის, წარმოშობის, ენის, რელიგიის ან მრწამსის მიხედვით". კატარის კონსტიტუცია (მუხლი 9) აცხადებს მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპს მათი სარწმუნოების მიუხედავად. ამასთანავე სახელმწიფო მიისწრაფვის საზოგა-

[18] ის არის თანამედროვე ანალოგი ისლამური ინსპექციის (ჰისბა), რომელიც ტრადიციული სახით არსებობდა XX ს-ის დასაწყისამდე მექასა და მედინაში. მეფე იბნ საუდის 1926 წლის ბრძანებით, ეს ინსპექცია გადაიქცა „საზოგადოებრივი მორალის ლიგად". 1930 წელს არ-რიადში შეიქმნა „საზოგადოებრივი მორალის ლიგის გენერალური სამმართველო", რომელსაც ემორჩილებოდა დამსჯელი სტრუქტურები ყველა დასახლებულ პუნქტში. დღეს ამ ლიგის წესდების ძირითადი პრინციპია: „მორალის ერთადერთი წყარო – ღვთიური გამოცხადებაა".

დოებრივ პრაქტიკაში დანერგოს „ისლამური პრინციპები" (მუხლი 7). მაროკოს კონ-სტიტუციით (მუხლი 6 და 9) გარანტირებულია რელიგიის და ასოციაციების თავი-სუფლება. იორდანიის (მუხლი 14) და არაბთა გაერთიანებული საამიროების კონ-სტიტუციები (მუხლი 32) კრძალავენ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას. იორდა-ნიის მეფე ჰუსეინ II (1952-1999) თავს აცხადებდა მოციქულ მუჰამადის პირდაპირ შთამომავლად, მაგრამ ქვეყანაში არის გარკვეული შეზღუდვები ქრისტიანების მი-მართ.

რაც შეეხება არაბულ რესპუბლიკებს, ყველა ქვეყნის კონსტიტუციით, ისლამი არის სახელმწიფო რელიგია. გამონაკლისს წარმოადგენს ლიბანი, სადაც დღეისათ-ვის არის 17 სხვადასხვა რელიგიური თემი, ხოლო ძირითად რელიგიებად ითვლება ისლამი და ქრისტიანობა. ძალიან ფრთხილი ფორმულირებაა მოცემული სუდანის 1998 წლის კონსტიტუციაში, რომლის თანახმადაც, „სუდანის სახელმწიფო არის რა-სობრივი და კულტურული ჰარმონიისა და რელიგიური შემწყნარებლობის ქვეყანა. ისლამი არის მოსახლეობის უმრავლესობის რელიგია, ხოლო ქრისტიანობას და ტრადიციულ რელიგიებს აქვთ დიდი გავრცელება" (მუხლი 1).

მრავალი არაბული ქვეყნის კონსტიტუცია რელიგიურ პრინციპს უკავშირებს პიროვნების სამართლებრივ სტატუსს. მაგ., თუნისის 1991 წლის კონსტიტუციით, სახელმწიფო უზრუნველყოფს მოქალაქეებს „სინდისის თავისუფლებით და რელი-გიური წესების შესრულებით იმ პირობით, თუ არ დაარღვევენ საზოგადოებრივ წეს-რიგს". ასეთივე მუხლები არის სირიის (მუხლი 35), ეგვიპტის (მუხლი 46), ლიბიის (მუხლი 2) და სხვა ქვეყნების კონსტიტუციაში. სუდანის კონსტიტუციის 24-ე მუხ-ლის თანახმად: „ყველას აქვს უფლება სინდისის თავისუფლებაზე და უფლება დე-მონსტრირება მოახდინოს ან გაავრცელოს თავისი რელიგია ან რწმენა სწავლების პროცესში, ღვთისმსახურებისას ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. არ შეიძლება ვინმე იყოს იძულებული შეასრულოს რიტუალები, რომლებსაც ის ნებაყოფლობით არ იღებს. ეს უფლება უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს საზო-გადოებრივ წესრიგს, ან სხვათა გრძნობებს და კანონთან თანხმობაში იყოს". ზოგი-ერთ არაბულ ქვეყანაში კონსტიტუციური ნორმები, მათ შორის რელიგიურ აღმსა-რებლობასთან მიმართებაში, ივსება სისხლის სამართლის კოდექსით და სხვა კანო-ნებით. სირიის სისხლის სამართლის 307-ე მუხლის თანახმად, ნებისმიერი მოქმედე-ბა, წერილობითი ან ზეპირი განცხადება, რომელიც მიზნად ისახავს ან თავისი შე-დეგებით გამოიწვევს რელიგიურ ან რასობრივ შუღლს, ან დაპირისპირებას საზოგა-დოების სხვადასხვა თემებს და ფენებს შორის, კვალიფიცირდება როგორც დანაშა-ული და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 6 თვიდან ორ წლამდე, აგ-რეთვე ჯარიმას 200 ფუნტამდე და ასეთი დანაშაულის ჩამდენ პირს არა აქვს უფლე-ბა დაიკავოს სახელმწიფო თანამდებობა ან იყოს არჩეული.

ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში (ლიბია, ეგვიპტე, იემენი და სხვ.) მოქმედებს ის-ლამური კანონმდებლობის სამართლებრივი ნორმები, სამართლის ძირითად წყა-როდ კი ითვლება ყურანი. მრავალი კონსტიტუცია პირდაპირ მიუთითებს, რომ ქვეყნის კანონმდებლობა უნდა დაეფუძნოს ისლამის პრინციპებს. „ისლამი არის სა-ხელმწიფო რელიგია, ხოლო ისლამური სამართლებრივი სისტემა წარმოადგენს კა-ნონმდებლობის ძირითად წყაროს" – ნათქვამია იემენის 1991 წლის კონსტიტუციაში (მუხლი 2). სუდანის კონსტიტუციის 55-ე მუხლი ადგენს კანონმდებლობის შემდეგ წყაროებს: „ისლამური სამართალი და ერის მიერ რეფერენდუმზე გამოხატული კონსენსუსი, კონსტიტუცია და ტრადიცია". ეგვიპტის კონსტიტუციის მე-2 მუხლი სამართლის ძირითად წყაროდ აცხადებს შარიათის პრინციპებს. შარიათის დაცვა მუსლიმი მოქალაქეების არა მხოლოდ რელიგიური, არამედ სამართლებრივი ვალ-დებულებაა. განსაზღვრული სახელმწიფო სტრუქტურები (მაგ., საკონსულტაციო საბჭო) აგებულია ისლამური ტრადიციების გათვალისწინებით. 1980 წლის კანონით,

ეგვიპტეში სახელმწიფო თანამდებობის დაკავება ეკრძალებათ იმ პირებს, რომლებიც უარყოფენ „ღვთიურ კანონებს". ლიბიაში ისლამი გამოცხადებულია სახელმწიფო რელიგიად, ხოლო კანონმდებლობის ძირითად წყაროდ – შარიათი. 1977 წელს მიღებულ „დეკლარაციაში ხალხის ხელისუფლების დამყარების შესახებ" გამოცხადებულია, რომ „წმინდა ყურანი არის ლიბიის სოციალისტური-სახალხო არაბული ჯამაჰირიის კონსტიტუცია". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური ფაქტორი ტრადიციულად ყოველთვის ასრულებდა მნიშვნელოვან როლს ლიბიის სახელმწიფოში. ლიბიის მონარქი იყო სენუსიტების ორდენის თავმჯდომარე (ლიბიის მუსლიმების 30% იყო სენუსიტების ორდენის მოძღვრების მიმდევარი). მონარქიის პერიოდში მრავალმა 'ალიმმა მიიღო მნიშვნელოვანი პოსტი პროვინციულ მმართველობაში და სასამართლო ორგანოებში. 1969 წელს ხელისუფლების სათავეში მოვიდა რევოლუციური საბჭო, მუამარ კადაფის ხელმძღვანელობით და სახელმწიფო ორგანოების სისტემის ფორმირებისას განსაკუთრებული აქცენტი გადაიტანა მათ ისლამურ ხასიათზე. მუამარ კადაფის მწვანე წიგნში ნათქვამია: „რელიგია, ტრადიციების ჩათვლით, არის ბუნებრივი კანონის დადასტურება. კანონები, რომლებიც არ ემყარება რელიგიას და ტრადიციებს, სპეციალურად არის შექმნილი ადამიანის მიერ ადამიანის წინააღმდეგ და ამიტომ არ არის სამართლიანი, რადგანაც ისინი არ ეფუძნება ბუნებრივ წყაროს – ტრადიციებს და რელიგიას".

1991 წლის მავრითანიის კონსტიტუცია აცხადებს ისლამს „ხალხისა და სახელმწიფოს რელიგიად" (მუხლი 5). ალჟირის 1996 წლის კონსტიტუციის პრეამბულაში ხაზგასმულია ისლამის ისტორიული ფასეულობების განუყოფელი კავშირი ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასთან. ალჟირი გამოცხადებულია „ისლამის მიწად", ხოლო კონსტიტუციის მე-9 მუხლი პირდაპირ კრძალავს სახელმწიფო დაწესებულებებში პრაქტიკას, რომელიც „ეწინააღმდეგება ისლამურ მორალს". რაც შეეხება სუდანს, კონსტიტუციის 18-ე მუხლი განამტკიცებს რელიგიის პრინციპებს, უწესებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებში მომუშავე მუსლიმებს პატივი სცენ და დაიცვან „ყურანის პრინციპები, ხოლო დანარჩენმა ადამიანებმა უნდა დაიცვან რელიგიური პრინციპები და ასახონ ისინი თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში, თავიანთი ვალდებულებების შესრულებისას ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში, ქვეყნის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, სოციალური სამართლიანობის პრინციპების მისაღწევად ღვთის სამეფოში".

შარიათის სასამართლოები მოქმედებს სპარსეთის ყურის ყველა მონარქიაში, მაგრამ ძირითადად კერძო და საოჯახო სამართლის სფეროში. შარიათის მოქმედება განსაკუთრებულია მხოლოდ საუდის არაბეთში. კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად, „სასამართლოები ვალდებული არიან საქმეების განხილვისას გამოიყენონ ისლამური სამართლის ნორმები ყურანსა და შარიათთან შესაბამისობის საფუძველზე, ასევე კანონები, რომლებიც გამოცემულია მმართველის მიერ ყურანსა და სუნაზე დაყრდნობით". ეს კონსტიტუციური ნორმა გამორიცხავს სამართლის სხვა წყაროების გამოყენებას. ხელისუფლება ნებას რთავს ქვეყანაში მცხოვრებ შიიტებს გამოიყენონ თავიანთი კანონმდებლობა თემის შიგნით, მაგრამ მხოლოდ არასისხლის სამართლის საქმეების განხილვის დროს. ქუვეითის (მუხლი 2), კატარის (მუხლი 1), ბაჰრაინის (მუხლი 2), არაბთა გაერთიანებული საამიროების (მუხლი 7), ომანის (მუხლი 2) კონსტიტუციების თანახმად, შარიათი არის კანონმდებლობის „მთავარი", „ფუნდამენტური" წყარო, რაც უშვებს სხვა წყაროების არსებობის შესაძლებლობას. ბაჰრაინში სასამართლოები ორ კატეგორიად იყოფა: სამოქალაქო, რომელიც კომპეტენტურია სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვის დროს და შარიათის სასამართლოები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას პირადი სტატუსის საკითხზე. შარიათის სასამართლოები, რომლებსაც გააჩნიათ სუნიტური და ჯა-

ფარიტული დანაყოფები, კომპეტენტურია იმ საკითხებში, რაც ეხება ქორწინებას და გაყრას, მემკვიდრეობას, მეურვეობას ბავშვებზე. სასამართლოები იღებენ გადაწყვეტილებას პირად სტატუსზე იმის მიხედვით, თუ ისლამური სამართლის რომელ სკოლას ეკუთვნის მოსარჩლე, რაც ეთანხმება კონსტიტუციით განმტკიცებულ რელიგიის თავისუფლების პრინციპს. სასამართლო სისტემა არ ითვალისწინებს არანაირ განსხვავებას ბაჰრაინელებსა და სხვა ეროვნების წამომადგენლებს შორის, როცა საქმე ეხება საპროცედურო საკითხებს. მუსლიმებს შორის დავა წყდება შარიათის სასამართლოებით, ხოლო სხვა რელიგიის წარმომადგენლებს შორის სამოქალაქო სასამართლოებით. ანალოგიური დუალისტური სისტემა ჩამოყალიბდა კატარში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, მაროკოსა და ომანში. 1993 წელს არაბთა გაერთიანებული საამიროების უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ შარიათით გათვალისწინებული სასჯელი არ გამოიყენონ არამუსლიმების მიმართ. საამიროებში არამუსლიმ პატიმარს, რომელიც მიიღებს ისლამს, სასჯელი უმცირდება. ეს წესი ვრცელდება მუსლიმ პატიმარზეც, რომელიც მთელ ყურანს ან მის ნაწილს ზეპირად დაიმახსოვრებს. რელიგიური და ეროვნული დღესასწაულების დროს საამიროების სახელმწიფო ხელისუფლების დადგენილებით ცხადდება ამნისტიები პატიმართათვის მათი რელიგიური შეხედულებებისა და მრწამსის მიუხედავად. 2001 წელს ქუვეითში დაფუძნდა შიიტური სააპელაციო სასამართლო, რომელიც იხილავს საოჯახო სამართლის საქმეებს. იორდანიაში არამუსლიმებისათვის არის ცალკე სასამართლოები, მაგრამ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხები წყდება მხოლოდ ისლამური სამართლის მიხედვით. არაბული რესპუბლიკების კონსტიტუციები ხაზგასმით აცხადებს ყველა მოქალაქის თავისუფლებას, რათა მან მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ ცხოვრებაში. არ შეიძლება დისკრიმინაცია სქესის, კანის ფერის, ეთნიკური წარმოშობის, ენის, სოციალური მდგომარეობის ან რელიგიის გამო. თუმცა განქორწინების დროს გამოიყენება მხოლოდ მუსლიმური კანონმდებლობა. რაც შეეხება არაბულ რესპუბლიკებს, არის შარიათის სასამართლოებიც და სხვა რელიგიური თემების სასამართლოებიც. მაგ., სირიაში ცალკეა დრუზების სასამართლო და ცალკე – სპეციალური სასამართლო არამუსლიმური თემების (კათოლიკები, პროტესტანტები, მართლმადიდებლები და იუდაიზმის მიმდევრები) წარმომადგენელთათვის. ეს სასამართლოები იყენებენ იმ სასამართლო ნორმებს, რომლებიც აღიარებულია შესაბამის რელიგიურ თემში.

არაბულ ქვეყნებში ისლამი არის აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის სისტემის საფუძველი. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება პრეზიდენტის ინსტიტუტს. სახელმწიფოს მეთაურის, ანუ პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად ძირითადი პირობა ისლამის აღმსარებლობაა, ხოლო პრეზიდენტის თანამდებობაზე – ოფიციალური ფიცის დადება „ალაჰის სახელით". შარიათის ეს მოთხოვნა განმტკიცებულია ყველა სახელმწიფოს კონსტიტუციაში (ლიბანის გარდა). მუსლიმური რწმენისადმი კუთვნილება სახელმწიფოს თავმჯდომარისათვის აუცილებელია იმიტომ, რომ ის იღებს საბოლოო გადაწყვეტილებებს ქვეყანაში. ამდენად ეს გადაწყვეტილებები უნდა შეესაბამებოდეს ისლამის დოგმებს. მუსლიმი იურისტების აზრით, ამ მოთხოვნას ვერ შეასრულებს სხვა სარწმუნოების აღმსარებელი, რომელსაც შესაბამისი შინაგანი რწმენა არ გააჩნია. გამონაკლისს წარმოადგენს ლიბანის კონსტიტუცია, სადაც სახელმწიფო მმართველობის სისტემის საფუძველი არის კონფესიური სისტემა. ლიბანში ყველაზე დიდი თემი არის მარონიტების (არაბი-კათოლიკეები), არიან აგრეთვე მართლმადიდებლები, სუნიტები, შიიტები, დრუზები და ბერძენი-კათოლიკეები. არაბულ ქვეყნებში იყო ხელისუფლების ორგანოების ორგანიზაციის რამდენიმე მაგალითი კონფესიურ საფუძველზე. სირიასა და ერაყში 50-იან წლებამდე დეპუტატთა პალატაში აირჩეოდა განსაზღვრული რაოდენობა სხვადასხვა რელიგი-

ური თემების წარმომადგენელთაგან. ერაყში 6 ადგილი განკუთვნილი იყო ქრისტიანებისათვის. სირიაში, 1949 წლის საარჩევნო კანონით, დეპუტატთა პალატაში აირჩეოდა 86 მუსლიმი, 15 ქრისტიანი, 1 იუდეველი და 6 ბედუინთა ტომების წარმომადგენელი. ამჟამად კონფესიური სისტემის კლასიკური ფორმა არსებობს მხოლოდ ლიბანში. ქვეყნის სახელმწიფო სისტემის მოწყობის პრინციპები ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ფრანგული მანდატის პერიოდში. 1932 წელს ლიბანში ჩატარდა მოსახლეობის აღწერა, რომლის შედეგების მიხედვით მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ ქრისტიანები – დაახლ. 52%, ხოლო მუსლიმები – 48%-ს. რადგანაც ქრისტიანები ჭარბობდნენ, საფრანგეთსა და ლიბანის ქრისტიანებს შორის ჩამოყალიბდა ისტორიულად უფრო მჭიდრო ურთიერთობა. საფრანგეთს სურდა შეექმნა პრივილეგია მოსახლეობის სწორედ ამ ნაწილისათვის, რათა შემდგომში მათზე დაყრდნობით გავლენა ჰქონოდა ლიბანის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. ლიბანის ქრისტიანები, თავის მხრივ, მხარს უჭერდნენ კონფესიურ პრინციპს, რადგანაც ეშინოდათ მეზობელი სირიის, იორდანიის და ამ რაიონის სხვა მუსლიმური სახელმწიფოების გავლენის. კონფესიური პრინციპი განმტკიცებულია ლიბანის 1926 წლის კონსტიტუციაში (95-ე მუხლი) და 1943 წლის ეროვნულ პაქტში (ზეპირი „ჯენტლმენური" შეთანხმება პესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს, ქრისტიან-მარონიტ – ბიშარ ალ-ჰურის და მის პირველ პრემიერ-მინისტრს, მუსლიმ სუნიტ – რიად სულჰის შორის). ლიბანთან მიმართებაში სპეციალური ტერმინიც კი გაჩნდა „კონფესიური პარლამენტარიზმი".

პრეზიდენტის გარდა, სხვა უმაღლესი სახელმწიფო პოსტების დასაკავებლად აუცილებელი არ არის რელიგიური ცენზი. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ სახალიფოს პერიოდში ვეზირების და პროვინციათა მმართველების პოსტები ეკავათ არამუსლიმებსაც. თანამედროვე კანონმდებლობა ზოგ შემთხვევაში სცილდება ამ პრაქტიკას. მრავალ არაბულ ქვეყანაში მთავრობის წევრებისათვისაც აუცილებელია პრეზიდენტის ანალოგიური ფიცის დადება თანამდებობის დაკავებისას, მაგრამ ამ ფიცს დებენ უკვე სახელმწიფოს მეთაურის წინაშე. საუდის არაბეთის მინისტრთა საბჭოს კაბინეტის წევრი ვერ შეძლებს თანამდებობის დაკავებას, თუ არ წარმოთქვა შემდეგი ფიცი: „ვფიცავ ყოვლისშემძლე ალაჰს, რომ ვიქნები ერთგული ჩემი რწმენის (რელიგიის), ჩემი მეფისა და ჩემი ქვეყნის; არ გავამხელ სახელმწიფო საიდუმლოებას, დავიცავ სახელმწიფოს ინტერესებს და მის პრინციპებს და შევასრულებ ჩემს ვალდებულებებს პატიოსნად და ლოიალურად". ქუვეითის ამირა ტახტის დაკავებისას წარმოთქვამს ფიცს, რომელიც დაფიქსირებულია კონსტიტუციაში: „ვფიცავ ყოვლისშემძლე ალაჰს, რომ პატივს ვცემ კონსტიტუციას და ქვეყნის კანონებს, ვიზრუნებ ხალხის თავისუფლების, მათი ინტერესებისა და ქონებრივი უფლებების დაცვაზე, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობაზე". ფიცის წარმოთქმა აუცილებელია ქუვეითის საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატებისათვისაც: „ვფიცავ ყოვლისშემძლე ალლაჰს, რომ ვიქნები სამშობლოსა და ამირას ერთგული, პატივს ვცემ კონსტიტუციას და სახელმწიფოს კანონებს, ვიზრუნებ ხალხის თავისუფლების, მისი ინტერესებისა და ქონებრივი უფლებების დაცვაზე, აგრეთვე პირნათლად შევასრულებ ჩემს მოვალეობებს". სირიის კონსტიტუციის თანახმად, ასეთ ფიცს დებენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მინისტრები და მათი მოადგილეები, ხოლო ეგვიპტეში – ეროვნული კრების დეპუტატებიც თავისი მოვალეობის შესრულების დაწყებამდე.

ისლამის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება განაპირობებს სპეციალური ორგანოების ჩამოყალიბებას რელიგიური საქმეების მართვისათვის. გამოიყოფა ასეთი ინსტიტუტების ორი რიგი: პირველი წარმოდგენილია სახელმწიფო მმართველობის ორგანოებით – ვაკუფთა და რელიგიურ საქმეთა სამინისტროები, რომელთა ორგანიზაციული სტრუქტურა რეგულირდება სპეციალური აქტებით; მეორე

ჯგუფს შეადგენენ ისეთი ორგანოები, რომლებიც ასრულებენ მუსლიმური სამღვდელოების ტრადიციულ ფუნქციებს. მაგ., უმაღლესი ისლამური საბჭო (ალჟირში, ეგვიპტეში, მავრითანიაში, 2004 წლიდან ჯიბუთიში) ჩამოყალიბებულია ჩვეულებრივ სახელმწიფოს მეთაურთან როგორც საკონსულტაციო-სათათბირო ორგანო, რომლის კომპეტენციაშიც შედის თავისი აზრის გამოხატვა იმ საკითხებზე, რომლებიც გადაეცემა განსახილველად პრეზიდენტის მიერ. სათათბირო ორგანო ვალდებულია განიხილოს ეს საკითხები რელიგიური მითითებების შესაბამისად. ყველა არაბულ მონარქიაში ჩამოყალიბებულია ასეთი ორგანო, რომელიც არსებობს იუსტიციის სამინისტროსთან. სპარსეთის ყურის ყველა მონარქიაში ჩამოყალიბდა ისეთი სისტემები, რომლებიც ნებას რთავს სახელმწიფოს მეთაურს განახორციელოს კონტროლი რელიგიურ ინსტიტუტებზე და შეზღუდოს მათი მისწრაფება ჩაერიონ პოლიტიკაში. მაგ., ომანში მთავარი მუფთი ინიშნება სახელმწიფოს მეთაურის მიერ, რაც იმას ნიშნავს, რომ სულტანი აკონტროლებს მის საქმიანობას. ამის პარალელურად, სახელმწიფოს მოთხოვნით, ყველა იმამმა ხუტბა (ქადაგება) უნდა წარმოთქვას სტანდარტული ტექსტის შესაბამისად, რომელსაც ყოველთვიურად ამუშავებს ვაკუფთა და ისლამურ საქმეთა სამინისტრო. მეჩეთებში არის მონიტორინგის სამსახური, რათა იმამებმა არ განიხილონ პოლიტიკური საკითხები. ისლამურ საქმეთა სამინისტრომ გახსნა ვებგვერდი, სადაც დიდი მუფთი პასუხობს კულტის მსახურთა შეკითხვებს. ბაჰრაინში სახელმწიფო ფონდები, მონიტორინგის სამსახურები აკონტროლებენ ყველა რელიგიურ ინსტიტუტს, სუნიტურ და შიიტურ მეჩეთებს, შიიტურ მა'თამებს (რელიგიური თემების ცენტრი), შიიტურ და სუნიტურ ვაკფებს,[19] რელიგიურ სასამართლოებს. საუდის არაბეთში ისლამურ საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელობს და აფინანსებს მეჩეთების მშენებლობას, თუმცა მეჩეთების 30% შენდება კერძო პირების მიერ. უცხოელ იმამებს ეკრძალებათ საპარასკევო ლოცვის წარმართვა. სამინისტრო უხდის ხელფასს იმამებს და სხვა კულტის მსახურებს მეჩეთში და განსაზღვრავს იმამების კვალიფიკაციას. საუდის არაბეთის მეჩეთებში იმამ-ხატიბები ხშირად გამოდიან ანტისემიტური და ანტიქრისტიანული ქადაგებებით. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 2006 წლის იანვარში მოციქულ მუჰამადზე კარიკატურების პუბლიკაციების სკანდალის (თავდაპირველად დანიასა და ნორვეგიაში, ხოლო შემდეგ ზოგიერთ სხვა ევროპულ ქვეყანაში) და სექტემბერში რაგენსბურგის უნივერსიტეტში პაპის – ბენედიქტ XVI-ის გამოსვლის შემდეგ.[20] თუნისში პრეზიდენტი ნიშნავს დიდ მუფთის. 1988 წლის კანონით მეჩეთებზე, თუნისში მხოლოდ სახელმწიფოს დანიშნულ იმამებს შეუძლიათ მეჩეთებში ღვთისმსახურების შესრულება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საკითხი, თუ რამდენად პროპორციულად არიან წარმოდგენილი სხვადასხვა კონფესიის ადამიანები სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოში. საუდის არაბეთში მთელი ხელისუფლება ეკუთვნის მო-

---

[19] ვაკფი [*ვაკფ*, მრ. რ. *აუკაფ, ვუკუფ*] – მიწა და სხვა ქონება მუსლიმურ სახელმწიფოში, რომელთაც მფლობელი წირავდა მუსლიმურ და საქველმოქმედო დაწესებულებებს (მეჩეთებს, მედრესეებს, ქსენონებს, ღარიბთა თავშესაფრებსა და სხვ.). ისლამური სამართლის მიხედვით ვაკფი არის ორი სახის: 1. როცა შემწირველი მთლიანად კარგავდა უფლებას შეწირულ ქონებაზე; 2. როცა შემოსავლის ნაწილი რჩებოდა შემწირველისა და მისი შთამომავლების სამემკვიდრეო სარგებლობისათვის. ამჟამად მუსლიმურ ქვეყნებში არსებობს სპეციალური სამინისტროები, რომლებიც განაგებენ ვაკფს.

[20] პაპმა წაიკითხა ლექცია თემაზე: „ისლამი, მოციქულ მუჰამადის პიროვნება და ღვთიური ატრიბუტები, როგორც ისინი წარმოდგენილია ყურანში". მუსლიმები განსაკუთრებით აღაშფოთა ფრაზამ: „ისლამი გავრცელდა მახვილით". საუდის არაბეთის პოზიცია ოფიციალურად დაფიქსირდა სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრის – პრინც საუდ ალ-ფაისალის წერილში თავისი ვატიკანელი კოლეგისადმი (2006 წლის 16 სექტემბერს).

ნარქს. ტახტის მემკვიდრე ინიშნება მეფის სიცოცხლეში უმაღლესი რელიგიური ავტორიტეტების თანხმობით. საკონსულტაციო საბჭოში (შურა), რომელსაც თავმჯდომარეობს პრეზიდენტი, არის 150 წევრი. მხოლოდ 1996 წელს ამ საბჭოში შეიყვანეს ერთი შიიტი (დოქტორი ჯამილ ალ-ჯიში), ხოლო 2001 წლის ზაფხულში – სამი, რამაც მუსლიმი რადიკალების პროტესტი გამოიწვია. ამჟამად არის 4 შიიტი საბჭოს შემადგენლობაში. შიიტებს არ შეუძლიათ აგრეთვე ეროვნული გვარდიის ელიტარულ ქვედანაყოფში და უშიშროების ორგანოებში სამსახური. საუდის არაბეთის 59 გუბერნატორიდან მხოლოდ სამია შიიტი.

ბაჰრაინში სუნიტებს აქვთ უპირატესი მდგომარეობა, მიუხედავად იმისა, რომ შიიტები შეადგენენ მოსახლეობის 2/3-ს. მეფე და ალ-ხალიფას მმართველი ოჯახი ეკუთვნის ისლამის სუნიტურ მიმართულებას. შესაბამისად, სახელმწიფო თანამდებობებზე ძირითადად ინიშნებიან სუნიტები, შიიტებს არ უკავიათ რაიმე თანამდებობა თავდაცვის სფეროში. საკონსულტაციო საბჭოში (40 წევრი) არის 1 ქრისტიანი და 1 იუდეველი. 2005 წელს ბაჰრაინის სამეფოში მომხდარ პოლიტიკურ სკანდალს ადგილობრივმა მიმომხილველებმა უწოდეს „ბანდარგაიტი". მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბაჰრაინის მინისტრთა საბჭოს და სტატისტიკური სამთავრობო სააგენტოს თანამშრომელმა, სალაჰ ალ-ბანდარმა დაადანაშაულა ხელისუფლება შიიტების საკონსტიტუციო უფლებების დარღვევაში. სალაჰ ალ-ბანდარი წარმოშობით სუდანელი, ბრიტანეთის მოქალაქე და რელიგიური აღმსარებლობით – მუსლიმი-სუნიტია. მან აღმოაჩინა დოკუმენტების სერია, რომლებიც ადასტურებს მთავრობის ბრალეულობას. ამ დოკუმენტებს შორის არის საბანკო ანგარიშები, რომლებზეც ირიცხებოდა მნიშვნელოვანი თანხები სამთავრობო წყაროებიდან ანტიშიიტურად განწყობილი პოლიტიკოსებისათვის. მთავრობის ასეთი ქმედებების მიზანი იყო შიიტი ოფიციალური პირების დისკრედიტაცია, რათა დაეთხოვათ ისინი სახელმწიფო დაწესებულებებიდან.

იორდანიის პარლამენტის ქვედა პალატაში 110 ადგილიდან 9 ქრისტიანებს უკავიათ, მაგრამ დრუზებს (მათ საერთოდ არ აღიარებენ მუსლიმებად) და სხვა რელიგიურ თემებს არც ერთი ადგილი არა აქვთ. 2006 წელს ქუვეითის ეროვნულ ასამბლეაში 50-დან მხოლოდ 4 შიიტი აირჩიეს (წინა მოწვევის პარლამენტში 5 იყო). მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში, ინფორმაციის მინისტრის გარდა, არც ერთი შიიტი არ ყოფილა. 2007 წლის მარტში ჩამოყალიბებულ მინისტრთა კაბინეტში დატოვეს 1 შიიტი ძველი კაბინეტიდან და დამატებით ერთი ახალი წევრი შეიყვანეს შიიტური თემიდან. შიიტები არ არიან სახელმწიფო თავდაცვის არმიაშიც. იორდანიაში გარკვეული თანამდებობები სამხედრო სტრუქტურებში გათვალისწინებულია ქრისტიანებისათვის (4%), მაგრამ ყველა ხელმძღვანელი თანამდებობა უკავიათ მუსლიმებს. დივიზიების და უფრო ზემოთ მეთაურები ხელმძღვანელობენ ლოცვას ცალკეულ შემთხვევებში. 2006 წლის 26 დეკემბერს მეფე აბდულლაჰ II პირველად შეხვდა ევანგელიკური ეკლესიის წარმომადგენლებს, რაც ჩაითვალა რელიგიათშორისი დიალოგის დაწყების წინაპირობად. ბოლო პერიოდში ადგილობრივ გაზეთებში ბევრი კრიტიკული წერილი იბეჭდება ევანგელიკურ ეკლესიაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა არაბულ ქვეყანაში იკრძალება პროზელიტიზმი (მისწრაფება თავის სარწმუნოებაზე სხვების მოქცევისაკენ) არამუსლიმთა მიერ (მაგ., სირიაში კანონით არ იკრძალება პროზელიტიზმი). 2008 წლის თებერვალში ალჟირში მიიღეს კანონი, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულად აცხადებს (ქრისტიანულ) პროზელიტიზმს. 2008 წლის 3 ივლისს 2 ალჟირელს, რომელთაც მიიღეს პროტესტანტობა, მიესაჯათ პირობითი სასჯელი – 6 თვით პატიმრობა.

საუდის არაბეთში იკრძალება არამუსლიმთა ყოველგვარი რელიგიური აქტივობა და არამუსლიმური სიმბოლოებისა და ლიტერატურის შეტანა ქვეყანაში. ასეთ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს დაპატიმრებას, ან გაშოლტვას ან დეპორტა-

ციას. მაროკოში დაშვებულია ბიბლიის გაყიდვა ფრანგულ, ინგლისურ და ესპანურ ენაზე, მაგრამ იზღუდება ლიცენზიის გაცემა არაბულენოვანი ბიბლიის დაბეჭდვაზე და გავრცელებაზე (კანონი აკრძალვის შესახებ არ არსებობს). ადგილობრივ წიგნის მაღაზიებში იყიდება არაბულენოვანი ბიბლიაც. ამის პარალელურად მაროკოში დაფიქსირებულია რამდენიმე შემთხვევა, როდესაც დააპატიმრეს ქრისტიანები რელიგიური ლიტერატურის ფოსტით მიღების გამო. კატარში ფორმალურად სახელმწიფო კრძალავს არამუსლიმური რელიგიური ლიტერატურის გავრცელებას, მაგრამ ინდივიდუალურად, პირადი მოხმარებისათვის მისი შემოტანა არ იკრძალება. ომანში იკრძალება არამუსლიმური ლიტერატურის ბეჭდვა, მაგრამ არამუსლიმურ რელიგიურ თემებს შეუძლიათ შემოიტანონ საზღვარგარეთ დაბეჭდილი რელიგიური ლიტერატურა. ომანი არის აგრეთვე პირველი ქვეყანა სპარსეთის ყურეში, სადაც 1998 წელს დაფუძნდა ბიბლიის საზოგადოება. ბაჰრაინში არ იკრძალება არაისლამური ლიტერატურა. ბიბლია და სხვა ქრისტიანული ლიტერატურა იყიდება ისლამურ ლიტერატურასთან ერთად. ქუვეითის მთავრობა კრძალავს სახელმწიფო არამუსლიმურ საგამომცემლო კომპანიებს, მაგრამ კერძო კომპანიებს ნება ეძლევათ გამოუშვან არამუსლიმური ლიტერატურა მხოლოდ იმ რელიგიური თემებისათვის, რომლებიც კანონიერად არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ. 2003 წელს საამიროების მთავრობამ დახურა რელიგიური ცენტრი, რომელიც ბეჭდავდა და ავრცელებდა ანტისემიტურ ლიტერატურას. საამიროების ინტერნეტ-სერვისის პროვაიდერმა 2005 წელს დახურა ვებგვერდები, რომლებიც შეიცავდა რელიგიურ ინფორმაციას (იუდაიზმზე, ბაჰაიზმზე და სხვ.). თუმცა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში – ალ-აინში გაიხსნა საერთაშორისო ბიბლიური საზოგადოების წარმომადგენლობა, რომელიც ავრცელებს ბიბლიას და სხვა რელიგიურ ლიტერატურას ქრისტიანებისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით. კატარში ქრისტიანული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე იყიდება ადგილობრივ მაღაზიებში და ნებადართულია მისი დაბეჭდვა და გავრცელება. მავრითანიაში იზღუდება ბიბლიის ან სხვა არამუსლიმური ლიტერატურის ბეჭდვა და გავრცელება, მაგრამ დასაშვებია პირად საკუთრებაში მათი ქონა. ეგვიპტის ალ-აზჰარის ისლამური კვლევების ცენტრს აქვს კანონიერი უფლება ცენზურა გაუწიოს პუბლიკაციებს, რომლებიც ეხება ყურანს და ჰადისებს, ასევე არამუსლიმურ ლიტერატურასაც. 2004 წლის ივნისის ბრძანებით ამ ცენტრს უფლება აქვს რეკომენდაცია გასცეს იმ ლიტერატურის კონფისკაციაზე, რომელთა შინაარსი ეწინააღმდეგება ისლამის რელიგიის ძირითად პრინციპებს. კონფისკაცია ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს ნებართვით.

არაბულ მონარქიებში სახელმწიფო ცდილობს ისლამური მორალის, კულტურის და ეთიკის განმტკიცებას მოსახლეობის თვითშეგნებაში. ასეთი აუცილებლობა გათვალისწინებულია კონსტიტუციით. საუდის არაბეთის კონსტიტუციის მე-9 მუხლის თანახმად: „საუდის არაბეთის საზოგადოების ძირითადი საფუძველი არის ოჯახი. მისი წევრები უნდა აღიზარდონ ისლამური რწმენის საფუძველზე, უპირველეს ყოვლისა, უზენაესი ალაჰისა და მისი მოციქულისადმი ერთგულებით და მორჩილებით". ეს მუხლი არის უალტერნატივო ნორმა, რომელიც ავალდებულებს ოჯახს თავისი ცხოვრება წარმართოს მხოლოდ ისლამური რწმენის საფუძველზე. ასეთივე იმპერატიულ ხასიათს ატარებს მე-13 მუხლი, რომელიც ეხება განათლების საკითხებს სამეფოში: „განათლების მიზანია აღიზარდოს მომავალი თაობა ისლამური რწმენის პრინციპებით". მუსლიმური რელიგიური განათლება სავალდებულოა საუდის არაბეთის სახელმწიფო სკოლებში. კერძო სკოლებში არამუსლიმ მოსწავლეებს არ მოეთხოვებათ ისლამის ისტორიის სწავლა. რელიგიის თავისუფლების სფეროში ამერიკის საერთაშორისო კომისიის 2007 წლის დასკვნაში აღნიშნულია, რომ საუდის არაბეთში სკოლის სახელმძღვანელოები არატოლერანტულად განმარტავენ იუდეველთა, ქრისტიანთა და მუსლიმ-შიიტთა დოქტრინებს. საუდის არა-

ბეთში, როგორც ისლამის სამშობლოში, არის რამდენიმე ისლამური უნივერსიტეტი. სხვა არაბული ქვეყნების ანალოგიური ტიპის უნივერსიტეტებისაგან განსხვავებით, აქ ისწავლება მხოლოდ მუსლიმური თეოლოგია (ისლამური სამართალი, ყურანი და არაბული ენა). საუდის არაბეთის ალ-აჰსას უნივერსიტეტში, რეგიონში სადაც 50% შიიტები ცხოვრობენ, პროფესორთა შორის შიიტი არის მხოლოდ 2%. შიიტ მასწავლებლებს უფლება არა აქვთ ასწავლონ რელიგიის ისტორია სკოლებში, განსაკუთრებით შიიტებით დასახლებულ რაიონებში, რათა უპირატესობა არ მიანიჭონ შიიზმს. სახელმწიფო ოფიციალურად არ ცნობს შიიტურ ჰავზათს (შიიტური სწავლების ცენტრებს), არ აძლევს მათ სერტიფიკატს.

სწავლების ისლამური ხასიათი შენარჩუნებულია, როგორც ნორმა ბაჰრაინისა და კატარის კონსტიტუციებში. კატარის კონსტიტუციის მე-8 მუხლის თანახმად, „აღზრდა უნდა მოხდეს არაბულ-მუსლიმური მემკვიდრეობის გათვალისწინებით". კატარში ისლამურ საქმეთა მინისტრი აკონტროლებს ისლამურ განათლებას მოზარდებისა და ისლამზე ახლადმოქცეულთათვის. ბაჰრაინის კონსტიტუციის მე-7 მუხლი ითვალისწინებს „ისლამურ აღზრდას" განათლების ყველა ეტაპზე. ბაჰრაინში მხოლოდ 2002 წლის ოქტომბერში, პირველად მიეცა ლიცენზია სკოლას, სადაც არის შიიტური კურიკულუმი. ქუვეითის, ომანის, იორდანიის, მაროკოს და საამიროების კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი სწავლების რელიგიურ ხასიათზე, მაგრამ რელიგიური მითითებების დაცვა აუცილებელია ყველა მუსლიმისათვის საჯარო სკოლებში. ამ ქვეყნებში აღზრდისა და განათლების ისლამური ხასიათი რეალიზდება სამთავრობო სტრუქტურების – განათლების სამინისტროს მეშვეობით. ომანში მოქალაქეთა შვილები აუცილებლად უნდა სწავლობდნენ ისლამურ სკოლებში. სავალდებულო კურიკულუმია: ყურანი, ჰადისები, მოციქულისა და მისი მიმდევრების ცხოვრება, ისლამის 5 ბურჯი. ომანში ისლამის სწავლება სავალდებულოა სამხედრო სამსახურშიც, მაგრამ არამუსლიმ სამხედროებს არ ეკრძალებათ თავიანთი რელიგიური ღვთისმსახურების შესრულება. ქუვეითში მცხოვრები შიიტები, რომელთაც სურთ გახდნენ იმამები, იძულებული არიან განათლება მიიღონ საზღვარგარეთ (ერაყსა და ირანში), რადგანაც ქუვეითის უნივერსიტეტის შარიათის ფაკულტეტზე არ არის შიიტური იურისპრუდენციის კურსები. რომანულმა კათოლიკურმა ეკლესიამ თხოვნით მიმართა მთავრობას, რომ კათოლიკე სტუდენტებისათვის ნება დაერთოთ ესწავლათ კატეხიზისი განცალკევებით იმ პერიოდში, როცა მუსლიმი სტუდენტები გადიან ისლამის კურსს. თუმცა ქუვეითის მთავრობას ჯერ არ დაუკმაყოფილებია ეს თხოვნა. 1996 წელს იორდანიაში შემუშავდა სპეციალური მითითებები ქრისტიანი მოსწავლეებისათვის საჯარო სკოლებში, 1998 წელს კი – ქრისტიანული განათლების სპეციალური პროგრამა. არამუსლიმურ თემებს უფლება აქვთ დააარსონ სკოლები თავიანთი მრევლისათვის, მაგრამ სახელმწიფო ინსპექცია აკონტროლებს მათ პროგრამებს. საჯარო სკოლებში ქრისტიანები და ბაჰაის მიმდევრები არ არიან ვალდებული გაიარონ ისლამის კურსები, მათ შეუძლიათ აირჩიონ ქრისტიანული დისციპლინები. 1998 წელს გატარდა ღონისძიებები ქრისტიანული კურიკულუმის დანერგვისათვის. იორდანიაში მოქმედებს ევანგელიკური თეოლოგიური სემინარი, ქრისტიანული სკოლა პასტორებისა და მისიონერებისათვის. იორდანიაში არის ორი სახელმწიფო ინსტიტუტი, სადაც სწავლობენ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის სტუდენტები. ეს არის „რელიგიათშორისი სწავლების სამეფო ინსტიტუტი" და „ისლამური ცივილიზაციის კვლევის სამეფო აკადემია". არაბთა გაერთიანებულ საამიროებში სავალდებულოა შარიათის სწავლება სკოლებში, მაგრამ 4 საამიროში არის ქრისტიანული სკოლებიც (დაწყებითი და საშუალო). მაროკოში ისლამურ საქმეთა სამინისტრომ, 2005/2006 სასწავლო წელს, მუსლიმური სკოლებისათვის მოამზადა სპეციალური თეოლოგიური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ქრისტიანობის და იუდაიზმის სწავლებასაც. მუსლიმებს ნება

ეძლევათ ისწავლონ ქრისტიანთა და იუდეველთა სკოლებში. მაროკოს მეფე მოჰამედ VI-მ 2005 წელს დააარსა ისლამურ-იუდეველური ობსერვატორია. მაროკო არის ერთადერთი არაბული ქვეყანა, სადაც არის იუდეველთა მუზეუმი. ეგვიპტეში ქრისტიანთა დისკრიმინაციად განიხილება ის ფაქტი, რომ მათ ეკრძალებათ სწავლა ალ-აზჰარის ისლამურ უნივერსიტეტში. არაბულ ენაში მასწავლებელთა გადამზადების პროგრამაში ჩართული არ არიან ქრისტიანები, რადგანაც პროგრამა ითვალისწინებს ყურანის სწავლებასაც. 2001 წელს კაიროს უნივერსიტეტის არაბული ენის მასწავლებლად პირველად დაინიშნა ქრისტიანი (კოპტი). მავრითანიაში ყურანის სკოლებშიც და საჯარო სკოლებშიც სავალდებულოა ისლამის პრინციპების და არაბული ენის, როგორც ყურანის ენის, სწავლება. თუნისში არის რელიგიური სკოლები იუდეველთათვის. სირიის სკოლების სასწავლო პროგრამაში შეტანილია სავალდებულო რელიგიური დისციპლინები ყველა რელიგიური ჯგუფისათვის – მუსლიმებისა (სუნიტები, შიიტები, ალავიტები, ისმაილიტები, იეზიდები, დრუზები) და ქრისტიანებისათვის. არაბული ოფიციალური ენაა საჯარო სკოლებში, მაგრამ ზოგიერთ სკოლაში დაშვებულია სომხურის, ებრაულის, სირიულის (არამეულის) და ქალდეურის, როგორც „ლიტურგიკული ენების" სწავლება. უნდა აღინიშნოს, რომ სირიის უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამა აღარ ითვალისწინებს რელიგიური დისციპლინების სავალდებულო სწავლებას.

რაც შეეხება რელიგიურ დღესასწაულებს, ყველა არაბულ ქვეყანაში აღინიშნება ორი დიდი ისლამური დღესასწაული – 'იდ ალ-ადჰა (მსხვერპლშეწირვის დღესასწაული) და 'იდ ალ-ფიტრი (გახსნილების დღესასწაული). საუდის არაბეთში 'აშურა (შიიტთა მე-3 იმამის – ჰუსაინის გლოვის ათდღიური) დაშვებულია მხოლოდ შიიტებით დასახლებულ რეგიონში – კატიფში (იკრძალება ალ-აჰსასა და დამამში) და პოლიცია აკონტროლებს, ხოლო ბაჰრაინში 'აშურა ორდღიანი ეროვნული დღესასწაულია. კატარში ამირა უშუალოდ მონაწილეობს საზოგადო ღვთისმსახურებაში რელიგიური დღესასწაულების დროს და პერსონალურად აფინანსებს ღარიბ მუსლიმებს ჰაჯიზე წასასვლელად. ყველა არაბულ მონარქიაში მარხვის დროს არამუსლიმი ვალდებულია საჯაროდ თავი შეიკავოს ჭამა-სმისაგან. 1996 წელს იორდანიაში შობა და გრიგორიანული კალენდრით ახალი წელი გამოცხადდა ეროვნულ დღესასწაულად. 2003 წლიდან ეგვიპტეში მართლმადიდებლური შობა (7 იანვარი) ეროვნულ დღესასწაულად და უქმე დღედ გამოცხადდა.

არაბული მონარქიების დიპლომატიური პრაქტიკის ძირითადი თავისებურება არის ისლამურ პრობლემატიკაზე ფოკუსირება. სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს წევრ-სახელმწიფოების კონსტიტუციებში თეზისი „ისლამური სოლიდარობის" შესახებ არის მათი საგარეოპოლიტიკური ხაზის ძირითადი პრინციპი. საუდის არაბეთის კონსტიტუციის 25-ე მუხლში – „ხელისუფლების სისტემის საფუძვლები" – მითითებულია: „სახელმწიფო განახორციელებს არაბი ხალხის იმედს სოლიდარობისა და ჰარმონიის შესახებ, განამტკიცებს ურთიერთობას მეგობრულ ქვეყნებთან". კატარის კონსტიტუციაში ეს თეზისი შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „სახელმწიფოს სწამს არაბული ძმობის, ხელს უწყობს სოლიდარობის განმტკიცებას მოძმე არაბულ ქვეყნებთან, მიისწრაფვის არაბი ერის ერთიანობის განტკიცებისაკენ, ყველა შესაძლებლობით მხარს უჭერს ერთობლივ ძალისხმევას არაბული მიზნების მისაღწევად. ის ყოველმხრივ მხარს უჭერს არაბულ სახელმწიფოთა ლიგას და იმ კეთილშობილურ მიზნებს, რომლებსაც აცხადებს მისი წესდება". კონსტიტუციაში ხაზგასმულია აგრეთვე, რომ „სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მიმართულია მეგობრობის განმტკიცებისაკენ ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით მუსლიმ ხალხებთან და სახელმწიფოებთან". ისინი ცდილობენ აგრეთვე დიპლომატიური ურთიერთობებით განამტკიცონ კონფესიათა თანაბარი

უფლებები. 2001 წელს ქუვეითმა და 2002 წელს კატარმა ვატიკანთან დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა.

ცალკე საკითხია არამუსლიმური ტაძრების რეგისტრაცია. ძირითადად იმ რელიგიურ თემებს, რომლებიც არ იხსენიება ყურანში (ბაჰაიზმის, ბუდიზმის, ინდუიზმის, სიკჰის და სხვ. მიმდევრებს) არ შეუძლიათ რელიგიური ღვთისმსახურების ადგილების აშენება. საუდის არაბეთის რელიგიური ავტორიტეტები აცხადებენ: „სამეფოში არ აშენდება არამუსლიმური საკულტო ტაძრები, რადგანაც ეს იგივე იქნებოდა, რომ მეჩეთი აშენებულიყო ვატიკანის ცენტრში". იორდანიაში არამუსლიმურმა თემებმა უნდა მიმართონ პრემიერ-მინისტრს, რათა მიიღონ ოფიციალური აღიარება. არამუსლიმური რელიგიური ორგანიზაციები არ იღებენ სახელმწიფოსაგან სუბსიდიებს. ისინი ფინანსურადაც და ადმინისტრაციულადაც დამოუკიდებელი არიან სახელმწიფოსაგან და არ იხდიან გადასახადებს. ზოგიერთი ეკლესია დარეგისტრირებულია შინაგან საქმეთა სამინისტროში, როგორც საზოგადოება. მაგ., იორდანია არ ცნობს დრუზების და ბაჰაის თემებს, იეღოვას მოწმეებს, მაგრამ არ კრძალავს მათ რელიგიურ პრაქტიკას. საამიროებში შიიტები შეადგენენ მოსახლეობის 5%-ს. ყველა შიიტური მეჩეთი არის კერძო. სახელმწიფოს მიერ შიიტი იმამები ინიშნება მხოლოდ დუბაიში. არამუსლიმები ვერ იღებენ მიწის ნაკვეთებს ახალი ეკლესიების ასაშენებლად. 1999 წელს რას ალ-ხაიმაში მიწის ნაკვეთი გამოუყვეს კათოლიკეებს ეკლესიის ასაშენებლად. მშენებლობა დამთავრდა 2000 წელს, მაგრამ მისი გახსნის ნება არ მისცეს სამშენებლო გეგმის შეცვლის საბაბით. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ რას ალ-ხაიმა ერთადერთი არამუსლიმური ღვთისმსახურების ცენტრია, სადაც სხვადასხვა თემები ასრულებენ ღვთისმსახურებას. საამიროებში არ არის ბუდისტური ტაძრებიც, მაგრამ ბუდიზმის მიმდევრები კერძო სახლებში აღავლენ ღვთისმსახურებას. დუბაიში და შარჯაში არის ინდუიზმის თემის სასაფლაო. 2003 წელს კოპტურმა ორთოდოქსულმა ეკლესიამ მოიპოვა უფლება აეშენებინა ეკლესია აბუ დაბიში და ერთი წლის შემდეგ გაიხსნა. შარჯაში და ფუჯაირაში გაიხსნა აგრეთვე ინდური ორთოდოქსული და კათოლიკური ეკლესია. კატარში მხოლოდ 1999 წლიდან მიიღეს ოფიციალური აღიარება კათოლიკურმა, ანგლიკანურმა და ორთოდოქსულმა ეკლესიებმა, თუმცა მათ ჰქონდათ პრობლემები საკულტო ნაგებობების მშენებლობის ნებართვაზე. 2008 წლის 14 მარტს ქვეყნის ტერიტორიაზე პირველად გაიხსნა დოჰაში მარიამ ღვთისმშობლის კათოლიკური ეკლესია, რომელშიც ერთდროულად 3000 მლოცველს შეუძლია ღვთისმსახურების შესრულება (მასზე არ არის ჯვარი – მთავარი ქრისტიანული სიმბოლო და სამრეკლო, რაც გამორიცხავს მოწოდებას ლოცვისაკენ სამრეკლოს ზარით). მისი მშენებლობა 18 მლნ ამერიკული დოლარი დაჯდა. ამ თანხის დიდი ნაწილი კატარის შაიხმა ჰამად ბინ ხალიფა ას-სანიმ გამოყო. კატარი გახდა მეხუთე ქვეყანა სპარსეთის ყურეში (ქუვეითის, ბაჰრაინის, საამიროების და ომანის შემდეგ), სადაც გაიხსნა ქრისტიანული ეკლესია. 1997 წლამდე კატარში ოფიციალურად აკრძალული იყო არამუსლიმურ კულტებთან დაკავშირებული რაიმე ცერემონიის ჩატარება. ქუვეითში მხოლოდ 7 ქრისტიანული ეკლესიაა (რომანულ-კათოლიკური, ანგლიკანური, ეროვნული ევანგელიკურ-პროტესტანტული, ბერძნული ორთოდოქსული, სომხური ორთოდოქსული, კოპტური ორთოდოქსული და ბერძნული კათოლიკური) აღიარებული სახელმწიფოს მიერ. ისინი ექვემდებარებიან სოციალურ საქმეთა და შრომის სამინისტროს. სხვა ქრისტიანულ თემებს ნება ეძლევათ კერძო სახლებში შეასრულონ თავიანთი ღვთისმსახურება. ქვეყანაში არის 1200 სუნიტური და დაახლ. 35 შიიტური მეჩეთი. არის აგ-

რეთვე დაახლ. 600 ჰუსაინია,[21] რომელთაგან 500 არალიცენზირებულია. ომანში დაშვებულია არამუსლიმური ღვთისმსახურება და თვითონ სულტან კაბუსის ნებართვით გამოიყოფა მიწის ნაკვეთები ინდუიზმის და ქრისტიანული ცენტრების მშენებლობისათვის. ქვეყანაში არამუსლიმი იმიგრანტების ძირითადი ნაწილი არის სამხრეთ აზიიდან. არის კათოლიკური, პროტესტანტული და ინდუიზმის ტაძრები. იორდანია არ ცნობს ბაჰაის და დრუზების რელიგიურ თემებს. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, 1934 წლის დეკრეტით, 10 მოთხოვნის შესრულებაა აუცილებელი არამუსლიმური ღვთისმსახურების ადგილების რეგისტრაციისათვის. მათ შორის მთავარია ის, რომ მანძილი მეჩეთსა და ეკლესიას შორის უნდა იყოს არანაკლებ 100 მეტრი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვასთან ერთად ჰქონდეს მეზობელი მუსლიმური თემის თანხმობაც. ოფიციალური ინფორმაციით, 2005 წლის 30 ივნისიდან 2006 წლის 1 ივლისამდე ეგვიპტის პრეზიდენტმა – ჰოსნი მუბარაქმა 63 დეკრეტი გამოსცა ეკლესიების მშენებლობასთან დაკავშირებით (მათ შორის 21 ახალი ეკლესიის მშენებლობა: 14 ორთოდოქსული, 2 პროტესტანტული და 2 კათოლიკური ეკლესია; 2 ორთოდოქსული თემის საოფისე ნაგებობა; 1 კათოლიკური ჰოსპიტალი). ბაჰრაინში არის 4 სიკჰის და რამდენიმე ინდუიზმის ტაძარი, რომლებიც თავისუფლად მოქმედებს. მავრითანიაში მხოლოდ კათოლიკური ეკლესიაა აღიარებული სახელმწიფოს მიერ. სუდანში, 1975 წლის შემდეგ, ახალი ეკლესიების მშენებლობაზე ნებართვა პირველად გაიცა 2005 წლის ივლისში. 2007 წლის თებერვალში სუდანის პრეზიდენტმა რელიგიის თავისუფლების პრინციპების დასაცავად შექმნა სპეციალური კომისია, რომელშიც არის 28 წევრი: მოსამართლეები, იუსტიციის მინისტრი და ისლამის, ქრისტიანობის და სხვა ტრადიციული რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლები. თუნისის სახელმწიფო ცნობს ყველა ქრისტიანულ და იუდეველურ რელიგიურ ორგანიზაციას, რომლებიც დაფუძნებულია ქვეყნის დამოუკიდებლობამდე (1956წ.). მართალია, კონსტიტუცია უშვებს რელიგიის თავისუფლებას, მაგრამ სახელმწიფოს მიერ აღიარებულია ერთი კათოლიკური ეკლესია და სინაგოგები. თუნისის დიდ რაბინს სახელმწიფო უხდის ხელფასს. სირიაში უდიდესი ქრისტიანული დენომინაციებია ბერძნული ორთოდოქსული და სომხური ორთოდოქსული ეკლესია. უნიატურ ეკლესიებში ყველაზე დიდი არის სირიის კათოლიკური ეკლესია. 2008 წლის 23 სექტემბერს სირიაში (სოფ. მალულა) დაიდგა 32 მეტრიანი იესო ქრისტეს ქანდაკება, რომელიც რუსეთმა აჩუქა სირიელ ქრისტიანებს.

ეგვიპტეში „მცირე რევოლუციად" განიხილეს 2008 წლის 9 თებერვალს უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც ნება დართო ადრე ისლამზე მოქცეულ 12 კოპტს დაბრუნებოდა ქრისტიანობას. კოპტების ადვოკატებმა ამ გადაწყვეტილებას „ისტორიული" უწოდეს. სასამართლომ აღიარა აგრეთვე კოპტების უფლება – პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში, გრაფაში – „რელიგიური კუთვნილება" ჩაწეროდათ „ქრისტიანი". ადრე უწერდნენ, რომ ისინი იყვნენ „მუსლიმები".

არაბულ ქვეყნებში დაფიქსირებულია ქრისტიანთა დისკრიმინაციის კონკრეტული ფაქტები, რაც იწვევს მათ ემიგრაციას ამ რეგიონიდან. XX ს-ის დასაწყისში ქრისტიანები შეადგენდნენ რეგიონის (ძირითადად პალესტინა, ეგვიპტე, იორდანია, ლიბანი, სირია, ერაყი და თურქეთი) მოსახლეობის 24%-ს, დღეს მხოლოდ 5%-ს. 1956 წელს ჯიდდაში მუსლიმურმა სამიტმა მიიღო გადაწყვეტილება, რათა ჩაეტარებინათ ახლო აღმოსავლეთის „წმენდა" ქრისტიანი მოსახლეობისაგან. მაგ., კოპ-

---

[21] ჰუსაინიები – სპეციალური ნაგებობები, სადაც ხდება შიიტთა მესამე იმამის ჰუსაინის დატირება, დეტალურად და პოეტურ-თეატრალიზირებული ფორმით აღიწერება ჰუსაინის რაზმის გზა მედინიდან ერაყში.

ტების დაახლ. 15-20% დატოვა ეგვიპტე. ერაყში, სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ, გახშირდა თავდასხმები ქრისტიანებზე, რომელთაც ისლამისტები უწოდებდნენ „ჯვაროსნებს". ადგილობრივი ქრისტიანთა სამშვიდობო ასოციაციის მონაცემებით, ერაყში ცხოვრობს დაახლ. 450 000 ქრისტიანი (2003 წელს იყო 800 000). მკვეთრად შემცირდა ქრისტიანთა მიერ ეკლესიებში სიარული და ღვთისმსახურების შესრულება. ბაღდადის ტრადიციული ქრისტიანული რაიონები (დორა და ქარრადა) ფაქტობრივად დაცარიელდა და მიმდინარეობს ქრისტიანთა შიდა მიგრაცია ქ. არბილში (ერბილი). ქრისტიანთა დევნის ახალი ტალღა ერაყში დაიწყო 2006 წლიდან, ისლამის მისამართით რომის პაპის ბენედიქტ XVI-ის გამონათქვამის საპასუხოდ. გახშირდა ეკლესიების აფეთქებები, რის გამოც ბაღდადის ეკლესიების 60%-ზე მეტი დაიხურა (2003 წლამდე ბაღდადის ქრისტიანული თემი ყველაზე დიდი იყო მთელს ახლო აღმოსავლეთში). მოსულის ეკლესიის ერთ-ერთი მღვდელი გაიტაცეს და თავი მოჰკვეთეს. 100 წლის შემდეგ კვლავ დააბრუნეს ჯიზია (სულადობრივი გადასახადი, რომელსაც იხდიან მხოლოდ არამუსლიმები) და მრავალ ქრისტიანს აიძულებენ იხადოს ასი ან ათასი დოლარი. ქრისტიან მშობლებს ეშინიათ შვილების გაშვება სკოლებსა და ინსტიტუტებში მათი თანატოლების მხრიდან მუქარის გამო. ქრისტიანმა ქალებმა დაიწყეს აბაიას (მუსლიმი ქალის ზედა სამოსი) და თავსაბურავის ტარება, რათა არ განსხვავდებოდნენ მუსლიმი ქალებისაგან. ეგვიპტეში არსებობს კოპტების დისკრიმინაციის პრობლემა. ეგვიპტელი კოპტების სოფლებს თავს ესხმიან „მუსლიმი ძმების" მებრძოლები. ისლამისტები თვლიან, რომ კოპტები ეხმარებიან ისრაელის სპეცსამსახურებს. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 2007 წელს ეგვიპტეში დაფიქსირდა კოპტების დისკრიმინაციის 60 შემთხვევა. მათ აქვთ პრობლემები შრომითი მოწყობის, საკუთრების შეძენისას და სხვ. ამის გამო ქვეყანაში შეიმჩნევა კოპტური მოსახლეობის შემცირების ტენდენცია ემიგრაციის ხარჯზე. XX ს-ის დასაწყისში სირიაში ქრისტიანები შეადგენდნენ მოსახლეობის 1/3-ს, დღეს მათი რაოდენობა (იმიგრაციისა და შობადობის დაბალი დონის გამო) მოსახლეობის 10%-ზე ნაკლებია. მთავრობა რელიგიურ თავისუფლებას ანიჭებს ალავიტებს – რელიგიურ მიმდინარეობას, რომელშიც შერწყმულია შიიზმის, ქრისტიანობის და ისლამამდელი ასტრალური კულტების ელემენტები. 2004 წელს მუსლიმებმა 2 ქრისტიანი მოკლეს. ამ ინციდენტის გამო, პირველად სირიის ისტორიაში, 2 ათასზე მეტმა ქრისტიანმა მოაწყო საპროტესტო დემონსტრაცია. არის ვანდალიზმის შემთხვევებიც ეკლესიებში. თუმცა სირიიდან ქრისტიანთა ემიგრაციის ძირითადი მიზეზი ეკონომიკური პირობებია. ლიბანში, სადაც ქრისტიანები შეადგენენ დაახლ. 1,35 მლნ-ს ან მოსახლეობის 34%-ს, ქვეყანაში დაძაბულობის ზრდის გამო (ყოფილი პრემიერ-მინისტრის მკვლელობისა და ქვეყნიდან სირიის არმიის გაყვანის შემდეგ), ქრისტიანებით დასახლებულ რაიონებში გახშირდა ტერაქტები. მრავალი სპეციალისტი ვარაუდობს განხეთქილების გაზრდას ლიბანის ქრისტიან და მუსლიმ მოსახლეობას შორის.

არაბულ ქვეყნებში არ არის სპეციალური კანონი მისიონერთა საქმიანობის შესახებ. არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ჯერ კიდევ 1960 წელს გაიხსნა დედათა ჰოსპიტალი აბუ დაბიში, რომელიც დღემდე მოქმედებს. ასეთივე ჰოსპიტალი არის ალ-ფუჯაირას საამიროში. ბაჰრაინში უკვე ერთი საუკუნეა მოქმედებს ამერიკელ მისიონერთა საავადმყოფო, სადაც ტარდება საკვირაო ღვთისმსახურება და არის სხვადასხვა პროტესტანტული სექტების შეკრების ადგილი. არაბულ ქვეყნებში, განსაკუთრებით იორდანიასა და ერაყში, შეიმჩნევა სამხრეთ კორეის მისიონერთა აქტივობა.

არაბულ მონარქიებში რელიგიური ფაქტორის მოქმედების ერთ-ერთი გამოვლინებაა პოლიტიკური პარტიების საქმიანობის აკრძალვა, რაც არღვევს მუსლიმური თემის ერთობას. ეგვიპტის 1977 წლის კანონი პარტიების შესახებ აცხადებს, რომ

იკრძალება პოლიტიკური პარტიები, რომლებიც დაფუძნებულია რელიგიაზე. აქედან გამომდინარე, „მუსლიმი ძმების" ორგანიზაცია არალეგალურია. 2005 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად სახალხო ასამბლეაში აღმოჩნდა „მუსლიმი ძმების" 88 დამოუკიდებელი კანდიდატი. სირიაში „მუსლიმი ძმების" წევრებთან თანამშრომლობა ისჯება, გათვალისწინებულია პატიმრობა 12 წლის ვადით.

შეიძლება დავასკვნათ, რომ არაბული ქვეყნების კონსტიტუციებში შეიტანეს მნიშვნელოვანი ცვლილებები, საერთაშორისო სამართლის აღიარებული ნორმებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, მაგრამ რელიგიური კუთვნილება არის მათი საზოგადოებრივი სტრუქტურის, პოლიტიკური სისტემების ერთ-ერთი საფუძველი. ეს კი თავისთავად განსაზღვრავს რელიგიის თავისუფლების პრინციპის შეზღუდვას.

2008 წლის 13 ნოემბერს ნიუ-იორკში დაასრულა მუშაობა რელიგიათშორისი დიალოგისადმი მიძღვნილმა კონგრესმა, რომელიც ჩატარდა გაეროს გენერალური ასამბლეის სესიის ფარგლებში. ინიციატივა ეკუთვნოდა საუდის არაბეთის მეფეს, აბდულლაჰ ბინ აბდულ აზიზს. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მეთაურებმა, პრემიერ-მინისტრებმა, აგრეთვე სპეციალურმა წარმომადგენლებმა მინისტრების დონეზე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ელჩებმა და ჯ. ბუშმა, აშშ-ს პრეზიდენტმა. საუდის არაბეთის მეფემ, აბდულლაჰმა კონგრესზე წარმოთქვა სიტყვა: „იმ გარემოებამ, რომ ხალხი თავისი ისტორიის მანძილზე ააშკარავებდა მხოლოდ განსხვავებებს რელიგიებს და კულტურებს შორის, მიიყვანა ისინი ფანატიზმამდე. ეს კი არის მიზეზი დამანგრეველი და სისხლიანი ომების, რომელთა გამართლება არ შეიძლება. დადგა დრო გავთავისუფლდეთ წარსულის მწარე გაკვეთილისაგან. დადგა დრო გავერთიანდეთ მორალისა და უმაღლესი პრინციპების გარშემო, რომლის ჩვენ ყველას გვჯერა. ჩვენს რწმენათა განსხვავებებზე იმსჯელებენ იმქვეყნიურ ცხოვრებაში, განსჯიან მათ განკითხვის დღეს. მაგრამ უნდა გავიგოთ, რომ ნებისმიერი ტრაგედია, რომლებსაც დღეს ეჯახება სამყარო, საბოლოოდ დაკავშირებულია უარყოფასთან ერთ-ერთი უმაღლესი პრინციპის, რაც საფუძვლად უდევს ყველა რელიგიასა და კულტურას. მსოფლიოს ყველა კრიზისი იმაზე მოწმობს, რომ კაცობრიობამ უარი თქვა სამართლიანობის პრინციპზე". . . . „ტერორიზმი და დანაშაული მიუღებელია ნებისმიერი რელიგიისა და ცივილიზაციისათვის. ეს ორივე მოვლენა არ წარმოიშობოდა, რომ კაცობრიობას არ უარეყო ტოლერანტობის პრინციპი. ორიენტირის დაკარგვამ მრავალი ახალგაზრდა მიიყვანა ნარკომანობასა და დანაშაულობებამდე. თუმცა ეს სიტუაცია არ წარმოიშობოდა, რომ არ გაწყვეტილიყო ოჯახური კავშირები, რომლებიც უზენაესი ალაჰისათვის არის მუდმივი და ძლიერი. ცივილიზაციათა დიალოგი შესაძლებელია, თუ ამას ისურვებს უზენაესი ალაჰი. ის აღადგენს უმაღლეს იდეალებს და დაუბრუნებს მათ ხალხს. უეჭველია, თუ ამას ისურვებს ალაჰი, ეს ხელს შეუწყობს ადამიანში ყველაზე კეთილშობილის ყველაზე ცუდზე გამარჯვებას, მისცემს კაცობრიობას იმედს მომავლისა, სადაც იბატონებს სამართლიანობა, უსაფრთხოება, მშვიდობა და არა დევნა, შიში და სიღარიბე".

კონგრესის მონაწილეებმა მიიღეს „ნიუ-იორკის დეკლარაცია", რომლის მიხედვითაც ყველა სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ვალდებულება, რომ ხელს შეუწყობს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების, მათ შორის რელიგიის თავისუფლების რეალიზაციას, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე რასის, სქესის, ენის ან რელიგიის მიხედვით.

არმიის როლი
არაბული ქვეყნების პოლიტიკურ პროცესებში
და საკონსტიტუციო მექანიზმში

XX საუკუნეში ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები და რეგიონული ომები ადასტურებს, რომ სამხედრო ძალას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ნებისმიერი სახელმწიფოსათვის აუცილებელია თავდაცვაზე ზრუნვა. გამალებული შეიარაღება რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი გახდა. 70-იანი წლების შემდეგ არაბული ქვეყნების მთავრობებმა არმიის ფინანსური მხარდაჭერით (ოფიცრებს გაუზარდეს ხელფასი, მისცეს სხვადასხვა პრივილეგიები, გაიზარდა სამხედრო ბიუჯეტი, გაუმჯობესდა სახელმწიფო დაზვერვის სამსახურის მუშაობა) გარკვეულწილად შეძლეს სამხედროების კონტროლის დაწესება. დღეს, „ავტორიტარიზმის ვაკუუმის" პირობებში იქმნება რეალური საშიშროება, რომ რეგიონში დაირღვეს სამხედრო-პოლიტიკური ბალანსი. XX ს-ის ბოლო მეოთხედსა და XXI ს-ის დასაწყისში არმია არაერთხელ ჩაერია პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ისტორიულ მეცნიერებაში ყოველთვის აქტუალური იყო არმიისა და ხელისუფლების ურთიერთმიმართების საკითხი, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში საერთაშორისო კონფლიქტების მოუგვარებლობის პერსპექტივამ ამ საკითხს განსაკუთრებული სპეციფიკურობა შესძინა. ამ ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არმია უშუალოდ მონაწილეობს ქვეყანაში მომხდარ ყველა სოციალურ პროცესში.

მრავალ არაბულ ქვეყანაში დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ სამხედროები. არაბული ქვეყნების ერთ ნაწილში შეიარაღებული ძალები გამოვიდნენ სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების ინიციატორებად, ხოლო სხვა ქვეყნებში სამხედრო მმართველობა გახდა დემოკრატიული გარდაქმნების შეფერხების მიზეზი და დიდი ხნით შეაჩერა საზოგადოებრივი ცხოვრების ევოლუციური განვითარება. თვითონ შეიარაღებული ძალების გამოსვლა პოლიტიკური ბრძოლის ავანსცენაზე, მათი იდეოლოგიური და პოლიტიკური ორიენტაცია და მათი წასვლაც პოლიტიკური არენიდან განპირობებულია სხვადასხვა პოლიტიკური ძალების დაპირისპირებით, სოციალური წინააღმდეგობების მასშტაბებით და არმიის მხრიდან მათი გადაჭრის მცდელობებით. არმიის პოლიტიზაცია ეს არის მთელი ოფიცერთა კორპუსის პოლიტიკური პოზიცია, რადგანაც არმიის რიგითი და სერჟანტთა შემადგენლობა პასიური მასაა, რომელიც მიჰყვება ოფიცრობას და ქმნის მის თავისებურ სოციალურ საფუძველს.

პოლიტიკური ხელისუფლების სათავეში არმია მოდის ძირითადად ორი გზით: ან საზოგადოებაში ფიზიკურად არ არსებობს სხვა რეალური სოციალური და პოლიტიკური ძალა ან შიდა-პოლიტიკური და სოციალური წინააღმდეგობების გამწვავების პერიოდში არსებულ მმართველ წრეებს არა აქვთ სოციალური ხელმძღვანელობის სათანადო უნარი. არმია არის ერთიანი დისციპლინირებული ორგანიზმი, დამოუკიდებელი სოციალურ-პოლიტიკური ძალა, რომელიც ხდება საკმაოდ ჩაკეტილი კორპორაცია თავისი საკუთარი საზოგადოებრივი ინტერესებით. საზოგადოების პრივილეგირებული ფენები არმიაში ხედავდნენ ოპოზიციურად განწყობილი ან უბრალოდ მოსახლეობის უკმაყოფილო ფენების გამოსვლების აღკვეთის ეფექტურ საშუალებას, მიიჩნევდნენ მას ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის გარანტად. ავტორიტარული რეჟიმების იდეოლოგები აცხადებდნენ არმიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციის მონაწილეთა საქმის გამგრძელებლად და კოლონიალიზმისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლად.

არაბული ქვეყნების პოლიტიკური განვითარების ეტაპები ხასიათდება არმიის მისწრაფებით აქტიურად ჩარეულიყო სახელმწიფო მშენებლობის პროცესში, ზემოქმედება მოეხდინა ამ ქვეყნების პოლიტიკური სისტემების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაზე. როგორც ისტორიული განვითარების პროცესმა აჩვენა, სახელმწიფო გადატრიალებების შედეგად მოსული სამხედრო რეჟიმების უმრავლესობა ხასიათდებოდა ერთი ძირითადი ნიშნით – ისინი ყოველთვის ეყრდნობოდნენ „ეროვნული უსაფრთხოების" იდეოლოგიას. სამხედრო წრეებში დიდი პოპულარობა შეიძინა შეიარაღებული ძალების „სამოქალაქო მისიამ". ითვლებოდა, რომ არმია მოწოდებული იყო გამოესწორებინა პოლიტიკოსთა შეცდომები ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შესაბამისად. ამასთანავე, არმია ცხადდებოდა ერთადერთ საიმედო ძალად, რომელსაც შეეძლო უზრუნველეყო ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგი. პრაქტიკაში ისინი ახორციელებდნენ რეპრესიულ ღონისძიებებსაც, მაგრამ ამის პარალელურად სამხედროებმა განსაზღვრული დადებითი წვლილი შეიტანეს სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში: არმია ყურადღებას უთმობდა უწიგნურობის ლიკვიდაციის პრობლემებს, სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, გზების და ინფრასტრუქტურის სხვადასხვა ობიექტების მშენებლობას და სხვ. არმიის მოვალეობა გახდა აგრეთვე სოციალურ-პოლიტიკური ინტეგრაციის უზრუნველყოფა, წმინდა ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტა, პოლიციური ფუნქციების შესრულება საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად. როგორც წესი, არაბული ქვეყნების შეიარაღებული ძალები უზრუნველყოფდა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი სუვერენიტეტის დაცვას.

არაბულ ქვეყნებში არმია ერთადერთი ძალა იყო, რომელსაც შეეძლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზება, ხოლო შემდეგ ახალგაზრდა სახელმწიფოს ხელმძღვანელობა. ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევის პირველ დღეებში არმია დიდი გავლენით სარგებლობდა ქვეყნის ხელმძღვანელობაში. რევოლუციის შემდეგ ეგვიპტის ხელისუფლების ძირითადი დასაყრდენი გახდა არმია. სწორედ ოფიცერთა წრიდან გამოვიდა რესპუბლიკის ყველა პრეზიდენტი – მუჰამად ნაგიბი, გამალ აბდელ ნასერი, ანვარ სადათი და ამჟამინდელი სახელმწიფოს მეთაური ჰოსნი მუბარაქი. ნასერის დროს მმართველი რეჟიმი გარკვეულწილად იყო სამხედრო. ეგვიპტის პროვინციათა გამგებლების და დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელთა პრაქტიკულად ყველა პოსტი ეკავათ არმიის ან პოლიციის წარმომადგენლებს. 1967 წლის ისრაელისა და არაბული ქვეყნების ომის შემდეგ ეგვიპტის საზოგადოებაში სამხედროების ხელმძღვანელი როლი შესუსტდა, მაგრამ 1973 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი გავლენა ეგვიპტის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ეგვიპტეს არაბულ აღმოსავლეთში ყველაზე ძლიერი არმია ჰყავს. სირიაში სამხედროების რეალური სტატუსი განსაკუთრებით მაღალია. ჰაფეზ ალ-ასადის უახლოესი გარემოცვა, ვინც მონაწილეობას იღებდა პოლიტიკური კურსის ფორმირებასა და სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებაში, ძირითადად შედგებოდა სამხედროებისაგან: თავდაცვის მინისტრი, გენშტაბის უფროსი და მისი მოადგილე, დიდი და ბრძოლისუნარიანი სამხედრო შენაერთების მეთაურები, სპეცსამსახურების ხელმძღვანელები. ჰაფეზ ალ-ასადმა შექმნა ტრადიცია, რომლის შესაბამისად სახელმწიფო და პარტიულ აპარატში მეტნაკლებად საპასუხისმგებლო პოსტები ეკავათ მოქმედ ან გადამდგარ სამხედრო მაღალჩინოსნებს ან არმიასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პირებს.

არმიის როლი არაბული ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებში განმტკიცდა შესაბამისი ქვეყნების კონსტიტუციებით. ალჟირის 1976 წლის კონსტიტუციაში არმიას ეძღვნება მთელი თავი, რომელსაც ეწოდება: „ეროვნული სახალხო არმიის შესახებ". არმიას ევალება მონაწილეობა „ქვეყნის განვითარებაში და სოციალიზმის მშენებლობაში" (82-ე მუხლი). იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის 1978

წლის კონსტიტუციის 33-ე მუხლში ხაზგასმული იყო: „შეიარაღებული ძალები და უსაფრთხოების ძალები ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებენ ნაყოფიერ შრომაში და ქვეყნის მშენებლობაში". ანალოგიური მუხლები არსებობს არაბული ქვეყნების ზოგიერთ ახალ კონსტიტუციაში. მაგ., სუდანის 1998 წლის კონსტიტუციის 122-ე მუხლში აღნიშნულია, რომ შეიარაღებული ძალები ვალდებული არიან „დაიცვან ქვეყანა, უზრუნველყონ მისი უსაფრთხოება, მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის განვითარებაში, ეროვნული ინტერესებისა და კულტურული და კონსტიტუციური წესრიგის დაცვაში". ეგვიპტის 1971 წლის კონსტიტუციის 180-ე მუხლის თანახმად, შეიარაღებულ ძალებს, ძირითადი ვალდებულებების გარდა, ეკისრება „ხალხის სოციალისტური მონაპოვრების დაცვა". სირიის შეიარაღებული ძალები (მუხლი 11) პასუხისმგებლობას იღებენ დაიცვან „რევოლუციის მიზნები – ერთიანობა, თავისუფლება და სოციალიზმი". ერაყის კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად, „შეიარაღებული ძალები – ხალხის ღირსებაა და მისი იარაღი, რათა უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, თავისი ეროვნული და საერთოარაბული მიზნების განხორციელება".

მრავალ არაბულ რესპუბლიკაში ხელისუფლების სათავეში მოსული სამხედრო ელიტის შიგნით დაპირისპირებამ გამოიწვია სამხედრო გადატრიალებათა სერია. განსაკუთრებით ეს დამახასიათებელი იყო სირიის პოლიტიკური განვითარებისათვის. ამ ქვეყანაში დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ მმართველი ბლოკი შეიცვალა შვიდჯერ. ამის გამო სირიის სახელმწიფო-პოლიტიკური წყობისათვის, რომელმაც გაიარა რთული და განვითარების მრავალეტაპიანი პროცესი, დამახასიათებელია რესპუბლიკური წყობის სხვადასხვა ფორმები: საპარლამენტო ან საპრეზიდენტო რესპუბლიკის, ერთპარტიული რეჟიმის და სამხედრო დიქტატურის. შედარებით იოლად მოწყობილმა სახელმწიფო გადატრიალებებმა მთელი სიცხადით აჩვენა, რომ ხელისუფლების კონსტიტუციური ორგანოები არ იყო მყარი და შეიარაღებული ძალების როლის კონსტიტუციური განმტკიცებაც არ არის ამ ინსტიტუტების შენარჩუნების გარანტი. სამხედრო გადატრიალებების ორგანიზატორებს არ აბრკოლებდათ ის ფაქტი, რომ ეს იყო ანტიკონსტიტუციური აქტი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თვითონ შეიარაღებული ძალების შიგნით ყალიბდებოდა ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფები იდეოლოგიურ და ეთნოკონფესიურ საფუძველზე. XX საუკუნის 30-იან წლებში ერაყში აქტიურად მოქმედებდნენ ე.წ. „პანარაბისტები", ერაყელი ნაციონალისტები, ქურთი პატრიოტები. 1936 წლის გადატრიალების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო ორი უკანასკნელი ჯგუფი, ხოლო 1937-38 წლებში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ აქციებსა და 1941 წლის აჯანყებაში მონაწილეობდნენ პანარაბიზმის მომხრეები. სირიაში, დამოუკიდებლობის მიღების პირველ წლებში, ფრანგების მიერ შემოღებული რეკრუტირების სისტემის საფუძველზე, სირიის არმიის ოფიცერთა კორპუსი ხასიათდებოდა კონფესიური დისბალანსის მაღალი ხარისხით. სირიის 1949 წლის სამივე სამხედრო გადატრიალებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ოფიცრებმა – სხვადასხვა ეთნოკონფესიური უმცირესობების წარმომადგენლებმა.

არაბულ ქვეყნებში პოლიტიკურმა არასტაბილურობამ გამოიწვია კონსტიტუციური არასტაბილურობაც. არაბული რეგიონის სპეციფიკად ითვლება კონსტიტუციის გაუქმების საგანგებო წესი, როდესაც ის ძალას კარგავს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შედეგად. ჩვეულებრივ, ყოველი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ იღებენ ახალ კონსტიტუციას. მაგ., 1949 წლის მარტში სირიაში მოხდა სამხედრო გადატრიალება, დამყარდა სამხედრო დიქტატურის რეჟიმი, რომლის სათავეში იყო გენერალური შტაბის უფროსი – ჰუსნი აზ-ზა'იმი. მან გააუქმა 1930 წლის კონსტიტუცია და მოამზადა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელსაც უნდა დაეკანონებინა სამხედრო დიქტატურა. თუმცა, უკვე ამავე წლის აგვისტოში,

ჰუსნი აზ-ზა'იმის დიქტატურა დაამხო პოლკოვნიკმა სამი ალ-ჰინავიმ, რომელმაც ახალი სამხედრო გადატრიალება მოაწყო, ხოლო დეკემბერში ხელისუფლების სათავეში მოვიდა პოდპოლკოვნიკ ადიბ შიშაკლის ჯგუფი. 1950 წლის სექტემბერში მიიღეს სირიის ახალი კონსტიტუცია, რომელიც გაუქმდა 1951 წლის დეკემბრის მორიგი სამხედრო გადატრიალების შედეგად. 1953 წელს კვლავ მიიღეს ახალი კონსტიტუცია, მაგრამ 1954 წლის სამხედრო გადატრიალების შედეგად 1950 წლის კონსტიტუცია აღდგა. ერაყშიც გაუქმდა 1964 წლის კონსტიტუცია 1968 წლის მორიგი სამხედრო გადატრიალების შედეგად. კონსტიტუციის გაუქმება გამოიწვია აგრეთვე მონარქიის დამხობამ ეგვიპტეში (1952წ.), ერაყში (1958წ.), იემენში (1962წ.), ლიბიაში (1969წ.) და სხვ. სუდანში 1989 წლის სამხედრო გადატრიალების შედეგად, რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს დეკრეტით შეწყდა 1985 წლის დროებითი კონსტიტუციის მოქმედება. 1992 წელს ალჟირში სამხედრო გადატრიალების შემდეგ შეჩერდა 1989 წლის კონსტიტუციის მოქმედება და დაარსდა ხელისუფლების არაკონსტიტუციური ორგანოები, ხოლო 1996 წელს მიიღეს ახალი კონსტიტუცია. დღეისათვის არაბულ ქვეყნებში მოქმედებს 3 შედარებით „ძველი" კონსტიტუცია (1926 წლის ლიბანის, 1952 წლის იორდანიის, 1959 წლის თუნისის), რომლებშიც შეიტანეს მრავალი შესწორება და დამატება. სხვა არაბულ ქვეყნებში მიიღეს რამდენიმე კონსტიტუცია (სირიაში – 12, ეგვიპტეში – 5, მაროკოში – 4 და სხვ.).

არაბულ ქვეყნებში პოლიტიკური სიტუაციების სწრაფი ცვლილებების შედეგია აგრეთვე დროებითი კონსტიტუციები, რომელთა მოქმედება გათვალისწინებულია შედარებით ხანმოკლე გარდამავალი პერიოდის მანძილზე. დროებითი კონსტიტუციები მიიღეს ეგვიპტეში (1958 და 1964წწ.), ქუვეითში (1962წ.), სუდანში (1964წ.), სირიაში (1969წ.) და სხვა ქვეყნებში. დღემდე არაბულ ქვეყნებში მოქმედებს მრავალი დროებითი კონსტიტუცია, მაგ. კატარის 1972 წლის კონსტიტუცია. ერაყში 1958 წლიდან 2006 წლამდე მოქმედებდა მხოლოდ დროებითი კონსტიტუციები. ცალკეულ ქვეყნებში პოლიტიკური არასტაბილურობის გამო კონსტიტუციების მოქმედება შეწყდა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. ეს ნიშნავს ფაქტობრივად არაკონსტიტუციურ მმართველობას, რაც იყო ალჟირში 1965-1976 წწ., მაროკოში 1965-1970 წწ., ბაჰრაინში 1975 წლიდან და სხვა.

არაბული ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებზე არმიის როლის გავლენა აიხსნება ამ ქვეყნებში არმიის უმაღლესი ხელმძღვანელობის სპეციფიკური ორგანოების ჩამოყალიბებით, რომლებიც ასრულებენ სახელმწიფო ფუნქციებს. ასეთი ორგანოების ჩამოყალიბების პრაქტიკა დღესაც არსებობს არაბულ ქვეყნებში. მაგ., ალჟირში 1992 წელს სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ შეიქმნა არაკონსტიტუციური ორგანო – უმაღლესი სახელმწიფო საბჭო, რომელმაც ეროვნული სახალხო კრების დათხოვნის შემდეგ დროებით მიიღო დეკრეტების (მათ კანონის ძალა ჰქონდა) გამოცემის უფლება. ამ საბჭოში შევიდა უმაღლესი სამხედრო ელიტის 5 წარმომადგენელი და მოქმედებდა გარდამავალი პერიოდის მთელი ორი წლის მანძილზე, ხოლო 1994 წელს თავისი შემადგენლობიდან დანიშნა ქვეყნის პრეზიდენტი. ალჟირში არმიის ისტორიული როლი იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე ის გამოდიოდა, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა. ალჟირში მოქმედებს პრინციპი: „თუ არმია თვითონ არ არის ხელისუფლების სათავეში, ის განსაზღვრავს, ვინ დგას". ალჟირის ყველა პრეზიდენტი იყო სამხედრო წრეებიდან. არმიამ შეასრულა მნიშვნელოვანი როლი დამოუკიდებელი სუდანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სუდანში განხორციელდა 5 სამხედრო გადატრიალება (1958, 1964, 1969, 1985 და 1989წწ.) და ხშირი იყო სამხედრო გადატრიალებების მცდელობები.1989 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ სუდანში ჩამოყალიბდა რევოლუციური ხელმძღვანელობისა და ეროვნული ხსნის საბჭო, რომლის თავმჯდომარე გახდა გენერალ-ლეიტენანტი ომარ ალ-ბაშირი. მან დაიკავა აგრეთვე პრემიერ-

მინისტრისა და თავდაცვის მინისტრის პოსტები. 1993 წელს დაინიშნა ქვეყნის პრეზიდენტი და საბჭო დაითხოვეს.

დღეს არაბული ქვეყნების კონსტიტუციების უმრავლესობაში არის მუხლები, რომლებიც ადგენს შეიარაღებული ძალების სამართლებრივ სტატუსს. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ კონსტიტუციით შეიარაღებული ძალები ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფოს. ეგვიპტის 1971 წლის კონსტიტუციით (180-ე მუხლი), მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია ჩამოაყალიბოს შეიარაღებული ძალები, რომლებიც ერის საკუთრებაა. ანალოგიური მუხლებია თუნისის (22-ე მუხლი), ლიბიის (26-ე მუხლი) და არაბული მონარქიების კონსტიტუციებში. ომანის კონსტიტუციის მე-14 მუხლში აღნიშნულია, რომ „მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია შექმნას შეიარაღებული ძალები, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ორგანიზაცია და სხვა ფორმირებები, რომლებიც ერის საკუთრებაა და მათი ამოცანაა სახელმწიფოს, მისი უსაფრთხოებისა და მოქალაქეთა სიმშვიდის დაცვა. არც ერთ ორგანიზაციას ან ცალკე ჯგუფს არ შეუძლია ჩამოაყალიბოს სამხედრო ან ნახევრადსამხედრო ფორმირება". ქუვეითის კონსტიტუციის 159-ე მუხლით, „მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია კანონის შესაბამისად შექმნას შეიარაღებული ძალები და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ორგანოები".

ცხადია, რომ კონსტიტუციური ნორმები მიზნად ისახავს შეიარაღებული ძალების საზოგადოებრივი მნიშვნელობის, მათი პროფესიული პრესტიჟის ამაღლებას და მათი ინსტიტუციური დამოუკიდებლობის ხაზგასმას. ამავე მიზნებს ემსახურება ეგვიპტის 1971 წლის კონსტიტუციის ნორმები: ომის ინვალიდებს და ვეტერანებს, ომში დაღუპულთა ქვრივებსა და მათ ვაჟებს აქვთ განსაზღვრული უპირატესობა და შეღავათები კანონის შესაბამისად. სირიაში, ეგვიპტესა და ლიბიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ოფიცრობას. მათ ეკრძალებათ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა, რათა „არ შეილახოს მუნდირის ღირსება". ამიტომ ნებისმიერ ოფიცერს, თუ მას არ შეუძლია ავტომანქანის შეძენა, სახელმწიფო გამოუყოფს მსუბუქ სამსახურებრივ ავტომანქანას, უხდის საწვავის და მომსახურების ხარჯებს. 2003 წლამდე ერაყში არსებული კანონებით, თუ ოფიცერი გარდაიცვლებოდა, მას ენიჭებოდა პოლკოვნიკის წოდება და მისი ოჯახი იღებდა სათანადო პენსიას, გადაეცემოდა ახალი ავტომანქანა, თავისუფლდებოდა სახელმწიფო გადასახადებისაგან, ეძლეოდათ კომპენსაცია მის ბავშვებს სრულწლოვანების მიღწევამდე.

ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში დანესებულია არმიაზე კონტროლის სპეციალური ფორმები. მაგ., საუდის არაბეთში არმიას აკონტროლებს ეროვნული გვარდია, რომელიც ჩამოყალიბებულია გვარტომობრივ პრინციპზე.[22] ეროვნულ გვარდიას განსაკუთრებული ადგილი უკავია საუდის არაბეთის შეიარაღებული ძალების სისტემაში. მისი ძირითადი დანიშნულებაა დაიცვას მონარქია ყოველგვარი საფრთხისაგან (მათ შორის არმიის საფრთხისაგან) და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები (ნავთობსარეწები, რელიგიური სიწმინდეები), მოახდინოს სწრაფი რეაგირება მოსაზღვრე რაიონებში კონფლიქტურ სიტუაციებზე და სხვა. საუდის არაბეთში ეროვნული გვარდიის შენაერთები განლაგებულია განსაზღვრულ რაიონებში და დისლოცირდება სამეფოს ყველა მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტში. სპარსეთის ყურის სხვა სამეფოების არმიებში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უცხოელი დაქირავებულები, რაც განასხვავებს მათ საუდის არაბეთის არმიისაგან.

ერაყში 1963 წლიდან პრაქტიკულად მთელ საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებას აკონტროლებდა ეროვნული გვარდია – სპეციალურად ბაასის პარტიის მიერ

---

[22] საუდის არაბეთში ეროვნული გვარდია განიხილება „ტომობრივ ძალად" და ყალიბდება მმართველი დინასტიისადმი ლოიალურად განწყობილი ტომებისაგან, ძირითადად ალ-ნაჯდის და ალ-ჰასას პროვინციებიდან.

შექმნილი მილიცია, რომელიც იყო მმართველი რეჟიმის დასაყრდენი. მასში შედიოდა 6 დივიზია, რომლებიც აღჭურვილი იყო თანამედროვე იარაღითა და ტექნიკით. „პარალელური" არმიების განმასხვავებელი თავისებურება იყო ის, რომ მათ ჰყავდათ დამოუკიდებელი ხელმძღვანელობა. ერაყში გვარდია უშუალოდ ემორჩილებოდა პრეზიდენტს და მას ხელმძღვანელობდა სადამ ჰუსეინის ვაჟი – კუსაი. საუდის არაბეთში არმია და ეროვნული გვარდია იყო სხვადასხვა პრინცების კონტროლის ქვეშ. სირიის 10 ათასიანი რესპუბლიკური გვარდია ახორციელებდა პრეზიდენტის და უახლოესი გარემოცვის დაცვას, უზრუნველყოფდა დამასკოს იმ რაიონების უსაფრთხოებას, სადაც განლაგებულია პრეზიდენტის სასახლე, ოფისები და პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელთა საცხოვრებელი სახლები. ალჟირში არმიის შემაფერხებელი ფაქტორი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იყო მმართველი პარტია – ეროვნული განთავისუფლების ფრონტი. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ერაყის ელიტარული სამხედრო ნაწილები კომპლექტდებოდა ძირითადად სუნიტური ტომებისაგან, რომლებიც ცხოვრობდნენ სადამ ჰუსეინის მშობლიურ ადგილებში. ასეთივე პრაქტიკა იყო სირიაშიც, სადაც ეს ნაწილები დაკომპლექტებული იყო ალავიტებით. ლიბანში საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა სისტემამ განსაზღვრა შეიარაღებული ძალების მრავალკონფესიური ხასიათი. ამის შედეგად არმიას უჭირს გამოსვლა ერთი რომელიმე თემის ან კონფესიური ჯგუფის წინააღმდეგ. სწორედ კონფესიური სამხედრო დაჯგუფებები აკონტროლებენ დღეს ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილს და მრავალი წლის მანძილზე აწარმოებდნენ სამოქალაქო ომს.

რაც შეეხება ლიბიას, აქ 1984 წელს მიიღეს კანონი „შეიარაღებული ხალხის" შესახებ, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ შემდგომში ჩამოერთმიათ არმიისათვის მონოპოლიური უფლება – შეესრულებინა ქვეყნის თავდაცვის ფუნქცია. კანონის თანახმად, პირველ ეტაპზე ხალხი უნდა გაეწვრთნა არმიას, მასთან ერთად დაეცვა რეჟიმი, ხოლო შემდეგ სამხედრო ინსტიტუტებს თანდათან უნდა დაეთმოთ ადგილი „შეიარაღებული ხალხისათვის". 18 წელს მიღწეულ მამაკაცებს და ქალებს, უნდა გაევლოთ სამხედრო მომზადება და შემდგომ ისინი ცალკეულ ქვედანაყოფებში შეჰყავდათ. საჭიროების შემთხვევაში მათ შეეძლოთ მიეღოთ იარაღი და დაეწყოთ თავიანთი საბრძოლო ამოცანის შესრულება, სამხედრო მოქმედებების შესრულების შემდეგ კი კვლავ უნდა დაბრუნებოდნენ სამოქალაქო ცხოვრებას. ლიბიის ხელმძღვანელობა ფიქრობდა, რომ ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის ასეთი წესი თავიდან ააცილებდა ქვეყანას ხელისუფლების სათავეში არმიის მოსვლას. 1988 წლის სექტემბერში ლიბიის ხელმძღვანელობამ, 1984 წლის კანონის შესაბამისად, მიიღო გადაწყვეტილება არმიის და პოლიციის დათხოვნის შესახებ და შეცვალა ისინი „შეიარაღებული ხალხის" ფორმირებებით. მ. კადაფიმ განაცხადა: „პროფესიული არმიის არსებობა ეწინააღმდეგება დემოკრატიას". შეიქმნა თავდაცვის სახალხო კომიტეტები ადგილებზე და თავდაცვის უმაღლესი კომიტეტი (ფაქტობრივად თავდაცვის სამინისტრო) ცენტრში. თუმცა „შეიარაღებული ხალხის" კონცეფციის სრული რეალიზება ვერ განხორციელდა.

სუდანის შეიარაღებული ძალების თავისებურებად ითვლება (მუხლი 125) ნებაყოფლობითი შეიარაღებული ძალების არსებობა, რომლებიც შექმნილია სუდანის ხალხის მიერ ეროვნული თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ნებისმიერი რეგულარული არმიის დასახმარებლად.

ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში (სუდანი, ეგვიპტე და სხვ.) დაარსებულია სამხედრო სასამართლოები კონსტიტუციის შესაბამისად.

შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად ითვლება სახელმწიფოს მეთაური და ამ რანგში ახორციელებს საკადრო პოლიტიკას ყველა უმაღლეს სამხედრო პოსტზე სახელმწიფოში. იქმნება აგრეთვე სპეციალური საკონსტიტუციო ორგანო, რო-

გორც წესი, თავდაცვის ეროვნული საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს სახელმწიფოს თავმჯდომარე და მის კომპეტენციაში შედის ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მისი მთლიანობის დაცვის საკითხები და სხვა ფუნქციები.

კატარის უმაღლეს მთავარსარდლად ითვლება ამირა. მას ემორჩილება გენერალური შტაბი. კატარის თავდაცვის სამინისტროს ევალება არმიის საბრძოლო მომზადება, აგრეთვე ადმინისტრაციული, სამეურნეო და ფინანსური საკითხების მართვა. გენერალური შტაბი ახორციელებს გენერალურ ხელმძღვანელობას შეიარაღებულ ძალებზე. მაროკოს მეფე არის უმაღლესი მთავარსარდალიც და გენშტაბის უფროსიც. სირიის პრეზიდენტი ჰაფეზ ალ-ასადი პირად კონტროლს ახორციელებდა არმიაზე და სპეცსამსახურებზე. იორდანიაში ხელისუფლების სათავეში აბდულლაჰ II-ის მოსვლის შემდეგ, რომელიც 20 წელი იყო სამხედრო სამსახურში, არმიაში პროფესიული სამსახური დაიწყეს სამეფო ოჯახის წევრებმა.

ყველა არაბული მონარქია, რომელიც არის სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს წევრი, თავისი შეიარაღებული ძალების მშენებლობას ათანხმებს ამ ორგანიზაციასთან. ორგანიზაციის წესდებაში ნათქვამია, რომ საბჭოს წევრები ვალდებული არიან: წინააღმდეგობა გაუწიონ ნებისმიერ უცხოურ ჩარევას რეგიონის საქმეებში; არ დაეთანხმონ სპარსეთის ყურის რაიონში სამხედრო ფლოტების და უცხოური სამხედრო ბაზების განლაგებას; შექმნან საბჭოს წევრ-ქვეყნების ავტონომიური შეიარაღებული ძალები და კოორდინაცია გაუწიონ მათ მოქმედებებს, რათა უზრუნველყონ რეგიონის სტაბილურობა.

ლიბიის ჯამაჰირიის სამხედრო პოლიტიკის შემმუშავებელ უმაღლეს ორგანოდ ითვლება ეროვნული თავდაცვის საბჭო. მისი ამოცანებია: შეიარაღებული ძალების კონტინგენტის და საერთო ორგანიზაციის განსაზღვრა ომისა და მშვიდობის პერიოდში; გადაწყვეტილების მიღება ახალი სამხედრო ფორმირებების შესახებ, მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყოფა ომის საწარმოებლად; ყველა სახელმწიფო დაწესებულების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია ეროვნული თავდაცვის ინტერესებისათვის; შეიარაღებული ძალების მომარაგებაზე კონტროლი; სამოქალაქო თავდაცვის ეფექტური სისტემის კონტროლი; ქვეყნის მოსახლეობის და შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის იდეოლოგიური და მორალური მომზადება; ეროვნული თავდაცვის საბჭო სამშვიდობო პერიოდში იკრიბება პერიოდულად. მის შემადგენლობას განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ხოლო ომის დროს საბჭო ხდება მუდმივმოქმედი ორგანო. ლიბიის სამხედრო მმართველობის ორგანოდ ითვლება მთავარი ხელმძღვანელობა, რომლის შემადგენლობაში შედის გენერალური შტაბი და ცენტრალური დაქვემდებარების სამმართველო (თავდაცვის სამინისტრო გაუქმდა 1971 წელს). მთავარ ხელმძღვანელობას ექვემდებარება 4 სახის (სახმელეთო არმია, სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საზღვაო და საჰაერო თავდაცვა) შეიარაღებული ძალების შტაბები. ამ შტაბების ხელმძღვანელები ქმნიან გაერთიანებულ კომიტეტს, რომელიც ასრულებს სათათბირო ორგანოს როლს რევოლუციურ ხელმძღვანელობაში.

მრავალი არაბული ქვეყნის კონსტიტუცია განამტკიცებს არმიის სამართლებრივ სტატუსს. აფორმებს ფაქტობრივად შეიარაღებულ ძალებს პოლიტიკური სისტემის დამოუკიდებელ ინსტიტუტად და კონსტიტუციურ დონეზეა განსაზღვრული შეიარაღებული ძალების მიზნები – ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნება და ეროვნული სუვერენიტეტის დაცვა. არმია, კონსტიტუციის დებულებების შესაბამისად, მოწოდებულია უზრუნველყოს ქვეყნის ერთიანობა და ტერიტორიული მთლიანობა, მისი სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სივრცის დაცვა. სირიის 1971 წლის კონსტიტუციაში შეიარაღებული ძალების სამართლებრივი სტატუსი მოტანილია კონსტიტუციის პოლიტიკური პრინციპების თავში და შეიარაღებულ ძალებს, ქვეყ-

ნის დაცვასთან ერთად, პირდაპირ ეკისრება პოლიტიკური ამოცანაც – რევოლუციის მიზნების (ერთიანობა, თავისუფლება და სოციალიზმი) დაცვა (მუხლი11). ეგვიპტის 1971 წლის კონსტიტუცია არმიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად განსაზღვრავს „ხალხის სოციალისტური მონაპოვრის დაცვას" (მუხლი 180). იემენის რესპუბლიკის 1991 წლის კონსტიტუცია არმიის წმინდა-წმინდა მოვალეობად ადგენს რელიგიის და სამშობლოს დაცვას.

უნდა აღინიშნოს, რომ არაბული ქვეყნების კონსტიტუციებით განმტკიცებულია და გარანტირებული შეიარაღებული ძალების დეპოლიტიზაციის პრინციპი. ზოგიერთი კონსტიტუცია პირდაპირ კრძალავს, რომ გამოიყენონ შეიარაღებული ძალები, უშიშროების ძალები, პოლიცია და სხვა ამგვარი სტრუქტურები რომელიმე პარტიის, ცალკეული პირის ან მოსახლეობის გარკვეული ჯგუფის ინტერესებისათვის. კანონის თანახმად, არც ერთი ძალოვანი სტრუქტურის წევრს არ შეუძლია პოლიტიკურ პარტიაში შესვლა ან პარტიული ფუნქციების განხორციელება (იემენის კონსტიტუციის 39-ე მუხლი). კონსტიტუცია პირდაპირ უკრძალავს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ან საზოგადოებებს სამხედრო ან ნახევრად სამხედრო ფორმირებების შექმნას. შეიარაღებულ ძალებს არ შეუძლიათ პოლიტიკური აქციების ჩატარება, მაგრამ მოქალაქეებს აქვთ გაფიცვების უფლება. საუდის არაბეთის მეფემ 1960 წლის სპეციალური დეკრეტით პირდაპირ აუკრძალა სამხედრო მოსამსახურეებს პოლიტიკური საქმიანობა. თუმცა სირიაში არმიისა და სპეცსამსახურების უმაღლესი ხელმძღვანელობა იყო ბაასის პარტიის წევრი.

არაბული ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურებს დიდი სამხედრო უფლებამოსილება აქვთ: საყოველთაო მობილიზაციის, სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. სახელმწიფოს მეთაური არის ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და ამ რანგში ის უშუალოდ ან თავდაცვის მინისტრის საშუალებით ხელმძღვანელობს სამხედრო უწყებას. ზოგჯერ კონსტიტუციის ტექსტი პირდაპირ უთითებს, რომ პრეზიდენტი არის უმაღლესი მთავარსარდალი და იმავდროულად იკავებს თავდაცვის მინისტრის პოსტს (ალჟირის 1996 წლის კონსტიტუციის 77-ე მუხლი). სახელმწიფოს მეთაური (მონარქი ან პრეზიდენტი) უმაღლესი მთავარსარდლის რანგში თვითონ ნიშნავს უმაღლეს სამხედრო თანამდებობებზე და ანიჭებს უმაღლეს სამხედრო წოდებებს. მასვე აქვს უფლება დაითხოვოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი შემადგენლობა, რაც მას აძლევს საშუალებას პირდაპირი კონტროლი განახორციელოს არმიაზე. მაროკოს მეფე, კონსტიტუციით, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის გარდა, იკავებს გენერალური შტაბის თავმჯდომარის ფუნქციას, რომლის მეშვეობითაც ახორციელებს თავის სამხედრო ფუნქციებს. მეფე განსაზღვრავს ქვეყნის სამხედრო პოლიტიკას, პირადად ახორციელებს დანიშვნებს და დათხოვნებს სამხედრო ხელმძღვანელობაში.

არაბული ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურთან იქმნება ეროვნული უსაფრთხოების საბჭო ან ანალოგიური სათათბირო დაწესებულება. პრაქტიკაში ეს საკონსტიტუციო ორგანო გადაიქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფო დაწესებულებად, რომელიც ფაქტობრივად იმუშავებს სამხედრო დოქტრინას და პრაქტიკულად განსაზღვრავს სახელმწიფოს მეთაურის სამხედრო პოლიტიკას. მრავალი არაბული ქვეყნის კონსტიტუცია ითვალისწინებს სახელმწიფოს მეთაურის მიერ მნიშვნელოვანი სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებას ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსთან შეთანხმებით ან პირდაპირი თანხმობით. სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებზე ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდენტი ან მონარქი, მაგრამ ეროვნული უსაფრთხოების საბჭო წინასწარ ამუშავებს და ასაბუთებს ასეთი გადაწყვეტილებების სტრატეგიულ მიზნებს და ტაქტიკურ ამოცანებს. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს შემადგენლობას და საქმიანობის წესს განსაზღვრავს მხოლოდ სახელმწიფოს მეთაური. ხშირ შემთხვევაში ქვეყანაში სამხედრო ან საგანგებო

მდგომარეობის შემოღების დროს, როცა კონსტიტუციის მოქმედება წყდება და სახელმწიფოს მეთაური თავის თავზე იღებს ყველა სახელმწიფო უფლებამოსილების განხორციელებას, ეროვნული უსაფრთხოების საბჭო რჩება ერთადერთ საკონსტიტუციო ორგანოდ სახელმწიფოს მეთაურთან. კონსტიტუციური ნორმებით, საგანგებო მდგომარეობის შემოღების მიზანია განსაკუთრებული ღონისძიებების გატარება ქვეყნის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და სახელმწიფო დაწესებულებების დასაცავად. თუმცა არაბული ქვეყნების პოლიტიკურმა პრაქტიკამ არაერთხელ დაადასტურა, რომ სამხედრო მდგომარეობის შემოღებას შეიძლება მოჰყვეს ქვეყნის ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში არმიის როლის გაძლიერების შეუქცევადი პროცესი.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ არაბული ქვეყნების ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში გამოიყოფა ორი ეტაპი. პირველია 50-70-იანი წლების პერიოდი, რომელიც გამოირჩევა გამუდმებული სამხედრო გადატრიალებებით. ამ პერიოდში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის აღმავლობის ფონზე, არაბულ საზოგადოებაში ძალიან მაღალი იყო სამხედროების როლი. არმია გადაიქცა ერთ-ერთ ეფექტურ სახელმწიფო ინსტიტუტად. მეორე ეტაპი დაიწყო XX საუკუნის 70-იან წლებში. ეს პერიოდი გამოირჩეოდა დიდი სტაბილურობით და სახელმწიფო ხელისუფლების სიმტკიცით, მაგრამ არმია ინარჩუნებდა განმსაზღვრელ როლს რეგიონის ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. არაბულ აღმოსავლეთში დაწყებულმა პოლიტიკური მოდერნიზაციის პროცესმა შეასუსტა სამხედრო გადატრიალებების რისკი. სამოქალაქო ხელისუფლებამ ჩამოაყალიბა ისეთი შეიარაღებული ძალები, რომლებსაც შეუძლიათ ქვეყნის შიდა უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, ამ პერიოდში არმიამ შეიძინა ახალი სოციალურ-პოლიტიკური როლი – ის გახდა ხელისუფლების დამცველი და არა მისი მოწინააღმდეგე. ამის მიუხედავად, არმია ყოველნაირად ცდილობს შეინარჩუნოს განსაკუთრებული მდგომარეობა საზოგადოებაში, რისთვისაც იყენებს რადიკალური ისლამიზმისა და ეთნიკური სეპარატიზმის საფრთხეს.

ნავთობის როლი სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში

სპარსეთის ყურის 6 არაბული ქვეყანა – ბაჰრაინი, კატარი, ქუვეითი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ომანი და საუდის არაბეთი ფლობენ ნავთობის მსოფლიო მარაგის ნახევარს. ამ რეგიონში ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებული დანაკარგები ყველაზე დაბალია მსოფლიოში, რაც განაპირობებს მაღალ შემოსავალს სანავთობო სექტორიდან. ნავთობის მოპოვების ღირებულება მერყეობს 1-1,5 დოლარამდე ბარელ ნავთობზე საუდის არაბეთში, ხოლო ომანში – 4 დოლარამდე ბარელზე. შედარებისათვის დავასახელებთ, რომ ბარელი ნავთობის მოპოვება ჩრდილოეთ ზღვაში 15 დოლარია. რეგიონის ნავთობის სიიაფეს განაპირობებს ისიც, რომ სპარსეთის ყურის ქვეყნებზე მოდის მსოფლიოში მოპოვებული ნავთობის 19,9%. ეს იმით აიხსნება, რომ სპარსეთის ყურის ყველა არაბული ქვეყანა, ბაჰრაინის და ომანის გამოკლებით, არის ოპეკის[23] წევრი. ეს ორგანიზაცია ანაწილებს კვოტებს წევრ ქვეყნებს შორის, რათა მსოფლიო ბაზარზე ნავთო-

---

[23] *ოპეკ-ი* – ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (The Organization of the Petroleum Exporting Countries), რომელიც დააარსეს ნავთობმომპოვებელმა ქვეყნებმა ნავთობზე ფასების სტაბილიზაციისათვის და კარტელის ფასების პოლიტიკასთან (ნედლი ნავთობის ხელოვნურ გაიაფებასთან) დასაპირისპირებლად. ამ ორგანიზაციის წევრები არიან ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნავთობის ექსპორტიდან მიღებულ შემოსავალზე. ოპეკი მუდმივმოქმედი სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა ბაღდადის კონფერენციაზე 1960 წელს (10-14 სექტემბერი). თავდაპირველად მასში შევიდნენ ირანი, ერაყი, ქუვეითი, საუდის არაბეთი და ვენესუელა (ორგანიზატორი). ამ ქვეყნებს შემდეგ შეუერთდა 9 ქვეყანა: კატარი (1961), ინდონეზია (1962), ლიბია (1962), არაბთა გაერთიანებული საამიროები (1967), ნიგერია (1971), ეკვადორი (1973-1992,2007), გაბონი (1975-1994), ანგოლა (2007). ამჟამად ორგანიზაციაში არის 12 წევრი – ალჟირი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ანგოლა, ირანი, ერაყი, ვენესუელა, კატარი, ლიბია, ნიგერია, საუდის არაბეთი, ქუვეითი და ეკვადორი. ამშ იყო ოპეკას წევრი ერაყის ფორმალურ ოკუპაციამდე. 2008 წლის მაისში ოპეკი დატოვა ინდონეზიამ, რადგანაც გაიზარდა ნავთობზე მოთხოვნა აღმოსავლეთ აზიაში. ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსი აქვთ რუსეთს, სირიას, ომანს და ეგვიპტეს. ორგანიზაციის შტაბ-ბინა თავდაპირველად იყო ჟენევაში (შვეიცარია), ხოლო 1965 წლის 1 სექტემბრიდან გადაინაცვლა ვენაში (ავსტრია). ოპეკის მიზანია ამ ქვეყნების საქმიანობის კოორდინაცია და ერთიანი პოლიტიკის შემუშავება ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებით, ნავთობზე სტაბილური ფასების შენარჩუნება, მომხმარებლებისათვის ნავთობის სტაბილური მინოდების უზრუნველყოფა და სანავთობო სფეროში ინვესტიციების მიღება.

ოპეკი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს 1961 წლის წესდებით. ორგანიზაციის მუშაობას წარმართავს დირექტორატი, ხოლო აღმასრულებელი ორგანოა სამდივნო. ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა ოპეკის წევრი ქვეყნების ენერგეტიკისა და ნავთობის მინისტრთა კონფერენცია, რომელსაც იწვევენ წელინადში ორჯერ. ამ შეხვედრებზე მიიღება გადაწყვეტილებები, რაც ხელს უწყობს ბაზრის სტაბილიზაციას. გადაწყვეტილება ნავთობის მოპოვების მოცულობის ცვლილების შესახებ (ბაზარზე მოთხოვნის შესაბამისად) მიიღება ოპეკის კონფერენციაზე. ოპეკის წევრი ქვეყნები აკონტროლებენ ნავთობის მსოფლიო მარაგის 2/3-ს. 1987 წლის 1 იანვრიდან ოფიციალურად დაწესდა ოპეკის კალათი (OPEC Reference Basket of crudes). 2005 წლის ივნისიდან კალათის ფასი განისაზღვრება საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით ამ ქვეყნებში მოპოვებულ 11 ხარისხის ნავთობზე ფიზიკური ფასების გათვალისწინებით: Saharan Blend (ალჟირი), Minas (ინდონეზია), Iran Heavy (ირანი), Basra Light (ერაყი), Kuwait Export (ქუვეითი), Es Sider (ლიბია), Bonny Light (ნიგერია), Qatar Marine (კატარი), Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბთა გაერთიანებული საამიროები) და BCF 17 (ვენესუელა). ისტორიული მაქსიმუმი ოპეკის კალათისათვის არის ბარელზე 130,52 დოლარი, რაც დარეგისტრირდა 2008 წლის 13 ივნისს. თუმცა ამის შემდეგ ყოველდღე იზრდება ნავთობის ფასი. 2007 წლის 19 ნოემბერს ნავთობზე ფასების გაზრდას ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ ოპეკის წევრ-ქვეყნებმა თავიანთი ფულადი რეზერვების ევროზე კონვერტაცია მოახდინეს და უარი თქვეს აშშ დოლარზე. ოპეკის ოფიციალური ენა არის ინგლისური.

ბის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის იყოს ისეთი თანაფარდობა, რომ ნავთობზე ფასი შეადგენდეს 22-28 დოლარს ბარელზე[24] (ფასების შენარჩუნებისათვის აუცილებელია შეამცირონ მოპოვება). ამის შედეგად, ოპეკის ქვეყნებზე, რომლებიც ფლობენ ნავთობის მსოფლიო მარაგის 78%-ს, მოდის მსოფლიო ნავთობის მოპოვების 38%. 1968 წელს დაარსდა ნავთობის ექსპორტიორი არაბული ქვეყნების (ოაპეკი) ორგანიზაცია (Organization of Arab Petroleum Exporting Countries). ეს არის მუდმივმოქმედი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის შემადგენლობაში შედის 11 წევრი: ალჟირი, ბაჰრაინი, ეგვიპტე, ერაყი, ქუვეითი, ლიბია, კატარი, საუდის არაბეთი, სირია, თუნისი და არაბთა გაერთიანებული საამიროები. მისი შტაბ-ბინა ქუვეითშია. 1965 წლამდე მიღებული იყო მოგების გაყოფის პარიტეტული სისტემა: კომპანიები უხდიდნენ ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მთავრობებს ექსპორტიდან მიღებული წმინდა მოგების ნახევარს. 1970-იან წლებში დაიწყო ნავთობის სრული ან ნაწილობრივი ნაციონალიზაციის პროცესი და არაბულ ქვეყნებს შესაძლებლობა მიეცათ ხელშეკრულებები გაეფორმებინათ უცხოურ კომპანიებთან პრაქტიკულად თანაბარი პოზიციებით.

არაბული მონარქიების ნავთობის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი არის აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი, რომელზედაც მოდის ნედლი ნავთობის ექსპორტის 60%. ამ რეგიონში ნავთობის მოცულობის ყველაზე დიდი წილი მოდის იაპონიაზე (30%). არაბული ნავთობის ექსპორტიორებს შორის მეორე ადგილზე დგანან ევროკავშირის ქვეყნები, ხოლო მესამე ადგილზე – აშშ (19-25%). ბოლო პერიოდში აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში არაბული ნავთობის იმპორტს აქვს ზრდის ტენდენცია. იმავდროულად დასავლეთ ევროპის დამოკიდებულება არაბულ ნავთობზე ეცემა, რადგანაც ამ რეგიონის სპარსეთის ყურის ქვეყნები განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას რუსეთისა და სნგ-ს ქვეყნების მხრიდან.

სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებში ნავთობი არა მარტო ამ ქვეყნების შიდაეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი ფაქტორია, არამედ მრავალმხრივ ზეგავლენას ახდენს ამ ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის ყველა ასპექტზე. ამ ქვეყნებში ნავთობის მოპოვება შეადგენს ეროვნული შემოსავლების 27%-ს და უზრუნველყოფს საექსპორტო შემოსავლების 70%-ს.

„სანავთობო ბუმი" დაიწყო 1973-74 წლებში, რამაც არაბულ მონარქიებს საშუალება მისცა აემაღლებინა ცხოვრების დონე, განეხორციელებინა მასშტაბური ეკონომიკური პროექტები, რაც გულისხმობდა ეკონომიკის მრავალი სფეროს (სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და მომსახურების სფერო) განვითარებას პრაქტიკულად ნულიდან. ამის პარალელურად, ეს ქვეყნები გადაიქცნენ კაპიტალის მსხვილ ექსპორტიორებად მსოფლიოში. მაგ., საუდის არაბეთის აქტივები საზღვარგარეთ შეადგენს დაახლ. 1 ტრილიონ დოლარს, ქუვეითის – 500 მლრდ დოლარს, საამიროების – 350 მლრდ დოლარს. ამ თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი არის აშშ-ში და ევროკავშირის ქვეყნებში. ნავთობის ექსპორტზე დამოკიდებულებას აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც. მსოფლიო ბაზარზე ნავთობზე ფასების არასტაბილურობა განაპირობებს ამ ექვსეულის ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან ცვლილებებს. სწორედ ნავთობის მოპოვების სფეროში პოლიტიკის კოორდინირება გახდა ერთ-ერთი სტიმული სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს დაარსების (1981წ.). ამ ქვეყნებმა შეიმუშავეს ერთიანი სტრატეგია ნავთობის სფეროს განვითარებისათვის. ეს გულისხმობდა საგანგებო დახმარების აღმოჩენას ნებისმიერი წევრ-ქვეყნისათვის, თუ მის ტერიტორიაზე ამა თუ იმ მიზეზით შეწყდე-

[24] ბარელი – კასრი (ინგლ.); 1 ბარელი უდრის 158,987 ლიტრს. 1 მეტრული ტონა საშუალოდ 7,3 ბარელს უდრის.

ბოდა ნავთობის მოპოვება. ასევე ნავთობის ემბარგოს დაწესებას ნებისმიერ ქვეყანასთან მიმართებაში, რომელიც აგრესიას განახორციელებდა ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნის მიმართ.

1973 წელს დაიწყო ნავთობის კრიზისი, რომელიც ცნობილია აგრეთვე „ნავთობზე ემბარგოს" სახელით. ის დაიწყო 17 ოქტომბერს, როცა ოპეკ-ის წევრმა არაბულმა ქვეყნებმა „იომ-ქიფურის ომის" დროს უარი განაცხადეს ნავთობის მიწოდებაზე იმ ქვეყნებისათვის, ვინც ისრაელს უჭერდა მხარს სირიასა და ეგვიპტესთან კონფლიქტში. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხებოდა აშშ-ს და მათ მოკავშირეებს დასავლეთ ევროპაში. მომდევნო წლის განმავლობაში ნავთობზე ფასი გაიზარდა 3-დან 12 დოლარამდე ბარელზე. 1973 წლის ნავთობის კრიზისი იყო პირველი და ყველაზე დიდი ენერგეტიკული კრიზისი. ოპეკმა შეამცირა ნავთობის მოპოვების მოცულობა მსოფლიო ფასებზე ზეგავლენისათვის თავის სასარგებლოდ. ამავე დროს აქციის მთავარი მიზანი იყო დასავლეთის ქვეყნების მიერ ისრაელისათვის მხარდაჭერის შესუსტება. ოპეკის ეკონომიკური ზეწოლის შედეგი იყო საერთო ბაზრის ქვეყნების მინისტრთა საბჭოს დეკლარაცია, რომელიც მხარს უჭერდა არაბთა პოზიციას. ამის გარდა, აფრიკის ყველა სახელმწიფომ განყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან. ემბარგომ ხელი შეუწყო ფასების რეკორდულ აწევას ნავთობზე. მაგ., საუდის არაბეთის შემოსავალი 1960 წელს 1,2 მლრდ-დან 1974 წელს 22,6 მლრდ-მდე გაიზარდა. 1973 წელს ისრაელ-არაბული ქვეყნების ომის ერთ-ერთი შედეგი იყო ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ფასების 4-ჯერ მომატება, რითაც ისარგებლეს ოპეკის წევრმა ქვეყნებმა. 1977 წელს საუდის არაბეთმა გაზარდა ნავთობის მოპოვება რეკორდულ დონემდე – 455 მლნ ტონა წელიწადში, რამაც სამეფოს მოუტანა 36,5 მლრდ დოლარის შემოსავალი. 1979 წელს ირანის ისლამურმა რევოლუციამ შეცვალა ვითარება ნავთობის მსოფლიო ბაზარზე. ირანის მხრიდან ნავთობის მიწოდების შემცირების გამო საუდის არაბეთმა გაზარდა ნავთობის მოპოვება 10 მლრდ ბარელამდე დღეში, მაგრამ დასავლეთის მხრიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა ნავთობზე. ამან გამოიწვია ფასების ზრდაც. თუ 1979 წლის დასაწყისში ბარელი ნავთობი 13,3 დოლარი ღირდა, 1980 წლის მაისში ბარელ ნავთობზე ფასი 28 დოლარამდე გაიზარდა. 1981 წელს ოპეკის წევრი ქვეყნების მიერ ბარელ ნავთობზე ზღვრული ფასი 34 დოლარით განისაზღვრა.

1990-1991 წლების „სპარსეთის ყურის კრიზისის" გამო კვლავ დაიწყო პანიკა ნავთობის მსოფლიო ბაზარზე. ფასები გაორმაგდა და გადააჭარბა 40 დოლარს ბარელში პირველად გასული 10 წლის განმავლობაში, მაგრამ ომის დამთავრებისთანავე ის ორჯერ შემცირდა. საუდის არაბეთმა მოიპოვა ოპეკის კვოტის გაზრდა 8 მლნ ბარელამდე დღეში და ეს დონე შეინარჩუნა 1995 წლამდე.

სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებს აქვთ მსოფლიოში წამყვანი ნავთობექსპორტიორი ქვეყნების სტატუსი, მაგრამ ისინი მსხვილი იმპორტიორები არიან სამრეწველო და კვების პროდუქტების. ეს იმით აიხსნება, რომ მკაცრი კლიმატური პირობები არ იძლევა ამ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის განვითარების ფართო შესაძლებლობებს. რაც შეეხება მრეწველობას, მის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობა. სპარსეთის ყურის ქვეყნები არიან შეიარაღების მსხვილი იმპორტიორებიც, რაც აიხსნება გამუდმებული არასტაბილური ვითარებით და სამხედრო კონფლიქტების წარმოქმნის მაღალი საფრთხით ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

მნიშვნელოვანია აგრეთვე სანავთობო სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პრობლემა სპარსეთის ყურის ქვეყნებში, სადაც ამ პრობლემისადმი სხვადასხვა მიდგომა არსებობს. მაგ. ბაჰრაინში, კატარში და ომანში ფართოდ გამოიყენება კონცესიების გაცემა ნავთობის ძიებისა და მოპოვებისათვის. ქუვეითში, საამიროებში და საუდის არაბეთში ეს სფერო დახურულია უცხოური კომპანიებისათვის.

თუმცა ბოლო პერიოდში ამ ქვეყნებშიც აქტიურად განიხილება უცხოური კაპიტალდაბანდებების საკითხი ნავთობმომპოვებელ სექტორში. მაგ., 2001 წელს დაიწყო „ქუვეითის პროექტი", რომელიც ითვალისწინებს 7 მლრდ დოლარის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ქვეყნის ჩრდილოეთსა და დასავლეთში ნავთობის ადგილმდებარეობის დასამუშავებლად და გათვლილია 25 წელზე. ახალი გეგმის შესაბამისად, ქვეყნის ნავთობის ყველაზე დიდი ადგილმდებარეობა – ბურგანი დახურული რჩება უცხოური ინვესტიციებისათვის. მოლაპარაკებების დროს უცხოურ კომპანიებთან გაჩნდა მთელი რიგი კოლიზიები, რომლებიც დაკავშირებული იყო უცხოელი ინვესტორების მონაწილეობისა და მოგების მიღების პირობებთან. ქუვეითის ეროვნულ კრებას არ აწყობდა მწარმოებლურ-წილობრივი მოდელი (Production-sharing). ამ მიზეზით ნავთობის სამინისტრომ შეიმუშავა კომპრომისული ვარიანტი – შეთანხმება საექსპლუატაციო მომსახურებაზე. ამ სქემის თანახმად, კონტრაქტორი კომპანია მთლიანად თავის თავზე იღებს ნავთობის მოძიებასა და დამუშავებაზე გაწეულ ხარჯებს და იყენებს თავის ტექნოლოგიებსა და აღჭურვილობას. მთელი ნავთობი რჩება ქუვეითის საკუთრებაში, მაგრამ კონტრაქტორი, საექსპლუატაციო დანახარჯებთან ერთად, იღებს უფლებას განსაზღვრულ პროცენტზე ნედლეულის დამატებითი მოცულობის გაყიდვიდან, რომელიც მოპოვებულია ნოუ-ჰაუს[25] დახმარებით. ინვესტიციების მოპოვება ახალი სანავთობო ადგილმდებარეობების დასამუშავებლად განპირობებულია იმით, რომ საუდის არაბეთს, საამიროებსა და ქუვეითს სურთ გაზარდონ თავიანთი წილი ნავთობის მსოფლიო წარმოებაში. 2002 წელს ოპეკის კონფერენციაზე გადაწყდა, რომ 2020 წლისათვის მსოფლიო ბაზარზე ნავთობის მიწოდებაში საუდის არაბეთის წილი უნდა გაიზარდოს 38%დან 50,5%-მდე. ოპეკის მოცულობის ზრდა მოხდება ძირითადად სპარსეთის ყურის ქვეყნების ხარჯზე. 2008 წლის მონაცემებით, ზოგიერთი ქვეყანა უკვე მოიპოვებს იმაზე მეტს, ვიდრე დაუწესა ოპეკმა. საუდის არაბეთი ახლა მოიპოვებს დღეში 9,2 მლნ ბარელს, ხოლო მისი კვოტა არის 8,94 მლნ ბარელი დღეში. 2009 წლის ბოლოსათვის გეგმავს გაზარდოს ნავთობის მოპოვება12 მლნ ბარელამდე დღეში. ქუვეითის მთავრობა ასევე გეგმავს 2010 წლისათვის გაზარდოს ნავთობის მოპოვება დღეში 4 მლნ ბარელამდე, ხოლო 2020 წლისათვის – 5 მლნ ბარელამდე.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს პროგნოზით, რომელიც 2002 წელს გამოქვეყნდა, 2010 წლისათვის ნავთობზე მოთხოვნა შეადგენს 92 მლნ ბარელს დღეში, ხოლო 2020 წლისათვის – 110 მლნ ბარელს დღეში (2002 წელს იყო 77 მლნ ბარელი დღეში). ზოგიერთი ანალიტიკოსი ამ პროგნოზს ძალიან ოპტიმისტურად მიიჩნევს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ნავთობზე მოთხოვნა საშუალოდ 1%-ით გაიზრდება და 2010 წლისათვის შეადგენს 83 მლნ ბარელს, ხოლო 2020 წლისათვის – 91 მლნ ბარელს დღეში. ნავთობის წამყვანი როლი აიხსნება ტრანსპორტის სექტორში მისი მოხმარების წილის ზრდით (96%), ხოლო მრეწველობასა და ელექტროენერგიის წარმოებაში ნავთობის წილი არის 27% და გაზის – 9%. არსებობს პროგნოზი, რომ მსოფლიო ენერგომოხმარებაში გაიზრდება გაზის წილი, რაც აიხსნება ენერგორესურსების მსხვილი იმპორტიორი ქვეყნების მისწრაფებით – შეამცირონ თავიანთი დამოკიდებულება ნავთობზე და შესაბამისად შეამცირონ დანახარჯები. თუმცა უახლოესი ორი ათეული წლის განმავლობაში ნავთობი შეინარჩუნებს სტრატეგიული ენერგომატარებლის სტატუსს.

ნავთობი არის სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების შემოსავლის ძირითადი წყარო და მასზე ფასი ამ ქვეყნების კეთილდღეობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია. ექსპერტთა გამოკვლევების შესაბამისად, 1985-2000 წლებში ბარელი

---

[25] ნოუ-ჰაუ – სიტყვასიტყვით, „ვიცი, როგორ". წარმოების პროცესის კვლავწარმოებისათვის, ტექნოლოგიისათვის და ა.შ. აუცილებელი ტექნიკური ცოდნის, სანარმოო გამოცდილების, ჩვევების და სხვ. ინფორმაციის აღსანიშნავი ტერმინი.

ნავთობის საშუალო ფასი იყო 19 დოლარი ბარელზე, ხოლო 2000 წლიდან 2003 წლამდე 27 დოლარს მიაღწია. ანალიტიკოსების აზრით, ეს გამოწვეული იყო გეოპოლიტიკური მოვლენებით. მათ შორის უნდა გამოიყოს 2003 წლიდან ამერიკის სამხედრო მოქმედებები ერაყში, რამაც განაპირობა ამ ქვეყანაში ნავთობის წარმოების მნიშვნელოვანი შემცირება (2003 წელს ერაყმა აწარმოა ორჯერ ნაკლები ნავთობი, ვიდრე 2002 წელს) და ნავთობის მოპოვების შეჩერება ვენესუელაში სანავთობო სექტორის თანამშრომელთა მასობრივი გაფიცვების შედეგად. 2003 წელს ბარელ ნავთობზე ფასი 40 დოლარამდე გაიზარდა. ეს იყო ყველაზე მაღალი მატება ერაყის ქუვეითში შეჭრის შემდეგ. ამან საშუალება მისცა სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებს მიეღოთ 2003 წელს დამატებითი შემოსავლები ნავთობის ექსპორტიდან 33 მლრდ დოლარის ოდენობით. ამ წელს საერთო საექსპორტო შემოსავლებიდან საუდის არაბეთმა მიიღო 19,9 მლრდ დოლარი, არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა – 16,6 და ქუვეითმა – 5,1 მლრდ დოლარი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ერაყს მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში ნავთობის დადგენილი მარაგის ოდენობით. მრავალი ექსპერტი ვარაუდობდა, რომ აშშ დაიწყებდა ნავთობის უკონტროლო მოპოვებას, რაც გამოიწვევდა ნავთობზე ფასების მკვეთრ დაცემას. თუმცა 2008 წელს ნავთობის ფასმა შეადგინა 130,52 დოლარი ბარელზე. ლონდონში გლობალური ენერგეტიკული ცენტრის დირექტორის (ერაყის ნავთობის მრეწველობის მინისტრის ყოფილი მოადგილე) – ფადილ ჩალაბის განცხადებით, 2010 წლისათვის ერაყში ნავთობის მოპოვებამ შეიძლება მიაღწიოს 8 მლნ ბარელს დღეში, რისთვისაც აუცილებელია ამ სფეროში დაახლ. 25-40 მლრდ დოლარის ინვესტირება. ქვეყანაში ომის შემდეგ არსებული არასტაბილური ვითარების პირობებში ნაკლებ სავარაუდოა, რომ ნავთობკომპანიებმა ასეთი ინვესტიციები განახორციელონ ამ ქვეყანაში. ამდენად, მისი აზრით უფრო რეალისტურია პროგნოზი, რომ 2010 წლისათვის ერაყში ნავთობის მოპოვება არ გადააჭარბებს 4-4,5 მლნ ბარელს დღეში.

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, ალ-კა'იდას ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერებმა – უსამა ბინ ლადინმა და აიმან აზ-ზავაჰირმა განაცხადეს, რომ დარტყმას მიაყენებდნენ ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების, მათ შორის სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების ნავთობის ინფრასტრუქტურას. ამ განცხადების შემდეგ სპარსეთის ყურის ქვეყნები პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. 2006 წლის თებერვალში პირველი თავდასხმა განხორციელდა აბკაიკის (საუდის არაბეთი) სანავთობო კომპლექსზე, რომელზედაც გადის 7 მლნ ბარელი ნავთობი, რაც შეადგენს ქვეყნის სანავთობო წარმოების 2/3-ს. 2007 წელს საუდის არაბეთის სპეცსამსახურებმა დააპატიმრეს 127 ეჭვმიტანილი (სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციებიდან), რომლებიც გეგმავდნენ თავდასხმას საუდის არაბეთის, ქუვეითის, არაბთა გაერთიანებული საამიროების ნავთობის დანადგარებზე. ამდენად, ბოლო წლებში სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნები ადგენენ პროექტებს ნავთობის ტრანსპორტირების ახალი მარშრუტების შესამუშავებლად. მარშრუტების რიცხვის ზრდა, მათი აზრით, ხელს შეუწყობს ამ ქვეყნების ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. უახლოეს 5 წელიწადში სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნები აპირებენ ნავთობქიმიურ მრეწველობაში 120 მლრდ დოლარის ინვესტირებას. ეს ბევრად აღემატება 2000 წლის მონაცემებს (52 მლრდ დოლარი). ამ კაპიტალდაბანდების ძირითადი ინვესტორები არიან საუდის არაბეთი (63%) და კატარი (14%).

შეიძლება ითქვას, რომ სანავთობო სექტორი ასრულებს უპრეცედენტო როლს სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების ეკონომიკაში. თუმცა, ამ ქვეყნებს სჭირდებათ ეფექტური პოლიტიკის შემუშავება სანავთობო სფეროში ოპეკის წევრ-ქვეყნებთან ერთად, რათა შეინარჩუნონ ნავთობის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების მოცულობა. ამასთანავე, ამ ქვეყნებმა ეფექტურად უნდა გამოიყენონ სანავთობო შემოსავლები და წარმართონ ისინი ეროვნული ეკონომიკის დივერსიფიკაციისათვის.

წყლის რესურსები არაბულ ქვეყნებში

წყლის რესურსების სიმცირე სერიოზული პრობლემაა არა მარტო ცალკეულ რეგიონებში, არამედ მსოფლიო მასშტაბით. XXI საუკუნის დასაწყისში წყალი „გამ-ჭვირვალე ოქროდ" მოიხსენიება. გაეროს დაგეგმარებისა და განვითარების კომი-ტეტის წყლის რესურსების მართვის მუშა ჯგუფმა ჯერ კიდევ 1990 წელს მოუწოდა მსოფლიო საზოგადოებრიობას შეემუშავებინათ გლობალური სტრატეგია წყლის რესურსების გამოყენების თაობაზე. ზოგიერთ ქვეყანაში სასმელი წყლით უკმარი-სობა იძენს ეროვნული კატასტროფის სახეს. 2000 წლის 3 აპრილს გაეროს გენერა-ლური მდივანი კ. ანანი გამოვიდა „ათასწლეულის მოხსენებით", რომელშიც წყლის რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემა საერთაშორისო საზოგადოებრიობის უპირველესი ამოცანების რიცხვში დაასახელა. ციფრები და ფაქტები იმაზე მეტყვე-ლებს, რომ ეკოლოგიური და დემოგრაფიული ფაქტორების გავლენით XXI საუკუნის შუა წლებში წყლით მომარაგება გლობალური პრობლემა გახდება.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით წყლით მომარაგების პერსპექტივა უარესდება. 1935 წელს წყლის უკმარისობას განიცდიდა დედამიწის მოსახლეობის 40%-ზე მეტი, ხოლო 2025 წლისათვის ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება კაცობრიობის ნახევარი. მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის მონაცემებით, განახლებადი წყალი წლიურად ერთ სულ მოსახლეზე მთელს მსოფლიოში 1990 წელს იყო 40%-ით უფრო მცირე, ვიდრე 1969 წელს, ხოლო 1990 წლიდან 2025 წლამდე შემცირდება 30%-ით. რაც შე-ეხება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს და ჩრდილოეთ აფრიკას, აქ მოსალოდნელია ერთ სულ მოსახლეზე განახლებადი წყლის მოცულობის თითქმის 5-ჯერ შემცირე-ბა. ამასთანავე, წყლის რესურსების დიდი ნაწილი მარილიანია, მტკნარი წყლის წი-ლი მხოლოდ 2,5%-ია. წყლის დაახლ. მესამედი არის მყინვარებში. ამიტომ სასმელად ვარგისი წყლის წილი 1%-მდე მცირდება. ფაქტობრივად, დედამიწის მოსახლეობის რაოდენობა 6 მლრდ-ს აღწევს, რომელიც იყენებს მისთვის მისაწვდომი მტკნარი წყლის თითქმის ნახევარს. 2025 წლის დასაწყისისათვის, ეს წილი გაიზრდება 70%-მდე, მოსახლეობის 8 მლრდ-მდე გაზრდის გამო. მომავალში შესაძლებელია ამ წი-ლის გაზრდა 90%-მდე, თუ წყლის მოხმარების ტემპი ამ დონეზე შენარჩუნდება და მხოლოდ 10% დარჩება ცხოველებისა და მცენარეებისათვის. უკანასკნელ პერიოდ-ში ტექნიკური მიღწევების მიუხედავად, მსოფლიოს 31 ქვეყანა, 1,11 მლრდ ადამია-ნი ვერ იღებს სასმელ წყალს საკმარისი ოდენობით და მხოლოდ 2,4 მლრდ ადამიანი სარგებლობს თანამედროვე კანალიზაციით. ყოველწლიურად იღუპება 2,2 მლრდ ადამიანი იმ დაავადებებით, რომლებსაც იწვევს სასმელი წყლის დაბინძურება, მათ შორის ცუდად აღჭურვილი საკანალიზაციო სისტემა. სავარაუდოა ვითარების გარ-თულება, განსაკუთრებით ჩრდილოეთ აფრიკასა და დასავლეთ აზიაში. გაეროს მო-ნაცემებით, ეგვიპტემ აიღო ვალდებულება, რომ 2015 წლისათვის უზრუნველყოფს ყველა თავის მოქალაქეს მტკნარი წყლით (დღეისათვის მოსახლეობის მხოლოდ 98% არის უზრუნველყოფილი მტკნარი წყლით). 1955 წელს ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის მხოლოდ სამ ქვეყანას (ბაჰრაინი, იორდანია, ქუვეითი) ჰქონდა წყლის პრობლემა. 1990 წლისათვის ეს რიცხვი 11-მდე გაიზარდა (მათ შორისაა ალ-ჟირი, სომალი, საამიროები და იემენი). 2025 წლისათვის ამ ქვეყნებს დაემატება კი-დევ 7 ქვეყანა (ეგვიპტე, ეთიოპია, ირანი, ლიბია, მაროკო, ომანი და სირია).

მსოფლიოში წყლის ძირითადი ნაწილი გამოიყენება სოფლის მეურნეობის სა-ჭიროებისათვის, რომლის წილად მოდის ყოველწლიურად გამოყენებული წყლის 23%. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მრეწველობა უფრო კარგად არის განვითარებული, ვიდრე სოფლის მეურნეობა. უკანასკნელ წლებში შესაძლებელია კონკურენციის გამწვავება სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას შორის და სას-

მელი წყლის მზარდი უკმარისობა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, სადაც შეიმჩნევა მოსახლეობის და მრეწველობის სწრაფი ზრდა.

წყლის კრიზისის ძირითად მიზეზად ითვლება არსებული რესურსების მუდმივი დაბინძურება, რადგანაც ყოველწლიურად დაახლ. 2 მლნ ტონა საკანალიზაციო ნარჩენები ჩადის მდინარეებში, ტბებში და სხვა წყალსაცავებში. ითვლება, რომ დაბინძურებული მტკნარი წყლის მოცულობა მსოფლიოში უტოლდება 10 უმსხვილესი მდინარის ბასეინებში არსებული წყლის მოცულობას. ინტენსიურად ხდება წყლის დაბინძურება ნავთობპროდუქტებით. ყოველწლიურად ხმელთაშუა ზღვაში უშვებენ 1,5 მლნ ტონამდე ნავთობს. თუ მოსახლეობის ზრდასთან ერთად გაიზრდება წყლის დაბინძურებაც, 2025 წლისათვის კაცობრიობა მხოლოდ ერთ წელიწადში დაკარგავს 9-ჯერ მეტ წყალს, ვიდრე მსოფლიოს ქვეყნები ახლა იღებენ ყოველწლიურად სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის.

არაბული ქვეყნები ძირითადად დამოკიდებულია სამ დიდ მდინარეზე – ნილოსი, იორდანე, ტიგროსისა და ევფრატის აუზი.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს წყლით მომარაგების მდგომარეობის ცვლილება იმ არაბულ ქვეყნებში, რომლებიც განლაგებულია გვალვიან ზონაში. 1998 წლის ბოლოს ვაშინგტონის უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა წყლის რესურსებით სარგებლობას. იემენის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წყლის წლიური მოხმარების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე (130 კუბ. მ.) 10-ჯერ უფრო ნაკლებია იმ მინიმუმზე, რომელიც დადგენილია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ (1700 კუბ.მ. წელიწადში).[26] იმ დროს იემენის ქალაქ ტაიზში წყალი შემოდიოდა 40 დღეში ერთხელ. სოფლის მოსახლეობის ნახევარი თავის მოთხოვნას წყალზე იკმაყოფილებდა საერთო წყალსადენის ქსელის საშუალებით, რომელიც არ პასუხობდა დადგენილ სანიტარულ ნორმებს. არსებული წყლის რესურსების შევსება წელიწადში 4-ჯერ ჩამორჩებოდა მათ ხარჯვას. იემენი ძალიან მნირად მარაგდება წყლის რესურსებით. იქ არ არის მდინარეები და წყლით მომარაგება ხდება წვიმის წყლით. ნალექების რაოდენობა კი დამოკიდებულია ამ რაიონის კლიმატურ, ტოპოგრაფიულ და გეომორფოლოგიურ თავისებურებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. გრუნტის წყლები იქ მთავარი წყლის რესურსია. ინტენსიურად არის გამოყენებული არტეზიული ჭები. მოსახლეობის დიდი ნაწილი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. იემენს მტკნარი წყლის მოძიებასა და მოპოვებაში დახმარებას უწევს მსოფლიო ბანკი, რამდენიმე ჰოლანდიური და გერმანული კომპანია. განსაკუთრებით კრიტიკულია მდგომარეობა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, რადგანაც აქ ნალექების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ჩრდილოეთში. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 100-400 მმ-ია. წყალი საკმარისი არ არის არც საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის და არც სოფლის მეურნეობისათვის. ამიტომ დაიწყო ზღვის წყლის გამტკნარება, რისთვისაც ადენში აშენდა გამამტკნარებელი ქარხანა. იემენში მხოლოდ 63 მლნ კუბ. მ. წყალს მოიპოვებენ წელიწადში.

აფრიკული ბანკის სპეციალისტების გამოთვლებით, აფრიკის მოსახლეობის წყლით მომარაგების გაუმჯობესებისათვის 2015 წლამდე აუცილებელია 10 მლრდ დოლარის მოძიება. ამ შემთხვევაში აფრიკის მოსახლეობის 80% ისარგებლებს მტკნარი წყლით, ხოლო მასობრივი ინვესტიციების შემთხვევაში 2025 წლისათვის წყლით მომარაგება ნორმალურ ზღვარს მიაღწევს მთელს „შავ კონტინენტზე". დღეისათვის ალჟირში სერიოზული პრობლემაა დიდი ქალაქების მტკნარი წყლით მომარაგება. ალჟირში მომზადდა სამი პროექტი, რომლებიც ითვალისწინებს გიგან-

[26] ეს მაჩვენებელი გათვალისწინებულია ერთ სულ მოსახლეზე საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მოხმარებისათვის. არაბული ქვეყნებიდან ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს ერაყს, რომლის ერთ მცხოვრებზე მოდის საშუალოდ 1500 კუბ. მ. წყალი წელიწადში.

ტური მიწისქვეშა ტბიდან წყლის გადმოქაჩვას ხმელთაშუაზღვის გასწვრივ გადაჭიმულ ე.წ. მაღალ პლატოზე. ეს ტბა არის საჰარის უდაბნოს ქვეშ, ალჟირის, თუნისის და ლიბიის საზღვრების შესაყართან. მისი ფართობი არის 1 მლნ კვ. კმ. წყლის მარაგი 60000 მლრდ კუბ. მ. წყალს შეადგენს. ამჟამად მხოლოდ ლიბია სარგებლობს ამ ბუნებრივი წყაროთი. ალჟირში დაიწყეს ზღვის წყლის გამტკნარებაც. ალჟირის ხელისუფლების მიერ დამტკიცებული გეგმა ითვალისწინებს 13 წყლის გამამტკნარებელი სადგურის მშენებლობას, რაც ალჟირს 2009 წლის ბოლოს მისცემს 2,26 მლნ. კუბ. მ. წყალს დღეში. ქ. ალჟირში და ორანში უკვე მოქმედებს 2 სადგური. დანარჩენი სადგურების მშენებლობაზე კონტრაქტები უკვე გაფორმებულია და განხორციელების სტადიაშია. ალჟირში ინტენსიურად მიმდინარეობს აგრეთვე კაშხლების მშენებლობა.

ნილოსის წყლით მომარაგების პრობლემა არის ეგვიპტის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელსაც ხელისუფლება უყურებს ეროვნული უსაფრთხოების პრიზმაში. ჰეროდოტემ ეგვიპტეს უწოდა „ნილოსის საჩუქარი". ეგვიპტე მდებარეობს ნილოსის ქვემო დინებაში, რის გამოც ის დამოკიდებულია იმ ქვეყნებზე, რომლებიც მდებარეობენ ამ უმსხვილესი აფრიკული მდინარის ზემო დინებაში (სუდანი, ეთიოპია, კენია, უგანდა, ბურუნდი, ტანზანია, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ერითრეა). რიგი აფრიკული ქვეყნები (განსაკუთრებით ეთიოპია, რომელიც აკონტროლებს ნილოსის შესართავების 85%-ს) ითხოვენ 1959 წლის ნოემბერში ეგვიპტესა და სუდანს შორის დადებული ხელშეკრულების გადახედვას ნილოსის წყლების გადანაწილებასთან დაკავშირებით. მათი აზრით, ის მოძველებული დოკუმენტია, რომელშიც არაა გათვალისწინებული „შავი კონტინენტის" ეკონომიკური და დემოგრაფიული რეალიები. ამ აფრიკული მდინარით სარგებლობის პრივილეგირებული უფლება მინიჭებული აქვთ კაიროს და ხართუმს. აღნიშნული ხელშეკრულებით, ეგვიპტე ყოველწლიურად იღებს 55,5 მლრდ კუბ. მ. წყალს, მაშინ როცა სუდანი იღებს 18,5 მლრდ კუბ. მ. წყალს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნილოსის აუზის ქვეყნებში 160 მლნ ადამიანი ცხოვრობს და მათი რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება 2,5 მლნ-ით. ეგვიპტის მოსახლეობის 98% ცხოვრობს ნილოსის დელტაში. ამ ხელშეკრულების გადახედვით და, აუზის 10 ქვეყნის მონაწილეობით, ახალი საერთაშორისო ხელშეკრულების დადებით შეიძლება შემცირდეს ეგვიპტის კვოტა. ამდენად, ეგვიპტე ამ ხელშეკრულების გადახედვის წინააღმდეგია. თავის დროზე ასუანის კაშხლის აღმასრულებელმა დირექტორმა მუჰამად ალ-'ამირ 'უსმანმა განაცხადა: „1959 წლის ხელშეკრულების დარღვევა ჩვენი საზღვრების დარღვევის ტოლია". ეგვიპტემ და სუდანმა მოილაპარაკეს ერთობლივად იმოქმედონ „წყლის საკითხებში". 2000 წლის 21-22 თებერვალს კაიროში ჩატარდა კონფერენცია დევიზით – „არაბული წყლის უსაფრთხოება". ძირითადი რეკომენდაცია იყო სოფლის მეურნეობაში გამოყენებული წყლის მოცულობის შემცირება 80%-დან 65%-მდე. მეზობელ ქვეყნებთან ერთად ეგვიპტე მდინარის სათავეებთან ამუშავებს პროექტებს წვიმის წყლის დასაგროვებლად. დღეისათვის ნილოსის დელტაში გამოიყენება წვიმის წყლების მხოლოდ 20%. ეს არის დამატებითი წყარო მორწყვისათვის, ძირითადად ზამთრის კულტურებისათვის. თუმცა ეგვიპტე ღარიბია ნალექების წლიური ოდენობით, ქვეყნის სამხრეთში კი საერთოდ არ მოდის ნალექები. ეგვიპტეში მუშავდება აგრეთვე პროექტები ზღვის წყლის გამტკნარებაზე. ქვეყანაში ზღვის სანაპირო ზოლის სიგრძე 2140 კმ-ია, რაც ქმნის პირობებს დიდი ოდენობით გამამტკნარებელი ქარხნების მშენებლობისათვის. 2008 წლის გაზაფხულზე კაიროში შედგა კონფერენცია წყლით მომარაგების პრობლემებზე, სადაც გადაწყდა არაბული წყლის საბჭოს შექმნა, რომელიც გადაწყვეტს საკითხებს, რაც დაკავშირებულია მტკნარი წყლის მიღებისათვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან, ახალი წყლის რესურსების მოძიებასთან და გაუდაბნოებასთან ბრძოლასთან. ამ კონფე-

რენციაზევე მიიღეს „არაბული წყლის რესურსების კაიროს დეკლარაცია", რომელშიც განსაზღვრულია არაბული სამყაროს წყლით მომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი დაძლევის საერთო სტრატეგია.

რაც შეეხება ტიგროსისა და ევფრატის ხეობას, აქაც არის კრიზისი. 1980 წელს შეიქმნა ერთობლივი ტექნიკური კომიტეტი ტიგროსსა და ევფრატზე, რომელსაც უნდა მოემზადებინა მოხსენებები და წინადადებები ევფრატის წყლების სამართლიანი განაწილებისათვის სამ ქვეყანას (თურქეთი, ერაყი, სირია) შორის. 1981 წელს თურქეთმა დაიწყო მშენებლობა „სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის დიდი პროექტის" ფარგლებში, რომელიც მოიცავდა 13 პროექტს მორწყვის სისტემასა და ჰიდროენერგიის გამომუშავების თაობაზე. ეს პროექტები ითვალისწინებდა 22 კაშხლისა და 19 ჰესის მშენებლობას. 1990 წლის 13 იანვარს თურქეთმა ერთი თვის ვადით, 1990 წლის 13 თებერვლამდე, გადაკეტა წყლის მიწოდება მდ. ევფრატიდან ერაყსა და სირიაში, რათა შეევსო წყალსაცავი. თურქეთის წარმომადგენელმა ამაზე განაცხადა: „არავინ არ აშენებს კაშხალს, რომელსაც გამოიყენებენ როგორც ყველასათვის მისაწვდომ მუზეუმს". თურქეთმა არ გაითვალისწინა სირიისა და ერაყის პროტესტი მიმდინარე სამუშაოების თაობაზე და გააგრძელა პროექტის განხორციელება. ათათურქის კაშხალი გაიხსნა 1992 წლის ივლისში. 1987 წელს ხელმოწერილი პროტოკოლის მიხედვით, თურქეთი ვალდებული იყო უზრუნველეყო სირიისა და ერაყისათვის წამში 500 კუბ. მ. ევფრატის წყლის მიწოდება. ამასთანავე, ამ მოცულობის 40% განკუთვნილი იყო სირიისათვის, ხოლო დანარჩენი – ერაყისათვის. 90-იანი წლების დასაწყისში თურქეთმა დაარღვია ეს შეთანხმება და დაიწყო კაშხლების კასკადის მშენებლობა. 1992 წელს სამმხრივმა კომისიამ მუშაობა შეწყვიტა. 1996 წლის 21 მარტს არაბულ სახელმწიფოთა ლიგის საბჭომ მიიღო რეზოლუცია №553, რომლითაც მხარი დაუჭირა ერაყის და სირიის პოზიციას ტიგროსისა და ევფრატის „საერთაშორისო მდინარეებად" ცნობისა და ამ მდინარეების წყლის რესურსების სამართლიანი განაწილების შესახებ. რეზოლუციაში თურქეთის მისამართით გამოთქმული იყო მუქარა, რომ ანკარის მიერ დამასკოსა და ბაღდადის ინტერესების იგნორირების შემთხვევაში მოუწოდებდნენ საერთაშორისო ფინანსურ სტრუქტურებს თავი შეეკავებინათ სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის პროექტის დაფინანსებისაგან. არაბთა ლიგის საბჭოს მცდელობებმა შედეგი ვერ გამოიღო. 2001 წლის ზაფხულში სირიის დედაქალაქი დამასკო განიცდიდა წყლის მკვეთრ დეფიციტს. მოსახლეობას წყალი მიეწოდებოდა დღე-ღამეში მხოლოდ 4-6 საათი. ასეთი კატასტროფული სიტუაციის მიზეზი გახდა ხანგრძლივი გვალვის შედეგად აინ ალ-ფიჯას წყაროს ამოშრობა, რომელზედაც თითქმის მთლიანად იყო დამოკიდებული დამასკოს წყლით მომარაგება. ამ რთულ ვითარებაში 2001 წლის ზაფხულში მიაღწიეს კომპრომისს სირიასა და თურქეთს შორის წყლის რესურსების სამართლიანი გამოყენების თაობაზე. მხარეები შეთანხმდნენ აეშენებინათ ერთობლივი ჰიდროკვანძები ევფრატსა და ტიგროსზე, ხოლო თურქეთის მხარეს უნდა განეახლებინა მუშაობა სამმხრივ კომისიაში (სირია, თურქეთი, ერაყი) ორი დიდი მდინარის წყლების განაწილების თაობაზე. კომისიამ მუშაობა განაახლა მხოლოდ 2007 წელს.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქმე უფრო რთულად არის. ამის მიზეზია უთანხმოება სირიასა და ისრაელს შორის ტიბერიადის ტბის (გალილეის ზღვა) გამო, რომელიც ოკუპირებულია ისრაელის მიერ გოლანის მაღლობებთან ერთად ჯერ კიდევ 1967 წელს. ისრაელისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ წყალსაცავის შენარჩუნება, ამიტომ თელ-ავივს განზრახული აქვს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ამ საკითხზე მოხდეს ორ სახელმწიფოს შორის სამშვიდობო დარეგულირების საერთო პაკეტში. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც თელ-ავივი არ უბრუნებს სირიას 1967 წელს ოკუპირებულ გოლანის მაღლობებს, არის ის ფაქტი, რომ რაიონი მდიდარია წყლის რესურსებით. იქიდან იღებს სათავეს მრავალი მდინარე, რომლის

წყლებითაც სარგებლობს ისრაელი, სირია, ლიბანი, იორდანია და პალესტინა. აქ არის აგრეთვე მინისქვეშა ბრეები და გრუნტის წყლები. წყლის დეფიციტია მდ. იორდანეს აუზის ქვეყნებში, განაპირობებს ოთხი მთავარი მიზეზი: 1. ნაკლები ბუნებრივი პირობები; 2. მოსახლეობის სწრაფი ზრდა; 3. გარეთოს უყარაითი გამოყენება (რეგიონის ქვეყნები გეგმავენ და აშენებენ დიდი მასშტაბის კაშხლებსა და სხვადასხვა ნაგებობებს და არ ითვალისწინებენ მათ ნეგატიურ მხარეებს); 4. მანკიერი პოლიტიკა (წყლის მოხმარების პოლიტიკა მუშავდება მეზობელი ქვეყნებისა და მომავალი საჭიროებების გაუთვალისწინებლად). 1991 წლიდან სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების შემდეგ, წყლის რესურსების გადანაწილების პრობლემაც აქტიურად განიხილებოდა. შეიქმნა მუშა ჯგუფი წყლის პრობლემის კვლევის დარგში. 1993 წლის 1 ოქტომბერს ვაშინგტონში, იორდანია-ისრაელის მოლაპარაკებების დროს, შეიქმნა სამმხრივი იორდანია-ისრაელი-აშშ-ს კომიტეტი. მის მოვალეობაში შედიოდა წყლის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. 1994-1997 წლების ორმხრივი შეთანხმებებით, ისრაელი ვალდებული იყო მიეწოდებინა იორდანიისათვის ტიბერიადის ტბის წყალი (4-4,3 მლრდ კუბ. მ.). 2008 წლის მონაცემებით, ერთ იორდანელზე მოდის 170 კუბ. მ. ვარაუდობენ, რომ იორდანიის მოსახლეობის რაოდენობა 2020 წლისათვის 8 მლნ-ს მიაღწევს და იორდანიას დასჭირდება 1384 მლნ კუბ. მ. მტკნარი წყალი წლიურად. წყლის საკითხმა გამორჩეული ადგილი დაიკავა ისრაელ-პალესტინის 1995 წლის 28 სექტემბრის ხელშეკრულებაში, რომელსაც ოსლო II-ც ეწოდება. მისი მე-40 მუხლი პირდაპირ ეხება წყლის პრობლემას. ამ მუხლის პირველ პარაგრაფში ისრაელი აღიარებს პალესტინელთა უფლებას დასავლეთი ნაპირის წყლებზე. შეთანხმების მეორე ნანილით პალესტინელებს გადაეცათ „დამატებითი წყლის რესურსები". შეთანხმების საფუძველზე ჩამოყალიბდა აგრეთვე სანყისი მექანიზმი წყლის რესურსების სფეროში – „ერთიანი წყლის კომიტეტის" სახით, რომელშიც თითოეულ მხარეს ერთნაირი უფლებები მიენიჭა. მიღწეული შეთანხმებების მიუხედავად, 1997 წელს ისრაელის ხელისუფლების სათავეში ბენიამინ ნეთანიაჰუს მოსვლის შემდეგ, ურთიერთობები ისრაელსა და მის უახლოეს არაბულ ქვეყნებს შორის მკვეთრად „გაცივდა". ამან გავლენა იქონია წყლის პრობლემების მშვიდობიან მოგვარებაზე. ლიბანისა და ისრაელის დავისა და კონფლიქტის საგანი არის მდინარეები ლიტანი, ჰასბანი და მათი მრავალრიცხოვანი შენაკადები. ლიტანის სიგრძე 145-დან 160 კმ-დე მერყეობს, ხოლო აუზის საერთო ფართობი 1940 კვ. კმ-ია. მდ. ლიტანიდან მიღებული წყლის მოცულობა ყოველწლიურად შეადგენს 700-900 მლნ. კუბ. მ-ს, ხოლო ჰასბანიდან – 150 მლნ კუბ. მ-ს. 1978 და 1982 წელს ისრაელმა განახორციელა ორი ოპერაცია ლიბანში და მოახდინა სამხრეთ ლიბანის მნიშვნელოვანი ტერიტორიის (900 კვ. კმ.) ოკუპაცია. ისრაელმა დააარსა უსაფრთხოების ბუფერული ზონა, რომელშიც შევიდა 85 დასახლება და 180 ათასი მცხოვრები. ექსპერტთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ისრაელი ამ პერიოდის განმავლობაში მდ. ლიტანის წყლებს ტუმბავდა იორდანეში. ამასთანავე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღარ ნარმოებდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები და ვაზანის და ჰასბანის წყლების მთელი ნაკადი მდ. იორდანეში ჩადიოდა. 2000 წლის მაისში ისრაელი გავიდა უსაფრთხოების ზონიდან და შესაბამისად, ლიბანის მთავრობამ დაიწყო ქვეყნის სამხრეთ რაიონების ეკონომიკური აღორძინების გეგმების დამუშავება. 2002 წელს დაიწყო ახალი პროექტის რეალიზაცია, რომელიც ითვალისწინებს მდ. ჰასბანის ბაზაზე ახლომდებარე 15-20 სოფლის ყოველდღიურად 10-10 ათასი კუბ. მ. წლით მომარაგების უზრუნველყოფას.

კრიტიკულ მდგომარეობაშია არაბეთის ნახევარკუნძულიც. ომანის სულტანს, კაბუსს, მიეწერება შემდეგი გამონათქვამი: „ნავთობი მნიშვნელოვანია, მაგრამ წყალი უფრო მნიშვნელოვანია". აქაც იგივე პრობლემებია, რაც იემენში. მინისქვეშა წყლები უკონტროლოდ გამოიყენება ფერმერების მიერ სარწყავად. 1990 წელს

სულტანმა შესაბამისი ბრძანება გამოსცა, მაგრამ პრობლემა მაინც არსებობს. არაბეთის ნახევარკუნძულზე ძირითადად მიმართავენ ზღვის წყლის გამტკნარებას. არაბული ქვეყნები ამ გზით იღებენ მოხმარებული წყლის დაახლ. 70%-ს. დადგენილია, რომ 2010 წლისათვის ამ ქვეყნებს დასჭირდება ორჯერ მეტი წყალი, ვიდრე მოიხმარდნენ გასული საუკუნის ბოლოს. წყლის გამტკნარებას შეძლებენ მხოლოდ ძალიან მდიდარი ქვეყნები, რადგანაც დიდი კაპიტალდაბანდებების გარდა ის მოითხოვს მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებას. ქუვეითი უკვე გასული საუკუნის ბოლოს თავის მოთხოვნას წყალზე 65%-ით იკმაყოფილებდა სწორედ გამტკნარებული წყლით. არაბულ ქვეყნებში გამოიყენება სამჯერ მეტი გრუნტის წყლები, ვიდრე ბუნებას შეუძლია მისი აღდგენა. საუდის არაბეთი თავის მოთხოვნას მტკნარ წყალზე 75%-ით იკმაყოფილებს არაგანახლებადი მიწისქვეშა რესურსებით. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ქუვეითის მოსახლეობა იხდის გამტკნარებული წყლის ღირებულების 10%-ს, საუდის არაბეთის მოსახლეობა – 12%-ს, ხოლო კატარელები უფასოდ სარგებლობენ.

არაბული ქვეყნებისათვის წყლის რესურსების ძირითადი წყარო არის გრუნტის წყლები, ხოლო მდიდარი ქვეყნებისათვის – გამტკნარება. იემენში, სუდანში და მავრითანიაში ძირითადად ხდება წვიმის წყლის დაგროვება, მაგრამ ასეთი ვითარება, მოსახლეობის ზრდის გამო, დიდხანს არ გაგრძელდება. ამიტომ წყლის რესურსებისათვის კონფლიქტების წარმოშობის შესაძლებლობა იზრდება, დაჩქარდება ვრცელი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების გაუდაბნოება და სხვა არასასურველი შედეგები. კემპ-დევიდის ხელშეკრულების ხელმოწერის (1978წ.) შემდეგ, ეგვიპტის პრეზიდენტმა ა. სადათმა განაცხადა: „ახალი ომის მიზეზი ეგვიპტესა და ისრაელს შორის შეიძლება გახდეს მხოლოდ წყალი". ანალიტიკოსები ხუმრობენ, რომ მშვიდობის ფორმულა ახლო აღმოსავლეთში ძალიან მარტივია – H_2O. წყლის კრიზისი აღრმავებს სასურსათო კრიზისს არაბულ ქვეყნებში.

სასურსათო კრიზისი არაბულ ქვეყნებში

XXI საუკუნეში მსოფლიოს მრავალი ქვეყანა უპრეცედენტო სასურსათო კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. 2008 წლის ივნისში რომის სამიტზე, რომელიც ეძღვნებოდა სასურსათო პრობლემას, გაეროს გენერალურმა მდივანმა – პან გი მუნმა აღნიშნა, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე სურსათზე ფასებმა მიაღწია უკიდურესად მაღალ დონეს. მან მოუწოდა სახელმწიფოთა ლიდერებს შეამცირონ ტარიფები იმპორტზე.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროგრამა ითვალისწინებს არა მარტო სასურსათო მარაგის მოცულობის გაზრდას, არამედ კვების პროდუქტების წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას. ამ მიმართულებით აფრიკისა და აზიის მრავალი სახელმწიფო გეგმავს შეიძინოს საკუთრებაში ან იჯარით აიღოს მიწის ნაკვეთები საზღვარგარეთ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად. მაგ., სამხრეთ კორეა განიხილავს სუდანში სოფლის მეურნეობის წარმოების შესაძლებლობას. ლიბია და ეგვიპტე ცდილობენ მოელაპარაკონ უკრაინას მიწის ნაკვეთების არენდასთან დაკავშირებით. არაბთა გაერთიანებული საამიროები და საუდის არაბეთი გეგმავენ კაპიტალდაბანდებების განხორციელებას, რათა შეიძინონ სხვა ქვეყნების ტერიტორიები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

გაეროს მონაცემებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ფასები ბრინჯზე და სხვა მარცვლოვან კულტურებზე. აზიაში, სადაც ბრინჯი ერთ-ერთი ძირითადი მოხმარების პროდუქტია, 3-ჯერ გაიზარდა ფასი ერთ წელინადში.

2008 წლის 21 ივლისს გაეროს შტაბ-ბინაში, ნიუ-იორკში, ჩატარდა 2 დღიანი დებატები, რომლებიც ეძღვნებოდა სასურსათო პრობლემებს. დებატებში მონაწილეობა მიიღო 192 ქვეყანამ, მათ შორის არაბულმა ქვეყნებმა. სასურსათო კრიზისის მიზეზებად დასახელდა: ა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქტების უკმარისობა მსოფლიო ბაზრებზე ზოგიერთი სახელმწიფოს (მაგ., ჩინეთის) სასურსათო მოთხოვნილების მკვეთრი ზრდის გამო; ბ) ცუდი ბუნებრივი პირობები სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსაყვანად (გვალვა, წყლის რესურსების უკმარისობა და სხვ.); გ) ენერგორესურსებზე ფასების მატება; დ) ბიოლოგიური საწვავის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა; ე) ზოგიერთი ქვეყნის მიერ შეზღუდვის დაწესება კვების პროდუქტებით ვაჭრობაზე საერთაშორისო დონეზე.

სასურსათო სფეროში არსებული სიტუაციის ცვლილებისათვის აუცილებელია მრავალმილიარდიანი ინვესტიციები ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, ასევე სასოფლო-სამეურნეო ფართობების შესყიდვისა და არენდისათვის საზღვარგარეთ.

არაბულ სამყაროში ძალიან დაბალია მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი. მაგ., ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ მოდის 77 კგ ხორბალი (მსოფლიო საშუალო მაჩვენებელი არის 101 კგ). შესაბამისად, შაქარზე ეს მაჩვენებელი არის 9,7 კგ – 19,7 კგ, ხორცზე – 16,4 და 33,4 კგ, თევზზე – 7 და 18,3 კგ., ხოლო რძის პროდუქტებზე – 53 და 95 კგ. არაბული ქვეყნები არის კვების პროდუქტების მსხვილი იმპორტიორი მსოფლიოში. ისინი კვების პროდუქტებზე მოთხოვნილების 50%-ზე მეტს მხოლოდ იმპორტის ხარჯზე აკმაყოფილებენ. იმპორტირებული სურსათის 5-10% მოდის ხორბალზე – რეგიონის ძირითად პროდუქტზე. სირიაში, ეგვიპტესა და ლიბიაში სახელმწიფო სუბსიდიებს გასცემს მთელ რიგ კვების პროდუქტებზე. ესენია: ფქვილი, შაქარი, ჩაი, ყავა, მცენარეული ზეთი, ხილისა და ბოსტნეულის ზოგიერთი სახეობა. დადგენილი აქვთ აგრეთვე ზღვრული ფასები სამომხმარებლო საქონელზე – სასოფლო-სამეურნეო ინვენტარზე, სასუქებზე და სხვ.

ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების მიხედვით, არაბული ქვეყნები იყოფა 2 ჯგუფად: პირველ ჯგუფს ეკუთვნიან ქუვეითი, საუდის არაბეთი, საამიროები და

სპარსეთის ყურის ზოგიერთი სხვა ქვეყანა, რომელთა ეკონომიკა ემყარება ბუნებრივი რესურსების მოპოვებას და გაყიდვას. 1999 წელს ამ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 10-დან 20 ათას დოლარამდე მერყეობდა. 2007-2008 წლებში, ნავთობზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდის გამო, ეს შემოსავლები საკმაოდ გაიზარდა. შესაბამისად, ეს ქვეყნები ხასიათდებიან იმპორტის, მათ შორის სოფლის მეურნეობის პროდუქტების, დიდი მოცულობით. მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან დანარჩენი არაბული ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ერთ სულ მოსახლეზე საშუალო და დაბალი შემოსავლები, დაახლ. 700-6000 დოლარი. ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ექსპორტის (მაგ., ნავთობის, გაზის და ფოსფატების) და კვების პროდუქტების იმპორტის (11-დან 34%-მდე მთელი მოცულობის) მაღალი დონე. მეორე ჯგუფის ყველა ქვეყნისათვის რაღაც ხარისხით დამახასიათებელია წყლის უკმარისობის და მასთან დაკავშირებული წყლის გამტკნარების პრობლემები. პირველი ჯგუფის ქვეყნებს შემოაქვთ 100%-მდე ძირითადი კვების პროდუქტები, რასაც ახორციელებს ნავთობის გაყიდვიდან მიღებული მაღალი შემოსავლების ხარჯზე. მაგ., საამიროები კვების პროდუქტების იმპორტზე ხარჯავს დაახლ. 3 მლრდ დოლარს (2007წ.). თუმცა ყველა ქვეყანას არ შეუძლია შემოტანილი სურსათის სუბსიდირება და კომპენსაციების გაცემა მოსახლეობაზე. ასეთ ქვეყნებს ეკუთვნის ეგვიპტე, იორდანია, იემენი და ზოგიერთი სხვა ქვეყანა. მაგ., იემენს შემოაქვს მარცვლეული კულტურების დაახლ. 80% იმის მიუხედავად, რომ სერიოზული პრობლემები აქვს ეკონომიკაში. ზემოთ დასახელებულ ქვეყნებში ფასები ხორბალზე და პურზე ბოლო 1 წლის განმავლობაში (2007-2008) 2-ჯერ გაიზარდა, რამაც ამავე პერიოდში გამოინვია სიღარიბის დონის ზრდა 6%-ით. ბუნებრივია, მოვლენების ასეთი განვითარება აისახა რეგიონის მრავალი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ეგვიპტეში და ლიბიაში, მასობრივი საპროტესტო გამოსვლების აღსაკვეთად, სახელმწიფო მოსამსახურეებს მოუმატეს ხელფასები. ამან ცოტათი შეასუსტა დაძაბულობის ესკალაცია, მაგრამ პრობლემა ვერ გადაწყვიტა. ეგვიპტის ჩრდილოეთ ნაწილში ჩატარდა მასობრივი საპროტესტო აქციები, რომელსაც თან ახლდა მსხვერპლი მოსახლეობაში. მრავალი ქვეყანა სოციალური დაძაბულობის მოხსნას ცდილობს სუბსიდიების გადახდით ძირითადი მოხმარების პროდუქტებზე. ეს პრაქტიკა შემოიღეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და დღემდე არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა. სუბსიდიები გაიცემა ეროვნული შემოსავლების 0,04%-დან (მაგ., ლიბანში) 2,1%-მდე (მაგ., სირიაში). მაროკოში სუბსიდიებზე იხარჯება ეროვნული შემოსავლების 5%, ხოლო იემენში – 10%. 2008 წლის ივნისის ბოლოს ქუვეითის მთავრობამ გამოაცხადა სუბსიდიების გაზრდა ძირითადი მოხმარების პროდუქტებზე, განსაკუთრებით ბავშვის საპონზე და ხორბალზე. ქუვეითის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა, აჰმად ბაქირმა განაცხადა, რომ მისი უწყება დეტალურად განიხილავს „უსაფუძვლოდ" ფასების მომატების ფაქტებს ნებისმიერ პროდუქტებზე, მათ შორის კვების პროდუქტებზე.

არაბულმა ქვეყნებმა მთლიანობაში სასურსათო პრობლემების გადასაწყვეტად მიმართეს შემდეგ ღონისძიებებს: სუბსიდიების გაზრდა სურსათზე, ფასების მომატებაზე კონტროლის დაწესება და მკაცრი შეზღუდვა, სურსათის იმპორტზე ბაჟის შემცირება. მაგ., მაროკოში ხორბლის შემოტანაზე ბაჟი საერთოდ ნულამდე დაიყვანეს და 2008 წლის 31 მაისამდე იმპორტიორებზე სუბსიდიები გაიცემოდა სპეციალური ფონდიდან. ეგვიპტეში ნებადართული გახდა ხორბლის შემოტანა შეღავათიან პირობებში.

ანალიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პროდუქტებზე ფასების ზრდა ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში გამოიწვევს სოფლის მეურნეობის განვითარებას იმ ქვეყნებში, სადაც ხელსაყრელი პირობებია მიწათმოქმედებისათვის. ეს შესაძლებ-

ლობა მჭიდროდ უკავშირდება არსებული წყლის რესურსების ეფექტურ გამოყენებასა და ახალი წყაროების მოძიებას.

არაბული ქვეყნების დიდ ნაწილში შიდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდა შეამცირებს იმპორტის დონეს, მაგრამ უახლოეს მომავალში საერთოდ უარის თქმას ვერ შეძლებენ. აუცილებელია აგრეთვე რეგიონში მოსახლეობის მუდმივი ზრდის ფაქტორის გათვალისწინება. არსებული სტატისტიკით, მხოლოდ სპარსეთის ყურის ქვეყნებშია მოსალოდნელი მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა და 2030 წელს 60 მლნ-ს მიაღწევს.

სასურსათო კრიზისთან საბრძოლველად მრავალმა არაბულმა ქვეყანამ მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს ჰუმანიტარული და ფინანსური დახმარების თხოვნით. მაგ., იემენის მთავრობამ სთხოვა მსოფლიო ბანკს და მიიღო პირველადი დახმარება 10 მლნ დოლარის ოდენობით. არის აგრეთვე მსოფლიო სასურსათო პროგრამის ორგანიზაცია. ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს კვების პროდუქტებით წელიწადში 80 მლნ ადამიანს. არსებობს საშიშროება, რომ აღნიშნული ციფრი უახლოეს მომავალში გაიზრდება.

საინტერესოა, რომ შექმნილ ვითარებაში, არაბული ქვეყნებიდან სირია პრაქტიკულად ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც ცდილობს დამოუკიდებლად გაართვას თავი სასურსათო პრობლემას. აქ ჩატარდა სასოფლო-სამეურნეო რეფორმა და სირია გახდა კვების პროდუქტების წამყვანი ექსპორტიორი ქვეყანა რეგიონში. ქვეყნის ეროვნული შემოსავლების 25% სოფლის მეურნეობაზე მოდის. ასეთი ზრუნვა სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარებისათვის გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს, რადგანაც არაბული ქვეყნების უმრავლესობა ამჯობინებს შემოიტანოს კვების პროდუქტები.

შორეულ პერსპექტივაში სასურსათო პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელ ღონისძიებად ითვლება საკუთარი საწარმოო ბაზის შექმნა რეგიონის თითოეულ ქვეყანაში. რეგიონის ქვეყნებში არის უმუშევრობის მაღალი დონე, განსაკუთრებით მაღალია მისი წილი ახალგაზრდობაში. ექსპერტთა აზრით, სწორედ ეს ადამიანური რესურსები შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრარულ სექტორში.

სტაბილურობა, რომელიც დამახასიათებელია დღეს რეგიონის მრავალი ქვეყნისათვის, შეიძლება დაირღვეს სწორედ სასურსათო პრობლემის გამო. სხვადასხვა პოლიტიკური ძალა ცდილობს გამოიყენოს ეს სიტუაცია თავიანთი მიზნებისათვის. მათ რიცხვს მიეკუთვნება სხვადასხვა ექსტრემისტული დაჯგუფება. იორდანიაში „მუსლიმი-ძმების" წარმომადგენლები არ მალავენ, რომ მზად არიან ხელისუფლებაში მოსასვლელად ყველა შესაძლებლობა გამოიყენონ, მათ შორის სასურსათო პრობლემაც.

სასურსათო პრობლემის გადასაჭრელად ხანგრძლივვადიანი გეგმის ფარგლებში შემოთავაზებულია სხვადასხვა ვარიანტი. მაგ., მოჰყავთ ბრუნეის მაგალითი, რომელიც 70-იან წლებში შეეჯახა მსგავს პრობლემას და გადაჭრა ის ავსტრალიაში მნიშვნელოვანი მასშტაბის მინის ნაკვეთების შეძენითა და ათვისებით. ბრუნეი აღარ არის დამოკიდებული უცხოურ ბაზრებზე და შესაბამისად, მსოფლიო ბაზრებზე კვების პროდუქტებზე ფასების ცვალებადობა ველარ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას მის ეკონომიკაზე.

ერთ-ერთი მსხვილი ინვესტორი, რომელიც მოქმედებს ახლო აღმოსავლეთის ბაზარზე მიწის ნაკვეთების შესყიდვებთან და ხანგრძლივი ვადით არენდასთან დაკავშირებით, არის ჰოლდინგი – „ალ-კუდრა", რომლის შტაბ-ბინა აბუ დაბიშია. ჰოლდინგის წარმომადგენლებმა გამოაცხადეს მზადყოფნა 400 ათასი ჰა მიწის ნაკვეთის შესაძენად პაკისტანში, სირიაში, ვიეტნამში, ტაილანდში, სუდანში, ინდოეთში, მაროკოსა და ალჟირში. ამის საპასუხოდ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციაში შეიკრიბნენ სპეციალისტები, რომელთა მიზანი იყო ამგვა-

რი ინვესტიციების სავარაუდო შედეგების გამოკვლევა ორივე მხარისათვის. ამ გამოკვლევების შედეგებით, მსგავსმა ინვესტიციებმა შეიძლება მიგვიყვანოს „ნეოკოლონიალიზმამდე". ეჭვქვეშ აყენებენ აგრეთვე საკითხს, მიიღებენ თუ არა განვითარებადი ქვეყნები მოგებას მათ ეკონომიკაში სპარსეთის ყურის ქვეყნების ინვესტიციების შედეგად. ჰოლდინგის წარმომადგენლები კი ხაზს უსვამენ, რომ ამ ღონისძიებათა მიზანი ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში მხოლოდ სურსათზე ფასების დაწევაა. ანალიტიკოსები ხაზს უსვამენ აგრეთვე იმ ფაქტს, რომ აქამდე სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოცულობის ზრდა ხდებოდა მხოლოდ მოსავლიანობის ზრდის, ე.ი. ინტენსიფიკაციის ხარჯზე და არა მიწის ფართობების შეძენით. აბუ დაბის მთავრობამ უკვე დაამტკიცა გეგმა 29 ათასი ჰა მიწის ნაკვეთის შეძენაზე სუდანის ჩრდილოეთ ნაწილში, რაც უნდა განხორციელდეს 2008 წლის ბოლომდე.

მოკლევადიან პერსპექტივაში ფასების ზრდა სურსათზე ხელს შეუწყობს რეგიონის ქვეყნებში სიღარიბის დონის ზრდას. შეშფოთებას იწვევს ის ფაქტიც, რომ რეგიონის ის ქვეყნები, რომლებიც შეძლებენ სურსათის დამატებითი მარაგის შექმნას, მალე ვეღარ აღმოუჩენენ დახმარებას სუსტად განვითარებულ ქვეყნებს ჰუმანიტარული სასურსათო დახმარების სახით, რომელსაც ახლა აწარმოებენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კვების პროდუქტების მწარმოებელი ქვეყნები ზრდიან მის მოცულობას მოდიფიცირებული ხორბლისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ხარჯზე. არაბულ ქვეყნებს შორის პირველი ასეთი ტიპის მწარმოებელი ქვეყანა გახდა ეგვიპტე. ყველაფერი ეს იწვევს ექიმების და ეკოლოგების შეშფოთებას წარმოებული პროდუქციის უსაფრთხოებასთან მიმართებაში.

სოფლის მეურნეობის სფეროში სამეცნიერო კვლევები ადასტურებს, რომ არაბულ ქვეყნებს სასურსათო კრიზისის დაძლევა შეუძლიათ მხოლოდ ახალი კულტურების დანერგვით, რომლებიც მაღალ მოსავალს იძლევა და ხასიათდება მდგრადობით გარემო პირობებისადმი. ეს კი მოითხოვს დიდ მატერიალურ სახსრებს და მაღალკვალიფიციურ კადრებს, რაც მრავალი არაბული ქვეყნისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. საკმარისია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ 22 არაბულ ქვეყანაში აგრარული კვლევების სფეროში ჩართულია მთლიანად 6,5 ათასი ადამიანი, ხოლო მსოფლიოს 22 განვითარებულ ქვეყანაში – 56,3 ათასი ადამიანი. არაბულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო კვლევებზე იხარჯება 230 მლნ დოლარი წელიწადში, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში – 8,5 მლრდ დოლარი.

ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების სარკინიგზო გზებს არა აქვთ ისეთივე მნიშვნელობა ამ რეგიონის ქვეყნების სახალხო მეურნეობისათვის, როგორც აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების დიდი უმრავლესობისათვის. არაბული ქვეყნების სარკინიგზო გზების საერთო სიგრძე არის დაახლ. 25 ათასი კმ. ის სულ მცირედით აღემატება იაპონიის სარკინიგზო გზების სიგრძეს, ხოლო მგზავრთა მიმოსვლის ოდენობით უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს. არაბული ქვეყნების სარკინიგზო გზების ტვირთბრუნვა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ინდოეთის რკინიგზის ტვირთბრუნვას.

პირველი რკინიგზა აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში აშენდა ეგვიპტეში, 1855 წელს. მან შეაერთა ალექსანდრია და კაირო. შემდეგ გაჩნდა სარკინიგზო გზები მაროკოში, ალჟირში, თუნისში, სუდანში,[27] სირიაში, ლიბანსა და ერაყში (1914 წელს გაიხსნა 76 მილის სიგრძის ბაღდადის რკინიგზა, რომელმაც შეაერთა ბაღდადი და სამარა). რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვანი რკინიგზა აშენდა XX საუკუნის დასაწყისში. ეს იყო ე. წ. *ჰიჯაზის რკინიგზა*, რომელმაც დააკავშირა ორი წმინდა ქალაქი – მექა და მედინა სხვა არაბულ ქვეყნებთან (სირიასთან და იორდანიასთან). ის აშენდა 1900-1908 წლებში იტალიელი და გერმანელი ინჟინრების (დაიწყო იტალიელმა ლა ბელამ და დაასრულა გერმანელმა ინჟინერმა მეისნერმა) მიერ. რკინიგზის საერთო სიგრძე იყო 1203 კმ. მათ შორის საუდის არაბეთის ტერიტორიაზე – 740 კმ, სირიის ტერიტორიაზე – 140 კმ და იორდანიის ტერიტორიაზე – 323 კმ. დამასკოდან მედინამდე მგზავრობას სჭირდებოდა 62 სთ (საშუალო სიჩქარე 23 კმ საათში). პირველი მსოფლიო ომის დროს ეს სარკინიგზო ხაზი განადგურდა.[28] კოლონიურ პერიოდში სარკინიგზო გზები არაბულ სახელმწიფოებში შენდებოდა როგორც სამხედრო მიზნით, ისე ტვირთის გადასატანად კოლონიებში და იშვიათად – კოლონიებიდან მეტროპოლიებში. ამის გამო, იმ პერიოდის სარკინიგზო გზების დამახასიათებელი თავისებურება იყო მრავალი ლიანდაგი.

დღეისათვის მხოლოდ 11 არაბულ ქვეყანას აქვს სარკინოგზო გზები: სირია (საერთო სიგრძე 2 711კმ), ერაყი (2457კმ), ლიბანი (401კმ), იორდანია (619კმ), საუდის არაბეთი (886კმ), სუდანი (5516კმ), ეგვიპტე (5110კმ), თუნისი (2115კმ), ალჟირი (4733კმ), მაროკო (1907კმ), მავრითანია (717კმ). მხოლოდ 4 მათგანში (ეგვიპტე, საუდის არაბეთი, მაროკო, მავრითანია) გამოიყენება ფართო ლიანდაგი (1435 მმ), ორში (იორდანია, სუდანი) – მხოლოდ ვიწრო (1050-1067 მმ), ხოლო დანარჩენში ფართოც

---

[27] სუდანში სარკინიგზო გზების მშენებლობა დაიწყო ჯერ კიდევ 1873 წელს. პირველმა სარკინიგზო ხაზმა მეწამული ზღვის პორტები დაუკავშირა ბამბის მწარმოებელ რაიონებთან. 1899 წელს გაიხსნა ახალი სარკინიგზო ხაზი, რომელმაც შეაერთა ხართუმი ვადი ჰალფასთან (ეგვიპტის საზღვართან). 1901 წელს ქ. ათბარა დაუკავშირდა სუდანის პორტს, 1912 წელს ხართუმი – ქ. სენნარს (სამხრეთით) და ქ. ალ-უბაიდს (დასავლეთით). დღეს ყველაზე მეტად დატვირთულია ხართუმი – სუდანის პორტის 787 კმ-იანი სარკინიგზო ხაზი, რომლითაც ხდება იმპორტირებული და ექსპორტირებული ტვირთების გადატანა.

[28] 1955 წელს საუდის არაბეთის მთავრობამ გადაწყვიტა აღედგინა რკინიგზა და გამოყო თანხები მის დასაფინანსებლად. 60-იან წლებში დაიწყო სამუშაოები, მაგრამ შეჩერდა 1967 წლის ომის შედეგად. მომდევნო წლებში კიდევ იყო რამდენიმე მცდელობა. არაბული ქვეყნებიდან პირველად საუდის არაბეთში ნავთობკომპანიამ (არამკო) 1946-1951 წლებში ააშენა სარკინიგზო ხაზი, რომელმაც დაუკავშირა არ-რიადი პორტ დამამთან და ნავთობსარეწ ცენტრთან – დაჰრანთან, ალ-ჰუფუფის ოაზისის საშუალებით. მისი მშენებლობა 60 მლნ დოლარი დაჯდა. მოგვიანებით ელექტრიფიცირებული სარკინიგზო გზა აშენდა დამამსა და დაჰრანს, ჯიდდასა და მექას შორის. 1985 ამოქმედდა სარკინიგზო მონაკვეთი არ-რიადსა და დამამს შორის. 2000 წელს აშენდა 237 კმ სიგრძის ახალი მონაკვეთი, რომლის საშუალებითაც დამამი დაუკავშირდა სამრეწველო ცენტრს – ჯუბაილს.

(1435 მმ) და ვიწროც (თუნისში და ერაყში – 1000 მმ, სირიასა და ლიბანში – 1050 მმ, ალჟირში – 1000 და 1055 მმ).[29] XX საუკუნის ბოლოს არაბულ ქვეყნებში (სუდანის და თუნისის გარდა) დაიწყეს სარკინიგზო გზების მოდერნიზაცია და გააფართოვეს ლიანდაგების სიგანე.

არაბულ ქვეყნებში ჭარბობს ერთლიანდაგიანი რკინიგზები და მხოლოდ ნაწილია ელექტრიფიცირებული. მაგ. მაროკოში 1,907 კმ-დან 1,003 კმ არის ელექტრიფიცირებული, ალჟირში მხოლოდ 283 კმ, ეგვიპტეში – 62 კმ. გადაზიდვების მაქსიმალური სისწრაფე მერყეობს საათში 60 კმ-დან (სუდანი) 250 კმ-დე (ერაყი). არაბული სარკინიგზო ტრანსპორტის მაქსიმალური დატვირთვაც განსხვავებულია. ამიტომ არსებობს პრობლემები გადაზიდვებთან დაკავშირებით რეგიონის ცალკეულ ქვეყნებს შორის.

არაბულ ქვეყნებში სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარება ჩამორჩება საავტომობილო გზების განვითარებას, რაც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: 1. ისტორიულად, ჯერ კიდევ კოლონიურ პერიოდში არსებობდა ეს ჩამორჩენა. დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე არაბულმა ქვეყნებმა ძირითადად დაიწყეს საავტომობილო გზების მოწესრიგება, რაც ნაკლებ კაპიტალდაბანდებას საჭიროებდა. 2. 70-იანი წლების ბოლომდე არაბულ ქვეყნებში არ იყო რეგიონალური სარკინიგზო ორგანიზაციები, რომელსაც შეეძლო დაერწმუნებინა არაბული ქვეყნების მთავრობები რკინიგზის სწრაფი განვითარების აუცილებლობაში. რკინიგზას ჰქონდა ეკონომიკური და ეკოლოგიური უპირატესობა. 1979 წელს შეიქმნა „არაბული სარკინიგზო გზების კავშირი", რომელმაც ხელი შეუწყო არა მარტო სარკინიგზო გზების მოდერნიზაციას, არამედ ახალი სარკინიგზო გზების მშენებლობას. ორგანიზაციის შტაბბინა არის ალეპოში (სირია).

90-იან წლების ბოლოს ამ ორგანიზაციამ არაბული ქვეყნების ტრანსპორტის მინისტრთა საბჭოს წარუდგინა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 20 ათასი კმ სიგრძის ახალი სარკინიგზო გზების მშენებლობას:

1. 1700 კმ სიგრძის გზა, რომელიც შეაერთებს სირიას ერაყთან და ხმელთაშუა ზღვას სპარსეთის ყურესთან;
2. 1860 კმ სიგრძის გზა, რომელიც დააკავშირებს ერაყსა და ომანს, ქუვეითისა და საუდის არაბეთის საშუალებით;
3. 2560 კმ სიგრძის გზა, რომელიც დააკავშირებს საუდის არაბეთსა და იორდანიას;
4. 1700 კმ სიგრძის გზა, რომელიც დააკავშირებს სირიასა და საუდის არაბეთს იორდანიის საშუალებით;
5. 4000 კმ სიგრძის გზა, რომელიც დააკავშირებს ომანსა და საუდის არაბეთს იემენის გავლით;
6. 2300 კმ სიგრძის გზა, რომელიც დააკავშირებს ეგვიპტესა და სუდანს;
7. 6200 კმ სიგრძის გზა, რომელიც დააკავშირებს ეგვიპტესა და მავრითანიას ლიბიის, თუნისის, ალჟირის და მაროკოს საშუალებით;
8. 3000 კმ სიგრძის გზა, რომელიც დააკავშირებს ალჟირსა და მავრითანიას;
9. 1500 კმ სიგრძის გზა, რომელიც დააკავშირებს სომალისა და ჯიბუთის მენამული ზღვის გავლით (ბორანის საშუალებით).

---

[29] სარკინიგზო გზები 1067 მმ სიგანის ლიანდაგებით შენდებოდა იაპონიაში და უპირატესად იმ ქვეყნებში, რომლებიც იყვნენ ინგლისის გავლენის ქვეშ. დღეს ასეთი ტიპის სარკინიგზო ხაზები ფართოდ არის გავრცელებული აფრიკაში. სარკინიგზო ლიანდაგების რუსული სტანდარტი არის 1520 მმ და ის გამოიყენება ჩინეთში, ირანში, ჩრდ. კორეაში, ფინეთში და სხვა. ევროპული სტანდარტი კი შეადგენს 1435 მმ-ს. მსოფლიოში გამოიყენება ფართოლიანდაგიანი სარკინიგზო გზების ინდური სტანდარტიც – 1676 მმ.

სარკინიგზო მშენებლობის ასეთი გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი პირობაა საერთაშორისო დახმარება. აუცილებელია აგრეთვე ტექნიკური დახმარება ისეთი წამყვანი ქვეყნების, რომლებსაც აქვთ დიდი ტექნიკური მიღწევები სარკინიგზო ტრანსპორტის დარგში – იაპონია, გერმანია, საფრანგეთი და სხვ.

2003 წლის 14 აპრილს დაიდო საერთაშორისო შეთანხმება არაბულ აღმოსავლეთში რკინიგზების მშენებლობაზე. ეს შეთანხმება ძალაში შევიდა 2005 წლის 23 მაისს. მას ხელი მოაწერა 5 ქვეყანამ: ეგვიპტემ, იორდანიამ, ლიბანმა, საუდის არაბეთმა და სირიამ. ეს პროექტი ითვალისწინებს დამატებით 11,600 სარკინიგზო ხაზის მშენებლობას. საუდის არაბეთში დაიგეგმა სამი სარკინიგზო პროექტი: 1. აღმოსავლეთ-დასავლეთის სახმელეთო სარკინიგზო პროექტი, რომელიც დააკავშირებს ქ. ჯიდდას საპორტო ქალაქებთან – დამამთან და ჯუბაილთან, არ-რიადის გავლით. მისი ღირებულებაა დაახლ. 2-2,5 მლრდ დოლარი; 2. ჩრდილოეთ-სამხრეთის სარკინიგზო პროექტი ითვლება უდიდეს სარკინიგზო პროექტად ახლო აღმოსავლეთში. მისი სიგრძე იქნება 2400 კმ და დაჯდება 2,5 მლრდ დოლარი. მის მშენებლობაში მონაწილეობას იღებს 18 კომპანია (დაიწყო 2006 წელს) და დასრულდება 2011 წლისათვის. ახალი სარკინიგზო ხაზი დაიწყო საუდის არაბეთის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში, იორდანიის საზღვრიდან და გაგრძელდება დედაქალაქ არ-რიადამდე და იქიდან – სპარსეთის ყურემდე. გათვალისწინებულია, რომ ამ სარკინიგზო ხაზით მოხდება წელიწადში 1,2 მლნ მგზავრის გადაყვანა. ამ პროექტს აფინანსებს სახელმწიფო და კერძო სექტორიც; 3. დასავლეთის რკინიგზა მექასა და მედინას შორის, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს ორ წმინდა ქალაქს ჯიდდას საშუალებით, ხოლო მედინას – პორტ იანბუსთან. ეს ხაზი ძირითადად მოემსახურება პილიგრიმთა გადაყვანას.

2006 წელს დაიწყო ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, რომელიც პალესტინის ავტონომიას დააკავშირებს ეგვიპტესთან. ძალიან მნიშვნელოვანია სპარსეთის ყურის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, რომელიც დაიწყება ქ. ქუვეითიდან, გაივლის დამმამს, აბუ დაბის, დუბაის და დასრულდება მასკატში. 2006 წლის მაისში ეგვიპტემ შეთანხმებას მიაღწია ეკონომიკური და სოციალური განვითარების არაბულ ფონდთან და მსოფლიო ბანკთან, რომელთაც გამოყვეს 1,4 მილიარდი დოლარი ეგვიპტეში სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებისათვის. ჩრდილოეთ აფრიკაში დღეს მხოლოდ ალჟირი, თუნისი და მაროკოა დაკავშირებული რკინიგზით. იმისათვის, რომ რეგიონის ყველა ქვეყანა დაუკავშირდეს ერთმანეთს, აუცილებელია სარკინიგზო მონაკვეთების მოდერნიზება მავრითანიასა და მაროკოს შორის (1600 კმ), თუნისის ტერიტორიაზე (350კმ), ალჟირსა და ლიბიას შორის (1700კმ), ასევე ეგვიპტის ტერიტორიაზე აღმოსავლეთის მიმართულებით. ლიბანი აპირებს ააშენოს სარკინიგზო ხაზი პორტ ტრიპოლიდან ქ. ჰომსამდე (სირია).

2008 წელს მაროკოში დასრულდება 320 კმ-იანი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა, რომელიც დააკავშირებს ქალაქებს – ტანჟერს, რაბათს და კასაბლანკას. კორპორაციამ – „სუდანის სარკინიგზო გზები" შეიმუშავა რამდენიმე საინვესტიციო პროექტი, მათ შორის ხართუმი-სუდანის პორტის არსებული სარკინიგზო გზის პარალელური ხაზის მშენებლობა. პროექტის რეალიზაცია უზრუნველყოფს სარკინიგზო შემადგენლობის მოძრაობის საშუალო სიჩქარის გაზრდას 80 კმ-მდე საათში. პროექტის წინასწარი ღირებულება არის 436 მლნ დოლარი. ამ სამუშაოს განახორციელებენ ჩინური კომპანიები. ამის პარალელურად, 2008 წლის 28 თებერვალს ხელი მოეწერა კონტრაქტს სუდანის ხელისუფლებასა და ჩინეთის სარკინიგზო კომპანიებს შორის, რომლის თანახმადაც ჩინეთი განახორციელებს 1,5 მლრდ დოლარის ინვესტირებას სუდანის სარკინიგზო მშენებლობის სფეროში. 2009 წლის 20 მაისისათვის უნდა დასრულდეს ერაყ-ირანის სარკინიგზო ხაზის – ბასრა-ხურრამშაჰ-

რის ერთი მონაკვეთი, რომელიც ირანის ტერიტორიაზე მდებარეობს. მიმდინარეობს აგრეთვე ქირმანშაჰ-ბაღდადის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა.

2008 წლის 19 აპრილს ამანში (იორდანია) სირიის, იორდანიის და საუდის არაბეთის ტრანსპორტის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ჰიჯაზის რკინიგზის აღდგენაზე, რომელიც აკავშირებდა სამ ქვეყანას.

არაბული ქვეყნების სარკინიგზო ხაზების მოდერნიზების პროცესი ჯერ არ დასრულებულა: ბევრ ქვეყანაში არის მოძრავი შემადგენლობის მოძველებული პარკი, ცალკეული სარკინიგზო მონაკვეთები არ არის ელექტრიფიცირებული, მოძველებულია სასიგნალო სისტემა და სარემონტო-ტექნიკური ბაზა და სხვ. ამის გამო ხშირია სარკინიგზო კატასტროფები. არაბული ქვეყნებიდან ყველაზე საშიში სარკინიგზო გზების რეპუტაცია აქვს ეგვიპტეს. ყველაზე დიდი კატასტროფა ამ ქვეყნის რკინიგზაზე მოხდა 2002 წლის 20 თებერვალს, როცა 361 ადამიანი დაიღუპა. 2006 წლის 21 აგვისტოს კაიროს ჩრდილოეთით 20 კმ-ში შეეჯახა ორი სამგზავრო მატარებელი, რომლის შედეგად დაიღუპა 58 მგზავრი და დააახლ. 200-მა მიიღო სხვადასხვა სახის დაზიანება.

არაბული სარკინიგზო გზების კავშირის მითითებით, არაბული ქვეყნების ხელმძღვანელებმა ბოლო ორი წლის მანძილზე დიდი ოდენობის თანხები გამოყვეს სარკინიგზო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. ეს თანხები ძირითადად გათვალისწინებულია რკინიგზის სადგურების და სარკინიგზო გადასასვლელების რეკონსტრუქციისათვის, სარკინიგზო გზების აღჭურვისათვის თანამედროვე კავშირგაბმულობის საშუალებებით და სასიგნალო აპარატურით, სალოკომოტივო პარკის და მეორე და მესამე კლასის ვაგონების მოდერნიზაციისათვის, სარკინიგზო ტრანსპორტზე მომსახურე პერსონალის გადამზადებისათვის.

ტურიზმის ინდუსტრია არაბულ ქვეყნებში

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ტურიზმის ინდუსტრია გადაიქცა მსოფლიო მეურნეობის ერთ-ერთ ყველაზე დინამიურად განვითარებულ დარგად. 2002 წელს საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა ასტრონომიული თანხა – 450 მლრდ დოლარი. საერთაშორისო ტურიზმი სულ უფრო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს არაბული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზეც. ბოლო ათი წლის მანძილზე არაბულ ქვეყნებში ყოველდღიურად ჩადის უცხოელი ტურისტების 5-7% (დაახლ.15 მლნ). ტურიზმის განვითარება ფასდება 3 ძირითადი კრიტერიუმით: ტურიზმის კანონმდებლობა; ბიზნესგარემო და ინფრასტრუქტურა; ადამიანური, კულტურული და ბუნებრივი რესურსები. ამ მონაცემების მიხედვით არაბული ქვეყნებიდან პირველ ათეულში შედიან: არაბთა გაერთიანებული საამიროები, თუნისი, კატარი, იორდანია, ბაჰრაინი, მაროკო, ეგვიპტე, ქუვეითი, მავრითანია და ალჟირი.

არაბთა გაერთიანებული საამიროები, ეგვიპტე და თუნისი განეკუთვნებიან ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის იმ ქვეყნებს, სადაც ტურიზმი ვითარდება უფრო სწრაფი ტემპებით. ტურისტული ინდუსტრია, განსაკუთრებით თუნისსა და ეგვიპტეში, გადაიქცა ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან დარგად. მის განვითარებაზეა დამოკიდებული ამ ქვეყნების სამეურნეო ცხოვრების აღმავლობა. ტურიზმის ინდუსტრიას დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ისეთი სოციალური პრობლემის ნაწილობრივ გადასაჭრელად, როგორიცაა უმუშევრობა. 2007 წელს ტურიზმის სფეროში დაკავებული იყო არაბული ქვეყნების ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დაახლ. 8%, მათ შორის იორდანიაში – 19,1%, სირიაში – 14,2%, ომანში – 10,1% და საუდის არაბეთში – 8,6%. არსებული პროგნოზით, 2017 წელს შესაბამისად მიაღწევს 19,8%, 16,6%, 12,2% და 10,8%-ს. ოფიციალური მონაცემებით, ტურიზმის ინდუსტრია დაკავშირებულია ეკონომიკის სფეროს 70 სხვადასხვა სახეობასთან. არაბული ქვეყნების უმრავლესობაში ყოველწლიურად იზრდება ინვესტიციების მოცულობა ტურიზმის სფეროში. 2007 წელს ამ ინდიკატორით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდათ არაბთა გაერთიანებულ საამიროებს (ეკონომიკაში მთლიანი კაპიტალდაბანდებების 30,6%), იორდანიასა (17,9%) და ეგვიპტეს (16,3%).

არაბულ ქვეყნებში მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო რესურსების მოძიება ეკონომიკის განვითარებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეს გახდა რეგიონის იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ფლობდნენ შეზღუდულ ბუნებრივ რესურსებს. ამის საუკეთესო მაგალითია ეგვიპტე, სადაც უკვე XX საუკუნის 50-იან წლებში მიაქციეს ყურადღება ტურიზმის განვითარებას. ეს დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ აქ შემორჩენილია უძველესი ცივილიზაციის მრავალრიცხოვანი უნიკალური ისტორიული ძეგლი, რომლებიც იწვევდა უცხოელი ტურისტების მზარდ ინტერესს. მოგვიანებით, ტურიზმის განვითარება დაიწყო სხვა არაბულ ქვეყნებშიც – სირია, თუნისი, ლიბანი და სხვ.

2006 წლის მონაცემებით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლებით პირველ ადგილას იყო ეგვიპტე („მსოფლიო ტურიზმის მარგალიტი", „ტურისტული მექა")[30], შემდეგ მაროკო (ქ. ას-სუვაირა იწოდება მაროკოს ატლანტიკური სანაპიროს „მარგალიტად"), ლიბანი (სამოქალაქო ომამდე ის იწოდებოდა „ახლო აღმოსავლეთის

[30] 2007 წელს ეგვიპტეში ჩავიდა დაახლ 11 მლნ ტურისტი და ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 8,7 მლრდ დოლარი. 2011 წლისათვის დაგეგმილია 14 მლნ ტურისტის მიღება და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების გაზრდა 12 მლრდ დოლარამდე.

შვეიცარიად"), არაბთა გაერთიანებული საამიროები, საუდის არაბეთი, თუნისი („მაღრიბის კეთილსურნელოვანი პატარძალი") და სირია.

ტურიზმის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები. არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომებმა პირდაპირ იმოქმედა ამ ქვეყნებში ტურიზმის ინდუსტრიაზე. 1990 წლის სპარსეთის ყურის ომმა ეგვიპტეში ტურისტების რიცხვი 1991 წელს 57 ათასამდე (1990 წელს 208 ათასი) შეამცირა. ხოლო 1992 წელს ტურისტების ოდენობამ ისევ თავის პიკს მიაღწია. ბოლო წლებში საერთაშორისო ტერორიზმი და ტერორისტული ჯგუფების საქმიანობა ასევე დიდ ზარალს აყენებს დარგის განვითარებას. 1992 წელს ძალადობის ტალღამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისლამისტების მიერ ეგვიპტეში, 1993 წელს უცხოელი ტურისტების რიცხვი 22%-ით, ხოლო შემოსავალი – 38%-ით შეამცირა. შემცირდა აგრეთვე უცხოელი ტურისტების ქვეყანაში გაჩერების საშუალო ხანგრძლივობა. ეს ნეგატიური ტენდენცია შენარჩუნდა 1994 წლის დასაწყისამდე, მაგრამ ეს მაჩვენებელი შედარებით დაბალი იყო დედაქალაქში. უფრო ხელსაყრელი ვითარება იყო მეწამულ ზღვაზე და სინას ნახევარკუნძულზე. 1997 წელს ლუქსორში ექსტრემისტებმა მოკლეს 58 ტურისტი. მოგვიანებით, ამერიკაში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების და შესაბამისად, ავღანეთში ამერიკელთა „შურისძიების ოპერაციის" შემდეგ, ეგვიპტის ტურისტული ბიზნესის დანაკარგებმა 2,5 მლრდ დოლარი შეადგინა. 2004 წლის 23 ივლისს ეგვიპტის ცნობილ კურორტზე – შარმ აშ-შაიხში (სინას ნახევარკუნძულზე) განხორციელდა ტერაქტების სერია, რამდენიმე ათეული ადამიანი დაიღუპა და ასობით ადამიანმა მიიღო სხვადასხვა სიმძიმის ჭრილობა. 2004 წლის ოქტომბერში აფეთქება მოხდა 2 სხვადასხვა ტურისტულ ზონაში – ტაბაში და ნუვაიბაში. თუმცა ეგვიპტემ მოახერხა კრიზისული სიტუაციის დაძლევა.

ეგვიპტის ტურიზმის სამინისტროს სტატისტიკით გამოვლინდა ლიდერი-ქვეყნები, რომელთა მოქალაქეების წილი ყველაზე მეტი იყო უცხოელ ტურისტთა შორის. ესენი არიან: იტალია, გერმანია, რუსეთი და დიდი ბრიტანეთი. ტურისტებს შორის არაბული ქვეყნებიდან ყველაზე მეტი აქტივობა გამოიჩინეს ლიბიის და საუდის არაბეთის მოქალაქეებმა (განსაკუთრებით სამეფო ოჯახის წევრებმა).[31] არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ყველაზე მეტი ტურისტი ჩამოდის დიდი ბრიტანეთიდან, ირლანდიიდან, ინდოეთიდან, აშშ-დან და რუსეთიდან, აგრეთვე ბალტიისპირეთისა და სნგ-ს ქვეყნებიდან, ლიბანში – ძირითადად საუდის არაბეთიდან, ხოლო იორდანიაში – არაბული ქვეყნებიდან და თურქეთიდან. უკანასკნელ წლებში მაროკოში გაჩნდა მსოფლიო დონის ტურისტული ცენტრები. XXI საუკუნის დასაწყისში საზღვაო კურორტი აგადირი იქცა უცხოელ ტურისტთა „მაგნიტად" დას. მაღრიბში. აგადირსა და მარაქეშში (სამეფოს უძველესი დედაქალაქი) ყოველწლიურად ჩამოდის დაახლ. 1,5 მლნ უცხოელი ტურისტი.

არაბულ ქვეყნებში ტურისტების მოზიდვას ხელს უწყობს: არაბულ-მუსლიმური ცივილიზაციის უნიკალური ძეგლები (მარტო სირიის ტერიტორიაზე განლაგებულია დაახლ. 10 000 კარგად შემონახული ძეგლი); მუზეუმები ღია ცის ქვეშ; ტურისტული სეზონის ხანგრძლივობა ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო; შესანიშნავი საზღვაო სანაპირო; ბუნებრივი ნაკრძალები; მდიდარი წყლისქვეშა ფლორა და ფაუნა; ეკოლოგიურად სუფთა ზონები და შესაბამისად, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები; ეგზოტიკური ხილის და ზღვის პროდუქტების ფართო არჩევანი;

---

[31] მუსლიმური ქვეყნებიდან ტურისტების მოსაზიდად ეგვიპტეში დაიწყო მშენებლობა მუსლიმური სასტუმროების, სადაც მკაცრად არის დაცული შარიათის ნორმები: არ იყიდება სპირტიანი სასმელები, არ არის ღამის კლუბები და კაზინო, არ ისმის დას. მუსიკა, არის მხოლოდ მუსლიმთათვის ნებადართული საჭმელები (ჰალალ), საცურაო აუზებში ცალკე საათებია გამოყოფილი მამაკაცებისა და ქალებისათვის და სხვ.

აკვაპარკები და ზღვის სპორტის სხვადასხვა სახეობა. ლიბანი არის ერთადერთი ქვეყანა არაბულ სამყაროში, რომელიც ტურისტებს სთავაზობს ზამთრის სპორტის სახეობებს. ლიბანის ცნობილი სამთო-სათხილამურო კურორტებია – ფაკრა, ფარაია და ლაკლუკი.

XXI საუკუნის დასაწყისში ეგიპტეში, თუნისსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში წარმოდგენილია ტურისტული მომსახურების პრაქტიკულად ყველა ძირითადი სფერო. აქ, შემეცნებით და კულტურულ ტურიზმთან ერთად, ფართოდ არის გავრცელებული ტურიზმის ერთ-ერთი მასობრივი სახე – ეკოტურიზმი. ეგვიპტეში მომსახურების პაკეტში ისტორიულ ძეგლებთან ერთად შედის არაბული აღმოსავლეთის ტრადიციების გაცნობა. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ტურები უდაბნოში, ბერბერებით დასახლებულ რაიონებში, მათ საუკუნეებით შემონახულ ტრადიციებთან. ტურისტებისათვის მიმზიდველია ასევე მეჩეთების მონახულება. მეწამული ზღვის (ეგვიპტე)[32] და სპარსეთის ყურის (არაბთა გაერთიანებული საამიროები) თბილი წყლები ხელსაყრელია სპორტის საზღვაო სახეებისათვის, თანაც მთელი წლის განმავლობაში. ძალიან მომხიბვლელია ნადირობა უდაბნოში, განსაკუთრებით შევარდენით. თუნისი საინტერესო ქვეყანაა ისტორიის მოყვარულთათვის. ქვეყნის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს მმართველობდნენ ფინიკიელები, რომაელები, ვანდალები, არაბები, თურქები და ფრანგები, რომელთაც დატოვეს უძველესი ისტორიული ძეგლების მდიდარი მემკვიდრეობა. მათი დიდი ნაწილი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო კულტურის ძეგლთა კატალოგში. არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქი ცნობილია როგორც „ახლო აღმოსავლეთის სავაჭრო დედაქალაქი". ყოველწლიურად იანვრის თვეში აქ იმართება სავაჭრო ფესტივალი, რომელიც უამრავ ტურისტს (დაახლ. 2 მლნ) იზიდავს. სავაჭრო ტურები ტარდება აგრეთვე იორდანიის ქალაქებში – ამანში, ირბიდსა და აკაბაში. ქალაქი პეტრა იორდანიაში აღიარებულია „მსოფლიოს 7 საოცრებად". იორდანიაში გავრცელებულია პოპ-კულტურული ტურიზმიც – მრავალი დასავლური ფილმია აქ გადაღებული.

არაბულ ქვეყნებში განვითარებულია ტურიზმის თანამედროვე სახეობა – საგანმანათლებლო ტურიზმი. დასვენებას უხამებენ საგანმანათლებლო პროგრამას – არაბული ენის ათვისებას, ისლამმცოდნეობის დაუფლებას, ახლო აღმოსავლეთის ეთნოგრაფიის შესწავლასა და სხვ. როგორც წესი, ასეთი ტურების ხანგრძლივობა ერთი კვირიდან ერთ თვემდე და უფრო მეტხანს გრძელდება.

ტურიზმის სახეებს განეკუთვნება აგრეთვე: დასვენების შეთავსება ბიზნეს-პროგრამასთან, პირობითად საქმიანი ტურიზმი; საოჯახო ტურიზმი, როდესაც დასვენებას თან ახლავს ნათესავების მონახულება; და ბოლოს, მხოლოდ არაბული აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი ტურიზმის სპეციფიკური სახეა პილიგრიმობა (რელიგიური ტურიზმი). საუდის არაბეთში მუსლიმ პილიგრიმთა რაოდენობამ ბოლო წლებში სამ მილიონს გადააჭარბა. ამის გარდა პალესტინის, იორდანიის, ეგვიპტისა და სირიის მონასტრებსა და ტაძრებში არის წმინდა რელიკვიები, რომლებიც იზიდავს ქრისტიანებსა და იუდეველებს მთელი მსოფლიოდან.

2007 წლის 10 ივლისს ტურიზმის არაბთაშორისო ორგანიზაციამ და საუდის არაბეთის საინვესტიციო კომპანიამ (Siraj Capital) ჯიდდაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას არაბული ტურისტული ბანკის შექმნის თაობაზე, სასტარტო კაპიტალით – 2 მლრდ დოლარი. დაგეგმილია ბანკის მიერ ფილიალების გახსნა არაბთა ლიგის ყველა წევრ-ქვეყანაში. ბანკი გეგმავს აგრეთვე საინვესტიციო ფონდების შექმნას არაბულ ქვეყნებში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებისათვის. თუმცა არაბული

[32] ეგვიპტის ტურისტული კომპლექსის მარგალიტებად ითვლება მეწამული ზღვის კურორტები: შარმ აშ-შაიხი და ჰურგადა. 2008 წელს მსოფლიო ტურისტულმა ორგანიზაციამ გიზაში ძველეგვიპტური პირამიდების კომპლექსი ცნო ყველაზე მიმზიდველ ღირშესანიშნაობად მსოფლიოში.

ქვეყნების ტურისტული პოპულარობა მკვეთრად განსხვავებულია. მაგ., თუ ეგვიპტესა და საამიროებში ყოველწლიურად მილიონობით ტურისტი ჩადის, კატარისა და ომანის შესახებ მრავალ მათგანს საერთოდ არაფერი სმენია. მთელ რიგ არაბულ ქვეყნებში (მაგ., იემენში), რთული შიდაპოლიტიკური ვითარების გამო, არ არის გარანტირებული ტურისტთა უსაფრთხოება. სხვა ქვეყნები (მაგ., საუდის არაბეთი) შეგნებულად ზღუდავენ „საერო" ტურისტების შემოსვლას ქვეყანაში, აქ დამკვიდრებული მკაცრი რელიგიური წესების გამო.

შეიძლება ითქვას, რომ XXI საუკუნეში არაბული ქვეყნების რეგიონი რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ ძირითად ტურისტულ ცენტრად, სადაც სწრაფი ტემპებით ვითარდება ტურისტული მომსახურების სხვადასხვა სფერო, ფართოვდება ტურისტული ინფრასტრუქტურა, მარტივდება საბაჟო და საპასპორტო პროცედურები. არაბული ქვეყნები ცდილობენ შეიმუშავონ ტურიზმის განვითარების ერთობლივი სტრატეგია, რისთვისაც შეიქმნა სხვადასხვა პროექტები და არაბული ტურიზმის ინტერნეტ-პორტალი, მომზადდა პირველი არაბული გზამკვლევი, მიმდინარეობს მუშაობა არაბული ტურისტული სატელიტური არხის შექმნაზე.

არაბული ქვეყნების მასობრივი საინფორმაციო საშუალებები

ახლო აღმოსავლეთში პირველი გაზეთები გაჩნდა XVIII საუკუნეში და ისინი იბეჭდებოდა ფრანგულ ენაზე. პირველი ფრანგული გაზეთი – Courrier de l'Égypte ეგვიპტეში გამოვიდა 1798 წლის 29 აგვისტოს, ნაპოლეონ ბონაპარტეს ექსპედიციის დროს. ის იბეჭდებოდა 5 დღეში ერთხელ და გადმოსცემდა როგორც ეგვიპტეში, ისე ევროპაში მიმდინარე მოვლენებს. 1820 წელს პირველი ფრანგული გაზეთი დაიბეჭდა მაროკოში, მაგრამ გამოვიდა მხოლოდ 6 ნომერი და ის მალევე დაიხურა.

პერიოდული გამოცემები არაბულ ენაზე გაჩნდა მხოლოდ XIX საუკუნეში. პირველი პერიოდული გამოცემა იყო „ჯურნალ ალ-ირაკ" („ერაყის გაზეთი"), რომელიც გამოდიოდა 1816 წლიდან ბაღდადში არაბულ და თურქულ ენებზე. 1828 წლიდან კაიროში გამოდიოდა ორი არაბული სახელმწიფო გაზეთი – „ალ-ვაკა'ი' ალ-მისრიიდა" („ეგვიპტის მოვლენები") და „ჯურნალ ალ-ხიდიუ" (ხედივის გაზეთი).[33] ამას მოჰყვა სხვა არაბული ქვეყნების პერიოდული გამოცემებიც: ალჟირში 1847 წლიდან,[34] თუნისში 1860 წლიდან,[35] ბეირუთში 1869 წლიდან,[36] სანაში 1877 წლიდან,[37] და კასაბლანკაში 1889 წლიდან. სუდანში პირველი არაბული გაზეთი – „ას-სუდან" გამოიცა 1903 წლის 24 სექტემბერს და მისი რედაქტორი სირიელი იყო. ცალკეულმა პირებმა და ოჯახებმაც დაიწყეს გაზეთების ბეჭდვა, მაგრამ XIX საუკუნეში ისინი გამოჩნდა მხოლოდ სირიაში,[38] ლიბანში, ეგვიპტესა და მაროკოში. 1937 წელს შედგენილი არაბული გაზეთების ბიბლიოგრაფიის მიხედვით,1861 წლიდან 1903 წლამდე დაახლ. 6 გაზეთი გამოდიოდა.1907 წლისათვის გამოდიოდა 23 გაზეთი. 1921 წელს – 32, 1928-29 წელს –11 და 1937 წელს მათმა რიცხვმა მიაღწია 51-ს.

არაბული აღმოსავლეთის ბეჭდური მედიის წამყვანი ცენტრები იყო ლიბანი და ეგვიპტე, რომლებიც ბეჭდავდნენ მნიშვნელოვან გაზეთებს უფრო ადრე, ვიდრე სხვა არაბული ქვეყნების უმეტესობა. მათ შეინარჩუნეს წამყვანი პოზიცია XXI საუკუნეშიც. პირველი არაბული ყოველდღიური გაზეთი გამოჩნდა 1877 წელს ბეირუთში და მოგვიანებით ეგვიპტეში.[39] XX საუკუნის ბოლო მეოთხედში სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებში ინტენსიურად დაიწყო ბეჭდვითი მედიის განვითარება. საუდის არაბეთს აქვს უძველესი საგაზეთო ტრადიცია. მექაში 1908 წლიდან გამოდიოდა პირველი ყოველკვირეული გაზეთი – „ალ-ჰიჯაზ". 1930 წლიდან საუდის არაბეთის დას. რეგიონში დაიწყო გამოცემა ორი ყოველკვირეული გაზეთის – „ალ-ბილად ასსუ'უდიიდა" („საუდიანთა ქვეყანა") და „ალ-მადინა". 1960 წლიდან საუდის არაბეთში დაიწყო გამოცემა ყოველდღიური გაზეთების – „'უქაზ" და „ან-ნადვა" („აღორძინე-

---

[33] ხედივი – ეგვიპტის მმართველის სახელწოდება ოსმალეთის იმპერიის დროს.

[34] ალჟირში 1847 წლიდან 1926 წლამდე გამოდიოდა პირველი არაბული გაზეთი – „ალ-მუბაშშირ" („მისიონერი"). მასში შუქდებოდა ახალი ამბები, აგრეთვე ისტორიული, არქეოლოგიური და სამედიცინო ხასიათის მასალა.

[35] ეს იყო ყოველკვირეული გაზეთი „არ-რა'იდ ათ-თუნისი" („თუნისის მზვერავი").

[36] ეს იყო ყოველკვირეული გაზეთი „ალ-ბაშირ" („მაცნე"), რომელიც დაარსეს იეზუიტებმა.

[37] არაბეთის ნახევარკუნძულზე *სან'ა'*იყო პირველი გაზეთი და ოსმალეთის იმპერიის ზეგავლენის ქვეშ მყოფი სხვა პერიოდული გამოცემების მსგავსად, გამოდიოდა არაბულ და თურქულ ენაზე.

[38] სირიაში 1865 წლიდან 1918 წლამდე გამოდიოდა „ას-სურიდა", რომელიც სირიის ოსმალ მმართველთა ინტერესებს გამოხატავდა და გამოდიოდა 1918 წლამდე.

[39] 1877 წლის 18 ოქტომბერს ბეირუთში გამოვიდა ყოველდღიური გაზეთის – „ლისან ალ-ჰალ" („ბეჭდვითი ორგანო"). უფრო ადრე, 1875 წელს ორმა ძმამ სირიიდან (იმ პერიოდში ალექსანდრიაში ცხოვრობდნენ), ეგვიპტეში ყოველკვირეული გაზეთი – „ალ-აჰრამ" („პირამიდები"), მაგრამ მხოლოდ მოგვიანებით (1899 წლიდან) გახდა ის ყოველდღიური. ამ გაზეთში სტატიებს ბეჭდავდნენ მუსლიმი სწავლულები – მუჰამად აბდუ და ჯამალ ად-დინ ალ-ავღანი.

ბა"). 60-იანი წლებში დაიწყო აგრეთვე არ-რიადში „ალ-ჯაზირა" („ნახევარკუნძული")-ს და „არ-რიად"-ის, ხოლო დამმამში – „ალ-იავმ"-ის („დღე") გამოცემა. ბაჰრაინში უკვე 1939 წელს დაარსდა პირველი გაზეთი – „ალ-ბაჰრაინ", რომელიც ძირითადად ადგილობრივი ლიტერატორების მოთხრობებს და ლექსებს ბეჭდავდა და მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და სამხედრო მოვლენების გაშუქება. ქუვეითში 1955 წლიდან გამოდის ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი გაზეთი – „ალ-ქუვაით ალ-იავმ" („ქუვეითი დღეს"). ომანში მხოლოდ 1970 წლიდან გამოდის ყოველდღიური გაზეთი „ალ-ვატან" („სამშობლო") არაბულ ენაზე 32,5 ათასი ტირაჟით, ხოლო კატარში 1972 წლის მარტში გამოვიდა პირველი ყოველდღიური პოლიტიკური გაზეთი „ალ-'არაბ". იემენში, ჩრდილოეთშიც და სამხრეთშიც, 1960 წლიდან იბეჭდებოდა ყოველდღიური გაზეთები, მაგრამ შეზღუდული ტირაჟით გამოდიოდა და დაბალი ხარისხის იყო.

იუნესკომ დაადგინა პრესის მინიმალური სტანდარტი – 100 ცალი ყოველდღიური გაზეთი 1000 მოსახლეზე, მაგრამ ეს წესი განხორციელდა რამდენიმე ქვეყანაში. XXI საუკუნისათვის მხოლოდ 5 ქვეყანას (ლიბანი, ბაჰრაინი, კატარი, ომანი, არაბთა გაერთიანებული საამიროები) ჰქონდა ყოველდღიური გაზეთი ასი ათასზე მეტი ტირაჟით, ხოლო ეგვიპტეს – ყოველდღიური გაზეთი ნახევარმილიონიანი ტირაჟით. დღეს არაბული ქვეყნების მოსახლეობის დაახლ. 10% ყოველდღიური გაზეთების რეგულარული მკითხველია.

არაბული კერძო გაზეთები ძირითადად გაჩნდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, არაბული ნაციონალიზმის და ანტიკოლონიალიზმის ეპოქაში.[40] გაზეთების ზოგიერთი მესაკუთრე ცდილობდა მოეძია სახსრები საზღვარგარეთიდან ან ადგილობრივი პოლიტიკური პარტიებიდან, რომლებიც ამ გაზეთების საშუალებით ავრცელებდნენ თავიანთ შეხედულებებს. დასაწყისიდანვე არაბულ გაზეთებში იბეჭდებოდა პატარა მოთხრობები, პოეზია და სერიული ნოველები. მეცნიერები და ლიტერატორები ხშირად წერდნენ გაზეთებში სტატიებს. იმავდროულად, არაბულ სამყაროში პროფესიული ჟურნალისტიკა ვერ განვითარდა სათანადო დონეზე. გაზეთების უმეტესობა იბეჭდება ცალკეული ქვეყნის ერთ ან ორ ქალაქში, სადაც იყო კონცენტრირებული რეგულარული მკითხველების ძირითადი ნაწილი. 1960 წლიდან 1980 წლამდე, არაბულ ქვეყნებში, ლიბანის გარდა, არ იყო პრესის რეალური თავისუფლება. 1975 წელს დაწყებულმა სამოქალაქო ომმა აიძულა ლიბანელი ჟურნალისტები ევროპასა და ამერიკაში წასულიყვნენ და იქ გაეგრძელებინათ თავიანთი მოღვაწეობა.

არაბული ბეჭდვითი მედია პირობითად იყოფა 4 ძირითად ორგანიზაციულ კატეგორიად: 1. „მობილიზაციური" პრესა, რომელიც არის სახელმწიფოს კონტროლისა და რევიზიის ქვეშ. ამ ტიპის გაზეთები არასოდეს აკრიტიკებენ ან ბეჭდავენ ნეგატიურ ინფორმაციას უმაღლეს მოხელეებზე და ერიდებიან სახელმწიფო პოლიტიკის კრიტიკას. ისინი სახელმწიფო გაზეთებია და მათ შორის არ არის მნიშვნელოვანი განსხვავება. ასეთი სახის ბეჭდვითი მედია არის სირიაში („ალ-ბა'ს" – ბაასის პარტიის ცენტრალური ორგანო, 40-50 ათასიანი ტირაჟით), სუდანსა და ლიბიაში. 2003 წლამდე ერაყის ბეჭდვითი სტრუქტურა იყო ამგვარი პრესის საუკეთესო მაგალითი. 2. „ლოიალური" – გაზეთების უმეტესობას კერძო მფლობელები გამოსცემენ

[40] მაგ., სირიაში კერძო გაზეთების გამოშვება ნებადართული გახდა მხოლოდ 2000 წელს, ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ. ეს უფლება მიეცა მხოლოდ სამ პარტიას. პირველი ასეთი გაზეთი – „ნიდალ აშ-შა'ბ", რომელიც ეკუთვნოდა სირიის კომუნისტურ პარტიას, გამოვიდა 2001 წლის იანვარში და აკრიტიკებდა მთავრობის გადაწყვეტილებას სირიაში კერძო ბანკების გახსნასთან დაკავშირებით. ბაასის პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ (1963ნ.) ეს იყო პირველი ლეგალური გაზეთი, რომელიც არ იზიარებდა მმართველი პარტიის იდეოლოგიას. ამის პარალელურად, სახელმწიფო გაზეთებში იბეჭდებოდა კრიტიკული წერილები მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ.

და მათ მიერ გადმოცემული ახალი ამბები და კომენტარები ლოიალური და სახელმწიფოს მხარდამჭერია. ეს არის თავშეკავებული კრიტიკა, ადრესატის გარეშე, რომლის მიზანია საზოგადოებრივი უკმაყოფილების შესუსტება, რადიკალური ძალების ნეიტრალიზება. ასეთი სახის ბეჭდვითი მედია არის კონსერვატიულ მონარქიებში (საუდის არაბეთი, ბაჰრაინი, კატარი, ომანი, არაბთა გაერთიანებული საამიროები) და პალესტინაში. 3. „განსხვავებული" – თავისი შინაარსით, სტილით და პოლიტიკური ორიენტაციით ის მკვეთრად განსხვავებულია. ასეთი სახის გაზეთები ძირითადად კერძოა და მათში მოცემულია სახელმწიფოს მძაფრი კრიტიკა. ამ ტიპის პრესის ნათელი მაგალითი იყო ლიბანი, XXI საუკუნეში კი მაროკო, ქუვეითი და იემენი. ამ გაზეთების უკან დგანან პოლიტიკური პარტიები. 4. „გარდამავალი" – ამგვარი პრესის სტრუქტურამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. ის არის დისკუსიების საგანი ქვეყანაში. ასეთი გაზეთების ნაწილი სახელმწიფო, ნაწილი კერძო, ხოლო ნაწილი – პოლიტიკური პარტიების საკუთრებაშია. იგრძნობა საკუთარი აზრის გამოხატვის თავისუფლება, მაგრამ ის შეზღუდულია სახელმწიფო კონტროლის მექანიზმებით. კანონი აძლევს სახელმწიფოს უფლებას განახორციელოს ჟურნალისტთა და გამომცემელთა საწინააღმდეგო ქმედებები. ხშირია დავების სასამართლო განხილვები. ასეთი ტიპის პრესა არის ეგვიპტეში, იორდანიაში, თუნისსა და ალჟირში.

და ბოლოს, არის არაბული გაზეთების დამატებითი, სპეციალური კატეგორია – ობშერული ბეჭდვა. ამ ტიპის გაზეთები უპირატესად დაფუძნებულია ევროპაში, მაგრამ იბეჭდება არაბულ სამყაროში. მაგ., ასეთი პრესის ბეჭდვა დაიწყეს ლიბანელებმა 1970 წლიდან, როდესაც ლიბანის სამოქალაქო ომმა აიძულა ლიბანელი ჟურნალისტები და გამომცემლები, რომ დაეტოვებინათ თავიანთი ქვეყანა და საზღვარგარეთ წასულიყვნენ. მათ ოფშერული ოპერაციები დაიწყეს ლონდონში, პარიზსა და რომში. ბევრი მათგანი ცოცხალი ვეღარ გადარჩა, ნაწილი დაბრუნდა ბეირუთში, სადაც დააარსეს ყოველკვირეული – „ალ-ჰავადის" („ქრონიკა"). ბევრი დარჩა ევროპაში და იქ ეწეოდნენ საგამომცემლო საქმიანობას, ბეჭდავდნენ გაზეთებს არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებში ადგილობრივი დისტრიბუციისათვის. მათ შედარებით მეტი თავისუფლება ჰქონდათ, ვიდრე ადგილობრივ გაზეთებს.

2003 წლიდან სამი ძირითადი არაბული გამომცემლობა ლონდონში უშვებს გაზეთებს და ჟურნალებს არაბულ სამყაროში გავრცელებისათვის. ყველა მათგანის მფლობელები არიან საუდის არაბეთის მოქალაქეები. ეს არის საერთაშორისო ყოველდღიური არაბული გაზეთები: „ალ-შარკ ალ-ავსატ" (ვებგვერდი – www.asharqalawsat.com/), „ალ-ჰაიათ" (www.daralhayat.com/) და „ალ-კუდს ალ-'არაბ" (www.alquds.co.uk), რომელშიც ძირითადად იბეჭდება პალესტინის ამბები. გაზეთი „ალ-შარკ ალ-ავსატ" („ახლო აღმოსავლეთი") დაარსდა 1978 წელს და იბეჭდება ლონდონში, მარსელში, ნიუ-იორკში, ფრანკფურტში, კასაბლანკაში, კაიროში, დუბაიში, ბეირუთში და საუდის არაბეთში (არ-რიადში, ჯიდდასა და დაჰრანში). მისი დამაარსებლები არიან საუდის არაბეთის მოქალაქეები – ჰაშიმ ალ-ჰაფიზი (გარდ. 2006წ.) და მისი ძმა მუჰამად ალ-ჰაფიზი. ახლა მისი მთავარი რედაქტორია *ტარიკ ალჰომაიედი* (არაბ. ტარიკ ალ-ჰუმაიდი).[41] გაზეთი ეკუთვნის საგამომცემლო-საფინანსო ჰოლდინგს – კვლევებისა და მარკეტინგის ჯგუფს, რომლის ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარეა პრინცი – სალმან ბინ აბდულ აზიზი. გაზეთს აქვს თავისი ბიუროები კაიროში, ამანში, ბეირუთსა და რაბათში. გაზეთს აქვს რამდენიმე

[41] ის არის საკმაოდ ახალგაზრდა ჟურნალისტი. მან მიიღო ბაკალავრის ხარისხი (Media studies) მეფე აბდულ აზიზის უნივერსიტეტში, ჯიდდაში და მაგისტრის ხარისხი – ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში, ვაშინგტონში. ის არის პირველი ჟურნალისტი, რომელმაც ინტერვიუ აიღო უსამა ბინ ლადინის დედისაგან.

რუბრიკა: „ახალი ამბები", „ეკონომიკა", „აზრი", „საუდის არაბეთის ახალი ამბები", „მკითხველის ფოსტა" და „აღმოსავლური დღიური", რომელიც ეძღვნება აღმოსავლურ კულტურას და რელიგიას. არის ყოველკვირეული, სპეციალური რუბრიკებიც.

ზემოთ ჩამოთვლილი გაზეთების გარდა არის არაარაბული და სპეციალიზებული გამოცემები. არაბთა უმეტესობა კითხულობს არაბულ გაზეთებს, მაგრამ არის მნიშვნელოვანი გაზეთებიც, რომლებიც გამოდის ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. სპარსეთის ყურის ქვეყნებში, სადაც უამრავი სამხრეთაზიელი ინგლისურად მოლაპარაკე რეზიდენტია, მრავალი ყოველდღიური გაზეთი გამოდის ინგლისურად. ქუვეითის 7 ყოველდღიური გაზეთიდან ორი გამოდის ინგლისურად. ომანში ორი ყოველდღიური გაზეთი გამოდის ინგლისურად. ბაჰრაინის 5 ყოველდღიური გაზეთიდან 3 გამოდის ინგლისურად და, რადგანაც ქვეყანაში დიდი რაოდენობით უცხოელი მუშახელია, მათი ტირაჟი 2,5-ჯერ აღემატება არაბული გამოცემების ანალოგიურ მაჩვენებელს. ჩრდილოეთ აფრიკაში, სადაც კოლონიური წარსულის გამო მოსახლეობა საუბრობს ფრანგულად, მნიშვნელოვანი გაზეთები გამოდის ფრანგულად. ალჟირში გამომავალი 14 გაზეთიდან, 9 ფრანგულ ენაზეა (მათგან 5 გაზეთის ტირაჟი ასი ათასზე მეტია). მაროკოს 20 ყოველდღიური გაზეთიდან 13 ფრანგულად გამოდის. ლიბანის 19 წამყვანი ყოველდღიური გაზეთიდან ორი გამოდის ფრანგულად და ორი – ინგლისურად. ეგვიპტის მოსახლეობის უმრავლესობა ძირითადად კითხულობს არაბულად. *Egyptian Gazette* არის ინგლისურად და გამოდის ჯერ კიდევ 1880 წლიდან, *Le Progrès Egyptien* კი ფრანგულად გამოდის 1893 წლიდან. ეს გაზეთები ახლა იბეჭდება მცირე ტირაჟით.

თითოეული არაბული ქვეყანა გამოსცემს აგრეთვე ყოველკვირეულ და ყოველთვიურ ჟურნალებს. ზოგიერთ მათგანს აქვს პოლიტიკური დატვირთვა, მაგრამ უმეტესობა სპეციალურ თემატიკას ეძღვნება (მაგ., სპორტული, ქალთა, საოჯახო და სხვ.). ომანში 1974 წლიდან გამოდის ყოველკვირეული ილუსტრირებული ჟურნალი – „ალ-უსრა" („ოჯახი"). ასევე სირიაში 1968 წლიდან გამოდის „ალ-მარ'ა ალ-არაბიიჰა" („არაბი ქალი"), რომელსაც უშვებს სირიის ქალთა საყოველთაო ფედერაცია.1971 წლიდან კატარში 3 კვირაში ერთხელ გამოდის „ათ-თარბია" („განათლება"), რომელიც ეძღვნება სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების პრობლემებს. არაბულ ქვეყნებში გამოდის აგრეთვე ყოველდღიური ილუსტრირებული ჟურნალები, რომლებშიც მიმდინარე ამბებია გადმოცემული. მაგ., ეგვიპტის „ალ-მუსავვარ" („ილუსტრირებული"), ლიბანის „ალ-ჰავადის" („სიახლეები"). რელიგიური ჟურნალია საუდის არაბეთის „ად-და'ვა" („მოწოდება") და სირიის „ნაჰჯ ალ-ისლამ" („ისლამის კურსი"). არის აგრეთვე ლიტერატურული ჟურნალები, რომლებიც სპეციალური მკითხველისათვის არის გათვალისწინებული. მაგ., სირიის არაბ მწერალთა ორგანო – „ალ-მავკიფ ალ-ადაბიი" („ლიტერატურული პოზიცია"), რომელიც 1971 წლიდან გამოდის. სირიის პრესის დამახასიათებელი თავისებურებაა ჟურნალების მნიშვნელოვანი რაოდენობის გამოცემა, რომლებიც სხვადასხვა სამინისტროებს ეკუთვნის. ასეთი ჟურნალები პოპულარობით სარგებლობენ არა მხოლოდ სპეციალისტებს შორის, ვინაიდან სოციალური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ. მაგ.: „ალ-იკთისად" („ეკონომიკა"), „აშ-შურტა" („პოლიცია") და სხვ. ქუვეითში დიდი რაოდენობით იბეჭდება არაოფიციალური ჟურნალები, რომლებსაც გამოსცემენ სხვადასხვა ორგანიზაციები, კომპანიები, ბანკები, სინდიკატები და ფედერაციები. მათი გამოცემები უფასოდ ვრცელდება იმის მიუხედავად, რომ პოლიგრაფიული შესრულების მაღალი ხარისხით გამოირჩევიან და საკითხების ფართო წრეს განიხილავენ.

არაბულ სამყაროში სახელმწიფო სხვადასხვა გზით ახდენს გავლენას ბეჭდვით მედიაზე. მაგ., ომანში უშუალოდ სახელმწიფოს მეთაური ხვდება მასობრივი

ინფორმაციის საშუალებების მთავარ რედაქტორებს და აფიქსირებს ხელისუფლების პოზიციას ამა თუ იმ შიდა და საერთაშორისო პრობლემებზე, ამ საკითხებს ეხება აგრეთვე რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლისას. ზემოქმედების აქტიური იარაღია ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სახელმწიფო დაფინანსება. არაბული მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, სახელისუფლებო სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა დრამატულად ვითარდება. არაბულ სამყაროში ჟურნალისტობა ითვლება ერთ-ერთ ყველაზე საშიშ პროფესიად. ჟურნალისტების მკვლელობით პირველ ადგილას არის ერაყი, სადაც ამ ფაქტებმა 88,57%-ს მიაღწია. შემდეგ მოსდევს სომალი – 5,71%, სუდანი და იემენი – 2,86% თითოეულში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ 2005 წლის ივნისში ლიბანელი ჟურნალისტის – სამირა ქასირის მკვლელობა, რომელიც ააფეთქეს თავისივე მანქანაში. იგი იყო საკმაოდ ცნობილი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე არა მარტო ლიბანში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მან განათლება მიიღო სორბონაში (საფრანგეთი), სადაც მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. სამირა ასწავლიდა აგრეთვე პოლიტოლოგიას ბეირუთის წმ. იოსების უნივერსიტეტში. იყო ლიბანის დემოკრატიული მემარცხენე მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი. ის მუდმივად თანამშრომლობდა რამდენიმე გაზეთთან, მათ შორის „Le Mond Diplomatic"-თან და იყო ამ გამოცემის არაბულენოვანი ვერსიის რედაქტორი. 1988 წლიდან იგი იყო მუდმივი ავტორი ყოველდღიური გაზეთის – „ან-ნაჰარ" („დღე"). ქასირი თანმიმდევრულად აკრიტიკებდა სირიის არმიის ყოფნას ლიბანის ტერიტორიაზე და პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის პოლიტიკას. ჯერ კიდევ 2001 წელს ლიბანის სპეცსამსახურებმა მას ჩამოართვეს პასპორტი იმ მოტივით, რომ ის წერდა „პასკვილებს" ლიბანის შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების სამსახურის მიმართ. 2006 წლის 6 სექტემბერს სუდანში მოკლეს ცნობილი ჟურნალისტი, ყოველდღიური გაზეთის (ალ-ვიფაკ – „შეთანხმება") რედაქტორი – მუჰამად ტაჰი მუჰამად აჰმადი. მას ისლამისტებმა თავი მოკვეთეს 2005 წელს მოციქულ მუჰამადზე გამოქვეყნებული „შეურაცხმყოფელი" სტატიის გამო (მაშინ ის დააპატიმრეს, მაგრამ მოგვიანებით გამოუშვეს, რადგანაც სასამართლოზე დაასაბუთა, რომ არასწორად გაუგეს). არაბულ ქვეყნებში ხშირია ჟურნალისტთა დაპატიმრების შემთხვევევები. ამ ინდიკატორით ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ ეგვიპტეს და იემენს (თითოეულს 17,59%). შემდეგ მოდის ალჟირი და ერაყი. გასამართლების ყველაზე მეტი ფაქტი დაფიქსირებულია ალჟირში (50,68%), შემდეგ ეგვიპტესა (13,15%) და იემენში (8,78%). რაც შეეხება ჟურნალისტების მძევლად აყვანას, აქაც პირველ ადგილზეა ერაყი – 50%. შემდეგ მოდის პალესტინა – 25%, იემენი – 18,75% და სუდანი – 6,25%. დანარჩენ არაბულ ქვეყნებში არ არის დაფიქსირებული ასეთი ფაქტები. არაბულ ქვეყნებში დაფიქსირებულია აგრეთვე ჟურნალისტებზე ფიზიკური ძალადობის ფაქტები და ამ ინდიკატორით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ეგვიპტეს (40,86%). შემდეგ მოდის ერაყი და იემენი (13,98% თითოეულში), პალესტინა (9,68%), იორდანია და სომალი (3,23% თითოეულში). ჟურნალისტთა გასამართლების ყველაზე მეტი ფაქტი დაფიქსირებულია ალჟირში (50,68%). მას მოსდევს ეგვიპტე (13,5%) და იემენი (8,78%). ამ ინდიკატორით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ სუდანს, საუდის არაბეთსა და იემენს (1,35% თითოეულში). ჟურნალისტთა გასამართლების ფაქტები არ არის დაფიქსირებული არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, სომალიში, ქუვეითში, პალესტინაში, ომანსა და კატარში.

არაბულ ქვეყნებში ხშირია გაზეთების მასობრივი დახურვის ფაქტები. ამ ინდიკატორით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ერაყს (38,46%), რომლის შემდეგ მოდის იემენი (30, 78).

ეგვიპტე გამოირჩევა პრესის ცენზურის მაღალი მაჩვენებლებით. მას მოსდევს კატარი, სუდანი, თუნისი და სირია. პრესის თავისუფლების ინდექსით ახლო აღმოსავლეთში პირველ ადგილზეა ქუვეითი (ისრაელის შემდეგ). მაროკოში ოფიციალურად ცენზურა გაუქმდა მხოლოდ 1977 წელს, მაგრამ ხშირად ხორციელდება ადმინისტრაციული სანქციები მემარცხენე გაზეთების მიმართ. მაგ., გაზეთზე – „ალ-ბაიან" 1983 წელს დაწესდა ცენზურა, ხოლო 1986 წლის ოქტომბრიდან 1987 წლის იანვრამდე ის საერთოდ აკრძალული იყო. ლიბიაში და საუდის არაბეთში ყველაზე მაღალია სახელმწიფოს კონტროლი ჟურნალ-გაზეთებზე. საკანონმდებლო შეზღუდვები ყველაზე მეტია ეგვიპტეში, კატარში, საუდის არაბეთში, სუდანსა და თუნისში. 1996 წლამდე იორდანიაში მოქმედებდა კანონი, რომლის თანახმადაც უცხოური პრესა შეიძლებოდა შემოსულიყო ქვეყანაში მხოლოდ ცენზურის შემდეგ. ცენზურას ახორციელებდა პუბლიკაციებისა და ბეჭდვის დეპარტამენტი. თუნისში უცხოური გაზეთების შემოტანა საერთოდ აკრძალულია. ხოლო ადგილობრივი პრესა, ანალიტიკოსების აზრით, აშკარად პროსამთავრობოა. ერთადერთი პარტია, რომლის საქმიანობაც შუქდება პრესაში, არის „დემოკრატიული კონსტიტუციური გაერთიანება". მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ფართოდ და მიზანმიმართულად გამოიყენება ხელისუფლების მიერ თავისი იდეებისა და პოლიტიკური კურსის პროპაგანდისათვის.

ჟურნალისტების უფლება – მოიპოვონ ინფორმაცია კონსტიტუციურად განმტკიცებულია მხოლოდ 5 არაბულ ქვეყანაში: ალჟირში, ეგვიპტეში, იორდანიაში, სუდანსა და იემენში. არის გარკვეული შეზღუდვები ინტერნეტის დოკუმენტაციაზეც, განსაკუთრებით ლიბიაში, საუდის არაბეთსა და კატარში. 2008 წლის 31 ივლისს საუდის არაბეთის კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სახელმწიფო კომისიამ დაჰრანში დახურა ელექტრონული საიტი (http://menber-alhewar.com), რომლის შემქმნელებმა მას უწოდეს „დიალოგისა და შემოქმედების ტრიბუნა". 2008 წლის 12 მაისს არასამთავრობო ორგანიზაციამ – „არაბული ქსელი ადამიანის უფლებებზე ინფორმაციისათვის" – გაავრცელა კომუნიკე, სადაც ამტკიცებდა, რომ ეგვიპტის ხელისუფლებამ (4 მაისს) დაბლოკა ოპოზიციური ორგანიზაცია – „ქიფაიას" ვებგვერდი.

ომანში ხელისუფლება შედარებით თავისუფლებას ანიჭებს ადგილობრივ გამოცემებს, მათ შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი აზრი შიდა და საერთაშორისო პრობლემებზე. ამის პარალელურად ხელისუფლება არ უშვებს, რომ პრესა გადაიქცეს პოლიტიკურ ან რელიგიურ ძალთა დაპირისპირების არენად. ამ მიზნით ქვეყანაში აკრძალულია ისეთი პუბლიკაციები, რომლებიც შეიცავენ სახელმწიფოს მეთაურისა და ისლამის კრიტიკას, დიფამაციას (ვისამე სახელის გამტეხი ცნობების – ნამდვილისა და მოგონილის – გამოქვეყნება პრესაში) და ინფორმაციას, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს უსაფრთხოებას. იკრძალება აგრეთვე ისეთი ფოტო და კინო-მასალის პუბლიკაცია, რომელზედაც გამოსახულია ძალადობის სცენები, პორნოგრაფიული ხასიათის მასალა, კარიკატურები. ეს აკრძალვები მოქმედებს სპარსეთის ყურის ყველა არაბულ მონარქიაში. პასუხისმგებლობა ეკისრება მთავარ რედაქტორს ან გაზეთის მფლობელს, რომელიც შეიძლება დაჯარიმდეს ან შეჩერდეს გაზეთის გამოცემა. კატარში იკრძალება მატერიალური დახმარების მიღება უცხოეთიდან, რათა გამოირიცხოს გარე ძალების მიერ კატარის პრესის გამოყენება პირადი ინტერესებისათვის. მაროკოში კატეგორიულად იკრძალება კრიტიკა სამი „წმინდა ცნებისა": „ალაჰი, სამშობლო, მეფე". კანონის დამრღვევს შეიძლება მიესაჯოს ხუთ წლამდე, ხოლო სამეფო ოჯახის წევრთა ღირსების შელახვისათვის – 20 წლამდე პატიმრობა. მაროკოს პრესის კანონით იკრძალება აგრეთვე კრიტიკა დასავლეთ საჰარის მაროკოსადმი კუთვნილების საკითხის მიმართ. 1997 წლის მაის-

ში საპარლამენტო არჩევნების წინ, 1993 წლის პრესის კანონში შეიტანეს ცვლილებები, რაც ფაქტობრივად ნიშნავდა ოპოზიციური საქმიანობის დასასრულს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალის ოდენობა გაზეთებისათვის: ყოველდღიური გაზეთისათვის – 50 ათასი დინარიდან (71 ათასი დოლარი) 600 ათას დინარამდე (850 ათასი დოლარი); ყოველკვირეული გაზეთისათვის – 15 ათასი დინარიდან (21,5 ათასი დოლარი) 300 ათას დინარამდე (425 ათასი დოლარი). ამასთანავე, ეს თანხა სამ თვეში უნდა გადაეხადათ. ამ შესწორების მიზანი იყო ოპოზიციური გამოცემების მცირეფორმატიანი გაზეთების დახურვა. აიკრძალა აგრეთვე ისეთი პუბლიკაციების, ფოტოების, კარიკატურების და ა.შ. გამოქვეყნება, რომლებიც: შეურაცხყოფდა მეფეს, სამეფო ოჯახის წევრებს და კონსტიტუციით აღიარებულ რელიგიას; შესაბამისი ორგანოს თანხმობის გარეშე ინფორმაციას აწვდიდა ქვეყნის შეიარაღებული ძალების შესახებ; არღვევდა ეროვნულ ერთიანობას; მიზნად ისახავდა დესტაბილიზაციასა და ეროვნული ვალუტისადმი უნდობლობას; კიცხავდა არაბული, მუსლიმური და მოძმე ქვეყნების მეთაურებს და შეეძლო ზიანის მოტანა იორდანიისათვის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში; შეურაცხყოფდა კერძო პირთა ღირსებას და პირად თავისუფლებას და ზიანს აყენებდა მათ რეპუტაციას; ეწინააღმდეგებოდა საზოგადოებრივ მორალს და ეთიკას; ააშკარავებდა დაფარულ სახელმწიფო ინფორმაციას; შეიცავდა ინფორმაციას, რომელიც ლახავდა სახელმწიფო ინსტიტუტების ინტერესებს. ამ ახალი კანონის საფუძველზე მთავრობამ 1997 წლის სექტემბერში დახურა 13 ყოველკვირეული გაზეთი, რითაც მნიშვნელოვნად შეასუსტა ოპოზიციური შეხედულებების პროპაგანდა. მაროკოში ისლამისტურ პრესაზე ზეწოლა დიდია. 2000 წლის თებერვალში გაყიდვიდან ამოიღეს ყველა გაზეთი, სადაც დაიბეჭდა ისლამისტური პარტიის ლიდერის, შაიხ 'აბდ ას-სალამ იასინის, წერილი მეფე მოჰამედ VI-დმი, დაებრუნებინა ხალხისათვის ის ღირსება, რაც წაართვა მათ მისმა მამამ – ჰასან II-მ 30 წლიანი მმართველობის დროს. 2000 წელს აიკრძალა 8 გაზეთი, მათ შორის რაც იბეჭდებოდა საფრანგეთში. გატარებული ღონისძიებები ქვეყანას საშუალებას აძლევს იცხოვროს ისლამური ფუნდამენტალიზმის „სერიოზული საფრთხის" გარეშე.

2006 წლის 9 ივლისს ეგვიპტის დამოუკიდებელი და ოპოზიციური გამოცემების ჟურნალისტებმა მოაწყეს გაფიცვა პრესის კანონის პროექტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. თავდაპირველი სახით კანონპროექტში იყო მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა პატიმრობას ისეთი მასალის პუბლიკაციისათვის, რომელიც შეიცავდა ცილისწამებას ხელისუფლებაზე, მათ შორის პრეზიდენტზე. პროექტი ითვალისწინებდა აგრეთვე იმ ჟურნალისტთა დასჯის შემოღებას, რომლებიც თავიანთ სტატიებში დაადანაშაულებდნენ სახელმწიფო მოხელეებს კორუფციაში. ამ საგაფიცვო მოძრაობის შემდეგ, ჰ. მუბარაქმა ეროვნული ასამბლეისაგან მოითხოვა ამ მუხლის გაუქმება. თუმცა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში დარჩა სასჯელები ჟურნალისტთა „სხვა დანაშაულობების" გამო. 2007 წლის სექტემბერში ეგვიპტეში გაიმართა სასამართლო პროცესები იმ ჟურნალისტებთან მიმართებაში, რომლებმაც გამოაქვეყნეს „ყალბი ინფორმაცია" პრეზიდენტის ჯანმრთელობაზე. დაკითხვაზე გამოიძახეს გაზეთ „ად-დუსთურის" მთავარი რედაქტორიც – იბრაჰიმ მუსა, რომელსაც 2006 წელს ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯეს იმ სტატიის გამოქვეყნების გამო, რომელშიც მოხსენიებული იყო სახელმწიფოს მეთაურის გასამართლების შესაძლებლობა. მეორე ინსტანციის სასამართლომ მას მოუხსნა ეს სასჯელი. 2008 წლის 2 აგვისტოს ამერიკაში მცხოვრებ ეგვიპტელ სოციოლოგს და სამართალდამცავს, საად ად-დინ იბრაჰიმს, ეგვიპტის სასამართლომ დაუსწრებლად მიუსაჯა 2 წლით პატიმრობა ეგვიპტეზე ცილისწამებლური სტატიების გამოქვეყნების გამო. ის საჯარო გამოსვლებშიც აკრიტიკებდა ეგვიპტის პრეზიდენტს. რამდენიმე თვით ადრე 69 წლის სამართალდამცავმა, საად ად-დინმა დატოვა ეგვიპტე ადამიანის უფ-

ლებათა დარღვევების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. ჯერ კიდევ 2001 წელს მას 7 წლით პატიმრობა მიუსაჯეს ჰ. მუბარაქის კრიტიკისათვის უცხოეთიდან ფულადი დახმარებების მიღების გამო. ამ განაჩენს დასავლეთის მკაცრი კრიტიკა მოჰყვა, რის შემდეგაც მეორე ინსტანციის სასამართლომ ის, 10 თვიანი პატიმრობის შემდეგ, გაათავისუფლა. 2008 წლის 10 აგვისტოს გაზეთების ჯიხურებიდან ამოიღეს ეგვიპტის დამოუკიდებელი გაზეთის – „ად-დუსთურის" ნომერი. ამ გამოცემაში პირველ გვერდზე. განთავსებული იყო მასალა, სადაც გამოთქმული იყო ვარაუდი ერთ-ერთი ეგვიპტელის თანამონაწილეობის შესახებ ლიბანელი მომღერლის, სიუზან თამიმის, მკვლელობაში (ახალგაზრდა ლიბანელი მომღერალი ქალი მკვდარი იპოვეს თავის ბინაში დუბაიში). გაზეთი არ ამხელდა ამ ეგვიპტელის ვინაობას, მაგრამ აღნიშნავდა, რომ ის იყო „გავლენიანი" და „ხელისუფლებასთან დაახლოებული".

2004 წლის1 ივნისს სტამბულში ჩატარდა გაზეთების მსოფლიო ასოციაციის კონგრესი. მის მუშაობაში მონაწილეობდა არაბული სამყაროს მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მრავალი წარმომადგენელი. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე საიდ ას-სულამი, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ჩრდილოეთ აფრიკის მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში სიტყვის თავისუფლების დაცვის ცენტრის თავმჯდომარე. იგი განსაკუთრებით დეტალურად შეეხო არაბული ქვეყნების ხელისუფლების ორგანოების ცენზურას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე. მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ საზღვარგარეთის მრავალ სახელმწიფოს ეშინია არაბული მასობრივი საინფორმაციო საშუალებების პოზიციების განმტკიცებისა და მათი ზეგავლენისა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. ცნობილმა პალესტინელმა ჟურნალისტმა დაუდ ქუთაბმა აღნიშნა, რომ „მრავალ არაბულ ქვეყანაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამჯობინებენ ყურადღების კონცენტრირებას პალესტინის პრობლემაზე ან ბოლო პერიოდში ერაყში არსებულ ვითარებაზე, ვიდრე თავისი ხედვის წარმოდგენას უფრო მწვავე საშინაო პრობლემებზე". მან ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში არსებობს 30-მდე სხვადასხვა კანონი, რომლებიც არეგულირებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობას. ეს კანონები ზღუდავს ჟურნალისტს – გადასცეს ობიექტური ინფორმაცია. მისი აზრით, მრავალი არაბული გაზეთის და ჟურნალის ხარისხი საკმაოდ დაბალია, რადგანაც დამოუკიდებელი ორიგინალური ჟურნალისტიკა ამ გამოცემებში პრაქტიკულად არ არსებობს. ამასთანავე, მრავალი არაბული ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებში მხოლოდ ეროვნული და საერთაშორისო სააგენტოებიდან გადმობეჭილი ახალი ამბებია მოტანილი. ამ ქვეყნებში ჟურნალისტთა კავშირები არის „დახურული" საზოგადოებები, რომლებიც ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურების კონტროლქვეშაა. ერაყის გაზეთის „აზ-ზამან" („დრო")-ის მთავარმა რედაქტორმა საად ალ-ბაზაზმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ თანამედროვე ერაყში ქალ-ჟურნალისტებს არ შეუძლიათ თავიანთი პროფესიული მოვალეობების სრულად განხორციელება, რადგანაც მათ ყოველდღიურად უნევთ შეჯახება ფანატიკურად განწყობილ ექსტრემისტულ ჯგუფებთან, რომლებიც ცდილობენ მუშაობის თავიანთი პირობები მოახვიონ თავს ერაყის სამოქალაქო საინფორმაციო საშუალებებს. ამის პარალელურად, მრავალი მკვლევარი აღნიშნავს, რომ არაბული მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ვითარდება. იემენის გაზეთის „Yemen Times"-ის წარმომადგენელმა ვალიდ ას-საკაფმა განაცხადა, რომ „ცვლილებებმა არაბულ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში უნდა გამოიწვიოს ახლო აღმოსავლეთის რეჟიმების მენტალიტეტის ცვლილება. მათ უნდა დაარწმუნონ ისინი იმაში, რომ თავისუფალი მასობრივი საინფორმაციო საშუალებები არ წარმოადგენენ საფრთხეს და შეუძლიათ ითანამშრომლონ ხელისუფლებასთან კორუფციასთან ბრძოლაში და

სხვა". მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ არაბულ ქვეყნებში სიტყვისა და პრესის თავისუფლება, რაც განიხილება პოლიტიკური პლურალიზმის აუცილებელ თანმხლებ მოვლენად, ბევრად ჩამორჩება მსოფლიო სტანდარტებს.

რეპორტიორებმა საზღვრების გარეშე ჩაატარეს კვლევა და გამოაქვეყნეს შედეგები არაბულ სამყაროში მედიისა და პრესის თავისუფლების შესახებ. არაბულ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი დაიკავა ქუვეითმა.

რაც შეეხება არაბულ ტელეკომუნიკაციებს, ბოლო ათი წლის განმავლობაში ამ სფეროში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების და სამეურნეო პროცესების გლობალიზაციის პირობებში. არაბული ტელევიზიების შესახებ ინფორმაციის საუკეთესო წყაროა – Transnational Broadcasting Studies, რომელსაც უშვებს კაიროს ამერიკული უნივერსიტეტი. არაბული საინფორმაციო საშუალებებისა და ტელეინდუსტრიის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ჟურნალი – MEB Journal, რომელსაც უშვებს ახლო აღმოსავლეთის დიქტორთა ასოციაცია.

ახლო აღმოსავლეთში არის სამი ცნობილი არაბული თანამგზავრული ტელეარხი: „ალ-ჯაზირა" (ვებგვერდი – aljazeera.net), „ალ-არაბიიდა" (ვებგვერდი – alarabiya.net) და „ალ-ჰურრა" (ვებგვერდი – alhurra.com).

„ალ-ჯაზირა" (არაბ. „ნახევარკუნძული") თანამგზავრული ტელეარხია სადღეღამისო მაუწყებლობით არაბულ ენაზე. მისი შტაბ-ბინა არის დოჰაში (კატარი), პრეზიდენტი – კატარის ამირას ბიძაშვილი, შაიხი აჰმად იბნ თაიმურ ას-სანი. „ალ-ჯაზირა" ეთერში გადის 1996 წლის 7 ნოემბრიდან. მისი ოფისები არის 30-ზე მეტ ქვეყანაში. მისი დაარსებისათვის კატარის მთავრობამ გამოყო 140 მლნ დოლარი და ამის შემდეგ უშუალოდ ამირა ყოველწლიურად აფინანსებს ტელეარხს 30 მლნ დოლარით. „ალ-ჯაზირას" უწოდებენ „სიახლეთა რევოლუციას". ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ეს ტელეარხი იყო კრიტიკის ობიექტი მუსლიმური საზოგადოებრიობის მხრიდან როგორც არაბულ სამყაროში, ისე რუსეთში. არსებობის მანძილზე ამ ტელეარხმა მიიღო 400-ზე მეტი საპროტესტო ნოტა „ალ-ჯაზირას" გადაცემებთან დაკავშირებით. საუდის არაბეთის კომპანიებმა მას ბოიკოტი გამოუცხადეს და არ განათავსებენ რეკლამებს ამ ტელეარხის გადაცემებში. ეგვიპტემ დახურა ამ ტელეარხის ბიურო მას შემდეგ, რაც „ალ-ჯაზირამ" პირდაპირი ეთერით აჩვენა ინტერვიუები ეგვიპტის ოპოზიციასთან. „ალ-ჯაზირას" პროგრამებში შედის: ახალი ამბები, ანალიტიკური მასალები, თოქ-შოუები და დოკუმენტური ფილმები. მისი აუდიტორია 90 მლნ ადამიანს ითვლის. „ალ-ჯაზირა" ერთადერთი არაბული არხია, რომელსაც საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს ისრაელის ქნესეთში. 2006 წლის 15 ნოემბრიდან დაიწყო „ალ-ჯაზირას" მაუწყებლობა ინგლისურ ენაზე. ტელეარხის წარმატებას განაპირობებს მისი მუშაობის ძირითადი პრინციპები – ცენზურის არარსებობა, ობიექტურობა და პროფესიონალიზმი, ნოვატორული მიდგომა თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების გაშუქებისას. მისი ერთ-ერთი დევიზი იყო „არგუმენტი – კონტრარგუმენტი". თუმცა „ალ-ჯაზირას" მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელის დათხოვნა 2005 წლის 20 სექტემბერს ამ ფაქტების საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

2003 წლის 20 თებერვალს დაიწყო მაუწყებლობა ახალმა სატელიტურმა, საინფორმაციო ტელეარხმა – „ალ-'არაბიიდა" (არაბ. „არაბული"), რომელიც დაფინანსდა საუდის არაბეთის, ქუვეითის, ლიბანის და არაბთა გაერთიანებული საამიროების კერძო ინვესტორების მიერ. მისი სასტარტო კაპიტალი იყო 500 მლნ დოლარი. ის ეკუთვნის კომპანიას „ახლო აღმოსავლეთის ახალი ამბები", რომლის დირექტორია ალი ალ-ჰუდაისი. ტელეარხის შტაბ-ბინა არის დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები). 2003 წლის 3 მარტიდან ტელეარხმა დაიწყო სადღეღამისო მაუწ-

ყებლობა. ტელეარხის დირექტორი არის სალიჰ კალაბი – იორდანიის ყოფილი ინ-ფორმაციის მინისტრი. მრავალი დამკვირვებელი თვლის, რომ ტელეარხი ემსახურე-ბა ისრაელისა და ამერიკის ინტერესებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

2004 წლის 14 თებერვალს ეთერში გავიდა კიდეე ერთი ახალი არაბული ტელე-არხი – „ალ-ჰურრა", რაც ნიშნავს თავისუფალს. ის არსებობს ამერიკის მსხვილგა-დამხდელთა სახსრების ხარჯზე. ტელეარხის დაარსების ძირითადი მიზეზი გახდა ამერიკისადმი არაბული ქვეყნების ნეგატიური დამოკიდებულების შეცვლა. ამ ტე-ლეარხს ჰყავს 200 თანამშრომელი. მისმა გამოჩენამ უარყოფითი გავლენა იქონია ისეთ ცნობილ რადიოარხებზეც კი, როგორიცაა „ამერიკის ხმა", „რადიო-თავისუფ-ლება", „თავისუფალი აზიის რადიო", რადგანაც ახალი ტელეარხის ინტერესების სფეროში შედის იგივე თემების განხილვა და იმავე აუდიტორიის დაპყრობა, რომე-ლიც ჰყავთ ზემოთ ჩამოთვლილ რადიოსადგურებს. ამ ტელეარხის გადაცემები ვრცელდება ახლო აღმოსავლეთის 22 ქვეყანაში. პროგრამის ყველა გამოშვება ეთერში გადის საბჭოს მოწონების შემდეგ, რომელშიც შედიან სარედაქციო კოლე-გიისა და ამერიკული ადმინისტრაციის წარმომადგენლები. მისმა გასვლამ ეთერში მაშინვე გამოიწვია კრიტიკა ყველა წამყვანი მასობრივი საინფორმაციო საშუალე-ბების მხრიდან. განსაკუთრებით მწვავე კრიტიკა დაიბეჭდა არაბთა გაერთიანებუ-ლი საამიროების გაზეთში „ალ-ხალიჯ" („ყურე"), „აშ-შარკ ალ-ავსატ"-ში, რომელიც დიდ ბრიტანეთში გამოდის და სხვ. დამკვირვებელთა უმეტესობა ერთსულოვანია იმაში, რომ პრობლემა არის არა ახალი ტელეარხის ჩამოყალიბებაში, არამედ არა-ბულ სამყაროს მიმართ ამერიკის საგარეო პოლიტიკაში, რასაც ეს არხი უწევს პრო-პაგანდას. ამ ტელეარხის პირველი სტუმარი გახდა ამერიკის პრეზიდენტი – ჯორჯ ბუში, რომელიც ისე მიიღეს, როგორც ერთ-ერთი წამყვანი არაბული სახელმწიფოს მეთაური. არაბი მაყურებელი უნდობლობით ეკიდება ამ ტელეარხის ინფორმაციას.

არაბულ ქვეყნებში აქტიურად ინერგება საინფორმაციო ტექნოლოგიები. არაბთა გაერთიანებული საამიროებისა და საუდის არაბეთის შემდეგ ეგვიპტეს მყა-რად უკავია მესამე ადგილი ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობით. თანამედ-როვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, ეგვიპტეში (გიზასთან ახლოს) დაიწყო მაღალტექნოლოგიური პროექტის – „გონიერი სოფელი" განხორ-ციელება, რომლის პირველი ფაზა გაიხსნა 2003 წლის 21 სექტემბერს. ეს არის თა-ნამედროვე ტექნოლოგიებითა და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურით (ჰიპერ-მარკეტები, საჯარო ბიბლიოთეკა, საგამოფენო პავილიონები, საკონფერენციო დარბაზები, პრეს-ცენტრები და სხვ.) აღჭურვილი ტერიტორია, სადაც განლაგდება ეგვიპტისა და უცხოეთის წამყვანი ფირმები და კომპანიები.

არაბული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ინფორმაციის მიწოდებისას ორ საწინააღმდეგო მიმართულებას განეკუთვნებიან: ან მოკლედ და დინამიურად გადმოსცემენ მშრალ ფაქტებს, ანდა აქტიურად არიან დაკავებული რელიგიური თუ პოლიტიკური პროპაგანდით. არსებობს ახალი ამბების არაბული სააგენტო, რომ-ლის წევრიც არის თითქმის ყველა არაბული ქვეყანა.

ისლამისტური მოძრაობა არაბულ სამყაროში XXI საუკუნის დასაწყისში

ისლამისტური მოძრაობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს არა მარტო მუსლიმური სამყაროს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაზე, არამედ მსოფლიო პოლიტიკაზეც. მუსლიმურ ქვეყნებში XX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო „ისლამური აღორძინების" („ან-ნაჰდა") ფუნდამენტალისტური იდეოლოგიის გავრცელება, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ირანში ისლამური რევოლუციის გამარჯვებამ (1979 წ.) და სამოქალაქო ომმა ავღანეთში.

ტერმინ „ფუნდამენტალიზმის" მეცნიერული განმარტება არ არსებობს. ფუნდამენტალიზმი პირველად იმ ამერიკული პროტესტანტული მოძრაობების[42] აღსანიშნავად გამოიყენეს, რომლებიც ბიბლიის პირდაპირ გაგებას ქადაგებდნენ. დღეს ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება სხვა კონფესიებთან, განსაკუთრებით ისლამთან მიმართებაში. ფუნდამენტალიზმს და ისლამს ხშირად აიგივებენ ტერორიზმთან, ფანატიზმთან, პოლიტიკურ ისლამთან, ისლამიზმთან და ექსტრემიზმთან. თავად მუსლიმურ სამყაროში ანალოგიური შინაარსობრივი დატვირთვის მქონე ტერმინი არ არსებობს. მისი შესატყვისი ფენომენის აღსანიშნავად ზოგჯერ გამოიყენება „ალ-უსულიზმა", ან „ას-სალაფიზმა" ან „მუთატარრიფუნ" („უკიდურესი", „ექსტრემისტი"). ფუნდამენტალისტები თავის თავს უბრალოდ მოიხსენიებენ, როგორც „ნამდვილ მუსლიმებს".

მეცნიერთა ნაწილი ისლამურ ფუნდამენტალიზმს აიგივებს ტრადიციონალიზმთან, აღორძინებასთან ანუ საკუთრივ ფუნდამენტალიზმთან და მოდერნიზმთან. ტრადიციონალისტები ანუ კონსერვატორები, წინააღმდეგი არიან რაიმე ეკონომიკური ან სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების და პრინციპში ისლამის მოძღვრების ცვლილების. მათი მომხრეები არიან 'ალიმები (ულამები), სუფიური საძმოების წევრები, სოფლის მოსახლეობის და დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლები. ფუნდამენტალისტები ისლამის გაწმენდას, ისლამის ფესვებისაკენ დაბრუნებას მოითხოვენ. მოდერნისტების ანუ რეფორმატორების აზრით განახლება უნდა მოხდეს ავტორიტეტულ წყაროებზე დაყრდნობით, ყურანისა და სუნას საფუძველზე, ახლებურად – თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მათი წაკითხვით, რელიგიის ფუნდამენტური პრინციპების დაცვითა და მათზე დაყრდნობით.

ცნობილი პოლიტოლოგი, ისლამის პრობლემების სპეციალისტი ა. მალაშენკო თვლის, რომ „ისლამური აღორძინების იდეოლოგიაში დომინირებს ტრადიციონალისტური და აღორძინების ტრადიციები. ორივე დამახასიათებელია მუსლიმური სამყაროსათვის. ისინი კვეთენ ერთმანეთს, წინააღმდეგობაში არიან და ამასთანავე შეადგენენ ერთ მთელს". ა. უმნოვის აზრით, „ტრადიციონალიზმი და ფუნდამენტალიზმი ერთმანეთის მსგავსია, ორივე გამოდის ტრადიციული ისლამური ნორმების, ქცევის, ჩვეულებების, სასჯელის შემოღებისათვის. ორივე სხვადასხვა ხარისხით იყენებს ექსტრემისტულ მეთოდებს. არსებობს სერიოზული განსხვავებაც. ტრადიციონალისტები იბრძვიან ტრადიციების შენარჩუნებისათვის. ფუნდამენტალიზმი კი მიისწრაფვის რადიკალური გარდაქმნისაკენ, ზოგჯერ რევოლუციისაკენ. ტრადიციონალისტები იფარგლებიან საკუთარი ქვეყნის ტერიტორიით, ხოლო ფუნდამენტალისტები ცდილობენ მის ფარგლებს გარეთ გასვლას.

ისლამური ფუნდამენტალიზმი ძირითადად გამოიყენება იმ მოძრაობებისა და მიმართულებების აღსანიშნავად, რომლებიც მოუწოდებენ შარიათით გათვალისწი-

---

[42] პროტესტანტული მოძრაობა აღმოცენდა ამერიკაში XX საუკუნის 20-იან წლებში და მიზნად ისახავდა „ლიბერალიზმის" წინააღმდეგ და სარწმუნოებრივი პრინციპების დასაცავად ბრძოლას.

ნებული ისლამური ნორმებისა და ფასეულობების მკაცრად დაცვისაკენ. მუსლიმ ფუნდამენტალისტებს მათი ოპონენტები მიაწერენ შეურიგებლობას დასავლური ცხოვრების წესისადმი. ფუნდამენტალისტების ძირითადი მიზანი არის დაბრუნება თავდაპირველი ისლამისაკენ, რომელშიც მეცნიერები ორ პერიოდს გამოყოფენ: 1. ადრეული პერიოდი, რომელშიც იგულისხმება მოციქულ მუჰამადის ან პირველი ოთხი მართლმორწმუნე ხალიფას მმართველობის პერიოდი; 2. მოგვიანო პერიოდი, რომელსაც ერთნი აიგივებენ კულტურულ აღორძინებასთან (VIII-IX სს.) აბასიანთა მმართველობის დროს, ხოლო მეორენი დასავლური იმპერიალიზმის წინამავალ ხანასთან. ეს, მათი აზრით, არის „მკაცრი ზნეობრიობის" აღორძინება.

ამერიკელი პოლიტოლოგის ჯონ ესპოზიტოს აზრით, ტერმინ „ისლამური ფუნდამენტალიზმის" გაგება შეესატყვისება ტერმინებს „ისლამური აღორძინება", ან „ისლამური აქტივიზმი", რომელთაც აქვთ საფუძველი ისლამურ ტრადიციაში. ჯ. ესპოზიტო თვლის, რომ ისლამს აქვს აღორძინების („თაჯდიდ") და რეფორმიზმის („იṣლაჰ") ხანგრძლივი ტრადიცია, რომელიც მოიცავს წარმოდგენას პოლიტიკურ და სოციალურ აქტივობაზე, დაწყებული ადრეული ისლამის ხანიდან დღემდე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისლამოლოგები გამოყოფენ სუნიტურ და შიიტურ ფუნდამენტალიზმს, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან „იდეალური სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოწყობის ფორმით (სახალიფო-საიმამო), სოციალური მხარდაჭერით (ქალაქის-სოფლის მოსახლეობა), მოქმედების საშუალებებით (ჯგუფური-მასობრივი) და სხვა.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ისლამური ფუნდამენტალიზმისა და ისლამიზმის ურთიერთმიმართების განსაზღვრა. რუსი მკვლევარი ვ. საჟინი გვთავაზობს ისლამიზმის კლასიფიკაციას და მასში 4 ძირითად მიმართულებას გამოყოფს: 1. ადაპტაცია და სინთეზი; 2. კონსერვატიული და ტრადიციული; 3. ფუნდამენტალიზმი; 4. რადიკალური ფუნდამენტალიზმი, რომელიც დაკავშირებულია ტერორიზმთან. თუ XX ს. 90-იან წლებში ისლამიზმი განიხილებოდა როგორც ნეოფუნდამენტალიზმი, ახლა უფრო ხშირად იხმარება ის პოლიტიკური ისლამის მნიშვნელობით, ხოლო ისლამისტებს ახლო აღმოსავლეთში ხშირად უწოდებენ იმათ, ვინც აქტიურად იყენებენ რელიგიას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ისლამიზმის დამახასიათებელი ნიშნებია: ა) ჭეშმარიტი ისლამის აღორძინება; ბ) აქტიური მოქმედებები ისლამურ ხელისუფლების დასამყარებლად; კანონმდებლობის მოყვანა ყურანისა და სუნა დადგენილებებთან თანხმობაში. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მო ციქულის და მისი უახლოესი მიმდევრების დროს არსებული მორალის ნორმები დანერგვა; გ) გატარებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გარდაქ მნების მეტნაკლები რადიკალური ხასიათი; დ) აქტიური საგარეო პოლიტიკური კურსის გატარება, რათა მიღწეულ იქნეს ერთიანობა ანალოგიურ მოძრაობებთან საზღვარგარეთ.

XX ს-ის 90-იანი წლებიდან ახლო და შუა აღმოსავლეთში შეიმჩნევა ისლამური ფუნდამენტალიზმის კერების ზრდა. გამოიყოფა მთელი რიგი არაბული ქვეყნებისა, სადაც გაძლიერდა ისლამური მოძრაობები, რომლებიც მხარს უჭერენ ფუნდამენტალისტურ იდეოლოგიას. ეს ქვეყნებია: ალჟირი, ეგვიპტე, სუდანი, პალესტინა, იემენი. ამის პარალელურად, ისლამისტების საქმიანობა გრძელდება რელიგიური ოპოზიციის ფორმით. სწორედ ასეთი ქვეყნების რიგს განეკუთვნება მაროკო და საუდის არაბეთი, რომელიც მუდმივად ასოცირდება ფუნდამენტალიზმთან და პატრიარქალურ სისტემასთან.

ისლამისტური მოძრაობის რადიკალური ფრთის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საუდის არაბეთმა და აშშ-მ. ამ ქვეყნების სპეცსამსახურები ცდილობდნენ დაესუსტებინათ თავიანთი პოლიტიკური მოწინააღმდეგე – საბჭოთა

კავშირი, რისთვისაც ყოველნაირად უჭერდნენ მხარს ისლამისტურ ორგანიზაციებს და აგზავნიდნენ დაქირავებულ მუჯაჰიდებს პროსაბჭოური ავღანური რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად. XX საუკუნის ბოლო ათწლეულში საბჭოთა კავშირის და სოციალისტური ბანაკის დაშლამ კარდინალურად შეცვალა პოლიტიკურ ძალთა განლაგება მსოფლიოში და, შესაბამისად, იმოქმედა ისლამისტური მოძრაობის შემდგომ განვითარებაზეც. საბჭოთა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის განადგურებით დასრულდა ცივი ომი. ამ ცვლილებებმა არაბულ-მუსლიმურ სამყაროში გამოიწვია ადრე საბჭოთა ბლოკის მხარდამჭერი, სოციალისტური ორიენტაციის მქონე სამოქალაქო რეჟიმების დასუსტება და ისრაელის პოზიციის გაძლიერება ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში. ამის პარალელურად, იმ არაბულ ქვეყნებში, რომლებმაც ადრე გამოაცხადეს ეროვნული სოციალიზმის მშენებლობა (ალჟირი, იემენი, სირია და სხვ.), გაძლიერდა ისლამისტური პარტიები და მოძრაობები. მათი მიზანი იყო იმ იდეოლოგიური ვაკუუმის შევსება, რაც წარმოიშვა სოციალისტური იდეების კრახის შემდეგ.

XX საუკუნის 80-90-ან წლებში ალჟირში წარმოიშვა მასობრივი ისლამისტური მოძრაობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა „ხსნის ისლამური ფრონტი". მუსლიმმა იდეოლოგებმა წამოაყენეს მუსლიმური საზოგადოების განვითარების ისლამური გზა, ანუ ისლამური სახელმწიფოს აშენება, რომელიც დაეფუძნებოდა ყურანის კანონებს და სადაც გადაიჭრებოდა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, გაიმარჯვებდა „ისლამური სოციალური სამართლიანობა". მუსლიმი ლიდერები თავიანთ პროგრამულ დოკუმენტებში ამტკიცებდნენ, რომ ორივე ძირითადი „დასავლური იდეოლოგია" (სოციალიზმი და ლიბერალური დემოკრატია) ღრმა კრიზისს განიცდის. აქედან გამოჰქონდათ დასკვნა, რომ მუსლიმურმა საზოგადოებამ უარი უნდა თქვას „იმპორტირებულ იდეოლოგიაზე", რომელიც არ ეთანხმება ისლამურ ტრადიციებს. განვითარების ისლამურ იდეას მრავალი მხარდამჭერი გამოუჩნდა არაბულ-მუსლიმურ ქვეყნებში.

1991 წელს ალჟირში პირველად ჩატარდა მუნიციპალური და საპარლამენტო არჩევნები მრავალპარტიულ საფუძველზე, სადაც „ხსნის ისლამურმა ფრონტმა" მიიღო ხმების 50%. მხოლოდ არმიის მიერ საარჩევნო პროცესის შეჩერებამ შეუშალა ხელი ისლამისტების მოსვლას ხელისუფლების სათავეში და ალჟირის გამოცხადებას ისლამურ რესპუბლიკად. ისლამისტი ლიდერები პოპულისტური ლოზუნგების ჯამოყენებით არწმუნებდნენ მოსახლეობას სოციალ-ეკონომიკური პრობლემების აწრაფი გადაწყვეტის შესაძლებლობაში, თუ ისინი ხელისუფლების სათავეში მოვიდოდნენ. ამან ხელი შეუწყო ისლამისტების გავლენის გაძლიერებას იმ ქვეყნებშიც, რომლებიც არ ატარებდნენ სოციალისტური ორიენტაციის პოლიტიკას.

1987 წელს თუნისში ისლამისტური მოძრაობა „ან-ნაჰდა" („აღორძინება"), რომელსაც ხელმძღვანელობს რაშიდ ღანუში, შეეცადა ხელისუფლების სათავეში მოსვლას. მხოლოდ ხელისუფლების მკაცრმა მოქმედებებმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ახლანდელი პრეზიდენტი – ზაინ ელ-აბიდინ ბენ ალი (მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრი), შეუშალა ხელი მათ გააქტიურებას. ამავე პერიოდში ისლამისტურმა მოძრაობამ ძალა მოიკრიბა ეგვიპტეში, მაროკოსა და სუდანში. 80-იანი წლების ბოლოს სუდანში სამხედროების დახმარებით ხელისუფლების სათავეში მოვიდა მოძრაობა „ეროვნული ისლამური ფრონტი", რომლის სათავეში იყო ცნობილი ისლამისტი – ჰასან ათ-თურაბი. იგი შეეცადა ყურანსა და შარიათზე დაფუძნებული სახელმწიფოს აშენებას. საუდის არაბეთშიც წარმოიშვა მმართველი სამეფო დინასტიის ოპოზიციური ისლამისტური მოძრაობა მას შემდეგ, რაც ერაყის მიერ ქუვეითის წინააღმდეგ აგრესიის დროს 1991 წელს მეფე ფაჰდმა ნება დართო ამერიკელებს სამხედრო ბაზა განელაგებინათ სამეფოს ტერიტორიაზე.

90-იანი წლების დასაწყისიდან ისლამისტური მოძრაობის ავანსცენაზე გამოვიდა ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური დაჯგუფება „ალ-კა'იდა".[43] ამ ორგანიზაციის ბაზა არის ავღანეთში და ნაწილობრივ პაკისტანში. რადიკალური ისლამისტი ლიდერები ამ პერიოდში იწყებენ თავიანთი საქმიანობის ორიენტაციის შეცვლას. თუ ადრე მათი მთავარი ამოცანა იყო ავღანეთში პროსაბჭოური ნაჯიბულას რეჟიმის დამხობა ჯიჰადის გზით და საბჭოთა არმიის გაძევება, ამ მიზნის მიღწევის შემდეგ, პრაქტიკულად ათასობით მუჯაჰიდი აშშ-ისა და საუდის არაბეთის მხრიდან საქმის და, შესაბამისად, დაფინანსების გარეშე აღმოჩნდა. უფრო მეტიც, ამერიკა ავღანელ მუჯაჰიდებს (რომელთა შორის ბევრი იყო არაბული ქვეყნებიდან) უყურებდა როგორც პოტენციურ საფრთხეს, რადგანაც ანტიამერიკანიზმი ყოველთვის არსებობდა ისლამისტურ მოძრაობაში. ამერიკის საინფორმაციო საშუალებები ავღანეთის ომის დროს ბოევიკებს უწოდებდა „თავისუფლებისათვის მებრძოლებს", ხოლო შემდეგ „მუსლიმ ექსტრემისტებად და ნარკოდილერებად" მოიხსენიებდნენ.

90-იან წლებშივე იცვლება საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა. წინა პლანზე წამოიწია ადამიანის უფლებების დაცვამ და დემოკრატიულმა ფასეულობებმა. ამის პარალელურად, მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესი როგორც ეკონომიკაში ისე ჰუმანიტარულ სფეროში. ტრანსნაციონალური კორპორაციები და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური სტრუქტურები დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებაზე. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში ისრაელისათვის აშშ-ის მხარდაჭერამ კიდევ უფრო გააძლიერა ამერიკისადმი მტრული დამოკიდებულება. ისლამისტები ამერიკას თავის ძირითად მტრად აცხადებდნენ. 1998 წლის თებერვალში უსამა ბინ ლადინმა გამოსცა ფათვა „ებრაელებისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ საერთაშორისო ისლამური ფრონტის" შექმნის შესახებ. ფათვას ხელს აწერდნენ აიმან აზ-ზავაჰირი და რიფა'ი აჰმად ტაჰა – ეგვიპტური ისლამური დაჯგუფებების „ჯიჰადის" და „ისლამური ასოციაციის" (ალ-ჯამა'ა ალ-ისლამიიდა) ლიდერები. მას ხელი მოაწერა აგრეთვე მირ ჰამზამ – პაკისტანის ისლამისტური ორგანიზაციის „პაკისტანელი 'ალიმების საზოგადოების" ერთ-ერთმა ლიდერმა და ფაზლურ რაჰმანმა, ბანგლადეშის დაჯგუფების – „ჯიჰად"-ის ხელმძღვანელმა. ამ ფათვაში გაცხადებული იყო, რომ „ყოველი მუსლიმის ვალია ამერიკელებისა და მათი მოკავშირეების დახოცვა, როგორც სამხედროების, ისე სამოქალაქო პირებისა ყველა ქვეყანაში, სადაც ეს შესაძლებელია". ამ მომენტიდან ისლამისტურმა ექსტრემისტულმა დაჯგუფებებმა განახორციელეს ტერორისტული აქტების მთელი სერია, მათ შორის უახლეს ისტორიაში ყველაზე მნიშვნელო-

---

[43] ალ-კა'იდა (არაბ. „საფუძველი") – ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა ავღანეთში 1988 წელს. მისი მიზანი იყო „ჯიჰადის" გავრცელება მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანო არის შურა (საბჭო), 8 განყოფილებით (მათ შორის სამხედრო, საფინანსო, რელიგიის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და სხვ.). ორგანიზაციას ხელმძღვანელობს უსამა ბინ ლადინი, რომელიც ძებნაშია და ამერიკამ დაანესა ჯილდო მისი პოვნისათვის (2007 წლის ბოლოს ეს თანხა გაიზარდა 50 მლნ დოლარამდე). მხოლოდ უსამა ბინ ლადინის პირადი ქონება შეადგენს 5 მლრდ დოლარს. თვითონ ორგანიზაციის შემოსავლების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობა. ალ-კა'იდას თავისი ქვედანაყოფები აქვს დაახლ. 100 ქვეყანაში. ყველაზე ძლიერი ევროპული ქვედანაყოფები შეიქმნა გერმანიაში, იტალიასა და ესპანეთში. ალ-კა'იდას აქვს მარტივი და პოპულისტური პროგრამა: დასავლეთის გავლენის შესუსტება, მუსლიმური სახელმწიფოების კორუმპირებული რეჟიმების შეცვლა ფუნდამენტური ისლამური რეჟიმებით. მთელმა ისლამურმა სამყარომ უნდა იცხოვროს ერთ ქვეყანაში – სახალიფოში, რომლის მართვა განხორციელდება შარიათის სამართლიანი კანონებით. მათი აზრით, ისლამური დემოკრატია, დაფუძნებული ღვთიურ გამოცხადებებზე და არა ხალხის მიერ შექმნილ კანონებზე, უფრო სამართლიანია. დღეს ალ-კა'იდა საერთაშორისო ისლამური ტერორიზმის სინონიმია.

ვანია 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტები ამერიკაში, 2003 წელს მაროკოსა და საუდის არაბეთში და 2004 წლის მარტში ესპანეთში.

XXI საუკუნის დასაწყისში არაბულ ქვეყნებში ისლამისტური მოძრაობა არსებობს როგორც რადიკალური დაჯგუფებების სახით, ისე ზომიერი, ლეგალურად მოქმედი პოლიტიკური პარტიების ფორმით.

ალჟირის ისლამისტურ მოძრაობაში, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, პირობითად შეიძლება 4 ძირითადი მიმართულების გამოყოფა: 1. მოქმედი და ალჟირის პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც გამოდიან ისლამიზმის პოზიციებით, ისლამური ფასეულობების დაცვის მოთხოვნით. მიუხედავად იმისა, რომ ალჟირის კონსტიტუცია კრძალავს პოლიტიკური პარტიების შექმნას რელიგიურ საფუძველზე, ისლამისტურმა პარტიებმა მოახერხეს გვერდი აევლოთ ამ აკრძალვისათვის. მათ შეიცვალეს სახელწოდება, ამოიღეს თავიანთი პროგრამიდან ის პუნქტები, რომლებიც ითვალისწინებდა ისლამური რესპუბლიკის შექმნას და აქცენტი გადაიტანეს პოპულისტურ ლოზუნგებზე: ბრძოლა კორუფციასთან და სიღარიბის დაძლევისათვის, ისლამური მორალის შენარჩუნებისათვის და სხვ. ალჟირის ეროვნულ სახალხო ასამბლეაში წარმოდგენილია სამი ისლამისტური პარტია: „მოძრაობა ეროვნული რეფორმისათვის", „მშვიდობისათვის მოძრაობა" და „ან-ნაჰდა". „ხსნის ისლამური ფრონტის" ყოფილი ხელმძღვანელი აბდალლაჰ ჯაბალა ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ის 1974 წლიდან შეუერთდა ისლამისტურ მოძრაობას. 1988 წელს დააარსა ასოციაცია „ან-ნაჰდა" („აღორძინება"), რომელიც 1989 წელს გადაკეთდა პოლიტიკურ პარტიად და თავისი პროგრამული მიზნებით ახლოს იდგა „ისლამური ხსნის ფრონტთან". 1992 წელს „ხსნის ისლამური ფრონტის" აკრძალვის შემდეგ, აბდალლაჰ ჯაბალა სათავეში ჩაუდგა „ხალხის არჩევანის დაცვის კომიტეტს". 1999 და 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მან თავისი კანდიდატურა წამოაყენა პრეზიდენტის პოსტზე და კენჭისყრის შედეგებით მესამე ადგილი დაიკავა. 2. ხელისუფლების მიერ აკრძალული პარტიები, რომლებიც ცდილობენ მიაღწიონ აკრძალვის გაუქმებას და ლეგალურად იმოქმედონ, წარმოადგინონ არჩევნებზე თავიანთი წარმომადგენლები „დამოუკიდებელი კანდიდატების" სახით. ამ პარტიებს განეკუთვნება *ვაფა'* („ერთგულება") და *„ხსნის ისლამური ფრონტი"*. ვაფა'ს ხელმძღვანელობს აჰმად ტალიბ იბრაჰიმი, „ეროვნული განთავისუფლების ფრონტის" ცნობილი მოღვაწე, შადლი ბენჯადიდის პრეზიდენტობის დროს საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც მოითხოვა „ხსნის ისლამურ ფრონტზე" აკრძალვის გაუქმება. ალჟირის შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარი თქვა დაერეგისტრირებინა ვაფა' პოლიტიკურ პარტიად, რადგანაც მის ხელმძღვანელობაში იყო აკრძალული „ხსნის ისლამური ფრონტის" ბევრი წევრი. ამ პარტიის (დაითხოვეს 1992 წელს) ლიდერები კვლავ ზეგავლენას ახდენენ ალჟირის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება „ხსნის ისლამური ფრონტის" ხელმძღვანელებს, რომლებიც ემიგრაციაში არიან: მაგ. რაბაჰ ქაბირი, რომელმაც გერმანიაში ჰპოვა თავშესაფარი, ამერიკაში მცხოვრები ანვარ ჰადამი და აჰმად ზაუი, რომელიც ბელგიიდან გადავიდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. „ხსნის ისლამური ფრონტის" ყოფილი ლიდერებიც, რომლებიც ალჟირში ცხოვრობენ, პოლიტიკურად აქტიურობენ. 2003 წლის ივლისში გაათავისუფლეს აბასი მადანი და ალი ბელჰაჯი (ისინი დააპატიმრეს 1991 წელს), „ხსნის ისლამური ფრონტის" ყოფილი პრეზიდენტი და მისი მოადგილე. პოლიტოლოგები თვლიან, რომ აბასი მადანის პოლიტიკური კარიერა დასრულებულია. რაც შეეხება ალი ბელჰაჯის, მიუხედავად იმისა, რომ 5 წლის განმავლობაში მას ეკრძალებოდა პოლიტიკაში ჩარევა, იგი აქტიურად ატარებს შეხვედრებს სხვადასხვა მიმართულების პარტიის წარმომადგენლებთან. 3. შეურიგებელი შეიარაღებული ოპოზიცია, რომელიც წარმოდგენილია ძირითადად ორი დაჯგუფებით: „შეია-

რაღებული ისლამური ჯგუფები", რომლის ხელმძღვანელია რაშიდ აბუ თურაბი და „სალაფიტური ჯგუფი ქადაგებისა და ბრძოლისათვის",[44] რომლის ხელმძღვანელი 2004 წლიდან არის აბუ მუსაბ აბდულვადუდი. ალჟირელი სამხედროების ცნობებით, ორივე დაჯგუფება ითვლის დაახლ. 650 ბოევიკს, რომლებიც აგრძელებენ ტერორისტული აქტების ჩატარებას. მათ შორის ცნობილია 2002 წელს შლეფის რაიონში (ალჟირის სამხრეთით) 23 ბედუინის მკვლელობა, რომელთა ერთადერთი დანაშაული იყო ეროვნული სახალხო კრების არჩევნებში მონაწილეობა. 2002 წლის სექტემბერში ალჟირის სპეცსამსახურებმა სალაფიტური ჯგუფის ბოევიკების დისლოკაციის რაიონში მოკლეს იემენის მოქალაქე, რომელსაც ეძებდა ფედერალური ბიურო. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ის იყო აბუ მუჰამადი, უსამა ბინ ლადინის სპეციალური ემისარი, რომელსაც უნდა მოემზადებინა ალჟირში ბაზა ევროპის ტერიტორიაზე ტერაქტების განხორციელებისათვის. ამ მიზნით ის შეხვდა „სალაფიტური ჯგუფი ქადაგებისა და ბრძოლისათვის" ამირას – მუხთარ იბნ ალ-მუხთარს, რომელიც 1998 წლიდან არის ბინ ლადინის მიერ დაარსებული „ებრაელებსა და ჯვაროსნებთან საბრძოლველად საერთაშორისო ისლამური ფრონტის" წევრი. ამით დგინდება ალჟირის რადიკალი ისლამისტების კავშირი საზღვარგარეთის ისლამისტურ ორგანიზაციებთან. 4. ალჟირის ისლამისტურ მოძრაობაში მეოთხე მიმართულება არის ე.წ. სახალხო ანუ „ქუჩის ისლამიზმი". ისლამისტური განწყობები ყველაზე მეტად გამომჟღავნდა მეჩეთში მოსიარულეთა შორის, მოწოდებებში შარიათის ნორმების შენარჩუნებისაკენ, მკაცრ სასჯელებში ისლამური ნორმების დამრღვევთა მიმართ. ამ მოვლენამ განსაკუთრებით იჩინა თავი 2003 წელს მაისში მინისძვრის შემდეგ. სოფლის მოსახლეობამ და ქალაქის უღარიბესმა კვარტლებმა ეს მოვლენა მიიღეს როგორც „ალაჰის რისხვა", მუსლიმური კანონების დაუცველობის გამო. ასეთ ინტერპრეტაციას ქადაგებდნენ მეჩეთის მქადაგებლები.

XXI საუკუნის მიჯნაზე ალჟირის საზოგადოებაზე ისლამიზმის გავლენის გაძლიერების ძირითადი მიზეზი გახდა ალჟირის რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. მართალია, ალჟირის ეკონომიკამ მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს, მაგ., 2003 წელს დააგროვა ისეთი ოდენობის სავალუტო რეზერვები (31,36 მლრდ დოლარი), როგორიც არ იცის დამოუკიდებელი ალჟირის ისტორიამ, მაგრამ ქვეყანას მაინც აქვს სერიოზული პრობლემები – უმუშევრობის მაღალი პროცენტი (30%), საცხოვრებელი ფართის კრიზისი (არ იყო საკმარისი 1,3 მლნ საცხოვრებელი ერთეული), დანაშაულის ზრდა. შექმნილ ვითარებაში ისლამისტები სთავაზობდნენ მოსახლეობას ამ პრობლემების გადაწყვეტას და „შარიათის სამართლიანი კანონების დაცვას". ასეთი პროპაგანდით ისლამისტებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. 2002 წლის მაისის საპარლამენტო არჩევნებში ისლამისტებმა მიიღეს 82 ადგილი 388-დან და ისლამისტურმა პარტია – „მოძრაობა ეროვნული რეფორმისათვის" (ხელმძღვანელი – აბდალლაჰ ჯაბალა) გახდა მეორე გავლენიანი პარტია ეროვნულ ასამბლეაში. 2002 წლის ოქტომბრის მუნიციპალურ არჩევნებში ამ პარტიამ უმრავლესობა მოიპოვა 100-ზე მეტ მუნიციპალიტეტში 1539-დან. 1992-1999 წლებში ისლამისტურმა ტერორმა, შეიარაღებულმა წინააღმდეგობამ და განათლების სისტემის ნორმალური ფუნქციონირების შეუძლებლობამ გამოიწვია ის, რომ ალჟირის ინტელიგენციის დიდი ნაწილი წავიდა ემიგრაციაში. ამიტომ ისლამიზმი დიდ გავლენას ახდენდა ალჟირის საზოგადოებაზე.

2006 წლის თებერვალში ალჟირში, რეფერენდუმზე საყოველთაო მონონების შემდეგ, ძალაში შევიდა „ეროვნული თანხმობის ქარტია". ამის შემდეგ ციხეებიდან გაათავისუფლეს 2,2 ათასი ისლამისტი და ამნისტია შეეხო 300-მდე ბოევიკს, რო-

---

[44] 2007 წლის 26 ნოემბერს უსამა ბინ ლადინის მითითებით, „ქადაგებისა და ჯიჰადის სალაფიტურ ჯგუფს" ეწოდა „ალ-კა'იდა ისლამური მაღრიბის ქვეყნებში".

მელთაც დაყარეს იარაღი. თუმცა მრავალი მათგანი კვლავ დაუბრუნდა ისლამისტურ დაჯგუფებებს ან უწევენ მათ ფინანსურ დახმარებას.

ეგვიპტეში ტრადიციულად ისლამისტური მოძრაობა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ისლამიზმმა პირველად თავი იჩინა „მუსლიმი ძმების" ასოციაციის სახით, რომელიც 1928 წელს დააარსა ჰასან ალ-ბანამ (1902-1949). „მუსლიმი ძმების" იდეოლოგის საიდ კუტბის (1902-1966) კონცეფცია შევიდა მრავალი მუსლიმური ქვეყნის ისლამისტური ჯგუფის საპროგრამო დოკუმენტებში. კაიროში არის აგრეთვე მუსლიმური უნივერსიტეტი – ალ-აზჰარი, რომელთანაც დაკავშირებულია მრავალი ცნობილი მუსლიმი მოღვაწის, მათ შორის იბნ ხალდუნის (გარდ.1406 წ.) და მუჰამად აბდუს (გარდ1905 წ.) საქმიანობა. ალ-აზჰარის 'ალიმებს დღემდე აქვთ მნიშვნელოვანი ავტორიტეტი და გავლენა ეგვიპტეშიც და სხვა მუსლიმურ ქვეყნებშიც.

თანამედროვე ეგვიპტის ისლამისტურ მოძრაობაში შეიძლება გამოვყოთ სამი მიმართულება: 1. ფუნდამენტალისტური იდეოლოგიის ქადაგება, რომელსაც განახორციელებდნენ ინტელიგენციის, მუსლიმი მოღვაწეების, აგრეთვე საქველმოქმედო და კანონიერად მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები. ისინი მიზნად ისახავდნენ საზოგადოებაში ისლამური ფასეულობების დაცვას და შარიათის ნორმების განმტკიცებას. 90-იანი წლების შუა ხანებში ეგვიპტეში დიდი პოპულარობით სარგებლობდა 'უმარ 'აბდ ალ-კაფი და მათვალი შარავი. ისინი თავიანთი საპარასკევო ქადაგებებით და ეროვნული ტელევიზიით გამოსვლებით აგროვებდნენ დიდ აუდიტორიას. შაიხები მოუწოდებდნენ მოსახლეობას დაბრუნებოდნენ ჭეშმარიტ, სამართლიან ისლამს, მოითხოვდნენ გოგონების და ვაჟების განცალკევებულ სწავლებას, ქალების მიერ ჰიჯაბის (ჩადრის) ტარებას და შეურიგებლობას იჩენდნენ „ურწმუნოთა", მათ შორის ქრისტიანი კოპტების მიმართ. მათი ქადაგებების ჩანაწერები ვიდეოკასეტების საშუალებით ვრცელდებოდა. 90-იანი წლების ეგვიპტეში დიდი გავლენით სარგებლობდა აგრეთვე „ალ-აზჰარის 'ალიმების ფრონტი". ეს ორგანიზაცია, რომელიც შექმნეს ფუნდამენტალისტურად განწყობილმა 'ალიმებმა, თავს აცხადებდა ისლამური ფასეულობებისა და ტრადიციების დამცველად და თავის რიგებში აერთიანებდა 3000 კაცს. რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებების მებრძოლების მიერ ჩადენილი ტერაქტების გამო მიმდინარე სასამართლო პროცესების დროს, „ფრონტი" მხარს უჭერდა ტერორისტებს და იბრძოდა მათი სასჯელების შემსუბუქებისათვის. „ფრონტის" წევრები კიცხავდნენ ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ეგვიპტის სამოქალაქო განვითარების გზას. მაგ., მათ ერეტიკოსად გამოაცხადეს და ანათემას გადასცეს ეგვიპტელი პროფესორი ისლამმცოდნე – ნასერ ჰამად აბუ ზაიდი, რომელმაც მხარი დაუჭირა საფრანგეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას სასწავლო დაწესებულებებში საფრანგეთში მცხოვრები მუსლიმებისათვის ჩადრის ტარების აკრძალვის შესახებ. აბუ ზაიდი მის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის გამო იძულებული გახდა ჰოლანდიაში წასულიყო. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ თუ ალ-აზჰარის ადრინდელი რექტორი – რად ალ-ჰაკი ოფიციალურად არ უჭერდა მხარს ფრონტის წევრთა ფუნდამენტალისტურ შეხედულებებს, მაგრამ გაგებით ეკიდებოდა მათ. 1996 წელს დაინიშნა ახალი რექტორი მუჰამად საიდ ტანტავი (ადრე ეგვიპტის მთავარი მუფთი), რომელმაც მოითხოვა „ალ-აზჰარის 'ალიმების ფრონტის" დაშლა. ეგვიპტის საზოგადოებაზე დიდ ზეგავლენას ახდენდა მეჩეთები, სადაც ქადაგებდნენ რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებების მომხრეები. ისინი მოუწოდებდნენ ურწმუნოთა წინააღმდეგ ჯიჰადისაკენ. 1996 წელს, ტერაქტების სერიის შემდეგ, პარლამენტმა მიიღო ვაკფების სამინისტროს მიერ მომზადებული კანონი, რომლის თანახმადაც ყველა იმამს მეჩეთში ქადაგებაზე ნებართვა უნდა მიეღო სამინისტროდან. ამიტომ, იმამები კერძო მეჩეთებშიც კი ჩაანაცვლეს სამინისტროს მიერ დანიშ-

ნული იმამებით, რომლებიც ცდილობდნენ კანონის დაცვას. ამის პარალელურად, ამ სამინისტროსთან არსებული ისლამური საქმეების უმაღლესი საბჭო აქვეყნებდა მასალებს, რაც პროპაგანდას უწევდა ისლამისტურ კონცეფციებს, წიგნებს ისლამურ ეკონომიკაზე. 2. მეორე მიმართულება წარმოდგენილია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებით, რომლებიც ქადაგებდნენ ისლამურ დოქტრინებს, მაგრამ არ მოუწოდებდნენ ხელისუფლებასთან შეიარაღებული ბრძოლისაკენ. მას პირველ რიგში განეკუთვნება „მუსლიმი ძმების" ასოციაცია. მისი პოლიტიკური საქმიანობა აიკრძალა, მაგრამ მას კვლავ ჰყავს მრავალი მომხრე საზოგადოებრივ, საქველმოქმედო-საგანმანათლებლო და პროფკავშირულ ორგანიზაციებში. „მუსლიმი ძმები" ქმნიან კომერციულ და სანარმოო სტრუქტურებს, აფინანსებენ მეჩეთებისა და მედრესეების მშენებლობას, ორგანიზებას უწევენ ჰაჯს მექაში, მატერიალურ დახმარებას უწევენ უქონელთ, მათ შორის ახლადდაქორწინებულებს. 90-იანი წლების შუა ხანებში ეგვიპტეში „მუსლიმმა ძმებმა" შექმნეს 15 ათასამდე საქველმოქმედო ორგანიზაცია. ისინი აკონტროლებდნენ პროფკავშირების ნაწილს, მათ შორის ექიმებს, ფარმაცევტებს, აგრეთვე ადვოკატებს, რომელთაც თავიანთ აღმასრულებელ საბჭოში აირჩიეს საიფ ალ-ისლამი (ჰასან ალ-ბანას ვაჟი). ამგვარი პროფკავშირების პუბლიკაციებში, თავისი საქმიანობის გაშუქებასთან ერთად, ქვეყნდებოდა ისლამისტური მიმართულებების პროპაგანდისტული მასალები. მაგ., „თუ ეგვიპტეში გამოცხადდება ისლამური რესპუბლიკა, ის მოსპობს უმუშევრობას", „ისლამი – ყველა პრობლემის გადაწყვეტაა". „მუსლიმი ძმები" ასევე ცდილობდნენ მხარდაჭერა აღმოეჩინათ ისლამისტური მოძრაობებისათვის ეგვიპტის გარეთაც. ისინი აწყობდნენ საპროტესტო დემონსტრაციებს ისრაელის სამხედრო აქციის წინააღმდეგ პალესტინის ავტონომიის ტერიტორიაზე და მხარს უჭერდნენ პალესტინურ ორგანიზაცია „ჰამასს" და „ისლამურ ჯიჰადს". ამის გარდა, ისინი აგზავნიდნენ მოხალისე-მუჯაჰიდებს ცხელ წერტილებში – ბოსნიაში, ჩეჩნეთში და კოსოვოში. 90-იანი წლების ბოლოს ეგვიპტის ხელისუფლებამ გაატარა რეპრესიული ღონისძიებები „მუსლიმი ძმების" წინააღმდეგ. მათი მთავარი შტაბ-ბინა დაიხურა, დააპატიმრეს მრავალი აქტივისტი, მათ შორის საიფ ალ-ისლამი. პროფკავშირებშიც, რომელსაც აკონტროლებდნენ „მუსლიმი ძმები", დააპატიმრეს მრავალი ხელმძღვანელი და მათი ადგილი დაიკავეს ხელისუფლების მიერ დანიშნულმა მოხელეებმა. ეგვიპტეში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური პარტია, რომელიც აღიარებს ისლამისტურ კონცეფციას, არის „ალ-'ამალ" („შრომა"). ის შეიქმნა 1979 წელს, „მუსლიმი ძმების" ეგიდით. 90-იანი წლების დასაწყისიდან მისი გენერალური მდივანი ადილ ჰუსაინი ატარებდა უფრო ზომიერ პოლიტიკას, ვიდრე „მუსლიმი-ძმების" ლიდერი – მამუნ ალ-ჰუდაიბი. „ალ-'ამალ" გახდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა. 3. ეგვიპტური ისლამიზმის მესამე მიმართულებად ითვლება რადიკალური დაჯგუფებები, რომლებიც აცხადებდნენ ჯიჰადს „ურწმუნო" ხელისუფლების წინააღმდეგ, რადგანაც, მათი აზრით, ეს იყო ერთადერთი გზა ეგვიპტეში ისლამური რესპუბლიკის შესაქმნელად. მათგან ყველაზე გავლენიანი და მრავალრიცხოვანი იყო „ისლამური ასოციაცია" („ალ-ჯამა'ა ალ-ისლამიდა") და „ისლამური ჯიჰადი". „ისლამური ასოციაცია" 70-იანი წლების ბოლოს შექმნეს რადიკალმა ისლამისტმა მოღვაწეებმა: ქარამ მუჰამად ზუჰდიმ, რომელიც გახდა პირველი ამირა და ალ-აზჰარის მასწავლებელმა ომარ აბდელ რაჰმანმა (არაბ. 'უმარ 'აბდ არ-რაჰმანი). მათი სულიერი ლიდერი იყო მუჰამად ფარაჯი, ავტორი წიგნისა – „ჩუმი ბრძანება", რომელშიც ის ქადაგებდა ჯიჰადს „ურწმუნო" ხელისუფლების წინააღმდეგ და განსაზღვრავდა ჯიჰადს ყველა მუსლიმის აუცილებელ ვალდებულებად. სწორედ ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა „ისლამური ჯიჰადი", რომლის ხელმძღვანელიც იყო აბუდ აზ-ზუმარი. უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების დამოკიდებულება ამ ისლამისტური ჯგუფებისადმი პერიოდულად იცვლებოდა. 70-იანი წლების ბოლოს, ანვარ ას-სადათის

დროს, „ისლამური ასოციაცია" მხარს უჭერდა მის დენასერიზაციის პოლიტიკას და ისლამური ფასეულობებისადმი დაბრუნებას. შესაძლოა ამის გამო, მათ შეეძლოთ ღიად გაეხსნათ ნახევრადსამხედრო „დასვენების ბანაკები", სადაც ახალგაზრდა ეგვიპტელები, განსაკუთრებით სტუდენტები, არდადეგების დროს, სპორტთან ერთად, უსმენდნენ ყურანზე ლექციებს, რომელსაც კითხულობდნენ მუსლიმი იდეოლოგები და გადიოდნენ სამხედრო მომზადებას. ანვარ სადათის მიერ კემპ-დევიდის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, „ისლამურმა ასოციაციამ" და „ისლამურმა ჯიჰადმა" ეს ხელშეკრულება შეაფასეს როგორც „ღალატი" და ტერორის ტაქტიკაზე გადავიდნენ. სწორედ „ისლამური ჯიჰადის" წევრებმა განახორციელეს სასიკვდილო თავდასხმა ანვარ სადათზე. 90-იანი წლების შუა ხანებში ამ ორივე დაჯგუფებამ განახორციელა ტერორისტული აქტების სერია ეგვიპტის ტერიტორიაზე და მის გარეთ. ყველაზე ცნობილი იყო 1993 წელს ნიუ-იორკში მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აფეთქება, რომლის დროსაც მოიკლა 39 ადამიანი (ათობით ადამიანი დაიჭრა) და 1997 წელს, ლუქსორის მახლობლად, 58 უცხოელი ტურისტის მკვლელობა. უნდა ითქვას, რომ ეგვიპტის ხელისუფლებამ გარკვეული ზომები მიიღო ტერორიზმის დასამარცხებლად. ისლამისტების მასობრივ დაპატიმრებებთან (დაახლ. 20000 ადამიანი) და უშუალო შემსრულებლების სიკვდილით დასჯასთან ერთად, ხდებოდა არაოფიციალური მოლაპარაკებები ისლამისტ ლიდერებთან, რათა უარი ეთქვათ ტერორის უპერსპექტივო ტაქტიკაზე. ამ ღონისძიებებმა თავისი შედეგები გამოიღო. 1997 წელს ისლამური ჯგუფების 7 ლიდერმა, ომარ აბდელ რაჰმანის ხელმძღვანელობით, გამოაცხადა უვადო შერიგება ხელისუფლებასთან და მოუწოდეს თავიანთ მომხრეებს შეეწყვიტათ შეიარაღებული ბრძოლა. 1998 წელს მათ შეუერთდა „ისლამური ჯიჰადის" მრავალი ლიდერი. 1999 წლიდან „ისლამურმა ასოციაციამ" და „ისლამურმა ჯიჰადმა" პრაქტიკულად შეწყვიტეს ტერორისტული საქმიანობა. ამის პარალელურად, უსამა რუშდიმ, „ისლამური ასოციაციის" წარმომადგენელმა, ჰოლანდიაში მცხოვრებმა, გაკიცხა ტერორისტული აქტები უცხოელ ტურისტთა წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ისინი შესრულდა ხელმძღვანელთა სანქციის გარეშე. უფრო მეტიც, „ისლამური ასოციაციის" ლიდერების ნაწილმა დაიწყო ხელისუფლებასთან დიალოგი და გამოაცხადა ბრძოლის პოლიტიკურ ფორმაზე გადასვლის შესახებ. თუმცა,ორივე ამ ორგანიზაციის ყველაზე ექსტრემისტულად განწყობილი ხელმძღვანელობის წევრები აგრძელებენ შეიარაღებული ჯიჰადის იდეების პროპაგანდას – აიმან აზ-ზავაჰირი, მუსტაფა ქამალი (აბუ ჰამზა) და რიფა'ი ტაჰა. ზოგიერთი მათგანი გადავიდა ავღანეთში და შეუერთდნენ უსამა ბინ ლადინს. ეგვიპტეში დღემდე გრძელდება ტერორისტული აქტები.

XXI საუკუნის დასაწყისში ისლამისტები კვლავ სერიოზულ გავლენას ახდენენ ეგვიპტის საზოგადოებაზე. ისლამისტები თავიანთ პროპაგანდაში იყენებენ ეგვიპტის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს და სიტუაციის გამწვავებას ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ პოლიტიკურ არენაზე არ წარმოადგენენ გავლენიან ძალას. ეგვიპტის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია ფასდება როგორც „მართვადი" ან „არალიბერალური დემოკრატია". მმართველ „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას" აბსოლუტური უმრავლესობა (97%) ჰყავს პარლამენტში. 2003 წლის სექტემბერში ამ პარტიის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს გამალ მუბარაქი (დაბად. 1963წ.).

სირიაში 1950-1960 წლებში აქტიურად მოქმედი „მუსლიმი ძმების" მოძრაობა და მასთან დაკავშირებული ექსტრემისტული ისლამისტური დაჯგუფებები სრულად განადგურდა 1976-1982 წლებში. ბაშარ ალ-ასადმა, ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ (2000 წ.), განსაზღვრული კორექტივები შეიტანა ახალი პოლიტიკური ხელმძღვანელობის ურთიერთობაში პოლიტიკურ ისლამთან. ბაშარ ალ-ასადმა გააუქმა 1983 წელს გამოცემული კანონი, რომელიც უკრძალავდა მოსწავლეებსა

და სტუდენტებს ჩადრის ტარებას. 2003 წელს გამოსცა კანონი, რომლის თანახმადაც სამხედრო მოსამსახურეებს ნება დაერთოთ ელოცათ სამხედრო ბანაკებში. ჰაფეზ ალ-ასადი კი არასოდეს არ აკავშირებდა არმიას რელიგიასთან. მხოლოდ დიდი ისლამური დღესასწაულების დროს, სამხედრო მეთაურები ჩნდებოდნენ ომაიანთა მეჩეთში პრეზიდენტთან ერთად. პოლიტიკური ისლამის როლის ზრდამ აიძულა სირიის ხელისუფლება ნება დაერთო ისლამური მოძრაობის წარმომადგენლებისათვის მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში. ბოლო პერიოდში „პარტიული ფუნქციონერების" დიდი ნაწილი თვლის, რომ „ბაასისტები" აუცილებლად უნდა დაუახლოვდნენ ისლამისტურ მოძრაობას სირიის მოსახლეობის ფართო მასებში თავიანთი პოპულარობის ასამაღლებლად. ისინი აუცილებლად მიიჩნევენ აგრეთვე დიალოგის წარმოებას „ზომიერ ისლამისტებთან". მათ შორის გამოირჩევა სირიის პარლამენტის დამოუკიდებელი კანდიდატი მუჰამად ჰაბაში, რომელიც წარმოადგენს პატრიოტული ისლამისტური მოძრაობის ინტერესებს. მისი შეფასებით, არაბულ აღმოსავლეთში „თანამედროვე ისლამური ქუჩის" დაახლ. 80% არიან ტრადიციონალისტი-კონსერვატორები, რომლებიც არ ცნობენ სხვა რწმენას, ისლამის გარდა და 20% – „რეფორმატორები", რომლებიც თვლიან, რომ ღმერთის რწმენისაკენ მიდის „არაერთი გზა". ტრადიციონალისტებს შორის მხოლოდ 1%-ა „რადიკალები" და ექსტრემისტები. იმავდროულად ის ვერ ხედავს ისლამური პარტიის შექმნის აუცილებლობას, მაგრამ არ გამორიცხავს სირიაში ისლამური სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობას, დემოკრატიის სრული გამარჯვების შემთხვევაში. ამ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობაა პარტიის წევრებს შორის. სირიის ისლამისტურ საზოგადოებაში არიან რადიკალური ისლამის მომხრეები, რისი დემონსტრირებაც მოხდა 2004-2006 წლებში, როცა სირიიის უსაფრთხოების ორგანოებს არაერთი შეტაკება მოუხდათ „ჯუნუდ აშ-შამის" („სირიის სამხედროები") ტიპის ორგანიზაციებთან. სირიის „მუსლიმი ძმების" უცხოური ფილიალის ხელმძღვანელია *ალი სადრედდინ ბაიანუნი* (არაბ. 'ალი სადრ ად-დინ ბაიანუნი). 2006 წელს სირიის ისლამისტებმა ლონდონში შექმნეს „ხსნის ისლამური ფრონტი", რომლის ხელმძღვანელობაშიც შევიდნენ აბდულ ჰალიმ ხადამი, სირიის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი (1984-2005) და ალი სადრედდინ ბაიანუნი. მათი მიზანია „დემოკრატიული ისლამური სახელმწიფოს" შექმნა. მათ შეადგინეს რეფორმების თავისებური პროგრამა, „მომავალი სირიის პოლიტიკური პროექტი". სირიაში არის დაახლ. 2500 მეჩეთი, სადაც ხელისუფლების ფარული კრიტიკა მიმდინარეობს. ჯერჯერობით სირიის ხელისუფლება ახერხებს „ისლამური ფაქტორის" კონტროლს ქვეყანაში.

საუდის არაბეთში მმართველი სამეფო დინასტიის ოპოზიციური ისლამისტური მოძრაობა ჩამოყალიბდა XX საუკუნის 90-იან წლებში. 1991 წელს ცნობილმა 'ალიმებმა მეფე ფაჰდს გაუგზავნეს მოხსენებითი ბარათი სათაურით: „საკითხები შესწავლისათვის". მასში გაკიცხული იყო ამერიკის ჯარების ყოფნა სამეფოს ტერიტორიაზე, რომლებიც მოინვია საუდის მეფემ ერაყის მიერ ქუვეითის აგრესიის დროს. ისინი აგრეთვე სთავაზობდნენ გაეტარებინა მთელი რიგი რეფორმები, მათ შორის ჩამოეყალიბებინა საკონსულტაციო საბჭო და განემტკიცებინა არმია. პეტიციას ხელი მოაწერა 107 ცნობილმა მუსლიმმა მოღვაწემ, საქმიანი წრეებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, მათ შორის 'აბდ ალლაჰ ალ-მასა'რიმ, საჩივრების სახელმწიფო საბჭოს (დივან ალ-მაზალიმ) თავმჯდომარემ. პეტიცია მოიწონა აგრეთვე საუდის არაბეთის მუფთიმ, უმაღლეს 'ალიმთა საბჭოს თავმჯდომარემ – შაიხ 'აბდ ალ-'აზიზ იბნ ბაზამ (იგივე იბნ ბაზა, დიდი მუფთი 1993-1999 წლებში). 1992 წელს მეფის ბრძანებით შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც შევიდა 60 წევრი. ასევე გამოვიდა ძირითადი კანონების კრებული, მაგრამ ხაზგასმული იყო, რომ ქვეყნის კონსტიტუცია არის ყურანი. მიუხედავად ამისა, უფრო რადიკალურად განწყობილმა ახალგაზრდა 'ალიმებმა სალმან ალ-'ავდამ (36 წლის, ქ. ბურაიდაში

მეჩეთის იმამი) და საფარ ალ-ჰავალიმ (41 წლის, მედინაში ისლამური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული) გაუგზავნეს მეფეს და გამოაქვეყნეს ახალი პეტიცია, რომელსაც ხელს აწერდა 100 'ალიმი და ისლამური უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები, სათაურით: „ჭეშმარიტი რჩევები და სურვილები". მასში სახელმწიფო მმართველობის შემდგომი რეფორმების შეთავაზებასთან ერთად იყო კრიტიკა, რაც ეხებოდა კორუფციას ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში და სამეფო ოჯახის წევრების კომერციულ საქმიანობაში და ეწინააღმდეგებოდა შარიათს. ამის შემდეგ ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის მუჰამად ალ-მას'არის (დივან ალ-მაზალიმის თავმჯდომარის შვილი) ინიციატივით, რომელმაც უმაღლესი ტექნიკური განათლება მიიღო აშშ-ში, ჩამოყალიბდა ისლამური ოპოზიციის ლიბერალური ფრთა – „შარიათით მინიჭებული უფლებების დაცვის კომიტეტი" („ლაჯნათ ად-დიფა'ა 'ან ალ-ჰუკუკ აშ-შარაი'ა"). საუდის არაბეთის ხელისუფლებამ რეაგირება მოახდინა ოპოზიციის გამოსვლაზე. ეს ფაქტი მკაცრად შეაფასა საუდის არაბეთის მუფთიმაც – იბნ ბაზამ. სალმან ალ-'ავდა და ალ-ჰავალი, რომლებიც ცდილობდნენ მოეწყოთ თავიანთი მომხრეების მანიფესტაცია, დააპატიმრეს. დააპატიმრეს აგრეთვე მუჰამად ალ-მას'არიც, მას შემდეგ რაც ინტერვიუ მისცა ბი-ბი-სის კორესპონდენტს და კრიტიკული შეფასებები გამოთქვა სამეფო დინასტიის მიმართ. 1994 წელს მუჰამად ალ-მას'არი გაათავისუფლეს და ის წავიდა ემიგრაციაში ლონდონში, საიდანაც განაგრძობდა მმართველი საუდიანთა რეჟიმის დადანაშაულებას შარიათის დაუცველობაში და ქვეყნის გადაქცევაში მმართველი სამეფო ოჯახის წევრების პირად საკუთრებად. თავის მხრივ, უფრო რადიკალურად განწყობილმა ოპოზიციონერებმა დაიწყეს იატაქვეშა ისლამისტური ჯგუფების შექმნა, რომელთაც პირველად გამოავლინეს თავი 1995 წელს, როცა მოაწყეს აფეთქება არ-რიადში, რის შედეგადაც დაიღუპა აშშ-ის 5 მოქალაქე.

XXI საუკუნის დასაწყისში საუდის არაბეთში სოციალურ-ეკონომიკური ვითარება გართულდა. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 2001 წელს შემცირდა 6800 დოლარამდე (1981 წელს იყო 26600 დოლარი), უმუშევრობა გაიზარდა 30%-მდე. საბიუჯეტო შემოსავლების ძირითადი ნაწილი იხარჯებოდა სამეფო ოჯახის წევრებზე. საუდის არაბეთის შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა ნიუიორკსა და ვაშინგტონში 2001 წლის ტერაქტებმა და აშშ-ს სამხედრო ოპერაციამ ერაყში 2003 წელს. საუდის არაბეთში ოპოზიციური მოძრაობა პირობითად შეიძლება 2 ნაწილად დაიყოს: საზოგადოებრივ-პოლიტიკური (თუ ასეთი ტერმინი შეიძლება გამოვიყენოთ იმ ქვეყნის მიმართ, სადაც არ არის პოლიტიკური პარტიები) და რადიკალურ-ისლამისტური.პირველ დაჯგუფებაში გაერთიანებული არიან საზოგადოების საშუალო ფენები, აგრეთვე 'ალიმების ნაწილი და სამეფო ოჯახის ზოგიერთი წევრი, მათ შორის მეფე ფაჰდის ძმა – პრინცი ტალალ ბინ აბდულ აზიზი, რომელმაც გამოთქვა კონსტიტუციური მონარქიის შექმნის იდეა, რამაც სკანდალი გამოიწვია სამეფო ოჯახში. ტალალის აზრს იზიარებდა მისი შვილი ვალიდიც – მილიარდელი ბიზნესმენი, სამეფო ოჯახის ერთ-ერთი უმდიდრესი წევრი. ამ ოპოზიციური ჯგუფის მიზანია სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემის რეფორმირება, მისი უფრო ეფექტური ფუნქციონირების მიზნით და „დემოკრატიული იმიჯის" მიცემისათვის. ისინი სთავაზობენ ხელისუფლებას საკონსულტაციო საბჭოების შექმნას გუბერნატორებთან პროვინციებში (საყოველთაო არჩევნების გზით), მუნიციპალურ ფონდებზე კონტროლის დაწესებას, მოქალაქეებისათვის სიტყვის თავისუფლების მინიჭებას, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნას, რომლებიც არ ეწინააღმდეგება შარიათს. ეს საკითხები აისახა მემორანდუმში „შეხედულებები ქვეყნის დღევანდელობასა და მომავალზე". ინტელიგენციის 100-მა წარმომადგენელმა მოაწერა ხელი, მათ შორის მწერლებმა და ინსტიტუტის პედაგოგებმა, 'ალიმებმა (სუნიტები და შიიტები) და ბიზნესმენებმა. 2003 წლის იანვარში, 20 კაციანმა დელაგაციამ, მე-

მორანდუმი გადასცა პირადად მემკვიდრე პრინცს – აბდულლა ბინ აბდულ აზიზს (დაბად. 1923 წ.). პრინცი გაეცნო მემორანდუმს და განაცხადა, რომ დელეგაციის წევრთა წინადადებები ეთანხმება მის გეგმებს. რამდენად გულწრფელი იყო პრინცი, ძნელია სათქმელია. არის ერთი ფაქტორიც – აშშ-ს პოზიცია, რომელიც ითხოვს „არაბული ქვეყნების რეჟიმების დემოკრატიზაციას".

საუდის არაბეთში ისლამური ოპოზიცია ძირითადად წარმოდგენილია შემდეგი მიმართულებებით: 1. *ტრადიციონალისტი-ვაჰაბიტები* – მათ რიცხვს ეკუთვნიან 'ალიმები, ღვთისმეტყველები, ტომთა შაიხები. ისინი საკმაოდ ზომიერები არიან ხელისუფლების კრიტიკაში. ტრადიციონალისტები წარმოდგენილი არიან შემდეგი ორგანიზაციებით: „ყურანის შენარჩუნების ჯგუფი", „ერთღმერთიანები", „მომწოდებელნი" და სხვ. 2. *ნეოვაჰაბიტები* – ამ ჯგუფში ძირითადად არიან უმაღლესი სასწავლებლების თეოლოგიური ფაკულტეტების მასწავლებლები, სტუდენტები და მარგინალური ელემენტები. ნეოვაჰაბიტები მკაცრად აკრიტიკებენ ხელისუფლებას, გამოდიან ვაჰაბიტური ასკეტიზმისა და ისლამური ფასეულობების დასაცავად, უკავიათ რადიკალური ანტიშიიტური პოზიცია. ისინი სამეფო ოჯახში ხედავენ „ისლამის მოღალატეებს", ხოლო ადგილობრივ ტექნოკრატებს და ბიზნესმენთა ნაწილს თვლიან ადამიანებად, რომელთაც „დასავლეთი მართავს". 3. *ზომიერი ისლამისტები* – გამოდიანი ლიბერალური რეფორმების გატარებისათვის, ზომიერად აკრიტიკებენ მმართველ რეჟიმს. მთლიანობაში არ სარგებლობენ მნიშვნელოვანი ავტორიტეტით. მათი ძირითადი ორგანიზაციაა – „კანონიერი უფლებების დაცვის კომიტეტი", რომლის ხელმძღვანელობა დიდ ბრიტანეთშია. 4. *შიიტი ისლამისტები* – წარმოადგენენ ქვეყნის აღმოსავლეთ პროვინციის რელიგიურ უმცირესობას და გამოდიან ყველა შეზღუდვის წინააღმდეგ შიიტების მიმართ. ყველაზე უფრო რადიკალურ შიიტურ დაჯგუფებად ითვლება ადგილობრივი „ჰიზბალაჰი" (1000-მდე ადამიანი). უფრო ზომიერია „შიიტური მოძრაობა რეფორმებისათვის". შიიტი ექსტრემისტები, საუდის არაბეთისა და ირანის ურთიერთობის გაუმჯობესების მიუხედავად, იღებენ დახმარებას ირანის ისლამური რესპუბლიკიდან, ხოლო ახალგაზრდობა სწავლობს ირანსა და ლიბანში.

საუდის არაბეთში არის აგრეთვე 2 ექსტრემისტული დაჯგუფება: „არაბეთის ნახევარკუნძულის მუჯაჰიდები" („ალ-მუჯაჰიდუნ ფი ჯაზირათ ალ-'არაბ) და „ალაჰის ჭეშმარიტი რწმენის აღმსარებლები" („ალ-მუვაჰიდუნ"). ამ უკანასკნელი დაჯგუფების ლიდერებმა დაადანაშაულეს სამეფო დინასტია იმაში, რომ „უღალატეს ისლამს, წაბილწეს ისლამური სიწმინდეების მიწა იქ ურწმუნოთა არმიის ყოფნით" და მოუწოდეს მომხრეებს ამერიკელი მტრების განადგურება. ამ ორგანიზაციას აქვს კავშირი უსამა ბინ ლადინთან და სწორედ მისმა ბოევიკებმა განახორციელეს აფეთქებების სერია 2003 წლის მაისსა და ნოემბერში არ-რიადის კვარტლებში, სადაც ძირითადად ამერიკელები ცხოვრობენ.

საუდის არაბეთში მოქმედებს რადიკალი ისლამისტების რეაბილიტაციის პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში შეიქმნა 5 სპეციალიზებული საპატიმრო, რომელთაგან თითოეული 1200 პატიმრისათვის არის გათვალისწინებული. ამგვარი დაწესებულებები აადვილებს კონტროლს რადიკალი ისლამისტების ცალკეულ ჯგუფებზე. პროგრამის რეალიზაციაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ავტორიტეტულ მუსლიმ კანონთმცოდნეებს, რომლებიც დიდ დროს ატარებენ პატიმრებთან დისპუტებში და ცდილობენ დაარწმუნონ ბრძოლის რადიკალური მეთოდების მომხრეები უარი თქვან თავიანთ შეხედულებებზე. პროგრამის კოორდინაციისათვის შეიქმნა „სათათბირო კომიტეტი", შტაბ-ბინა – არ-რიადში. მისი ფილიალები ფუნქციონირებს სამეფოს 7 დიდ ქალაქში. კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობას იღებს დაახლ. 100 ღვთისმეტყველი და უნივერსიტეტის პროფესორი, 30 ფსიქოლოგი. 2004

წლიდან რეაბილიტაციის კურსი გაიარა დაახლ. 2000 პატიმარმა, რომელთაგან 700 გაათავისუფლეს.

მაროკოში, რომელიც საუდის არაბეთისაგან განსხვავებით კონსტიტუციური მონარქიაა, ადრე ჩამოყალიბდა მრავალპარტიული სისტემა. ზომიერი ისლამისტები იქ წარმოდგენილი არიან ორი ორგანიზაციით – „სამართლიანობისა და განვითარების პოლიტიკური პარტიით" (ხელმძღვანელი, გენერალური მდივანი საად ად-დინ 'უსმანი) და ასოციაცია „სამართლიანობა და გაუმჯობესება" (ხელმძღვანელი - შაიხი 'აბდ ას-სალამ იასინი). მათთან ერთად ფუნქციონირებენ საზოგადოებრივ-რელიგიური ორგანიზაციები – „ისლამური ახალგაზრდობის ასოციაცია", „მუჰამადის ჯგუფი" და „ზაითუნის წმინდა ძმობა". შედარებით დიდი გავლენა აქვს პარლამენტში წარმოდგენილ „სამართლიანობისა და განვითარების პარტიას". 2002 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მათ მიიღეს 38 ადგილი (საერთო რაოდენობა - 450). 2003 წელს ჩატარებული მუნიციპალური არჩევნების შემდეგ კი მათ მიიღეს 593 ადგილი (23 ათასი ადგილიდან) 60 პროვინციაში. როგორც პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, ეს რიცხვი 4-ჯერ მეტი იყო, მაგრამ არჩევნების დასრულებამდე მოხდა პარტიის მიერ მათი გამოწვევა, 2003 წლის 16 მაისს კასაბლანკაში განხორციელებული ტერაქტების გამო.[45] ეს ტერაქტები განახორციელა მრავალრიცხოვანმა რადიკალურმა დაჯგუფებამ – „სალაფიტურმა ჯიჰადმა". პოლიციამ დააპატიმრა დაახლ. 1000 ისლამისტი, რომელთაც ბრალი დასდეს ტერაქტებში მონაწილეობაში. სულ 390 ისლამისტი გაასამართლეს, 53-ს მიესაჯა სამუდამო პატიმრობა, ხოლო 16 – სიკვდილით დასაჯეს. „სალაფიტურ ჯიჰადს" დაახლ. 1000 მუჯაჰიდი ჰყავს. ამ ორგანიზაციის შემადგენლობაში შედიოდა „ანსარ ალ-მაჰდი" („ალ-მაჰდის დამხმარეები"), რომელიც გაანადგურეს 2006 წელს. ლონდონში მოქმედებს აგრეთვე „შეიარაღებული ისლამური მაროკოს ჯგუფი", რომელიც დაკომპლექტებულია დიდ ბრიტანეთში ემიგრირებული მაროკოელებით. მაროკოზე განხორციელებული ტერაქტების მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ 2001 წლის ამერიკის მოვლენების შემდეგ მაროკოს ხელისუფლება, მუსლიმური ქვეყნებიდან, პირველი დადგა აშშ-ის მხარეზე და შესთავაზა თანამშრომლობა. მაროკო არის აგრეთვე არაბულ ქვეყნებს შორის ამერიკის პრივილეგირებული ეკონომიკური პარტნიორი.

XXI საუკუნეში გაჩნდა კიდევ ერთი ფენომენი – აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში მუსლიმი ემიგრანტებისაგან სხვადასხვა თემების ფორმირება. დასავლეთისათვის ტერორიზმი გახდა პრაქტიკულად ისლამის რელიგიის განუყოფელი ატრიბუტი. 1990 წლის ბოლოდან 2000 წლის დასაწყისამდე ევროპაში ემიგრირებულმა რადიკალურმა ისლამისტურმა იდეოლოგებმა დაიწყეს თავიანთი ორგანიზაციების ჩამოყალიბება, რომელშიც რთავდნენ ევროპაში გაზრდილი მიგრანტი მუსლიმების „მეორე" და „მესამე" თაობას. თავდაპირველად მუსლიმმა რადიკალებმა თავიანთი საქმიანობა დაიწყეს ე.წ. სალაფიტური მეჩეთების ბაზაზე (ფინსბერი-პარკი დიდ ბრიტანეთში, „ალ-კუდს" გერმანიაში და სხვ.). მოგვიანებით, კონსპირაციის მიზნით, მათ გადაინაცვლეს კერძო სახლებში. ევროპაში რადიკალურ ისლამისტურ ორგანიზაციებს შორის შეიძლება გამოიყოს სამი ჯგუფი: საერთაშორისო, ტრანსნაციონალური ორგანიზაციების ადგილობრივი უჯრედები და ავტონომიური დაჯგუფებები. ერთნი ორიენტირებული არიან გრძელვადიან პროპაგანდაზე, მეორენი იყენებენ ევროპას სახსრების შეგროვებისათვის და ახალი წევრების შეკრებისათვის, მესამენი განიხილავენ ამ კონტინენტს პოტენციურ სამიზნედ ტერაქტების განსახორციელებლად და ევროპის ქვეყნების მთავრობებზე ზეწოლის მოსახდენად. რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციები ცდილობენ მოახდინონ ევროპის ქვეყნების მუს-

[45] კასაბლანკაში ერთდროულად მოხდა 5 აფეთქება: ესპანეთის სახლში, ისრაელის ბიზნეს-ცენტრში, ბელგიის საკონსულოში, სასტუმროში და ებრაელთა სასაფლაოზე.

ლიმური თემების „რეისლამიზაცია". ისინი მიმართავენ პროპაგანდას, მონოდებას (და'ვა), სხვები უპირატესობას ანიჭებენ შეიარაღებულ ბრძოლას და ქადაგებენ სხვა რელიგიების წარმომადგენელთა მიმართ შეურიგებლობას. ექსტრემისტული ისლამისტური დაჯგუფებების მიერ ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქციების შემდეგ აშშ-მ და ევროპის ქვეყნებმა გაამკაცრეს თავიანთი კანონმდებლობა ტერორიზმთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით. 1996 წელს ამერიკის კონგრესმა მიიღო ანტიტერორისტული კანონი, რომელიც ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას ტერორისტული საქმიანობისათვის. ამის გარდა, ამერიკის კანონმდებლობით, სახელმწიფო დეპარტამენტს შეუძლია შეადგინოს „ტერორიზმის სპონსორი" ქვეყნების სია და შესაბამისად, ისინი ვერ ისარგებლებენ იმუნიტეტით სამოქალაქო სარჩელზე ამერიკის ფედერალურ სასამართლოებში. 2001 წელს დიდ ბრიტანეთში ძალაში შევიდა ტერორიზმთან ბრძოლის კანონი, რომლის თანახმადაც ხელისუფლებას შეუძლია კანონგარეშე გამოაცხადოს ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელიც დადანაშაულებული იქნება ტერორისტულ საქმიანობაში. საფრანგეთში 2001 წელს მიიღეს კანონი საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე, რომლის თანახმადაც, ხელისუფლებას შეეძლო პრევენციული ჩხრეკების ჩატარება, ხოლო ინტერნეტის პროვაიდერები ვალდებული იყვნენ შეენახათ ცნობები თავიანთი კლიენტების კავშირებზე წლის განმავლობაში.

გაეროს ფარგლებში მიღებულია 12 შეთანხმება ტერორიზმთან ბრძოლის თაობაზე. მაგ., საერთაშორისო კონვენცია ატომური ტერორიზმის აქტებთან ბრძოლაზე (2005), საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ (1999), საერთაშორისო კონვენცია მძევლების აყვანის წინააღმდეგ ბრძოლაზე (1979) და სხვ. არაბული ქვეყნებიდან თორმეტივე კონვენციას შეუერთდა მხოლოდ ლიბია. ყველაზე მეტი არაბული ქვეყანა შეუერთდა საერთაშორისო კონვენციას ტორორიზმის დაფინანსების წინაალმდეგ ბრძოლის შესახებ. ყველაზე ბოლოს ამ კონვენციას შეუერთდა სირია (2005წ. 24 აპრილს). 2001 წლის 28 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში, 11 სექტემბრის (2001წ.) ცნობილი ტერაქტების შემდეგ, გაეროს რეზოლუციით №1373 დაარსდა აგრეთვე კონტრტერორისტული კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა უშიშროების საბჭოს 15 წევრი. ამ რეზოლუციას მხარი დაუჭირა ყველა არაბულმა ქვეყანამ.

ინტეგრაციული პროცესები არაბულ სამყაროში

XX საუკუნის შუა წლებში არაბულ ქვეყნებში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, გაჩნდა პანარაბიზმის იდეა. *პანარაბიზმი* [ვაჰდათ ალ-'არაბ, ალ-ვაჰდა ალ-არაბიიდა] არის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მიმართულია ახლო აღმოსავლეთის არაბი ხალხების კონსოლიდაციისაკენ. არაბთა გაერთიანების საფუძველია საერთო ენა, ისტორია და კულტურა. პანარაბიზმი ჩაისახა არაბეთის ნახევარკუნძულზე. ჯერ კიდევ 1916 წელს მექის შარიფმა ჰუსაინ იბნ 'ალიმ დააარსა ჰიჯაზის გაერთიანებული არაბული სამეფო, დედაქალაქით ჯიდდაში. მისი მემკვიდრე გახდა საუდის არაბეთი.

1945 წლის 22 მარტს კაიროში, არაბული ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენციაზე, შეიქმნა *არაბულ სახელმწიფოთა ლიგა* [ჯამი'ათ ად-დუვალ ალ-'არაბიიდა ან ალ-ჯამ'ია ალ-'არაბიიდა] – არაბული სახელმწიფოების რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში. ორგანიზაციაში თავდაპირველად შედიოდა 6 ქვეყანა: ეგვიპტე, ერაყი, ტრანსიორდანია, ლიბანი, საუდის არაბეთი და სირია. ამჟამად ორგანიზაციაში არის 22 წევრი.

№	ქვეყანა	ორგანიზაციაში შესვლის წელი
1	ეგვიპტე	1945 წლის 22 მარტი
2	ერაყი	1945 წლის 22 მარტი
3	იორდანია	1945 წლის 22 მარტი
4	ლიბანი	1945 წლის 22 მარტი
5	საუდის არაბეთი	1945 წლის 22 მარტი
6	სირია	1945 წლის 22 მარტი
7	იემენი	1945 წლის 5 მაისი
8	ლიბია	1953 წლის 28 მარტი
9	სუდანი	1956 წლის 19 იანვარი
10-11	მაროკო, თუნისი	1958 წლის 1 ოქტომბერი
12	ქუვეითი	1961 წლის 20 ივლისი
13	ალჟირი	1962 წლის 16 აგვისტო
14	არაბთა გაერთ. საამიროები	1972 წლის 12 ივნისი
15-16	ბაჰრაინი, კატარი	1971 წლის 11 სექტემბერი
17	ომანი	1971 წლის 29 სექტემბერი
18	მავრითანია	1973 წლის 26 ნოემბერი
19	სომალი	1974 წლის 14 თებერვალი
20	პალესტინა	1976 წლის 9 სექტემბერი
21	ჯიბუთი	1977 წლის 9 აპრილი
22	კომორი	1993 წლის 20 ნოემბერი

ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსი აქვთ ერითრეას (2003 წლიდან), ვენესუელას (2006 წლიდან) და ინდოეთს (2007 წლიდან). ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს კაიროში (ეგვიპტე). ორგანიზაციის ოფიციალური ენა არაბულია.

პაქტი ანუ არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წესდება ფორმით საერთაშორისო ხელშეკრულებაა. ის განსაზღვრავს შემდეგ მიზნებს: არაბული ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობა; საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედების ერთიანი პოლიტიკური ხაზის შემუშავება, მათი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვა, არაბული ქვეყნების ინტერესებთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა.

ლიგის უმაღლესი ორგანოა საბჭო, რომელშიც შედიან ყველა ნევრ-ქვეყნის წარმომადგენლები. საბჭოს სესიები ტარდება წელიწადში ორჯერ. სესიებს შორის მიმდინარე სამუშაოს ასრულებს გენერალური სამდივნო, რომელთანაც არსებობს პოლიტიკური, ეკონომიკური, ინფორმაციის, პალესტინის საქმეების, ნავთობის საკითხების და სხვა დეპარტამენტები. ამ აღმასრულებელი ორგანოს მეთაურობს გენერალური მდივანი, რომელიც აირჩევა 5 წლის ვადით. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, ვინც ხმას აძლევს ამ გადაწყვეტილებებს.

გენერალური მდივნები 1945-2008წწ.

'აბდ არ-რაჰმან ჰასან 'აზამი (ეგვიპტე) –1945-1952
მუჰამად 'აბდ ალ-ხალიკ ჰასუნა (ეგვიპტე) –1952-1972
მაჰმუდ რიადი (ეგვიპტე) – 1972-1979
შედლი კლიბი (თუნისი) – 1979-1990
ასად ალ-ასადი (ლიბანი) – 1990-1991
აჰმად 'ისმათ 'აბდ ალ-მაჯიდი (ეგვიპტე) – 1991-2001
'ამრ მუსა (ეგვიპტე) – 2001 წლიდან დღემდე

არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სტრატეგული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი იყო სხვა ინტეგრაციული გაერთიანებების შექმნა. 50-70-იან წლებში პანარაბიზმის იდეა ძალიან პოპულარული იყო. მთელი რიგი არაბული ქვეყნების ქარიზმატული ლიდერები შეეცადნენ შეექმნათ მოკავშირე სახელმწიფოები. სხვადასხვა წლებში ეგვიპტე, სირია, ლიბია, სუდანი, თუნისი ცდილობდნენ გაერთიანებულიყვნენ მრავალმხრივ ან ორმხრივ საფუძველზე. ყველაზე კარგი მაგალითი იყო *არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის* შექმნა. ეს იყო მოკავშირე სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაში შევიდა სირია და ეგვიპტე. 1958 წლის თებერვლის დასაწყისში ხელი მოაწერეს დოკუმენტს ამ ქვეყნების გაერთიანების შესახებ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ჩატარდა პლებისციტი, რომელზედაც ორივე ქვეყნის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა გამალ აბდელ ნასერის დანიშვნას ახალი გაერთიანებული ქვეყნის პრეზიდენტად. გაერთიანების ძირითადი მიზეზი გახდა პანარაბული ნაციონალიზმის იდეა. ვარაუდობდნენ, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა გახდებოდა მომავალი ერთიანი არაბული სახელმწიფოს საფუძველი. კაიროს და დამასკოს გაერთიანებას ხელი შეუწყო აგრეთვე 1956 წელს სამმაგმა აგრესიამ ეგვიპტის წინააღმდეგ და სირიაზე ზეწოლამ, რომელსაც ახორციელებდნენ მეზობელი ისრაელი, ერაყი და თურქეთი. არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ იარსება მხოლოდ 1961 წლის სექტემბრამდე. ეს განაპირობა მასშტაბური პოლიტიკური ექსპერიმენტის გამოუცდელობამ და დიდმა განსხვავებამ ამ გაერთიანებული სახელმწიფოს ორი ნაწილის პოლიტიკურ სისტემებში. 1958 წელსვე, 14 თებერვალს ჩამოყალიბდა *ერაყისა და იორდანიის არაბული ფედერაცია.* თუმცა დე ფაქტო ის იყო კონფედერაცია. ერაყის მეფის ფაისალ II-ის და მისი ბიძაშვილის, იორდანიის მეფის, ჰუსეინის გაერთიანება გაგრძელდა 6 თვე და დაირღვა 1958 წლის 2 აგვისტოს, ერაყის 1958 წლის 14 ივლისის რევოლუციის შემდეგ. 1958 წელს ჩამოყალიბდა აგრეთვე *გაერთიანებული არაბული სახელმწიფოები,* რომელიც წარმოადგენდა ეგვიპტის, სირიის და ჩრდილოეთ იემენის კონფედერაციას. ეს გაერთიანება ხანმოკლე აღმოჩნდა და დაიშალა 1961 წელს.

იყო არაბული ქვეყნების გაერთიანების სხვა მცდელობებიც. გაჩნდა *ფედერაციული არაბული რესპუბლიკის* შექმნის იდეა ლიბიის, ეგვიპტის და სირიის შემადგენლობით. მისი ძირითადი დებულებები გადმოცემული იყო1971 წლის 17 აპრილის

ბენგაზის დეკლარაციაში. გაერთიანების ინიციატივა ეკუთვნოდა ლიბიის ხელმძღვანელს – მუამარ კადაფის. ფედერაციამ იარსება 1972 წლის 1 იანვრიდან 1977 წლის მარტამდე. 1974 წელს იყო აგრეთვე სხვა გეგმა ლიბიის და სუდანის გაერთიანებისა, *არაბულ ისლამურ რესპუბლიკად*. 1974 წლის 11 იანვარს ჯერბას (ხელი მოეწერა ჯერბას კუნძულზე) დეკლარაციას ხელი მოაწერეს ჰაბიბ ბურგიბამ და მუამარ კადაფიმ. შეთანხმების თანახმად, ბურგიბა უნდა ყოფილიყო პრეზიდენტი, ხოლო კადაფის სურდა შეენარჩუნებინა თავდაცვის მინისტრის პოსტი. ეს პროექტი ქაღალდზე დარჩა.

1971 წლის 2 დეკემბერს სახელშეკრულებო ომანის 7 საამიროდან ექვსმა გამოაცხადა ფედერაციის შექმნა, *არაბთა გაერთიანებული საამიროების* სახელით. მე-7 საამირო – რა'ს ალ-ხაიმა შეუერთდა ფედერაციას 1972 წელს. დღემდე ეს ფედერაცია არის არაბთა წარმატებული გაერთიანების საუკეთესო მაგალითი.

პანარაბიზმის იდეოლოგიას აღიარებდა ზოგიერთი პოლიტიკური პარტია. მაგ., ბაასი (არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია). პანარაბიზმის მოძრაობის ცნობილი მოღვაწეები არიან: გამალ აბდელ ნასერი, ჰაფეზ ალ-ასადი, სადამ ჰუსეინი, იასერ არაფათი, მუამარ კადაფი. ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი ეროვნული მოქმედების ქარტიაში (1962წ.) შეეცადა ახლებურად ჩამოეყალიბებინა არაბთა ერთიანობის მიზნები და ამოცანები. ქარტიის სპეციალურ განყოფილებაში სათაურით „არაბული ერთიანობა" მოცემულია არაბთა ერთიანობის მიღწევებისა და ნაკლოვანებების ანალიზი. ნასერი აღნიშნავდა, რომ არაბთა ერთიანობა არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ყველა არაბული ქვეყნის აუცილებელ კონსტიტუციურ ერთიანობას ერთი სახელმწიფოს ფარგლებში.

XX ს-ის 70-იან წლებში არაბული სამყარო გაიყო ორ ნაწილად: სოციალისტური და კაპიტალისტური ორიენტაციის ქვეყნებად, რაც თავისთავად გამორიცხავდა საერთოარაბული გაერთიანების იდეას. ამავე პერიოდში, ეგვიპტემ – საერთოარაბული ინტეგრაციის „ლოკომოტივმა" 50-60-იან წლებში – კურსი აიღო დასავლეთისაკენ, აირჩია ეკონომიკის ლიბერალიზაციის გზა და დაიწყო „ინფითაჰის" („ღია კარების") პოლიტიკის განხორციელება. 70-იან წლებში პანარაბიზმის საფუძველზე არაბული ქვეყნების გაერთიანების იდეას დარტყმა მიაყენა აგრეთვე ეგვიპტის მიერ სეპარატული ხელშეკრულების ხელმოწერამ ისრაელთან 1979 წელს. არაბთა „ნომერ პირველ მტერთან" შეთანხმების შემდეგ ეგვიპტე 10 წლით გააძევეს არაბული ერთობიდან. ის გარიცხეს არაბთა ლიგიდან და ისლამური კონფერენციის ორგანიზაციიდან, ხოლო არაბთა ლიგის შტაბ-ბინა კაიროდან თუნისში გადაიტანეს. არაბული ქვეყნების უმეტესობამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ეგვიპტესთან. 80-იან წლებში ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა მოახერხა ქვეყნის დაბრუნება არაბული სამყაროს ლიდერთა რიცხვში (1989 წელს აღდგა ეგვიპტის წევრობა არაბთა ლიგაში), მაგრამ „არაბულ ერთიანობაში" სერიოზული ბზარი გაჩნდა.

70-იანი წლების ბოლოს რამდენიმე არაბმა მოაზროვნემ ღიად გამოაცხადა პანარაბიზმის მარცხის შესახებ. 1978-79 წელს ფუად აჯამიმ გამოაქვეყნა ესსე, სადაც ამტკიცებდა, რომ პანარაბიზმის მითი დასრულდა ჯერ კიდევ 1967 წლის ისრაელისა და არაბული ქვეყნების ომის შემდეგ და მუამარ კადაფიმაც ვერ შეძლო მისი აღორძინება. ამის მიუხედავად, არაბულ სამყაროში კვლავ ძლიერი იყო გაერთიანებისა და ინტეგრაციის იდეა. არაბთა ერთიანობის კვლევის ცენტრი (მარქაზ დირასათ ალ-ვაჰდა ალ-'არაბიიდა) კაიროსა და ბეირუთში ხელს უწყობდა პანარაბიზმის იდეის განვითარებას.

80-იან წლებში აქტიურად მიმდინარეობდა არაბთა გაერთიანების საფუძვლების გადასინჯვა. უფრო რეალური გახდა ინტეგრაცია იმ არაბული ქვეყნების, რომლებიც ერთნაირად ხედავდნენ ხანგრძლივვადიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებს, თავიანთ შესაძლებლობებს და რესურსებს.

1981 წელს არაბეთის ნახევარკუნძულის 6 მონარქია (საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, კატარი, ბაჰრაინი, ომანი, ქუვეითი) გაერთიანდა *სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების საბჭო*-ში. ეს რეგიონალური ორგანიზაცია დღეს არის ყველაზე წარმატებული არაბულ სამყაროში. მასში შედიან ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მოწინავე ქვეყნები, რომლებიც ნავთობის და გაზის კოლოსალური მარაგის წყალობით ანვითარებენ ეკონომიკას და დიდ თანხებს აბანდებენ სოციალურ სფეროში. ისინი ეროვნული შემოსავლებით და ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავლებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სხვა არაბული ქვეყნებისაგან. ეს ქვეყნები დონორის როლს ასრულებენ ნაკლებად განვითარებულ არაბულ ქვეყნებში. ეკონომიკური კავშირების განვითარება უფრო ხშირად ხდება წევრ-ქვეყნებს შორის, ვიდრე სხვა ქვეყნებთან. 1985 წლიდან 1996 წლამდე მათ შორის ვაჭრობა ორჯერ გაიზარდა. ორგანიზაციის საფუძველი არის საუდის არაბეთი, სადაც თავმოყრილია ეკონომიკური რესურსების პოტენციალის ძირითადი ნაწილი და მას აქვს დიდი პოლიტიკური წონა, როგორც არაბულ სამყაროში, ისე მის ფარგლებს გარეთ. პოლიტიკური თვალსაზრისით, ამ ორგანიზაციის წევრ-ქვეყნებს შორის და სხვა არაბულ ქვეყნებს შორის არსებული თვალსაზრისი ზოგჯერ არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგ., სპარსეთის ყურის ზოგიერთი ქვეყანა თავშეკავებულად შეხვდა აშშ-ისა და მათი მოკავშირეების სამხედრო ოპერაციას ერაყში 2003 წელს, მაშინ როცა მრავალი არაბული ქვეყნის ოფიციალურმა ხელისუფლებამ გააკრიტიკა ეს ნაბიჯი და შეაფასა როგორც ვაშინგტონის არაკანონიერი აგრესია.

2002 წლის ოქტომბერში სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება შეექმნათ კიდევ ერთი ორგანო თავდაცვის სფეროში კოორდინაციისათვის – უმაღლესი სამხედრო კომიტეტი კოლექტიური უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის გაზრდისათვის. არაბული მონარქიების სამხედრო თანამშრომლობა დაიწყო 1980 წელს, როდესაც გართულდა სპარსეთის ყურის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ვითარება და დაიწყო ირან-ერაყის ომის საბრძოლო მოქმედებები ყურის აკვატორიაში. 1983 წელს მიღწეული შეთანხმების საფუძველზე დაიწყო სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების საბჭოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შექმნა – „ნახევარკუნძულის ფარი", მაგრამ დღეისათვის არაბული მონარქიების ინტეგრაცია სამხედრო სფეროში ნელი ტემპებით მიმდინარეობს.

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში სულ უფრო ხშირად საუბრობენ ორგანიზაციის გაფართოებაზე. მასში შეიძლება შევიდნენ ერაყი და იემენი. თუმცა მათ დიდი დრო დასჭირდებათ, რათა თავიანთი მაჩვენებლებით გაუტოლდნენ წევრ-ქვეყნებს. სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს წესდება არ ითვალისწინებს ორგანიზაციის წევრთა რიცხვის გაფართოვებას. არაბულ სამყაროში ორგანიზაციას ეწოდება ასე: „დახურული კლუბი მდიდრებისათვის". 1996 წელს იემენმა მოითხოვა ამ რეგიონალურ ორგანიზაციაში გაწევრიანება, თუმცა გეოგრაფიული მდებარეობით არ ეკუთვნის სპარსეთის ყურის ქვეყნებს (ის ესაზღვრება ორგანიზაციის წევრ ორ ქვეყანას – საუდის არაბეთსა და ომანს). ეს თხოვნა კატეგორიულად უარყვეს საუდის არაბეთმა და ქუვეითმა. უკანასკნელმა არ აპატია იემენს 1990-1991 წლების სპარსეთის ყურის კრიზისის დროს

ერაყის მხარდაჭერა[46]. საუდის არაბეთს ტერიტორიული დავა ჰქონდა იემენთან 1994-1995 წლებში. 1996 წელს მათ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ეკონომიკური, სავაჭრო და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. 2001 წლის დეკემბერში ორგანიზაციის სამიტზე (მასკატში), თანამშრომლობის საბჭოს ლიდერებმა თანხმობა განაცხადეს, მიეღოთ იემენი, არაბულ სამყაროში ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანა, ორგანიზაციის ზოგიერთ კომიტეტში (განათლების, შრომის და სოციალური საკითხების). სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს 2006 წლის შეხვედრაზე არ-რიადში, მიიღეს გადაწყვეტილება იემენთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ. იემენის წევრობა ამ ორგანიზაციაში მრავალ კითხვას ბადებს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ქვეყნის სუსტი ეკონომიკური განვითარება. იემენის ბიუჯეტი, რომლის მოსახლეობა დაახლ. 20 მილიონია, შეადგენს 5 მლრდ დოლარს. რთული პრობლემაა განათლების დაბალი დონე. ამის პარალელურად, იემენის იაფი მუშახელი მიმზიდველია სპარსეთის ყურის ორგანიზაციის წევრ-ქვეყნებისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უსაფრთხოების პრობლემა აიძულებს ორგანიზაციას მიიღოს იემენი სრულუფლებიან წევრად (იემენის ცენტრალური ხელისუფლება ვერ აკონტროლებს სიტუაციას ქვეყანაში, ხდება იარაღის უკონტროლო შემოდინება; ის არის ტერორისტების და დამნაშავე ელემენტების თავშესაფარი მის საზღვრებთან ახლოს მდებარე სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან). ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის იემენმა უნდა შეასრულოს მთელი რიგი პირობები: განახორციელოს საკანონმდებლო სისტემის რეფორმა, სრულყოს აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემა, გააძლიეროს კონტროლი უსაფრთხოების ორგანოებზე, ხელი შეუწყოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში. თუ იემენის ნავთობის მარაგი მნიშვნელოვანი აღმოჩნდება, ეს დააჩქარებს მისი გაწევრიანების პროცესს ამ ორგანიზაციაში. XXI საუკუნის დასაწყისში აქტიურად დაიწყო აგრეთვე ამ ორგანიზაციაში მეზობელი ერაყის გაწევრიანების საკითხის განხილვა.

არაბული საზოგადოების შიგნით სხვა რეგიონალური ორგანიზაცია არის *არაბული მაღრიბის კავშირი*, რომელიც შეიქმნა1989 წელს. მასში შედიან ალჟირი, მაროკო, მავრითანია, ლიბია და თუნისი. 1990 წლიდან მოყოლებული კავშირის წევრ-ქვეყნებმა დადეს 30 დიდი შეთანხმება ეკონომიკის, სოციალურ და კულტურულ სფეროებში. უკვე 1995 წელს, ოფიციალური რაბათის მოთხოვნით, ორგანიზაციის საქმიანობა „გაიყინა". მისი არაქმედუნარიანობა გამოწვეულია დას. საჰარის პრობლემით, რაც გახდა ალჟირსა და მაროკოს შორის დაპირისპირების მიზეზი. ალჟირის ტერიტორიაზე არის პოლისარიოს ფრონტი, რომელიც გამოდის საჰარის პროვინციების დამოუკიდებლობის მოთხოვნით, რაბათი კი დას. საჰარას თავის საკუთრებად მიიჩნევს. 1994 წელს მაროკომ დაკეტა საზღვარი ალჟირთან. ამ ორ მნიშვნელოვან წევრ-ქვეყანას შორის პოლიტიკური კრიზისის პირობებში ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობის შესაძლებლობა მცირდება.

პანარაბიზმის იდეას არაბულ სამყაროში მნიშვნელოვნად უშლის ხელს არაბეთ-ისრაელის კონფლიქტი, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე გრძელდება და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების ზრდა არაბული ქვეყნების უმრავლესობაში. მნიშვნელოვანია აგრეთვე ორი კრიზისი ერაყის გარშემო – სპარსეთის ყურის ომი 1990-1991 წლებში და 2003 წელს ამერიკის სამხედრო მოქმედება. პირველ

---

[46] 1990 წელს, ერაყის მიერ ქუვეითის ოკუპაციის დროს, ეგვიპტე, სირია, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ბაჰრაინი, კატარი და ომანი შევიდნენ ანტიერაყულ კოალიციაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა აშშ, ხოლო იორდანიამ, ლიბიამ, იემენმა, თუნისმა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ მხარი დაუჭირეს პრობლემის გადაწყვეტას არაბთა ლიგის ფარგლებში. ამან განხეთქილება გამოიწვია არაბთა ლიგის საქმიანობაში და მას არანაირი როლი არ შეუსრულებია 1990-1991 წლებში მიმდინარე მოვლენებში.

შემთხვევაში ერაყმა მოახდინა ქუვეითის ოკუპაცია და ის იყო აგრესორი. ამიტომ ზოგიერთი არაბული ქვეყნის მონაწილეობა ანტიერაყულ სამხედრო ოპერაციაში, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, იყო ლოგიკური. 2003 წელს განხორციელებულ ოპერაციას მნიშვნელოვნად განსხვავებული შეფასებები მოჰყვა არაბული ქვეყნების მხრიდან. ამ ორმა საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტმა ეჭქვეშ დააყენა არაბთა ერთიანობის იდეა. საუდის არაბეთის მაშინდელმა მეფემ ფაჰდმა და მემკვიდრე პრინცმა აბდულლაჰმა, განაცხადეს: ახალი კონფლიქტი გახდა არა მარტო შედეგი ბაღდადის მცდარი პოლიტიკისა, არამედ „არაბული სამყაროს სისუსტისა და დაქსაქსულობისა, რომელსაც არასოდეს არ გააჩნდა ერთიანი და ეფექტური პოლიტიკა".

2002 წელი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა არაბული ქვეყნების პოზიციების დაახლოვების თვალსაზრისით ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. ამ წელს არაბული ქვეყნები ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ ამ კონფლიქტის დარეგულირებისათვის. მათ მხარი დაუჭირეს საუდის არაბეთის პრინცის, აბდულლაჰის სამშვიდობო გეგმას, რომელიც ითვალისწინებდა არაბული ქვეყნების ურთიერთობის ნორმალიზებას ისრაელთან 1967 წელს მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნების სანაცვლოდ. სამწუხაროდ, ისრაელმა უარი განაცხადა ამ წინადადებაზე, რის გამოც მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა როგორც არაბული საზოგადოებრიობის, ისე მთელი რიგი ებრაული თემების მხრიდან. 2002 წელსვე გაუმჯობესდა ერაყის ურთიერთობა აღმოსავლეთისა და ევროპის მრავალ ქვეყანასთან. არაბული ქვეყნების ლიგის ინიციატივით სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა სპარსეთის ყურის ქვეყნებთან ერაყის ურთიერთობის განახლებისათვის (მათ შორის ურთიერთობა შეწყდა 1990-1991 წლების ომის დროს). არაბული ქვეყნების უმეტესობა ვერ მალავდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას, მაგრამ ერაყი, თავისი კოლოსალური ეკონომიკური პოტენციალით, განიხილებოდა არაბულ რეგიონში ინტეგრაციული პროცესების აუცილებელ მონაწილედ. ერთ-ერთ საერთოარაბულ შეხვედრაზე ერაყის პრემიერმა ტარიკ 'აზიზმა დასვა საკითხი ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის თაობაზე 4 არაბულ სახელმწიფოს (ერაყს, სირიას, ლიბანს და იორდანიას) შორის. როდესაც ამერიკამ დაადანაშაულა ერაყი მასობრივი განადგურების იარაღის ქონაში, არაბული ქვეყნები გამოვიდნენ ერაყში ძალისმიერი მეთოდით ხელისუფლების შეცვლის წინააღმდეგ. მათ ეშინოდათ, რომ სამხედრო მოქმედებები უარყოფითად იმოქმედებდა მათ ეკონომიკაზე. 2003 წელს ამერიკისა და მისი მოკავშირეების სამხედრო ოპერაციამ სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ, ერაყი გამოთიშა საერთოარაბული სქემიდან. XXI საუკუნეში, ერაყის საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ, გაჩნდა ძლიერი რეგიონალური გაერთიანების პერსპექტივა – „დამასკო-თეირანი-ბაღდადი", მაგრამ პოლიტოლოგების აზრით, მას ხელი შეუშალა აშშ-მ. 2003 წელს ამერიკის სენატმა მხარი დაუჭირა ფართომასშტაბიან სანქციებს დამასკოს წინააღმდეგ. აქტიურად დაიწყო აგრეთვე ვაშინგტონის მიერ ირანის ატომური პროგრამის კრიტიკა.

2003 წელს ეგვიპტე, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ლიდერობაზე არაბულ სამყაროში, გამოვიდა წინადადებების პაკეტით, რათა მოხდეს არაბულ სახელმწიფოთა ლიგის რეფორმირება და არაბთა შორის ურთიერთოების მთელი სისტემის გარდაქმნა. კაირომ შესთავაზა წევრ-ქვეყნებს ლიგის ფარგლებში უშიშროების საბჭოს შექმნა. ეგვიპტეს ასევე ეკუთვნის ინიციატივა, რომ შეიქმნას „სამართლიანობის არაბული ტრიბუნალი". იქ აღნიშნულია, რომ მხოლოდ არაბული ქვეყნების ეკონომიკურ გაერთიანებას შეუძლია გამოიყვანოს არაბული სისტემა კრიზისიდან. პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის როლის გაძლიერებას. ამის პარა-

ლელურად, 2001 წლის 28 მარტს არაბთა ლიგის სამიტზე ამანში (იორდანია) და 2003 წელს შარმ აშ-შაიხში განიხილეს იემენის ინიციატივა ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსების შესახებ. იემენმა წარმოადგინა *არაბული სახელმწიფოების კავშირის* კონსტიტუციის პროექტი.[47] იემენი ხაზს უსვამს, რომ ის არ ბლოკავს სხვა ინიციატივებს. 2004 წლიდან ეს პროექტი აქტიურად განიხილება არაბთა ლიგის წევრ-ქვეყნების უმაღლესი დონის შეხვედრებზე.

არაბული ქვეყნების პრიორიტეტულ ამოცანად ითვლება საკუთარი ეკონომიკური საზოგადოების შექმნა. ეკონომიკურ ინტეგრაციას ახალი იმპულსი მისცა 90-იან წლებში დაწყებულმა გლობალიზაციის პროცესმა. საერთო ბაზრის შექმნა აუცილებელია, რათა უპასუხონ გლობალიზაციის გამოწვევას. თუმცა არსებობს მრავალი პრობლემა: სამრეწველო სექტორის განუვითარებლობა; ექსპორტის არადიფერენცირებული სტრუქტურა; არაბული ეკონომიკის დამოკიდებულება ნავთობსა და გაზზე. ინტეგრაციას ხელს უშლის აგრეთვე ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონე, უმუშევრობა, ცხელი წერტილები რეგიონში და დეზინტეგრაციული ფაქტორები საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით.

არაბული ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის მიზნით, 1957 წლის 3 ივნისს დაარსდა *არაბული ეკონომიკური კავშირის საბჭო*, რომელიც ამოქმედდა 1964 წლის 30 მაისიდან. მასში შედიან ეგვიპტე, ერაყი, იორდანია, ქუვეითი, ლიბია, მავრითანია, სომალი, სუდანი, სირია, იემენი და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია (ახლა პალესტინის ეროვნული ადმინისტრაცია). 1968 წლის 16 მაისს დაარსდა *არაბული ფონდი ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის* – პანარაბული საფინანსო ინსტიტუტი. ორგანიზაციაში შედიან: ალჟირი, ბაჰრაინი, ჯიბუთი, ეგვიპტე, ერაყი (შეუჩერდა წევრობა 1993 წელს), იორდანია, ქუვეითი, ლიბანი, ლიბია, მავრითანია, მაროკო, ომანი, კატარი, საუდის არაბეთი, სომალი (შეუჩერდა 1993წ.), სუდანი, სირია, თუნისი, არაბთა გაერთიანებული სამირ̀ები, იემენი, პალესტინის ადმინისტრაცია. ორგანიზაციის შტაბ-ბინაა ქუვეითში. 1974 წლის 18 თებერვალს დაარსდა *არაბული ბანკი ეკონომიკური განვითარებისათვის აფრიკაში* (ამოქმედდა 16 სექტემბერს). მისი მიზანია წევრი-ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. ამ ორგანიზაციაში შედიან: ალჟირი, ბაჰრაინი, ეგვიპტე, ერაყი, იორდანია, ქუვეითი, ლიბანი, ლიბია, მავრითანია, მაროკო, ომანი, კატარი, საუდის არაბეთი, სუდანი, სირია, თუნისი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, პალესტი-

---

[47] ამ დოკუმენტით, კავშირის ძირითადი პრინციპებია: თითოეული არაბული სახელმწიფოს სუვერენიტეტის პატივისცემა, მისი საზღვრებისა და კუთვნილი ტერიტორიების ხელშეუხებლობა; თითოეული წევრ-სახელმწიფოს უფლება აირჩიოს მმართველობის პოლიტიკური სისტემა; კავშირის წევრ-ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; დემოკრატიული პრინციპების ცხოვრებაში გატარება, დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება და ადამიანის უფლებათა დაცვა; არაღიარება იმ სახელმწიფოს მეთაურისა, რომელიც ხელისუფლებაში მოვა ძალადობის გზით (ქვეყანას შეუჩერდება კავშირში წევრობა კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე); რეგიონალური უსაფრთხოების სისტემის შექმნა, რომლის მიზანია წევრ-ქვეყნების დაცვა, საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცება და მსოფლიოს მხარდაჭერა; კავშირი ავალდებულებს მასში შემავალ სახელმწიფოებს გადაჭრან ნებისმიერი კონფლიქტი მშვიდობიანი გზით და უარი თქვან ძალის გამოყენებაზე; კავშირი ავალდებულებს წევრ-ქვეყნებს მხარი დაუჭირონ გაეროს ინიციატივებს და ორმხრივ შეთანხმებებს, რომლებიც კავშირის წევრებს შორის მიიღწევა; საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის ხელშეწყობა. ამ კავშირის ძირითადი მიზანია ეკონომიკური ინტეგრაციის განხორციელება. კავშირის უმაღლესი ხელისუფლების ორგანო იქნება *კავშირის უმაღლესი საბჭო*, რომელშიც შევლენ მეფეები, პრეზიდენტები და ამირები. სხვა ორგანიზაციული სტრუქტურები: ორპალატიანი ეროვნული საბჭო, მთავრობის თავმჯდომარეთა საბჭო, მინისტრთა საბჭოები, სამართლიანობის არაბული სასამართლო, კავშირის განვითარების ბანკი და სხვ.

ნის განთავისუფლების ორგანიზაცია. 1976 წლის 27 აპრილს დაარსდა *არაბული სამონეტო ფონდი* – რეგიონალური არაბული ორგანიზაცია (მოქმედება დაიწყო 1977 წლის 2 თებერვალს). ის მოქმედებს არაბულ სახელმწიფოთა ლიგასთან. მისი მიზანია: სამონეტო პოლიტიკის კოორდინაცია; ხელშეწყობა არაბული საფინანსო ბაზრის განვითარებისა და წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობისათვის; ეკონომიკური პროექტების დაფინანსება. ორგანიზაციაში შედის 21 არაბული ქვეყანა და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია. შტაბ-ბინა მდებარეობს აბუ დაბიში (არაბთა გაერთიანებული საამიროები).

1998 წლის 1 იანვრის გადაწყვეტილებით შეიქმნა *თავისუფალი ვაჭრობის არაბული ზონა*. 22 არაბული ქვეყნიდან 18-მა მოაწერა ხელი შეთანხმებას, რომ 2008 წლის ბოლოსათვის გაუქმდება ყველა ბარიერი, რაც აფერხებს ამ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთგაცვლის ზრდას. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ზოგიერთი არაბული ქვეყანა ერიდება რეგიონის შიგნით ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას და უპირატესობას ანიჭებს ევროკავშირის განვითარებულ ქვეყნებთან და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობას. 1995-2002 წლებში ევროკავშირმა ხელშეკრულება დადო თუნისთან, მაროკოსთან, ალჟირთან და ეგვიპტესთან. *აფრიკის კავშირში*, რომელიც დაარსდა 2002 წელს, შედის 53 ქვეყანა, მათ შორის არაბული ქვეყნები: ალჟირი, კომორი, ჯიბუთი, ეგვიპტე, ლიბია, მავრითანია, საჰარის არაბული დემოკრატიული რესპუბლიკა, სომალი, სუდანი, თუნისი. აფრიკის კავშირი არის აფრიკული ეკონომიკური საზოგადოების და აფრიკული კავშირის ორგანიზაციის მემკვიდრე. მაროკო ერთადერთი აფრიკული სახელმწიფოა, რომელიც არ არის აფრიკული კავშირის წევრი. მან გააპროტესტა დას. საჰარის წევრობა (საჰარის არაბული დემოკრატიული რესპუბლიკის სახით) ამ ორგანიზაციაში.

საერთოარაბული ეკონომიკური კავშირების ორგანიზაციისათვის არაბული ქვეყნები მონაწილეობას იღებენ ფართომასშტაბიან პროექტებში, რომლებიც მიზნად ისახავს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარებას. 2003 წელს ექსპლუატაციაში შევიდა გაზსადენი, რომლითაც ეგვიპტიდან გაზი მიეწოდება თავდაპირველად იორდანიას, სირიას და ლიბანს, ხოლო მომავალში – კვიპროსს, თურქეთს და ევროპის სხვა ქვეყნებს. ბოლო წლებში ეს არის ყველაზე მასშტაბური საერთოარაბული პროექტი.

2004 წლის 25 თებერვალს მაროკოს ქალაქ უგადირში ხელი მოაწერეს შეთანხმებას მაროკოს, ეგვიპტეს, თუნისსა და იორდანიას შორის თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ. მას ეწოდა *აგადირის შეთანხმება*. ეს არის ხმელთაშუაზღვის არაბული ქვეყნების სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი. ამ შეთანხმებას ხელი მოაწერა 4 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა. შეთანხმება ღიაა და მას შეუძლია შეუერთდეს სხვა არაბული სახელმწიფოებიც. ამ საზოგადოების მიზანია გააქტიუროს სავაჭრო კავშირები მის მონაწილეთა შორის, განამტკიცოს მათი პოზიციები ევროკავშირთან ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკებებზე. ის განიხილება როგორც პირველი ნაბიჯი ევრო-ხმელთაშუაზღვისპირეთის თავისუფალი სავაჭრო ზონის დაარსებისათვის. 2005 წლის 1 იანვარს დაფუძნდა არაბული ეკონომიკური ბლოკი – *დიდი არაბული თავისუფალი ვაჭრობის ზონა* (Greater Arab Free Trade Area – GAFTA). ამ პროექტს, რომელიც 1997 წელს მიიღეს არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სამიტზე ამმანში (იორდანია), ხელი მოაწერა არაბთა ლიგის 17 წევრმა-ქვეყანამ (ალჟირის, კომორის, ჯიბუთის, მავრითანიას და სომალის გარდა).

2008 წლის 1 იანვარს სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს წევრმა-ქვეყნებმა გამოაცხადეს საკუთარი *საერთო ბაზრის* დაარსების შესახებ. ეს ითვალისწინებს: წევრ-ქვეყნებს შორის კაპიტალის თავისუფალ მიმოქცევას; თავისუფალ გადაადგილებას, ცხოვრებას და შრომით მოწყობას; არაბული

მონარქიების ქვეშევრდომთათვის თანაბარ ეკონომიკურ შესაძლებლობებს. სპარსეთის ყურის არაბულ ქვეყნებში ერთიანი ვალუტის შემოღება დაგეგმილია 2010 წლისათვის, შემოთავაზებულია ვალუტის სახელწოდებაც – „ხალიჯი".

პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ XXI საუკუნეში არაბული ქვეყნების ინტეგრაცია მოხდება ერთი მხრივ, გეოგრაფიული ფაქტორის, ხოლო მეორე მხრივ, მათი განვითარების დონის გათვალისწინებით. მხოლოდ ინტეგრაციით შეიძლება გადაწყდეს არაბული ქვეყნების ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო-პოლიტიკური პრობლემები.

გლობალიზაცია და არაბული სამყარო

XXI საუკუნის დასაწყისი ხასიათდება გლობალური პროცესების გაძლიერებით. ტერმინ გლობალიზაციასთან მიმართებაში მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა.

გლობალიზაცია მსოფლიოში მიმდინარე ღრმა ცვლილებების გამომხატველი ტერმინია. გლობალიზაცია აღნიშნავს ყველა იმ პროცესს, რომლებითაც მსოფლიოს ხალხები გაერთიანებული არიან ერთიან მსოფლიო საზოგადოებაში, გლობალურ საზოგადოებაში. გლობალიზაცია არის შედეგი იმ ცვლილებებისა, რომლებიც მოხდა ტექნოლოგიებში, წარმოებასა და საწარმოო ძალებში და წარმოშვეს საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი ფორმები. პოლიტიკაში გლობალიზაცია ვლინდება ეროვნული სახელმწიფოების დასუსტებაში: ერთი მხრივ, თანამედროვე სახელმწიფოები სულ უფრო დიდ უფლებამოსილებას გადასცემენ ისეთ გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორიცაა გაერო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ევროკავშირი, ნატო, მსოფლიო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. მეორე მხრივ, მიგრაციული პროცესების და საზღვარგარეთ კაპიტალის თავისუფალი გადინებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ზრდის გამო მცირდება სახელმწიფოს გავლენა თავის მოქალაქეებზე. გლობალიზაციის ეკონომიკური ასპექტები ხასიათდება საერთაშორისო ვაჭრობით (საქონლით, მომსახურებით, ტექნოლოგიებით, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებით), საერთაშორისო ფინანსური ოპერაციებით (კრედიტები, ძირითადი ფასიანი ქაღალდები), საწარმოო ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობით (კაპიტალის – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით და სამუშაო ძალის), ერთიანი გლობალური ბაზრის შექმნით. კულტურული გლობალიზაციისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ქვეყნების კულტურების დაახლოვება. კულტურულ გლობალიზაციაში დიდ როლს ასრულებს ინტერნეტის საყოველთაო გავრცელება და საერთაშორისო ტურიზმი.

გლობალიზაციის პროცესის წარმატებისათვის აუცილებელია: ფინანსური გლობალიზაცია; გლობალური მრავალეროვნული კორპორაციების ჩამოყალიბება, ეკონომიკის რეგიონალიზაცია, მსოფლიო ვაჭრობის ინტენსიფიკაცია, კონვერგენციის ტენდენცია. ამ პროცესების დასარეგულირებლად კი აუცილებელია „ტრანსნაციონალიზაცია" – კონტროლისა და მართვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელსაც შეუძლია ცენტრალიზაციისა და ლოკალური ეკონომიკური ინტერესების შეთანხმება.

არაბულ აღმოსავლეთში გლობალიზაციის პროცესს ეწინააღმდეგებიან მემარცხენე და ლიბერალური ძალები. ისინი თვლიან, რომ გლობალიზაცია არაბულ სამყაროს მოუტანს დიდ უბედურებას – სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შეჩერებას, სოციალური პრობლემების გამწვავებას, უმუშევრობის ზრდას და სხვ.

2000 წლის 3 მარტს ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტმა (აშშ) მსოფლიო ბანკთან ერთად ჩაატარა კონფერენცია სათაურით: გლობალიზაციის გამოწვევები არაბული სამყაროსადმი". განიხილეს შემდეგი პრობლემები: გლობალიზაციის მიღება არაბულ სამყაროში; ცვლილებების აუცილებლობა არაბული ქვეყნების უმრავლესობაში; გლობალიზაციის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მხარეები.

ალი ატიგამ, ამანში არაბული ინტელექტუალური ფორუმის გენერალურმა მდივანმა, განაცხადა, რომ გლობალიზაცია არ არის არც საფრთხე და არც შესაძლებლობა; ის, უპირველეს ყოვლისა, არის ორივეს კომბინაცია. „გლობალიზაცია არის იმპერიის ახალი სახე, რომლის მსგავსი აქამდე მსოფლიო ისტორი-

აში არ არსებობდა. წინამავალი იმპერიებისაგან განსხვავებით, მას არა აქვს გეოგრაფიული საზღვრები და არ ცნობს ეროვნულ საზღვრებს. ეს წარმონაქმნი არ ფლობს ფორმალურ სტრუქტურას, სახელმწიფო სიმბოლოებით დროშის ან გერბის სახით, პირდაპირი სამხედრო ან სახელმწიფო მმართველობით". ატიგამ აღნიშნა გლობალიზაციის უარყოფითი მხარეები, რომლებიც შეიძლება დაემუქროს განვითარებად ქვეყნებს. მან განსაკუთრებით გამოყო გლობალური შეჯიბრი სხვადასხვა მხარეებს შორის, დაგროვილი ცოდნის მოცულობა, ტექნოლოგიები, საფინანსო ბაზრები და სხვ. არაბული ქვეყნების უმეტესობას არა აქვს განვითარებული ინფრასტრუქტურა, რაც ხელს უშლის მათ მონაწილეობა მიიღონ გლობალიზაციის პროცესში.

ჰაზიმ ბიბლავიმ, გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ და დას. აზიის ეკონომიკური და სოციალური კომისიის აღმასრულებელმა მდივანმა, ასე დასვა კითხვა: არსებობს თუ არა არაბული სამყარო, როგორც ასეთი? მართალია, რეგიონი არის ჰომოგენური და კომპაქტური გეოგრაფიის, კულტურის, ენის და ისტორიის თვალსაზრისით, მაგრამ ეკონომიკური მაჩვენებლებით ძნელია მისი კვალიფიცირება რეგიონად. მან აღნიშნა, რომ გლობალიზაცია არის თავისებური გამოცდა. „თუ დანებდებით მას, მაშინ ის (გლობალიზაცია – ნ.გ.) შესაძლებელია, მაგრამ თუ წარუმატებლობას განიცდი, მაშინ ის საფრთხეა". ბიბლავიმ ხაზი გაუსვა, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია რეგიონში საბოლოოდ გაფორმდება სავაჭრო წარმონაქმნის სახით (მრავალი საერთაშორისო სავაჭრო კავშირის მაგალითის მიხედვით). მას შემდეგ, რაც ეკონომიკური ინტეგრაცია აღიარებული ფაქტი გახდება, ის რეგიონს დიდ სარგებლობას მოუტანს. ბიბლავიმ არაბული ქვეყნების დამოკიდებულება გლობალიზაციისადმი წარმოადგინა სამი სცენარით: 1. გლობალიზაციის არმიღება ანუ კატეგორიული უარის თქმა გლობალიზაციაზე, რისი შედეგიც არის მსოფლიო განვითარებაზე უარის თქმა; 2. „თამაშის ახალი წესების" უპირობო და არაკონტროლირებადი მიღება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური კრიზისი; 3. კომპრომისის გზა, ახალი ტენდენციების შერჩევითი მიღება, როცა მკაცრი კონტროლი წესდება მიმდინარე პროცესებზე. ჰ. ბიბლავის აზრით, არაბული ქვეყნებისათვის მისაღებია მხოლოდ მესამე სცენარი.

მუსტაფა ნაბლიმ, მსოფლიო ბანკის ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ჯგუფის მთავარმა ეკონომისტმა და დირექტორმა, განაცხადა, რომ გლობალიზაცია არის მართვადი. თუ მას სწორად წარმართავენ, ის შეიძლება გახდეს საუკეთესო საშუალება განვითარებისათვის, ხოლო თუ მას „შეეჭიდებიან ცარიელი ხელებით", ის შეიძლება იქცეს საშიშროებად. ნაბლიმ აღნიშნა: „არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაცია ავტომატურად გამოიწვევს რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ისევე როგორც არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ სუსტი ინტეგრაცია არის ერთადერთი მიზეზი იმ პრობლემებისა, რომლებსაც ეჯახებიან არაბული ქვეყნები". ნაბლიმ ხაზი გაუსვა, რომ აუცილებელია არაბულ ქვეყნებში გატარდეს რეფორმები: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, კანონების შესრულება, საკუთრების უფლების პატივისცემა, საერთო მმართველობა, საფინანსო სისტემების მუშაობის გაუმჯობესება და სხვ.

თანამედროვე არაბმა ფილოსოფოსმა მუჰამად ალ-ჯაბრიმ სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა გლობალიზაციის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების კვლევას. 1999 წელს მან მიიღო მაღრიბის ქვეყნების პრემია არაბულ და საერთოსაკაცობრიო კულტურულ მემკვიდრეობაში შეტანილი წვლილისათვის. თავის გამოსვლაში მან გაათანაბრა გლობალიზაცია და ამერიკანიზაცია (ამერი-

კული იდეებისა და ფასეულობებისა უნივერსალური გავრცელება) და დასვა კითხვები: არის თუ არა გლობალიზაცია კოლონიალიზმის ერთ-ერთი ფორმა, ანუ სხვა სიტყვებით, პოსტკოლონიალიზმის ეკვივალენტი? არის თუ არა ის უკანასკნელი სტადია ახალი კაპიტალიზმისა, რომელიც გამოწვეულია საინფორმაციო რევოლუციით და მიღწევებით ტექნოლოგიებისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების სფეროში? მისივე განმარტებით, გლობალიზაცია არის პროცესი გლობალური ცვლილებებისა, რომლებიც „შეზღუდულს" და „მართვადს" გარდაქმნის „შეუზღუდავად". „შეზღუდულ" ობიექტში იგულისხმება ეთნიკური (ეროვნული) სახელმწიფო თავისი გეოგრაფიული საზღვრებით, მკაცრად მართვადი საბაჟოებით. ეთნიკური სახელმწიფო იცავს თავს ნებისმიერი საგარეო საფრთხისაგან ან ჩარევისაგან, იქნება ეს ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული სფერო. „შეუზღუდველი ობიექტი" არის მთელი სამყარო ან პლანეტა. გლობალიზაციის ეს გაგება გულისხმობს ეროვნული საზღვრების გაუქმებას ეკონომიკური თვალსაზრისით და ეკონომიკურ ძალთა გაერთიანებას მსოფლიო დონეზე. მრავალი თანამედროვე მოაზროვნის, მათ შორის ალ-ჯაბრის, აზრით გლობალიზაციის ერთ-ერთი პირველი შედეგია სიღარიბის ზრდა, რაც ითვლება სოციალური უთანასწორობის გაღრმავების ძირითად შედეგად. ალ-ჯაბრის აზრით, გლობალიზაციის იდეოლოგია ეფუძნება სამ ძირითად პრინციპს. ესენია: 1. ეთნიკური (ეროვნული) სახელმწიფოების არსებული სისტემის გაუქმება, რათა მსოფლიო მართოს მრავალეროვნულმა კონგლომერატმა და „ახალმა კაპიტალიზმმა"; 2. განათლებულ ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფის (განსაკუთრებით ტექნოკრატების) გამოყოფა და „მენეჯერთა" ელიტარული წრის ჩამოყალიბება, რომელთა ძალისხმევა მიმართული იქნება მხოლოდ მოგების მიღებაზე; 3. მსოფლიოსა და ხალხის არაჰუმანური გამოყენება „ძლიერის გადარჩენის" პრინციპის შესაბამისად, სადაც „ძლიერი" ნიშნავს უფრო წარმატებულს სიმდიდრის, გავლენის და ხელისუფლების შეძენაში. ეს იწვევს მარგინალიზაციის იდეის წინ წამოწევას და დამატებითი სამუშაო ადგილების გაუქმებას, როცა მოქმედებს პრინციპი – „მეტი მოგება, ნაკლები სამუშაო ძალა". მაროკოელმა ფილოსოფოსმა ყურადღება გაამახვილა გლობალიზაციის იმპერიალისტურ ხასიათზე. მისი განმარტებით, გლობალიზაცია არის არა უბრალოდ პროგრამა, რომელიც განხორციელდება ან კამპანია, რომლის მიზანია კონკურენციის სტიმულირება და საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის ზრდა, არამედ ეს არის სისტემა, რომელიც თავს ახვევს მსოფლიოს ფულად-საკრედიტო კაპიტალიზმს. გლობალიზაციას მივყავართ ისეთი დაწესებულებების გაუქმებისაკენ, როგორიცაა გაერო, რომელსაც სახელმწიფოები 50 წლის მანძილზე იყენებდნენ მსოფლიოში სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის. ალ-ჯაბრის აზრით, არაბულ სამყაროში, ისევე როგორც სხვა რეგიონებში, გლობალიზაცია არის ფენომენი, რომელიც მიიღწევა სახელმწიფოსა და ერის ხარჯზე. მისი დასკვნა ასეთია: „გლობალიზაციის ძირითადი შედეგი არის საზოგადოების დაყოფა და მისი ერთიანობის რღვევა, რომელსაც ხშირად ზიანი მოაქვს სახელმწიფოსათვის".

ლიბანელმა მოაზროვნემ, ალი ჰარბიმ ყურადღება გაამახვილა გლობალიზაციის პროცესის სოციოკულტურული ასპექტების კვლევაზე. მან უწოდა გლობალიზაციას „უნივერსალური დაპყრობა". ალიმ აღნიშნა, რომ სამრეწველო რევოლუცია შეცვალა კომპიუტერული ტექნიკის ერამ, რომლის დახმარებითაც ხდება მსოფლიოს დაპყრობა და ახლის შექმნა. ლიბანელი ფილოსოფოსის აზრით, დღეს ადამიანი არის „სამ სამყაროში": 1. ძველ სამყაროში, რომელიც ხასიათდება რელიგიური გადმონაშთებით და თეოლოგიური წარმოდგენებით; 2. თანამედროვე სამყაროში, რომელიც გამოირჩევა სამოქალაქო ფილო-

სოფიებით, რაციონალისტური მოძღვრებებით, უნივერსალური იდეოლოგიებით და ჰუმანური ფანტამაგორიებით; 3. სამყაროში, რომელიც არის წარმოქმნის სტადიაში – გლობალიზაციის სამყაროში, კიბერსივრცით და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით. ჰარბის აზრით, ეს სამი სამყარო შეადგენს თავისებურ ტრიადას – „ტრადიცია – მოდერნიზმი – პოსტმოდერნიზმი" ან არაბული კონცეფციის შესაბამისად, „ისლამიზაცია – ჰუმანიზაცია – გლობალიზაცია". ამასთანავე, ხაზი გაუსვა, რომ ძველმა სამყარომ ამოწურა თავისი რესურსები, თანამედროვე სამყარო მიდის თვითლიკვიდაციისაკენ, ხოლო გლობალიზაციის ეპოქა არის თავისი განვითარების საწყის ეტაპზე და წარმოადგენს არა მხოლოდ საფრთხეს, არამედ შესაძლებლობას სრულყოფისათვის და ეს ეხება არაბულ ქვეყნებსაც.

გლობალიზაციაზე საუბრისას, არაბი მოაზროვნეები ძირითადად ხაზს უსვამენ არაბული ქვეყნების მოუმზადებლობას გლობალიზაციის ახალ სისტემაში თანასწორუფლებიან პირობებში შესასვლელად. გლობალიზაციის ძირითად საფრთხეს ისინი ხედავენ ეროვნული თვითმყოფადობის, სამოქალაქო და რელიგიური ტრადიციების დაკარგვაში. ამდენად, აუცილებლად მიიჩნევენ გატარდეს რეფორმები ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში იმ ეროვნულ-ეთნიკური და რელიგიური თავისებურებების შენარჩუნებით, რომლებიც არსებობს ამჟამად არაბულ სამყაროში.

დღეისათვის, არაბულ რეგიონში არის გლობალიზაციის ეპოქისათვის დამახასიათებელი ისეთი ტენდენციები, როგორიცაა: ინვესტიციების და კაპიტალის ბაზრების გაფართოვება, ექსპორტის ზრდა და ექსპორტზე ორიენტირებულ ქვეყნად გადაქცევის ტენდენცია. რისკების მინიმუმადე შესამცირებლად აუცილებელია არაბული ქვეყნების რეგიონალური და რეგიონთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია, საფინანსო-საბანკო სფეროს კონტროლირება, ღონისძიებების გატარება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისათვის, კერძო სექტორის წახალისება ეკონომიკაში.

II ნაწილი

არაბული ქვეყნები
/ ენციკლოპედიური ცნობარი/

◆გეოგრაფია ◆მოსახლეობა ◆ჰავა
◆დედაქალაქი◆ისტორიული ნარკვევი
◆სახელმწიფო წყობა◆პოლიტიკური პარტიები
◆ეკონომიკა◆ განათლება ◆ფულის ერთეული

ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა
الجمهورية الجزائرية الديمقراطية الشعبية

გეოგრაფია. ალჟირი არის მეორე უდიდესი სახელმწიფო აფრიკის კონტინენტზე (სუდანის შემდეგ). ის მდებარეობს ჩრდილოეთ აფრიკაში. დასავლეთით ესაზღვრება მაროკო (საზღვრის სიგრძე 1559 კმ) და დასავლეთი საჰარა (42 კმ), სამხრეთით – ნიგერი (956კმ), მალი (1376კმ), მავრითანია (463კმ); ჩრდილო-აღმოსავლეთით – თუნისი (965კმ), აღმოსავლეთით – ლიბია (982კმ), ჩრდილოეთით აკრავს ხმელთაშუა ზღვა. საზღვრების საერთო სიგრძეა 6343 კმ, ხოლო სანაპირო ზოლისა – 998 კმ. ალჟირის საერთო ფართობია 2,381,740 კვ.მ.

მოსახლეობა. ალჟირის მოსახლეობის ზრდის ტემპები საკმაოდ მაღალია. 2008 წლის მონაცემებით, ალჟირის მოსახლეობის რაოდენობა არის 33,769,669. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 14 ადამიანს შეადგენს. ალჟირელების 70% ცხოვრობს ჩრდილოეთით, სანაპირო ზოლში. მცირე ნაწილი, უდაბნოს მცხოვრებლები, თავმოყრილი არიან ოაზისებში. დაახლ. 1,5 მლნ მომთაბარე ან ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას ეწევა. მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენენ არაბები (80 %) და ბერბერები (19%).

ალჟირის სახელმწიფო ენა არაბულია. გავრცელებულია აგრეთვე ფრანგული ენა. ბერბერები საუბრობენ ბერბერულ დიალექტზე. ალჟირის მოსახლეობის 99,34% აღიარებს ისლამს (სუნიტები – 98,99%; შიიტები – 0,01%; იბადიტები – 1%). ქრისტიანი კათოლიკეები და იუდეველები შეადგენენ 0,66%-ს.

ჰავა. ალჟირში ჰავა ცვალებადია ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. ჩრდილოეთით, ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე, ჰავა სუბტროპიკულია – ზომიერი, ნესტიანი ზამთრით და მშრალი, ცხელი ზაფხულით. საშუალო ტემპერატურა იანვარში არის 5-12°C; ივლისში – 25°C. სამხრეთით არის მშრალი, უდაბნოს ჰავა – ზაფხული ძალიან ცხელია, ზამთარი კი ძალიან ცივი. ზაფხულში ხშირად ქრის ხმელთაშუაზღვის ქვიშიანი ქარი *სიროკკო* (ჩრდილოეთ აფრიკაში ცნობილია არაბული სახელწოდებით კიბლრ, ე. ი. „კიბლა-დან მომავალი"), რომელიც ქრის საჰარადან. ნალექების საშუალო რაოდენობა წლიურად 400-1200 მმ-ს უდრის. შემოდგომაზე ხშირია წყალდიდობები.

დედაქალაქი – ალჟირი (3,518,083 მცხოვრები), რომელიც სიდიდით მეორე ქალაქია მაღრიბში (კასაბლანკას შემდეგ). ქალაქის არაბული სახელწოდებაა „ალ-ჯაზა'ირ" („კუნძულები").

ისტორიული ნარკვევი. უკვე ძვ. წ. III-II სს-ში თანამედროვე ალჟირის ტერიტორიაზე არსებობდა ნუმიდიის სამეფო. ის დააარსა ბერბერთა წინამძღოლმა – მასინისამ, რომელმაც ისარგებლა კართაგენსა და რომს შორის ომით. I-V სს-ში ალჟირი შედიოდა რომის იმპერიის შემადგენლობაში, შემდეგ ბიზანტიამ დაამყარა თავისი კონტროლი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილზე. VII ს-ის შუა წლებში არაბებმა დაიპყრეს, ადგილობრივმა ბერბერებმა მიიღეს ისლამი და ჩრდ. აფრიკა გახდა უმაიანთა სახალიფოს პროვინცია. XIIIს-ში ქრისტიანულ და მუსლიმურ ბერბერულ ტომებს შორის ბრძოლის შედეგად ქვეყანა გაიყო სამ ნაწილად, რომელსაც მართავდნენ მარინიდების, აბდალვადიდების და ჰაფსიდების ბერბერთა დინასტიები. XV ს-ში ესპანელებმა, პირინეის ნა-

ხევარკუნძულიდან მავრების[48] გაძევების შემდეგ, გააფართოვეს თავიანთი გავლენა აფრიკის ჩრდილო სანაპირომდე, დაიპყრეს მთელი რიგი ალჟირელთა პორტები. ქვეყნის მუსლიმურმა მოსახლეობამ დახმარებისათვის მიმართა თურქებს და ალჟირი შევიდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. მთელი XVII საუკუნის მანძილზე ალჟირი იყო მეკობრეთა თავშესაფარი. უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ, 1816 წელს ევროპის სახელმწიფოებმა ალჟირელ მეკობრეებთან საბრძოლველად გაგზავნეს ინგლის-ჰოლანდიის ფლოტი, ხოლო 1824 წელს – ინგლისის ფლოტი. თავის მხრივ, 1830 წლის 14 ივნისს საფრანგეთის არმია გადავიდა ალჟირის სანაპიროზე და 5 ივლისს დაიკავა ქვეყანა. 1834 წელს საფრანგეთმა მოახდინა ალჟირის ანექსია და საბოლოოდ ბოლო მოუღო თურქთა გავლენას ამ რეგიონში. 1954-1962 წწ. მიმდინარეობდა დამოუკიდებლობისათვის ალჟირელი ხალხის შეიარაღებული ბრძოლა, რომელიც დასრულდა ევიანსის შეთანხმების ხელმოწერით ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. 1962 წლის 1 ივლისს ქვეყანაში ჩატარდა რეფერენდუმი და 5 ივლისს გამოცხადდა ალჟირის დამოუკიდებლობა. 1962 წლის 25 სექტემბერს მუშაობა დაიწყო ახლად არჩეულმა ეროვნულმა დამფუძნებელმა კრებამ, რომელმაც ალჟირი სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა. რესპუბლიკის პირველ მთავრობას ხელმძღვანელობდა *მოჰამედ აჰმედ ბენ ბელლა (არაბ. მუჰამად აჰმად იბნ ბალლა).*1964 წლის 8 სექტემბრის რეფერენდუმის შემდეგ ძალაში შევიდა ალჟირის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. ალჟირის ერთადერთ ლეგალურ პარტიად გამოცხადდა „ეროვნული განთავისუფლების ფრონტი". 1964 წლის 16-23 აპრილს ჩატარდა ფრონტის პირველი ყრილობა, რომელზედაც მიიღეს პარტიის ახალი პროგრამა და წესდება „ალჟირის ქარტიის" სახელწოდებით. მასში ხაზგასმული იყო, რომ პარტიის მიზანს წარმოადგენდა ალჟირში სოციალიზმის აშენება და ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს ეკუთვნოდათ. შეიქმნა აგრეთვე პარტიის პოლიტბიურო 17 კაცის შემადგენლობით. 1965 წლის 19 ივნისს სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლება ხელში აიღო რევოლუციურმა საბჭომ, სათავეში პოლკოვნიკი *ჰუარი ბუმედიანი (არაბ. ჰუვარი ბუმიდიანი;1965-1978).* რევოლუციურმა საბჭომ პირველივე დეკლარაციაში გააკრიტიკა ყოფილი სახელმწიფო ხელმძღვანელობა, რომელმაც დაუშვა ქვეყანაში ქაოსი და ანარქია. ჰ. ბუმედიანმა კი განაცხადა, რომ ახალი მთავრობა შექმნიდა პირობებს ალჟირის ქარტიის განხორციელებისათვის. მან დაიწყო პროგრესული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები. 1976 წლის 27 ივნისს რეფერენდუმმა მოიწონა ეროვნული ქარტია, რომლის საფუძველზე ამავე წლის ნოემბერში მიიღეს ახალი კონსტიტუცია. ალჟირის რესპუბლიკა „სოციალისტურად" გამოცხადდა, ხოლო ისლამი – სახელმწიფო რელიგიად.

ალჟირის სახელმწიფო სისტემა სერიოზული გამოცდის წინაშე აღმოჩნდა 1978 წლის დეკემბერში პრეზიდენტის, მთავრობისა და რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის ჰ. ბუმედიანის სიკვდილის შემდეგ. 1979 წელს ქვეყნის პრეზიდენტი გახდა პოლკოვნიკი *შადლი ბენჯედიდი (არაბ. შაზილი იბნ ჯადიდი, 1979-1992 წწ.).* 1979-1984 წწ. „ეროვნული განთავისუფლების ფრონტმა" მნიშვნელოვნად გააძლიერა კონტროლი სახელმწიფო ორგანოებზე და საზოგადოებრივ გაერთიანებებზე. მნიშვნელოვან თანამდებობებზე ინიშნებოდნენ მხოლოდ პარტიული ელიტის წარმომადგენლები, მაგრამ პარტიამ ნდობა და ავტორიტეტი ვერ მოიპოვა ხალხთა მა-

---

[48] ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ჩრდილოეთ აფრიკის (ეგვიპტის გამოკლებით) ადგილობრივი შავკანიანი (ბერძნ. მავროს, „შავი") მოსახლეობის (ბერბერების) სახელწოდება. ანდალუსიაში ეს სახელწოდება გამოიყენებოდა მუსლიმებთან (ან სარაცინებთან - არაბებთან) მიმართებაში. მათი შთამომავალები, რომელთაც სურვილისამებრ ან იძულებით მიიღეს ქრისტიანობა რეკონკისტას (1492) შემდეგ, უმოწყალოდ გააძევეს ესპანეთიდან.

სებში. 1988 წლის 4-5 ოქტომბერს დიდ ქალაქებში დაიწყო მასობრივი არეულობები: სახელმწიფო პოლიტიკით უკმაყოფილო სტუდენტები, უმუშევრები და მუშები ანადგურებდნენ მაღაზიებს და სახელმწიფო დაწესებულებებს, წვავდნენ ავტომობილებს, აღმართავდნენ ბარიკადებს. თუმცა კონკრეტული პოლიტიკური ან ეკონომიკური მოთხოვნები არ ჰქონდათ. მანიფესტანტების წინააღმდეგ ხელისუფლებამ სამხედრო ნაწილები გააგზავნა. 6 ოქტომბერს პრეზიდენტმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. 10 ოქტომბრიდან საზოგადოებრივი მღელვარებები საერთო ალჟირული მოვლენა გახდა და დემონსტრანტებმა წამოაყენეს პოლიტიკური მოთხოვნები. არმიამ მათ მიმართ გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი, რასაც მოჰყვა დიდი მსხვერპლი ორივე მხრიდან. ამ ვითარებაში ქვეყნის ხელისუფლებამ შეიმუშავა ალჟირის პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციის ორეტაპიანი პროგრამა და ეკონომიკური რეფორმების პროექტი. 1989 წელს მიიღეს ახალი კონსტიტუცია, სადაც უკვე აღარ იყო საუბარი სოციალიზმზე და დაშვებული გახდა პოლიტიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება. ქვეყნის ხელისუფლებამ, ეკონომიკური დახმარების მოპოვების მიზნით, კურსი აიღო სპარსეთის ყურის კონსერვატიულ მუსლიმურ ქვეყნებთან თანამშრომლობაზე. ამის შედეგად 90-იან წლებში ქვეყანაში გაიზარდა ისლამური ფუნდამენტალიზმის გავლენა. მზარდი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პირობებში ისლამისტებმა პრეტენზია განაცხადეს ხელისუფლებაზე, რათა აეშენებინათ თეოკრატიული სახელმწიფო. 1991 წლის დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა ისლამისტურმა პარტიამ („ხსნის ისლამური ფრონტი"). ეს იყო პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელშიც 49 პარტია მონაწილეობდა. „ხსნის ისლამურმა ფრონტმა" მიიღო 188 მანდატი 420-დან, სახელისუფლო პარტიამ – 16. მეორე ტური უნდა დამთავრებულიყო ისლამისტების სრული გამარჯვებით და ადგილების 2/3-ის მიღებით, კონსტიტუციის ცვლილებით და ალჟირის გამოცხადებით ისლამურ სახელმწიფოდ. მაგრამ „ხსნის პარტიის" გამარჯვება არ სურდა არმიის მთავარსარდლობას, სახელმწიფო ბიუროკრატიას, ფრანგულენოვან ინტელიგენციას და ბურჟუაზიის ნაწილს, რომელიც დაკავშირებული იყო დასავლეთთან საქმიანი კონტაქტებით. არმიის ელიტამ და სახელმწიფო აპარატმა ამ წრეებზე დაყრდნობით გააუქმა არჩევნების პირველი ტურის შედეგები, დაითხოვა ეროვნული სახალხო კრება და მის ნაცვლად ჩამოაყალიბა უმაღლესი სახელმწიფო საბჭო, რომელმაც შემოიღო ქვეყანაში საგანგებო ვითარება.

უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს პირველი თავმჯდომარე გახდა *მოჰამედ ბუდიაფი (არაბ. მუჰამად ბუდიაფი)* – ალჟირის რევოლუციის ერთ-ერთი ორგანიზატორი. „ხსნის ისლამური ფრონტის" ასობით აქტივისტი დააპატიმრეს და სასამართლოს გადასცეს იარაღის უკანონოდ ტარებისათვის. მოსახლეობის ნდობის მოპოვების მიზნით, მოჰამედ ბუდიაფმა ჩამოაყალიბა მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია – „ეროვნული აღორძინების ფრონტი", რომელსაც უნდა გადაეწყვიტა სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები ქვეყანაში. 1992 წლის ივნისში, პარტიის ლიდერების სასამართლო პროცესის დაწყების მეორე დღეს, მოჰამედ ბუდიაფი ტერორისტული აქტის მსხვერპლი გახდა. უმაღლეს სახელმწიფო საბჭოს სათავეში ჩაუდგა *ალი კაფი (არაბ. 'ალი ჰუსაინ ქაფი)*, რომელიც გამოირჩეოდა უკომპრომისო დამოკიდებულებით ფუნდამენტალისტების მიმართ. დაახლ. 20 ათასი ისლამისტი დააპატიმრეს და საჰარაში გააგზავნეს. ხელისუფლებამ ისლამისტებს დაუპირისპირა ბერბერებიც, რომლებიც ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ პანისლამიზმს და პანარაბიზმს. თუმცა, რეპრესიების მიუხედავად, გამწვავებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, ისლამისტების რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა. ქვეყნის პრეზიდენტი – შადლი ბენჯედიდი იძულებული გახდა გადამდგარიყო, რასაც მოჰყვა პოლიტიკური კრიზისის გამწვავება ქვეყანაში.

1994 წლის 25-26 იანვარს შედგა ეროვნული თანხმობის კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ზომიერმა ისლამისტურმა პარტიამ. მათ დაამტკიცეს პოლიტიკური მოქმედებების პლატფორმა გარდამავალ პერიოდში. ალჟირის დროებით პრეზიდენტად გამოცხადდა გენერალი *ლიამინე ზერუალი (არაბ. ალ-ლიამინ ზირუალი)*, რომელიც 1993 წლის ივლისიდან უმაღლეს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეობდა. მან მხარი დაუჭირა კრიზისის მშვიდობიანი გადაწყვეტის თეზისს, რითაც ალჟირელთა მხარდაჭერა მოიპოვა და 1995 წლის 16 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 68% მიიღო. 1996 წლის ნოემბრის რეფერენდუმზე მოიწონეს კონსტიტუცია, რომლითაც აიკრძალა ისლამისა და არაბული ენის გამოყენება პოლიტიკური პროპაგანდისათვის. ამან გამოიწვია მუსლიმი ექსტრემისტების გაღიზიანება და დაიწყო სისხლიანი შეტაკებების ახალი ტალღა, რომელსაც მოჰყვა უამრავი მსხვერპლი (დაახლ. 100 000 ადამიანი). თუმცა ლიამინე ზერუალმა გარდამავალი პერიოდის მანძილზე (1994-1997) განახორციელა სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურის სრული რეფორმირება, შექმნა „ხელისუფლების პარტია" – *ეროვნულ-დემოკრატიული გაერთიანება*, ჩაატარა რეფერენდუმი და საპარლამენტო არჩევნები (1997 წლის 5 ივნისს). მან კონსენსუსი მოძებნა აგრეთვე ისლამურ ოპოზიციასთან და ბერბერულ პარტიებთან, რომლებიც შეავიდნენ ახალ პარლამენტში, ჩამოაყალიბეს მთავრობა და აქტიურად უჭერდნენ მხარს პრეზიდენტის ხაზს ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარების დროს.

1999 წლის 15 აპრილს აირჩიეს ახალი პრეზიდენტი *აბდელაზიზ ბუთეფლიკა (არაბ. 'აბდ ალ-'აზიზ ბუთაფლიკა)* – 1954-1962 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანი, საგარეო საქმეთა მინისტრი 1963-1978წწ-ში და ჰ. ბუმედიანის უახლოესი მეგობარი. მან კურსი აიღო სამოქალაქო თანხმობის დამყარებისაკენ, რის გამოც ალჟირელთა ფართო მხარდაჭერა მოიპოვა, მაგრამ გაჩნდა ბერბერთა უმცირესობის პრობლემა. ბერბერთა ეროვნული მოძრაობის აღმავლობას ხელი შეუწყო 1998 წლის 5 ივლისის კანონმა, რომლითაც არაბული ოფიციალურ ენად გამოცხადდა. „შეიარაღებული ბერბერული მოძრაობის" და „თავისუფალი კაბილიასათვის ალიანსის" აქტივისტებმა მოუწოდეს ბერბერებს ყველა სახელმწიფო დაწესებულების ბოიკოტისაკენ. კაბილიას ბერბერების გამოსვლამ კულმინაციას მიაღწია 2001 წელს და ხელისუფლებამ ძალა გამოიყენა – 60 ადამიანი დაიღუპა და 2000-ზე მეტმა მიიღო ჭრილობები. ამ ანგარიშსწორებამ გამოიწვია ბერბერთა მოძრაობის რადიკალიზაცია. მათ შექმნეს არაფორმალური სტრუქტურა – „კაბილიას სასოფლო კომიტეტების საკოორდინაციო საბჭო", რომელმაც მოიცვა ყველა დასახლებული პუნქტი, სადაც ცხოვრობენ ბერბერები. ამ საბჭომ ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა და მოსთხოვა 15 მოთხოვნის შესრულება. პრეზიდენტმა საქმის გამოძიებისათვის შექმნა ეროვნული კომისია (სათავეში ბერბერი), რომელმაც პასუხისმგებლობა დააკისრა ოფიციალურ ძალოვან სტრუქტურებს მოსახლეობის წინააღმდეგ იარაღის გამოყენებისათვის. ამის შემდეგ ბერბერთა პრობლემა განიხილეს პარლამენტში, რასაც მოჰყვა დაპირისპირება სამოქალაქო და რელიგიურ პარტიებს შორის. ისლამისტები გაერთიანდნენ ანტიბერბერულ საფუძველზე, კომისიის დასკვნა ჩათვალეს არასწორად და მთავარ დამნაშავედ გამოაცხადეს პრობერბერული პარტიები. ამას დაემატა ისიც, რომ მეჩეთებში იმამები მოუწოდებდნენ მორწმუნეებს, ებრძოლათ ბერბერების წინააღმდეგ. ისინი თვლიდნენ, რომ თუ ბერბერული ენა არაბულის გვერდით მეორე სახელმწიფო ენა გახდებოდა, ეს ზიანს მოუტანდა ყურანის ენას. ამასობაში ხელისუფლებამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც აცხადებდნენ, რომ ისინი დასჯიდნენ დამნაშავეებს, ვინც ძალა გამოიყენა დემონსტრანტების წინააღმდეგ, გაიყვანდნენ შეიარაღებულ ძალებს კაბილიადან და ბერბერულს მეორე ენად გამოაცხადებდნენ. არც ერთი ეს მოთხოვნა არ შესრულებულა და ბერბერებმა ხელისუფლებას წაუყენეს ულტიმატუმი ავტონომიის მოთ-

ხოვნით. ხელისუფლება იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და იმ რეგიონში, სადაც ცხოვრობენ ბერბერები, ოფიციალურ ენად გამოაცხადა ბერბერული, მეორე ენად კი – არაბული.

ალჟირის ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს კონტროლის დამყარებას ისლამისტურ პარტიებზე. 2004 წელს აბდელაზიზ ბუთეფლიკმა, პრეზიდენტის პოსტზე ხელახალი არჩევის შემდეგ, გამოაცხადა ნაწილობრივი ამნისტია იმ ისლამისტების მიმართ, რომლებიც თავისი ნებით დაყრიდნენ იარაღს და ჩაბარდებოდნენ ხელისუფლებას. 2005 წლის სექტემბერში საყოველთაო რეფერენდუმზე მოიწონეს ხელისუფლების პროექტი „ქარტია მშვიდობისა და თანხმობისათვის" (ძალაში შევიდა 2005 წლის თებერვალში). ის ითვალისწინებდა ამნისტიას ისლამისტური დაჯგუფებების ყოფილი წევრების, რომლებმაც შეწყვიტეს ბრძოლა ხელისუფლებასთან და სურდათ დაბრუნებოდნენ მშვიდობიან ცხოვრებას. ქვეყნის ყველაზე დიდმა ისლამისტურმა დაჯგუფებამ („სალაფიტური ჯგუფი ქადაგებისა და ბრძოლისათვის"; ჰყავს დაახლ. 1000 მებრძოლი), რომელიც 2004 წელს შეუერთდა ალ-კა'იდას საერთაშორისო ტერორისტულ ქსელს, ოფიციალურად უარი განაცხადა ამ პროექტში მონაწილეობაზე. 2006 წლის ოქტომბერში ამ დაჯგუფების ხელმძღვანელმა – აბუ მუსაბ აბდ ალ-ვუდუდმა განაცხადა, რომ იწყებს „ხანგრძლივ ომს ამერიკისა და დასავლეთის ინტერესების წინააღმდეგ არაბული მაღრიბის რეგიონში". 2007 წლის 21 ოქტომბერს ისლამისტური დაჯგუფების („სალაფიტური ჯგუფი ქადაგებისა და ბრძოლისათვის") დამაარსებელი და ყოფილი ხელმძღვანელი, ჰასან ხატაბი თავისი ნებით ჩაბარდა ხელისუფლებას. 2008 წლის 5 ივლისს, ალჟირის დამოუკიდებლობის 46-ე წლისთავზე, პრეზიდენტმა მორიგი თხოვნით მიმართა რადიკალებს დაეყარათ იარაღი და აერჩიათ ეროვნული შერიგების გზა. თუმცა ეს მოწოდება უპასუხოდ დარჩა და ქვეყანაში გრძელდება ტერაქტების სერია.

სახელმწიფო წყობა. ალჟირში მმართველობის ფორმა არის საპრეზიდენტო რესპუბლიკა, სადაც პრეზიდენტი არის სახელმწიფოს თავმჯდომარე და მთავრობის თავმჯდომარეც. ალჟირის პირველი კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1964 წლის 8 სექტემბერს. შესწორებები შეიტანეს 1976, 1988, 1989 და 1996 წელს. 1999 წლიდან პრეზიდენტი არის *აბდელაზიზ ბუთეფლიკა* (დაბად. 1937წ.). ის ხელახლა აირჩიეს 2004 წელს. მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება დაგეგმილია 2009 წლის აპრილში.

2008 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა ალჟირის ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელშიც არის სამი მნიშვნელოვანი პუნქტი: მოქმედ პრეზიდენტს შეუზღუდავად შეუძლია იყოს ხელახლა არჩეული; გათვალისწინებულია ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღება; მთავრობის მეთაური არ უნდა იყოს პასუხისმგებელი ეროვნული სახალხო ასამბლეის წინაშე. 2008 წლის 12 ნოემბერს პარლამენტმა დაამტკიცა საკონსტიტუციო შესწორებები.

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ორპალატიან პარლამენტს: ქვედა პალატა – ეროვნული სახალხო ასამბლეა (389 წევრი), რომელიც აირჩევა მოსახლეობის მიერ პირდაპირი არჩევნების გზით 5 წლის ვადით და ზედა პალატა – ერთა საბჭო (144 წევრი), რომლის წევრთა 2/3 აირჩევა არაპირდაპირი არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრით, ვილაიათების (მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების) სახალხო კრების დეპუტატებისაგან, ხოლო 1/3-ს ნიშნავს პრეზიდენტი 6 წლის ვადით. ყოველ სამ წელიწადში საბჭოს წევრთა ნახევრის განახლება უნდა მოხდეს.

აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტს, სახელმწიფოს მეთაურს. 2007 წლიდან პრემიერ-მინისტრია – *აჰმედ ოუიაჰია (არაბ. აჰმად უიაჰია, დაბად. 1952 წ.).* იგი ამ თანამდებობაზე იყო აგრეთვე 1995-1998 და 2003-2006 წწ.

თუმცა პრემიერ-მინისტრი აღარ არის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე. ამ ფუნქციას ითავსებს პრეზიდენტი. პრეზიდენტთან არსებობს საკონსულტაციო ორგანო – *უმაღლესი ისლამური საბჭო*, რომელიც შედგება 15 წევრისაგან. მის თავმჯდომარეს ნიშნავს პრეზიდენტი ეროვნული მოღვაწეებისაგან, რომელთაც აქვთ დიდი კომპეტენცია.

ქვეყანა ადმინისტრაციულად დაყოფილია 48 პროვინციად (ვილაიათ), 553 რაიონად (დაʼირა) და 1541 მუნიციპალიტეტად (ბალადიდა).

ეროვნული დღესასწაული – 1 ნოემბერი (1954 წ.), რევოლუციის დღე.

პოლიტიკური პარტიები. 1989 წლამდე ალჟირი იყო ერთპარტიული სახელმწიფო. ამჟამად ალჟირში არის დაახლ. 40 პარტია. მათ შორის ძირითადია: 1. „ეროვნული განთავისუფლების ფრონტი", დაარსდა 1954 წ. (1989 წლამდე ის იყო ერთადერთი ლეგალიზებული პარტია); 2. „ეროვნულ-დემოკრატიული გაერთიანება", დაარსდა 1997 წელს; 3. „გაერთიანება კულტურისა და დემოკრატიისათვის" – ზომიერი ისლამისტური პარტია; 4. „მოძრაობა საზოგადოებრივი მშვიდობისათვის" (ადრე იწოდებოდა როგორც „ჰამასი"); 5. „ხსნის ისლამური ფრონტი" – ისლამური ფუნდამენტალიზმის პარტია (1992 წლიდან აკრძალულია); 6. „ეროვნული რეფორმების მოძრაობა", რომელიც გამოეყო მოძრაობა „ან-ნაჰდა"-ს. 1999 წლის 1 აპრილს მან ლეგალური საქმიანობის ნებართვა მიიღო. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ალჟირში არის „მშრომელთა პარტია" (მემარცხენე), რომელსაც ხელმძღვანელობს ქალი – ლუიზა ხანუნი.

ეკონომიკა. ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი სექტორებია ნავთობისა და გაზის (მეხუთეა მსოფლიოში გაზის წარმოებით და მე-14 ადგილი უკავია ნავთობის მარაგით) მრეწველობა. 1973-1974წწ. ნავთობზე ფასების მკვეთრმა მატებამ გამოიწვია ბუმი ეკონომიკაში და ხელი შეუწყო ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განხორციელებას. ამ წარმატებებს მალე მოჰყვა სოციალური და ეკონომიკური კრიზისი 1988 წელს. 1993 წლიდან ქვეყანაში დაიწყო ეკონომიკური რეფორმები და 1996 წლიდან ალჟირში პირველად გამოსწორდა ეკონომიკური მდგომარეობა: შემცირდა ქვეყნის საგარეო ვალი, გაიზარდა ოქროს სავალუტო რესურსები, შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და ინფლაცია. 1997 წელს სახელმწიფო კონტროლისაგან განთავისუფლდა ფასები და ჩრდილოეთ აფრიკაში ყველაზე ლიბერალური სავაჭრო რეჟიმი დამყარდა. 2001 წლის დეკემბერს 17 რაუნდიანი მოლაპარაკებების შემდეგ, რომელიც რამდენიმე წელს გაგრძელდა, ალჟირი გახდა ევროკავშირის ასოცირებული წევრი. ხელშეკრულების შესაბამისად, ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებში 2002 წელს შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობის ზონა, სამრეწველო საქონლისათვის 15 წლის განმავლობაში საბაჟო ტარიფების თანდათანობით დაწევის პირობით. 2002-2004 წლებში ევროკავშირმა გამოყო 140 მლნ ევრო რეფორმების განხორციელებისათვის ეკონომიკის, ტრანსპორტის, განათლების და გარემოს დაცვის სფეროში. ევროკავშირი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარებას და მცირე ბიზნესის ხელშეწყობას. 2006 წლის მარტში რუსეთმა სრულად ჩამოაწერა ალჟირს დავალიანება (მათ შორის ე.წ. „საბჭოთა ვალები"), რომლის საერთო თანხამ შეადგინა 4,7 მილიარდი დოლარი. ვალის ჩამოწერა განპირობებულია ხელშეკრულებით, რომლის თანახმადაც ალჟირი შეიძენს რუსულ შეიარაღებას (საერთო ღირებულება – 7,5 მლრდ დოლარი). პრეზიდენტ აბდელაზიზ ბუთეფლიკას უშუალო ინიციატივით შედგენილ იქნა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებების 5 წლიანი (2005-2009) გეგმა, რომლის განსახორციელებლად ბიუჯეტიდან გამოიყო 55 მლრდ დოლარი. 2008 წლის 21 ოქტომბრის კანონით აიკრძალა ალჟირში მიწის მიყიდვა უცხოელ ინ-

ვესტორებზე, ახლა მათ შეუძლიათ მხოლოდ მიწის არენდით აღება 33 წლით. აიკრძალა აგრეთვე იმპორტი იმ მედიკამენტების, რომლებსაც აწარმოებენ ალჟირში.

ალჟირში, ნავთობისა და ბუნებრივი გაზის მოპოვების გარდა, განვითარებულია მსუბუქი, ნავთობქიმიური და კვების მრეწველობის დარგები. სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 22%. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ყურძენი, ციტრუსები, ხილი, ბოსტნეული, ზეთის ხილი. ქვეყნის ძირითადი საექსპორტო პროდუქციაა ნავთობი და გაზი (ექსპორტის 97%). წარმოებს აგრეთვე ციტრუსების და ზეთის ხილის, ბოსტნეულის, თამბაქოს, ტყავის, ფინიკის ექსპორტი. ალჟირი საკვები პროდუქტების მსხვილი იმპორტიორია, შემოაქვს აგრეთვე მანქანათმშენებლობის პროდუქცია და სატრანსპორტო საშუალებები. *ძირითადი სავაჭრო პარტნიორები*: საფრანგეთი, იტალია, გერმანია, აშშ, ნიდერლანდები.

2008 წელს ქვეყნის ეროვნული შემოსავალი იყო 240,2 მლრდ დოლარი, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი შეადგენდა 7,100 დოლარს.

განათლება. ალჟირში განათლება სავალდებულოა 6-დან 15 წლამდე ალჟირის მოქალაქეთა შვილებისათვის. ალჟირის სასკოლო განათლების სისტემა შედგება სამი საფეხურისაგან: საბაზო განათლება (9 წელი), საყოველთაო საშუალო (3 წელი) და ტექნიკური საშუალო განათლება (3 წელი). სწავლების ძირითადი ენა სკოლებში არის არაბული, მაგრამ 2003 წლიდან დაშვებულია ბერბერულიც. ქვეყნის განათლების დონე 65-70%-ს აღწევს, უფრო მაღალია ვიდრე ეგვიპტეში და მაროკოში. უმაღლესი განათლება ემყარება ევროპულ მეთოდოლოგიას. უნივერსიტეტებისა და კოლეჯების რიცხვი 130-ს აღწევს (2007 წ. მონაცემები). ყველაზე ძველი არის *ალჟირის უნივერსიტეტი*, რომელიც დაარსდა 1909 წელს და არის 7 ფაკულტეტი. ამჟამად უნივერსიტეტში სწავლობს 100,827 სტუდენტი (ვებგვერდი – www.univ-alger.dz/).

ფულის ერთეული – ალჟირის დინარი, რომელიც მიმოქცევაში შემოვიდა 1964 წლიდან (1848-1964 წწ.-ში იყო ალჟირული ახალი ფრანკი). ის იყოფა 100 სანტიმად. 2008 წლის ოფიციალური კურსით, ერთი აშშ დოლარი ტოლია 63,25 ალჟირული ფრანკის.

არაბთა გაერთიანებული საამიროები
المتحدة العربية الإمارات دولة

გეოგრაფია. არაბთა გაერთიანებული საამიროები არის 7 არაბული ქვეყნის ფედერაცია, რომლებიც განლაგებულია არაბეთის ნახევარკუნძულზე. სამხრეთით და დასავლეთით ესაზღვრება საუდის არაბეთი (საზღვრის სიგრძე 457 კმ), ჩრდილოეთით – ომანი (410კმ), ჩრდილო-დასავლეთით – კატარი, ჩრდილოეთით აკრავს სპარსეთის ყურის წყლები, აღმოსავლეთით – ომანის ყურე. საზღვრების საერთო სიგრძეა 1867 კმ, სანაპირო ზოლისა – 1318 კმ. ქვეყნის საერთო ფართობია 83,600 კვ. კმ.

მოსახლეობა. ქვეყნაში მოსახლეობის ზრდის ტემპი მაღალია. მოსახლეობის რაოდენობა 4,588,697-ს აღწევს (2006 წ. მონაცემები). მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე დაახლ. 35 ადამიანს შეადგენს. ფედერაციის ტერიტორიაზე ცხოვრობენ არაბები – 42%, დანარჩენი – ინდოეთის, ბანგლადეშის, ირანის, პაკისტანის მოქალაქეები არიან. დაახლოებით 85%-ს იმიგრანტები შეადგენენ (უმრავლესობა არაბული ქვეყნებიდანაა). მოსახლეობის 70% კონცენტრირებულია აბუ დაბის და

დუბაის საამიროებში, რადგანაც ფედერაციის საამიროებს ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობები აქვთ. ფედერაციაში სახელმწიფო ენაა არაბული, გავრცელებულია აგრეთვე ინგლისური ენა. სახელმწიფო რელიგია არის ისლამი და მოსახლეობის 82,74% აღიარებს ისლამს. აქედან 85% სუნიზმის მიმდევარია ოთხივე მაზჰაბით; არიან ვაჰაბიზმის მიმდევრებიც; 15% – შიიტები (ირანელები იმამიტები არიან, ინდოელები და პაკისტანელები კი – ისმაილიტების სექტის მიმდევრები). ქრისტიანები შეადგენენ მოსახლეობის 9%-ს, ხოლო მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი ინდუიზმის, ბუდიზმის, სიკჰის და ბაჰაიზმის მიმდევრები არიან.

ჰავა. საამიროებში ჰავა არის მშრალი. ზაფხულში ტემპერატურამ შეიძლება მიაღწიოს 50°C, აღმოსავლეთით მთებში არის უფრო ცივი კლიმატი. საამიროები არის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცხელი ქვეყანა. ნალექების საერთო რაოდენობა წლიურად 100-400 მმ-ს შეადგენს.

დედაქალაქი – აბუ დაბი (არაბ. أبو ظبي; 1,463,491 მლნ. მცხოვრები). დასახლება გაჩნდა 1760 წელს.

ისტორიული ნარკვევი. XIX საუკუნის ბოლომდე ქვეყნის თანამედროვე ტერიტორია შედიოდა ომანის შემადგენლობაში. 1892 წელს არაბული სახელმწიფოების ფედერაციამ ხელი მოაწერა დიდ ბრიტანეთთან ხელშეკრულებას სპარსეთის ყურის რეგიონში მეკობრეების წინააღმდეგ საბრძოლველად. ფედერაცია დარჩა ბრიტანეთის პროტექტორატად 1971 წლის 2 დეკემბერამდე, როცა გამოცხადდა არაბთა გაერთიანებული საამიროების ფედერაცია (ბრიტანეთის პროტექტორატის დროს ფედერაციის სახელწოდება იყო „სახელშეკრულებო ომანი"). მასში თავდაპირველად შევიდა 6 საამირო, რა'ს ალ-ხაიმას გარდა, რომელიც ფედერაციის წევრი გახდა 1972 წლის 10 თებერვალს. ახალმა ფედერაციამ მიიღო დროებითი კონსტიტუცია 5 წლის ვადით. აბუ დაბის მმართველი – შაიხი *ზაიდ ბინ სულტან ან-ნაჰაიანი (არაბ. زايد بن سلطان آل نهيان, 1971-2004)* გახდა ფედერაციის პირველი პრეზიდენტი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი – დუბაის მმართველი შაიხი *რაშიდ ბინ საიდ ალ-მაქთუმი (არაბ. راشد بن سعيد آل مكتوم).* საამიროების შექმნის მომენტიდან აბუ დაბისა და დუბაის მმართველებს შორის არის წინააღმდეგობა, რაც აისახება ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე. დუბაის ამირა გამოდიოდა ფედერაციის სუბიექტების დამოუკიდებლობის მოთხოვნით, ხოლო აბუ დაბის მმართველი ცენტრალიზებული ფედერალური ხელისუფლების მომხრედ. 70-იანი წლების ბოლოს „ფედერალისტებმა" მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს: დაუთმეს ტრადიციონალისტებს და შეუნარჩუნეს შაიხებს პრივილეგიები, მაგრამ მიაღწიეს საამიროების შეიარაღებული ძალების გაერთიანებას ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ, ცენტრალურ ხელისუფლებას დაუქვემდებარეს პოლიციის, უშიშროების, იმიგრაციისა და ინფორმაციის ორგანოები.

1980 წლის სექტემბერში დაწყებულმა ირან-ერაყის ომმა გაამწვავა ვითარება სპარსეთის ყურის რეგიონში. საამიროებს მეომარ მხარეებთან მიმართებაში ორმაგი პოზიცია ჰქონდა. ის, ერთი მხრივ, მხარს უჭერდა ერაყს და უწევდა მას მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას (5 მლრდ დოლარი1980-1988წწ.), ხოლო მეორე მხრივ ინარჩუნებდა ეკონომიკურ კავშირებს ირანთან და არ გაუწყვეტია მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

1987 წლის ივნისში ქვეყანაში პირველად დაიწყო შიდაპოლიტიკური კრიზისი. შაიხმა 'აბდ ალ-'აზიზმა, შარჯას ამირას – სულტან III იბნ მუჰამად ალ-კასიმის ძმამ, სახელმწიფოს მეთაურის არყოფნის დროს განაცხადა, რომ პრეზიდენტი ტოვებს თავის პოსტს, რადგანაც მან „გაანადგურა ეკონომიკა". ეს იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. კონფლიქტი გადაიჭრა კომპრომისის გზით – შაიხი

ზაიდ ბინ სულტან ან-ნაჰაიანი აღდგა თავის უფლებებში, ხოლო პრეზიდენტი (შაიხი 'აბდ ალ-'აზიზი) გამოცხადდა მემკვიდრე პრინცად.

1987-1988 წლებში საამიროებმა უფრო მჭიდრო პოლიტიკური და სამხედრო ურთიერთობა დაამყარა ამერიკასთან. 1994 წელს დადებული ამერიკა-საამიროების შეთანხმება ითვალისწინებს საამიროების ტერიტორიაზე სამხედრო ობიექტების მშენებლობას, ერთობლივ ღონისძიებებს საბრძოლო მომზადებისათვის, ამერიკელების მიერ რას ალ-ხაიმას და ალ-ფუჯაირას აეროდრომების გამოყენების უფლებას და სხვ.1995-1996 წლებში საამიროებმა სამხედრო თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები დადო აგრეთვე დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან.

1990 წელს ერაყის მიერ ქუვეითის ტერიტორიის ოკუპაციის დროს (1990-1991) საამიროებმა მკაცრად გააკრიტიკა ერაყი და დაზარალებულ მხარეს აღმოუჩინა დახმარება, სპარსეთის ყურის სხვა სახელმწიფოების მსგავსად. შიდაპოლიტიკური ვითარების სტაბილურობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი შაიხი ზაიდი ნ-ჯერ აირჩიეს ახალი საპრეზიდენტო ვადით.

2004 წლის 2 ნოემბერს გარდაიცვალა ქვეყნის პირველი პრეზიდენტი და აბუ დაბის მმართველი გახდა მისი უფროსი ვაჟი *ხალიფა ბინ ზაიდ ალ-ნაჰაიანი (არაბ. ხალიფა იბნ ზაიდ ან-ნაჰაიანი)*, რომელიც უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა პრეზიდენტად.

საამიროებს სერიოზული პრობლემა აქვს დღემდე გადაუჭრელი: ტერიტორიული დავა ირანთან სპარსეთის ყურის სამი კუნძულის ირგვლივ – აბუ მუსა, დიდი და მცირე თომბი, რომელთა გადაცემა დიდი ბრიტანეთის მიერ „სახელშეკრულებო ომანისათვის" (1920 წ.) საკამათოა თეირანისათვის.

სახელმწიფო წყობა. არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მმართველობის ფორმა არის ფედერაციული კონსტიტუციური მონარქია, ცენტრალური ხელისუფლების განსაკუთრებული უფლებამოსილებით. ქვეყნის დროებითი კონსტიტუცია მიიღეს 1971 წლის 2 დეკემბერს, რომელიც მუდმივი გახდა 1996 წლიდან. კონსტიტუციით, სახელმწიფოს მეთაური არის პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა 5 წლის ვადით. ვიცე-პრეზიდენტიც აირჩევა 5 წლის ვადით. არის აგრეთვე *ფედერალური უმაღლესი საბჭო*, რომელიც შედგება საამიროების მმართველებისაგან. საამიროების ფედერალური უმაღლესი საბჭო თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას შეიმუშავოს ფედერალური პოლიტიკა, მოახდინოს რატიფიკაცია დეკრეტების და საერთაშორისო ხელშეკრულებების, დაამტკიცოს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და უმაღლესი სასამართლოს წევრები. ყველა მიღებულ გადაწყვეტილებაზე, საპროცედურო საკითხების გარდა, აუცილებელია უმრავლესობის თანხმობა (5 ხმა იმ შემთხვევაში თუ იქნება აბუ დაბის და დუბაის მმართველთა თანხმობა). პრეზიდენტს აქვს ვეტოს უფლება ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე. ის ხელს აწერს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონებს, დეკრეტებს და გადაწყვეტილებებს, ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, მის მოადგილეს და მინისტრთა კაბინეტს. არაოფიციალურად პრეზიდენტობა აბუ დაბის ან-ნაჰაიანის გვარს ეკუთვნის. აბუ დაბის მმართველი, რომელიც ყველაზე დიდი ნავთობის მწარმოებელია, არის პრეზიდენტი. 2004 წ. 3 ნოემბრიდან პრეზიდენტი არის *ხალიფა ბინ ზაიდ იბნ სულტან ან-ნაჰაიანი* (დაბად.1948 წ.).

საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ერთპალატიანი *ფედერალური ეროვნული საბჭო* და *პრეზიდენტის საბჭო*, რომელიც შედგება პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტისაგან. პრეზიდენტის საბჭოს უფლებამოსილება 5 წელია. ფედერალური ეროვნული საბჭო ძირითადად სათათბირო ორგანოა და შედგება 40 წევრისაგან: 8 დეპუტატი აბუ დაბიდან და დუბაიდან (ვეტოს უფლებით), 6 – შარჯადან და რა'ს ალ-ხაიმადან, 4 – აჯმანიდან, უმმ ალ-კაივანიდან და ალ-ფუჯაირადან (საამიროები გახდა პირველი ქვეყანა არაბულ სამყაროში, სადაც 2006 წელს ჩატარდა ელექტრონული ხმის მიცემის პროცედურა). საამიროთა წარმომადგენლობა ამ ორ-

განოებში განისაზღვრებოდა დროებითი კონსტიტუციით მოსახლეობის რაოდენობისა და ეკონომიკის ხვედრითი წონის მიხედვით. 2006 წლიდან ამ საბჭოს წევრების ნახევარი აირჩევა, ნახევარს ნიშნავენ საამიროთა მმართველები. ჩვეულებრივ მმართველები დროის დიდ ნაწილს ატარებენ თავიანთ საამიროებში და იკრიბებიან მხოლოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას. უმაღლესი საბჭოს სხდომებს შორის, პრეზიდენტის გარდა, ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს მინისტრების ფედერალური საბჭო. მას შეუძლია კანონების გამოცემა იურისდიქციის ყველა დარგში, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიკაციის, საგანგებო ვითარების შემოღების, ომის გამოცხადების და ა. შ.

ქვეყნის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა მინისტრთა საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. არაოფიციალურად პრემიერ-მინისტრობა ეკუთვნის ალ-მაქთუმის გვარს დუბაიში. 2006 წლის 11 თებერვლიდან *მოჰამედ ბინ რაშიდ ალ-მაქთუმ* (არაბ. *მუჰამად იბნ რაშიდ ალ-მაქთუმი*, დაბად.1949 წ.) არის პრემიერ-მინისტრი, ვიცე-პრეზიდენტი და დუბაის მმართველი.

არაბთა გაერთიანებული საამიროების შემადგენლობაში შედის 7 საამირო: აბუ დაბი (أبو ظبي) – ყველაზე მნიშვნელოვანი, რომელსაც უკავია ქვეყნის საერთო ფართობის 90%; დუბაი; შარჯა; 'აჯმანი; რას ალ-ხაიმა; უმმ ალ-კაივაინი; ალ-ფუჯაირა.

ეროვნული დღესასწაული – 2 დეკემბერი, ფედერაციის გამოცხადების დღე (1971წ.).

პოლიტიკური პარტიები. ქვეყანაში არ არსებობს პოლიტიკური პარტიები.

ეკონომიკა. არაბთა გაერთიანებულ საამიროებს აქვს მაღალინდუსტრიული ეკონომიკა, რამაც გადააქცია ის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყნად მსოფლიოში. ქვეყნის ძირითადი რესურსები არის ნავთობი და გაზი. საუდის არაბეთისა და ქუვეითისაგან განსხვავებით, საამიროებში გვიან დაიწყო ნავთობის მოპოვება (1969წ.). დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყნის ხელისუფლებამ გამოისყიდა უცხოური ნავთობის კონცერნების აქტივები. ამის შედეგად ყველა ნავთობსარეწი სახელმწიფოს მფლობელობაში გადავიდა და 1981 წლისათვის ნავთობიდან მიღებული შემოსავლები 100-ჯერ გაიზარდა. უზარმაზარი სიმდიდრე, რომელსაც ქვეყანა იღებს ნავთობიდან, მთავრობას საშუალებას აძლევს განახორციელოს გრანდიოზული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები. ქვეყანაში არის თავისუფალი ეკონომიკური ზონები, რომლებიც პირველად დუბაის პორტის (ჯაბალ 'ალი) ირგვლივ დაარსდა 80-იან წლებში. ჩამოყალიბდა დუბაის საერთაშორისო ფინანსური ცენტრი, რომელშიც არის 6 სექტორი. განვითარდა მაღალი კლასის ტურიზმი. ეკონომიკის მოდერნიზაციის უზარმაზარი პროექტების განხორციელებამ ქვეყანაში, რომელსაც ჰყავს მცირერიცხოვანი მოსახლეობა, გამოიწვია უცხოური სამუშაოს ძალის მოდინება. ამის შედეგად ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობის მრავალ სფეროს აკონტროლებენ უცხოელები. 90-იან წლებში საამიროები გადაიქცა ახლო აღმოსავლეთის მსხვილ საფინანსო ცენტრად. ქვეყანაში ფაქტობრივად არ არის ინფლაცია. საბინაო პრობლემა მთლიანად მოგვარებულია სახელმწიფოს მიერ. თუ საამიროების მოქალაქეს სჭირდება საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ის განცხადებით მიმართავს ადგილობრივ ხელისუფლებას და სამი-ოთხი თვის შემდეგ, დადებითი პასუხის შემთხვევაში, იღებს ცალკე სახლს. ამასთანავე, სახელმწიფო თავის თავზე იღებს ყველა ხარჯებს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის ჩათვლით. ქვეყანაში არის აგრეთვე რაიონი, სადაც არის 5 ათასი ვილა და კოტეჯი, რომლებიც სახელმწიფომ აჩუქა თავის „უფრო ღარიბ" მოქალაქეებს.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის მოსახლეობის 5%. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია: ფინიკი, ბოსტნეული (პომიდორი, კომბოსტო, კიტრი, ხახვი, ბადრიჯანი), საზამთრო, ნესვი, ქერი, სიმინდი, ფრინველის პროდუქტი, რძის პროდუქტები, თევზი. აწარმოებენ მცირე რაოდენობით ტექნიკურ კულ-

ტურებს – თამბაქოს და ხნას. სოფლის მეურნეობა აკმაყოფილებს კვების პროდუქტებზე ქვეყნის მოთხოვნილების მხოლოდ ერთ მეოთხედს. თევზჭერიდან მიღებული შემოსავლები 4-ჯერ აღემატება სოფლის მეურნეობიდან მიღებულ შემოსავლებს. საამიროებში არის რამდენიმე თევზის საკონსერვო ქარხანაც. *ექსპორტი:* ნავთობი და ნავთობპროდუქტები, გაზი, ალუმინი. *იმპორტი:* მძიმე მანქანათმშენებლობის პროდუქცია და სატრანსპორტო აღჭურვილობა, სასოფლო-სამეურნეო ცხოველები. *სავაჭრო პარტნიორები:* ტაილანდი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, გერმანია, სინგაპური, აშშ, იაპონია, ინდოეთი, იტალია, ირანი (მასზე მოდის დუბაის ბიზნესის 20-30%) და სამხრეთ კორეა.

ფედერაციის მოქალაქეებს აქვთ ერთ სულ მოსახლეზე ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შემოსავალი მსოფლიოში (40,400 აშშ დოლარი). 2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 186,8 მილიარდი დოლარი, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

განათლება. ქვეყანაში სახელმწიფო განათლება უფასოა საამიროების მოქალაქეებისათვის. ყველა სკოლას, სახელმწიფოსაც და კერძოსაც, აკონტროლებს განათლების სამინისტრო. ზოგადი განათლების სისტემა მოიცავს სამ ეტაპს: დაწყებითი (6 წელი), გარდამავალი (3 წელი) და ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო (3 წელი). ქვეყანაში არის სახელმწიფო უმაღლესი განათლების 5 დიდი ცენტრი: *გაერთიანებული საამიროების უნივერსიტეტი*, რომელიც დაარსდა 1976 წელს. უნივერსიტეტი მდებარეობს აბუ დაბიში (ქ. ალ-აინი) და სწავლობს 15 ათასი სტუდენტი (ვებგვერდი – www.uaeu.ac.ae); *ზაიდის უნივერსიტეტი*, რომელიც დაარსდა 1998 წელს (პირველი პრეზიდენტის – ზაიდ ბინ სულტან ან-ნაჰაიანის საპატივსაცემოდ) და აქვს კამპუსები აბუ დაბიში და დუბაიში (ვებგვერდი – www.zu.ac.ae); *სპარსეთის ყურის სამედიცინო კოლეჯი*, რომელიც 1998 წელს დაარსდა აჯმანში. აქ სწავლა ნებადართულია ყველა ეროვნების სტუდენტებისათვის და დაშვებულია აგრეთვე ორივე სქესის წარმომადგენელთა შერეული სწავლება (ვებგვერდი – www.gmcajman.com); *შარჯას უნივერსიტეტი*, რომელიც 1997 წელს დაარსდა. უნივერსიტეტი იყოფა ორ კამპუსად: ვაჟების და გოგონების (ვებგვერდი – www.sharjah.ac.ae); *ტექნოლოგიის უმაღლესი კოლეჯი*, რომელიც დაარსდა 1988 წელს, 18 კამპუსი აქვს სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში და დაახლ. 19 000 სტუდენტი სწავლობს (ვებგვერდი – www.hct.ac.ae). ამის გარდა არის კერძო უნივერსიტეტები, ინსტიტუტები და კოლეჯებიც.

ფულის ერთეული – საამიროების დირჰამი. ის იყოფა 100 ფილსად. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 3,673 დირჰამს.

ბაჰრაინის სამეფო
مملكة البحرين

გეოგრაფია. ბაჰრაინი ყველაზე პატარა არაბული სახელმწიფოა, რომელიც მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, განლაგებულია სპარსეთის ყურის კუნძულებზე საუდის არაბეთსა და კატარის ნახევარკუნძულს შორის. სანაპირო ზოლის სიგრძე 161 კმ-ს უდრის. ბაჰრაინი წარმოადგენს ამავე სახელწოდების არქიპელაგის 35

კუნძულზე განლაგებულ პატარა სახელმწიფოს სპარსეთის ყურეში. დაკავშირებულია საუდის არაბეთთან საავტომობილო ხიდით. ქვეყნის საერთო ფართობი – 665 კვ.კმ. ქვეყნის ძირითადი ნაწილი უდაბნოა.

მოსახლეობა. 2008 წლის მონაცემებით, ბაჰრაინის მოსახლეობის საერთო რაოდენობა არის 718,306 (აქედან 235,108 არ არის მოქალაქე). მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 1454 ადამიანს შეადგენს. მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ჭრელია: ბაჰრაინელები – 63%, აზიელი არაბები – 13%, სხვა არაბები – 10%, ირანელები – 8%, სხვა ეთნიკური ჯგუფები – 6%. სახელმწიფო ენა არის არაბული, გავრცელებულია აგრეთვე ინგლისური ენა. სახელმწიფო რელიგიაა ისლამი. მოსახლეობის 99% არის ისლამის აღმსარებელი: შიიტები (უმეტესად ჯაფარიტები) – 70% და სუნიტები (უმეტესად მალიქიტები, არიან ჰანბალიტებიც) – 30%.

ჰავა. ბაჰრაინის ჰავა ცვალებადია, ტროპიკულიდან სუბტროპიკულისაკენ. იანვრის საშუალო ტემპერატურა არის 16°C, ხოლო ივლისის – 37°C. ნალექების საშუალო რაოდენობა წელიწადში შეადგენს დაახლ. 90 მმ-ს.

დედაქალაქი – მანამა (2008 წ. მონაცემებით, 155 000 მცხოვრები) მდებარეობს სპარსეთის ყურეში, კუნძულ ბაჰრაინის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ქალაქი პირველად იხსენიება XIV საუკუნეში.

ისტორიული ნარკვევი. IV-VIსს-ში ბაჰრაინი სასანური ირანის, ხოლო VII ს-დან – არაბთა სახალიფოს შემადგენლობაშია. 899 წელს ქვეყანა კარმატებმა დაიმორჩილეს. კარმატები ხშირად აწყობდნენ თავდასხმებს სახალიფოს სხვადასხვა მხარეზე, ძარცვავდნენ პილიგრიმთა ქარავნებს. 317/929-930 წელს პილიგრიმობის დროს ისინი შეიჭრნენ მექაში, დახოცეს და დაატყვევეს ათასობით პილიგრიმი და მექელი, ხელთ იგდეს აურაცხელი ნადავლი, გაძარცვეს ქააბას ტაძარი, რომლის თაყვანისცემასაც ისინი კერპთაყვანისმცემლობად თვლიდნენ. მათ ორად გატეხეს და ბაჰრაინში წაიღეს შავი ქვა, რომლის დაბრუნებაც მხოლოდ ორი ათწლეულის შემდეგ მოხერხდა ფატიმიანი ხალიფა ალ-მანსურის მოთხოვნით 951 წელს.

ბაჰრაინის კარმატთა სახელმწიფომ იარსება XI საუკუნის (1083წ.) ბოლომდე. 1253 წლის დამდეგს ბაჰრაინმა მცირე ხნით მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ მალე ჰორმუზის საამიროს დაქვემდებარებაში მოექცა. XVIს-ის დასაწყისში ქვეყანა დაიპყრეს პორტუგალიელებმა (1521-1602). 1602 წელს შაჰ-აბას I-ის ლაშქარმა ქართული წარმომავლობის ცნობილი მხედართმთავრის ალავერდი ხანის (უნდილაძის) მეთაურობით ბაჰრაინი დაუქვემდებარა სეფიანთა ირანს და შიიზმი სახელმწიფ
რელიგიად გამოცხადდა ბაჰრაინში. 1622 წელს ირანელებმა, იმავე ალავერდი ხანი
უფროსი ვაჟის იმამყული ხანის სარდლობით, დაამარცხეს პორტუგალიელები დ
განდევნეს სპარსეთის ყურიდან. ბაჰრაინი სეფიანთა ირანის შემადგენლობაში იყ
1783 წლამდე, როდესაც არაბეთის ნახევარკუნძულიდან გადმოსახლებულმა 'უთუ
ბის ტომის, ალ-ხალიფას საგვარეულოს (სუნიტები) წარმომადგენელმა *ჰამად იბნ ისა ალ-ხალიფამ* თავის ხელში აიღო ძალაუფლება და გამოაცხადა ბაჰრაინი დამოუკიდებელ საამიროდ. ამის შემდეგ ბაჰრაინს მართავს ალ-ხალიფას დინასტია. 1799-1828 წლებში ალ-ხალიფამ განახორციელა რამდენიმე თავდასხმა ომანზე. 1820 წლიდან ბაჰრაინი დიდ ბრიტანეთს მიმართავს დახმარებისათვის გარეშე მტრების წინააღმდეგ, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ ბაჰრაინის კუნძულებზე. 1871-1971 წლებში ბაჰრაინი ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდა. ლონდონი ერეოდა ტახტის მემკვიდრეობის საკითხებში და მხარს უჭერდა ლოიალური მმართველების მოსვლას ხელისუფლების სათავეში. სწორედ ასეთი მმართველი იყო შაიხი *'ისა იბნ ალი ალ-ხალიფა* (1869-1932). 1946 წლიდან სპარსეთის ყურის რეგიონში ბრიტანეთის ადმინისტრაციის თავმჯდომარის (ჩ. ბელგრეივი) რეზიდენცია ბუშაჰრის (სპარსეთი) ნაცვლად გახდა ქ. მანამა.

1950-1960წწ-ში ბაჰრაინში მიმდინარეობდა გაფიცვები და სხვა მასობრივი გამოსვლები ქვეყნის დამოუკიდებლობის მოთხოვნით. 1960 წელს ტახტზე ავიდა *ისა // იბნ სალმან ალ-ხალიფა,* რომლის მმართველობის პერიოდში გამწვავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. 1971 წლის 14 აგვისტოს, ლონდონთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, გამოცხადდა ბაჰრაინის დამოუკიდებლობა. ქვეყნის ახალი სტატუსი ცნო მრავალმა სახელმწიფომ. ამას მოჰყვა მთელი რიგი გარდაქმნები სახელმწიფო მმართველობის სისტემაში. ამირა ისამ დაამტკიცა დამფუძნებელი კრების შემადგენლობა (22 არჩეული და 22 დანიშნული დეპუტატი). 1973 წელს მიიღეს კონსტიტუცია, ბაჰრაინი კონსტიტუციურ მონარქიად გამოცხადდა და ჩატარდა პირველი საპარლამენტო არჩევნები. 1975 წელს მასობრივი საგაფიცვო მოძრაობის გამო (მოთხოვნები: შრომითი კანონმდებლობის მიღება, პროფკავშირების თავისუფლება, კონსტიტუციის დაცვა და სხვ.), ამირამ დაითხოვა პარლამენტი – ეროვნული ასამბლეა და საკანონმდებლო უფლებამოსილება გადაეცა მინისტრთა კაბინეტს.

ბაჰრაინის შიდაპოლიტიკურ ვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა 1979 წლის ირანის ისლამურმა რევოლუციამ. აიათოლა ხომეინის მოწოდებამ ირანის რევოლუციის ექსპორტისაკენ ფართო გამოძახილი ჰპოვა საამიროს შიიტურ მოსახლეობაში. ქვეყანაში შეიქმნა „ბაჰრაინის განთავისუფლების ისლამური ფრონტი", რომლის წევრები გამოვიდნენ ბაჰრაინში ისლამური რესპუბლიკის გამოცხადების იდეით, იყვნენ ირანთან შეერთების მომხრეებიც. 1981 წლის 14 დეკემბერს მანამაში გამომჟღავნდა ანტისამთავრობო შეთქმულება, რომლის სათავეშიც იდგნენ ხომეინის მომხრეები, ბაჰრაინის შიიტები. 1982-1984 წლებში მიმდინარეობდა ხელისუფლების ბრძოლა ექსტრემისტულ შიიტურ ორგანიზაციებთან. ირანსა და ბაჰრაინს შორის ურთიერთობა მოწესრიგდა მხოლოდ 1985 წელს, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის ირანის პრეზიდენტს – ხათამის. ამ ორ ქვეყანას შორის უთანხმოება გაღრმავდა ირან-ერაყის ომის (1980-1988) დროს, რომელმაც დააზარალა სპარსეთის ყურის ყველა სახელმწიფო. ბაჰრაინსა და ირანს შორის დიპლომატიური ურთიერთობა აღდგა მხოლოდ 1990 წელს.

ბაჰრაინი არის ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, არაბული სახელმწიფოების ლიგის, ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის წევრი. ბაჰრაინი იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური მომხრე სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭოსი, რომელიც დაარსდა 1981 წელს. 1986 წელს ამ საბჭოს მოუხდა ბაჰრაინსა და კატარს შორის კონფლიქტის გადაწყვეტა. კამათის საგანი გახდა მთელი რიგი ტერიტორიები: ბაჰრაინი პრეტენზიას აცხადებდა აზ-ზუბარას დასახლებაზე, საიდანაც გადასახლდა ალ-ხალიფას გვარი, ხოლო კატარი – ნავთობით მდიდარ ჰავარის კუნძულების ჯგუფზე და რიფებზე, რომელთა შორის ყველაზე დიდია დიბალის რიფი. ორივე ქვეყნის არმია საბრძოლო მზადყოფნაში იყო, მაგრამ შეიარაღებული შეტაკება თავიდან აიცილეს სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს ჩარევით. კონფლიქტი დასრულდა 2001 წელს ჰააგის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით: კუნძული ჰავარი და კიტა'ა ჯარადა ბაჰრაინის ტერიტორიად გამოცხადდა, ხოლო კუნძული ზუბარი, ჯანაი და ფაშთ ად-დიბალი – კატარის ტერიტორიად. ორივე სახელმწიფო დაეთანხმა საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ბაჰრაინმა, როგორც სპარსეთის ყურის საბჭოს წევრმა, მხარი დაუჭირა ეკონომიკური ემბარგოს დაწესებას ერაყზე, რომელმაც განახორციელა სუვენერული ქუვეითის ოკუპაცია (1990-1991წწ.) და მოითხოვა მისგან ზარალის ანაზღაურება.

XX ს-ის 90-იანი წლები ბაჰრაინში შიდაპოლიტიკური სტაბილურობით აღინიშნა. 1992 წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა სათათბირო ორგანო – *საკონსულტაციო*

საბჭო, რომლის შემადგენლობა 45 წევრით განისაზღვრა. ბაჰრაინის მმართველი დინასტია არის სუნიტური ისლამის მიმდევარი, ხოლო კუნძულის მოსახლეობის უმრავლესობა შიიტებია. ამ გარემოებამ განაპირობა ბაჰრაინის დამოკიდებულება ორ მეზობელზე – საუდის არაბეთზე და ირანზე, რომელთა შორის ურთიერთობა შეიძლება დავახასიათოთ როგორც მეტოქეობა სპარსეთის ყურის რეგიონში უპირატესი მდგომარეობისათვის. 1994-1999 წლებში ურთიერთობა მმართველ დინასტიასა და შიიტებს შორის აშკარა დაპირისპირებაში გადაიზარდა. ამას მოჰყვა მსხვერპლი (38-40 ადამიანი), შიიტი მოქალაქეების უფლებების შეზღუდვა და მათ მიმართ რეპრესიების გამკაცრება. ამან უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯზე.

1999 წლის მარტში ამირა გახდა *ჰამად ბინ ისა ალ-ხალიფა (არაბ. ჰამად იბნ 'ისა ალ-ხალიფა)*, რომელმაც დაიწყო ლიბერალური პოლიტიკური კურსის გატარება – გაათავისუფლა პოლიტპატიმრები (დაახლოებით 400, ძირითადად შიიტები), აღადგინა დემოკრატიულად არჩეული პარლამენტი, ქალებს მისცა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მან ჩაატარა რეფერენდუმი *ეროვნული მოქმედების ქარტიის* მისაღებად, რომელსაც ხმა მისცა მოსახლეობის 98,4%-მა. ქარტიას მხარი დაუჭირეს შიიტური ოპოზიციის წარმომადგენლებმა და სუნიტურმა ელიტამაც, რომელიც ფიქრობდა, რომ ქარტია ხელს შეუწყობდა კონფესიებს შორის კონფლიქტის დაძლევას და მშვიდობის დამყარებას ქვეყანაში. ქარტიაში ჩამოყალიბებული იყო საზოგადოებისა და სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების ნორმები. ქარტია უნდა გამხდარიყო ახალი კონსტიტუციის საფუძველი. 2002 წლის 14 თებერვალს ამირამ ხელი მოაწერა კანონს შესწორებების შესახებ მოქმედ კონსტიტუციაში. ამ კანონით საამირო გადაიქცა კონსტიტუციურ სამეფოდ, ხოლო ბაჰრაინის ამირა მეფედ გამოცხადდა. 1783 წლიდან 1971 წლამდე ბაჰრაინის სახელმწიფოს მეთაურებს ეწოდებოდათ მმართველები (ḥაქიმ ალ-ბაḥრაიn), ხოლო 1971 წლიდან 2002 წლამდე – ამირები (ამირ ად-დავლათ ალ-ბაḥრაიn). 2002 წელსვე ამირამ დაითხოვა საკონსულტაციო საბჭო და დაინიშნა საპარლამენტო და მუნიციპალური არჩევნები. შიიტურმა ისლამისტურმა პარტიამ – „ალ-ვაფაკის ეროვნულმა ისლამურმა საზოგადოებამ" ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს, ხოლო 2006 წელს მან გაიმარჯვა არჩევნებში.

სახელმწიფო წყობა. ბაჰრაინის სახელმწიფო მმართველობის ფორმა არის კონსტიტუციური მონარქია. სახელმწიფოს მეთაურია მეფე – *ჰამად ბინ ისა ალ-ხალიფა* (დაბად.1950წ). ხელისუფლება გადადის მემკვიდრე პრინცზე და კანონიერ მემკვიდრეზე. სახელმწიფოს მეთაური და მემკვიდრე პრინცი შეიძლება იყოს მხოლოდ ალ ხალიფას გვარის წარმომადგენელი. მემკვიდრე პრინცია *სალმან იბნ ჰამად ალ-ხალიფა* (დაბად. 1967 წ.).

2002 წლიდან, კონსტიტუციით, საკანონმდებლო ორგანოა ორპალატიანი პარლამენტი – ეროვნული ასამბლეა (ქვედა პალატა – წარმომადგენელთა პალატა და ზედა პალატა – საკონსულტაციო საბჭო), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 40-40 წევრით და მათი უფლებამოსილების ვადა 4 წელია. ქვედა პალატა აირჩევა საყოველთაო, პირდაპირი არჩევნებით, ფარული კენჭისყრით, ხოლო ზედა პალატის დეპუტატებს ნიშნავს მეფე. საკონსულტაციო კრება ასრულებს ბუფერის როლს პოლიტიკური და იურიდიული კოლიზიის თავიდან ასაცილებლად მონარქსა და ქვედა პალატის დეპუტატებს შორის. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის პრემიერ-მინისტრს, რომელიც ხელმძღვანელობს მინისტრთა კაბინეტს (23 წევრი). ეს უკანასკნელი ანგარიშვალდებულია მეფისა და ეროვნული კრების წინაშე. კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მეფის ინიციატივით ან ეროვნული

კრების 2/3-ის გადაწყვეტილებით. ქვეყნის პრემიერ-მინისტრია – *ხალიფა იბნ სალმან ალ-ხალიფა* (არაბ. დაბად. 1936ნ.).

ქვეყანა ადმინისტრაციულად დაყოფილია 5 პროვინციად, რომელთა სათავეში არიან გუბერნატორები. მათ ნიშნავს მეფე და ამტკიცებს ეროვნული კრება. ქალაქებში მოქმედებს მუნიციპალური საბჭოები (თვითმმართველობის ორგანოები), რომლის თავმჯდომარეს და გენერალურ დირექტორს ნიშნავს მთავრობა, დანარჩენი წევრები აირჩევიან. 2002 წლის 3 ივლისამდე ქვეყანა დაყოფილი იყო 12 მუნიციპალიტეტად.

ქვეყნის ეროვნული დღესასწაული – 16 დეკემბერი, დამოუკიდებლობის მოპოვების დღე (1971ნ.).

პოლიტიკური პარტიები. პოლიტიკური პარტიების მოქმედება აკრძალულია, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკურ არენაზე მოქმედებს რამდენიმე პოლიტიკური კავშირი და გაერთიანება, რომლებსაც ჰყავთ თავიანთი დეპუტატები ეროვნულ კრებაში (რელიგიურ-პოლიტიკური გაერთიანებები და რელიგიური ორგანიზაციები): 1. „ბაჰრაინის სახალხო ფრონტი"; 2. „ბაჰრაინის ეროვნული განთავისუფლების ფრონტი", მოქმედებს არალეგალურად; 3. „ისლამური მოქმედების ფრონტი" – ძირითადი ისლამისტური პოლიტიკური პარტია. ის არის მემკვიდრე სამხედრო ორგანიზაციის – „ისლამური ფრონტი ბაჰრაინის განთავისუფლებისათვის".

ეკონომიკა. ბაჰრაინის ძირითადი ბუნებრივი რესურსებია ნავთობი და ბუნებრივი გაზი (ექსპორტის 80%), თუმცა ნავთობის მარაგი თანდათანობით მცირდება. 1932 წელს ბაჰრაინის კუნძულის ცენტრში პირველად ამოხეთქა ნავთობმა, ხოლო 1934 წელს სპარსეთის ყურიდან გავიდა პირველი ტანკერი ბაჰრაინის ნავთობით. 1976 წელს დაარსდა ბაჰრაინის სახელმწიფო ეროვნული სანავთობო კომპანია, რომელმაც დაიწყო ნავთობის რეალიზება შიდა ბაზარზე. ნავთობმოპოვების განვითარებამ არსებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე. ქვეყნის საექსპორტო შემოსავლების 80%-ს ნავთობის წარმოება და გადამუშავება იძლევა. ბაჰრაინში ეკონომიკის განვითარებას ხელს უწყობს ბუნებრივი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენება, ინფლაციაზე კონტროლი, საინვესტიციო აქტივობა, წარმოებისა და მოხმარების ბალანსის დაცვა. ქვეყანაში არის პრობლემებიც – მცირე და საშუალო ბიზნესი ნაკლებად არის განვითარებული.

ქვეყნის ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებს ალუმინის წარმოება (შუა აღმოსავლეთში ალუმინის უდიდესი მწარმოებელია), ხდება ნახშირწყალბადის მოპოვებაც. ქვეყანაში ფუნქციონირებს საფეიქრო წარმოების დაახლ. 100 მცირე და საშუალო საწარმო. კარგად მოწყობილი საირიგაციო სისტემა გარკვეულ პირობებს უქმნის სოფლის მეურნეობის განვითარებას, მაგრამ ქვეყნის ტერიტორიის მხოლოდ 4% არის ვარგისი სოფლის მეურნეობისათვის. ქვეყნის ჩრდილოეთ ზონაში გაშენებულია ფინიკის პალმის პლანტაციები. ოაზისებში მოჰყავთ ციტრუსები, ყურძენი, ატამი, ბერძნული კაკალი, ფსტა, მარცვლეული კულტურები. ქვეყანა აწარმოებს აგრეთვე რძისა და ხორცის პროდუქტებს, კვერცხს. ბოლო წლებში სპარსეთის ყურის ზონაში შექმნილი ეკოლოგიური ვითარება უარყოფითად მოქმედებს თევზის მრეწველობის განვითარებაზე. სპარსეთის ყურის კრიზისმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა მარგალიტის მოპოვებასაც. ქვეყანაში სრული დატვირთვით მუშაობს საღებავების, ლუდის, ფარმაცევტული, სამედიცინო დანადგარების და კომპიუტერული ტექნიკის ქარხნები. ბაჰრაინში მზადდება აგრეთვე გოგირდის მჟავა, გამოხდილი წყალი, ასფალტი, სამშენებლო კონსტრუქციები, პლასტიკატი, კონდიციონერები და ქაღალდის პროდუქცია. ბაჰრაინის საბანკო-საფინანსო სექტორი, ქვეყანაში არსებული ლიბერალური საგადასახადო კანონითა და ხელსაყრელი საკომუნიკაციო სისტემებით, ყოველთვის იზიდავდა უცხოელ ინვესტორებს. ქვეყნის ბანკებისა და საფინანსო ორგანიზაციების სია იმდენად დიდია, რომ საერთაშორისო ცნობა-

რებში არ არის მოტანილი მათი სრული ჩამონათვალი. კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის მაღალგანვითარებული სისტემის წყალობით ბაჰრაინში არის შტაბ-ბინა მრავალი მულტინაციონალური კომპანიისა, რომლებიც დაკავებული არიან სამეწარმეო საქმიანობით სპარსეთის ყურის რაიონში. 2007 წელს ბაჰრაინი გახდა პირველი არაბული ქვეყანა, რომელმაც დააწესა დახმარება უმუშევართათვის.

ექსპორტი: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ალუმინი, ქიმიური მრეწველობის პროდუქცია. *იმპორტი:* ნედლი ნავთობი, სამრეწველო მანქანა-დანადგარები, სამშენებლო მასალები, კვების პროდუქტები, ქიმიური პროდუქცია. *სავაჭრო პარტნიორები:* არაბთა გაერთიანებული საამიროები, საუდის არაბეთი, აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ინდოეთი, იაპონია.

უკანასკნელ წლებში გაიზარდა ქვეყნის ეროვნული შემოსავალი, რამაც 2008 წელს შეადგინა 26,75 მილიარდი დოლარი. ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავალი იყო 37,200 დოლარი.

განათლება. XX საუკუნის დასაწყისისათვის ბაჰრაინში განათლების მიღების ერთადერთი ფორმა იყო ყურანის სკოლები. 1919 წელს მუჰარრაკში გაიხსნა პირველი საჯარო სკოლა ვაჟებისათვის, ხოლო 1926 წელს – გოგონებისათვის. თანამედროვე განათლების სისტემა ბაჰრაინში წარმოდგენილია სამი საფეხურით: დაწყებითი (6 წელი), საშუალო და უმაღლესი სკოლა. საშუალო სკოლა შედგება ორი საფეხურისაგან – მოსამზადებელი (არასრული საშუალო – 2 წელი) და სრული საშუალო სკოლა (3 წელი). დაწყებითი და მოსამზადებელი საფეხური სავალდებულოა ბაჰრაინის მოქალაქეთა შვილებისათვის. ითვლება, რომ ეს მომზადება საკმარისია შრომითი საქმიანობის დასაწყებად.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გარდა, ბაჰრაინში არის რელიგიური, პროფესიულ-ტექნიკური და სპეციალიზებული სკოლები, რომელთა უმეტესობა არის სახელმწიფო საკუთრებაში. სახელმწიფო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა ყველა საფეხურზე უფასოა. განათლების ადგილობრივი სისტემის მნიშვნელოვან დამსახურებად ითვლება საბავშვო ბაღები, სადაც მზადდება 4-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები დაწყებითი სკოლისათვის. ბაჰრაინში ექპერიმენტის სახით დაინერგა აგრეთვე განათლების სისტემა – K-12 (ეს არის 12 წლიანი დაწყებითი და საშუალო განათლება, რომელიც მოქმედებს აშშ-ში, კანადაში და ავსტრალიის ზოგიერთ ნაწილში). 2004 წელს მეფე ჰამად ბინ ისა ალ-ხალიფამ შემოიტანა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას სკოლებში. ამ პროექტს ეწოდა მეფე ჰამადის „მომავლის სკოლები" და მისი ძირითადი მიზანია ბაჰრაინში არსებული სკოლების დაკავშირება ინტერნეტით. ბაჰრაინში არის კერძო სკოლებიც, მათ შორის ყველაზე ცნობილია *წმინდა ქრისტეფორეს ბრიტანული სკოლა.*

სახელმწიფოში დიდი ყურადღება ექცევა უმაღლესი განათლების სისტემის სრულყოფასაც. ქვეყანაში სულ 20 უნივერსიტეტია. მათ შორის ყველაზე ცნობილია *ბაჰრაინის უნივერსიტეტი* (ვებგვერდი – www.uob.edu.bh/), რომელიც დაარსდა 1986 წელს და მისი საპატიო პრეზიდენტი არის ამირა. ბაჰრაინში სასწავლო წელი იწყება სექტემბრის მესამე კვირაში და მთავრდება ივნისის ბოლო კვირაში.

ფულის ერთეული – ბაჰრაინის დინარი. ის იყოფა 1000 ფილსად. 1959-1966 წლებში სპარსეთის ყურის ქვეყნებში გამოიყენებოდა სპარსეთის ყურის რუპიე. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 0,376 დინარს.

გეოგრაფია. ეგვიპტე მდებარეობს ორ კონტინენტზე – აფრიკის (ჩრდილო-აღმოსავლური რეგიონი) და აზიის (სამხრეთ-დასავლეთი რეგიონი). სამხრეთით ესაზღვრება სუდანი (საზღვრის სიგრძეა – 1 273კმ), დასავლეთით – ლიბია (1 150კმ), აღმოსავლეთით – ისრაელი (255 კმ) და პალესტინა (11კმ). აღმოსავლეთით აკრავს მენამული ზღვის წყლები, ჩრდილოეთით – ხმელთაშუა ზღვა. საზღვრების საერთო სიგრძეა 2 689 კმ, ხოლო სანაპირო ზოლის სიგრძე – 2 450კმ. ქვეყნის საერთო ფართობი – 980,869 კვ. კმ. ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა საშუალებას აძლევს ქვეყანას აკონტროლოს სინას ნახევარკუნძული, რომელიც აერთებს აფრიკას აზიასთან. ეგვიპტის კონტროლის ქვეშაა აგრეთვე სუეცის არხი – ყველაზე მოკლე საზღვაო გზა ინდოეთის ოკეანიდან ხმელთაშუა ზღვაში. ქვეყნის ტერიტორიის დაახლ. 96% უდაბნოა (დასავლეთით – ლიბიის, აღმოსავლეთით – არაბული, სამხრეთით – ნუბიის უდაბნო).

მოსახლეობა. ქვეყნის მოსახლეობის ზრდის ტემპები საკმაოდ მაღალია (ყოველ 7 თვეში 1 მლნ). 2008 წლის მონაცემებით, მოსახლეობის რაოდენობა 75,500,662-ს აღწევს. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 74 კაცს შეადგენს. ნილოსის დაბლობში, სადაც ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის დაახლ. 98%, მოსახლეობის სიმჭიდროვე შეადგენს 1 კვ. კმ-ზე 1500 ადამიანს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მსოფლიოში. მოსახლეობის 93% ეგვიპტელი არაბებია; 7% – ნუბიელები, ბერბერები, ბერძნები და სომხები. სახელმწიფო ენაა არაბული. გავრცელებულია აგრეთვე ინგლისური, ბერბერული და ფრანგული (საზოგადოების განათლებულ წრეებში) ენები. 1956-1973 წლებში საბჭოთა კავშირთან ეგვიპტის მჭიდრო თანამშრომლობის გამო გავრცელდა რუსული ენაც. ეგვიპტის სახელმწიფო რელიგია არის სუნიტური მიმართულების ისლამი. მუსლიმები შეადგენენ მოსახლეობის 90%-ს (99,96% მუსლიმი-სუნიტები, 0,04% – შიიტები). დანარჩენი მორწმუნეები არიან ქრისტიანები (კოპტური მართლმადიდებლური ეკლესია – 9%, ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია, კათოლიკური ეკლესია) – 10%.

ჰავა. ეგვიპტის ჰავა, ხმელთაშუაზღვის სანაპირო ზოლის გარდა, კონტინენტურ-ტროპიკულია. ჰავა აქ განსაკუთრებით მშრალია. ხმელთაშუაზღვის სანაპირო ზოლი წარმოადგენს განსაკუთრებულ ოლქს, სადაც არის ცხელი, მშრალი ზაფხული და რბილი, წვიმიანი ზამთარი. ეგვიპტის მთელ ტერიტორიაზე საკმაოდ მნიშვნელოვნად განსხვავდება დღისა და ღამის ტემპერატურა: ასუანში ნოემბერში ტემპერატურა 41°C-ს აღწევს, ხოლო ღამით ეცემა 3°C-მდე; ზაფხულში დღის და ღამის ტემპერატურას შორის სხვაობა ზოგჯერ 30°C-ს შეადგენს, ხოლო უდაბნოში – 50°C-ს. ყველაზე ცხელ თვეებად ითვლება ივლისი-სექტემბერი, როცა ნალექები საერთოდ არ მოდის. გაზაფხულზე, აპრილ-მაისში ქრის ცხელი და მშრალი ქარები უდაბნოდან. ეს ქარები ქრის შესვენებებით 50 დღის განმავლობაში, საიდანაც წარმოდგება მათი არაბული სახელწოდება – *ხამსინ* (ორმოცდაათი). ყველაზე ცივი პერიოდი არის დეკემბერი-მარტი.

დედაქალაქი – კაირო (2007 წ. მონაცემებით, 17,856,000 მცხოვრები). დასახლება თანამედროვე კაიროს ადგილას აღმოცენდა უძველეს დროს. ქალაქი წერილობით წყაროებში იხსენიება VII საუკუნიდან როგორც მხედართმთავარ 'ამრ იბნ ალ-'ასის სამხედრო ბანაკი. ეს სამხედრო ბანაკი გახდა ქ. ფუსტატის (ძველი კაირო) საფუძ-

ველი. ფატიმიანთა დინასტიამ 969 წელს ფუსტატის ჩრდილოეთით დაარსა ახალი ქალაქი – *ალ-კაჰირა* („უძლეველი") და 973 წლიდან 1171 წლამდე ალ-კაჰირა იყო ფატიმიანთა სახელმწიფოს დედაქალაქი. 1250-1517წწ.-ში კაირო იყო მამლუქი სულტნების დედაქალაქი. XVI საუკუნის დასაწყისში ეგვიპტე ოსმალებმა დაიპყრეს და ქალაქმა შეწყვიტა განვითარება. 1914-1922 წლებში იყო ბრიტანეთის პროტექტორატის ადმინისტრაციული ცენტრი. 1922-1953წწ.-ში ეგვიპტის სამეფოს, 1958-1971წწ.-ში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ხოლო 1971 წლიდან – ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქია.

ისტორიული ნარკვევი. ეგვიპტის ისტორია იწყება დაახლ. 6000 წლის წინ. ფარაონთა მმართველობა გაგრძელდა ძვ. წ. 341 წლამდე, როცა ქვეყანა სპარსელებმა დაიპყრეს. ალექსანდრე მაკედონელმა გააძევა სპარსელები ძვ. წ. 332 წელს. ახალი მმართველი, რომელმაც დააარსა ქალაქი ალექსანდრია ძვ. წ. 331წ., ცნეს ეგვიპტის სუვერენად. ქვეყნის ისტორიის ელინისტური პერიოდი გაგრძელდა პტოლემაიოსისა და მისი შთამომავლების დროს ძვ. წ. 31 წლამდე. ახ. წ. 395 წლამდე ეგვიპტე იყო რომის, ხოლო 395-639 წწ. – ბიზანტიის იმპერიის პროვინცია. 639 წელს ქვეყანა დაიპყრეს არაბებმა, რომელთაც გაავრცელეს არაბული ენა და ისლამი. ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა გაიზარდა ფატიმიანთა დინასტიის მმართველობის პერიოდში (969-1171). აიუბიანთა დინასტიისა (1171-1250) და მამლუქთა ბატონობის (1250-1517) დროს ეგვიპტე გახდა ძლიერი სახელმწიფო. 1517 წელს ეგვიპტე შევიდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. 1798-1801 წლებში ეგვიპტეში სამხედრო ექსპედიცია განახორციელა ნაპოლეონ ბონაპარტემ. 1882 წელს ბრიტანეთის არმიამ მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია და ქვეყანას მართავდა ბრიტანეთის კონსული, მაგრამ 1914 წლამდე ეგვიპტე ნომინალურად ითვლებოდა ოსმალეთის იმპერიის ნაწილად. თუმცა მუჰამად ალის (1805-1849) დროს ეგვიპტე ფაქტობრივად დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. 1914 წელს ინგლისელებმა ისარგებლეს ომის დაწყებით თურქეთის წინააღმდეგ და ეგვიპტე თავის პროტექტორატად გამოაცხადეს. 1922 წელს ეგვიპტემ მიიღო ნაწილობრივი დამოუკიდებლობა დიდი ბრიტანეთისაგან და გამოცხადდა დამოუკიდებელ სამეფოდ, მაგრამ შენარჩუნდა ინგლისელთა კონტროლი სამხედრო დარგში და საგარეო პოლიტიკაში. 1952 წლის 23 ივლისს „თავისუფალი ოფიცრების" საიდუმლო ორგანიზაციამ გამალ აბდელ ნასერის (არაბ. ჯამალ 'აბდ ან-ნასირის) ხელმძღვანელობით განახორციელა სახელმწიფო გადატრიალება – „ივლისის რევოლუცია", რომლის შედეგადაც მეფე ფარუკი გადადგა ტახტიდან. ხელისუფლების სათავეში მოვიდა რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭო, რომელიც შედგებოდა ოფიცერთა ორგანიზაციის წევრებისაგან (სათავეში გენერალი მუჰამად ნაგიბი და პოდპოლკოვნიკი გამალ აბდელ ნასერი). ახალგაზრდა ოფიცრებს თავდაპირველად მკვეთრად ჩამოყალიბებული პროგრამა არ ჰქონდათ. პირველივე კვირაში გამოიცა კანონი პოლიტიკური პოლიციის ლიკვიდაციისა და კორუმპირებული ელემენტებისაგან სახელმწიფო აპარატის წმენდის შესახებ. გაუქმდა ტიტულები – „ფაშა" და „ბეი", რომლებიც არსებობდა თურქ-ოსმალთა ბატონობის დროიდან. 1953 წლის 18 ივნისს ქვეყნის პირველი პრეზიდენტი გახდა *მუჰამად ნაგიბი (არაბ. მუჰამმად ნაჯიბი)*, ხოლო ეგვიპტე რესპუბლიკად გამოცხადდა. საგარეო პოლიტიკის დარგში პირველი წარმატება იყო 1954 წლის 19 ოქტომბერს ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების ხელმოწერა, რომელიც ითვალისწინებდა ინგლისელთა არმიის ევაკუაციას 20 თვის განმავლობაში. 1956 წლის 13 ივნისს ეს პროცესი და, შესაბამისად, ინგლისელთა მიერ ეგვიპტის ოკუპაციის 74 წლიანი პერიოდიც დასრულდა. 1954 წლის 14 ნოემბერს, რევოლუციური საბჭოს გადაწყვეტილებით, მ. ნაგიბი დაადანაშაულეს დიქტატორულ ამბიციებში და დაატოვებინეს პრეზიდენტის პოსტი.

1956 წლის 23 ივნისს პლებისციტის დროს დამტკიცდა ეგვიპტის რესპუბლიკის კონსტიტუცია და ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს გამალ აბდელ ნასერი. 1956 წლის 26 ივლისს ნასერმა ალექსანდრიაში გამოაცხადა სუეცის არხის ნაციონალიზაცია. დასავლეთის სახელმწიფოებმა (ისინი აქტიურად იყენებდნენ სუეცის არხს ტვირთების გადასატანად აღმოსავლეთიდან დასავლეთით და პირიქით) განახორციელეს დიპლომატიური აქციების სერია, რათა ზეწოლა მოეხდინათ ეგვიპტის ხელისუფლებაზე. საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-ს ხელმძღვანელობით, წამოაყენეს რამდენიმე გეგმა სუეცის არხზე საერთაშორისო ხელმძღვანელობის დასაწესებლად, მაგრამ ნასერმა უარი განაცხადა. სიტუაციის გამწვავებამ გამოიწვია დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და ისრაელის სამხედრო მოქმედებები ეგვიპტის წინააღმდეგ. 1956 წლის 30 ოქტომბერს ისრაელის შეიარაღებული ძალები შეიჭრნენ ეგვიპტეში. მათი მიზანი იყო ეგვიპტის ძირითადი სამხედრო ძალების მობილიზება სინას ნახევარკუნძულზე, რაც ინგლის-საფრანგეთის არმიას ეგვიპტის ტერიტორიის ოკუპირების საშუალებას მისცემდა. გაეროს, მსოფლიო საზოგადოებრიობის და, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის(ნ. ხრუშჩოვი) რეაქციამ, აიძულა აგრესორები შეეწყვიტათ სამხედრო ოპერაციები 1956 წლის 7 ნოემბერს, ხოლო შემდეგ გაეყვანათ თავიანთი არმია ეგვიპტის ტერიტორიიდან (1956 წ. დეკემბერი). სუეცის არხის რაიონში შეიყვანეს გაეროს სამშვიდობო ძალები.[49] სუეცის კრიზისს (იგივე სუეცის ომი, სინაის ომი, არაბული ქვეყნებისა და ისრაელის მეორე ომი) მოჰყვა ძველი კოლონიური სახელმწიფოების პოზიციების დასუსტება და აშშ-ის პოზიციების გაძლიერება ახლო აღმოსავლეთში. რეგიონში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელმაც ანტიბრიტანული და ანტიფრანგული ფორმა მიიღო. 1956 წლის შემდეგ ნასერი გახდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკური ხელმძღვანელი არაბულ სამყაროში, ხოლო ეგვიპტე – „არაბთა გაერთიანების" ცენტრი. ნასერის მიმდევრები იყვნენ ყველა არაბულ ქვეყანაში, ხოლო „ნასერიზმი" 50-იანი წლების ბოლოს და 60-იან წლებში რჩებოდა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მოძრაობად ახლო აღმოსავლეთში. 1958 წელს, საგარეო ფაქტორების ზეგავლენით, სირია და ეგვიპტე გაერთიანდა ერთ სახელმწიფოდ, რომელსაც *არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა* ეწოდა. გაერთიანების ინიციატივა ეკუთვნოდათ სირიის ბაასის პარტიის ლიდერებს, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ მათი პარტიის იდეები (უპირველეს ყოვლისა, არაბული ერთიანობის პრინციპი) გახდებოდა ახალი სახელმწიფოს იდეოლოგიის საფუძველი. გარდამავალ პერიოდში რესპუბლიკა უნდა შემდგარიყო ორი რაიონისაგან – ჩრდილოეთის (სირიული) და სამხრეთის (ეგვიპტური). დედაქალაქად დასახელდა კაირო, ხოლო პრეზიდენტად აირჩიეს ნასერი. თუმცა ეს კავშირი ხანმოკლე აღმოჩნდა. სხვადასხვა სახის სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა განაპირობეს მისი დაშლა. 1961 წლის 28 სექტემბერს, სამხედრო გადატრიალების შედეგად, სირია გამოვიდა ამ გაერთიანებიდან, მაგრამ ეგვიპტემ შეინარჩუნა ეს სახელი 1971 წლამდე.

1967 წელს „ექვსდღიან ომში" ეგვიპტე დამარცხდა ისრაელთან არაბული ქვეყნების მესამე ომში და ისრაელმა დაიკავა სინას ნახევარკუნძული. 1970 წლის 28 სექტემბერს ნასერი გარდაიცვალა და პრეზიდენტის პოსტი დაიკავა *ანვარ სადათმა (არაბ. მუჰამმად ანვარ ას-სადათი, 1970-1981)*, რომლის დროსაც კარდინალური ცვლილებები განხორციელდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში. მისი ინიციატივით, 1973 წლის ოქტომბერში (6-26 ოქტომბერი) დაიწყო ისრაელისა და არაბული ქვეყნების (ეგვიპტე-სირიის კოალიცია) მეოთხე ომი ანუ *იომ-ქიფურის ომი* (იომ ქიფურ, დღე განკითხვისა – ებრაელთა წმინდა დღე). ეგვიპტის არმიამ მოულოდნელად გა-

[49] ეს იყო პირველი სამშვიდობო ოპერაცია ამ ტერმინის თანამედროვე გაგებით და ამ კონცეფციის ავტორად ითვლება კანადელი პოლიტიკოსი – ლესტერ პირსონი.

დალახა სუეცის არხი და დაიკავა სინას დიდი ნაწილი, სირიამ კი სატანკო ოპერაცია დაიწყო გოლანის მაღლობების დასაბრუნებლად. პირველი 24-48 საათის განმავლობაში წარმატება ეგვიპტელებისა და სირიელების მხარეზე იყო, ხოლო შემდეგ ისრაელმა შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. ომის შედეგად შეიქმნა ერთგვარი სამხედრო წონასწორობის შთაბეჭდილება. როგორც ეგვიპტე, ისე ისრაელი ამ ომს მოგებულად თვლიდა.

1976 წელს ანვარ სადათმა მოახდინა მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა კავშირისა და ეგვიპტის ხელშეკრულების დენონსაცია, ხოლო 1981 წელს კაიროდან გააძევეს საბჭოთა ელჩი და სამხედრო მრჩევლები. აშკარა პროამერიკულმა კურსმა აიძულა სადათი, არაბული ქვეყნების ზურგს უკან, წასულიყო მოლაპარაკებებზე ისრაელთან. 1978 წლის სექტემბერში ამერიკის პრეზიდენტ ჯიმი კარტერის შუამავლობით კემპ-დევიდში ჩატარებული მოლაპარაკებისა და 1979 წელს ვაშინგტონში ხელმოწერილი დოკუმენტების თანახმად, ისრაელმა რამდენიმე ეტაპად გაათავისუფლა სინას ნახევარკუნძული. კემპ-დევიდის სამშვიდობო ხელშეკრულებამ გამოიწვია სერიოზული კრიტიკა და ეკონომიკური სანქციები მრავალი არაბული ქვეყნის მხრიდან (გაწყვიტეს ეგვიპტესთან დიპლომატიური ურთიერთობა, შეუწყვიტეს არაბთა ლიგაში წევრობა და გარიცხეს ნავთობის ექსპორტიორი არაბული ქვეყნების ორგანიზაციიდან). რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, 70-იანი წლების ბოლოს ანვარ სადათმა გაატარა ღონისძიებები მრავალპარტიული სისტემის შესაქმნელად, რასაც ეწოდა „დემოკრატიული ექსპერიმენტი". ამ ღონისძიებებს ფორმალური ხასიათი ჰქონდა და მიმართული იყო შესაძლო სოციალური დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად. ამის პარალელურად სადათმა გაატარა „დენასერიზაციის" პოლიტიკა. თავდაპირველად პრეზიდენტი შეეცადა რელიგიური ფაქტორი გამოეყენებინა ნასერისტული ძალების წინააღმდეგ. თუმცა სწორედ ისლამისტური ჯგუფებისაგან ჩამოყალიბდა სადათის ოპოზიცია ისრაელთან ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. 1980 წლის გაზაფხულზე გამოცხადდა „ეგვიპტის პატრიოტული ფრონტის" შექმნის შესახებ, რომელშიც შევიდა ოპოზიციური ორგანიზაციების უმრავლესობა. 1981 წლის სექტემბერში სადათმა დაიწყო უპრეცედენტო რეპრესიები თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ: დააპატიმრა ისლამური საზოგადოებების აქტივისტები; შეწყდა მთელი რიგი რელიგიური გამოცემების გამოშვება; კონტროლი დაწესდა მრავალ მეჩეთზე. ამ ღონისძიებებმა მხოლოდ გააღრმავა კონფლიქტი და 1981 წლის 6 ოქტომბერს სამხედრო აღლუმის დროს სადათი მოკლეს მუსლიმმა ექსტრემისტებმა.

ეგვიპტის ახალი პრეზიდენტი გახდა *ჰოსნი მუბარაქი (არაბ. მუჰამმად ჰუსნი მუბარაქი, 1981 წლიდან – დღემდე)*, რომელმაც ფაქტობრივად გააგრძელა სადათის პოლიტიკა. მან განაცხადა, რომ მისი პოლიტიკა ძირითადად დაეფუძნებოდა დემოკრატიულ პლურალიზმს და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას. მუბარაქმა გაათავისუფლა ყველა პოლიტპატიმარი და შეეცადა საერთო ენა გამოენახა ქვეყანაში მოქმედ პარტიებთან და ორგანიზაციებთან, მაგრამ წარუმატებლად. დაწესდა კონტროლი ექსტრემისტულ ისლამურ ორგანიზაციებზე. 1987 წლიდან გაუმჯობესდა ურთიერთობა არაბულ ქვეყნებთან, აღდგა ეგვიპტის წევრობა არაბთა ლიგაში, განახლდა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთანაც, პარალელურად, მუბარაქი დასავლეთის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ყოველმხრივი მხარდაჭერით სარგებლობდა. 1989 წელს ის აირჩიეს „აფრიკის ერთობის ორგანიზაციის" თავმჯდომარედ. ჰოსნი მუბარაქი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქვეყნის ხელმძღვანელობაში კონფესიური ბალანსის შენარჩუნებას. მთავრობაში შედის ერთი კოპტი მინისტრი, ეროვნულ კრებაში და მმართველ სახალხო-დემოკრატიულ პარტიაში დე-ფაქტო გამოყოფილია კვოტა ქრისტიანებისათვის. პარტიის პოლიტბიუროსა და გენერალური სამდივნოს 77 წევრიდან 6 არის კოპტი. თუმცა მნიშვნე-

ლოვანი საკითხების გადაწყვეტა პირადად პრეზიდენტის პრეროგატივაა. მუბარაქის მიერ დამყარებული რეჟიმი შეფასებულია როგორც ავტორიტარული, რადგანაც აკრძალულია სახალხო დემონსტრაციები, ოფიციალურ პრესაში პრეზიდენტის კრიტიკა კანონით ისჯება, სამხედრო ტრიბუნალი ასამართლებს ისლამისტ მებრძოლებს და 1993 წლიდან მრავალი სასიკვდილო განაჩენი გამოაქვს. „საერთაშორისო ამნისტიის" მონაცემებით, დღეისათვის ეგვიპტის ციხეებში არის 18 ათასი პატიმარი, რომელთაც არა აქვთ წაყენებული ბრალდება სათანადო წესით და არ გაუვლიათ სასამართლო პროცედურა. პრეზიდენტს ხშირად ადარებენ ფარაონს, რომელიც ფლობს კოლოსალურ პოლიტიკურ ხელისუფლებას. ქვეყანაში სულ უფრო იზრდება უკმაყოფილო ადამიანთა რიცხვი, რომლებიც დემონსტრაციებზე აშკარად გამოხატავენ თავიანთ ოპოზიციურ აზრს. ეგვიპტეში 2004 წლიდან აქტიურად მოქმედებს მოძრაობა „ქიფაია" („კმარა") – „ეგვიპტური მოძრაობა ცვლილებებისათვის", რომელიც იბრძვის დემოკრატიისა და სამოქალაქო თავისუფლებისათვის. მოძრაობის მიზანია ჰოსნი მუბარაქის ხელისუფლებიდან ჩამოცილება. ბოლო წლებში ქვეყანაში უკიდურესად არის გამწვავებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რაც გამოწვეულია მსოფლიო ბაზარზე კვების პროდუქტებზე, სახელდობრ ხორბალზე, ფასების მკვეთრი მატებით. ქვეყანა დგას შესაძლო სოციალური აფეთქების და გიპერინფლაციის ზღვარზე. 1981 წლიდან ეგვიპტეში მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი. 2008 წლის 26 მაისს ეგვიპტის პარლამენტმა გააგრძელა საგანგებო მდგომარეობა კიდევ ორი წლით, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის 24 ორგანიზაციის ერთობლივი განცხადებით, ქვეყანაში ამისათვის არანაირი მიზეზი არ არსებობდა.

სახელმწიფო წყობილება. ეგვიპტეში მმართველობის ფორმა არის მრავალპარტიული, ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ეგვიპტის პირველი კონსტიტუცია მიიღეს 1956 წლის 23 ივნისს, ხოლო შესწორებები შეიტანეს 1964,1971,1980, 2005 და 2007 წელს. 1981 წლის 14 ოქტომბრიდან დღემდე ეგვიპტის პრეზიდენტია *ჰოსნი მუბარაქი* (დაბად.1828წ.), რომელიც 1987,1993,1999 წლის რეფერენდუმებზე ერთხმად აირჩიეს. 2005 წლის საკონსტიტუციო შესწორებით პოლიტიკურ პარტიებს უფლება მიეცათ წამოეყენებინათ თავიანთი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე (ისლამისტურმა პარტიებმა უნდა მიიღონ არანაკლებ 140 ადგილი მუნიციპალურ არჩევნებში, რათა მიეცეთ „დამოუკიდებელი" კანდიდატის წარდგენის უფლება 2011 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში). ახალი სისტემით არჩევნები პირველად ჩატარდა 2005 წლის 7 სექტემბერს. არჩევნებში 10 პარტია იღებდა მონაწილეობას. 30 შესაძლო კანდიდატიდან 10-მა მიიღო მონაწილეობა. გაიმარჯვა ჰოსნი მუბარაქმა, რომელმაც მიიღო ხმების 88,6%. ამ არჩევნების კანონიერება ეჭვქვეშ დააყენეს ოპოზიციურმა პარტიებმა.

ქვეყანაში აღმასრულებელი ხელისუფლება თეორიულად გაყოფილია პრეზიდენტსა (სახელმწიფოს თავმჯდომარეს) და პრემიერ-მინისტრს (მთავრობის თავმჯდომარე – მინისტრთა საბჭო) შორის. 2004 წ. 14 ივლისიდან პრემიერ-მინისტრია *აჰმედ ნაზიფი (არაბ. აჰმად ნაზიფი, დაბად. 1952 წ.).* კონსტიტუციის შესაბამისად, მინისტრი უნდა იყოს არა ნაკლებ 30 წლის ასაკის და დაბადებით ეგვიპტის მოქალაქე.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო არის ორპალატიანი პარლამენტი: ქვედა პალატა – სახალხო ასამბლეა, რომელშიც კონსტიტუციით არ უნდა იყოს 350 წევრზე ნაკლები (არის 454 წევრი, რომელთაგან 444 აირჩევა პირდაპირი არჩევნების გზით, ხოლო 10-ს ნიშნავს უშუალოდ ქვეყნის პრეზიდენტი) და ზედა პალატა – შურას საბჭო (მაჯლის აშ-შურა), რომელშიც შედის 264 წევრი. აქედან 176 აირჩევა და 88-ს ნიშნავს პრეზიდენტი. სახალხო ასამბლეაში ადგილების 50% განკუთვნილია მუშებისა და ფერმერებისათვის. ასამბლეა აირჩევა 5 წლის ვადით. 1980 წლიდან არსებობს საკონსულტაციო საბჭო (264 წევრი). მისი 174 წევრი აირჩევა პირდაპირი

არჩევნების გზით, ხოლო 88 – უშუალოდ პრეზიდენტის მიერ ინიშნება 6 წლის ვადით. საკონსულტაციო საბჭოს საკანონმდებლო უფლებები შეზღუდულია. მხოლოდ XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში გაჩნდა პარლამენტში ოპოზიციური პარტიების ფრაქციები, მაგრამ ძალზე მცირერიცხოვანია.

ადმინისტრაციულად ქვეყანა შედგება 29 პროვინციისაგან (მუჰაფაზა), რომელთაგან თითოეულ აქვს თავისი ადმინისტრაციული ცენტრი (მარქაზ) – ე. წ. გუბერნიის დედაქალაქი. ფაქტობრივად დიდ ეგვიპტურ ქალაქებს, მიმდებარე ტერიტორიებით მინიჭებული აქვს ადმინისტრაციული ავტონომია. თუმცა ქვეყანაში შენარჩუნებულია ცენტრალიზებული სახელმწიფო მმართველობა.

ეროვნული დღესასწაული – 23 ივლისი, რევოლუციის დღე (1952წ.).

პოლიტიკური პარტიები. ქვეყანაში მოქმედებს 13 ლეგალური პარტია. მათ შორის გამოირჩევა: 1. „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია" (1978 წლიდან), რომლის თავმჯდომარეა ჰოსნი მუბარაქი. ეს არის მმართველი, ზომიერი მემარცხენე-ცენტრისტული პარტია, რომელსაც თავისი განყოფილებები აქვს ეგვიპტის ყველა რაიონში; 2. „შრომის სოციალისტური პარტია" – მემარჯვენე ცენტრისტული პარტია, რომელიც წარმოადგენს ისლამურ ფლანგს და იხრება ისლამური ფუნდამენტალიზმის იდეოლოგიისაკენ; 3. „ახალი ვაფდი" – ნაციონალისტური პარტია, რომელშიც ჭარბობენ ძველი არისტოკრატიული ოჯახების წარმომადგენლები; 4. „ახალი ბურჟუაზია" – ლიბერალების პარტია; 5. „ეროვნულ-პროგრესული (მემარცხენე) პარტია", რომელიც დაარსდა 1976 წელს არაბული სოციალისტური კავშირის „მემარცხენე პლატფორმის" ბაზაზე და ისტორიულად და იდეოლოგიურად არის მარქსიზმის პოზიციებზე.

2007 წლის 19 მარტის საკონსტიტუციო შესწორებით აიკრძალა პარტიები, რომლებიც რელიგიას იყენებენ თავიანთი პოლიტიკური საქმიანობისათვის.

ეკონომიკა. ეგვიპტის ეკონომიკაში ჭარბობს სახელმწიფო სექტორი, სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილი ეკუთვნის სახელმწიფოს. მრეწველობის განვითარებული დარგებია: საფეიქრო, კვების, ნავთობის, მეტალურგიული, სამშენებლო. ეგვიპტე არის ცემენტის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი აფრიკაში. აფრიკის სხვა ქვეყნებთან შედარებით, გამოირჩევა ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის მაღალი დონით. ეგვიპტის ნავთობის მარაგი უმნიშვნელოა და ახლო აღმოსავლეთის სარეზერვო ბაზის დაახლ. 1%-ს შეადგენს. ეგვიპტის საწარმოები გამოირჩევა კაპიტალდაბანდებების მაღალი დონით და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების გამოყენებით. წარმოების ეფექტურობის ამაღლებას ხელი შეუწყო აგრეთვე ეკონომიკის ლიბერალიზაციამ. ტურიზმი არის ერთ-ერთი მთავარი წყარო უცხოური ვალუტისა (65-70%). 1971 წელს ასუანის კაშხლის დასრულებამ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის განვითარებას. სოფლის მეურნეობისათვის ვარგისი მიწების ძირითადი ნაწილი მდებარეობს ნილოსის დელტის რაიონში. სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან მოჰყავთ ბრინჯი, შაქრის ჭარხალი, ხორბალი, ქერი, პარკოსანი კულტურები, მზესუმზირა, ხილი, ბოსტნეული, აფრიკული ციტრუსების მეოთხედი. განვითარებულია თევჭერაც. თუმცა ქვეყანა ვერ აკმაყოფილებს შიდა მოთხოვნას აუცილებელი კვების პროდუქტებზე. შენარჩუნებულია დაბალი ფასები კვების ძირითად პროდუქტებზე და მედიკამენტებზე, რაც ხელს უწყობს პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებას. ეგვიპტე დიდ დახმარებას იღებს ამერიკიდან (1971 წლიდან, 2,5 მილიარდი დოლარი ყოველწლიურად). ქვეყანაში, მოსახლეობის მატებასთან ერთად, ყოველწლიურად იზრდება უმუშევართა რიცხვი. სამრეწველო საწარმოებსა და სახელოსნოებში დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 10%. დიდ ქალაქებში „შრომის ბირჟები" ღია ცის ქვეშ ჩვეულებრივი მოვლენაა. დაახლ. 3 მლნ ეგვიპტელი მუშაობს საზღვარგარეთ, ძირითადად სპარსეთის ყურის ქვეყნებში და ევროპაში. 2008 წლის 6 აპრილს,

კვების პროდუქტებზე ფასების მკვეთრი მატების გამო, მასობრივი არეულობები დაიწყო ეგვიპტის საფეიქრო მრეწველობის ცენტრში – მაჰალლა ალ-ქუბრაში, კაიროს ჩრდილოეთით 120 კმ-ზე. მოხდა შეტაკება მუშებსა და წესრიგის დამცველებს შორის, რომელთაც გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღი. 1 ადამიანი დაიღუპა, 80-ზე მეტი დაიჭრა, 340 აქციის მონაწილე დააპატიმრეს. დაძაბულობის შესანელებლად, ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ გადაუხდიდა საფეიქრო მრეწველობის ყველა თანამშრომელს დამატებით ნახევარი თვის ხელფასს. 30 აპრილს კი პრეზიდენტმა დაავალა მთავრობას გამოეძებნა სახსრები ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთათვის ხელფასების 30%-ით გასაზრდელად. ამის განსახორციელებლად 2008 წლის 5 მაისს პარლამენტმა ხმა მისცა ფასების მომატებას 30-50%-ით ელექტროენერგიაზე და თამბაქოს ნაწარმზე. გაიზარდა საგადასახადო ტარიფები იმპორტირებული საქონლის 111 სახეობაზე – ზეთიდან დაწყებული ცემენტამდე. მოსახლეობის 44% ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ (აქვთ ყოველდღიური შემოსავალი 2 დოლარი ან ქვემოთ).

2008 წლის 2 დეკემბერს ეგვიპტესა და ევროკავშირს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს თანამშრომლობის გაფართოვებას ენერგეტიკის სფეროში. ევროკავშირს, რუსეთიდან ბუნებრივი გაზის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, სურს გაზარდოს „ცისფერი აირის" შესყიდვა ეგვიპტიდან. ამისათვის ევროკავშირი გეგმავს მშენებლობას „არაბული გაზსადენის", რომლითაც ბუნებრივი გაზი ეგვიპტიდან და, შესაძლოა, ერაყიდანაც, მიეწოდება ევროკავშირის ქვეყნებს.

ექსპორტი: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, სასოფლო-სამეურნეო პირუტყვი, ტანსაცმელი, საფეიქრო პროდუქცია. ბამბის ექსპორტის მოცულობით ეგვიპტე მეორე ადგილზეა მსოფლიოში, აშშ-ს შემდეგ. *იმპორტი:* ხორბალი, მზესუმზირა, რძის პროდუქტები, მძიმე მანქანათმშენებლობის და სატრანსპორტო აღჭურვილობა, ხის მასალა და ნაკეთობები, სამომხმარებლო საქონელი. *მთავარი სავაჭრო პარტნიორები:* აშშ, იაპონია, ჩინეთი, სირია, საუდის არაბეთი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები.

2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 452,5 მილიარდი დოლარი, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავალმა – 5,500 დოლარი.

განათლება. ეგვიპტეში სახელმწიფო განათლება უფასოა ქვეყნის მოქალაქეებისათვის. არის განათლების ცენტრალიზებული სისტემა და იყოფა სამ საფეხურად: საბაზო განათლება (შედგება ორი საფეხურისაგან: დაწყებითი და მოსამზადებელი – 8 წელი), საშუალო განათლება (3 წელი), პოსტ-საშუალო განათლება. არის აგრეთვე ალ-აზჰარის სკოლები, რომლებსაც ინსტიტუტები ეწოდება და ასევე სამი საფეხურისაგან შედგება. იქ ისწავლება არარელიგიური დისციპლინები, მაგრამ არა ისეთი ინტენსივობით, როგორც სახელმწიფო სკოლებში. ამ სკოლების ყველა მოსწავლე არის მუსლიმი და სწავლება ორივე სქესისათვის განცალკევებულია. ამ სკოლის კურსდამთავრებულებს სწავლის გაგრძელება შეუძლიათ მხოლოდ ალ-აზჰარის მუსლიმურ უნივერსიტეტში. ეგვიპტეში სახელმწიფო სკოლები ორი ტიპისაა: არაბული სკოლები და ექსპერიმენტული ენის (ინგლისური და ფრანგული) შემსწავლელი სკოლები. კერძო სკოლები სამი ტიპისაა: ჩვეულებრივი, ენების სკოლები და რელიგიური სკოლები, რომლებიც რელიგიურად ორიენტირებული სკოლებია. რელიგიურ სკოლებს აფინანსებს „მუსლიმი ძმების მოძრაობა". ამ სკოლების კურიკულუმი განსხვავდება სახელმწიფო და ალ-აზჰარის სკოლებისაგან. მრავალი კერძო სკოლა აგებულია მისიონერთა მიერ და ფუნქციონირებს ეკლესიებთან.

ეგვიპტეში დიდი ყურადღება ეთმობა უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებასაც. ქვეყანაში არის სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლები. მხოლოდ კაიროში 14 უნივერსიტეტია. ეგვიპტეში უმაღლესი სახელმწიფო განათ-

ლების მიღებაც უფასოა, სტუდენტები იხდიან მხოლოდ სარეგისტრაციო გადასახადს. კერძო უმაღლესი განათლება გაცილებით ძვირია. ქვეყნის დიდი უნივერსიტეტებია: *კაიროს უნივერსიტეტი* (დაარსდა 1908 წელს, სწავლობს 200000 სტუდენტი (ვებგვერდი – www.cu.edu.eg/); *ალექსანდრიის უნივერსიტეტი*, დაარსდა 1938 წელს (ვებგვერდი – www.alex.edu.eg/); *'აინ შამსის უნივერსიტეტი*, დაარსდა 1950 წელს, სწავლობს 50 000 სტუდენტი (ვებგვერდი – www.shams.edu.eg); *ალ-აზჰარის უნივერსიტეტი*, დაარსდა 975 წელს. ეს არის ისლამური უნივერსიტეტი, დაფუძნებისას იყო შიიტური, ახლა კი – სუნიტურია (ვებგვერდი – www.azhar.edu.eg/); *ამერიკული უნივერსიტეტი* კაიროში, დაარსდა 1919 წელს, არის კერძო და სწავლება ინგლისურ ენაზეა (ვებგვერდი – www.aucegypt.edu/); *გერმანული უნივერსიტეტი*, რომელიც დაარსდა 2003 წელს. ეს არის პირველი გერმანული უნივერსიტეტი გერმანიის გარეთ (ვებგვერდი – www.guc.edu.eg/).

ფუნტის ერთეული – ეგვიპტური (ფუნტი) გინეა. ის იყოფა 100 პიასტრად (არაბ. კირშ) ან 1000 მილიმად. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 5,4 გინეას.

ერაყის რესპუბლიკა
العراق جمهورية

გეოგრაფია. ერაყი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. აღმოსავლეთით ესაზღვრება ირანი (საზღვრის სიგრძეა 1 458 კმ), სამხრეთით – საუდის არაბეთი (814 კმ) და ქუვეითი (242 კმ), დასავლეთით – სირია (605 კმ) და იორდანია (181 კმ), ჩრდილოეთით – თურქეთი (331 კმ). სამხრეთით ერაყს აკრავს სპარსეთის ყურის წყლები. საზღვრების საერთო სიგრძეა 3 631 კმ, სანაპირო ზოლისა – 58 კმ. ქვეყნის საერთო ფართობი – 438,317 კვ. კმ.

მოსახლეობა. ქვეყნის მოსახლეობა არის 29,267,000 (2007 წ. მონაცემები). მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 66 ადამიანს შეადგენს. მოსახლეობის 75% არაბებია, 15% – ქურთები, დანარჩენი 5% – თურქები, ასირიელები, სომხები. სახელმწიფო ენებია არაბული და ქურთული. გავრცელებულია აგრეთვე ასირიული და სომხური ენა. სახელმწიფო რელიგია არის ისლამი. მოსახლეობის 97% მუსლიმია. აქედან შიიტები – 65% (ძირითადად არაბები, მცირე ნაწილი თურქმენები და ქურთები); სუნიტები – 35% (არაბები და თურქმენები ეკუთვნიან ჰანაფიტურ მაზჰაბს, ქურთები – შაფიიტურს). სხვა სარწმუნოების აღმსარებლები შეადგენენ მოსახლეობის 3%-ს. ერაყის ქრისტიანული მოსახლეობის დიდ ნაწილს, სომხებთან ერთად, შეადგენენ ეთნიკური ასირიელები. 2006 წლის მონაცემებით, დაახლ. 1,8 მლნ ერაყელი გადავიდა საცხოვრებლად მეზობელ ქვეყნებში, ხოლო 1,6 მილიონმა ერაყელმა არალეგალურად დატოვა ქვეყანა (ყოველთვე დაახლ. 100,000 ერაყელი გადადის სირიასა და იორდანიაში). 2007 წელს 7 თვის განმავლობაში მხოლოდ 69 ერაყელმა მიიღო დევნილის სტატუსი აშშ-ში.

ჰავა. ჩრდილოეთში არის ხმელთაშუა ზღვის ჰავა – კონტინენტური. ზაფხული მშრალი და ცხელია, ზამთარი – თბილი. საშუალო ტემპერატურა იანვარში არის

7°C; აგვისტოში – 34°C. სამხრეთით ჰავა არის ტროპიკული. იანვრის საშუალო ტემპერატურა – 11°C. აგვისტოში – 34°C (ზოგჯერ მატულობს 50°C-მდე).

დედაქალაქი – ბაღდადი (2007 წლის მონაცემებით, 9,000,000 მცხოვრები).

ისტორიული ნარკვევი. დღევანდელი ერაყი არის ძველი მესოპოტამიის ტერიტორიაზე. ძვ. წ. VI ს-ში მესოპოტამია შევიდა სპარსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ხოლო მისი დაცემის შემდეგ, ძვ. წ. 331 წ. ალექსანდრე დიდის იმპერიის ნაწილი გახდა. მოგვიანებით, ქვეყანა შევიდა რომის, მისი დაცემის შემდეგ კი – ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში. მერე კვლავ სპარსელთა ბატონობის ქვეშ მოექცა, ხოლო VII ს-ში (633-642) არაბებმა დაიმორჩილეს. 762 წელს დაარსდა ბაღდადი, აბასიანთა დედაქალაქი. VIII-IX სს-ში ერაყი იყო მუსლიმური სამყაროს მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრი. 1258 წელს დაიპყრეს მონღოლებმა. ქვეყანა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო 1534 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე (1707-1831წწ. პერიოდის გარდა, როცა ქვეყანას მართავდნენ ბაღდადის მამლუქები). XIX საუკუნიდან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები – საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი – დიდ ინტერესს იჩენენ ერაყისადმი, ისევე როგორც ახლო აღმოსავლეთის რეგიონისადმი. პირველი მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის არმია იბრძოდა თურქეთის წინააღმდეგ, რომელმაც ოსმალეთის იმპერიის დაცემასთან ერთად დაკარგა ერაყიც. 1921 წელს ერაყი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო – კონსტიტუციური მონარქია, მაგრამ 1930 წლამდე დიდ ბრიტანეთს ჰქონდა მანდატი ერაყის მმართველობაზე. 1932 წელს ერაყი გახდა ერთა ლიგის წევრი როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. 1955 წელს ინგლისის აქტიური მონაწილეობით ბაღდადში გაფორმდა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი – ბაღდადის პაქტი, რომელშიც შევიდნენ ერაყი, ირანი, თურქეთი და პაკისტანი. ინგლის-ერაყის 1955 წლის შეთანხმებით, რომელმაც შეცვალა 1930 წლის შეთანხმება, ინგლისი ინარჩუნებდა სამხედრო-პოლიტიკურ კონტროლს ერაყზე, რაც იწვევდა ერაყელი ხალხის უკმაყოფილებას. ბაღდადის პაქტიდან ერაყის გამოსასვლელად გაერთიანდა ქვეყნის ეროვნულ-პატრიოტული ძალები. 1954 წელს დაარსდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია – ბაასი, რომელიც ძალიან პოპულარული გახდა მოსახლეობაში. 1958 წელს ერაყი და იორდანიის სამეფო გაერთიანდა და ჩამოყალიბდა *არაბული ფედერაცია.*

1958 წლის 14 ივლისს ერაყის არმიის ოფიცერთა ჯგუფი, გენერალ აბდულ ქარიმ კასიმის და პოლკოვნიკ აბდულ სალამ არიფის ხელმძღვანელობით, გამოვიდა მმართველი რეჟიმის წინააღმდეგ. მათ დაიკავეს მეფის სასახლე და სამთავრობო დაწესებულებები. სამხედროებს შეუერთდა სამოქალაქო მოსახლეობაც და დედაქალაქი და შემდეგ მთელი ქვეყანა აჯანყებულთა კონტროლქვეშ აღმოჩნდა. მეფე ფაისალ II და მისი ოჯახი, პრემიერ-მინისტრი ნური საიდი და ძველი რეჟიმის რამდენიმე მმართველი დააპატიმრეს და დახოცეს. ქვეყანაში დაემხო მონარქია და გამოცხადდა ერაყის რესპუბლიკა. სახელმწიფოს მეთაურად დაინიშნა *აბდულ ქარიმ კასიმი ('აბდ ალ-ქარიმ კასიმი, 1958-1963),* რომლის დროსაც ერაყი გამოვიდა ბაღდადის პაქტიდან, ერაყისა და იორდანიის არაბული ფედერაციიდან, დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა ყველა კომუნისტურ ქვეყანასთან. მიიღეს დროებითი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მეთაური გახდა პრეზიდენტი და იგი იმავდროულად იყო რევოლუციური ხელმძღვანელობის ეროვნული საბჭოს (ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო) თავმჯდომარეც. 1958 წლის ივლისის რევოლუციური მოვლენები შეფასდა ანტიკოლონიურ ეროვნულ რევოლუციად. 1963 წლის სახელმწიფო გადატრიალების შედეგად დაემხო კასიმის დიქტატურა და პრეზიდენტი გახდა *აბდულ სალამ არიფი (არაბ. 'აბდ ას-სალიმ 'არიფი),* რომელიც 1966 წელს ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ამის შემდეგ პრეზიდენტი გახდა მისი ძმა – *აბ-*

დულ რაჰმან არიფი ('აბდ არ-რაჰმან 'არიფი). სახელმწიფო გადატრიალებათა სერიის შედეგად 1968 წელს ხელისუფლების სათავეში მოვიდა პანარაბული ბაასის პარტია, ქვეყნის პრეზიდენტი აბდულ რაჰმან არიფი დააპატიმრეს და ქვეყნიდან გააძევეს. საპრეზიდენტო ხელისუფლება გადაეცა ბაასის პარტიის ლიდერს – *აჰმედ ჰასან ალ-ბაქრს (არაბ. აჰმად ჰასან ალ-ბაქრი, 1968-1979).* 1970 წლის დროებითი კონსტიტუციით, ერაყი გამოცხადდა „სუვერენულ სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად". 1974 წლის 11 მარტს მიიღეს კანონი ერაყის ქურთისტანის ავტონომიის შესახებ და შესაბამისი ცვლილებები აისახა ქვეყნის დროებით კონსტიტუციაში. კანონით გამოცხადდა ქურთული ავტონომიური რაიონის შექმნა ცენტრით ქ. ერბილში.

1979 წელს ქვეყნის პრეზიდენტი გახდა *სადამ ჰუსეინი (არაბ. სადდამ ჰუსაინ 'აბდ ალ-მაჯიდ ათ-თიქრითი, 1979-2003),* რომელმაც მიზნად დაისახა თავისი სრული იდეოლოგიური, პოლიტიკური და ადმინისტრაციული კონტროლის დამყარება ქვეყანაში. საპასუხისმგებლო პოსტებზე პარტიაში, არმიაში და სახელმწიფო აპარატში ინიშნებოდნენ მხოლოდ ბაასის პარტიისა და პირადად სადამ ჰუსეინის ერთგული პირები.[50] ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა არმია და უშიშროების სამსახური. ერაყის პოლიტიკურ ცხოვრებას მუდმივ ფონად გასდევდა რეჟიმის მოწინააღმდეგეთა მკვლელობა ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, შეთქმულებების აღკვეთა, არმიისა და პარტიის „პერიოდული წმენდა". რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭომ აკრძალა ერაყის კომუნისტური პარტიის საქმიანობა. ბაასის პარტია მალე გადაიქცა მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციად მკაცრი იერარქიით. პარტიის შიგნით კი დაიწყო შიიტების სუნიტებით შეცვლის ტენდენცია. უკვე 70-იანი წლებისათვის პარტიის მმართველ აპარატში 80%-ს სუნიტები შეადგენდნენ (უკვე 1932 წლის შემდეგ ხელისუფლება აღმოჩნდა არაბი-სუნიტების ხელში და მათ შეინარჩუნეს ძალაუფლება 2003 წლამდე). სადამ ჰუსეინი ერთდროულად იყო ქვეყნის პრეზიდენტი, რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს თავმჯდომარე, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და ბაასის პარტიის გენერალური მდივანი, ხოლო 1994 წლის მაისიდან – პრემიერ-მინისტრი. 1979 წლის ირანის ისლამურმა რევოლუციამ, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური რეჟიმების სტაბილიზაციას, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ერაყზე. ოპოზიციურმა შიიტურმა თემმა დაიწყო ანტისამთავრობო გამოსვლები, რომლებსაც სათავეში ჩაუდგა პარტია – *ად-და'ვა* („მოწოდების პარტია"). ერაყის მთავრობამ გაასახლა ქვეყნიდან შიიტები და გაამკაცრა პოლიტიკა რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებაში. ერაყმა დაადანაშაულა აიათოლა ხომეინი ექსპანსიის განხორციელების მცდელობაში არა მარტო ერაყის, არამედ სპარსეთის ყურის რეგიონის სხვა ქვეყნებთან მიმართებაშიც.1980 წელს სადამ ჰუსეინმა წამოიწყო ომი ირანთან. სამხედრო მოქმედებების დაწყების საბაბი გახდა ირანის უარი შეესრულებინა 1975 წლის ხელშეკრულების პირობები, რომელსაც ხელი მოაწერეს ბაღდადში ირანის შაჰმა ფეჰლევიმ და სადამ ჰუსეინმა. ხელშეკრულება ავალდებულებდა ირანს გადაეცა სასაზღვრო ტერიტორიების ნაწილი ერაყისათვის. 1980 წლის 17 სექტემბერს ერაყის მთავრობამ გამოაცხადა ნავთობით მდიდარ შატ ალ-'არაბის რაიონზე თავისი სუვერენიტეტის აღდგენის შესახებ. ტერიტორიული პრობლემის პარალელურად რეალურ მიზეზად სახელდება ორი ქვეყნის ლიდერთა მისწრაფება

---

[50] სადამ ჰუსეინი შევიდა გინესის რეკორდების წიგნში პრეზიდენტის რანგში. მას ყველაზე მეტი სასახლე ჰქონდა და ყველაზე მეტი ნათესავი ჰყავდა ხელისუფლებაში. 1998 წლიდან მოყოლებული ყოველ წელს, პრეზიდენტის დაბადების დღეზე, იხსნებოდა ახალი მეჩეთი. 1997 წელს, 60 წლის იუბილეზე, სადამ ჰუსეინმა დაავალა კალიგრაფთა ჯგუფს დაეწერა წმინდა ყურანის ტექსტი და მელნის ნაცვლად გამოეყენებინათ მისი სისხლი. როგორც ცნობილია, ყურანი შედგება 336 ათასი სიტყვისაგან და ამ წიგნის გადაწერას 3 წელი დასჭირდა. 63 წლის ასაკში, საზეიმო ცერემონიალზე სადამ ჰუსეინმა მიიღო სასურველი საჩუქარი.

სპარსეთის ყურის რეგიონში ჰეგემონიისათვის. 1988 წელს ირან-ერაყის ომი დასრულდა ერაყის დამარცხებით. სადამ ჰუსეინმა ეს ომი გამოიყენა თავისი დიქტატორული რეჟიმის განსამტკიცებლად. ის მიისწრაფოდა გადაექცია თავისი ქვეყანა სამხრეთის მსხვილ სახელმწიფოდ, რომელიც დაუპირისპირდებოდა აშშ-ს და ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი იყო სამხედრო კონფლიქტი ერაყსა და ქუვეითს შორის. 1990 წლის აგვისტოში ერაყი თავს დაესხა მეზობელ ქუვეითს, რომელიც თავის პროვინციად გამოაცხადა („მე-19 პროვინცია"). აშშ-ს ინიციატივით, ერაყის მთავრობა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მხრიდან დიპლომატიურ და ეკონომიკურ იზოლაციაში აღმოჩნდა. მოკავშირეთა არმიამ აშშ-ს ხელმძღვანელობით მიიღო გაეროს მანდატი ძალის გამოყენებაზე. 1991 წლის თებერვალში აშშ-მ ჩაატარა სამხედრო ოპერაციები არაბეთის უდაბნოს რაიონებში კოდური სახელით – „უდაბნოს ქარიშხალი", რომელიც 6 კვირას გაგრძელდა. ამერიკის ავიაციამ სწრაფად გამოიყვანა მწყობრიდან ერაყის სამხედრო ქვედანაყოფები. თუმცა ამერიკელებმა უარი თქვეს სამხედრო მოქმედებების გადატანაზე ერაყის ტერიტორიაზე, რადგანაც დარწმუნებული იყვნენ სადამ ჰუსეინის დასუსტებული რეჟიმის დაცემაში. იმავდროულად დასავლეთის პოლიტიკოსებს ეშინოდათ ერაყის სახელმწიფოს შესაძლო დაშლის და არ სურდათ დაეშვათ სპარსეთის ყურის ზონაში პოლიტიკურ ძალთა ბალანსის ცვლილება. 1991 წლის 28 თებერვალს ერაყმა კაპიტულაცია გამოაცხადა, რასაც მოჰყვა გაეროს სანქციების გამკაცრება ქვეყანაში. 1991 წლის მარტში აჯანყდნენ შიიტები, რომლებმაც დაიკავეს ვრცელი ტერიტორია ბასრიდან ჰილამდე (ქალაქები, რომლებიც განლაგებულია ბაღდადის სამხრეთით 100 კმ-ში). ერაყის სამხრეთში შეიქმნა „ისლამური რესპუბლიკის" შექმნის საშიშროება. სადამ ჰუსეინმა უმოწყალოდ ჩაახშო შიიტების აჯანყება. იმავე პერიოდში ერაყში აჯანყდნენ ქურთები, რასაც მოჰყვა ამერიკის არმიის შესვლა ჩრდილოეთ ერაყში და იქ „უსაფრთხოების ზონის" შექმნა. 1994 წელს ერაყმა ცნო ქუვეითის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. 1995 და 1998 წელს ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა სარაკეტო დარტყმები განახორციელეს ერაყზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის დარღვევის გამო. ამას მოჰყვა დიდი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში და უკიდურესად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია მსოფლიოში. ვითარება გართულდა ქვეყნის შიგნითაც. კვლავ აჯანყდნენ ქურთები, რომლებიც საკუთარი სახელმწიფოს შექმნას მოითხოვდნენ. ბაასის პარტიის მოწინააღმდეგეები მოითხოვდნენ ქვეყნის დემოკრატიზაციას და სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობას. ქვეყანაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის კონტროლს სადამ ჰუსეინი ახერხებდა მხოლოდ გამკაცრებული რეპრესიული ზომებით დიქტატორული რეჟიმის პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ.

2002 წლის იანვარში ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უმც.), თავისი „ბოროტების ღერძის" დოქტრინის თანახმად, ამერიკისა და მსოფლიოს მტრებად გამოაცხადა ის ქვეყნები, სადაც, მისი ინფორმაციით, ტარდებოდა მუშაობა მასობრივი განადგურების იარაღის შექმნასა და წარმოებაზე. ამერიკის პრეზიდენტმა „ბოროტების ღერძად" მიიჩნია ერაყი, ირანი და ჩრდილოთ კორეა. ოფიციალურად აგრესიის მიზეზად დასახელდა აგრეთვე სადამ ჰუსეინის რეჟიმის კავშირი საერთაშორისო ტერორიზმთან, სახელდობრ ალ-კა'იდასთან.[51] 2003 წლის 18 მარტს ჯორჯ ბუშმა ულტილატუმი წაუყენა სადამ ჰუსეინს – ან უარი ეთქვა ხელისუფლებაზე და დაეტოვებინა ქვეყანა თავის ვაჟებთან ერთად 48 სთ-ის განმავლობაში ან დაიწყებოდა სამ-

[51] პოლიტოლოგები მიუთითებდნენ, რომ ჯ. ბუშმა (უმცრ.) სასტიკად დასაჯა სადამ ჰუსეინი თავისი მამის ღირსების შელახვის გამო. მრავალი წლის განმავლობაში ბაღდადის სასტუმრო „რაშიდის" შესასვლელში, იატაკზე იყო ჯორჯ ბუში-უფროსის მოზაიკური პორტრეტი დრაკულას გამოსახულებით. ყველა, ვინც შედიოდა სასტუმროში, იძულებული იყო გაევლო ამ პორტრეტზე.

ხედრო ოპერაცია ერაყის წინააღმდეგ. სადამმა უარი განაცხადა ქვეყნის დატოვებაზე.[52] 2003 წლის 20 მარტს ერაყში სამხედრო მოქმედება დაიწყეს ამერიკის და ბრიტანეთის სამხედრო ძალებმა, რომელთაც შეუერთდნენ სხვა სახელმწიფოების სამხედრო ქვედანაყოფებიც. ოფიციალურად არც გაერო და არც ნატო ამ ოპერაციაში არ მონაწილეობდა. ქუვეითი იყო მთავარი პლაცდარმი, საიდანაც ამერიკა-ინგლისის კოალიციურმა არმიამ (150 000) დაიწყო სამხედრო ოპერაცია ერაყზე. სადამ ჰუსეინი ყოველ სამ საათში იცვლიდა ადგილსამყოფელს. 2003 წლის 9 აპრილს კოალიციის ჯარებმა დაიკავეს ბაღდადი. კამპანია გაგრძელდა 43 დღე და დასრულდა 1 მაისს. საბოლოოდ, სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაემხო, დაწესდა სამხედრო კონტროლი და ქვეყანაში დროებით ხელისუფლება გადაეცა კოალიციურ ადმინისტრაციას. ერაყის მოვლენები ამერიკამ შეაფასა როგორც „მეწამული რევოლუცია". 2003 წლის 12 მაისს ადმინისტრაციის თავმჯდომარედ დაინიშნა აშშ-ს სპეციალური წარმომადგენელი – პ. ბრემერი. ამ ადმინისტრაციის ეგიდით ჩამოყალიბდა დროებითი კოალიციური ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოები: *ერაყის დროებითი ადმინისტრაცია, ერაყის დროებითი მმართველი საბჭო, გარდამავალი ხელისუფლება* და *ერაყის განვითარების ფონდი.* ერაყში დარჩა კოალიციური ჯარები (დაახლ. 140 000 ჯარისკაცი). ამ სამხედრო ოპერაციის შემდეგ ერაყელებმა, რომლებსაც პრაქტიკულად წინააღმდეგობა არ გაუწევიათ მოკავშირეთა რეგულარული არმიისათვის, დაიწყეს მათ წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი პარტიზანული მოძრაობა. ამერიკელებს შეხვდნენ როგორც აგრესორებს. მით უმეტეს, რომ ქვეყანაში ვერ აღმოაჩინეს აკრძალული იარაღის საიდუმლო საწყობები. სახელისუფლებო ვაკუუმით, უპირველეს ყოვლისა, ისარგებლეს სხვადასხვა კონფესიების რელიგიურმა ლიდერებმა, რომლებიც, სადამ ჰუსეინის სამოქალაქო დიქტატურის მიუხედავად, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ მოსახლეობაში. ამიტომ ამერიკელებმა დაიწყეს დიალოგი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან. 2003 წლის 13 დეკემბერს სადამ ჰუსეინი დააპატიმრეს, დასახლება ად-დაურის ახლოს, მშობლიური თიქრითიდან 15 კმ-ზე.[53] სასამართლომ სადამ ჰუსეინს ბრალად წაუყენა: 1988 წელს მომწამვლელი გაზის გამოყენება ქურთული მოსახლეობის მიმართ ჰალაბჯაში, სადაც ერთ დღეში 5 ათასი ქურთი დაიღუპა; 1987-88 წელს სამხედრო ოპერაცია „ალ-ანფალის" განხორციელება, რომლის შედეგადაც განადგურდა 80 ქურთული სოფელი; შიიტთა აჯანყების ჩახშობა 1991 წელს; ქუვეითზე თავდასხმა 1990 წელს; შიიტი სასულიერო პირებისა და ერაყელი ოპოზიციონერი პოლიტიკური ლიდერების დახოცვა; კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულობები, რაც გულისხმობს ადამიანთა წინასწარ დაგეგმილ მკვლელობებს. 2006 წლის 30 დეკემბერს სადამ ჰუსეინი ჩამოახრჩეს.

2008 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, ერაყში იყო ამერიკის 19 საბრძოლო ბრიგადა, რომელიც დაახლ. 155 000 სამხედროს ითვლის. ამის გარდა ერაყის ტერიტორიაზე იყო ამერიკის შეიარაღებული ძალების სპეციალური დანიშნულების 5 ათასი სამხედრო მოსამსახურე. საერთაშორისო კოალიციის მონაწილე სხვა ქვეყნე-

---

[52] 2002 წლის 15 ოქტომბერს სადამ ჰუსეინს გაუგრძელდა პრეზიდენტობის ვადა კიდევ 7 წლით. რეფერენდუმზე მან მიიღო ხმების 100%.

[53] ერაყის ყოფილი დიქტატორი, სადამ ჰუსეინი დააკავეს 2003 წლის დეკემბერში. ის გასცეს უახლოესმა ნათესავებმა, მისივე დაცვის წევრებმა – იბრაჰიმ მასლატმა და მუჰამად ჰათუშმა (ამოიცნო ვიცე-პრემიერ-მინისტრმა – ტარიკ 'აზიზმა). სასამართლოს წინაშე წარსდგა აგრეთვე სადამ ჰუსეინის 11 თანამოაზრე, მათ შორის ვიცე-პრეზიდენტი – ტაჰა იასინ რამადანი. ერაყის მეორე ვიცე-პრეზიდენტი – იზათ იბრაჰიმ ად-დური, რომელიც სადამის „მარჯვენა ხელად" ითვლებოდა, დღემდე იძებნება. მას გენერალ-ლეიტენანტის წოდება ჰქონდა, მაგრამ უმაღლესი განათლება არ მიუღია. 90-იანი წლებიდან, სადამ ჰუსეინს ერაყი არ დაუტოვებია და იზათი წარმოადგენდა ქვეყანას არაბულ და ისლამურ სამიტებზე. ერაყის ამჟამინდელი ხელისუფლება მას სადამ ჰუსეინის ყველა სასტიკი დანაშაულის თანამონაწილედ მიიჩნევს.

ბის (25 ქვეყანა) სამხედროების რაოდენობამ შეადგინა 9,9 ათასი ადამიანი. მათგან ყველაზე დიდი კონტინგენტი ჰყავდათ დიდ ბრიტანეთს (4,1 ათასი) და საქართველოს (2 ათასი).[54]

2008 წლის 17 ნოემბერს, 11 თვიანი მოლაპარაკებების შემდეგ, ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ. ზიბარიმ და აშშ-ს ელჩმა ბაღდადში რ. კროკერმა ხელი მოაწერეს 2 დოკუმენტს: „შეთანხმება ერაყიდან აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაყვანის და მათი საქმიანობის შესახებ დროებითი ყოფნის პერიოდში" და „ჩარჩო ხელშეკრულება აშშ-ერაყის თანამშრომლობაზე უსაფრთხოების სფეროში". 27 ნოემბერს ორივე დოკუმენტი მოიწონა ერაყის პარლამენტის წარმომადგენლობითმა პალატამ და შემდეგ დაამტკიცეს ერაყის საპრეზიდენტო საბჭოს წევრებმა. ამერიკის მხრიდან არ არის საჭირო შეთანხმების რატიფიკაცია კონგრესის მიერ. შეთანხმება აშშ-ს ჯარების გაყვანის შესახებ 31 პუნქტისაგან შედგება და ითვალისწინებს ამერიკის სამხედრო შენაერთების გასვლას ერაყის ტერიტორიიდან არა უგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრამდე. თუმცა აშშ-ს შეიარაღებული ძალების საბრძოლო ნაწილებმა 2009 წლის 30 ივნისამდე უნდა დატოვონ „ერაყის ქალაქები, სოფლები და მათი მიმდებარე ტერიტორიები". ამის შემდეგ ისინი დისლოცირდებიან სპეციალურად შეთანხმებულ ადგილებში და მხოლოდ ერაყის შეიარაღებული ძალები აიღებენ სრულ პასუხისმგებლობას ქვეყნის უსაფრთხოებაზე. შეთანხმება ძალაში შევა 2008 წლის 31 დეკემბერს, როცა საერთაშორისო კოალიციის ჯარებს უწყდებათ ერაყში ყოფნის მანდატი.

სახელმწიფო წყობა. 2003 წლამდე ერაყში მმართველობის ფორმა იყო დემოკრატიული რესპუბლიკა. თუმცა სადამ ჰუსეინს ჰქონდა ავტორიტარული რეჟიმი. 2004 წლის 8 მარტს ერაყის დროებითი მმართველობის საბჭომ მიიღო დროებითი კონსტიტუცია, რომელსაც უნდა ემოქმედა მთელი გარდამავალი პერიოდის მანძილზე (2004 წლის ივნისი – არა უგვიანეს 2005 წლის 31 დეკემბერი). 2005 წლის 15 ოქტომბერს მიიღეს ერაყის მუდმივი კონსტიტუცია (139 მუხლისაგან შედგება), რომელიც რეფერენდუმზე მოიწონეს (79%). მას ხმა არ მისცეს მხოლოდ არაბმა სუნიტებმა. კონსტიტუციით ერაყი გამოცხადდა დამოუკიდებელ, სუვერენულ, დემოკრატიულ და ფედერალურ სახელმწიფოდ, მმართველობის საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმით. ისლამი გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად და კანონმდებლობის ძირითად წყაროდ. კონსტიტუციაში ერაყი დახასიათებულია მრავალეთნიკურ და მრავალეროვნულ სახელმწიფოდ, რომელიც არის ისლამური სამყაროს ნაწილი, ხოლო მისი ხალხი – არაბი ერის ნაწილი. ოფიციალური ენა არაბული და ქურთულია. ამასთანავე, ნებისმიერ რაიონს და პროვინციას შეუძლია გამოიყენოს დამატებით ადგილობრივი ენა იმ პირობით, რომ ამ რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა მოიწონებს მას საყოველთაო რეფერენდუმზე. აიკრძალა ისეთი ორგანიზაციები და საზოგადოებები, რომლებიც ეფუძნება რასიზმს და ტერორიზმს. ძირითად აკრძალულ პარტიად გამოცხადდა ბაასის პარტია. საგანგებოდ არის მითითებული, რომ ამ პარ-

[54] 2008 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, ერაყში იყო ამერიკის 15 საბრძოლო ბრიგადა, რომლის შემადგენლობაში იყო 146 ათასი სამხედრო. ამერიკული სამხედრო შენაერთები ძირითადად დისლოცირებულია ქვეყნის ცენტრალურ და ჩრდილოეთ რაიონებში. კოალიციის სხვა ქვეყნების სამხედროების რაოდენობა შეადგენს 6,3 ათასს. ყველაზე დიდი კონტინგენტი ჰყავს დიდ ბრიტანეთს (4,1 ათასი ადამიანი) და სამხრეთ კორეას (520 ადამიანი). 2008 წლის ოქტომბერში თავიანთი სამხედრო ქვედანაყოფების გაიყვანეს ერაყიდან სომხეთმა (46 ადამიანი), ყაზახეთმა (27 ადამიანი) და პოლონეთმა (900 ადამიანი). საერთაშორისო კოალიციის ჯარებს (აშშ-ს გარდა) ერაყში ყოფნის მანდატი შეუწყდებათ 2008 წლის 31 დეკემბერს. 2009 წლის შუა რიცხვებამდე დარჩებიან დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიის (300 ადამიანი), რუმინეთის (600 ადამიანი), სალვადორის (200 ადამიანი) და ესტონეთის (38 ადამიანი) სამხედრო შენაერთები.

ტიის წევრებს არ შეუძლიათ დაიკავონ უმაღლესი პოსტები საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებაში.

ერაყის საკანონმდებლო ორგანო არის ორპალატიანი პარლამენტი – წარმომადგენელთა პალატა და კავშირის საბჭო. წარმომადგენლობით საბჭოში საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით აირჩევა ერთი დეპუტატი ქვეყნის ყოველ 100 000 მცხოვრებზე. მისი მოქმედების ვადა 4 წლით განისაზღვრება (275 დეპუტატი). კავშირის საბჭოში შედიან რაიონებისა და პროვინციების წარმომადგენელები. საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა 2005 წლის 15 დეკემბერს. ქურთებმა პარლამენტში 43 ადგილი მიიღეს. ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი. 2005 წლის 6 აპრილიდან ერაყის მეექვსე პრეზიდენტი გახდა ქურთი *ჯალალ ტალაბანი* (დაბად. 1933წ.) – სუნიტი მუსლიმი. ორი ვიცე-პრეზიდენტიდან ერთი შიიტია და ერთი სუნიტი. ქვეყნის პრეზიდენტი აირჩევა 4 წლის ვადით წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ხმების უმრავლესობით (2/3), მაგრამ პრეზიდენტის არჩევა მეორე ვადით არ არის გათვალისწინებული. ფაქტობრივად, კონსტიტუციის ამ ვარიანტმა განამტკიცა საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმა, მაგრამ სახელმწიფოს სათავეში არის საპრეზიდენტო საბჭო. პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები შეადგენენ საპრეზიდენტო საბჭოს.

პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების პოსტზე კანდიდატურების წარდგენისათვის აუცილებელია საუნივერსიტეტო განათლება. მინისტრთა კაბინეტის წევრებს ამტკიცებს წარმომადგენლობით საბჭო. 2006 წლის 20 მაისიდან ქვეყნის პრემიერ-მინისტრია შიიტი – *ნური ქამილ ალ-მალიქი* (დაბად.1950 წ.), რომელიც არის აგრეთვე ისლამური და'ვა პარტიის („მონოდების პარტია") გენერალური მდივანი. მისი ფსევდონომია ჯავადი. ამჟამად მინისტრთა კაბინეტი 37 მინისტრით არის დაკომპლექტებული.

კონსტიტუციამ ერაყში დააწესა სახელმწიფო მოწყობის ფედერალური ფორმა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, დიდი ავტონომია აქვთ მინიჭებული რაიონებს. ასევე დიდი უფლებები მიენიჭათ ეროვნულ უმცირესობებს ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ, კულტურულ და საგანმანათლებლო სფეროებში. 2008 წლის 3 ოქტომბერს საპრეზიდენტო საბჭომ დაამტკიცა პარლამენტის მიერ მიღებული ახალი კანონი პროვინციებში ხელისუფლების ორგანოების არჩევნების შესახებ. კანონში არის მუხლი, რომელიც უწესებს კვოტებს რელიგიურ და ეროვნულ უმცირესობებს. ამასთანავე ახლად არჩეულ პროვინციების საბჭოებს უფლება ექნებათ მიიღონ გადაწყვეტილება პროვინციების გარდაქმნის შესახებ ავტონომიურ ფედერალურ ოლქებად. ახალი კანონით არჩევნები ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში დაგეგმილია 2009 წლის 31 იანვარს.

ქვეყანა ადმინისტრაციულად დაყოფილია 18 პროვინციად (მუჰაფაზა). სამი მათგანი არის ერაყის ქურთისტანის რეგიონში.

ქვეყნის ეროვნული დღესასწაული – 17 ივლისი, რევოლუციის დღე (1958წ.).

პოლიტიკური პარტიები. ერაყის პოლიტიკური პარტიების ლეგალიზაცია მოხდა 1960 წლის კანონით. ერაყში მოქმედებს დაახლ. 150 პოლიტიკური პარტია, მათ შორის კომუნისტური პარტია. 2005 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 75 პარტიამ. ქვეყნის პრეზიდენტი არის ერაყის ქურთული პოოლიტიკური პარტიის – „ქურთისტანის პარტრიოტული კავშირის" – გენერალური მდივანი. სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და კარგად ორგანიზებული პოლიტიკური პარტია არის შიიტური ისლამისტური პარტია – „ერაყის უმაღლესი ისლამური საბჭო". პარტია შეიქმნა ირანში 1980-1982 წლებში ერაყის სხვადასხვა შიიტური დაჯგუფებების აქტივისტების მიერ, რომლებიც გაექცნენ სადამ ჰუსეინის რეპრესიებს. აქვე ჩამოყალიბდა მისი შეიარაღებული რაზმები – „ბადრის ბრიგადები". დღეს პარტიას აქვს მყარი პოზიციები ერაყის სახელმწიფო

აპარატში და ძალოვან სტრუქტურებში. პარლამენტში პარტიას აქვს 29 ადგილი 275-დან. პარტია გამოდის ავტონომიური შიიტური რეგიონის შექმნის მოთხოვნით, რომელსაც ექნება ფართო უფლებამოსილებები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შიიტური რეგიონის შემადგენლობაში არ მოიაზრებენ ბაღდადს, რადგანაც მისი მრავალრიცხოვანი შიიტური მოსახლეობა მხარს უჭერს სხვა გავლენიან შიიტ ლიდერს – მ. ასსადრას. ერაყის უმაღლესი ისლამური საბჭოს მთავარი მოკავშირე არის შიიტური ისლამისტური პარტია – „ად-და'ვა" („მოწოდება"), რომელსაც ხელმძღვანელობს ერაყის პრემიერ-მინისტრი, ნური ალ-მალიქი. თუმცა ამ ორ პარტიას შორის უთანხმოებაა ერაყის სახელმწიფო მოწყობის საკითხზე. „ად-და'ვა" ეწინააღმდეგება ერაყის „უკიდურეს ფედერალიზაციას".

ეკონომიკა. ერაყის ეკონომიკა მთლიანად დამოკიდებულია ნავთობის სექტორზე, რაც შეადგენს საბიუჯეტო შემოსავლების 95%-ს. ნავთობის მარაგით ერაყი მეორე ადგილზეა საუდის არაბეთის შემდეგ. უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკა დაქვეითებას განიცდის. ჯერ კიდევ ირან-ერაყის ომმა ქვეყანას მოუტანა დიდი ფინანსური ზარალი – 100 მილიარდი დოლარი. ქუვეითთან ომს შედეგად მოჰყვა საერთაშორისო ეკონომიკური ემბარგო და სანავთობო მრეწველობის დაქვეითება. 2003 წელს, ერაყში ამერიკის სამხედრო ოპერაციამდე, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა 8 მლრდ დოლარი შეადგინა. ამასთანავე, მმართველი რეჟიმი ითვისებდა საექსპორტო შემოსავლების დიდ წილს, არღვევდა საერთაშორისო სანქციებს და დაკავებული იყო ნავთობის კონტრაბანდით მეზობელ ქვეყნებში და საზღვაო პორტებში. არსებობს ინფორმაცია, რომ ერაყის ხელისუფლება ყოველწლიურად ამ ოპერაციებით იღებდა დაახლ. 2-2,5 მლრდ. დოლარს. 2003 წელს ერაყის საგარეო ვალი შეადგენდა 120 მილიარდ დოლარს და 2004 წლისათვის 5 მილიარდი დოლარით გაიზარდა. 2004 წლის ბოლოს საოკუპაციო ხელისუფლებამ ქვეყნის აღდგენაზე დახარჯა მხოლოდ 7% (1,3 მლრდ დოლარი) 18,4 მლრდ დოლარიდან, რაც გამოყო აშშ-ს კონგრესმა ამ მიზნისათვის. მხოლოდ 2006 წლის პირველი ნახევრიდან ერაყმა დაიწყო ვალების რესტრუქტურიზაცია. 2008 წლის 22 დეკემბერს კრედიტორი-ქვეყნების პარიზის კლუბმა ჩამოაწერა ერაყს ბოლო ვალი (7,8 მლრდ დოლარი), რომელიც დაუგროვდა ერაყს სადამ ჰუსეინის მმართველობის პერიოდში. ბოლო სამი წლის განმავლობაში გააქტიურდა სანავთობო სექტორის მუშაობა. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა ერაყზეც. ნავთობზე ფასების მკვეთრი დაცემის გამო მთავრობა იძულებული გახდა შეემცირებინა 2009 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 78,8 მლრდ დოლარიდან 60,7 მილიარდამდე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დიდი ნაწილი თავმოყრილია კერძო სექტორის ხელში. სოფლის მეურნეობის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს სამუშაო ძალის უქონლობა, მლაშე ნიადაგები და მიწის რეფორმის წარუმატებლობა. მთავარი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ხორბალი, ქერი, ბრინჯი, ფინიკის პალმა, მზესუმზირა, ბოსტნეული, ხილი. ქვეყნისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სოციალური სფერო და მოსახლეობის უწყვეტი უზრუნველყოფა ელექტროენერგიითა და სასმელი წყლით. 2003 წლის შემდეგ ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა კორუფცია. 2006 წელს მას კორუფციის დონით ეკავა 160-ე ადგილი მსოფლიოში (2003 წელს 113-ე ადგილი). ერაყის ვაჭრობის ყოფილმა მინისტრმა დაადანაშაულა თავისი სამინისტროს თანამშრომლები 40 მლნ დოლარის მითვისებაში. მოხელეთა კორუფციას ხელს უწყობს დაბალი ხელფასები. ამერიკელმა აუდიტებმა დაადგინეს, რომ კოალიციური მთავრობის ხელმძღვანელებმა უკანონოდ მიიტაცეს 1,4 მლრდ დოლარი და გადარიცხეს ეს თანხა შვეიცარიის ბანკში. ერაყელები ამბობენ: „ძალიან მარტივია 3 გადააკეთო 30-ად, რადგანაც არაბულ ენაში ნოლი აღინიშნება როგორც წერტილი".

2008 წლის აგვისტოში ერაყმა და ჩინეთმა დადეს შეთანხმება, რომელიც უფლებას აძლევს ჩინეთის ნავთობგაზის კორპორაციას აწარმოოს ნავთობის მოპოვე-

ბის სამუშაოები ვასიტის პროვინციაში, ბაღდადის სამხრეთ-აღმოსავლეთით (ამ სამუშაოების ღირებულება 3 მლრდ დოლარს შეადგენს). ეს არის პირველი შეთანხმება, რომელიც დადო ერაყის მთავრობამ უცხოურ ფირმასთან სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ.

ექსპორტი: დაუმუშავებელი ნავთობი, მწვანე ზეთის ხილი (84%), ფინიკი და ხმელი ხილი, ცოცხალი პირუტყვი. *იმპორტი:* მძიმე მანქანათმშენებლობის პროდუქცია და სატრანსპორტო აღჭურვილობა, ხორბლეული, რკინა, წამლები. *სავაჭრო პარტნიორები:* იორდანია, სირია, თურქეთი, იაპონია, აშშ, იტალია, ესპანეთი, კანადა.

2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 113,9 მილიარდი დოლარი. ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავალი იყო 4,000 აშშ დოლარი.

განათლება. ერაყში სკოლამდელი აღზრდის სისტემამ ფართო გავრცელება ვერ პოვა. 1975 წლიდან სახელმწიფო განათლების მიღება უფასოა სწავლების ყველა საფეხურზე. დაწყებით სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა 6 წელია, საშუალო სკოლაში – 5 წელი. სკოლებში უპირატესად არის გოგონების და ვაჟების განცალკევებული სწავლება. ყველა საფეხურზე სავალდებულოა რელიგიის სწავლება. 1990 წელს ერაყი განათლების დონით პირველ ადგილზე იყო სპარსეთის ყურეში. ქვეყნის განათლების სისტემას დიდ ზიანი მიაყენა სპარსეთის ყურის პირველმა ომმა და გაეროს ეკონომიკურმა სანქციებმა. განათლებაზე იხარჯებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის მხოლოდ 8% (1990 წლამდე იხარჯებოდა 20%). 2003 წელს, ამერიკის სამხედრო ოპერაციის შემდეგ, დაიწყო განათლების რეფორმა იუნესკოს სპეციალური პროექტით: კურიკულუმიდან ბაასისტური იდეოლოგიის ამოღება, მასწავლებელთა ხელფასების გაზრდა, მასწავლებელთა გადამზადების პროგრამები, რაზედაც 1990 წელს უარი თქვა სადამ ჰუსეინის რეჟიმმა. ამ დროისათვის (2003წ.) ერაყში იყო დაახლ. 15 000 სკოლა, რომელთაგან 80%-ს სჭირდებოდა შეკეთება, არ იყო ელემენტარული სანიტარული პირობები, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკები. იონესკოს პროექტის ფარგლებში დაიწყო ამ სკოლების მოდერნიზაცია. ერაყში სავალდებულოა მხოლოდ დაწყებითი განათლება (6 წელი). გაეროს ექსპერტების მონაცემებით, 2006 წელს სკოლაში დადიოდა სასკოლო ასაკის ბავშვთა დაახლ. 53% (2005 წელს – 80%). დაახლოებით 1,5 ათასი ბავშვი და მოზარდი პატიმრობაშია, მათ შორის 500 – იმ ციხეებში, რომლებსაც აკონტროლებს ამერიკის სამხედრო შენაერთები. ერაყში არის სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემა: ბაკალავრიატი გრძელდება 4 წელი, 5 წელი დაწესებულია ვეტერინალური მედიცინის, ფარმაციის და სტომატოლოგიის სპეციალობებისათვის, ხოლო 6 წელი – სამკურნალო მედიცინისათვის. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლა 2 ან 3 წელი გრძელდება. დოქტორანტურაში კი – 3-8 წელი. ერაყში არის 19 უნივერსიტეტი, 9 ტექნიკური კოლეჯი და 38 ტექნიკური ინსტიტუტი. ყველაზე დიდი უმაღლესი სასწავლებელია *ბაღდადის უნივერსიტეტი* (დაარსდა 1957 წ.). 1967 წელს მისი ფილიალები ბასრასა და მოსულში დამოუკიდებელ სასწავლო დაწესებულებებად იქცა (ვებგვერდი –www.uob.edu.iq/). ცნობილია აგრეთვე *ალ-მუსთანსირიას შიიტური უნივერსიტეტი* (ეს სახელი ეწოდა შუა საუკუნეების სკოლის მიხედვით, რომელიც ააშენა ხალიფა ალ-მუსთანსირმა). ქვეყნის ქურთულ რაიონებში კადრების მოსამზადებლად ქ. სულაიმანიაში არის *ქურთული უნივერსიტეტი.* ერაყში აკადემიური წელი იწყება 1 ოქტომბერს და მთავრდება ივნისში.

ფულის ერთეული – ერაყის დინარი. ის იყოფა ათას ფილსად. 2008 წლის მონაცემებით, ერთი აშშ დოლარი უდრის 1,202 დინარს. 2004 წლის იანვარში დასრულდა ერაყის ახალი ვალუტის გამოშვების პროგრამა. უკვე 2003 წლის ივლისიდან მოსახლეობას შეეძლო გადაეცვალა ძველი ბანკნოტები აშშ-ს დოლარებზე, მაგრამ არა უმეტეს 2000 დოლარისა ერთ სულზე. ქვეყანაში თავისუფალ მიმოქცევაშია აშშ დოლარი, ევრო, სირიული ფუნტი და ქუვეითის დინარი.

თუნისის რესპუბლიკა
الجمهورية التونسية

გეოგრაფია. თუნისი მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში. დასავლეთით მას ესაზღვრება ალჟირი (საზღვრის სიგრძე 965კმ), სამხრეთით – ლიბია (459კმ), ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ქვეყანას აკრავს ხმელთაშუა ზღვის წყლები. საზღვრების საერთო სიგრძეა –1 424 კმ, სანაპირო ზოლის სიგრძე –1 148კმ. ქვეყნის საერთო ფართობი –163,610 კვ. კმ.

მოსახლეობა. თუნისის მოსახლეობა არის 10,327,800 (2008 წ. მონაცემები). მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე შეადგენს 1 კვ. კმ-ზე 62 ადამიანს. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი (98%) თუნისელი არაბები არიან, დაახლ. 1 % – ბერბერები და 1% – ევროპელები. სახელმწიფო ენა არაბულია. გავრცელებულია აგრეთვე ფრანგული და ბერბერული ენები. სახელმწიფო რელიგია არის ისლამი. მოსახლეობის 99,21% მუსლიმია. აქედან: 0,73% შიიტები; 99,17% – სუნიტები.

ჰავა. ქვეყნის ძირითად ტერიტორიაზე ჰავა არის თბილი. ზაფხულის საშუალო ტემპერატურა მერყეობს 22-დან 32°C-მდე, ზამთარში 5-12°C. ჩრდილოეთ ნაწილში ჭარბობს მშრალი, სუბტროპიკული კლიმატი, სამხრეთით – ცხელი, უდაბნოს ჰავა. წლის განმავლობაში რამდენჯერმე საჰარიდან ქრის ქარი – სიროკკო. ტემპერატურა ამის გამო შეიძლება აიწიოს 53-59 °C -მდე.

დედაქალაქი – თუნისი (2 მლნ მცხოვრები) მდებარეობს ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, დიდ ტბასთან.

ისტორიული ნარკვევი. უკვე ძვ. წ. XII ს-ში თანამედროვე თუნისის სანაპიროზე გაჩნდა პირველი ფინიკიური კოლონიები, რომელთაგან ყველაზე ცნობილი იყო კართაგენი, ხოლო ქვეყნის ცენტრალური ნაწილები რჩებოდა ბერბერთა კონტროლის ქვეშ. კართაგენის იმპერიამ აყვავებას მიაღწია ძვ. წ. VI ს-ში. მოგვიანებით ის რომის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. 633 წლიდან თანამედროვე თუნისის ტერიტორია ბიზანტიის მფარველობის ქვეშ იყო. 647 წელს დაიწყო არაბთა მიერ თუნისის დაპყრობა და აქ დამყარდა არაბთა ბატონობა. IX-XIIსს-ში თუნისს მართავდა აბასიანთა და ფატიმიანთა დინასტიები. 1159-1160 წლებში 'აბდ ალ-მუმინმა გააერთიანა თავისი ხელისუფლების ქვეშ ჩრდ. აფრიკის დას. ნაწილის მუსლიმები და დააარსა ალმოჰადების დინასტია. 1574 წელს თუნისის ტერიტორია თურქებმა დაიმორჩილეს და XIX ს-ის ბოლომდე თუნისი დარჩა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. 1830 წელს ევროპის ქვეყნებმა ინტერვენცია განახორციელეს ამ ქვეყანაში. 1881-1956 წწ. თუნისში დამყარდა საფრანგეთის პროტექტორატი. თუმცა თუნისის ბეი (ბეი1705 წლიდან მართავდა თუნისს) ფორმალურად რჩებოდა სახელმწიფოს მეთაურად 1957 წლამდე. ქვეყანაში განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო 1925 წელს, რაც დასრულდა 1956 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებით.

1957 წლის 25 ივლისს გამოცხადდა თუნისის რესპუბლიკა და მისი პირველი პრეზიდენტი გახდა *ჰაბიბ ბურგიბა (არაბ. ჰაბიბ ბურკიბა).* 1959 წლის 1 ივნისს ძალაში შევიდა კონსტიტუცია, რომელმაც განამტკიცა მმართველობის რესპუბლიკური ხასიათი. 1964 წელს თუნისში გამოცხადდა „დუსთურის სოციალიზმის" დოქტრინა და სეკულარიზმი გახდა თუნისის იდეოლოგიის საფუძველი. 50-60-იან წლებში ჰაბიბ ბურგიბამ დაიწყო რეფორმები, აქცენტი აიღო ვესტერნიზაციაზე და ფართო კონტაქტებზე დასავლეთთან. ამან მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. ამასთანავე რეფორმებმა, რომლებსაც არ ჰქონდა საკმარისი მატერიალური, ფინან-

სური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა, სასურველი შედეგები ვერ გამოიღო. 1969 წლიდან „დუსთურის სოციალიზმის" მოწოდებამ კრახი განიცადა. გაიზარდა ინფლაცია, მუდმივად იზრდებოდა ფასები პირველი მოხმარების საგნებზე, გამწვავდა უმუშევრობის პრობლემა. 1978 წლის 28 იანვარს „შავი ხუთშაბათის" ტრაგიკულმა მოვლენებმა დედაქალაქში, სუსში, კაირავანში და სხვა ქალაქებში, გამოიწვია მოსახლეობის სპონტანური აფეთქება და ანარქია ქვეყანაში. 1983 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნით თუნისის მთავრობამ ორჯერ გაზარდა ფასები პურპროდუქტებზე, რასაც მოჰყვა ე. წ. „პურის ბუნტი" ქვეყნის სხვადასხვა რაიონში (1983 წლის დეკემბერი-1984 წლის იანვარი). ათეულობით ადამიანი დაიღუპა და ასეულობით ადამიანმა მიიღო ჭრილობები.

1987 წლის 7 ნოემბერს მოხდა უსისხლო რევოლუცია და ჰაბიბ ბურგიბა (84 წლის ასაკში) ჩამოაცილეს ხელისუფლებას. ეს იყო წარმატებული სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც ეწოდა „ჟასმინის რევოლუცია". მას ხელმძღვანელობდა *ზაინ ელ აბიდინ ბენ ალი (არაბ. ზაინ ალ-'აბიდინ იბნ 'ალი)*, რომელიც ბურგიბამ 1987 წლის 2 ოქტომბერს დანიშნა პრემიერ-მინისტრად და მმართველი სოციალისტური დუსთურის პარტიის გენერალურ მდივნად. ბენ ალიმ გამოიყენა კონსტიტუციის 57-ე მუხლი, რომლის თანახმადაც პრეზიდენტის შეცვლა შეიძლება თუ სახელმწიფოს მეთაურს ავადმყოფობის გამო აღარ შეუძლია მოვალეობის შესრულება. ამდენად ბენ ალიმ თავის თავზე აიღო პრეზიდენტის ფუნქციის შესრულება. 1987 წელს არმია პირველად ჩაერია შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში. ქვეყნის ისტორიაში დაიწყო ახალი ეტაპი. ბენ ალიმ მოკლე დროში გამოიყვანა ქვეყანა ქაოსიდან, განამტკიცა სტაბილურობა. მისი პირველი ნაბიჯები იყო ახალი კადრების დანიშვნა მთავრობასა და არმიის უმაღლეს ეშელონებში, ეროვნული პრესის ლიბერალიზაცია, პოლიტპატიმრების ამნისტია. ბენ ალიმ შემოიღო მრავალპარტიული სისტემა, ალტერნატიული საპრეზიდენტო არჩევნები და დაუდგინა ოპოზიციის წარმომადგენლებს მინიმალური კვოტა (20%) პარლამენტში.

თუნისი მონაწილეობს ახლო აღმოსავლეთის რეგიონის პრობლემების მოგვარებაში, მადრიდის კონფერენციით დაწყებული. მონაწილეობა მიიღო აგრეთვე სამშვიდობო მისიებში – სომალი, აფრიკა, ნამიბია. გააგზავნა თავისი სამშვიდობო კონტინგენტები ბოსნია-ხორვატიაში. თუნისი შედის მრავალ საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში, მათ შორის გაეროში, არაბულ სახელმწიფოთა ლიგაში, ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაში, არაბული მაღრიბის კავშირში.

1989 წ. ივლისში ბენ ალიმ ხელი მოაწერა კანონს ამნისტიების შესახებ და გაათავისუფლა ყველა დაპატიმრებული ფუნდამენტალისტი და მათი ხელმძღვანელები. 1988 წელს მიიღეს *ეროვნული პაქტი* – ქვეყნის ხელმძღვანელობის, პარტიების, პროფკავშირების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოქმედებათა ერთგვარი კოდექსი, რომელშიც დეკლარირებული იყო ადამიანის უფლებათა დაცვა, პოლიტიკური ორგანიზაციებისა და შეკრებების თავისუფლება (თუ უარს იტყოდნენ ექსტრემიზმზე). ქარტია მიმართული იყო ეროვნული შერიგების მიღწევისაკენ. ხელისუფლებამ მიიწვია ფუნდამენტალისტური მოძრაობის ლიდერები ეროვნული პაქტის ხელმოსაწერად, რათა მიღწეულიყო შეთანხმება, მაგრამ ისინი არ მივიდნენ. ამდენად, ისლამისტებმა უარი განაცხადეს თანამშრომლობაზე მმართველ პარტიასთან. 1989 წელს ისლამისტებმა მნიშვნელოვანი ადგილები მოიპოვეს პარლამენტში, ცალკეულ რაიონებში 13-დან 20%-მდე და აიძულეს ხელისუფლება მკვეთრად შეეცვალა თავისი ტაქტიკა. ბენ ალის ჰყავს ძლიერი არმია და პოლიცია და ყოველი ღონისძიებით ცდილობს აღკვეთოს ექსტრემისტული გამოსვლები, სტუდქალაქებში დაწესებულია პოლიციის ზედამხედველობა. ამდენად, ბენ ალიმ მიაღწია ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას. ან-ნაჰდას („აღორძინება") გარდა ყველა

ოპოზიციური პარტია ლეგალიზებულია, პრესაზე მოიხსნა ცენზურა, გაიზარდა სამოქალაქო თავისუფლება. ყველაფერმა ამან განამტკიცა ხალხის ნდობა ხელისუფლებისადმი, რაზედაც მეტყველებს 1989, 1994, 1999 და 2004 წლების საპრეზიდენტო არჩევნები, როცა ბენ ალის მხარი დაუჭირა მოსახლეობის უმრავლესობამ (თითქმის 99%-მა). პრეზიდენტ ბენ ალის პროგრამა მიგრაციის საკითხებში (2005-2009) თუნისის დიასპორას განიხილავს, როგორც თუნისელი ხალხის განუყოფელ ნაწილს (ემიგრანტებს აქვთ საარჩევნო ხმის უფლება და საპარლამეტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება, დაწესებულია შეღავათები ინვესტორებისათვის და სხვ.). თუნისმა დიდ პროგრესს მიაღწია კულტურის, განათლების, საზოგადოებრივი აზრის განვითარების დარგში. ამდენად საზოგადოების უმრავლესობისათვის მიუღებელია მოწოდება შარიათისაკენ. თუმცა ისლამისტებს აქვთ განსაზღვრული სოციალური ბაზა და ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებს დემოკრატიულ პროცესებს.

თუნისის ხელისუფლება საგარეო პოლიტიკაში დიდ ყურადღებას უთმობს ევროპულ და ევრო-ხმელთაშუაზღვის მიმართულებას.

სახელმწიფო წყობა. თუნისის სახელმწიფო მმართველობის ფორმა არის რესპუბლიკა, ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტით. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც იმავდროულად არის მთავრობის თავმჯდომარეც. 1986 წლის 7 ნოემბრიდან დღემდე პრეზიდენტია *ზაინ ელ აბიდინ ბენ ალი* (დაბად.1936წ.).

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო არის ორპალატიანი პარლამენტი: *დეპუტატთა პალატა*, რომელიც აირჩევა 5 წლის ვადით და *მრჩეველთა პალატა*, რომელიც შემოიღეს 2002 წლის საკონსტიტუციო შესწორებით და აირჩევა 6 წლის ვადით. დეპუტატთა პალატის 189 ადგილიდან 20% ოპოზიციისათვისაა განკუთვნილი. მრჩეველთა პალატის წევრების ოდენობა უნდა იყოს დეპუტატთა პალატის ოდენობის 2/3. 2005 წლის არჩევნების შედეგებით არის 126 წევრი, 71 წევრი არჩეულია დეპუტატთა პალატისა და ქალაქის საბჭოების მიერ, 14 წევრი – თუნისის გენერალური მუშათა კავშირის მიერ, 41 დანიშნულია პრეზიდენტის მიერ. 14 ადგილი ბოიკოტის გამო დარჩა ვაკანტური. ამასთანავე, 8 ქალი აირჩია დეპუტატთა პალატამ და 7 ქალი დანიშნა პრეზიდენტმა. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო – *სახელმწიფო საბჭო.* პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და მინისტრთა კაბინეტს, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში. 1999 წლის 17 ნოემბრიდან პრემიერ-მინისტრია *მოჰამედ ღანუჩი (არაბ. მუჰამმად ღანუში, დაბად. 1941წ.).*

ქვეყანა ადმინისტრაციულად დაყოფილია 24 პროვინციად (მუჰაფაზა), 262 მუთამადიად და მუნიციპალიტეტებად (შიახთ).

ქვეყნის ეროვნული დღესასწაული – 20 მარტი, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე (1956 წ.).

პოლიტიკური პარტიები. 1988 წელს აპრილში თუნისში მიიღეს კანონი პარტიების შესახებ (დაწესდა მრავალპარტიული სისტემა) და ოფიციალურად აიკრძალა აღიარება ნებისმიერი პარტიისა, რომელიც თავის მოქმედებას დააფუძნებდა რელიგიური ან ეროვნული კუთვნილების მიხედვით შეხედულებებზე. სახელისუფლებო პარტია არის *დემოკრატიული კონსტიტუციური გაერთიანება*, რომლის სათავეშიც არის ბენ ალი. მთელი ხელისუფლება ამ პარტიას ეკუთვნის და არ აპირებს გაუყოს ის ოპოზიციურ პარტიებს. 1999 წლის არჩევნებში ამ პარტიამ მიიღო ხმების 91,6% და 182 ადგილიდან –148 ადგილი დეპუტატთა პალატაში, ხოლო 2004 წლის 24 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მოიგო ხმების 87,7% და მიიღო 152 ადგილი 189-დან. 1988 წლამდე ამ პარტიას ეწოდებოდა „სოციალისტური დუსთურის პარტია" (დაარსდა 1934 წ.). თუნისის მუსლიმების უმრავლესობა იზიარებს მმართველი პარტიის პლატფორმას. ოპოზიციური პარტიები სუსტია. „ან-ნაჰდას" („განახლების მოძრაობა") მხარს უჭერს მოსახლეობის 20-25%.

ეკონომიკა. 1987 წლიდან, ბენ ალის პრეზიდენტობის დროს, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში. 1989 წელს შემუშავდა ქვეყნის განვითარების „ახალი სტრატეგია", რომელიც ითვალისწინებდა შემდეგ ამოცანებს: ეტაპობრივი პრივატიზაცია, ინვესტიციების სტიმულირება, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების მხარდაჭერა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. ქვეყანაში შეიქმნა შესაძლებლობები კერძო ინიციატივების განვითარებისათვის, რაც დაეხმარა სამეურნეო აღმავლობას. კარდინალური რეფორმები გატარდა ექსპორტის გასათავისუფლებლად სახელმწიფო კონტროლისაგან, მოხდა ფასების ლიბერალიზაცია, საბაჟო გადასახადებმა დაიკლო, საფინანსო ბაზრის როლი განმტკიცდა. გატარდა აგრეთვე საგადასახადო რეფორმა. ამ ღონისძიებების შედეგად გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი (4980 დოლარი – 1992 წ.), რითაც არაბულ ქვეყნებს შორის მეათე ადგილი დაიკავა. მაშინ როცა, პირველი 9 ადგილი ნავთობმომპოვებელმა ქვეყნებმა დაიკავეს. ახალმა მთავრობამ განახორციელა რეფორმები ეროვნული განათლების სისტემაში, ქალთა საკითხში, ბავშვთა დაცვის საკითხებში და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სფეროში თუნისმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია – ასეთია მსოფლიო ბანკის დასკვნა. 1992-1995 წლებში ინფლაცია დაეცა 4,9%-მდე. ამის პარალელურად შემცირდა საბიუჯეტო დეფიციტი. ეკონომიკის ლიბერალიზაციამ საშუალება მისცა ქვეყანას მჭიდრო პარტნიორობა დაემყარებინა ევროკავშირთან. 1995 წლის 17 ივლისს თუნისი გახდა ევროკავშირის ასოცირებული წევრი. ამის შემდეგ საბაჟო ტარიფები შემცირდა და 2007 წელს საერთოდ მოიხსნა. თუნისი გახდა პირველი ქვეყანა ხმელთაშუაზღვის სამხრეთ ფლანგზე, რომელმაც ხელი მოაწერა ევროკავშირთან შეთანხმებას (1998 წ. 1 მარტი). ის ითვალისწინებდა თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნას ეტაპობრივად, 12 წლის მანძილზე. ამ პარტნიორობამ უზრუნველყო ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა. ამის პარალელურად გაჩნდა პრობლემებიც: მკაცრმა საფინანსო დისციპლინამ გამოიწვია ბიუჯეტის შემცირება, დაეცა აგრარული სექტორი და გადამამუშავებელი მრეწველობა, გაიზარდა უმუშევრობა. ქვეყანაში დაახლ. 60-65 ათასი ადამიანი უმუშევარია. ამის გამო გაიზარდა პროფკავშირების როლი და ისინი უზრუნველყოფენ გაჭირვებულთა ფენის სოციალურ დახმარებას. მინიმალური ხელფასი გაიზარდა 120 დინარიდან 154 დინარამდე. ხელისუფლება ამაყობდა იმით, რომ 7 წლის განმავლობაში ქვეყანაში ადგილი არ ჰქონია გაფიცვას. თუმცა სწორედ უმუშევრობის ზრდის გამო, ხელისუფლება ერიდებოდა პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებას. ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას ხელს უწყობს ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა და თუნისის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა. ამის გარდა თუნისს აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, განვითარებული ინფრასტრუქტურა, ლიბერალური საინვესტიციო და საგადასახადო პოლიტიკა. ევროკავშირის ქვეყნები არიან თუნისის ძირითადი პარტნიორები და მის მზა პროდუქციას აქვს თავისუფალი დაშვება მსოფლიო ბაზარზე, ზეთისხილისა და საფეიქრო ნაწარმზე არის კვოტები დაწესებული. თუნისი მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში ზეთის ხილის წარმოებით. 1990-1997წწ-ში მთელი ინვესტიციები ჩადებული იყო ენერგეტიკაში, შემდეგ გადამამუშავებელ და მსუბუქ მრეწველობაში. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, 1996 წელს თუნისში შეიქმნა 2 თავისუფალი ეკონომიკური ზონა – ქ. ბიზერტა და ზარზისი. თუნისის კანონმდებლობით, თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში დარეგისტრირებული კომპანიები 10 წლის განმავლობაში გადასახადებისაგან თავისუფლდებიან (გარდა ადგილობრივი გადასახადებისა გზებზე და საგზაო ტრანსპორტზე და სავალდებულო სოციალური დაზღვევის). ევროკავშირის დახმარება თუნისისადმი არის 821 მლნ ევრო. თუნისში მოქმედებს ქაღალდის ფაბრიკა (კასსერინში), რო-

მელიც ნედლეულად იყენებს ადგილობრივ ბალახს. ქვეყანაში ამზადებენ აგრეთვე სამშენებლო მასალებს, მინას, კერამიკას, ავეჯს. დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის საფეიქრო წარმოებას, რომელიც სავალუტო შემოსავლების 45%-ს შეადგენს. ქვეყნის ეკონომიკას ეხმარება აგრეთვე ფულადი გზავნილები თუნისელთა მრავალრიცხოვანი დიასპორიდან საფრანგეთში, იტალიაში და სპარსეთის ყურის ქვეყნებში. 1987 წლამდე საბანკო სისტემას მთლიანად აკონტროლებდა ცენტრალური ბანკი. 2003 წლიდან ქვეყნის საფინანსო ბაზარზე დაშვებულ იქნენ უკვე უცხოური ბანკები. ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა მსოფლიო ბანკის, რომ მიეცა ქვეყნისათვის კრედიტები. საბანკო რეფორმის პირველი ეტაპი იყო „გაჯანსაღება" (საერთაშორისო ნორმების დაწესება, საბანკო რისკების ლიკვიდაცია), მე-2 – „კონსოლიდაცია" (კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ფინანსური შესაძლებლობების ოპტიმიზაცია) და მე-3 – „მოდერნიზაცია" (კომპიუტერიზაცია, ბანკებს შორის ერთიანი ქსელის შექმნა, საკრედიტო ბარათების შემოღება). ხელისუფლება იმედოვნებს, რომ რეფორმების გზით შეძლებს ქვეყნის სტაბილურობის განმტკიცებას.

თუნისისათვის სერიოზულ პრობლემად რჩება სახალხო მეურნეობის დაყოფა „გავლენის სფეროებად" ოჯახურ კლანებს შორის, რაც ხელს უშლის კონკურენციის თავისუფლებას და უმუშევრობის მაღალი დონე (14% – 2007წ.).

ექსპორტი: საფეიქრო ნაწარმი, ტყავი, ფოსფატები, ზეთის ხილი, ხილი, ზღვის პროდუქტები. *იმპორტი*: მანქანები და აღჭურვილობა, კვების პროდუქტები, პირველი მოთხოვნილების საგნები. *სავაჭრო პარტნიორები:* იტალია, გერმანია, ბელგია, ესპანეთი, აშშ, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი, ლიბია, იაპონია.

2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა 83,4 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავალი იყო 8,000 დოლარი.

განათლება. თუნისში განათლება პრიორიტეტულ დარგებს განეკუთვნება. 80-იან წლებში თუნისის ხელისუფლებამ ორიენტაცია აიღო „ინვესტიციებზე ადამიანებში", რადგანაც ბენ ალის განცხადებით, განათლებულ ადამიანს მოაქვს საზოგადოებისათვის 8-ჯერ მეტი შემოსავალი, ვიდრე გაუნათლებელს. 1991 წლიდან განათლება სავალდებულო გახდა 6-დან 16 წლამდე ასაკის მოზარდებისათვის. სკოლებში პირველი კლასიდან ისწავლება არაბული, 8 წლის ასაკიდან – ფრანგული, ხოლო 10 წლის ასაკიდან – ინგლისური ენა. 1992 წლიდან ეფექტური ღონისძიებები გატარდა ქვეყანაში განათლების დეისლამიზაციისათვის. თუნისის უმაღლეს სასწავლებლებს შორის გამოირჩევა: *თუნისის უნივერსიტეტი*, რომელიც დაარსდა 1960 წელს და 32 000 სტუდენტი სწავლობს (ვებგვერდი – www.utunis.rnu.tn/); *თუნისის ალ-მანარის უნივერსიტეტი*, რომელიც დაარსდა 2000 წელს ქ. თუნისში, არის 11 ფაკულტეტი და სწავლობს 45 000 სტუდენტი (ვებგვერდი – www.utm.rnu.tn/); *ვირტუალური უნივერსიტეტი* (ვებგვერდი – www.vg-u.de).

თუნისი არის ერთ-ერთი იმ სამი მუსლიმური ქვეყნიდან (აზერბაიჯანი, თურქეთი), რომელმაც აკრძალა რელიგიური სიმბოლოების ტარება სახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის სასწავლო დაწესებულებებში.

ფულის ერთეული – თუნისის დინარი. ის იყოფა 1000 მილიმად. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 1,211 დინარს.

გეოგრაფია. იემენი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება საუდის არაბეთი (საზღვრის სიგრძე 1458კმ), აღმოსავლეთით – ომანი (288 კმ), დასავლეთით აკრავს მეწამული ზღვის წყლები, სამხრეთით – ადენის ყურე. საზღვრების საერთო სიგრძე 1 746 კმ, სანაპირო ზოლის სიგრძე – 1 906 კმ. ქვეყნის საერთო ფართობია – 527,968 კვ. კმ.

მოსახლეობა. იემენში შობადობის კოეფიციენტი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. იემენელი ქალი საშუალოდ 7 შვილს ზრდის. გამოთვლილია, რომ ყოველ 5 წუთში ქვეყანაში იბადება 6 ახალშობილი. შესაბამისად, ყოველ თვეში – დაახლ. 50 000 ბავშვი. 2008 წ. მონაცემებით, იემენის მოსახლეობა არის 23,013,376. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 42 ადამიანს შეადგენს. ქვეყნის მოსახლეობის ძირითად ნაწილს შეადგენენ იემენელი არაბები. ცხოვრობენ აგრეთვე ინდოელები, პაკისტანელები, ეთიოპელები, სომალელები, ებრაელები. სახელმწიფო ენა არის არაბული. დიდ ქალაქებში საუბრობენ ინგლისურ ენაზეც. ქვეყნის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში და კუნძულ სოკოტრაზე რამდენიმე უძველესი სამხრეთარაბული სემიტური ენაა გავრცელებული. სახელმწიფო რელიგიაა ისლამი. მოსახლეობის 99% აღიარებს ისლამს. აქედან შიიტები – 42% (32-38% ზაიდიტები, ჯაფარიტები – 4%, მუსთალიტი ისმაილიტები – 6%), სუნიტები (ძირითადად შაფიიტები – 35%, მალიქიტები – 5%, სალაფიტები –15%) – 55%. სუნიტები ცხოვრობენ ძირითადად სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, ზაიდიტები – ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით, ჯაფარიტები და ისმაილიტები – ცენტრებში სანა და მარიბი. მოსახლეობის 1%-ს შეადგენენ არამუსლიმები (ქრისტიანობის, ინდუიზმის და იუდაიზმის მიმდევრები).

ჰავა. იემენის კლიმატი გამოირჩევა ჰაერის მომატებული ტენიანობით. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ძირითადად არის მშრალი ჰავა. საშუალო ტემპერატურა იანვარში – 20°C დან 25°C-მდეა. ივნისში – 21°C-დან 32°C-მდე. წვიმების სეზონი მოდის ზაფხულის პერიოდზე (ივლისიდან სექტემბრამდე). ნალექების საშუალო ოდენობა წელიწადში 40-1000 მმ-ია.

დედაქალაქი – სანა (არაბ. სან'ა'; 2006 წ. მონაცემებით, 1,937,451 მცხოვრები), რომელიც მდებარეობს ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, მსხვილი საპორტო ქალაქის ჰუდაიდას ჩრდილო-აღმოსავლეთით. პირველად სანა იხსენიება ძვ. წ. I საუკუნეში.

ისტორიული ნარკვევი. ძვ. წ. I ათასწლეულში თანამედროვე იემენის ტერიტორიაზე წარმოიშვა შემდეგი სახელმწიფოები: ჰადრამავთი, კატაბანი, საბა და მაინი. IV ს-ში ქვეყანა დაიპყრო ეთიოპიამ, VI ს-ში – სპარსეთმა. ისლამმა გავრცელება დაიწყო 628/630 წლიდან. X ს-ში ქვეყანაში განმტკიცდა ზაიდიტების დინასტია. 1517 წლიდან 1924 წლამდე ქვეყანა ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო. 1633 წელს იემენის ტერიტორიაზე კვლავ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სახელმწიფო – ზაიდიტების საიმამო. 1839 წელს სამხრეთ იემენი ოკუპირებული იქნა ინგლისის მიერ, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში XIX ს-ის 70-იან წლებში აღდგა თურქეთის სულტნის ბატონობა, რაც გაგრძელდა 1924 წლამდე. XX ს-ის დასაწყისში დასრულდა ქვეყნის დაყოფა ჩრდილოეთ და სამხრეთ იემენად. 1918 წელს ჩრდილოეთ იემენმა მიაღწია დამოუკიდებლობას. მოგვიანებით, ბრიტანეთმაც ცნო იემენის სამეფოს დამოუკიდებლობა. 1962 წლის ანტიფეოდალური რევოლუციის შედეგად ჩრდილოეთში დაემხო იმამის ხელი-

სუფლება და გამოცხადდა *იემენის არაბთა რესპუბლიკა*. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ 1967 წელს გამოცხადდა სამხრეთ იემენის დამოუკიდებლობა – *იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა*.

1990 წლის 22 მაისს მოხდა იემენის არაბთა რესპუბლიკისა და იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნებაყოფლობითი გაერთიანება. მისი მიზანი იყო ეკონომიკის აღმავლობის დაჩქარება ვრცელი პროგრამის ჩარჩოებში, რომელიც ითვალისწინებდა ეროვნულ, ადმინისტრაციულ, ფინანსურ და პოლიტიკურ რეფორმებს. ყველა პოლიტიკური ინსტიტუტის გაერთიანებისათვის დაწესდა 30 თვიანი გარდამავალი პერიოდი. გარდამავალი საპრეზიდენტო საბჭოს პირველი თავმჯდომარე გახდა *ალი აბდულლაჰ სალიჰი (არაბ. 'ალი 'აბდ ალლაჰ სალიჰი)*, რომელმაც პოლიტიკურ განცხადებაში მოქალაქეებს მოუწოდა მონაწილეობა მიეღოთ „სამშობლოს აღმშენებლობაში". საბჭოს მოადგილედ დაინიშნა *ალ-ბაიდი* (იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან). პრეზიდენტის საბჭომ ჩამოაყალიბა დროებითი სათათბირო პოლიტიკური ორგანო, რომლის შემადგენლობაში შევიდა 45 წევრი (20 სამხრეთ იემენიდან და 25 – ჩრდილოეთ იემენიდან). ჩამოყალიბდა აგრეთვე *საკონსულტაციო საბჭო*, რომლის შემადგენლობაში იყო 301 წევრი – 159 პარლამენტარი ყოფილი იემენის არაბთა რესპუბლიკიდან და 111 დეპუტატი ყოფილი იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან, დამატებით კიდევ 31 ახალი წევრი, მათ შორის ოპოზიციიდან. 1990 წლის სექტემბერში ქვეყანაში ჩამოყალიბდა დაახლ. 30 პარტია – ლიბერალების, ტრადიციონალისტების და ისლამისტებისა. 1991 წლის 15 მაისს ჩატარდა საყოველთაო რეფერენდუმი ერთიანი იემენის სახელმწიფოს კონსტიტუციის დასამტკიცებლად. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ მამაკაცებმა 18 წლის და ზემოთ. მონაწილეთა 98,3%-მა ხმა მისცა ძირითადი დოკუმენტის ტექსტს. 1993 წლის აპრილში ქვეყანაში ჩატარდა საკონსულტაციო საბჭოს არჩევნები და დასრულდა გარდამავალი პერიოდი. თუმცა ქვეყანაში გაძლიერდა სეპარატისტული მისწრაფებები ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. 1994 წლის იანვარში ძირითადი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ამანში (იორდანია) „თანხმობის დოკუმენტს". შეთანხმება ითვალისწინებდა ხელისუფლების განსაზღვრულ დეცენტრალიზაციას, ეკონომიკური პოლიტიკისა და კონსტიტუციის გადახედვას. კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის ცდა არაეფექტური აღმოჩნდა და 1994 წლის 27 აპრილს ამანის რაიონში მოხდა შეიარაღებული დაპირისპირება ჩრდილოეთისა და სამხრეთის არმიის ნაწილებს შორის. შემდგომში დაიბომბა სანა, ადენი და სხვა ადგილები. სამხრეთის არმიამ რამდენიმე მარცხი განიცადა და სამხედრო მოქმედებებმა ძირითადად ადენის რაიონში გადაინაცვლა. 1994 წლის 21 მაისს ალ-ბაიდმა – იემენის სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გამოაცხადა ახალი იემენის დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება. პრეზიდენტმა სალიჰმა არ ცნო ეს განცხადება, შემოიღო საგანგებო მდგომარეობა და ბრძანა თავდასხმების გაგრძელება ადენზე. გაერომ №924 რეზოლუციით მოითხოვა ცეცხლის შეწყვეტა და გააგზავნა ქვეყანაში კომისია სიტუაციის შესასწავლად. 1994 წლის 7 ივლისს ჩრდილოეთის არმიამ მოიპოვა გამარჯვება, ადენი აიღეს და ამით სამოქალაქო ომი ფაქტობრივად დასრულდა. ორივე მხრიდან დაიღუპა 7 ათასი და დაახლ. 15 ათასი ადამიანი დაიჭრა. ერთიანი იემენის სახელმწიფოს კრიზისის მიუხედავად, ქვეყანაში არის პოლიტიკური თავისუფლება და ყალიბდება დემოკრატიული ინსტიტუტები. ქვეყანისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ისლამური რადიკალიზმი და ექსტრემიზმი. 2003 წლის ოქტომბერში რამდენიმე რადიკალური ისლამისტური დაჯგუფება გაერთიანდა ახალ სტრუქტურაში – „კა'იდათ ალ-ჯიჰად" („საფუძველი ჯიჰადისათვის"), რომელიც ალ-კა'იდას უჯრედს წარმოადგენს. იემენში მოქმედებს აგრეთვე ზაიდიტების თემის რადიკალური დაჯგუფება, რომელსაც სათავეში უდგას თემის ყოფილი ლიდერი, ჰუსეინ ბადრედ-

დინ ალ-ჰოუსი. ამ დაჯგუფებამ დაიწყო ღია, შეურიგებელი ბრძოლა მმართველ რეჟიმთან. 2004 წლის ზაფხულში ალ-ჰოუსიმ კონტროლი დაამყარა იემენის ჩრდილოდასავლეთ პროვინციის (სა'და) ზოგიერთ რაიონზე, ჩამოაყალიბა შეიარაღებული რაზმები, შემოიტანა საკუთარი დროშა, თავი გამოაცხადა იმამად და თავის თავზე აიღო გადასახადების აკრეფის უფლება. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება აჯანყების ძალისმიერი მეთოდებით ჩახშობის შესახებ. 2005 წლის შემოდგომაზე ალ-ჰოუსი მოკლეს სამთავრობო ძალებთან შეტაკების დროს. საბოლოოდ, 2007 წლის ივნისში მიღწეულ იქნა შეთანხმება სამხედრო მოქმედებების შეწყვეტისა და კონფლიქტის პოლიტიკური გზით დარეგულირების შესახებ. 6 თვის შემდეგ მონინააღმდეგე მხარეებმა დაარღვიეს შეთანხმება და 2008 წლის იანვარში საბრძოლო მოქმედებები განახლდა. მხოლოდ 2008 წლის 17 ივლისს ქვეყნის პრეზიდენტმა, ალი სალიჰმა, შეიარაღებული დაპირისპირება ქვეყნის ჩრდილოეთ პროვინციაში დასრულებულად გამოაცხადა.

სახელმწიფო წყობა. იემენი საპრეზიდენტო, წარმომადგენლობითი დემოკრატიის რესპუბლიკაა, სადაც პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაურიც და მთავრობის თავმჯდომარეც. ქვეყანა მრავალპარტიულია, მაგრამ დომინირებს ერთი პარტია – „საყოველთაო ეროვნული კონგრესი". იემენის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია მიიღეს 1991 წელს, შესწორებები შეიტანეს 1994,1999 და 2001 წლებში. ამჟამად პრეზიდენტია *ალი აბდულლაჰ სალიჰი* (დაბად. 1942 წ.), რომელიც 1978-1990 წწ. იყო იემენის არაბთა რესპუბლიკის (ჩრდილოეთ იემენი) პრეზიდენტი და 1990 წელს გახდა გაერთიანებული იემენის საპრეზიდენტო საბჭოს თავმჯდომარე. 1994 წელს საკონსტიტუციო ცვლილებით შემოიღეს პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის ინსტიტუტები. 1994 ალი აბდულლაჰ სალიჰი აირჩიეს პრეზიდენტად 5 წლის ვადით, ხოლო 1999 წელს ის ხელახლა აირჩიეს, უკვე პირდაპირი კენჭისყრით (მან მიიღო ხმების 91,2%). 1999 წლის საკონსტიტუციო შესწორებით, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა გაიზარდა 7 წლამდე. ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა 2006 წელს. ვიცე-პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ინიშნება პრეზიდენტის მიერ. მინისტრთა საბჭოს წევრები ასევე ინიშნება პრეზიდენტის მიერ, პრემიერ-მინისტრის რჩევით.

უმაღლესი საკანონდებლო ორგანო არის ერთპალატიანი პარლამენტი – *წარმომადგენელთა პალატა* (301ადგილი), რომელიც აირჩევა 6 წლის ვადით. *საკონსულტაციო საბჭო* ზოგჯერ განიხილება როგორც პარლამენტის ზედა პალატა. ის არის სათათბირო ორგანო და მის 59-ივე წევრს პრეზიდენტი ნიშნავს (1997 წლამდე მასში იყო 111 წევრი). მომავალი საპარლამენტო არჩევნები დანიშნულია 2009 წლის აპრილში. თუმცა ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა მომავალ არჩევნებს და წამოაყენა ორი პირობა: 1. ყველა პოლიტპატიმრის განთავისუფლება. ეს პირობა პრეზიდენტმა უკვე შეასრულა; 2. პარლამენტის არჩევნების ჩატარება ახალი, პარტიული სისტემით და უარის თქმა ერთმანდატიან ოლქებზე. ეს მოთხოვნა მიუღებელია ხელისუფლებისათვის. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა მინისტრთა საბჭო. 2007 წლის 31 მარტიდან პრემიერ-მინისტრია – *ალი მოჰამედ მუჯური (არაბ. 'ალი მუჰამმად მუჯავარი, დაბად. 1953 წ.).*

იემენი ადმინისტრაციულად დაყოფილია 20 პროვინციად და 1 მუნიციპალიტეტად. პროვინციები თავის მხრივ იყოფა უფრო პატარა ადმინისტრაციულ ერთეულებად – კადა' (2,210), ხოლო კადა' – ნაჰიად (არაბ. ناحية - თემი. სულ არის 38,284 თემი).

ქვეყნის ეროვნული დღესასწაულებია: 22 მაისი (1990წ.) – იემენის ერთიანობის დღე, 26 სექტემბერი (1962წ.) – რევოლუციის დღე და 30 ნოემბერი (1967წ.) – დამოუკიდებლობის დღე.

პოლიტიკური პარტიები. კონსტიტუციით დაშვებულია მრავალპარტიული სისტემა. პარლამენტში წარმოდგენილია 5 პარტია: 1. „საყოველთაო ეროვნული კონგრესი", რომლის თავმჯდომარე არის ალი აბდულლაჰ სალიჰი; 2. „იემენის გაერთიანება რეფორმების დასაცავად" (ისლაჰ; მის შემადგენლობაში არის დაახლ. 500,000 წევრი); 3. „იემენის სოციალისტური პარტია" (პარტიის აქტივისტთა რაოდენობა 200,000-ა, მათგან 80% სუნიტი, და 20% ზაიდიტია); 4. „ნასერისტ-იუნიონისტების სახალხო ორგანიზაცია" (დაახლ. 3 ათასი აქტივისიტი); 5. „არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია" (ბაასი) – იემენის ორგანიზაცია.

ეკონომიკა. მთავრობის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება არის ნავთობის მრეწველობის ფორსირებული განვითარება, ასევე სოფლის მეურნეობის და თავისუფალი ეკონომიკური ზონის, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, კერძო კაპიტალის ხელშეწყობა. თუ ჩრდილოეთის ქალაქი სანა არის ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი, სამხრეთის ქალაქი – ადენი არის ეკონომიკური და სავაჭრო ცენტრი.

გაეროს კლასიფიკაციით, იემენი ეკუთვნის ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნების რიგს. რესპუბლიკის ეკონომიკა მძიმე კრიზისს განიცდის. ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდა სპარსეთის ყურის ომთან დაკავშირებით, როცა იემენის მთავრობამ პროირანული პოზიცია დაიკავა. ამის საპასუხოდ საუდის არაბეთიდან გამოაძევეს დაახლ. მილიონი იემენელი, რომელთა ფულადი გზავნილები შეადგენდა ქვეყნის სავალუტო შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს. მნიშვნელოვნად შემცირდა დასავლეთის ქვეყნების და საუდის არაბეთის დახმარება. იემენს დიდი ზარალი მიაყენა აგრეთვე 1994 წლის საბრძოლო მოქმედებებმა (დაახლ. 6,5-11 მლრდ დოლარი). სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია უცხოური კაპიტალის მოზიდვაზე ქვეყანაში. ამასთანავე, პრიორიტეტი ენიჭება სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან იემენელი ემიგრანტების კაპიტალს. ქვეყნის ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამშენებლო ინდუსტრიას. 80-იან წლებში მარიბის რაიონში და ჰადრამავთის პროვინციაში აღმოჩნდა ნავთობი. იემენისათვის პერსპექტიული შეიძლება გახდეს ბუნებრივი გაზის მოპოვებაც. ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდა აგრეთვე ოქრო, რკინა, სპილენძი, თაბაშირი, ქვანახშირი, მარილი, კვარცი, ნახევრადძვირფასი ქვები. მთლიანობაში ქვეყნის ბუნებრივი რესურსები არ არის სათანადოდ შესწავლილი. მოსახლეობის 70% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ხოლო მრეწველობაში – 7%. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია ხორბლეული, ბოსტნეული და ხილი. მოიპოვებენ აგრეთვე დიდი რაოდენობით თევზს და ზღვის პროდუქტებს. თუმცა, ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობისა და მძიმე კლიმატური პირობების გამო, იემენი იძულებულია შემოიტანოს კვების პროდუქტების დაახლ. 70%.

1996-2000 წწ-ში ქვეყანაში მსოფლიო ბანკის დახმარებით განხორციელდა ეკონომიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული რეფორმების პროგრამა, რომელმაც პოზიტიური გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე და ბიუჯეტის დეფიციტი 3%-მდე შემცირდა. 2004 წლისათვის მსოფლიო ბანკმა განახორციელა 22 პროექტი იემენში.

ექსპორტი: ნავთობი, ბამბა, პირუტყვი, ტყავი, თევზი, ბრინჯი, ყავა, მწვანე ზეთის ხილი, გამშრალი და დამარილებული თევზი. *იმპორტი*: ნავთობპროდუქტები, საფეიქრო ნაწარმი, შაქარი, ხორბალი, ფქვილი, ცემენტი, დაზგები. *სავაჭრო პარტნიორები*: ჩინეთი, აშშ, არაბთა გაერთიანებული საამიროები, საუდის არაბეთი, ქუვეითი, იაპონია, ინდოეთი, სამხრეთ კორეა, ტაილანდი.

2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 60,48 მილიარდი დოლარი. ერთ სულზე მოსახლეზე შემოსავალი იყო 2,600 დოლარი.

განათლება. ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარია. 6-დან 15 წლამდე ასაკის მოზარდებისათვის სახელმწიფო განათლება უფასოა და

საკალდებულო. ქვეყნის გაერთიანებამდე (1990 წ.) ცალკეთრად განსხვავდებოდა ჩრდილოეთისა და სამხრეთ იემენის განათლების სისტემა. ჩრდილოეთის ჰეონდა უფრო ჩაკეტილი საზოგადოება, ძირითადად იყო რელიგიური სკოლები და გოგონების უმეტესობა სკოლაში არ დადიოდა. ამდენად, გოგონების განათლების დონე იემენში ყველაზე დაბალია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის. იემენის საბაზო განათლების სისტემა ორ ეტაპად იყოფა: საბაზო განათლება – 9 წელი და საშუალო განათლება – 3 წელი. 2004 წელს მსოფლიო ბანკმა გამოყო 65 მლნ დოლარი საბაზო განათლების განვითარებისათვის, რასაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა. ეროვნული კადრების მომზადება ხდება ადენის და სანას უნივერსიტეტებში, საშუალო სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და საზღვარგარეთ. უნივერსიტეტების ფაკულტეტების შეზღუდული რაოდენობა აფერხებს კვალიფიციური კადრების მომზადებას მრავალი სპეციალობით. რესპუბლიკაში არის მასწავლებლების, უმცროსი სამედიცინო პერსონალის, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, კვალიფიციური მუშების და სხვ. ნაკლებობა. საუნივერსიტეტო განათლება 4 წელი გრძელდება, გარდა საინჟინრო და სამედიცინო ფაკულტეტისა (5-6 წელი). ქვეყანაში არის 7 სახელმწიფო უნივერსიტეტი და 5 კერძო და რელიგიური უნივერსიტეტი. მათ შორის გამოირჩევა: *ადენის უნივერსიტეტი*, რომელიც პირველად დაარსდა 1970 წელს, როგორც უმაღლესი განათლების ფაკულტეტი. ამჟამად არის 17 ფაკულტეტი (ვებგვერდი – www.adenuniversity.edu.ye/); სანას უნივერსიტეტი, რომელიც დაარსდა 1971 წელს. მასში არის 17 ფაკულტეტი და 80 000 სტუდენტი სწავლობს. თავდაპირველად იყო მხოლოდ ორი ფაკულტეტი – შარიათის და განათლების (ვებგვერდი – www.suye.ac/).

ფულის ერთეული – იემენის რიალი. ის იყოფა 100 ფილსად. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 199,76 რიალს.

იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო
المملكة الأردنية الهاشمية

გეოგრაფია. იორდანია მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება საუდის არაბეთი (საზღვრის სიგრძე 728კმ), დასავლეთით – ისრაელი (238 კმ) და ტერიტორია, რომელიც არის პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის მმართველობის ქვეშ (დასავლეთ ნაპირი), აღმოსავლეთით – ერაყი (181 კმ) და ჩრდილოეთით – სირია (375კმ). საზღვრების საერთო სიგრძე – 1 619 კმ. სამხრეთით ტერიტორიის მცირე ნაწილი გარშემორტყმულია 'აკაბას ყურით (სანაპირო ზოლის სიგრძე (27კმ). ქვეყნის საერთო ფართობი – 89,342 კვ.კმ.

მოსახლეობა. 2008 წ. მონაცემებით, იორდანიის მოსახლეობა არის 6,198,67. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 64 ადამიანს შეადგენს. 2004-2007 წლებში იორდანიის მოსახლეობის ოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ერაყიდან იმიგრანტების ხარჯზე (დაახლ. 700 000 ერაყელი). მოსახლეობის 95% არაბებია (აქედან, იორდანელი არაბები – 38%; პალესტინელი არაბები – 57%). მოსახლეობის დანარჩენ 5%-ს შეადგენენ ჩერქეზები, ჩეჩნები (დაახლ. 10-15 000 ჩეჩენი და 100 000

ჩერქეზია. ისინი გამოიქცნენ კავკასიიდან XIX საუკუნის ბოლოს, კავკასიის ომის შემდეგ. ოსმალეთის იმპერიის მთავრობამ აქ დაასახლა ისინი დაუმორჩილებელი ბედუინების წინააღმდეგ საბრძოლველად), სომხები (სიდიდით მე-13 თემი მსოფლიოში) და ქურთები. იორდანიაში ცხოვრობს აგრეთვე დაახლ. 3000 „ქალაქელი ბედუინი", რომელთაც აქ ეძახიან *ალ-ლაჯარ* (არაბ. ბოშები). სახელმწიფო ენა არის არაბული, ფართოდ გამოიყენება ინგლისური ენაც. სახელმწიფო რელიგია არის ისლამი. მოსახლეობის 94% მუსლიმია (შიიტები – 0,6%, სუნიტები – 99,4%). იორდანია ოფიციალურად არ ცნობს ქვეყანაში ეთნიკურ „უმცირესობებს" იმ მნიშვნელობით, როგორც ამ ტერმინს განსაზღვრავს გაერო (ჯგუფი, რომელიც რიცხობრივად მცირეა ძირითად მოსახლეობაზე და განსხვავდება მისგან თავისი ენით, რელიგიით, ეთნიკური კუთვნილებით). აქ არიან ქრისტიანები – დაახლ. 5,2%. მათ აქვთ კარგი პოლიტიკური და სოციალური სტატუსი (ძირითადად ბერძენი-მართლმადიდებლები და ბერძენი-კათოლიკეები).

ჰავა. იორდანიაში ჰავა სუბტროპიკულია, უმეტესწილად ხმელთაშუა ზღვის. თუმცა უფრო კონტინენტური, ვიდრე სანაპირო ზოლში. ქვეყნის ტერიტორიაზე ჭარბობს ქარები. საშუალო ტემპერატურა ზაფხულში – 32°C, იანვარში – 8°C. წვიმების სეზონი გრძელდება ოქტომბრის შუა რიცხვებიდან აპრილის შუა რიცხვებამდე. ზოგჯერ იანვარ-მარტში რამდენიმე დღე არის თოვლი. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში კლიმატი უფრო მკაცრია.

დედაქალაქი – ამანი (არაბ. 'ამმან; 2,145,400 მცხოვრები), რომელიც მდებარეობს მკვდარი ზღვიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 40 კმ-ზე. ამანი არის ქვეყნის სავაჭრო, სამრეწველო და ადმინისტრაციული ცენტრი.

ისტორიული ნარკვევი. ძვ. წ. III-II ათასწლეულში იორდანიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სემიტური ტომები. ძვ. წ. I ათასწლეულიდან მოყოლებული ჯერ ბერძნების, შემდეგ რომაელების ბატონობის ქვეშ მოექცნენ. ბოლოს ქვეყანა დაიპყრეს სპარსელებმა, შემდეგ ის შედიოდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში, ვიდრე VII ს-ში არაბებმა არ დაიპყრეს. ჯვაროსნების მიერ ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ (1118-1187) ის გადავიდა ეგვიპტის მამლუქთა გამგებლობაში. XVI ს-ში იორდანია შევიდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში – 1918 წლამდე (ოსმალეთის იმპერიის სირიის ვილაიეთი).

1920 წელს ერთა ლიგის მანდატით პალესტინაზე, იორდანია გადავიდა დიდი ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ. 1921 წელს მოხდა სამანდატო ერთეულის – ტრანსიორდანიის საამიროს ჩამოყალიბება, სათავეში ამირა – მექის შარიფის ჰუსეინ ბინ ალის (არაბ. ჰუსაინ იბნ 'ალი, 1908-1917) ვაჟი – *აბდულლაჰი (არაბ. 'აბდ ალლაჰ იბნ ალ-ჰუსაინი).* მან დაუდო სათავე იორდანიის ჰაშიმიანთა დინასტიას, რომელიც დღემდე მართავს იორდანიას. 1923 წელს ჩამოყალიბდა ეროვნული პოლიცია და რეგულარული არმია. 1928 წელს მიიღეს ტრანსიორდანიის კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც საკანონმდებლო ხელისუფლება გადაეცემოდა ამირას და საკანონმდებლო კრებას (მის შემადგენლობაში იყო 16 არჩეული წევრი). აღმასრულებელი ხელისუფლებაც ამირას ეკუთვნოდა და პასუხისმგებელი იყო მთავრობის წინაშე. 1946 წლის 22 მარტს ბრიტანეთმა ცნო იორდანიის დამოუკიდებლობა და დადო მასთან სამოკავშირეო ხელშეკრულება. ამავე წლის 25 მაისს გამოცხადდა *იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფო,* ხოლო ამირა აბდულლაჰმა თავი მეფედ გამოაცხადა. ბრიტანეთმა აქ შეინარჩუნა გარკვეული გავლენა – ახალი სამეფოს „არაბული ლეგიონი", რომელიც ინგლისელმა გენერალმა ჯონ გლაბმა გაწვრთნა. ამასთან მოხელეების და ოფიცრების დიდი ნაწილი ინგლისელები იყვნენ. 1947 წელს გამოქვეყნდა ახალი კონსტიტუცია, რომლითაც მეფემ მიიღო აბსოლუტური მონარქის უფლებები, ხოლო ორპალატიან პარლამენტს ძალიან შეზღუდული უფლებები განესაზღვრა.

1948-1949 წლებში იორდანია მონაწილეობდა ისრაელისა და არაბული ქვეყნების ომში. 1948 წლის მაისში იორდანელებმა დაიკავეს არაბული პალესტინის მნიშვნელოვანი ნაწილი – ქალაქები ბეთლემი, იერიხონი, ხებრონი, აღმ. იერუსალიმი. 1949წ. აპრილში ამ ტერიტორიებმა მიიღეს სახელწოდება – *მდ. იორდანეს დასავლეთი ნაპირი* და გადავიდა სამხედრო გუბერნატორის ხელში, რომელიც უშუალოდ ემორჩილებოდა აბდულლაჰს. 1950 წელს იორდანიის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთი ნაპირის იორდანიასთან შეერთების შესახებ (ეს დროებითი ღონისძიება იყო ვიდრე გაირკვეოდა პალესტინის სტატუსი). დაახლოებით 1 მლნ პალესტინელმა მიიღო მოქალაქეობა. ამას კარგი შედეგი ჰქონდა იორდანიის ეკონომიკისათვის, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური ვითარება გართულდა. 1951 წლის 20 ივლისს პალესტინელმა ბოევიკებმა მოკლეს აბდულლაჰი იერუსალიმში, ალ-აკსას მეჩეთის შესასვლელთან. 1951 წელს 6 სექტემბერს იორდანიის მეფე გახდა *ტალალ I ბინ აბდულლაჰი (არაბ. ტალალ იბნ 'აბდ ალლაჰი)*, რომელიც შეეცადა განემტკიცებინა ქვეყნის პოლიტიკური სუვერენიტეტი. 1952 წლის კონსტიტუციით გამოცხადდა დემოკრატიული თავისუფლების მრავალი ფორმა, პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვის თავისუფლება, იმავდროულად გაუქმდა ტიტულები: „ბეგი" და „ფაშა". მეფე სულიერად დაავადებული იყო და ცოტა ხანს აღმოჩნდა ხელისუფლების სათავეში. 1952 წლის 12 აგვიტოს პარლამენტმა გამოაცხადა მეფედ მისი უფროსი ვაჟი, 16 წლის *ჰუსეინ I ბინ ტალალი (არაბ. ჰუსაინ იბნ ტალალ, 1952-1999).* ის დიდ ბრიტანეთში კოლეჯში სწავლობდა. ამიტომ ქვეყნის მართვა გადაეცა რეგენტთა საბჭოს (მაჯლის ალ-ვიზარა), რომელშიც შევიდნენ იორდანიის ცნობილი პოლიტიკოსები. 1953 წლის 2 მაისს ჰუსეინმა მიიღო ფიცი, როგორც სრულუფლებიანმა მმართველმა. მან დაიწყო არაბულ სახელმწიფოებთან დაახლოების პოლიტიკა და ბრძოლა კომუნისტური საქმიანობის წინააღმდეგ. დააპატიმრეს კომპარტიის გენერალური მდივანი – ფუად ნასსარი და სხვა მისი ლიდერები, რომლებიც დაადანაშაულეს კონსტიტუციური რეჟიმის დამხობის წაქეზებაში.

1950-იანი წლების შუა ხანებში იორდანიაში დაიწყო პატრიოტული გამოსვლები, რაც გამოწვეული იყო ფართო განმათავისუფლებელი მოძრაობით ეგვიპტესა და სირიაში. 1957-58 წწ-ში გაუქმდა ინგლის-იორდანიის ხელშეკრულება და ინგლისის არმია გაყვანილ იქნა ქვეყნის ტერიტორიიდან. 1958 წლის თებერვალში ეგვიპტისა და სირიის გაერთიანების შემდეგ (არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა), იორდანიისა და ერაყის მთავრობებმა დაიწყეს მოლაპარაკებები გაერთიანების თაობაზე. 1958 წლის 14 თებერვლიდან იორდანია ერაყთან ერთად წარმოადგენდა ე. წ. არაბულ ფედერაციას – *არაბთა გაერთიანებული სამეფო*, რომლის თავმჯდომარედ გამოცხადდა ერაყის მეფე *ფაისალ II.* ფედერაციას მხარს უჭერდა აშშ და ინგლისი. 1958 წლის 14 ივლისს ერაყში მოხდა ანტიმონარქიული რევოლუცია და ფედერაცია დაიშალა. 60-იანი წლების პირველ ნახევარში გატარდა გარკვეული ღონისძიებები მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად. 1965 წლის აპრილში პარლამენტმა მიიღო კანონი პოლიტპატიმრების და ემიგრანტების საყოველთაო ამნისტიის შესახებ. აღებულ იქნა კურსი დასავლეთის სახელმწიფოების გავლენისაგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებაზე.

1967 წელს ისრაელი თავს დაესხა იორდანიას და დაიწყო „6 დღიანი ომი", რომელიც დამთავრდა იორდანიის სამეფოსათვის ყველაზე მდიდარი ოლქის – მდ. იორდანეს „დასავლეთი ნაპირის" დაკარგვით, აღმოსავლეთ იერუსალიმის ჩათვლით. ამან ქვეყანას მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკურ-სოციალური პრობლემები შეუქმნა. იორდანიამ დაკარგა დამუშავებული მიწების მეოთხედი, სამრეწველო საწარმოების თითქმის ნახევარი. ქვეყანაში შემოვიდა პალესტინელი ლტოლვილების ახალი ნაკადი (დაახლ. 300 000). ამან ხელი შეუწყო შიდაპოლიტიკური ვითარების დაძაბვას იორდანიაში 1967-74 წლებში. იორდანიის მთავრობამ დაიწყო უფრო

ბალანსირებული საგარეო-პოლიტიკური კურსის გატარება. ამის შედეგი იყო მეფე ჰუსეინის პირველი ვიზიტი საბჭოთა კავშირში (1967წ. ოქტომბერი). ამის პარალელურად იორდანიის ხელისუფლება აგრძელებდა აქტიურ თანამშრომლობას დასავლეთთან და არაბული ქვეყნებთან, რომელთა მიზანი იყო ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოგვარება და გაეროს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის №242 რეზოლუციის რეალიზება. 1970 წელს იორდანიის არმიამ სისხლში ჩაახშო პალესტინელთა აჯანყება და ქვეყნიდან განდევნა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის გასამხედროებული ნაწილები, რომელთა გადაადგილება მოხდა სირიასა და ლიბანში მომდევნო წელს. 1972 წლის 15 მარტს მეფე ჰუსეინი გამოვიდა იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოს რეორგანიზაციის წინადადებით. გეგმა ითვალისწინებდა არაბთა გაერთიანებული სამეფოს ჩამოყალიბებას, რომელშიც უნდა შესულიყო პალესტინის რაიონი (დასავლეთ ნაპირი და პალესტინის სხვა ტერიტორიები განთავისუფლების შემდეგ, რომელთა მოსახლეობაც გამოთქვამდა მასთან შეერთების სურვილს) დედაქალაქით იერუსალიმში და იორდანიის რაიონი (მდ. იორდანეს აღმოსავლეთი ტერიტორია) დედაქალაქით ამანში. ჰუსეინის ჩანაფიქრით, სახელმწიფოს მეთაური – მეფე აღიჭურვებოდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებით. ეროვნული კრება აირჩეოდა პირდაპირი, ფარული კენჭისყრით და შედგებოდა თანაბარი რაოდენობის წევრებისაგან ორივე რაიონიდან. ახალი სახელმწიფოს შექმნის გეგმა არ განხორციელდა, რადგანაც არაბული ქვეყნების უმრავლესობამ შეაფასა ის მცდელობად – ჩამოეცილებინა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია პალესტინის პრობლემის გადაწყვეტისაგან. ისრაელისა და არაბული ქვეყნების 1973 წლის ომში იორდანიის სამეფო ოფიციალურად არ იღებდა მონაწილეობას. სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა ძირითადად ისრაელსა და მის მოწინააღმდეგე სირიასა და ეგვიპტეს შორის. თუმცა სირიაში იყო იორდანიის რამდენიმე სამხედრო შენაერთი, რომლებიც მონაწილეობდნენ საბრძოლო ოპერაციებში. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემის დარეგულირებასთან დაკავშირებით იორდანიამ დაიკავა ორმაგი პოზიცია: ერთი მხრივ, ის არ მონაწილეობდა ტრიპოლის (ლიბია) კონფერენციის მუშაობაში და არ შევიდა იქ ჩამოყალიბებულ „წინააღმდეგობის ფრონტის" შემადგენლობაში, ხოლო მეორე მხრივ, მან მკაცრად გააკრიტიკა კემპ-დევიდის (1978წ. 5-17 სექტემბერი) სამმხრივი შეთანხმების შედეგები და არაბთა ლიგის 18 სახელმწიფოსთან ერთად გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ეგვიპტესთან (1979 წლის 27 მარტს ეგვიპტე-ისრაელის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ). თუმცა რიგ შემთხვევებში მოქმედებდა თავისი ოფიციალური პოზიციის საწინააღმდეგოდ. 1994 წლის 26 ოქტომბერს, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება ისრაელსა და იორდანიის ჰაშიმიანთა სამეფოს შორის და მათ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს ერთმანეთთან. იორდანიამ მხოლოდ 1998 წელს გამოაცხადა, რომ მომავალი პალესტინის სახელმწიფოს სასარგებლოდ უარს აცხადებს ამ ტერიტორიებზე, ანუ მთელ „დასავლეთ ნაპირზე" აღმოსავლეთ იერუსალიმის ჩათვლით.

1989 წელს ქვეყანაში გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც ფაქტობრივად 20 წელი გაგრძელდა. დაუშვეს პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ჩამოყალიბება (1992წ.), განახლდა კონსტიტუციის მოქმედება, ჩატარდა თავისუფალი არჩევნები ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში, რომელზედაც დაუშვეს ქალებიც. 1999 წლის 7 თებერვალს გარდაიცვალა მეფე ჰუსეინი, რომლის პიროვნებასაც მრავალი იორდანელი უკავშირებდა ქვეყნის არსებობას. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, ჰუსეინმა იორდანიის ტახტის მემკვიდრედ, ძმის – ჰასანის ნაცვლად, დანიშნა თავისი ვაჟი – *აბდულლაჰ II ბინ ალ-ჰუსეინი (არაბ. ალ-მალიქ 'აბდ ალლაჰ ას-სანი იბნ ალ-ჰუსაინი).* სწორედ ის გახდა იორდანიის ახალი მე-

ფეც. 40 დღიანი ტრაურის შემდეგ აბდულლაჰ II-ის ცოლი – რანია ალ-იასინი დედოფლად გამოცხადდა, ხოლო მეფე ჰუსეინის ერთ-ერთმა ცოლმა, დედოფალმა ნურმა (ლიზა ნაჯეებ ჰალაბი, ისლამზე მოქცევის შემდეგ გახდა დედოფალი ნური) დედა-დედოფლის ტიტული მიიღო. 1999 წლის 9 ივნისს მოხდა აბდულლაჰ II-ის კორონაცია. მეფემ განაცხადა, რომ ის გააგრძელებს თავისი მამის პოლიტიკას ისრაელთან მიმართებაში და ყოველთვის მხარს დაუჭერს სამშვიდობო პროცესის განვითარებას ახლო აღმოსავლეთში. 1999 წლის ბოლოს იორდანიამ და ეგვიპტემ გამოაცხადეს პალესტინის ავტონომიისათვის თავიანთი მხარდაჭერის შესახებ. იორდანიამ და ეგვიპტემ ხაზი გაუსვეს, რომ ახლოაღმოსავლური კრიზისის დარეგულირებისათვის აუცილებელია დაუყოვნებლივ შესრულდეს გაეროს უშიშროების საბჭოს №242 და №338 რეზოლუციები. აბდულლაჰი მომხრეა აგრეთვე აშშ-თან, იაპონიასთან და ევროპის მსხვილ დონორ ქვეყნებთან დაახლოების. მისი აზრით, მხოლოდ მათ დახმარებას შეუძლია გამოიყვანოს იორდანია ეკონომიკური კრიზისიდან. აბდულლაჰმა აღადგინა აგრეთვე ურთიერთობა სირიასთან. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, აბდულლაჰმა საზღვარგარეთის ლიდერებს შორის ერთ-ერთმა პირველმა მოინახულა აშშ და მხარდაჭერა გამოუცხადა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 2005 წლის 9 ნოემბერს ამანის სასტუმროებში ერთდროულად სამი ბომბი აფეთქდა, რის შედეგადაც 57 ადამიანი დაიღუპა და 115 დაიჭრა. ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა აიღო ტერორისტულმა ჯგუფმა („ალ-კა'იდა ერაყში"), რომელსაც ხელმძღვანელობს იორდანელი აბუ მუს'აბ აზ-ზარკავი.

სახელმწიფო წყობა. იორდანიის მმართველობის ფორმა არის კონსტიტუციური მონარქია. ქვეყნის მოქმედი კონსტიტუცია მიღებულია 1952 წლის 8 იანვარს, შესწორებები შეიტანეს 1974 და 1989 წელს. სახელმწიფოს მეთაური არის მეფე. 2007 წლის 25 ნოემბრიდან მეფე არის *აბდულლაჰ II* (დაბად. 1962წ.). უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო არის 2 პალატიანი პარლამენტი – ეროვნული ასამბლეა: *დეპუტატთა პალატა* – 110 წევრი (აქედან 83 აირჩევა საერთო პროცედურის შესაბამისად, ხოლო 27 – კვოტების ფარგლებში: 9 ადგილი გამოყოფილია მომთაბარე ტომების წარმომადგენლებისათვის, 9 – ქრისტიანებისათვის, 6 – ქალებისათვის, 3 – ჩრდილოკავკასიური დიასპორისათვის) და *სენატი* – 55 წევრი, რომელთაც პირდაპირ მეფე ნიშნავს იორდანიის ელიტის ცნობილი წარმომადგენლებიდან. სენატორები უნდა იყვნენ არა ნაკლებ 40 წლის, ხოლო დეპუტატთა პალატის კანდიდადები – არა ნაკლებ 35 წლის (ამასთან არ უნდა იყვნენ მეფის ახლო ნათესავები).

უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო არის მთავრობა (მინისტრთა კაბინეტი), რომელიც ფორმალურად ანგარიშვალდებულია ქვედა პალატის წინაშე. პრემიერ-მინისტრის დანიშვნა-განთავისუფლება აბსოლუტურად მეფის პრეროგატივაა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრია *ნადერ დაჰაბი* (არაბ. ნადირ აზ-ზაჰაბი, დაბად.1946წ.).

ქვეყანა ადმინისტრაციულად დაყოფილია 12 პროვინციად, რომელთა სათავეშიც არიან გუბერნატორები და მათ ნიშნავს მეფე.

ეროვნული დღესასწაულებია: 25 მაისი – დამოუკიდებლობის დღე (1946წ.); 30 იანვარი – მეფის დაბადების დღე (1926წ.).

პოლიტიკური პარტიები. ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების და ორგანიზაციების მოქმედება დაშვებულია მხოლოდ 1992 წლიდან. პარტიები შეიძლება 4 ნაწილად დაიყოს: ისლამური, მემარცხენე, არაბი ნაციონალისტები და კონსერვატორები. ქვეყანაში არის 36 პარტია. ძირითადი პარტიებია: 1. „ეროვნული ერთიანობის იორდანიის დემოკრატიული პარტია"; 2.„იორდანიის კომუნისტური პარტია"; 3. „ისლამური მოქმედების ფრონტი" (შეიქმნა 1992წ. და გაერთიანებული არიან „მუსლიმი ძმების" წევრები და დამოუკიდებელი ისლამისტები). თუმცა პარტიებს არა აქვთ მყარი სოციალური ბაზა და არ შეუძლიათ ეფექტური ზეგავლენა მოახდინონ ხელისუფლებაზე. 2008 წლის 16 აპრილს ძალაში შევიდა ახალი კანონი პოლიტიკურ პარტიებზე.

ახალი წესების შესაბამისად, პარტიებმა უნდა მიიღონ სერტიფიკატი, რაც ადასტურებს სახელმწიფოს მხარდაჭერას. ამასთან, პარტიის წევრთა მინიმალური რაოდენობა 50-დან 500-მდე გაიზარდა.

ეკონომიკა. იორდანია არის პატარა ქვეყანა შეზღუდული ბუნებრივი რესურსებით. 1988-89 წლებში ქვეყანაში იყო ეკონომიკური კრიზისი. 1989 წლიდან მეფე ჰუსეინმა დაიწყო სამეურნეო რეფორმის გატარება, რომლის მიზანი იყო ეკონომიკის ლიბერალიზაცია და პრივატიზაცია. ამის შედეგად 1999 წელს ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა, ინფლაცია მინიმუმამდე დაეცა. ქვეყანამ მიიღო ევროკავშირის, იაპონიის, იტალიის და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დახმარება. აღდგა ერაყიდან შეღავათიან ფასებში ნავთობის მოწოდება. 2003 წლიდან დაიწყო ნავთობის მიღება სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან, ხოლო გაზის მიღება ეგვიპტიდან. 2001 წელს დადო აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება. თუმცა უმუშევრობის დონე 27%-ს აღწევს. 2007 წელს იორდანიამ ოფიციალურად გამოაცხადა ატომური ენერგეტიკის განვითარების პროგრამის რეალიზაციის დაწყების შესახებ. იორდანიაში მრეწველობის ძირითადი დარგებია: ფოსფორიტების მოპოვება, ნავთობის გაწმენდა, ცემენტის და პოტაშის წარმოება. განვითარებულია მსუბუქი მრეწველობაც. თამბაქოს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა შედარებით სუსტად არის განვითარებული, წყლის რესურსების ნაკლებობის და მშრალი კლიმატის გამო. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ციტრუსები, ნესვი, ზეთის ხილი, პომიდორი. მიწათმოქმედებაში და მეცხოველეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 60%, მაგრამ ქვეყანა კვების პროდუქტების მსხვილ იმპორტიორად რჩება.

ექსპორტი: ფოსფატები, ცემენტი, პოტაში, სასუქები, საფეიქრო ნაწარმი. *იმპორტი:* სასოფლო-სამეურნეო ცხოველები, მძიმე მანქანათმშენებლობის პროდუქცია, კვების პროდუქტები. ქვეყნის ძირითადი პრობლემებია: დიდი საგარეო ვალი, ცხოვრების დაბალი დონე და უმუშევრობა. *სავაჭრო პარტნიორები:* ერაყი, საუდის არაბეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სირია, გერმანია, ამერიკა.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, იორდანია არის დაბალი ეროვნული შემოსავლების ქვეყანა. 2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა 31,01 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავალი იყო 5,000 დოლარი.

განათლება. იორდანიაში დიდი ყურადღება ექცევა განათლების სისტემის განვითარებას. ჯერ კიდევ 1850 წელს გაიხსნა პირველი საგანმანათლებლო დაწესებულება – მართლმადიდებლური ქრისტიანული სკოლა. ტრანსიორდანიის პირველი საშუალო სკოლა გაიხსნა 1926 წელს სალტაში. 1955 წელს სავალდებულო გახდა დაწყებითი (6 წელი), 1964 წლიდან – 9 წლიანი, ხოლო 1987 წლიდან – 10 წლიანი განათლება. იორდანიაში აკადემიური სასკოლო განათლება შედგება სრული დაწყებითი სკოლისა (7 კლასი) და საშუალო სკოლისაგან (4 კლასი). სახელმწიფო სკოლებში სწავლა უფასოა. საშუალო განათლება ორ კატეგორიად იყოფა: აკადემიური (მათ შორის პროფესიული განათლება მაღალ კლასებში) და გამოყენებითი, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად ორიენტირებულია პროფესიულ სწავლებაზე. 1989 წელს მთავრობამ დაიწყო განათლების სისტემის 10 წლიანი პროგრამის დანერგვა, აქტიურად მიმდინარეობს სკოლების კომპიუტერიზაცია. 2000 წლისათვის წერა-კითხვის უცოდინართა დონე 17%-მდე შემცირდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ აუცილებელია საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარება, რის შემდეგაც ხდება ჩარიცხვა უმაღლეს სასწავლებლებში. კერძო სკოლებში 10 წლიანი სწავლების შემდეგ ბარდება გამოცდები დასავლური სტანდარტით, მაგრამ იორდანიის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ სერტიფიკატს არ ცნობენ. თუმცა ნებას რთავენ შევიდეს დასავლეთის უნივერსიტეტებში. ამჟამად ქვეყანაში არის 10 სახელმწიფო და 13 კერძო უნივერსიტეტი. ამის გარდა არის 55 კოლეჯი. ქვეყნის დიდი უნივერსიტეტებია: *იორდანიის*

უნივერსიტეტი (პირველი უნივერსიტეტი), რომელიც გაიხსნა 1962 წელს ამანში. უნივერსიტეტში არის 18 ფაკულტეტი, სადაც სწავლობს 35,574 სტუდენტი (ვებგვერდი – www.ju.edu.jo); *ამანის ალ-აჰლია უნივერსიტეტი*, რომელიც დაარსდა 1990 წელს და არის 6 ფაკულტეტი (ვებგვერდი – www.amman.edu/); *პრინცესა სუმაიას ტექნოლოგიური უნივერსიტეტი* – პირველი და ერთადერთი ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (არასახელმწიფო), რომელიც დაარსდა 1991წელს (ვებგვერდი – www.psut.edu.jo/); *იარმუქის უნივერსიტეტი*, რომელიც დაარსდა მეფის დეკრეტით 1976 წელს, მდებარეობს ქ. ირბიდში. უნივერსიტეტში არის დაახლ. 20 000 სტუდენტი (ვებგვერდი – www.yu.edu.jo).

ფულის ერთეული – იორდანიის დინარი. ის იყოფა 10 დირჰამად, 100 კირშად და 1000 ფილსად. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 0,709 დინარს.

კატარის სახელმწიფო
دولة قطر

გეოგრაფია. კატარის სახელმწიფო მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, კატარის ნახევარკუნძულზე (არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთი სანაპირო). სამხრეთით მას ესაზღვრება საუდის არაბეთი (საზღვრის სიგრძე 40 კმ) და არაბთა გაერთიანებული საამიროები (20 კმ). კატარის ნახევარკუნძულს ყველა მხრიდან აკრავს სპარსეთის ყურის წყლები. ის ზღვით უკავშირდება ბაჰრაინს და სპარსეთის ყურის სხვა სახელმწიფოებს. საზღვრების საერთო სიგრძეა 60 კმ., ხოლო სანაპირო ზოლის სიგრძე – 563 კმ. ქვეყნის საერთო ფართობია – 11,437 კვ.კმ.

მოსახლეობა. 2008 წ. მონაცემებით, კატარის მოსახლეობა არის 1,400,000. მოსახლეობის საერთო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 48 ადამიანს შეადგენს. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ცხოვრობს დედაქალაქში. ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფი – არაბები შეადგენენ მოსახლეობის 40%-ს, პაკისტანელები – 18%-ს; ირანელები – 10%-ს; ინდოელები – 10%-ს და სხვ. ოფიციალური ენა არის არაბული, გავრცელებულია აგრეთვე ინგლისური ენა. სახელმწიფო რელიგია არის ისლამი. მოსახლეობის 95% მუსლიმია (მუსლიმი-ვაჰაბიტები – 90%; შიიტები – 10%). არიან ქრისტიანობის (დაახლ. 100 000 ადამიანი), ინდუიზმის, სიკჰის, ბუდიზმისა და ბაჰაიზმის მიმდევრები.

ჰავა. კატარისათვის დამახასიათებელია მშრალი, ტროპიკული, კონტინენტური ჰავა. შედარებით ცივი ზამთარი გრძელდება დეკემბრიდან მარტის დასაწყისამდე. ნოემბრიდან მაისამდე არის წვიმები. ზაფხულში ტემპერატურამ შეიძლება მიაღწიოს 50°C.

დედაქალაქი – დოჰა (არაბ. ად-დავჰა; 2008 წ. მონაცემებით, 500,000 მცხოვრები), რომელიც მდებარეობს ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, სპარსეთის ყურის ნაპირზე. ეს არის მნიშვნელოვანი კულტურული და კომერციული ცენტრი, რომელიც დაარსდა 1850 წელს. დოჰაში არის საერთაშორისო აეროპორტი. დაიწყო ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა, რომლის დასრულებაც გათვალისწინებულია 2015 წლისათვის. მისი ღირებულება 22 მილიარდი დოლარია და ის იქნება ერთ-ერთი უდიდესი აეროპორტი მსოფლიოში.

ისტორიული ნარკვევი. VII საუკუნიდან თანამედროვე კატარის ტერიტორია არაბთა სახალიფოს შემადგენლობაშია. XIII-XIVსს-ში კატარი ბაჰრაინის ამირებს ემორჩილება, შემდეგ კი ომანის დაქვემდებარებაშია. XVI ს-ში კატარი გახდა ოსმალეთის იმპერიის პროვინცია. XIX საუკუნის დასაწყისში კატარი ვაჰაბიტებმა დაიმორჩილეს, ხოლო 1868 წლიდან დიდი ბრიტანეთის კონტროლს ექვემდებარება. 1871 წელს კატარი კვლავ ოსმალეთის იმპერიის ნაწილი ხდება. 1876 წელს *ჯასიმ იბნ მუჰამად ას-სანი* ('უთუბის ტომის, ალ-ხალიფას გვარიდან, რომელიც დამკვიდრდა იქ 1766 წელს) დაინიშნა კატარის კაიმაკამად (არაბ. კა'იმ მაკამ – ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი), ხოლო 1879 წელს დოჰას გამგებლად. მან გააერთიანა ურთიერთდაპირისპირებული არაბული ტომები და ჩამოაყალიბა კატარის სამთავრო. 1882 წელს დიდმა ბრიტანეთმა, კატარის გამგებელთან დადებული ხელშეკრულებით, ეს ქვეყანა თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა. 1914 წელს ოსმალეთმა კატარი დიდ ბრიტანეთს დაუთმო. I მსოფლიო ომის წლებში კატარში შიდაპოლიტიკური ვითარება უკიდურესად არასტაბილური იყო. ბინადარი მოსახლეობის ნაწილი კრიტიკულად იყო განწყობილი მმართველი ას-სანის დინასტიის მიმართ, ხოლო მომთაბარე ტომებს უფრო მეტად სურდათ დამორჩილებოდნენ საუდიანებს, ვიდრე ადგილობრივ მმართველებს. ამ ვითარებამ აიძულა შაიხი *აბდულლაჰ ბინ ჯასიმ ას-სანი (არაბ. 'აბდ ალლაჰ იბნ ჯასიმ ას-სანი, 1913-1949)* 1916 წ. 3 ნოემბერს დიდ ბრიტანეთთან დაედო შეთანხმება, რომელიც ანესებდა ბრიტანეთის პროტექტორატს კატარზე. ამან გააძლიერა ანტიბრიტანული განწყობა ქვეყნის შიგნით, მრავალი ტომი გამოვიდა „ურწმუნოთა" ჰეგემონიის წინააღმდეგ და საამიროს დამოუკიდებლობისათვის. 1968 წლის 25 თებერვალს დუბაიში შეიკრიბნენ „სახელშეკრულებო ომანის" 7 საამიროს, ბაჰრაინისა და კატარის წარმომადგენლები, ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას და გამოაცხადეს ფედერაციული არაბული საამიროების შექმნა. 1968-1971 წლებში შედგა რამდენიმე შეხვედრა უმაღლეს დონეზე, რომელმაც გამოავლინა წინააღმდეგობა შაიხებს შორის შექმნილ ფედერაციაში მათი საამიროების ადგილისა და როლის გამო. ამ უთანხმოების შედეგად კატარმა უარი თქვა ფედერაციაში შესვლაზე. 1970 წლის 2 აპრილს მიიღეს დროებითი კონსტიტუცია (დღემდე მოქმედებს), რომელმაც კანონდებლობის დონეზე განამტკიცა კატარის, როგორც აბსოლუტური მონარქიის სტატუსი და დაუკანონა ხელისუფლება ას-სანის სამეფო ოჯახს. სახელმწიფოს მეთაურმა ჩამოაყალიბა საკონსულტაციო საბჭო სათათბირო ფუნქციებით. 1970 წელს ჩამოყალიბდა მინისტრთა კაბინეტი. 1971 წლის 1 სექტემბერს გამოცხადდა კატარის დამოუკიდებლობა დიდი ბრიტანეთისაგან. სახელმწიფოს მეთაურს მიენიჭა ამირას ტიტული.

1972 წლის 22 თებერვალს სამეფო ოჯახის დახმარებით, ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ხალიფა *ბინ ჰამად ას-სანიმ (არაბ. ხალიფა იბნ ჰამად ას-სანი)* მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება, საზღვარგარეთ მყოფი აჰმად იბნ 'ალი (1960-1972) დამხობილად გამოაცხადა და თვითონ გახდა ამირა (1972-1995). ჰამად ას-სანიმ ინგლისელი ექსპერტების დახმარებით დაიწყო სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. თუმცა მმართველი წრეების ნაწილმა რეფორმები შეაფასა უარყოფითად და მოითხოვა ტრადიციული ინსტიტუტების აღდგენა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ხშირად გამოთქვამს უკმაყოფილებას „ქვეყნის საერთო სიმდიდრის" არასამართლიანი განაწილების გამო. ისევე როგორც ყველა ნავთობმომპოვებელ ქვეყანაში, კატარშიც გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენენ მუშა-ემიგრანტები (კატარის მოსახლეობის 60%), რომლებსაც აქვთ პოლიტიკური და ეკონომიკური მოთხოვნები. 1981 წელს კატარი გახდა სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს წევრი და მოაგვარა ტერიტორიული უთანხმოებები მეზობელ საამიროებთან.

XX საუკუნის 90-იან წლებში, სპარსეთის ყურის კრიზისთან დაკავშირებით, ხალიფამ და მისმა მთავრობამ დაიწყეს ქვეყანაში „წესრიგის დამყარება": მასობრი-

ვი დაპატიმრებები და „ძირგამომთხრელი ელემენტების", მათ შორის შიიტების, გასახლება ქვეყნიდან. დაწესდა მკაცრი კონტროლი ტელეცენტრის და რადიოსადგურის მუშაობაზე. გაზეთები და ჟურნალები მკაცრ ცენზურას დაემორჩილა, შემოიღეს აკრძალვა უცხოური გამოცემების უმრავლესობის შემოტანაზე. საგარეო პოლიტიკაში უპირატესობა ენიჭება საუდის არაბეთს. 1995 წლის ივნისში კატარში მოხდა სასახლის გადატრიალება, რომლის დროსაც *ჰამად ბინ ხალიფამ (არაბ. ჰამად იბნ ხალიფა)* ხელისუფლებას ჩამოაცილა თავისი მამა – ხალიფა იბნ ჰამადი, როცა ეს უკანასკნელი შვეიცარიაში იმყოფებოდა. ჰამადმა დაიწყო სოციალურ-პოლიტიკური ლიბერალიზაცია, ქალებს მისცა საარჩევნო ხმის უფლება, შემოიღო ახალი კონსტიტუცია, დააარსა ტელეარხი ალ-ჯაზირა (1996წ.). 2003 წელს კატარში გადაიტანეს საუდის არაბეთში არსებული ამერიკული სამხედრო-საჰაერო ბაზა – პრინც-სულტანი, რომელიც ამერიკამ გამოიყენა ერაყში სამხედრო ოპერაციის დროს. 2006 წლის აპრილში კატარმა მხარი დაუჭირა პალესტინის სახელმწიფოს, რომლის სათავეშიც მოვიდა „ჰამასი" და გამოაცხადა, რომ მისცემდა მას 50 მლნ ამერიკულ დოლარს.

სახელმწიფო წყობა. კატარის მმართველობის ფორმა არის აბსოლუტური მონარქია. 2003 წლის 29 აპრილს მიიღეს ქვეყნის კონსტიტუცია, რომელიც დაამტკიცა ამირამ 2004 წლის 8 ივნისს და ამოქმედდა 2005 წლის 9 ივნისს. ქვეყნის მმართველია ას-სანის ოჯახი. სახელმწიფოს მეთაური – ამირა. 1995 წლის 27 ივნისიდან ამირა არის *შაიხი ჰამად ბინ ხალიფა ას-სანი* (დაბად. 1952წ.). ისტორიულად ას-სანის გვარში ჩამოყალიბდა ტახტის მემკვიდრეების სამი ხაზი – იბნ ჰამადი, იბნ 'ალი და იბნ ხალიდი. ამ სამ შტოს შორის მრავალწლიანი მეტოქეობა არსებობს. ეს ფაქტორი აიძულებს ას-სანის ოჯახის წევრებს გამუდმებით იზრუნონ დადგენილი შიდადინასტიური ბალანსის შესანარჩუნებლად. საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს ერთპალატიანი სათათბირო საბჭო (მაჯლის აშ-შურა). დეპუტატთა რაოდენობა განსაზღვრულია 40 ადგილით და ყველა წევრს ნიშნავს ამირა. სათათბირო საბჭო განიხილავს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებს, ამტკიცებს ბიუჯეტს და მინისტრთა კაბინეტს. 2008 წლის მაისში მიიღეს საარჩევნო კანონი, საბჭოში შევა 45 წევრი, აქედან 30 აირჩევა, 15 დაინიშნება ამირას მიერ. ქვეყნის აღმასრულებელ ორგანოს – მინისტრთა კაბინეტს ხელმძღვანელობს მონარქი – ამირა და პრემიერ-მინისტრი, რომელიც ასევე ითავსებს თავდაცვის მინისტრისა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტებს. 2007 წლის 3 აპრილიდან პრემიერ-მინისტრია *ჰამად ბინ ჯასსიმ ბინ ჯაბერ ას-სანი (არაბ. ჰამად იბნ ჯასიმ იბნ ჯაბირ ას-სანი*, დაბად.1959წ.). მთავრობის 24 წევრიდან 12 არის ას-სანის ოჯახის წევრი. 1997 წელს კატარი სპარსეთის ყურეში პირველი ქვეყანა გახდა, სადაც ქალებმა საარჩევნო ხმის უფლება მოიპოვეს. არაფორმალურად ითვლება, რომ კატარი ყველაზე ლიბერალური სახელმწიფოა სპარსეთის ყურეში.

კატარი ადმინისტრაციულად იყოფა 10 მუნიციპალიტეტად (არაბ. ბალადიიდან).

ქვეყნის ეროვნული დღესასწაული – 3 სექტემბერი (1971წ.), დამოუკიდებლობის დღე.

პოლიტიკური პარტიები. პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების საქმიანობა ქვეყანაში აკრძალულია.

ეკონომიკა. ქვეყნის ეკონომიკის ძირითად დარგს წარმოადგენს ნავთობმომპოვებელი და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა. ნავთობის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 85%-ს. ქვეყანაში დიდი რაოდენობითაა ბუნებრივი გაზიც. ითვლება, რომ კატარს ყველაზე დიდი მარაგი აქვს ბუნებრივი გაზის, რომელიც მაღალი ხარისხითაც გამოირჩევა. ნავთობისა და გაზის წარმოებაზე, ასევე

კადრების მომზადებაზე პასუხისმგებლობას იღებს Qatar General Petroleum Corporation. სოფლის მეურნეობა სუსტად არის განვითარებული და აკმაყოფილებს კვების პროდუქტებზე ქვეყნის მოთხოვნილების მხოლოდ 10%-ს. მიწათმოქმედება ძირითადად განვითარებულია ოაზისებში. მოჰყავთ ხილი, ბოსტნეული (ფინიკი, ქოქოსი, მარცვლეული), მეცხოველეობით დაკავებული არიან მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე ტომები. აწარმოებენ რძის და ხორცის პროდუქტებს. მაღალ დონეზეა განვითარებული თევზის წარმოება. *ექსპორტი:* ნავთობპროდუქტები, სასუქები, ფოლადი. *იმპორტი:* მანქანა-დანადგარები, სამომხმარებლო საქონელი, კვების პროდუქტები, ქიმიკალიები, სასოფლო-სამეურნეო ცხოველები. *საგაჭრო პარტნიორები:* იაპონია, იტალია, სინგაპური, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, აშშ, არაბთა გაერთიანებული საამიროები, საფრანგეთი, სამხრეთ კორეა.

2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 83,29 მილიარდი დოლარი. ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავლით (101,000 დოლარი) კატარი პირველ ადგილზეა არაბულ სამყაროში.

განათლება. 1951 წლამდე ქვეყანაში არსებობდა მხოლოდ ტრადიციული სასწავლებლები – *ქუთაბ*, რომლებიც ძირითადად იყო კერძო. ისწავლებოდა ყურანი და მასთან დაკავშირებული დისციპლინები. 1956 ჩამოყალიბდა განათლების სამინისტრო და შემოიღეს სწავლების სამი საფეხური: დაწყებითი (6 წელი), მოსამზადებელი (3 წელი) და საშუალო (3 წელი). კატარის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა განათლების სფეროში. 1973 წელს გაიხსნა პედაგოგიური კოლეჯი მასწავლებელების მოსამზადებლად, რაც გახდა ქვეყანაში საუნივერსიტეტო განათლების საფუძველი. 2002 წელს ამირა ჰამად იბნ ხალიფა ას-სანიმ დააარსა უმაღლესი განათლების საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობს და აკონტროლებს განათლების სისტემას ყველა საფეხურზე – სკოლამდელიდან საუნივერსიტეტოს ჩათვლით. სახელმწიფო უზრუნველყოფს თავის მოქალაქეებს უფასო განათლებით სწავლების ყველა ეტაპზე. უფასოა სახელმძღვანელოები, სასწავლო და საკანცელარიო ნივთები, სპორტული სამოსი, სამედიცინო შემოწმება, ტრანსპორტირება სწავლის ადგილამდე. სკოლები განთავისუფლებულია ელექტროენერგიისა და წყალზე გადასახადისაგან. სკოლები ცალკეა გოგონებისა და ვაჟებისათვის. არის აგრეთვე სპეციალური სკოლები ინვალიდი ბავშვებისათვის. სახელმწიფო სკოლებში სწავლა უფასოა უცხოელებისათვისაც. მასწავლებელთა 70%-ს ქალები შეადგენენ. სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობს კერძო განათლების სისტემასაც. არის სპეციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს კერძო სკოლების ფინანსურ დახმარებას და მიწის ნაკვეთების გამოყოფას ასეთი სასწავლებლებისათვის. კერძო სკოლებში სწავლობს მოსწავლეთა 1/3. 90-იან წლებში ყველა სასწავლო დაწესებულებაში გაიზარდა ისლამის სწავლების საათები. ქვეყანაში პრიორიტეტულად ითვლება უმაღლესი განათლებაც. *კატარის უნივერსიტეტში, რომელიც* დაარსდა 1973 წელს დოჰაში, დაახლ. 10 000 სტუდენტი (მათ შორის 75% ქალი) სწავლობს. უნივერსიტეტში სწავლება არაბულ ან ინგლისურ ენაზეა (საინჟინრო და ბიზნესის სპეციალობები, უნივერსიტეტი ვებგვერდი – www.qu.edu.qa/main/index.html). დოჰის გარეუბანში არის *განათლების ქალაქი*, რომელსაც უკავია 14 კვ. კმ. ფართობი და შედგება მრავალი სასწავლო დაწესებულებისაგან (სკოლიდან დაწყებული – კვლევით ინსტიტუტამდე). ის არის განათლების ცენტრი, რომელშიც შედის ამერიკის უნივერსიტეტის ფილიალებიც.

ფულის ერთეული – კატარის რიალი. ის იყოფა 100 დირჰამად. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 3,64 რიალს.

კომორის კუნძულების კავშირი
الإتحاد القمري

გეოგრაფია. ეს არის სახელმწიფო, რომელიც შედგება კუნძულებისაგან (სამი არის ძირითადი – გრანდ-კომორი, ანჯუანი, მოჰელი და სხვა პატარა კუნძულები), განლაგებულია აფრიკის კონტინენტსა და მადაგასკარის კუნძულს შორის. კუნძული მაიოტი, რომელზედაც პრეტენზიას აცხადებს კომორის ხელისუფლება, ეკუთვნის საფრანგეთს. სახელწოდება *ჯუზურ ალ-კუმურ* ნიშნავს მთვარის კუნძულებს. სანაპირო ზოლის სიგრძეა – 340 კმ. ქვეყნის საერთო ფართობი – 2,236 კვ. კმ. 2002 წლამდე ქვეყანას ეწოდებოდა კომორის კუნძულების ისლამური ფედერაციული რესპუბლიკა.

მოსახლეობა. 2008 წ. მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობა არის 731,775. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე შეადგენს 295 ადამიანს. მოსახლეობის უმრავლესობა კომორელებია – მალაგასიელებთან და აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებლებთან შერეული არაბთა შთამომავლები. სახელმწიფო ენა არის არაბული და ფრანგული. გავრცელებულია აგრეთვე კომორული და ადგილობრივი დიალექტი (სუაჰილი+არაბული). სახელმწიფო რელიგია სუნიტური მიმართულების ისლამია. მოსახლეობის 98% მუსლიმების არიან. (1% შიიტები, 99% მუსლიმი-სუნიტები), 2% – კათოლიკეები. სუფიური საძმოები აქტიურ როლს ასრულებენ ქვეყნის რელიგიურ ცხოვრებაში.

ჰავა. კომორის კუნძულებზე არის ტროპიკული, ნოტიო და ცხელი ჰავა. საშუალო ტემპერატურა 24°C დან 27°C-მდეა. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1100-დან 3000 მმ-მდე მერყეობს.

დედაქალაქი – მორონი (მურუნი; 2006 წლის მონაცემებით, 60,800 მცხოვრები), მდებარეობს გრანდ-კომორზე. ცნობილია როგორც არაბი ვაჭრების პორტი.

ისტორიული ნარკვევი. XI საუკუნეში არაბებმა კომორის კუნძულებზე დააარსეს სასულტნო. XVI ს-ში (1505 წ.) კუნძულზე პირველად გამოჩნდნენ ევროპელები – პორტუგალიელები, მაგრამ მათ არანაირი კვალი არ დაუტოვებიათ კუნძულზე. 1841 წლიდან კუნძული მაიოტა, ხოლო 1886 წლიდან სხვა კუნძულებიც გადავიდა საფრანგეთის მფლობელობაში. 1958 წელს ჩატარებული რეფერენდუმით, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აირჩიეს ქვეყნისათვის სტატუსი – საფრანგეთის „ზღვისპირა ტერიტორია", რომელმაც 1961 წელს მიიღო თვითმმართველობის უფლება. 1975 წლის 6 ივლისს გამოცხადდა ქვეყნის დამოუკიდებლობა –*კომორის კუნძულების რესპუბლიკა.* კუნძულმა მაიოტამ, მოსახლეობის მოთხოვნით (რეფერენდუმი ჩატარდა 1974 წლის დეკემბერს), შეინარჩუნა იგივე სტატუსი. 1978 წლიდან ქვეყანას ეწოდება *კომორის კუნძულების ფედერაციული ისლამური რესპუბლიკა.* 1975, 1978, 1989, 1992, 1995 წწ. ქვეყანაში მოხდა სახელმწიფო გადატრიალებები. 1996-1998 წლებში ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა *მოჰამედ აბდულქარიმმა (არაბ. მუჰამმად 'აბდ ალ-ქარიმი).* 1996 წელს მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომელმაც განამტკიცა მრავალპარტიულობის სისტემა, ხოლო ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

1997 წელს კუნძულებმა – ანჯუანმა და მოჰელმა გამოაცხადეს თავიანთი დამოუკიდებლობა კომორისაგან. ამას მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან შესაბამისი რეაქცია, რომელმაც აჯანყებულ კუნძულებზე აღადგინა კონტროლი ძალის გამოყენებით. აფრიკულმა კავშირმა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჩარევით, დაიწყო მოლაპარაკებები, რათა შეერიგებინა მოდავე მხარეები. ეს გულის-

ხმობდა სახელმწიფო ავტონომიის სისტემას თითოეული კუნძულისათვის და გაერთიანებულ მმართველობას 3 კუნძულისათვის. ამ კუნძულების მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივ გამოცხადებას საერთაშორისო აღიარება არ მიუღია და მოგვიანებით მოხდა მისი ანულირება (2002 წ.).

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ (ვანილსა და მიხაკზე მსოფლიო ფასების დაცემის გამო) და სეპარატიზმმა გამოიწვია შიდაპოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია. 1999 წლის 30 აპრილს მოხდა სამხედრო გადატრიალება და ხელისუფლების სათავეში მოვიდა პოლკოვნიკი *აზალი ასსუმანი (არაბ. ღაზალი 'ასსუმანი)*, რომელიც დაპირდა მოსახლეობას, რომ გადაწყვეტდა ტერიტორიულ კრიზისს ქვეყნის კონფედერაციული მოწყობით. 2001 წელს სამთავრობო არმიამ აღკვეთა სამხედრო გადატრიალების მცდელობები ანჯუანის და მოჰელის კუნძულებზე. 2002 წლის აპრილში რეფერენდუმმა მოიწონა ახალი კონსტიტუცია, რომელიც კუნძულებს აძლევდა უფრო ფართო ავტონომიურ უფლებებს (სამ კუნძულს – ანჯუანს, მოჰელს და გრანდ-კომორს უფლება მიეცათ აერჩიათ თავიანთი პრეზიდენტები). ქვეყანას ეწოდა *კომორის კუნძულების კავშირი* (შესაბამისად, ანჯუანის, გრანდ-კომორის და მოჰელის ავტონომიური კუნძული). 2002 წლის 14 აპრილს საპრეზიდენტო არჩევნებში (რამდენჯერმე გადაიდო და ორ ტურად ჩატარდა) გაიმარჯვა ა. ასსუმანიმ. 2002 წლის მარტ-აპრილში აირჩიეს კუნძულების – ანჯუანის და მოჰელის პრეზიდენტები, ხოლო მაისში – გრანდ-კომორის პრეზიდენტიც. 2006 წლის 14 მაისს ქვეყანაში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. ეს იყო ხელისუფლების პირველი მშვიდობიანი გადაცემა კომორის ისტორიაში. პრეზიდენტი გახდა *აჰმედ აბდალლაჰ მოჰამედ სამბი (არაბ. აჰმად 'აბდ ალლაჰ მუჰამად სამბი)*, რომელმაც მიიღო ხმების 58,02% (პირველი პრეზიდენტია კუნძულ ანჯუანიდან). ის სწავლობდა სუდანის, საუდის არაბეთის და ირანის მუსლიმურ ინსტიტუტებში, არის ისლამისტი და მომხრეები მას უწოდებენ „აიათოლას". მან აღუთქვა კომორელებს, რომ არ გადააქცევს ქვეყანას ისლამურ სახელმწიფოდ, იბრძოლებს კორუფციის წინააღმდეგ, შექმნის სამუშაო ადგილებს და გააუმჯობესებს მოსახლეობის ცხოვრების პირობებს. 2007 წლის ივნისში ანჯუანის პრეზიდენტმა *მოჰამედ ბაქარმა (არაბ. მუჰამმად ბაქარი)* კვლავ გამოაცხადა კუნძული ანჯუანი დამოუკიდებლად კომორის კუნძულების კავშირისაგან. ამას მოჰყვა კომორის კუნძულების კავშირის შეიარაღებული ძალების (აფრიკის კავშირის კონტინგენტთან ერთად) თავდასხმა ანჯუანზე. სამხედრო ოპერაცია დაიწყო 2008 წლის 24 მარტს და ხელისუფლებამ თავისი კონტროლი დაამყარა ამ კუნძულზე.

სახელმწიფო წყობა. კომორის კუნძულების კავშირი არის ფედერაციული რესპუბლიკა. ქვეყნის კონსტიტუცია მიიღეს 2001 წლის 23 დეკემბერს. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა 6 წლის ვადით. 2006 წლის 14 მაისიდან კომორის კუნძულების კავშირის პრეზიდენტი არის *აჰმედ აბდალლაჰ მოჰამედ სამბი* (დაბად.1958წ.). გრანდ-კომორის ავტონომიური კუნძულის პრეზიდენტია – *მოჰამედ აბდულვაჰაბი (არაბ. მუჰამად იბნ 'აბდ ალ-ვაჰაბი* (2007 წ. 30 ივნისიდან), ანჯუანის ავტონომიური კუნძულის – *მოჰამედ ბაქარი* (2007წ. 14 ივნისიდან) და მოჰელისა – *მუსა ტოიბუ (*2008 წ. 29 ივნისიდან). უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა – *კომორის კუნძულების კავშირის ასამბლეა* (ერთპალატიანი პარლამენტი), რომელიც ჩამოყალიბდა 2004 წელს და მას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი. ის შედგება 33 წევრისაგან, აქედან 18 წევრი აირჩევა პირდაპირი არჩევნების გზით, ხოლო დანარჩენ 15-ს არაპირდაპირ ირჩევს 3 კუნძულის ადგილობრივი ასამბლეები (ანჯუანის ავტონომიური კუნძულის ასამბლეაში 25 წევრია, მოჰელის ავტონომიური კუნძულის ასამბლეაში – 10, გრანდ-კომორის ავტონომიური კუნძულის ასამბლეაში – 20 წევრი). მათი უფლებამოსილების ვადა 5 წელია. 2002 წლიდან ქვეყანაში გაუქმებულია პრემიერ-მინისტრის პოსტი.

ქვეყანა ადმინისტრაციულად დაყოფილია 3 კუნძულად და 4 მუნიციპალიტეტად (არაბ. ბალადიიუნათ).

ქვეყნის ეროვნული დღესასწაულია დამოუკიდებლობის დღე – 6 ივლისი (1975 წ.).

პოლიტიკური პარტიები. ქვეყანაში არის დაახლ. 20 პარტია. მათ შორის მნიშვნელოვანია: 1. „ეროვნული გაერთიანება განვითარებისათვის" (პრეზიდენტის მხარდამჭერი პარტია); 2. „სამართლიანობის ეროვნული ფრონტი"; 3. „ფორუმი ეროვნული აღორძინებისათვის" (ოპოზიციური პარტია); 4. „კუნძულების ძმობისა და ერთიანობის პარტია" (ოპოზიციური პარტია); 5. „კომორის სოციალისტური პარტია" (ოპოზიციური პარტია).

ეკონომიკა. კომორის კუნძულების კავშირი ერთ-ერთი უღარიბესია მსოფლიოში. ქვეყნის ეკონომიკის დამახასიათებელი თავისებურება არის ბუნებრივი რესურსების უქონლობა, სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურა, სამუშაო ძალის განათლების დაბალი და უმუშევრობის მაღალი დონე, დამოკიდებულება უცხოურ გრანტებზე. ეკონომიკის წამყვანი სექტორია სოფლის მეურნეობა (თევჭერის, ნადირობის და მეტყეველობის ჩათვლით), რომელზედაც მოდის ექსპორტის მოცულობის დიდი წილი. თუმცა ქვეყანას მაინც სჭირდება კვების პროდუქტების შემოტანა. *ძირითადი საექსპორტო კულტურებია:* მიხაკი, ვანილი (მეორე ადგილზეა მსოფლიოში მადაგასკარის შემდეგ), ქოქოსი, სუნამოს ინგრედიენტები, ყავა. *იმპორტი:* ნავთობპროდუქტები, სატრანსპორტო აღჭურვილობა, ცემენტი, სამომხმარებლო საქონელი, ბრინჯი და სხვა კვების პროდუქტები. *სავაჭრო პარტნიორები:* საფრანგეთი, აშშ, გერმანია, ჩინეთი, სინგაპური, ნიდერლანდები, სამხრეთ აფრიკა, ინდოეთი, იტალია, არაბთა გაერთიანებული საამიროები, პაკისტანი, კენია, ბელგია, მადაგასკარი.

2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 778,6 მილიონი დოლარი, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი იყო 1,110 დოლარი.

განათლება. ქვეყანაში განათლების სისტემა ეფუძნება ფრანგულ მოდელს. სასკოლო განათლება ორი საფეხურისაგან შედგება: დაწყებითი განათლება – 6 წელი (6-12 წლის ასაკი) და საშუალო განათლება – 7 წელი. სავალდებულოა მხოლოდ 8 წლიანი განათლება. გავრცელებულია ყურანის სკოლებიც, სადაც ორი-სამი წელია სწავლება. უკანასკნელი წლების განმავლობაში აფრიკის განვითარების ფონდმა და ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ დააფინანსეს პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სასკოლო განათლების რეფორმას. ქვეყანას არა აქვს უნივერსიტეტი, პოსტსაშუალო განათლება ითვალისწინებს მასწავლებელთა გადამზადებას და პროფესიულ ტრენინგებს.

ფულის ერთეული – კომორის ფრანკი. ის იყოფა 100 სანტიმად. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 392,03 ფრანკს, ხოლო ევრო – 491,9677 ფრანკს.

ლიბანის რესპუბლიკა
الجمهورية اللبنانية

გეოგრაფია. ლიბანი (არაბ. ლუბნან) მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება მას სირია (საზღვრის სიგრძე 375 კმ), სამ-

ხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – ისრაელი (79 კმ), დასავლეთით ლიბანს აკრავს ხმელთაშუა ზღვის წყლები. საზღვრების საერთო სიგრძეა 454 კმ., ხოლო სანაპირო ზოლის სიგრძე – 225 კმ. ქვეყნის საერთო ფართობი – 10, 452კვ. კმ. არის ტერიტორიული უთანხმოებები ისრაელთან ქვეყნის სამხრეთი რაიონების საკითხზე.

მოსახლეობა. 2008 წ. მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობა არის 4,196,453. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 358 ადამიანს შეადგენს. მოსახლეობის 95% არაბებია. სახელმწიფო ენა არის არაბული. ფართოდაა გავრცელებული ინგლისური, ფრანგული და სომხური. სახელმწიფო რელიგია არის ისლამი. მოსახლეობის 61% მუსლიმია (სუნიტები, შიიტები, დრუზები, ისმაილიტები, ალავიტები ანუ ნუსაირიტები); ყველაზე მრავალრიცხოვანი მუსლიმური თემია შიიტების, რომლებიც შეადგენენ მოსახლეობის 40%-ს. ისინი ძირითადად ცხოვრობენ ბიკა'ას ველზე და ისრაელის მოსაზღვრე სამხრეთ ლიბანში (აქ ისინი მოსახლეობის 80%-ს შეადგენენ). მოსახლეობის 39% ქრისტიანებია (მარონიტული, მართლმადიდებლური, ბერძნულ-კათოლიკური, სომხურ-გრიგორიანული თემები). ქვეყნის ტერიტორიაზე არის 6 ეკლესია: მარონიტული (დასავლურ-სირიული), ქალდეურ-კათოლიკური, მელქიტური (ბერძნულ-კათოლიკური), სომხურ-კათოლიკური, სირიულ-კათოლიკური და კოპტურ-კათოლიკური.

ჰავა. ქვეყანაში ძირითადად არის სუბტროპიკული ჰავა. ზაფხული ხანგრძლივია და ცხელი, წვიმების გარეშე. ივლისის საშუალო ტემპერატურა – 28°C. ზამთარი თბილია, იანვრის საშუალო ტემპერატურა – 13°C. ნალექები – 400-დან 1000-მდე მმ წელიწადში.

დედაქალაქი. ბეირუთი, არაბ. ბაᲦრუთ (2007 წლის მონაცემებით, 2,1 მლნ მცხოვრები). პირველად ქალაქი იხსენიება ძვ. წ. XV ს-ში. მას ხშირად უწოდებენ „დასავლეთ აზიის პარიზს".

ისტორიული ნარკვევი. ძვ.წ. IV ათასწლეულში თანამედროვე ლიბანის ტერიტორიაზე დაიწყო ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოების წარმოშობა. ლიბანი შედიოდა ძველი აღმოსავლეთის სხვადასხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში ძვ. წ. VIII ს-დან I ს-მდე, როცა ქვეყანა მოექცა რომის იმპერიის ხელისუფლების ქვეშ. დაახლ. 637 წელს ქვეყანა არაბებმა დაიპყრეს. 1099 წლიდან 1289 წლამდე შედიოდა ჯვაროსანთა იერუსალიმის სამეფოს შემადგენლობაში. შემდეგ მოექცა მამლუქთა გამგებლობის ქვეშ. XVI ს-დან ოსმალეთის იმპერიის ნაწილია. თუმცა XVI-XVII სს-ში ქვეყანაში ოფიციალური ხელისუფლება ეკუთვნოდა მაანთა დინასტიის ლიბანის ამირებს, ხოლო XVIIს-ის ბოლოდან 1840 წლამდე – შიჰაბთა დინასტიის ამირებს. 1840 წელს ბაშირ შიჰაბი ჩამოაგდეს ტახტიდან და ლიბანი კვლავ მოექცა თურქთა ხელში.

1860 წელს საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონ III-მ ლიბანში გაგზავნა საექსპედიციო კორპუსი, რომელსაც უნდა დაეცვა ლიბანელი ქრისტიანები დრუზთა დევნისაგან, ხოლო 1864 წელს საერთაშორისო კომისიამ აიძულა სტამბულის მთავრობა ეცნო ლიბანის ავტონომია. პირველი მსოფლიო ომის დროს თურქეთმა დაარღვია ეს შეთანხმება, მაგრამ გერმანიისა და თურქეთის არმიებზე მოკავშირეთა არმიის გამარჯვების შემდეგ, 1920 წელს ლიბანი გადავიდა საფრანგეთის მანდატის ქვეშ. 1926 წელს ლიბანი გამოცხადდა რესპუბლიკად, რომელშიც, ახალი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი ყოველთვის უნდა იყოს ქრისტიანი-მარონიტი, მთავრობის მეთაური – მუსლიმი-შიიტი, პარლამენტის თავმჯდომარე – მუსლიმი-სუნიტი. 1943 წლის 22 ნოემბერს ლიბანი ოფიციალურად გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. ქვეყანამ დაძლია შიდა კონფლიქტები, რაც დაკავშირებული იყო სხვადასხვა კულტურულ ტრადიციებთან და პოლიტიკურ ტენდენციებთან.1948 და 1967 წელს ლიბანი მონაწილეობას იღებდა არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომში. ამის შემდეგ გახდა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის საქმიანობის

მთავარი ცენტრი (ბეირუთში განლაგდა ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინა). 1970 წლისათვის პალესტინელი ლტოლვილების რიცხვი ლიბანში 400 ათასს აღწევდა. ლიბანი ჩაბმული აღმოჩნდა საერთოარაბულ კონფრონტაციაში ისრაელთან და მის დასავლელ მოკავშირეებთან. 1968 წლიდან დაწყებული ისრაელის გამუდმებული პროვოკაციები და შეიარაღებული თავდასხმები მიმართული იყო არა მხოლოდ პალესტინელების, არამედ ლიბანის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგაც. ამ პოლიტიკის მიზანი იყო პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის დასუსტება, ლიბანის მოსახლეობაში ანტიპალესტინური განწყობის ჩამოყალიბება და მემარჯვენე ქრისტიანებისა და მთავრობის წაქეზება პალესტინელთა წინააღმდეგ.

1975 წლის 13 აპრილს ლიბანში დაიწყო სამოქალაქო ომი ერთი მხრივ, პალესტინელებსა და მუსლიმებს და მეორე მხრივ, არმიასა და მემარჯვენე ქრისტიანულ პარტიებს შორის. შეიქმნა საშიშროება ქვეყნის გაყოფისა კონფესიონალური ნიშნით. პარტია „ქათა'იბ" („ბატალიონები") აკონტროლებდა ქრისტიანულ რაიონებს, ხოლო „პატრიოტული და პროგრესული პარტიების, ორგანიზაციებისა და მოღვაწეთა ფრონტი" – მუსლიმურს. მონინააღმდეგე მხარეთა შერიგება მოლაპარაკებების გზით არ მოხერხდა. სამოქალაქო ომში, რომელიც 4 ეტაპად მიმდინარეობდა (1975-1977, 1978-1981, 1982-1983, 1983-1990) და 15 წელს გაგრძელდა, დაახლ. 150 000 ადამიანი დაიღუპა. სამოქალაქო ომში ჩაერთო სირია და ისრაელიც. 1976 წლის 1 ივნისს სირიამ შეიყვანა ლიბანის ტერიტორიაზე თავისი არმია. 1976 წლის მეორე ნახევარში სამხედრო დამარცხებებისა და 1977 წლის 16 მარტს სირიის სპეცსამსახურების მიერ ქამალ ჯუმბლატის (ფრონტის ხელმძღვანელი) მკვლელობის შემდეგ, ბლოკი – „პატრიოტული და პროგრესული პარტიების, ორგანიზაციებისა და მოღვაწეთა ფრონტი" დაიშალა. ამის პარალელურად გაძლიერდა ალიანსი მემარჯვენე ქრისტიანული პარტიებისა, რომლებიც ითხოვდნენ სირიის „სამშვიდობო" კონტიგენტის დაუყოვნებლივ გაყვანას ლიბანის ტერიტორიიდან. ქრისტიანული პარტიების ხელმძღვანელებმა დაიწყეს ფარული თანამშრომლობა ისრაელთან, რომელიც ამარაგებდა ქრისტიანულ არმიას იარაღითა და ტექნიკით, ეხმარებოდა ფინანსურად. 1978 წლის 14 მარტს ისრაელის თავდაცვის არმიამ ლიბანის ტერიტორიაზე განახორციელა სამხედრო ოპერაცია „ლიტანი". გაეროს უშიშროების საბჭომ დაგმო ისრაელის სამხედრო აქცია და 19 მარტს მიიღო რეზოლუციები №425 და №426, რომლებიც ითვალისწინებდა გაეროს დროებითი სამშვიდობო ძალების განლაგებას ლიბანში და ისრაელის არმიის გაყვანას ლიბანის სამხრეთი ტერიტორიიდან. ეს პროცესი დასრულდა 1978 წლის ივნისში. მოგვიანებით, ამ ტერიტორიის კონტროლი დაევალა ახლად შექმნილ სამხედრო ორგანიზაციას – „სამხრეთ ლიბანის არმიას". 1982 წლის 6 ივნისს ისრაელმა, პალესტინურ ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, კვლავ განახორციელა სამხედრო ოპერაცია („მშვიდობა გალილეაში") ლიბანში. ისრაელმა დაიკავა ლიბანის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის დედაქალაქი ბეირუთი. 1 სექტემბერს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის რაზმები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ქვეყანა და გადასულიყვნენ თუნისში. ამის შემდეგ ისრაელის არმიამ ოკუპირებულ სამხრეთ ლიბანის ტერიტორიაზე შექმნა „უსაფრთხოების ზონა".

1982 წლის 23 აგვისტოს ლიბანის პრეზიდენტად აირჩიეს ისრაელის მოკავშირე, ლიბანის ქრისტიანული პარტიის („ლიბანური ძალები") ხელმძღვანელი – *ბაშირ ჟმაიელი (არაბ. ბაშირ ალ-ჯამაილ)*, რომელიც მოკლეს ერთი თვის შემდეგ სირიის პრეზიდენტის ჰაფეზ ალ-ასადის უშუალო ბრძანებით. პრეზიდენტად, ფაქტობრივად ბრძოლის გარეშე, აირჩიეს ბაშირის ძმა, პარტია „ქათა'იბ"-ის პოლიტბიუროს წევრი – *ამინ ჟმაიელი* (არაბ. *ამინ ალ-ჯამაილ)*. სირიის არმიის ნაწილები კვლავ რჩებოდა ქვეყნის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში. პალესტინის განთავისუფ-

ლების ორგანიზაცია შეცვალა ტერორისტულმა ორგანიზაციამ – „ჰიზბალაჰმა",[55] რომელიც შეიქმნა 1982 წელს ირანის მხარდაჭერით. 1983 წელს ლიბანის მთავრობამ „სამშვიდობო შეთანხმება" დადო ისრაელთან, მაგრამ კვლავ გააუქმა ის ერთი წლის შემდეგ. 1985 წლის ივნისში ისრაელმა გაიყვანა თავისი არმია ლიბანიდან, გარდა სამხრეთი სასაზღვრო ზოლისა, რომელიც გახდა მემარჯვენე ქრისტიანული სამხედრო დაჯგუფებების ბაზა ბუფერული ზონის დაცვის მიზნით. სამოქალაქო ომი ქრისტიანულ და მუსლიმურ (შიიტები, სუნიტები, დრუზები) თემებს შორის გრძელდებოდა. 1988 წლის მარტიდან 1990 წლის დეკემბრამდე მოძრაობა „ამალის" (სათავეში ნაბიჰ ბერი) შენაერთები საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებდნენ ორგანიზაცია „ჰიზბალაჰის" წინააღმდეგ სამხრეთ ლიბანში და ბეირუთის სამხრეთ გარეუბანში. 1989 წელს ქ. ტრიპოლში სირიის პრეზიდენტ ჰაფეზ ალ-ასადსა და ალჟირის პრეზიდენტ შადლი ბენჯადიდს შორის მოლაპარაკებებზე განიხილეს ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა სირიის ჯარების გაყვანას ლიბანის ტერიტორიიდან, ცეცხლის შეწყვეტაზე კონტროლის გაწევას, დამკვირვებლების გაგზავნას ბეირუთის ქრისტიანულ ანკლავში,[56] სირიის მხრიდან საზღვაო ბლოკადის მოხსნას და „ეროვნული თანხმობის ქარტიის" შემუშავებას. 1989 წლის 22 ოქტომბერს ტა'იფში (საუდის არაბეთი) შედგა ლიბანის ეროვნული ასამბლეის სხდომა „ეროვნული თანხმობის ქარტიის" მისაღებად. სხდომას ესწრებოდა ქრისტიანული თემის 31 დეპუტატი და მუსლიმური თემის 31 დეპუტატი (1979 წელს არჩეული დეპუტატებიდან ცოცხალი დარჩა 72). ქარტია ითვალისწინებდა ძალაუფლების განაწილებას ქვეყნის ძირითად კონფესიებს შორის. სხდომაზე დაამტკიცეს გეგმა, რომელიც მოიცავდა ორ ეტაპს: ლიბანის მთელს ტერიტორიაზე ახალი არჩევნების ჩატარებას და ექვსი თვის განმავლობაში ყველა არალიბანური დაჯგუფების დაშლას. გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობა დაეკისრა სირიას, რომლის არმია რჩებოდა ლიბანის ტერიტორიაზე ქვეყანაში სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის. ტა'იფის შეთანხმების რატიფიკაცია მოხდა 4 ნოემბერს და მან ხელი შეუწყო სამოქალაქო ომის დასრულებას. 1989 წლის ნოემბერშივე ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს სირიასთან თანამშრომლობის მომხრე – *რენე მუავადი (არაბ. რინი მუ'ავვადი)*, რომელიც 17 დღის შემდეგ მოკლეს. მის შემდეგ პრეზიდენტი გახდა სხვა პროსირიული პოლიტიკოსი – *ელიას ჰრავი (არაბ. ილიას ალ-ჰარავი, 1989-1998).* 1990 წელს, ტა'იფის ხელშეკრულების შესაბამისად, ცვლილებები შეიტანეს კონსტიტუციაში.

1993 წლის სექტემბრის პალესტინა-ისრაელის და 1994 წლის 26 ოქტომბრის შეთანხმებების მიუხედავად, ლიბანმა ვერ მიაღწია ოკუპირებული სამხრეთი ტერიტორიების დაბრუნებას, სადაც ისრაელელთა წინააღმდეგ მოქმედებდნენ შიიტური ორგანიზაცია „ჰიზბალაჰის" რაზმები. მხოლოდ 2000 წლის მაისში გაიყვანა ისრაელმა ჯარები სამხრეთ ლიბანიდან და ამ ორ ქვეყანას შორის გაევლო საზღვარი, ე. წ. „ცისფერი ხაზი", რომელიც გაერომ საერთაშორისოდ ცნო. თუმცა მაინც დარჩა მოუგვარებელი სასაზღვრო პრობლემა. მცირე ფართობის, მაგრამ სტრატეგიულად

---

[55] „ჰიზბალაჰი" თავის საქმიანობაში ძირითადად ეყრდნობა ირანს (და მის მოკავშირე სირიას), რომელიც ფინანსურ დახმარებას უწევს ორგანიზაციას, აწვდის იარაღს და სხვ. ეს ორგანიზაცია სარგებლობს აგრეთვე ლიბანის შიიტური მოსახლეობის მხარდაჭერით. ეს მხარდაჭერა გამოიხატება საპარლამენტო არჩევნებში „ჰიზბალაჰის" წარმომადგენლების რეგულარული არჩევით და განპირობებულია მრავალი ფაქტორით. შეიძლება გამოვყოთ ორი ძირითადი მიზეზი: ხანგრძლივი და შესაბამისად წარმატებული შეიარაღებული ბრძოლა ისრაელის წინააღმდეგ; დახმარების განევა მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის. ამის პარალელურად ორგანიზაცია ეწევა ეფექტურ პროპაგანდისტულ საქმიანობას, აქვს საკუთარი ტელეარხი („ალ-მანარ") და რადიო, უშვებს ბეჭდურ პროდუქციას, იღებს ფილმებს და სხვ.

[56] ანკლავი – სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიის განცალკევებული ნაწილი, რომელსაც სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ტერიტორიები აკრავს გარს და საზღვაო ნაპირი არა აქვს.

მნიშვნელოვანი ბორცვი ხარ დოვი (ცნობილი აგრეთვე „შაბას ფერმების" სახელით, არაბ. მაზარი' შაბ'ა) ისრაელმა შეინარჩუნა იმ ფორმალური საბაბით, რომ ეს ტერიტორია მან დაიპყრო 1967 წელს სირიასთან ომის შედეგად.

ტა'იფის ხელშეკრულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა არჩევნების ჩატარება. პირველად, 1972 წლის შემდეგ, 1992 წელს ჩატარდა არჩევნები პარლამენტში, რომელსაც ბოიკოტი გამოუცხადეს ქრისტიანებმა. ისინი პროტესტს აცხადებდნენ სირიელთა ყოფნაზე ქვეყანაში. პარლამენტმა პრეზიდენტად კვლავ ქრისტიანი ილიას ჰრაუი აირჩია. პარლამენტის სპიკერის თანამდებობა მიიღო შიიტური შეიარაღებული ფორმირების – „ამალის" ხელმძღვანელმა ნაბიჰ ბერიმ. ამავე წლის ოქტომბერში ქვეყნის პრემიერ-მინისტრად დაინიშნა *რაფიკ ალ-ჰარირი* – 46 წლის ცნობილი ბიზნესმენი, ყოფილი საუდის არაბეთის სამშენებლო მაგნატი. მან თავის ხელში მოაქცია რეალური ძალაუფლება და პრეზიდენტის პოსტი ნომინალური გახადა. მისი მმართველობის დროს ლიბანის საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტული გახდა საუდის არაბეთთან ურთიერთობა, სირიის ინტერესების საზიანოდ. 6 წლის განმავლობაში ჰარირიმ აღადგინა ლიბანის ეკონომიკა, რომელსაც სამოქალაქო ომმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა, მიაღწია საერთაშორისო დახმარების მიღებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ტურიზმის განვითარებას, საერთო ენა გამონახა ლიბანის ყველა ძირითად თემებთან და კონფესიებთან. პოლიტოლოგთა შეფასებით, „მან შექმნა სახელმწიფო სახელმწიფოში".

1998 წლის 15 ოქტომბერს ლიბანის პრეზიდენტად აირჩიეს *ემილ ჯამილ ლაჰუდი (არაბ. ამილ ლაჰუდი,1998-2007),* რომელსაც მხარი დაუჭირა სირიამ, რათა ლიბანი კვლავ თავისი გავლენის სფეროდ გადაექცია. ლაჰუდმა, არჩევნების შემდეგ, შეცვალა მთავრობის თავმჯდომარე, დაადანაშაულა ჰარირი წარუმატებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში (მათ შორის ქვეყნის საგარეო ვალის მნიშვნელოვან გაზრდაში). 2000 წელს ჰარირის პოლიტიკურმა ბლოკმა კვლავ გაიმარჯვა არჩევნებში და პრეზიდენტი ლაჰუდი იძულებული გახდა ხელმეორედ დაემტკიცებინა ის მთავრობის თავმჯდომარედ (პარლამენტის დეპუტატების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მის კანდიდატურას). 2004 წლის 20 ოქტომბერს ჰარირი გადადგა მინისტრთა კაბინეტთან ერთად. უშუალო მიზეზი გახდა სირიის მხარდაჭერით პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გაგრძელება. ლიბანის პარლამენტმა ხმა მისცა შესწორებას კონსტიტუციის 49-ე მუხლში, რათა პრეზიდენტ ლაჰუდისათვის სამი წლით გაეგრძელებინათ საპრეზიდენტო ვადა (ეს მოხდა 2004 წლის 3 სექტემბერს). სამთავრობო კრიზისი გამოიწვია აგრეთვე გაეროს უშიშროების საბჭოს 2004 წლის 2 სექტემბრის რეზოლუციამ №1559, რომელიც მოითხოვდა სირიის არმიის გაყვანას ლიბანიდან, ქვეყნის ტერიტორიაზე არალეგალური სამხედრო ფორმირებების („ჰიზბალაჰი") განიარაღებას და თავისუფალი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ამ რეზოლუციის მიღებაში დიდი წელილი მიუძღოდა სწორედ რაფიკ ჰარირის. პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ჰარირი სათავეში ჩაუდგა ოპოზიციას, რომელიც მოითხოვდა სირიის არმიის გაყვანას ლიბანიდან. 2005 წლს 14 თებერვალს რაფიკ ჰარირი მოკლეს ტერორისტული აქტის შედეგად (ბეირუთის ცენტრში ბომბი აფეთქდა). ამ აფეთქებას შეეწირა 21 ადამიანი და დაახლ. 140 დაიჭრა. ჰარირის მკვლელობაში არაპირდაპირ ადანაშაულებენ სირიას. ამ მკვლელობამ გამოიწვია ანტისირიული მასობრივი საპროტესტო აქციები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ასეულ ათასობით ადამიანმა (ძირითადად სუნიტებმა და მარონიტებმა). ამ საპროტესტო გამოსვლებმა პიკს მიაღწია 2005 წლის 14 მარტს და პოსტსაბჭოურ სივრცეში „ფერადი რევოლუციების" ანალოგიით ეწოდა „კედრების რევოლუცია" ან „სირია-ლიბანის კრიზისი". დემონსტრანტების მოთხოვნები იყო: ჰარირის მკვლელობის საერთაშორისო გამოძიება, „ტა'იფის შეთანხმებების" შესრულება, სირიის არმიის გაყვანა, გაეროს უშიშროე-

ბის საბჭოს №1559 რეზოლუციის შესრულება, სპეცსამსახურების და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელთა გადადგომა. თუმცა ოპოზიციის „არაოფიციალური" მოთხოვნა ეხებოდა პრეზიდენტის გადადგომას. ანტისირიულმა მანიფესტაციებმა გააერთიანა სხვადასხვა პოლიტიკური ძალები კოალიციაში, რომელმაც მიიღო სახელწოდება – „14 მარტის მოძრაობა". ამ საპროტესტო გამოსვლებისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ჩარევის შედეგად სირიამ გაიყვანა თავისი არმია ლიბანიდან. ოპოზიციის აქტიური ჩარევით, ახალი მთავრობის ფორმირება დაევალა ნაჯიბ მიკატის, რომელსაც 1998 წლიდან უცვლელად ეკავა მინისტრის პოსტი. 2005 წლის 19 ივლისიდან პრემიერ-მინისტრია *ფუად სინიორა (არაბ. ფუ'ად ას-სანიურა).*

2006 წელს ლიბანმა მიაღწია პრაქტიკულად ომამდე არსებულ სტაბილურობას, მაგრამ ივლისის ომმა ისრაელთან კვლავ ქაოსი გამოიწვია ქვეყანაში. 2006 წლის ივლის-აგვისტოში მიმდინარეობდა *მეორე ლიბანური ომი*, რომელიც არაბულ სამყაროში ცნობილი გახდა „ივლისის ომის" სახელით. ეს იყო შეიარაღებული შეტაკება ისრაელსა და რადიკალურ დაჯგუფება „ჰიზბალაჰს" შორის, რომელიც ფაქტობრივად აკონტროლებს ლიბანის სამხრეთ რაიონებს. კონფლიქტის პროვოცირება მოხდა 12 ივლისს, როცა „ჰიზბალაჰის" ბოევიკებმა სარაკეტო დარტყმები განახორციელეს ისრაელის ჩრდილოეთით სასაზღვრო დასახლებულ პუნქტზე და იმავდროულად თავს დაესხნენ ისრაელის თავდაცვის არმიის სასაზღვრო პატრულს ისრაელ-ლიბანის საზღვარზე. ამ თავდასხმის მიზანი იყო ზეწოლა ისრაელზე, რათა აეძულებინათ ის ებრძოლა ორ ფრონტზე (ღაზას სექტორში ის აწარმოებდა სამხედრო ოპერაციას მოძრაობა „ჰამას"-ის წინააღმდეგ). ისრაელის არმიამ მოახერხა წინ წაწევა ლიბანის ტერიტორიაზე 15-20 კმ-ით და გაათავისუფლა ბოევიკების მიერ ოკუპირებული ტერიტორია. თუმცა ერთი თვის განმავლობაში ბოევიკები ახორციელებდნენ მასობრივ სარაკეტო დარტყმებს ისრაელის ჩრდილოეთ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებზე. საბრძოლო მოქმედებები გრძელდებოდა 12 ივლისიდან 14 აგვისტომდე, როცა, გაეროს რეზოლუციის თანახმად, გამოცხადდა ცეცხლის შეწყვეტა კონფლიქტის ზონაში. 2006 წლის 1 ოქტომბერს დასრულდა ისრაელის არმიის გაყვანა სამხრეთ ლიბანიდან. კონტროლი სამხრეთ ლიბანზე დაევალა ლიბანის სამთავრობო არმიას და გაეროს სამშვიდობო ძალებს. ამ ომის შედეგად ათი ათასობით ლიბანელი დაიღუპა, ხოლო მილიონობით დევნილი გახდა. ლიბანის ეკონომიკურმა ზარალმა 2,5 მლრდ დოლარი შეადგინა.

2006 წლის 1 დეკემბერს დაიწყო პოლიტიკური კრიზისი. ეს იყო ძირითადად საპროტესტო მიტინგები პრემიერ-მინისტრის – ფუად სინიორას წინააღმდეგ, რომელიც პროდასავლური პოლიტიკოსია. მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ „კედრების რევოლუციისა" და 2005 წლის ივლისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მინისტრთა კაბინეტში და პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვეს ანტისირიულმა და პროამერიკულმა პოლიტიკოსებმა. ანტისირიულად განწყობილი პოლიტიკოსები ძირითადად იყვნენ წევრები „14 მარტის ალიანსის", რომელსაც ხელმძღვანელობდა რაფიკ ჰარირის შვილი – საად ჰარირი. ოპოზიცია გაერთიანდა შემდეგ პარტიებში: პროსირიული „ამალი" და „ჰიზბალაჰი", ანტისირიული და პროფრანგული „თავისუფალ პატრიოტთა მოძრაობა". 18-თვიანი პოლიტიკური კრიზისი დასრულდა 2008 წლის 21 მაისს დოჰას შეთანხმებით, რომლის თანახმადაც უნდა მოეწვიათ პარლამენტის სხდომა (კრიზისის გამო ის 18 თვის განმავლობაში არ ჩატარებულა) და 24 საათში პრეზიდენტის პოსტზე აერჩიათ მიშელ სულეიმანი. იგი შექმნილ ვითარებაში მისაღები კანდიდატურა იყო დაპირისპირებული პარტიებისათვის (ემილ ლაჰუდის უფლებამოსილების ვადა დასრულდა 2007 წლის 23 ნოემბერს და პრეზიდენტის პოსტი ვაკანტური იყო). ამასთანავე მინისტრთა კაბინეტში საპარლამენტო უმრავლესობას უნდა ჰყოლოდა 16 მინისტრი, ოპოზიციას – 11 და პრეზიდენტს – 3 მინისტრი. პარლამენტის სხდომა ჩატარდა 2008 წლის 25 მაისს და აირჩიეს *მიშელ სულეი-*

მანი (არაბ. მიშალ სულაიმანი) ხმების უმრავლესობით (128-დან 118). პარლამენტის სესიას ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის დამკვირვებლები.

2007 წლის 20 მაისს დაიწყო კონფლიქტი ჩრდილოეთ ლიბანში სამთავრობო არმიასა და პალესტინის რადიკალურ ორგანიზაცია – „ფათჰ ალ-ისლამს" შორის ტრიპოლის მიდამოებში და დასრულდა 2 სექტემბერს ლიბანის არმიის გამარჯვებით. ეს იყო ყველაზე სისხლიანი კონფლიქტი ლიბანში სამოქალაქო ომის შემდეგ. ტერორისტებთან არმიის შეტაკებების დროს დაიღუპა 300 ადამიანზე მეტი, 154 ჯარისკაცი, 120 ტერორისტი და 42 მშვიდობიანი მცხოვრები. დაახლ. 40 000 ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი ადგილი.

2008 წლის აგვისტოში მოხდა შეტაკებები სუნიტურ მოძრაობა ალ-მუსთაკბალ-ის და შიიტურ მოძრაობა „ამალის" და „ჰიზბალაჰის" მომხრეებს შორის ლიბანის სხვადასხვა რაიონში. 2008 წლის ოქტომბერში სირიასა და ლიბანს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა (შეწყდა 1943 წლის შემდეგ), რასაც დადებითი შეფასება მოჰყვა როგორც არაბულ ქვეყნებში, ისე დასავლეთში.

სახელმწიფო წყობა. ლიბანი არის საპარლამენტო, დემოკრატიული რესპუბლიკა. ლიბანის სახელმწიფო სისტემის მოწყობის პრინციპები ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ საფრანგეთის მანდატის პერიოდში, 1943 წელს. ლიბანის კონსტიტუცია გამოქვეყნდა 1926 წლის 23 მაისს, ხოლო შესწორებები შეიტანეს 1927, 1929, 1943, 1947 და 1990 წლებში. ლიბანის სახელმწიფო მოწყობის სისტემა ეფუძნება განსაკუთრებულ პოლიტიკურ სისტემას – კონფესიონალიზმს. პრეზიდენტის პოსტი ეკუთვნის ქრისტიან მარონიტს (მარონიტი კათოლიკე ქრისტიანი), პრემიერ-მინისტრის – სუნიტს, პარლამეტის თავმჯდომარის – შიიტს, ხოლო პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარეების მოადგილეთა პოსტები – მართლმადიდებელ ქრისტიანს. ასეთივე თანაფარდობა დადგინდა რელიგიური თემების წარმომადგენელთათვის პარლამენტში, მთავრობაში, სამინისტროებსა და უწყებებში. 2008 წლის 25 მაისიდან პრეზიდენტი არის *მიშელ სულეიმანი* (არაბ. მიშალ სულაიმანი, დაბად.1948 წ.), რომელიც მანამდე იყო შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი.

უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ერთპალატიანი პარლამენტი – *დეპუტატთა პალატა.* ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ტრადიციულად ჩამოყალიბდა პოლიტიკურ ძალთა ორი ძირითადი ბლოკი – ქრისტიანული და მუსლიმური. პარლამენტში არის 128 ადგილი, რომელიც თანაბრად იყოფა მუსლიმებს და ქრისტიანებს შორის (64 მუსლიმი – 27 სუნიტი, 27 შიიტი, 8 დრუზი, 2 ალავიტი; 64 ქრისტიანი – 34 მარონიტი, 14 ბერძენი ორთოდოქსი, 8 ბერძენი კათოლიკე, 5 სომეხი მართლმადიდებელი, 1 სომეხი კათოლიკე, 1 პროტესტანტი, 1 – ქრისტიანთა უმცირესობის წარმომადგენელი დანარჩენი). 1990 წლამდე იყო 6:5 განაწილება ქრისტიანების სასარგებლოდ, მაგრამ ის შეიცვალა ტა'იფის შეთანხმებით. პარლამენტი აირჩევა 4 წლის ვადით. 2008 წელს დაიწყო მუშაობა ახალ საარჩევნო კანონზე, რომლითაც უნდა ჩატარდეს საპარლამენტო არჩევნები 2009 წელს. პრეზიდენტი პარლამენტის წარდგინებით ნიშნავს პრემიერ-მინისტრს და მის პირველ მოადგილეს. 2005 წლის 19 ივლისიდან პრემიერ-მინისტრია *ფუად სინიორა* (დაბად. 1943 წ.). ლიბანის მთავრობის კონფესიური შემადგენლობა ასეთია: 6 მუსლიმი სუნიტი, 6 ქრისტიანი მარონიტი, 4 მართლმადიდებელი, 3 კათოლიკე, 3 დრუზი, 2 სომეხი მართლმადიდებელი. პირველად თანამედროვე ლიბანის ისტორიაში 2 მინისტრის პორტფელი მიიღეს ქალებმა.

ქვეყანა ადმინისტრაციულად დაყოფილია 6 გუბერნიად (მუჰაფაზა), ისინი თავის მხრივ იყოფა 25 რაიონად (კადა'ა), რაიონები კი – ოლქებად.

ეროვნული დღესასწაული – 22 ნოემბერი, დამოუკიდებლობის დღე (1945წ).

პოლიტიკური პარტიები. ქვეყნის კონფესიური დაყოფის შესაბამისად წარმოიშვა პოლიტიკური პარტიებიც, რომლებსაც უმეტესწილად აქვთ რელიგიური ხასიათი. ქრისტიანული, სუნიტური, შიიტური და დრუზთა პარტიები იბრძვიან არა ერთმანეთის წინააღმდეგ, არამედ წინასწარ კონფესიური კვოტების ფარგლებში განსაზღვრული ადგილებისათვის. 2005 წლამდე პოლიტიკურ პარტიებს არც ერთი ადგილი არ მიუღიათ პარლამენტში. 2005 წელს საად ჰარირიმ მიიღო 72 ადგილი, შიიტურმა „ამალიმ" და „ჰიზბალაჰმა" 35 ადგილი. მოძრაობას – „მუსთაკბალ" („მომავალი"), თავმჯდომარეობს საად ჰარირი, რაფიკ ჰარირის ვაჟი, რომელიც წარმოადგენს ლიბანის სუნიტთა ინტერესებს. მისი ძირითადი მოკავშირეა პროგრესულ-სოციალისტური პარტია.

ეკონომიკა. ქვეყნის შიდაპოლიტიკურმა არასტაბილურობამ, 1975-1990 წლების სამოქალქო ომმა, გამოიწვია ეკონომიკური ვითარების გართულება. 1989 წელს დაფუძნდა ლიბანის დახმარების საერთაშორისო ფონდი, ხოლო 1992 წლიდან დაიწყო მთავრობამ რეკონსტრუქციისა და განვითარების გეგმის – „პლანეტა 2000" განხორციელება, რომლისთვისაც გამოიყო დაახლ. 60 მლრდ. დოლარის კაპიტალდაბანდება. ამას მოჰყვა მნიშვნელოვანი ცვლილებები: ინფლაციის დონის დაცემა, სამშენებლო ინდუსტრიისა და ტურიზმის განვითარება. თუმცა ქვეყნის საგარეო ვალი 36 მლრდ დოლარს შეადგენს, რაც 1,8-1,9-ჯერ აღემატება ეროვნულ შემოსავალს. 2004 წელს ლიბანმა თავისი შემოსავლების 50% დახარჯა საგარეო ვალის მომსახურებაზე. ამის შედეგად შემცირდა ელექტროენერგეტიკის და გზების მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ოდენობა. ქვეყანაში უმუშევრობის დონე არის 15%. ისრაელთან სამხედრო ოპერაციამ კიდევ უფრო გაართულა ლიბანის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. სამხედრო მოქმედებების შედეგად ლიბანის ინფრასტრუქტურის საერთო ზარალმა შეადგინა 3,5 მლრდ დოლარი. ლიბანის ეკონომიკა ორიენტირებულია მომსახურების სფეროზე. ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის საბანკო სექტორზე და ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზე. ქვეყანაში ყველაზე მეტად არის განვითარებული მრეწველობის დარგები: ნავთობგადამამუშავებელი, კვების, საფეიქრო. ბეირუთი ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმსხვილესი საბანკო ცენტრია. სოფლის მეურნეობაში განვითარებულია ციტრუსების, ზეთის ხილის, კარტოფილის, ვაშლის, თამბაქოს, ყურძნის წარმოება. *ექსპორტი:* ქაღალდის მრეწველობის პროდუქცია, საფეიქრო ნაწარმი, ხილი და ბოსტნეული, საიუველირო ნაწარმი. *იმპორტი:* ელექტროაღჭურვილობა, მანქანები, ნავთობი, მეტალები, სამომხმარებლო საქონელი. *საგაჭრო პარტნიორები:* არაბთა გაერთიანებული საამიროები, სირია, ქუვეითი, იტალია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ჩინეთი, შვეიცარია, თურქეთი.

2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 44,05 მილიარდი დოლარი. ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავალი იყო 11,100 დოლარი.

განათლება. ლიბანის სასკოლო განათლება სამ ეტაპად იყოფა: დაწყებითი – 6 წელი, გარდამავალი – 3 წელი, საშუალო – 3 წელი. სახელმწიფო სკოლებში სწავლა უფასოა, მაგრამ სავალდებულოა მხოლოდ 8 წლიანი სწავლება. ძირითადი სასკოლო საგნებია: მათემატიკა, ისტორია, მოქალაქეობრიობის საფუძვლები, გეოგრაფია, არაბული და ფრანგული ან ინგლისური ენა ან ორივე ერთად. ლიბანში არის დაახლ. 14000 კერძო სკოლა. უმაღლესი განათლება შედგება სამი საფეხურისაგან: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტურანტურა. ლიბანში 41 ეროვნული აკრედიტებული უნივერსიტეტია, რომელთაგან რამდენიმეს საერთაშორისო აღიარება აქვს. არის აგრეთვე ამერიკული და ფრანგული უნივერსიტეტიც. ძალიან ცნობილია *წმინდა იოსების უნივერსიტეტი,* რომელიც 1875 წელს დაარსეს იეზუიტებმა ბეირუთში. მას აქვს 4 კამპუსი ბეირუთში და 3 რეგიონალური ცენტრი, სადაც, მთლია-

ნობაში, 10 000 სტუდენტი სწავლობს (ვებგვერდი – www.usj.edu.lb/). *ლიბანის საერთაშორისო უნივერსიტეტი* (კერძო) დაარსდა 2001 წელს, მდებარეობს ბაკა'ას დაბლობზე და სწავლება ინგლისურ ენაზეა (ვებგვერდი – www.liu.edu.lb). 1960 წელს დაარსდა *ბეირუთის არაბთა უნივერსიტეტი*, კერძო უნივერსიტეტი, სადაც დაახლ. 9 000 სტუდენტი სწავლობს (ვებგვერდი – www.bau.edu.lb/).
ფულის ერთეული – ლიბანის ფუნტი. ის იყოფა 100 პიასტრად. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 1507,5 ლიბანის ფუნტს.

დიდი სოციალისტური სახალხო ლიბიის არაბული ჯამაჰირია
الجماهيرية العربية الليبية الشعبية الاشتراكية العظمى

გეოგრაფია. ლიბია (არაბ. ليبيا) მდებარეობს ჩრდილოეთ აფრიკაში. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება ეგვიპტე (საზღვრის სიგრძე 1 150 კმ.), სამხრეთით – ჩადის რესპუბლიკა (1 055 კმ) და ნიგერი (354 კმ), სამხრეთ-აღმოსავლეთით – სუდანი (383 კმ), დასავლეთით – ალჟირი (982 კმ), ჩრდილო-დასავლეთით – თუნისი (459 კმ). ჩრდილოეთით ეკვრის ხმელთაშუაზღვის წყლები. საზღვრების საერთო სიგრძე – 4 383 კმ, სანაპირო ზოლის სიგრძე – 1 770 კმ. ქვეყნის საერთო ფართობია 1,759,540 კვ. კმ.
მოსახლეობა. 2008 წ. მონაცემებით, ლიბიის მოსახლეობის რაოდენობა არის 6, 173, 579. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 3 ადამიანს შეადგენს (ყველაზე ნაკლები მაჩვენებელია მსოფლიოში). მოსახლეობის 97% არაბები და ბერბერებია, რომლებიც ქვეყნის ჩრდილოეთში არიან თავმოყრილნი. ძველი ეგვიპტელები ბერბერებს უწოდებდნენ „ლიბუს" ან „ლებოს". აქედანაა ნაწარმოები სახელწოდება "ლიბია". ბერძნები, იტალიელები, პაკისტანელები, ეგვიპტელები, თურქები, ინდუსები შეადგენენ მოსახლეობის 3%-ს. სახელმწიფო ენა არის არაბული. გავრცელებულია ბერბერული, ინგლისური და იტალიური ენები. სახელმწიფო რელიგია არის სუნიტური ისლამი. მოსახლეობის 97% მუსლიმია (შიიტები – 0,02%; სუნიტები – 99,98%). 3% – ქრისტიანები, რომელთა შორის ჭარბობენ ეგვიპტელი კოპტები.
ჰავა. ქვეყნის სანაპირო ზოლში ჰავა არის სუბტროპიკული, დანარჩენ ნაწილში – ტროპიკული, უდაბნოს. საშუალო ტემპერატურა: იანვარში – 11°C-დან 18°C-მდე. ივლისში – 27°C-დან 35°C-მდე. გაზაფხულზე და შემოდგომაზე, ოთხ დღეში ერთხელ ქრის სამხრეთის ქარი – სიროკკო. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 100-დან 600 მმ-მდე მერყეობს.
დედაქალაქი – ტრიპოლი (არაბ. طرابلس ალ-ღარბ; 958/1551 წელს ოსმალთა მიერ მისი დაპყრობის შემდეგ, ტარაბულუს-ს დაემატა „ალ-ღარბ" – „დასავლეთი", რათა განესხვავებინათ ის სირიის ქალაქ ტრიპოლისაგან, ტარაბულუს აშ-შამ; 1,7 მლნ მცხოვრები). 1951 წლიდან, როცა ლიბიამ მიიღო დამოუკიდებლობა, ქვეყანაში იყო 2 დედაქალაქი – ტრიპოლი და ბენღაზი. ტრიპოლი ოფიციალურად დედაქალაქი გახდა 1970 წლიდან. ქალაქს დიდი შემოსავალი აქვს ნავთობის ტრანზიტით, საფეიქრო, ნავთობგადამამუშავებელი და ტყავის მრეწველობით, კუსტარული სახელოსნოებით, თევზჭერით. დედაქალაქში არის საერთაშორისო აეროპორტი.

ისტორიული ნარკვევი. ძვ.წ. VIII ს-ში თანამედროვე ლიბიის დასავლეთით აღმოცენდა ფინიკიური ქალაქი-სახელმწიფოები, ხოლო ქვეყნის აღმოსავლეთით, ძვ. წ. VII ს-ში – ბერძნული კოლონიები. ძვ. წ. I საუკუნის ბოლოდან იყო რომის პროვინცია; 533 წლიდან – ბიზანტიის იმპერიის ნაწილი. 643 წლიდან ქვეყანა არაბებმა დაიპყრეს. XVI ს-ში ლიბია შევიდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. XIX ს-ის ბოლოს ლიბიისათვის ბრძოლა დაიწყეს იტალიელებმა. მათ 1911 წელს ომი გამოუცხადეს თურქეთს და მოახდინეს ლიბიის სანაპიროს ოკუპაცია (1912 წ.). 1916 წ. ქვეყანა კვლავ თურქეთმა დაიპყრო, მაგრამ, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, იტალიამ აღადგინა თავისი ბატონობა ლიბიაში. 1934 წელს თანამედროვე ლიბიის ტერიტორია გამოცხადდა იტალიის კოლონიად, რომელიც, 1943 წელს, გერმანიის და იტალიის არმიების დამარცხების შემდეგ, გადავიდა საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის მმართველობაში.

1951 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციით ლიბია გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. 1969 წლამდე ქვეყანას მართავდა მეფე იდრის I. ამ წლის 1 სექტემბერს ოფიცერთა ჯგუფმა *მუამარ კადაფის (არაბ.მუ'ამმარ ალ-კაზზაფი)* ხელმძღვანელობით, ისარგებლა მეფის ვიზიტით თურქეთში, ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და გამოაცხადა *ლიბიის არაბთა რესპუბლიკა.* მათ დაატიმრეს სამეფო ოჯახის წევრები, უმაღლესი ოფიცრები და მინისტრები. ხელისუფლება გადავიდა რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს (24 ადამიანი) ხელში. ლიბიაში ფაქტობრივად სამხედრო დიქტატურა დამყარდა. ასეთი იოლი გზით ხელისუფლების მოპოვება იმაზე მიუთითებდა, რომ მონარქიულმა რეჟიმმა თავისი დრო ამოწურა და საზოგადოების ფართო მასები და მმართველი ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი აღარ უჭერდა მას მხარს. მუამარ კადდაფი დარწმუნდა, რომ მხოლოდ არმიაზე დაყრდნობა არ შეიძლებოდა და 1973 წელს ლიბიაში დაიწყო ე.წ. „სახალხო კულტურული რევოლუცია", რომელიც მიზნად ისახავდა ძველი სახელმწიფო სტრუქტურის დანგრევას. პარალელურად გაჩნდა მმართველობის ახალი ორგანოები – *სახალხო კონგრესები* (მუ'თამარრათ შა'ბიზზა) და *სახალხო კომიტეტები* (ლიჯჯან შა'ბიზზა). ქვეყნის შიდა პოლიტიკური ვითარება გართულდა. 1975-76 წწ. ჩატარდა არჩევნები სახალხო კომიტეტებში. 1977 წლის 3 მარტიდან ლიბია იწოდება ასე: *სოციალისტური სახალხო ლიბიის არაბული ჯამაჰირია* (სახალხო სახელმწიფო, სახალხო მმართველობა). ეს იმას ნიშნავდა, რომ ხელისუფლება ხალხს უნდა გადასცემოდა. პარლამენტი, მთავრობა, პოლიტიკური პარტიები „ცრუ დემოკრატიად" გამოცხადდა, რომელთაც არ შეეძლოთ ხალხის ინტერესების გამოხატვა. სამინისტროების ნაცვლად შეიქმნა სამდივნოები. ლიბიაში ხელისუფლების სათავეში მოვიდა ახალი პოლიტიკური ელიტა, რომელმაც პოლიტიკურ სისტემაში ჩართო არა იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობები, არამედ დაეფუძნა ისლამის ელემენტებს. მათი მიზანი იყო თავდაპირველი ისლამური საზოგადოების შექმნა. ამდენად სახალხო კონგრესი გახდა ჯამაჰირიის პოლიტიკური ორგანიზაციის უპირველესი ფორმა, რაც, მათი აზრით, დემოკრატიის დამკვიდრებისათვის იყო აუცილებელი.

1980-იან წლებში ლიბიამ მუამარ კადაფის ხელმძღვანელობით დაიწყო „დასავლური იმპერიალიზმის" წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის დაფინანსება მსოფლიო მასშტაბით (ამისათვის ის იყენებდა ნავთობიდან მიღებულ შემოსავლებს). ლიბიის ინსტრუქტორებმა საწვრთნელი ბანაკები მოაწყეს ქვეყნის ტერიტორიაზე და ამზადებდნენ ტერორისტებს სხვადასხვა ქვეყნიდან. ლიბიელებმა განახორციელეს რამდენიმე ტერორისტული აქტი ამერიკელების წინააღმდეგ. კონფრონტაციამ თავის აპოგეას მიაღწია 1989 წლის 19 სექტემბერს, როცა ნიგერის თავზე ლიბიელებმა ააფეთქეს ფრანგული ავიაკომპანიის ლაინერი, რომელშიც იყო 170 მგზავრი. 1992 წლის აპრილში გაეროს უშიშროების საბჭომ, აშშ-ს და დიდი ბრი-

ტანეთის მოთხოვნით, დააწესა საერთაშორისო სანქციები ლიბიის წინააღმდეგ. ამის შედეგად გაუარესდა ქვეყნის ეკონომიკური ვითარება და გააქტიურდა ოპოზიციური ძალების მოქმედება. 1995 წელს ისლამისტებმა მოაწყეს არეულობები მთელ რიგ ქალაქებში. 1996 წელს კირენაიკაში, სადაც ყველაზე ძლიერია ფუნდამენტალისტური მოძრაობა, იყო ხელისუფლების დამხობის ცდა. ხელისუფლებამ შეძლო ვითარების სტაბილიზაცია ქვეყანაში. 2001 წელს კადაფი გამოვიდა აფრიკის კავშირის შექმნის იდეით, რაც შემდგომში ხელს შეუწყობდა ერთიანი აფრიკული სახელმწიფოს შექმნას. იდეის რეალიზება მოხდა 2002 წელს, რამაც გაზარდა ლიბიის საერთაშორისო ავტორიტეტი. 2001 წელს ლიბიამ დაგმო ამერიკაში განხორციელებული 11 სექტემბრის ტერორისტული აქტები და დაინტერესებულია დასავლეთთან თანამშრომლობით, მათ შორის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუმცა, მხოლოდ 2003 წელს, ერაყში ამერიკის სამხედრო ოპერაციის შემდეგ, მუამარ კადაფიმ იგრძნო სერიოზული საფრთხე და უარი თქვა მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაზე. მან დაუშვა ქვეყანაში საერთაშორისო ექსპერტები და გამოთქვა სურვილი, ეტაპობრივად გადაეხადა კომპენსაცია 1986 წელს განხორციელებული ტერაქტების მსხვერპლთა ოჯახებისათვის (ადრე ლიბია აცხადებდა, რომ არ მონაწილეობდა ამ ტერაქტებში). სპეციალურად შეიქმნა საქველმოქმედო ასოციაციების საერთაშორისო ფონდი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მუამარ კადაფის ვაჟი. ამ ფონდის მიზანია კომპენსაციების საკითხის მოწესრიგება. ამ ღონისძიებების შედეგად, 2004 წელს, ლიბია სრულად განთავისუფლდა საერთაშორისო სანქციებისაგან. 2008 წლის 31 ოქტომბერს ლიბიამ დაასრულა კომპენსაციების გადახდა 1,5 მლრდ დოლარის ოდენობით ტერაქტებში დაღუპულთა ოჯახის ნევრებისათვის.

2008 წლის 3 მარტს ლიბიის რევოლუციურმა ლიდერმა – მუამარ კადაფიმ გამოაცხადა მთავრობის დათხოვნის შესახებ და ნავთობიდან მიღებული შემოსავლების პირდაპირ მოქალაქეებზე გადანაწილების შესახებ (კადაფის განცხადებით, ყოველი მოქალაქე მიიღებს ათას ლიბიურ დინარს=1200 აშშ დოლარს). მან ხაზი გაუსვა, რომ უმაღლესმა სახალხო კომიტეტმა (მთავრობამ) ვერ გაართვა თავი მის წინაშე დასახულ ამოცანებს და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ მიითვისა ხალხის მთელი ქონება. კადაფიმ აღნიშნა, რომ დარჩება მხოლოდ რამდენიმე მინისტრი (საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა და თავდაცვის).

სახელმწიფო წყობა. მმართველობის ფორმა – ფორმალურად რესპუბლიკა, ფაქტობრივად ნახევრადსამხედრო დიქტატურა. ჯამაჰირიას იდეოლოგიის საფუძველს წარმოადგენს „მწვანე წიგნი", რომელიც იმავდროულად არის ნორმატიული დოკუმენტი და ცვლის კონსტიტუციას. „მწვანე წიგნი" დაწერილია მუამარ კადაფის მიერ და 3 ნაწილისაგან შედგება: დემოკრატიის პრობლემის გადაწყვეტა (ხალხის ძალაუფლება), ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტა (სოციალიზმი) და მესამე უნივერსალური თეორიის სოციალური ბაზისი. ამ დოკუმენტში აღწერილია ლიბიის დემოკრატიის სტრუქტურა და მექანიზმები, ჩამოყალიბებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობების პრინციპები. 2008 წლის 12 დეკემბერს ლიბიის ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ შემუშავებულია ქვეყნის კონსტიტუციის პროექტი და მას განიხილავს სპეციალურად შექმნილი იურიდიული კომიტეტი. პროექტის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს ამერიკელმა და ევროპელმა ექსპერტებმაც. კონსტიტუციის პროექტი შემუშავდა 3 ძირითადი დოკუმენტის საფუძველზე: „დეკლარაცია ხალხის ძალაუფლების ინსტიტუტების შესახებ" (1977წ.), „დიდი მწვანე ქარტია ადამიანის უფლებებზე" (1988წ.) და „მწვანე წიგნი".

ლიბიაში არის ხელისუფლების ორი შტო: 1. „რევოლუციური სექტორი", რომელშიც შედიან რევოლუციური ლიდერი – მუამარ კადაფი, რევოლუციური კომიტეტები და რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს სხვა წევრები (ეს საბჭო დაარსდა 1969 წელს. მასში შედის 12 წევრი, რომლებიც არ აირჩევიან. მათი მთავარი

დამსახურებაა რევოლუციაში მონაწილეობა); 2. კანონიერი შტო, რომელშიც შედის ადგილობრივი სახალხო კონგრესი თითოეულ 1500 დასახლებულ პუნქტში, 32 ხალხის კონგრესი რეგიონებისათვის და საყოველთაო სახალხო კონგრესი. 1969 წლიდან დე-ფაქტო სახელმწიფოს მეთაური არის მუამარ კადაფი (დაბად. 1942 წ.) – რევოლუციის ლიდერი და ხელმძღვანელი. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა *საყოველთაო სახალხო კონგრესი*, რომელსაც ირჩევენ ყოველ 4 წელიწადში. 1992-2008 წლებში საყოველთაო სახალხო კონგრესის გენერალური მდივანი იყო მუჰამად აზ-ზანათი, ხოლო 2008 წლის 3 მარტიდან – *მიფთაჰ მუჰამედ ქება (არაბ. მიფთაჰ მუჰამმად ქა'იბა)*. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა *უმაღლესი სახალხო კომიტეტი*, რომელიც მთავრობის ფუნქციებს ასრულებს. 2006 წლის 5 მარტიდან პრემიერ-მინისტრია *ბაღდადი მაჰმუდი (არაბ. ალ-ბაღდადი 'ალი მაჰმუდი, დაბად. 1945წ.)*.

ქვეყანა ადმინისტრაციულად დაყოფილია 22 ოლქად (შა'ბი), ადრე იყო 32.

ეროვნული დღესასწაულია 1 სექტემბერი – რევოლუციის დღე (1969 წ.).

პოლიტიკური პარტიები. პოლიტიკური პარტიები გაუქმებულია 1972 წლიდან. დაშვებულია მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების და პროფესიული კავშირების დაარსება.

ეკონომიკა. 80-იანი წლებიდან ლიბიის ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ნავთობზე ფასების მერყეობამ მსოფლიო ბაზარზე. 1978 წელს ამერიკამ შემოიღო ცალმხრივი სანქციები ლიბიის წინააღმდეგ (სრული სავაჭრო ემბარგო და ლიბიის აქტივების გაყინვა აშშ-ში) და რიგმა ამერიკულმა კომპანიებმა დატოვა ლიბია. მიზეზი გახდა ლიბიის მიერ ირანის ისლამური რევოლუციის მხარდაჭერა. 1992 წელს გაერომ მიიღო რეზოლუცია ლიბიის წინააღმდეგ სანქციებზე (საჰაერო ემბარგო, სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის გაწყვეტა და სხვ.), რადგანაც ლიბიელი მოქალაქეები დაადანაშაულეს ამერიკული კომპანიის თვითმფრინავის აფეთქებაში შოტლანდიის ქალაქ ლოკერბის თავზე. 1993 წელს გაერომ შემოიღო დამატებითი სანქციები ლიბიის წინააღმდეგ – აკრძალვა ტექნოლოგიური აღჭურვილობის იმპორტზე, ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის სათადარიგო ნაწილებზე და სხვ. ამ ღონისძიებების შედეგად ქვეყანაში ნავთობის მოპოვება მნიშვნელოვნად შემცირდა. შესაბამისად შემცირდა შემოსავლებიც ნავთობიდან. შეჩერდა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პროექტების დაფინანსება, რამაც ხელი შეუწყო უმუშევრობის ზრდას, 200%-მდე გაიზარდა ფასები კვების პროდუქტებზე და მომსახურების სფეროში. სახელმწიფო გამოყოფდა სუბსიდიებს ნედლეულზე და პირველი მოხმარების საქონელზე, რათა ისინი მისაწვდომი ყოფილიყო მოსახლეობისათვის. შეიქმნა დეფიციტი ზოგიერთ სამომხმარებლო საგანზე, ხოლო სუბსიდირებული საქონელი და პროდუქტები „შავ ბაზარზე" იყიდებოდა უფრო მაღალ ფასში. ყვაოდა კონტრაბანდა, გაჩნდა საყოფაცხოვრებო პრობლემები, გაუარესდა ჯანდაცვისა და განათლების სფეროს მუშაობა. მხოლოდ 1992-1997 წლებში, ემბარგოს პირობებში, ზარალმა შეადგინა 24 მლრდ-ზე მეტი. ყველაზე მეტად დაზარალდა ეკონომიკის ისეთი დარგები, როგორიცაა ნავთობმომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ქვეყნის საექსპორტო შემოსავლების 95% ნავთობზე მოდის. 90-იანი წლების ბოლოს მ. კადაფიმ დაიწყო ეკონომიკური და ფინანსური რეფორმების გატარება, რომელიც ითვალისწინებდა ეკონომიკის ნაწილობრივ ლიბერალიზაციას, რიგი სახელმწიფო დაწესებულებების გარდაქმნას „სახელმწიფო აქციონერულ კომპანიებად". ამასთან, ეკონომიკის გარდაქმნა უნდა მომხდარიყო მკაცრი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ. შეიზღუდა სამომხმარებლო საქონლის იმპორტი, მოხდა დინარის დევალვაცია. 1997 წლის შემდეგ ემბარგო შესუსტდა და გაიზარდა შემოსავლები ნავთობიდან. 2003 წლის სექტემბერში ლიბიამ უარი განაცხადა მასობრივი განადგურების იარაღის

წარმოებაზე, რასაც მოჰყვა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1506, რომლითაც მოიხსნა სანქციები ლიბიის წინააღმდეგ. 2001-2005 წლებში დაიგეგმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 5 წლიანი პროგრამა 30 მილიარდიანი კაპიტალდაბანდებით. დაიწყო აქტიური მუშაობა ინვესტიციების მოზიდვის მიზნით. ლიბიაში არიან ძირითადად იტალიისა და ესპანეთის ნავთობკომპანიები. მეორე სექტორი, სადაც მომგებიანია კაპიტალდაბანდება, არის ტელეკომუნიკაციები. გარესამყაროსაგან 15 წლიანი იზოლაციის პირობებში, ტექნოლოგიები ამ სფეროში სერიოზულად მოძველდა. თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მისი გარდაქმნისათვის საჭიროა უახლოესი 10 წლის მანძილზე ყოველწლიურად დაახლ. 400 მლნ დოლარის ჩადება. მოსახლეობის მხოლოდ 10% არის უზრუნველყოფილი მობილური სატელეფონო ქსელით. დაგეგმილია ამ მაჩვენებლის გაზრდა 20%-მდე და ინტერნეტ-მომხმარებელთა რიცხვის ზრდაც. ლიბიის ხელისუფლება მომგებიანად თვლის აგრეთვე ტურიზმში ინვესტიციების ჩადებას (დაახლ. 2-3 მლრდ). 2002 წლის კანონით, შემცირდა საბაჟო გადასახადები ინვესტიციების მოზიდვის მიზნით და ვაჭრობის განვითარებისათვის. 1992 წელს საჰაერო ემბარგოს შემოღებამ გამოიწვია ტურისტების რიცხვის შემცირება 75%-ით. 2008 წლის მონაცემებით, ლიბიაში ყოველწლიურად ჩადის 130 000 ტურისტი.

ლიბიაში სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს უშლის კლიმატური პირობები და მარილიანი მიწები, მაგრამ სარწყავ მიწებზე იღებენ პრაქტიკულად რამდენიმე მოსავალს წელიწადში. მოჰყავთ პომიდორი, კარტოფილი, კიტრი, კომბოსტო, ხორბლეული, სტაფილო, ხახვი, წიწაკა, ნიორი, ბადრიჯანი, ლობიო, ბარდა, ბოლოკი, ხილი, სხვადასხვა ჯიშის ყურძენი, ციტრუსები, ტექნიკური კულტურები (თამბაქო, არაქისი, ზეთის ხილი). ლიბია განთქმულია მაღალი ხარისხის გოგრით, საზამთროთი და ნესვით (დას. ევროპაში დიდი მოთხოვნაა ნესვზე). განსაკუთრებული ადგილი უკავია პალმების მეურნეობას. განვითარებულია მეცხოველეობაც. კვების მრეწველობა წარმოდგენილია 30 საწარმოთი (მათ შორის რძის პროდუქტების, ფქვილის, თევზის საკონსერვო, ბოსტნეულის და ხილის საკონსერვო, პურპროდუქტების და სხვ.). ამის მიუხედავად, ლიბიას შემოაქვს კვების პროდუქტების 75%.

2008 წლის 13 ნოემბერს ბრიუსელში დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირსა და ლიბიას შორის პარტნიორობის შესახებ პირველი ხელშეკრულების დადების თაობაზე. ამ ხელშეკრულებით, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებულია ევროკავშირი, რომლისთვისაც ლიბია შეიძლება გადაიქცეს ენერგომატარებლების მნიშვნელოვან მიმწოდებლად (დღეისათვის ლიბია აკმაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნის მხოლოდ 8%-ს ნავთობზე და 2%-ს გაზზე).

ექსპორტი: ნავთობი და გაზი, მწვანე ზეთის ხილი, ქიმიკალიები; *იმპორტი:* კვების პროდუქტები და სამრეწველო პროდუქცია, მანქანები და სატრანსპორტო აღჭურვილობა. *სავაჭრო პარტნიორები:* იტალია, გერმანია, თუნისი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, აშშ, ესპანეთი.

2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 98,01 მილიარდი დოლარი. ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავალი იყო 14,900 დოლარი.

განათლება. 1969 წლის რევოლუციამდე ქვეყნის ზრდასრული მოსახლეობის დიდი ნაწილი (78%) იყო წერა-კითხვის უცოდინარი. 1969 წლის კონსტიტუციით, ლიბიის ყველა მოქალაქეს მიენიჭა განათლების უფლება, დაწყებით სკოლაში სწავლა სავალდებულო გახდა. 1973 წლიდან სწავლების ყველა საფეხური უფასოა. განათლების სისტემა შემდეგი საფეხურებისაგან შედგება: 1. სკოლამდელი აღზრდა – 4-დან 6 წლამდე; 2. დაწყებითი განათლება (პირველი საფეხურის სკოლა – 6 წელი; მოსამზადებელი სკოლა – 3 წელი). გოგონები და ვაჟები ერთად სწავლობენ; 3. საშუალო განათლება (3 წელი); 4. უმაღლესი განათლება (4 წელი). ამის გარდა არის სპეციალური განათლება – საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები (3 წელი) და

უმაღლესი ტექნიკური ინსტიტუტები (4 წელი). რელიგიური განათლება მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ყურანის სკოლა (6 წელი), დაწყებითი სასულიერო სასწავლებელი (4 წელი), საშუალო სასულიერო სასწავლებელი (4 წელი) და უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი – ბეიდას უნივერსიტეტი (4 წელი). ლიბიაში ცალკე სისტემას წარმოადგენს სამხედრო კოლეჯები, რომლებიც ღებულობენ ლიბიელებს საშუალო განათლებით. სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია და სპეციალური პროგრამით მიმდინარეობს.

1955 წელს გაიხსნა პირველი უნივერსიტეტი ბენღაზიში. 1957 წელს გაიხსნა ტრიპოლის უნივერსიტეტი. ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა უფასოა. მოწინავე სტუდენტები იღებენ სტიპენდიას. ყველა ინსტიტუტს აქვს თანამედროვე შენობა, ბიბლიოთეკა, კაბინეტ-ლაბორატორიები. პედაგოგთა შორის 20-30% ლიბიელია, დანარჩენები – ევროპელები, არაბული ქვეყნებისა და აზიის ქვეყნების წარმომადგენლები. სწავლების პროცესი წარიმართება ევროპული უნივერსიტეტების პროგრამებით (ინგლისური, იტალიური). ყველაზე დიდი უნივერსიტეტებია: *ალ-ფათიჰის უნივერსიტეტი* (ეს სახელი ეწოდა 1976 წელს, რევოლუციის შემდეგ), რომელიც დაარსდა 1957 წელს და მდებარეობს ტრიპოლში (ვებგვერდი – www.afu.edu.ly); *ფარიუნის უნივერსიტეტი* ბენღაზიში, რომელიც დაარსდა 1955 წელს. აქ 50 045 სტუდენტი სწავლობს (www.garyounis.edu/).

ფულის ერთეული – ლიბიის დინარი. ის იყოფა 1000 დირჰამად. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 1,2112 დინარს.

მავრითანიის ისლამური რესპუბლიკა

الجمهورية الإسلامية الموريتانية

გეოგრაფია. ქვეყანა აფრიკის კონტინენტის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება – მალი (საზღვრის სიგრძე 2 237კმ); სამხრეთით – მალი და სენეგალი (813 კმ); ჩრდილოეთით – დას. საჰარა (1561კმ) და ალჟირი (463 კმ); დასავლეთით აკრავს ატლანტის ოკეანე. საზღვრების საერთო სიგრძეა – 5 074კმ. სანაპირო ზოლის სიგრძე – 754 კმ., ქვეყნის საერთო ფართობი – 1,030,700კვ. კმ.

მოსახლეობა. 2008წ. მონაცემებით, მავრითანიის მოსახლეობა არის 3, 364, 940. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე დაახლ. 3 ადამიანს შეადგენს. მოსახლეობის უმრავლესობა, 80% – მავრებია (არაბთა და ბერბერთა შთამომავლები). სხვა ეთნიკური ჯგუფებია – აფრიკელი ხალხი (თუქულერი, სონინქე, ვოლოფი, ბამბარა და სხვ.). სახელმწიფო ენა არის არაბული (დე იურე). გავრცელებულია ფრანგული (დე ფაქტო), აგრეთვე, ადგილობრივი დიალექტები (ჰასსანიდა). სახელმწიფო რელიგია არის სუნიტური ისლამი. მოსახლეობის 99,84% მუსლიმია (სუნიტები – 100%). აქ ისლამი მჭიდროდ არის დაკავშირებული ისლამურ მისტიციზმთან – სუფიზმთან. მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობენ კადირიას და თიჯანიას სუფიური ორდენები.

ჰავა. ქვეყნის ძირითად ტერიტორიაზე არის ტროპიკული, უდაბნოს ჰავა. საშუალო ტემპერატურა იანვარში არის 16°C-დან 20°C-მდე, ხოლო ივლისში – 30°C-დან 32°C-მდე. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 100-დან 400 მმ-მდე მერყეობს.
დედაქალაქი – ნუაქშოტი (არაბ. ნავაქშუტ, 2008 წ. მონაცემებით, 2,000,000 მცხოვრები). დაარსდა 1905 წელს როგორც ფრანგული სამხედრო პოსტი იმ სოფლის ადგილზე, რომელსაც ჰქონდა ბერბერული სახელწოდება – ნუაქშოტი („ქარიანი ადგილი"). 1927 წლიდან გახდა მსხვილი დასახლებული პუნქტი. 1950 წელს დაინგრა ქალაქი მდ. სენეგალის მოვარდნის შედეგად. 1957 წლიდან გახდა მავრითანიის ადმინისტრაციული ცენტრი, ხოლო 1958 წლიდან – დედაქალაქი.
ისტორიული ნარკვევი. VIII-XI სს-ში თანამედროვე მავრითანიის სამხრეთი ნაწილი შედიოდა დასავლეთ-აფრიკული სახელმწიფოების (განა და სხვ.) შემადგენლობაში, ხოლო ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილს აკონტროლებდნენ ბერბერული ტომები. XI-XII სს-ში მავრითანია გახდა ალ-მორავიდების სახელმწიფოს ნანილი, ხოლო XIV-XV სს-ში აღმოჩნდა იემენური წარმოშობის არაბ ბედუინთა ტომების (ტომთა კავშირი – მა'კილ) მფლობელობაში. 1814 წელს მავრითანიის სანაპირო შემოიმტკიცა საფრანგეთმა. 1855 წელს მოხდა ქვეყნის ოკუპაცია საფრანგეთის მიერ, რომელმაც 1904 წელს ქვეყანა გამოაცხადა თავის პროტექტორატად, ხოლო 1920 ნლის 4 დეკემბრის დეკრეტით, კოლონიად – ფრანგული დას. აფრიკის შემადგენლობაში.

1958 წელს მავრითანიამ მიიღო ავტონომია საფრანგეთის თანამეგობრობის ჩარჩოებში. 1960 წლის 28 ნოემბერს გამოცხადდა ქვეყნის დამოუკიდებლობა. 1961 წლის 20 მაისს ეროვნულმა ასამბლეამ მოიწონა ახალი კონსტიტუცია, რომელიც აწესებდა საპრეზიდენტო რესპუბლიკას. 1961 წლის 20 აგვისტოს აირჩიეს პირველი პრეზიდენტი – *ალ-მუხთარ ვულდ დადდა.* 1961 წლის მაისში იგი გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნევრი, ხოლო 1963 წლის მაისში – აფრიკული ერთობის ორგანიზაციის წევრი. მავრითანია მხარს უჭერდა ანგოლის, მოზამბიკის, გვინეა-ბისაუს ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, გამოვიდა რასიზმის, კოლონიალიზმის და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. მალისთან და მაროკოსთან ურთიერთობის ნორმალიზაციის შემდეგ (ალჟირის პრეზიდენტის ჰ. ბუმედიანის შუამავლობით, მაროკოს მეფე ჰასან II-მ 1970 წლის იანვარში ოფიციალურად ცნო მავრითანია), ქვეყანა გამოვიდა იზოლაციიდან და 1973 წლის 4 დეკემბერს გახდა არაბთა ლიგის წევრი, რამაც განამტკიცა მისი მდგომარეობა არაბულ სამყაროში. მავრითანიამ დაამყარა ურთიერთობები სოციალისტურ ქვეყნებთან, მათ შორის სსრ კავშირთან. 70-იანი წლების შუა ხანებში მავრითანიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი გახდა დასავლეთ საჰარას პრობლემა. მადრიდში ხელმონერილი ესპანეთ-მაროკო-მავრითანიის შეთანხმებით, ესპანეთის ყოფილი „საზღვაო პროვინციის" (დას. საჰარა) დროებითი ადმინისტრაციული მმართველობა 1976 წლის თებერვალში გადავიდა მაროკოსა და მავრითანიის ხელში. რაბათს და ნუაქშოტს ბრძოლა მოუხდათ დასავლეთ საჰარას წინააღმდეგ, რომლის მოსახლეობაც ითხოვდა თვითგამორკვევას და დამოუკიდებლობას ფრონტ *პოლისარიოს* დახმარებით. მართალია, მავრითანიის არმია მხოლოდ თავდაცვით და დამხმარე ფუნქციებს (საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებდა მაროკოს ნაწილები) ასრულებდა, ქვეყანამ მაინც დიდი ზარალი განიცადა. დაეცა მავრითანელთა ცხოვრების დონე. ამას დაემატა ძლიერი გვალვებიც. სამხედროებმა ისარგებლეს ხალხთა მასების უკმაყოფილებით და გადატრიალება მოახდინეს. პრეზიდენტი დააპატიმრეს, ეროვნული კრება დაითხოვეს. ხელისუფლება გადავიდა ეროვნული ხსნის სამხედრო კომიტეტის ხელში (მისი თავმჯდომარე – მუსტაფა ვულდ მუჰამად სალიქი, 1978-79 წწ-ში იყო პრეზიდენტი). 1979 ნლის აგვისტოში მავრითანიამ სამშვიდობო ხელშეკრულება დადო ფრონტთან – *პოლისარიო,* უარი თქვა დასავლეთ საჰარის ტერიტორიაზე ნებისმიერ პრეტენზიაზე და

ცნო ამ ხალხის უფლება თვითგამორკვევაზე. მაროკომ დაიწყო აგრეთვე თანამშრომლობა სხვა არაბულ და აფრიკულ ქვეყნებთან.

1978 წლის 10 ივლისს სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ხელისუფლება გადავიდა ეროვნული აღორძინების სახელმწიფო კომიტეტის ხელში. 1980 და 1984 წლებში კვლავ მოხდა სახელმწიფო გადატრიალებები. ქვეყანას 1978 წლიდან 1992 წლამდე მართავდა სახელმწიფო კომიტეტი, რომლის სათავეში იყო *მაუია ვულდ სიდი აჰმედ ტაია (არაბ. მუ'ავია ვალად საიიდი აჰმად ტაი'ა, ის იყო პრეზიდენტი 1984-2005 წწ.).* 1980 წლის ბოლოს დაიწყო შიდაეთნიკური კონფლიქტი მავრითანიის არაბულ-ბერბერულ მოსახლეობასა და ნეგროიდ ტომებს შორის. ეს უკანასკნელნი ცხოვრობენ ქვეყნის უკიდურეს სამხრეთში, მდ. სენეგალის გაყოლებაზე. ისინი გამოვიდნენ პოლიტიკური და ეკონომიკური დისკრიმინაციის, არაბიზაციის პოლიტიკის წინააღმდეგ. მათ მორალური და ფინანსური დახმარება აღმოუჩინა სენეგალის შავკანიანმა მოსახლეობამ. 1989-1991 წლებში ეს კონფლიქტი შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რის გამოც მავრითანიის შავკანიანი მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო მეზობელ ქვეყნებში. 1991 წელს მიიღეს ქვეყნის ახალი კონსტიტუცია. 1992 წელს პირველად ჩატარდა მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები. პრეზიდენტი გახდა *ვულდ სიდი აჰმად ტაია*, რომელიც 1997 წელს კვლავ აირჩიეს. 2003 და 2004 წელს ქვეყანაში იყო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობები, რომლებიც მოამზადა ოპოზიციურმა შეიარაღებულმა მოძრაობამ – „ცვლილებათა მხედრებმა". 2004 წლის 15 ოქტომბერს პრეზიდენტმა დაადანაშაულა ლიბია და ბურკინა ფასო სახელმწიფო გადატრიალებათა მცდელობაში. გასაგებია, რომ ორივე ქვეყანამ მაშინვე უარყვეს ეს ბრალდება. 2005 წლის 3 აგვისტოს მოხდა მორიგი სამხედრო გადატრიალება პრეზიდენტის წინააღმდეგ, რომელიც ესწრებოდა საუდის არაბეთის მეფის ფაჰდის დაკრძალვას. გადატრიალება მოაწყო ოფიცერთა ჯგუფმა. მათ თავიანთი კანდიდატი დაასახელეს პრეზიდენტის პოსტზე და ჩამოაყალიბეს „სამხედრო საბჭო სამართლიანობისა და დემოკრატიისათვის" (16 წევრი). აშშ-ს და აფრიკის კავშირის ჩარევის შედეგად პრეზიდენტს და მის 300 მომხრეს დაბრუნების ნება დართეს. ამას მოჰყვა 115 პოლიტპატიმრის განთავისუფლება. 2005 წლის აგვისტოდან 2007 წლის 19 აპრილამდე სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე იყო *ელი ვულდ მოჰამედ ვალლი (არაბ. ი'ლა ვალად მუჰამმად ფალი/ვალი).* 2007 წლის 11 მარტს პირველად ჩატარდა პრეზიდენტის დემოკრატიული არჩევნები. 20 კანდიდატი იყო წარმოდგენილი საარჩევნო ბიულეტენში. დამოუკიდებელმა კანდიდატმა – *სიდი მოჰამედ ვულდ შეიხ აბდალლაჰმა (არაბ. საიდი მუჰამმად ვალად აშ-შაიხ 'აბდ ალლაჰი)* მოიგო არჩევნები მეორე ტურში (52,85%). ოფიციალურ სიტყვაში მან ჩამოაყალიბა თავისი მომავალი საქმიანობის ძირითადი ამოცანები: სიღარიბის დაძლევა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის რაციონალური გამოყენებით; ქვეყნის გაერთიანება და ეროვნული თანხმობის მიღწევა მავრითანიის მოსახლეობის ორ ძირითად ნაწილს (აფრიკელი ნეგროიდები და არაბი ბერბერები) შორის; მავრითანიის საზოგადოებაში თანამედროვე დემოკრატიული კულტურის დამკვიდრება; დიალოგი სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის; ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა და მონობის პრაქტიკის საბოლოო აღმოფხვრა. საერთაშორისო საქმიანობასთან დაკავშირებით აბდალლაჰმა განაცხადა, რომ ქვეყანა გააგრძელებს თანამშრომლობას აფრიკისა და მაღრიბის ქვეყნებთან ეკონომიკური ინტეგრაციის სფეროში. რაც შეეხება ისრაელს, ამ ქვეყანასთან ორმხრივი ურთიერთობის მომავალი გადაწყდება საყოველთაო რეფერენდუმზე.

2008 წლის 6 აგვისტოს მავრითანიაში მორიგი უსისხლო გადატრიალებით სამხედროებმა ხელისუფლებას ჩამოაშორეს პრეზიდენტი – *სიდი მოჰამედ ვულდ შეიხ აბდალლაჰი.* ამას წინ უძღოდა 5 აგვისტოს პარლამენტის 25 დეპუტატისა და 23 სენატორის დემარში პარტიიდან – „ეროვნული პაქტი დემოკრატიისა და განვი-

თარებისათვის". 6 აგვისტოს, დილით, გადატრიალებამდე რამდენიმე საათით ადრე, პრეზიდენტი შეეცადა დაეთხოვა საპრეზიდენტო გვარდიის მთავარსარდალი, თავისი პირადი შტაბის უფროსი – გენერალი *მოჰამედ ვულდ აბდელ აზიზი (არაბ. მუჰამმად ვალად 'აბდ ალ-'აზიზი).* დაახლ. ერთი საათის შემდეგ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი დააპატიმრეს. ერთდროულად პრეზიდენტის სასახლე და პრემიერის კანცელარია სატელეფონო კავშირის გარეშე დატოვეს, ხოლო თანამშრომლებს ჩამოართვეს მობილური ტელეფონები. რამდენიმე საათით შეწყდა ტელე-რადიო მაუწყებლობა. დააპატიმრეს რამდენიმე მინისტრი (მათ შორის შინაგან საქმეთა მინისტრი) და პრეზიდენტის უახლოესი ნათესავებიც. პუტჩის ორგანიზატორებმა ჩამოაყალიბეს სახელმწიფოს უმაღლესი საბჭო და გააუქმეს პრეზიდენტის ბრძანება, რომელიც ეხებოდა დანიშვნებს სამხედრო ხელმძღვანელობაში. სამხედრო გადატრიალება მავრითანიაში გაკიცხეს აშშ-მ, აფრიკის კავშირმა და ევროპის რიგმა ქვეყნებმა, რომელთაც მოუწოდეს ახალ ხელისუფლებას კონსტიტუციური „კანონიერების" აღდგენისაკენ. სახელმწიფოს უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში შევიდა 11 წევრი, ყველა გენერალი და უფროსი ოფიცერი. საბჭოს თავმჯდომარე გახდა *მოჰამედ ვულდ აბდელ აზიზი (დაბად. 1956 წ.),* რომელიც უფლებამოსილია დანიშნოს პრემიერ-მინისტრი. სახელმწიფო საბჭო შეასრულებს პრეზიდენტის ფუნქციებს ახალი პრეზიდენტის არჩევნებამდე.

სახელმწიფო წყობა. მმართველობის ფორმა – საპარლამენტო ისლამური რესპუბლიკა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ირჩევენ 6 წლის ვადით. 2007 წლის 11 მარტს ჩატარდა პირველი ალტერნატიული საპრეზიდენტო არჩევნები. დასავლეთის პრესაში ეს არჩევნები შეფასდა როგორც „დემოკრატიული მოდელი" აფრიკისა და არაბული სამყაროსათვის. პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს სახელმწიფოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე – *მოჰამედ ვულდ აბდელ აზიზი (არაბ. მუჰამმად იბნ 'აბდ ალ-'აზიზი, დაბად. 1956წ.)*

ქვეყნის კონსტიტუცია მიიღეს 1991 წლის 12 ივლისს, შესწორებები შეიტანეს 2006 წლის 25 ივნისს. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი: ზედა პალატა – სენატი, რომელშიც არის 56 წევრი (აქედან 53 აირჩევა 6 წლის ვადით, მაგრამ ყოველ ორ წელიწადში მისი 1/3 უნდა განახლდეს. 3 წევრი კი აირჩევა საზღვარგარეთ მცხოვრები მავრითანელების მიერ) და ქვედა პალატა – ეროვნული ასამბლეა, რომელშიც არის 81 წევრი და აირჩევა 5 წლის ვადით. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა მთავრობა. 2008 წლის აგვისტოდან პრემიერ-მინისტრია *მულაიე ვულდ მოჰამედ ლაღდაფი (არაბ. მაველაი ვალად მუჰამმად ლაღზაფი).*

ქვეყანა დაყოფილია დედაქალაქის რეგიონად და 12 პროვინციად, რომლებიც თავის მხრივ 44 რაიონად იყოფა.

ეროვნული დღესასწაული – 28 ნოემბერი (1960წ.), დამოუკიდებლობის დღე.

პოლიტიკური პარტიები. მრავალპარტიული სისტემა ქვეყანაში დამკვიდრდა 1991 წლიდან. 1992 წელს უკვე 16 პარტია იყო რეგისტრირებული. 1961-1978 წლებში ერთადერთი კანონიერი პარტია იყო მავრითანიის სახალხო პარტია. 2005 წლამდე მმართველ პარტიას „რესპუბლიკური სოციალ-დემოკრატიული პარტია" – ჰქონდა დომინირებული მდგომარეობა. 2008 წლის იანვარში დაარსდა ახალი პარტია – „ეროვნული პაქტი დემოკრატიისა და განვითარებისათვის", რამაც ოპოზიციის კრიტიკა გამოიწვია. ძირითადი პარტიებია: 1. „დემოკრატიულ ძალთა გაერთიანება" – ოპოზიციური პარტია; 2. „პროგრესულ ძალთა კავშირი"; 3. „რესპუბლიკური პარტია დემოკრატიისა და განახლებისათვის"; 4. „ხალხის პროგრესული ალიანსი".

ეკონომიკა. მსოფლიო ბანკის კლასიფიკაციით, მავრითანია განეკუთვნება მსოფლიოს უღარიბეს ქვეყანათა რიგს (უკავია მე-18 ადგილი). 1986 წელს მავრითანიამ მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარდაჭერით დაიწყო ეკონომიკური რეფორმების განხორციელება, მაგრამ ამან ვერ გააუმჯობესა მოსახ-

ლეობის მდგომარეობა. მავრითანიის მოსახლეობის 46% არის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და ქვეყანას აქვს მნიშვნელოვანი საგარეო ვალი (2,3 მლრდ დოლარი). მავრითანიის საზოგადოების რთული ეთნიკური და ტომობრივი სტრუქტურა ხელს უშლის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მოდერნიზაციას. ქვეყანა ფლობს რკინის დიდ მარაგს, რაც შეადგენს იმპორტის მოცულობის თითქმის ნახევარს. მავრითანია მე-15 ადგილზეა მსოფლიოში რკინის მადნის ექსპორტით და ყოველწლიურად მსოფლიო ბაზარს აწვდის 10-11 ათას ტონა ნედლეულს. მავრითანიას ფართო შესაძლებლობები აქვს სხვა მინერალური ნედლეულის (სპილენძი, ოქრო, ალმასი, ფოსფორიტები და სხვ.) საწარმოებლადაც. 2005 წელს ქვეყანაში ამუშავდა ოქროს გადამამუშავებელი პირველი ქარხანა. 2001 წელს ავსტრალიის კომპანიამ მავრითანიაში აღმოაჩინა ნავთობი. ამის შემდეგ ქვეყანა ცხოვრობს სანავთობო ბუმის მოლოდინში. წინასწარი მონაცემებით, აქ არის ნავთობის დაუდგენელი მარაგი – დაახლ. 600 მლნ ბარელი, რაც განლაგებულია ტერიტორიულ წყლებში. 2010 წლისათვის დაიწყება ნავთობის ექსპორტი, რაც ექსპერტთა აზრით მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის ეროვნულ შემოსავალს. 2007 წელს ნავთობის რეალურმა მოპოვებამ შეადგინა 25 ათასი ბარელი დღეში (ვარაუდობდნენ 75 ათასი ბარელის მოპოვებას ყოველდღიურად). ბოლო წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მაკროეკონომიკური მაჩვენებლები.

სოფლის მეურნეობა სუსტად არის განვითარებული (ქვეყნის ტერიტორიის 90% უდაბნოა). ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ფინიკის პალმა, არახისი, სიმინდი და თამბაქო. ქვეყანაში განვითარებულია მეცხოველეობა და თევზის გადამამუშავებელი მრეწველობა. მავრითანიის საზღვაო პროდუქციის ძირითადი მომხმარებლები არიან იაპონია და ევროპის ქვეყნები. ქვეყნის სანაპირო ზონაში თევზჭერის ლიცენზია აქვთ ევროკავშირის ქვეყნებსაც. უცხოური სახელმწიფოების მიერ თევზის მარაგის ინტენსიური მოპოვება სანაპირო რაიონებში ქმნის იმის საშიშროებას, რომ ეს რესურსი (სანაპირო წყლები უმდიდრესი თევზჭერის არეა მსოფლიოში) გამოილევა. ქვეყანაში ხორციელდება მთელი რიგი პროექტებისა თევზსაჭერი ფლოტის მოდერნიზაციისათვის, საზღვაო რესურსების მონიტორინგის სრულყოფისა და გადამამუშავებელი სიმძლავრეების განვითარებისათვის. ამ პროექტებს აფინანსებენ იაპონია, ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი და განვითარების აფრიკული ბანკი. მავრითანიის ეკონომიკის ყველაზე სუსტი რგოლია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. *ექსპორტი:* რკინის მადანი, თევზი, ოქრო და ბრინჯი. *იმპორტი:* ნავთობპროდუქტები და კვების პროდუქტები, მანქანები, პირველი და ფართო მოხმარების საქონელი. *სავაჭრო პარტნიორები:* ევროკავშირის ქვეყნები, იაპონია, ალჟირი, ჩინეთი, აშშ, რუსეთი, ნიდერლანდები, კოტდ-ივუარი.

2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 6,494 მილიარდი დოლარი. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი იყო 1,900 დოლარი.

განათლება. მავრითანიაში ზოგადი განათლების სისტემა ჯერ კიდევ საფრანგეთის კოლონიურმა ადმინისტრაციამ შექმნა. 1954 წლისათვის არსებობდა 12 ე.წ. „კარავი" სკოლა, სადაც 241 მოსწავლე სწავლობდა. ამის პარალელურად იყო ტრადიციული რელიგიური სკოლები და რამდენიმე ფრანგული სკოლა. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მავრითანიამ შემოიღო სამოქალაქო განათლების სისტემა. დაწყებით და საშუალო სკოლებში ფრანგული სისტემა ძალაში დარჩა 1980 წლამდე. 1987 წლიდან, მსოფლიო ბანკის დახმარებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა მავრითანიის სასკოლო განათლების სისტემაში. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, ძირითადი ცენტრი არის *ნუაქშოთის უნივერსიტეტი*, სადაც 8 000 სტუდენტი სწავლობს (ვებგვერდი – www.univ-nkc.mr/).

ფულის ერთეული – უგია. ის იყოფა 5 ხუმსად. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 270,0 უგიას.

მაროკოს სამეფო
المملكة المغربية

გეოგრაფია. მაროკო მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში. სამხრეთ- აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით მას ესაზღვრება ალჟირი (საზღვრის სიგრძე 1 559 კმ), სამხრეთით – დას. საჰარა (443 კმ), დასავლეთით – ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთით – ხმელთაშუა ზღვა. მაროკოს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში არის საჰარის უდაბნო. საზღვრების საერთო სიგრძეა – 2 002 კმ, სანაპირო ზოლის სიგრძე – 1 835 კმ, საერთო ფართობი – 446,550 კვ. კმ.

მოსახლეობა. ეგვიპტისა და სუდანის შემდეგ, მაროკო მესამე ქვეყანაა მოსახლეობის რაოდენობით – 31,352,000 (2008წ. მონაცემები). მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე შეადგენს 1 კვ. კმ-ზე 70 ადამიანს. მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ ბერბერები და არაბები (97%). ცხოვრობენ აგრეთვე ევროპელები და ებრაელები. სახელმწიფო ენა არის არაბული, გავრცელებულია აგრეთვე ბერბერული დიალექტები, ფრანგული და ესპანური ენები. სახელმწიფო რელიგია არის სუნიტური ისლამი. მოსახლეობის 99% მუსლიმია (0,02 % – შიიტები, 99,98% სუნიტები). მორწმუნეთა შორის არიან ქრისტიანები და იუდეველები.

ჰავა. მაროკოს ჰაავა უპირატესად სუბტროპიკულია. ზაფხულის პერიოდში მთელ ტერიტორიაზე ჭარბობს ცხელი და მშრალი ამინდი, ხოლო ზამთარში – ნოტიო და ცივი ამინდი. იანვრის საშუალო ტემპერატურაა – 10-12°C, ივლისში – 24-28°C. ნალექების საშუალო რაოდენობა – 300 მმ. წელიწადში.

დედაქალაქი – რაბათი (1,7 მლნ. მცხოვრები, 2007 წ.მონაცემით), მდებარეობს ატლანტის ოკეანის სანაპიროზე. დაარსდა 1150 წელს ალმოჰადების მიერ. სახელწოდება წარმოდგება არაბ. „რიბატ ალ-ფათჰ"-იდან („გამარჯვების ბანაკი").

ისტორიული ნარკვევი. უკვე ძვ.წ. XII ს-ში თანამედროვე მაროკოს სანაპიროზე წარმოიშვა პირველი ფინიკიური კოლონიები. ძვ. წ. I საუკუნიდან V საუკუნემდე მაროკოს ტერიტორიის დიდი ნაწილი იყო ძველი რომის იმპერიის მფლობელობაში. VI საუკუნეში ის გახდა ბიზანტიის იმპერიის ნაწილი. VIIს-ში ქვეყანა არაბებმა დაიპყრეს. 868 წელს იდრისიანთა არაბულმა დინასტიამ თავისი ხელისუფლების ქვეშ გააერთიანა ბერბერთა ადგილობრივი ტომები. XI-XV სს-ში ხელისუფლებაში მოვიდნენ ალმორავიდების და ალმოჰადების ბერბერული დინასტიები. XV-XVIსს-ში მაროკოს ტერიტორიის ნაწილი დაიპყრეს პორტუგალიამ და ესპანეთმა. XVII ს-ში ხელისუფლებაში მოვიდა ალაუიტების დინასტია, რომელიც დღესაც მართავს ქვეყანას. ისმაილმა, ამ დინასტიის ერთ-ერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა (1672-1727), შეძლო ქვეყნის გაერთიანება და წარმატებით ჩაახშო აჯანყება ქვეყნის შიგნით. XIX ს-ის დასაწყისში მაროკოზე პრეტენზიას აცხადებდა ესპანეთი, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი. 1840 წელს საფრანგეთის არმიამ დაიწყო ოპერაცია მაროკოს დასაპყრობად. 1912 წელს საფრანგეთმა მაროკოს სასულტნოს თავს მოახვია ხელშეკრულება პროტექტორატზე, ჩრდილოეთი ნაწილი კი გადავიდა ესპანეთის ხელისუფლების ქვეშ. მაროკოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დაიწყო XX საუკუნეში და გაძლიერდა II მსოფლიო ომის შემდეგ, რაც დასრულდა ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადებით. 1956 წლის 3 მარტს საფრანგეთმა ოფიციალურად ცნო ქვეყნის დამოუკიდებლობა, ხოლო 1956 წლის 7 აპრილს ესპანეთის მაროკომ მიიღო დამოუკიდებლობა, მაგრამ ესპანელები ინარჩუნებდნენ კონტროლს მაროკოს რამდენიმე ქალაქზე. 1957 წელს მაროკოს შემადგენლობაში შევიდა ქალაქი ტანჟერი. 1956 წელს სულტანმა *მოჰამედ V-მ (არაბ. მუჰამმად ალ-ხამის)* მეფის ტიტული მიი-

ღო. 1959 წლის დეკემბერში მეფემ მოახერხა შეთანხმება ამერიკის პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან სამეფოდან ამერიკის არმიის ევაკუაციის თაობაზე 1961 წლის ბოლოსათვის. ასეთივე ვალდებულება აიღეს საფრანგეთმა და ესპანეთმა (1961 წ. მარტი და აგვისტო).

1961 წელს მეფე გახდა *ჰასან II* (1961-1999), რომელმაც დაიკავა პრემიერ-მინისტრის პოსტიც და იმავდროულად ხელმძღვანელობდა თავდაცვის, სოფლის მეურნეობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს. 1962 წლის დეკემბერში მეფემ დაამტკიცა პირველი კონსტიტუცია, რომლის მიხედვითაც მაროკო აბსოლუტური მონარქიის ნაცვლად გახდა კონსტიტუციური მონარქია ორპალატიანი პარლამენტით. ოფიციალურ დონეზე დაშვებული იყო პრესის, კრებების და ასოციაციების თავისუფლება, მაგრამ ფაქტობრივად, ეს დემოკრატიული პრინციპები ხშირად ირღვეოდა. 1965 წლის მარტში სტუდენტთა და უმუშევართა დემონსტრაციას კასაბლანკაში პოლიციის ანგარიშსწორება მოჰყვა. იყო მსხვერპლი მოსახლეობას შორის. ამის შემდეგ ჰასან II-მ მთელი ძალაუფლება თავის ხელში აიღო, გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და პარლამენტი დაითხოვა. მეფემ გამოთქვა კონსტიტუციის ცალკეული მუხლების გადასინჯვის სურვილი პარლამენტის ნორმალური საქმიანობის უზრუნველყოფისათვის. პრაქტიკულად მოხდა აბსოლუტური მონარქიისაკენ დაბრუნება. საგანგებო ვითარება ქვეყანაში გაუქმდა მხოლოდ 1970 წლის ივნისში. მეფემ შესწორებები შეიტანა კონსტიტუციაში. მნიშვნელოვნად გაიზარდა მონარქის უფლებამოსილება და შემცირდა პარლამენტის მნიშვნელობა, რომელიც ერთპალატიანი გახდა. პროტესტის ნიშნად, 1970 წლის აგვისტოს არჩევნებში ოპოზიციურმა ორგანიზაციებმა მონაწილეობა არ მიიღეს.

1971-72 წწ-ში ქვეყანაში კვლავ იყო სახელმწიფო გადატრიალების ცდები. განხორციელდა სამხედროების მეორე წარუმატებელი თავდასხმა მეფეზე. მთავრობამ კვლავ რეპრესიები დაიწყო ოპოზიციის მიმართ. ჰასან II პოლიტიკურ იზოლაციაში აღმოჩნდა და წინ წამოსწია „ისლამური სოციალიზმის" კონცეფცია, თუმცა ეყრდნობოდა ყურანის დოგმებს სოციალური და ქონებრივი სამართლიანობის შესახებ. 1973 წელს მეფემ გამოაცხადა „მაროკონიზაციის" კურსი, რაც ითვალისწინებდა ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის პოზიციის განმტკიცებას და უცხოელებისაგან მიწების გამოსყიდვას. მეფის პოპულარობის განმტკიცებას ხელი შეუწყო მაროკოს ორი დივიზიის გაგზავნამ 1973 წელს არაბეთ-ისრაელის ომში მონაწილეობის მისაღებად. ეროვნული კონსენსუსის აღდგენის ძირითადი საფუძველი გახდა *დასავლეთ საჰარის* პრობლემა.

1958-1976 წლებში დას. საჰარა ეკუთვნოდა ესპანეთს. 1975 წელს ესპანეთმა გადაწყვიტა დაეტოვებინა თავისი კოლონია, გაეყო მისი ტერიტორია ორ ქვეყანას – მაროკოს და მავრითანიას შორის, რაც განმტკიცდა მადრიდის შეთანხმებებით (1976 წ.). ამის საპასუხოდ, *პოლისარიომ* გამოაცხადა დამოუკიდებელი „საჰარის არაბული დემოკრატიული რესპუბლიკის" (1976წ. 27 თებერვალს)[57] შექმნა და განაახლა პარტიზანული ომი, იქ შემოსული მაროკოსა და მავრითანიის არმიის წინააღმდეგ. ომის მსვლელობის პროცესში *პოლისარიო* დახმარებას იღებდა ალჟირიდან, კუბიდან, მსოფლიოს მთელი რიგი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებიდან და 1983 წლამდე – ლიბიიდან. ომის პირველ წლებში დასავლეთ საჰარის პარტიზანებმა რამდენიმე დამარცხება აგემეს მავრითანიის არმიას. 1979 წელს, ქვეყნის

---

[57] საჰარის არაბული დემოკრატიული რესპუბლიკა ცნო 45 სახელმწიფომ. 1984 წლიდან ქვეყანა არის აფრიკის კავშირის წევრი. *მოჰამედ აბდელაზიზი (არაბ. მუჰამად 'აბდ ალ-'აზიზი)* არის *პოლისარიოს* გენერალური მდივანიც და საჰარის არაბული დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტიც.

შიგნით სამხედრო გადატრიალების გამო, მავრითანიამ შეწყვიტა ომში მონაწილეობა, ცნო *საჰარის არაბული დემოკრატიული რესპუბლიკა* და გაიყვანა მისი ტერიტორიიდან თავისი არმია. მაროკომ განაცხადა, რომ არ აპირებდა უარის თქმას თავის პრეტენზიებზე დას. საჰარაზე. 80-იანი წლების მანძილზე მიმდინარეობდა საბრძოლო მოქმედებები, რომელშიც მაროკოს არმიამ ვერ მოახერხა წარმატების მიღწევა. 1981 წელს მაროკოელებმა, ალჟირიდან პარტიზანების შემოსვლის თავიდან ასაცილებლად, საზღვარზე თავდაცვითი ნაგებობების სისტემის – „მაროკოს კედლის" – მშენებლობა დაიწყეს, რაც ოფიციალურად დასრულდა 1987 წლის 16 ოქტომბერს. *პოლისარიომ* მას უწოდა „სირცხვილის კედელი". 1991 წელს 6 სექტემბერს ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც დას. საჰარაში მოქმედებს ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი. მასზე კონტროლს ახორციელებს გაეროს მისია, რომლის შტაბ-ბინა მდებარეობს საჰარის პროვინციების ადმინისტრაციულ ცენტრში – ქ. ალ-აიუნში. ამავე შეთანხმების საფუძველზე მაროკო ვალდებული იყო დას. საჰარაში ჩაეტარებინა რეფერენდუმი დამოუკიდებლობის საკითხზე. ეს რეფერენდუმი დღემდე არ ჩატარებულა. ადრე აღებული ვალდებულების მიუხედავად, ამჟამად მაროკო უარს აცხადებს მის ჩატარებაზე, მაგრამ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს ორივე მხარე იცავს. ამჟამად იქ არის მაროკოს და *პოლისარიოს* შეიარაღებული ძალები. მაროკოს იქ ჰყავს დაახლ. 100 000 სამხედრო მოსამსახურე. რაბათი აცხადებს, რომ მზადაა მისცეს საჰარის პროვინციებს ყველაზე ფართო ავტონომია (თავისი მთავრობით, პარლამენტით და სასამართლოთი) მაროკოს ფარგლებში და თვლის, რომ ეს არის პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთი გზა. ფრონტი *პოლისარიო* კი ალჟირის დახმარებით ითხოვს ჩატარდეს რეფერენდუმი გაეროს ეგიდით, რომლის დროსაც საჰარელები არჩევანს გააკეთებენ დამოუკიდებლობას, ავტონომიას ან მაროკოს შემადგენლობაში შესვლას შორის. 2007 წლის ივნისში გაერომ დასვა მოწინააღმდეგე მხარეები მოლაპარაკების მაგიდასთან. ჩატარდა მოლაპარაკებათა სამი რაუნდი, მაგრამ უშედეგოდ. ამდენად, კონფლიქტი მოგვარებული არ არის. 2008 წელს *პოლისარიოს* თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ 2009 წელს განაახლებენ საბრძოლო მოქმედებებს მაროკოს წინააღმდეგ საჰარის პროვინციებში, თუ იქამდე არა მოიძებნება დასავლეთ საჰარის პრობლემის დიპლომატიური გადაწყვეტის გზა.

1977 და 1984 წლებში საპარლამენტო არჩევნებში სადეპუტატო მანდატების უმრავლესობა მიიღეს მონარქის მომხრეებმა. 1980-1990 წლებში მეფემ შეძლო რელიგიური ოპოზიციის დასუსტებაც. 1989 წელს დაარსდა *არაბული მაღრიბის კავშირი*, რომელშიც მაროკოსთან ერთად შევიდა ალჟირი, თუნისი, ლიბია და მავრითანია. ის მიზნად ისახავდა ამ 5 ქვეყნის ინტეგრაციული პროცესების ხელშეწყობას. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკაზე რადიკალური ცვლილების გამო, მაროკომ დაიწყო მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარება აშშ-თან და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. 1999 წელს ხელისუფლების სათავეში მოვიდა *მოჰამედ VI (არაბ. მუჰამმად ას-სადის)*, რომელმაც განახორციელა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, ნაწილობრივ გადაჭრა უმუშევრობის პრობლემა, დაიწყო ევროპის ქვეყნებთან დაახლოვება. მან თანამდებობიდან გაათავისუფლა ე. წ. „შეუცვლელი" შინაგან საქმეთა მინისტრი და ჩაატარა ამ სამინისტროს რეორგანიზაცია. ეს ღონისძიებები შეფასდა, როგორც „ჩუმი რევოლუცია".

2000 წლის 1 მარტს შედგა ბერბერთა მანიფესტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ბერბერული ინტელიგენციის კონკრეტული მოთხოვნები, მათ შორის ბერბერული ენისათვის ოფიციალური სტატუსის მინიჭება.

სახელმწიფო წყობა. მაროკო დე იურე არის კონსტიტუციური მონარქია არჩევითი პარლამენტით. სახელმწიფოს მეთაური არის მეფე, 1999 წლის 23 იელისიდან – დღემდე *მოჰამედ VI* (დაბად.1963 წ.).

1972 წლის 10 მარტს მიიღეს ქვეყნის კონსტიტუცია, რომელიც განახლდა 1992 წლის 4 სექტემბერს, ხოლო შესწორებები შეიტანეს 1996 წლის სექტემბერში. ქვეყნის აღმასრულებელი ორგანოა – მთავრობა, რომლის მეთაურსაც მეფე ნიშნავს. 2007 წლის 19 სექტემბრიდან პრემიერ-მინისტრი არის *აბას ელ ფასი (არაბ. 'აბბას ალ-ფასი, დაბად. 1940 წ.).* 1980 წელს რეფერენდუმი ჩატარდა და მეფის სრულწლოვანების ასაკი 18-დან 16-მდე დაწიეს. პარლამენტის უფლებამოსილების ვადა 4-დან კვლავ 6 წლამდე გაიზარდა. მეფემ თავისი პარტიაც კი შექმნა. ოპოზიციამ გამარჯვებას მხოლოდ 1984 წელს მიაღწია – 306 დეპუტატიდან 137. 12 საპარლამენტო კომისიიდან ექვსს ხელმძღვანელობდა ოპოზიცია. ამან გამოიწვია საპარლამენტო სისტემის სტაბილიზაცია. 1996 წლის კონსტიტუციით, მაროკოში არის ორპალატიანი პარლამენტი: *წარმომადგენლობითი ასამბლეა* (325 წევრი, აქედან 295 აირჩევა, ხოლო 30 ადგილი ქალებისათვის არის გამოყოფილი) და *მრჩეველთა ასამბლეა* – 270 წევრი და აირჩევიან 9 წლის ვადით. ბოლო საპარლამენტო არჩევნები მაროკოში ჩატარდა 2007 წლის 7 სექტემბერს და ის გამოირჩეოდა ყველაზე დაბალი საარჩევნო აქტივობით (მოსახლეობის 37%) მაროკოს პოლიტიკურ ისტორიაში.

ქვეყანა ადმინისტრაციულად დაყოფილია 37 პროვინციად, რომლებიც, თავის მხრივ, პრეფექტურების, ოლქებისა და კომუნებისაგან შედგება.

ეროვნული დღესასწაული – 3 მარტი (1961წ.), ტახტის დღე.

პოლიტიკური პარტიები. 1992 წლის კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომელიც უშვებდა რელიგიურ საფუძველზე პარტიის დაარსებას. გაფორმდა ახალი ისლამისტური პარტია – „სამართლიანობისა და განვითარების პოლიტიკური პარტია", რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე. თუმცა ლეგალური საქმიანობის ნებართვა არ მიუღია. ამჟამად მაროკოში არის 15 პარტია.

ეკონომიკა. ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაცია მოხდა 90-იანი წლების დასაწყისში, როცა განახლდა ქსოვილებით ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებთან, დაწიეს ფასები იმპორტირებულ კვების პროდუქტებზე და გაიზარდა არაბული ქვეყნების დახმარება. მრეწველობის ყველაზე განვითარებული დარგებია: ფოსფორიტების მოპოვება და გადამუშავება (მეორეა მსოფლიოში მისი წარმოებით), კვების, ქსოვილების და ტყავის მრეწველობა. მაროკო კანაფის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელია (ჩრდ. მაროკოს 5 პროვინციაში) მსოფლიოში. მაროკოში აწარმოებენ აგრეთვე ღვინოს (დაახლ. 33 მლნ წითელ და თეთრ ბოთლს). ღვინის წარმოებით დაკავებულია ძირითადად 4 რეგიონი, მათ შორის მექნესე აწარმოებს საერთო მოცულობის 70%-ს. ეს დარგი სახელმწიფოს აძლევს დაახლ. 1 მლრდ დირჰამის (33 მლნ ევრო) შემოსავალს და დასაქმებულია 10 ათასი ადამიანი. 2007 წლის 18 ნოემბერს, 50 წლიანი შესვენების შემდეგ, სამართლიანობისა და განვითარების პარტიის წინააღმდეგობის მიუხედავად, მექნესში კვლავ ჩატარდა მაროკოს ღვინის დღესასწაული. აქტიურად ვითარდება ტურიზმი – 2007 წელს მაროკო მოინახულა 7,45 მლნ ადამიანმა. მაროკოს აქვს სერიოზული ეკონომიკური პრობლემები: უზარმაზარი საგარეო ვალი, უმუშევრობის მაღალი დონე (7,7%) და ქვეყნის დამოკიდებულება საგარეო ეკონომიკურ ფაქტორებზე. 2004 წლის მარტში მაროკომ აშშ-თან დადო „შეთანხმება თავისუფალ სავაჭრო გაცვლაზე" (ამ შეთანხმებას არაბული ქვეყნებიდან მარტო მაროკო შეუერთდა). შეთანხმება გულისხმობს თავისუფალ გაცვლას ვაჭრობის, მომსახურების, ინვესტიციების, ინტელექტუალური საკუთრების უფლების, იურიდიული გარანტიებისა და პოლიტიკური თანამშრომლობის სფეროში. *ექსპორტი*: ფოსფორიტები და ფოსფორმჟავა; ზღვის პროდუქტები, ციტრუსები, ბოსტნეული, თამბაქო, ტყავი და ღვინო. ქვეყანა კანაფის უდიდესი მწარმოებელი და ექსპორტიორია. *იმპორტი*: დაუმუშავებელი ნავთობი, გაზი, ელექტროენერგია, სამრეწველო აღჭურვილობა, ხორბალი, ქიმიური მრეწველობის პროდუქტები, საფეიქრო ნაწარმი, სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობა. მნიშვნელოვანი *სა-*

ვაჭრო პარტნიორები: ესპანეთი, აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, გერმანია, ინდოეთი, საფრანგეთი, საუდის არაბეთი, რუსეთი, ჩინეთი.

2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა 137,4 მილიარდი დოლარი შეადგინა. ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავალი იყო 4,000 დოლარი.

განათლება. მაროკოში ძალიან დაბალია განათლების დონე (განსაკუთრებით გოგონების). 2008 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 34%, 15 წლის და ზემოთ, არის წერა-კითხვის უცოდინარი (2000 წელს იყო 50%). უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი გოგონებს შორის (46,8%). განათლება მაროკოში უფასოა, მაგრამ სავალდებულოა მხოლოდ დაწყებითი განათლება. 2002 წელს ქვეყანაში დაიწყო ეროვნული განათლების რეფორმის განხორციელება, რასაც მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა. 2006 წელს სექტემბერში იუნესკომ მაროკო სხვა ქვეყნებთან ერთად (კუბა, პაკისტანი, თურქეთი) დააჯილდოვა „იუნესკოს 2006 წლის წიგნიერების პრიზით". 1998 წელს სასკოლო პროგრამაში შეიტანეს ბერბერების ანტიკური ისტორია. ადრე სასკოლო სახელმძღვანელოებში მაროკოს ისტორია იწყებოდა VIII ს-დან, იდრისიანთა სახელმწიფოს დაარსებიდან და რვა საუკუნე იგნორირებული იყო. 2003 წლის სექტემბრიდან სკოლებში ისწავლება ბერბერული ენა. 2008 წლის ივლისის დადგენილებით, მაროკოს მეფემ თითოეულ მცირეშემოსავლიან ოჯახს, რომელთა შვილები სკოლაში სწავლობენ, გამოუყო ყოველთვიური დახმარება 500 დირჰამის (50 ევრო) ოდენობით.

ქვეყანაში სულ არის 14 უნივერსიტეტი. მათ შორის გამოირჩევა რაბათის *მოჰამედ V-ის სახელობის უნივერსიტეტი* (დაარსდა 1957 წ. მეფის დეკრეტით) და *ალ-ახავაინის უნივერსიტეტი* იფრანში, სადაც ყველა კურსი ინგლისურად ისწავლება. სწავლების ყველა საფეხურზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არაბული ენის სწავლებას. ეს უნივერსიტეტი 1995 წელს დაარსეს მეფე ჰასან II-მ და საუდის არაბეთის მეფე ფაჰდმა, როგორც ინგლისურენოვანი ამერიკული სტილის უნივერსიტეტი, სადაც სწავლობს დაახლ. 1000 სტუდენტი (ვებგვერდი – www.aui.ma/). ფესში *კაირუანის უნივერსიტეტი* მიეკუთვნება უძველეს უნივერსიტეტებს მსოფლიოში. ეს ისლამური (სუნიტური) უნივერსიტეტი ჯერ კიდევ 859 წელს დაარსდა.

ფულის ერთეული – მაროკოს დრაჰმი. ის იყოფა 100 სანტიმად. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 7,526 დრაჰმს.

ომანის სასულტნო
سلطنة عُمان

გეოგრაფია. ომანის სასულტნო მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, არაბეთის ნახევარკუნძულზე. დასავლეთით მას ესაზღვრება საუდის არაბეთი (საზღვრის სიგრძე 676 კმ), ჩრდილო-დასავლეთით – არაბთა გაერთიანებული საამიროები (410 კმ), სამხრეთ-დასავლეთით – იემენი (288 კმ). აღმოსავლეთით, სამხრეთით – არაბული ზღვა, ხოლო ჩრდილოეთით – ომანის ყურე. საზღვრების საერთო სიგრძე –1700 კმ. ქვეყნის საერთო ფართობია 309,500 კვ. კმ.

ომანი შედგება 6 მკვეთრად განსხვავებული გეოგრაფიული რაიონისაგან. ესენია: ალ-ბატინის სანაპირო, ჰაჯარის მთა, საკუთრივ შიდა ომანი, შუა ომანი, დოფარი და მუსანდამი.

მოსახლეობა. ქვეყანაში მოსახლეობის აღწერა პირველად ჩატარდა 1993 წელს. მოსახლეობის საერთო რაოდენობა არის 3,311,640 მლნ (2008წ. მონაცემები). მოსახლეობის მატების ტემპი ძალიან მაღალია (3,5%). მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე შეადგენს დაახლ. 10 ადამიანს. აქედან 26,4% – უცხოური სამუშაო ძალა. მოსახლეობის 60%-ზე მეტს შეადგენენ 25 წლის და ქვემოთ ასაკის მოქალაქეები. მოსახლეობის უმრავლესობა არაბებია – 75%, დანარჩენი ეთნიკური ჯგუფებია პაკისტანელები (21%), ინდოელები, ბანგლადეშელები. ომანის მოსახლეობა პირობითად 4 ჯგუფად შეიძლება დაიყოს: სანაპიროს მოსახლეობა, ჰაჯარის მთის ტომები, ბედუინები და დოფარის მცხოვრებლები. ომანში იკრძალება ევროპული სამოსის ტარება. ადგილობრივ მცხოვრებთა სამოსი განსხვავდება რაიონების მიხედვით. სახელმწიფო ენა არის არაბული, ისლამი – სახელმწიფო რელიგია. ქვეყანაში მოქმედებს გრიგორიანული კალენდარი, იშვიათად გამოიყენება მუსლიმურიც. მოსახლეობის 91,81 %-ს მუსლიმები შეადგენენ. ომანის მკვიდრი მოსახლეობის 53,1% არის იბადიზმის (იბადიტები – ხარიჯიტული სექტა) მიმდევარი, სუნიტები შეადგენენ მოსახლეობის 44,22%-ს, ხოლო შიიტები (ჯაფარიტები) – 2,77%-ს. შიიტები კომპაქტურად სახლობენ ალ-ბატინში და მასკატ-მატრას რაიონში. მოსახლეობის დანარჩენი 8% ინდუიზმის (ჰინდის), ქრისტიანობის და სხვა უმცირესობის მიმდევარია, რომელთა უმრავლესობა ექსპატრიანტია.

ჰავა. ქვეყნის სანაპირო ზოლში ჰავა სუბტროპიკულია, შიდა რაიონებში – მშრალი, კონტინენტური. ზაფხული ხანგრძლივია და ძალიან ცხელი. სანაპირო ზოლში, მაისივნისში ტემპერატურა აღწევს 40°C-ს, ხოლო შიდა რაიონებში – 50°C-ს. ზამთრის სეზონი გრძელდება ნოემბრიდან მარტის დასაწყისამდე და საკმაოდ რბილია. ნალექების რაოდენობა მერყეობს 25-დან 100 მმ-მდე წელიწადში. ყველაზე წვიმიანი თვე არის თებერვალი. მთიან რაიონებში, განსაკუთრებით ალ-აჰდარში, წვიმები მოდის ძირითადად ზაფხულის თვეებში. ომანში არ არის მდინარეები და ტბები.

დედაქალაქი – ქალაქი მასკატი (დაახლ. 731,730 მცხოვრები 2008წ. მონაცემით) მდებარეობს ომანის ყურის ნაპირზე, სამი მხრიდან შემოფარგლულია მთებით. მასკატი ითვლება ყველაზე ცხელ ქალაქად მსოფლიოში.

ისტორიული ნარკვევი. VII საუკუნის შუა წლებიდან ომანი შევიდა არაბთა სახალიფოს შემადგენლობაში (მანამდე ის სასანიანთა ირანის მფლობელობის ქვეშ იყო). ომანის ტომებმა იბადიტური მოძღვრება მიიღეს VII საუკუნის ბოლოს ან VIII საუკუნის დასაწყისში. ომანი გახდა იდეალური თავშესაფარი პოლიტიკური ლტოლვილებისათვის, სარწმუნოებისაგან განდგომილთათვის. მრავალი საუკუნის განმავლობაში ომანი იყო სატრანზიტო პუნქტი ინდოეთში მიმავალი გემებისათვის. განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა პორტ სუჰარს (ომანის ჩრდილოეთით), რომელიც აღწერა X ს. არაბმა გეოგრაფმა ალ-მუკადდასმა, როგორც „გამშვები პუნქტი ჩინეთის გზაზე და საწყობი აღმოსავლეთისა და ერაყის". XVI საუკუნეში პორტუგალიელებმა დაიკავეს მასკატი (1507-1648), მაგრამ 1650 წელს ომანმა დამოუკიდებლობა მოიპოვა და სულტანმა იბნ საიფმა (ომანის იმამი გახდა 1624 წ.) გააძევა ევროპელები თავისი ქვეყნიდან. 1783 წლამდე ქვეყანას მართავდნენ იმამები, ხოლო შემდეგ კი – საიდები (სულტნები). 1792 წელს აჰმად იბნ სა'იდის (მან 1741 წელს გააძევა ქვეყნიდან ირანელი დამპყრობლები) შთამომავალმა (სულტან ბ. აჰმადმა) დააარსა მასკატის სასულტნო, რომელსაც დღემდე მართავს იბნ სა'იდების დინასტია. 1798 წელს ომანსა და დიდ ბრიტანეთს შორის დაიდო ხელშეკრულება მეგობრობის, ვაჭრობისა და ნაოსნობის თაობაზე, რომელიც გაგრძელდა 1891 წლამდე. ფაქტობრივად ომანი გადავიდა ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ. 1913 წელს ომანის საიმამო გამოეყო მასკატის სასულტნოს და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებას. მასკატისა და დიდი ბრიტანეთის 7 წლიანი ომი ომანის საიმამოს წინააღმდეგ დასრულდა

სიბსის სამშვიდობო ხელშეკრულებით, რომელმაც განამტკიცა ომანის ავტონომია 1920 წელს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი 10 წელი აღინიშნა ომანის სუვერენული საიმამოსა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების ქვეშ მყოფი მასკატის სასულტნოს გამუდმებული ბრძოლით, რასაც ამძაფრებდა ინგლისური და ამერიკის სანავთობო მონოპოლიების ინტერესების შეჯახება და ტერიტორიული პრეტენზიები საუდის არაბეთის მხრიდან. 1954 წლის ზაფხულში ბრიტანული Irak Petrolium Company-ის ერთ-ერთმა შვილობილმა კომპანიამ იმამის ნებართვის გარეშე დაიწყო საძიებო სამუშაოები ომანის შიდა რაიონებში. ამ პირობებში იმამმა შაიხ *ღალებ ბინ ალიმ (არაბ. ღალიბ იბნ 'ალიმ)* მიაღწია ომანის საერთაშორისო აღიარებას და მის გამოცხადებას დამოუკიდებელ არაბულ სახელმწიფოდ. ამ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა არც არაბთა ლიგის პოლიტიკურმა კომიტეტმა და არც საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლომ.

50-იანი წლების მეორე ნახევარში ინგლის-მასკატის არმია რამდენჯერმე შეეცადა ომანში შეჭრას. მხოლოდ 60-იანი წლების შუა ხანებში იმამმა *საიდ III ბინ თაიმურმა (არაბ. სა'იდ იბნ თაიმური)* მოახერხა თავისი ხელისუფლების განმტკიცება შიდა ომანის მთელ ტერიტორიაზე, გარდა დოფარის პროვინციისა (სადაც იყო ოპოზიციური მოძრაობის ცენტრი). 1965 წლის 9 ივნისს დოფარში ჩატარდა დოფარის განთავისუფლების ფრონტის დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც ომი გამოუცხადა სულტანს. 1970 წლების შუა ხანებში აჯანყებულებმა კონტროლი დაამყარეს დოფარის დიდ ნაწილზე. 1970 წელს ქვეყნის მმართველმა მიიღო ომანის სულტნის ტიტული.

1970 წლის 23 ივლისს მმართველის რეზიდენციაში მოხდა დინასტიური გადატრიალება და საიდ ბინ თაიმურის ნაცვლად სულტანი გახდა მისი ვაჟი *–კაბუს ბინ საიდ ალ ბუსაიდი (არაბ. კაბუს იბნ სა'იდ ალ-სა'იდი).* მან აიღო კურსი რეფორმების გატარებაზე, რათა მიეღწია ქვეყანაში სტაბილიზაციისათვის. ჩამოყალიბდა ახალი მინისტრთა კაბინეტი და დროებითი საბჭო, რომელშიც შევიდნენ სულტნის ახლობლები, მათ შორის ინგლისელი მოხელეები და სამხედროები. კაბუსმა, მოსახლეობის უკმაყოფილების დასაძლევად, გაატარა სოციალური რეფორმები და გააუქმა მრავალრიცხოვანი აკრძალვები[58]. სულტანი კაბუსი შეეცადა გამოეყვანა ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციიდან. 1971 წელს მან მოინახულა მეზობელი არაბული ქვეყნები. სულტანი ოფიციალურ განცხადებებში თავს აცხადებდა პანისლამიზმის და პანარაბიზმის იდეების მომხრედ, სოლიდარობას უცხადებდა არაბულ ქვეყნებს ისრაელის წინააღმდეგ ომში. 1971 წლის 7 ოქტომბერს ომანი გახდა გაეროს სრულუფლებიანი წევრი, ხოლო 1971 წლის 29 სექტემბერს მიიღეს არაბული ლიგის წევრად. 1975 წლის იანვარში სულტანმა კაბუსმა ოფიციალური ვიზიტით პირველად მოინახულა აშშ, სადაც ხელმონერილ იქნა ორმხრივი კავშირების გაფართოვების ხელშეკრულება. სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ცენტრალიზაციის მიზნით, სულტანმა 1972 წელს გაათავისუფლა პრემიერ-მინისტრი ტარიკ ბინ თაიმური და სათავეში ჩაუდგა მთავრობას, იმავდროულად გახდა საგარეო საქმეთა, ფინანსთა და თავდაცვის მინისტრი. 1980 წლიდან მოყოლებული სულტანი ყოველი წლის

---

[58] საიდ III ბინ თაიმურის 38 წლიანი მმართველობის დროს ქვეყანაში იყო პოლიტიკური ანაქრონიზმი. მოსახლეობა ცხოვრობდა გაზეთების, ჟურნალების, რადიოს, ტელევიზიის, ტელეფონების, ავტომობილების გარეშე, რომელთა შემოტანა აკრძალული იყო. ქვეყანა იზოლაციაში იყო გარე სამყაროსაგან, არ არსებობდა ელექტროობა. მზის ჩასვლის შემდეგ დედაქალაქის ჭიშკარი იკეტებოდა. ვიზებს უცხოელებზე პირადად სულტანი გასცემდა. არ არსებობდა სახელმწიფო ბიუჯეტი და ეკონომიკის განვითარების კონცეფცია. მოსახლეობის 95% გაუნათლებელი იყო. ქვეყანაში იყო მხოლოდ 3 სკოლა, 1 ჰოსპიტალი და 7 კმ ასფალტირებული საავტომობილო გზა (სულტნის სასახლიდან აეროპორტამდე). სულტანი საიდ III, არქაული შეხედულებების მიუხედავად, შეეცადა თავისი ვაჟისათვის ბრწყინვალე ევროპული განათლება მიეცა.

იანვარში სამ კვირას ატარებს მოსახლეობასთან შეხვედრებში, მოგზაურობს სხვადასხვა რეგიონში, პირადად ეცნობა პროვინციების ცხოვრებას. ეს არის გარკვეულწილად პროპაგანდისტული კამპანიაც, რომელშიც მონაწილეობას იღებენ მინისტრები და სახელმწიფო მოხელეები. ვიზიტების პროტოკოლი ითვალისწინებს სულტნის პირად ურთიერთობას ქვეშევრდომებთან, პეტიციების მიღებას და საჩივრების და თხოვნების მოსმენას. სულტნის ქველმოქმედება საქვეყნოდ არის ცნობილი. ქვეყანაში არის სამეფო გვარდია და პოლიცია. სულტანმა კაბუსმა დაიწყო აქტიური დიპლომატიური საქმიანობა, რათა ქვეყანა გამოეყვანა საერთაშორისო იზოლაციიდან. მისმა მამამ ინგლისურ დიპლომატიას გადასცა უფლება წარმოედგინა ომანი საერთაშორისო არენაზე. კაბუსის პოლიტიკის შედეგად ამჟამად ომანს ურთიერთობა აქვს 135 ქვეყანასთან, რუსეთის ჩათვლით. სპარსეთის ყურის კრიზისის (1991წ.) შემდეგ სულტანმა დაიწყო სასაზღვრო-ტერიტორიული დავების მოწესრიგება მეზობელ ქვეყნებთან და საზღვრების დემარკაცია. ამასთან, კაბუსმა უარი განაცხადა პრობლემების ძალისმიერ გადაწყვეტაზე. 1992 წელს დასრულდა საუდის არაბეთისა და ომანის, ხოლო 1996 წელს – ომან-იემენის (ომანი წავიდა ტერიტორიულ დათმობებზე იემენთან) და 1999 წელს – ომან-საამიროების საზღვრების დემარკაცია. სპარსეთის ყურის წევრ-ქვეყნების, განსაკუთრებით საამიროების, უკმაყოფილებას იწვევს ომან-ირანის კარგი ურთიერთობა. 1998 წლის ნოემბერში ომანმა და ირანმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. თანამედროვე ეტაპზე ომანის სტრატეგიული პარტნიორები არიან დიდი ბრიტანეთი და აშშ, რეგულარული სამხედრო კონტაქტები აქვს საფრანგეთთან.

სახელმწიფო წყობა. ომანი არის აბსოლუტური მონარქია (სასულტნო). საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის სულტანს, რომელიც არის სახელმწიფოს მეთაური. 1970 წლის 23 ივლისიდან სულტანია *კაბუს ბინ საიდ ბინ თაიმური* (დაბად.1940 წ.). 1996 წლის 6 ნოემბერს, პირველად ომანის ისტორიაში, მიიღეს კონსტიტუცია. ის შედგება 7 თავისა და 81 მუხლისაგან. კონსტიტუციამ განამტკიცა ყველა ომანელის თანასწორობა კანონის წინაშე, სიტყვის, რელიგიური აღმსარებლობის, პრესის, ეროვნული ასოციაციების თავისუფლება და სხვ.

1981 წელს სულტანმა კაბუსმა დააარსა *ზედამხედველობის საბჭო* („მაჯლის ალ-ისთიშრაფ"), რომელიც თავდაპირველად შედგებოდა 45 წევრისაგან. 17 წევრს ნიშნავდა მთავრობა, 11 წარმოადგენდა კერძო სექტორს და 17 წევრი ნამოყენებული იყო პროვინციებიდან. 1990 წელს ის შეცვალა სათათბირო ორგანოთი – „მაჯლის აშ-შურა" (საკონსულტაციო საბჭო), რომელიც იმავე ფუნქციებს ასრულებს. მასში შენარჩუნდა ყველა პროვინციის წარმომადგენლობა, მაგრამ მთავრობის წარმომადგენლები აღარ შედიან. თითოეული 59 პროვინციის გუბერნატორები იწვევენ ავტორიტეტულ მოქალაქეებს – მამაკაცებს და ქალებს – განსაზღვრული სოციალური სტატუსით, 100-200 ადამიანს, რომლებიც სულტანს წარუდგენენ 3 კანდიდატურას საბჭოს წევრად და ის პირადად ნიშნავს ერთ-ერთი პროვინციის წარმომადგენლად საბჭოში. მაჯლისს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი (ნიშნავს სულტანი) და ორი ვიცე-პრეზიდენტი, რომელთაც ირჩევენ შურას წევრები. მის საქმიანობას მეთვალყურეობს ბიურო. მაჯლისს უფლება აქვს გამოვიდეს კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის ინიციატივით, მოითხოვოს მინისტრების მოსმენა მათი კომპეტენციის შესაბამის საკითხებზე და სხვ. მაჯლისს აქვს 5 კომიტეტი. საბჭო ატარებს 4 სესიას წელიწადში – იანვარში, მარტში, მაისში და ოქტომბერში. ამის პარალელურად შეიძლება საგანგებო სესიის ჩატარება. საბჭოს აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომელსაც ამტკიცებს სულტანი და გენერალური სამდივნოს თანამშრომლები რეგულარულად ატარებენ აუდიტს. საბჭოს ინიციატივებს აქვს მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი და მის კომპეტენციაში არ შედის პოლიტიკური ხასიათის საკითხების გადაწყვეტა. 1998 წელს დაარსდა *სახელმწიფო საბჭო* („მაჯლის ად-დავ-

ლა"). მაჯლისში ახლა 55 წევრია. ამ ორგანოს ფუნქციას შეადგენს მაჯლის აშ-შურას შემოთავაზებული შესწორებების და წინადადებების განხილვა და გადაწყვეტილებების გამოტანა. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებები კვლავ უბრუნდება განსახილველად მაჯლისის შესაბამის კომიტეტებს და მხოლოდ შეთანხმების შემდეგ წარედგინება სახელმწიფოს მეთაურს დასამტკიცებლად. ასეთი სისტემა შეფასებულია, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი ომანის საზოგადოების ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის გზაზე. ამდენად, ომანის სასულტნოში მოქმედებს წარმომადგენლობითი ხელისუფლების ორპალატიანი ორგანო – სახელმწიფო საბჭო, რომლის წევრებსაც სულტანი ნიშნავს და საკონსულტაციო საბჭო, რომელიც აირჩევა ქვეყნის ყველა მოქალაქის მიერ.

უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო არის მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც აქვს კოლექტიური პასუხისმგებლობა სულტნის წინაშე. ყველა საერთაშორისო შეთანხმება, ხელშეკრულება, პაქტი, რომელსაც ხელს აწერს სულტანი, ძალაში შედის მხოლოდ მათი გამოქვეყნების შემდეგ „ოფიციალურ გაზეთში". სულტანი ითავსებს პრემიერ-მინისტრის, თავდაცვის მინისტრის და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს. ქვეყანას ჰყავს სამი ქალი მინისტრი (უმაღლესი განათლების, სოციალური განვითარების და ტურიზმის).

ომანის მთელი ტერიტორია დაყოფილია 59 პროვინციად (ვილაიეთი), რომლის სათავეში არიან გუბერნატორები (ვალი, მრ.რ. ვულათ). ისინი პასუხისმგებელნი არიან შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე. პროვინციები გაერთიანებულია 8 ადმინისტრაციულ რაიონში (მინტაკა).

1940 წლის 18 ნოემბერი არის ეროვნული დღესასწაული – მმართველი სულტნის (კაბუსის) დაბადების დღე.

პოლიტიკური პარტიები. პოლიტიკური პარტიები და პროფკავშირები აკრძალულია.

ეკონომიკა. ქვეყნის ეკონომიკა დაფუძნებულია ნავთობგადამამუშავებელ მრეწველობაზე. ექსპორტის 75%-ს ნავთობი შეადგენს. თუმცა ომანი, თავისი მეზობლებისაგან განსხვავებით, არ ფლობს ნავთობის დიდ მარაგს (ის საკმარისი იქნება 15-20 წლის მანძილზე). ომანს არ სურს ოპეკ-ში შესვლა, რადგანაც მიისწრაფვის შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა ნავთობზე ფასების დადგენაში. 1975 წლიდან ომანის ეკონომიკა ვითარდება 5 წლიანი გეგმების საფუძველზე. 1995 წლის ივნისში მასკატში ჩატარდა კონფერენცია „ომანი 2020", რომლის დროსაც განიხილეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა 25 წლის მანძილზე. ახალი გეგმა მნიშვნელოვნად განსხვავდება წინამავალი 5 წლიანი გეგმებისაგან იმით, რომ სახელმწიფომ მკაფიოდ განსაზღვრა კერძო სექტორის მონაწილეობის ჩარჩოები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ამასთანავე, სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის კონკურენციის თავიდან ასაცილებლად, ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში სახელმწიფომ დაამტკიცა სია იმ დაწესებულებების და ობიექტებისა, რომლებიც ექვემდებარება პრივატიზაციას. უცხოური კაპიტალის მოქმედების შეზღუდვის მიზნით, განისაზღვრა მისი ინვესტირების 49%-იანი ზღვარი ომანის ფირმებსა და კომპანიებში. ქვეყანაში ხორციელდება „ომანიზაციის" პოლიტიკა. სახელმწიფო სექტორში დასაქმებულია ომანელების 80%, კერძო სექტორში – 25%. სოფლის მეურნეობასა და თევზჭერაში (მათ შორის თევზის წარმოებაში) – შრომისუნარიანი მოსახლეობის 60%. მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგია მხოლოდ ტერიტორიის 7%. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ფინიკის პალმა, ბანანი. ქვეყანაში განვითარებულია მეცხოველეობაც.

ომანის სულტანი ყოველწლიურად დიდ თანხებს ხარჯავს სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე. ომანის ყველა მოქალაქე სარგებლობს სახელმწიფო სოცი-

ალური შეღავათებით: აქვთ უფასო სამედიცინო მოსახურება, ეძლევა უპროცენტო სესხი ბინათმშენებლობისათვის (ბანკის პროცენტებს სახელმწიფო იხდის) და სხვ.

ექსპორტი: ნავთობი, ნავთობპროდუქტები, მეტალები, ბოსტნეული, ხილი, თევზი, ცოცხალი პირუტყვი, ტექსტილი. *იმპორტი:* მძიმე მანქანათმშენებლობის პროდუქცია და სატრანსპორტო აღჭურვილობა, სასმელები, პროდუქტები, თამბაქო. *საგაჭრო პარტნიორები:* იაპონია, სამხრეთ კორეა, ჩინეთი, ინდოეთი, ტაილანდი, ტაივანი, იტალია, გერმანია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები.

2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა 67,45 მილიარდი დოლარი შეადგინა. ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავალი იყო 20,400 დოლარი.

განათლება. 1970 წლამდე ომანში იყო სულ სამი დაწყებითი სკოლა ვაჟებისათვის (909 მოსწავლე), ერთი მისიონერული სკოლა გოგონებისათვის, სადაც ძირითადად სწავლობდნენ ირანელების, ინდოელების და პაკისტანელების შვილები და ნავთობკომპანიის სავაჭრო სკოლა, სადაც ამზადებდნენ კომპანიის მოხელეებს. სულტანი სა'იდ ბინ თაიმური ხელს უშლიდა განათლების სისტემის მოდერნიზაციას. სულტან კაბუსის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, 1985 წლისათვის ქვეყანაში ფუნქციონირებდა 655 (10,6 ათასი მასწავლებელი და 232,4 ათასი მოსწავლე) სკოლა. ამავე წელს განათლება უფასო გახდა ომანის ყველა მოქალაქისათვის. ომანში 1998/1999 სასწავლო წლიდან არის ორსაფეხურიანი სწავლება: 10 წლიანი საბაზო და ორწლიანი საშუალო სწავლება. საბაზო სწავლების დროს აუცილებელია მათემატიკის, კომპიუტერის და ინგლისური ენის სწავლება. სასკოლო განათლების პარალელურად ქვეყანაში მოქმედებს სპეციალური კურსები წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოსაფხვრელად უფროსი ასაკის მოსახლეობაში. XX საუკუნის 80-იან წლებამდე ომანში არ არსებობდა უმაღლესი სასწავლებლები. ომანელთა მცირე ნაწილი საზღვარგარეთ იღებდა უმაღლეს განათლებას. 1986 წელს გაიხსნა *სულტან კაბუსის უნივერსიტეტი.* პირველ ეტაპზე უნივერსიტეტში იყო 6 ფაკულტეტი: განათლების, ისლამური მეცნიერებების, მედიცინის, საინჟინრო, მეცნიერების და სასოფლო-სამეურნეო. ამჟამად უნივერსიტეტი თანამშრომლობს 20 ქვეყანასთან (ვებგვერდი – www.squ.edu.om/). ამის გარდა არის 2 უმაღლესი სასწავლებელი – შარიათის მასკატში და ისლამური კოლეჯი ალ-ვატაიაში. გაიხსნა აგრეთვე საზღვაო კოლეჯი დოფარში, ხელოვნების უმაღლესი ინსტიტუტი სოჰარში და უმაღლესი იურიდიული ინსტიტუტი ნიზვში. ქვეყანაში ფუნქციონირებს 6 პედაგოგიური კოლეჯი. ოთხი მათგანი ამზადებს მამრობითი სქესის მასწავლებლებს და ორი – მდედრობითი სქესის. განათლების სამინისტროს ეგიდით ქვეყანაში მოქმედებს კერძო სასწავლებლებიც. ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო წელი განისაზღვრება 32 კვირით, რაც იყოფა ორ სემესტრად (სექტემბერი-იანვარი და თებერვალი-ივნისი). განათლება მიმდინარეობს არაბულ ენაზე, მაგრამ ზუსტი მეცნიერებების სწავლების დროს გამოიყენება ინგლისური ენაც.

ფულის ერთეული – ომანის რიალი. ის იყოფა 1000 ბაისად. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 0,3845 რიალს.

პალესტინის ეროვნული ადმინისტრაცია

السلطة الوطنية الفلسطينية

გეოგრაფია. პალესტინის ეროვნული ადმინისტრაცია არის ავტონომიური ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: ღაზას სექტორი (378 კვ. კმ.), რომელსაც სამხრეთით ესაზღვრება ეგვიპტე და მდ. იორდანეს დასავლეთი ნაპირი (5 879 კვ. კმ.), რომელსაც ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით ესაზღვრება ისრაელი, ხოლო აღმოსავლეთით – იორდანია. პალესტინის ავტონომიის ტერიტორია შეადგენს 6,220 კვ. კმ-ს.

მოსახლეობა. პალესტინის ავტონომიის მოსახლეობა არის 4,148,000 (2008 წლის მონაცემები). მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 18 ადამიანს შეადგენს. მოსახლეობა ძირითადად შედგება პალესტინელი არაბებისა და ებრაელი გადასახლებულებისაგან. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა აღიარებს ისლამს, არიან იუდაიზმის და ქრისტიანობის მიმდევრები. ოფიციალური ენაა არაბული. 2006 წლის მონაცემებით, პალესტინელი ლტოლვილების რაოდენობამ დაახლ. 4,3 მლნ შეადგინა: ლიბანში – 404 ათასი პალესტინელი, სირიაში – დაახლ. 430 ათასი, იორდანიაში – 1,8 მლნ-ზე მეტი, მდ. იორდანეს დას. ნაპირზე – დაახლ. 700 ათასი და ღაზას სექტორში – 990 ათასი პალესტინელი. დარეგისტრირებულ ლტოლვილთა დაახლ. 1/3 ცხოვრობს 58 ოფიციალურ ბანაკში.

ჰავა. პალესტინის ჰავა არის ხმელთაშუაზღვის, ცხელი. ზაფხული არის გვალვიანი, ხოლო ზამთარი – რბილი და წვიმიანი. ზაფხულში ქრის ცხელი ქარი – ხამსინი. აგვისტოს საშუალო ტემპერატურა სანაპიროზე არის 27°C, ქვეყნის ცენტრალურ რაიონში – 23°C, აღმოსავლეთით – 30°C. ამ რაიონებში იანვრის საშუალო ტემპერატურა შესაბამისად არის 12°C, 7°C და 12°C. ყველაზე ნოტიო ზონა არის ზემო გალილეა, სადაც ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1000 მმ-მდე აღწევს.

დედაქალაქი – რამალლა დე-ფაქტო და აღმოსავლეთი იერუსალიმი დე-იურე.

ისტორიული ნარკვევი. 1922 წელს დიდმა ბრიტანეთმა მიიღო ერთა ლიგის მანდატი პალესტინაზე. 1947 წლის 29 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებდა პალესტინის გაყოფას და ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიაზე ორი – არაბული და ებრაული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, ხოლო იერუსალიმს ეძლეოდა საერთაშორისო მმართველობის ქვეშ მყოფი ქალაქის სტატუსი. არაბულ სახელმწიფოს უნდა გადასცემოდა პალესტინის ჩრდილოეთით, ლიბანთან მოსაზღვრე რაიონში მდებარე ტერიტორიები, მდ. იორდანეს დასავლეთი ნაწილი და ხმელთაშუაზღვის სანაპირო ზოლი. ებრაელმა დელეგატებმა მხარი დაუჭირეს ამ გეგმას, მაგრამ გაეროს წევრი ყველა არაბული ქვეყანა გამოვიდა მის წინააღმდეგ. ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთანავე (1948 წ.), ეგვიპტემ, სირიამ, იორდანიამ, ერაყმა, ლიბანმა და საუდის არაბეთმა დაიწყეს ომი მის წინააღმდეგ. საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ ისრაელის ხელში აღმოჩნდა გაეროს გეგმით არაბული სახელმწიფოსათვის გათვალისწინებული ტერიტორიების ნახევარზე მეტი. ერაყისა და იორდანიის არმიების მიერ ოკუპირებულ ზონას მდ. იორდანეს დასავლეთით ეწოდა *დასავლეთი ნაპირი*, ხოლო ეგვიპტის არმიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიას – *ღაზას სექტორი.* 1956 წელს იასირ არაფათმა დააარსა *მოძრაობა პალესტინის ეროვნული განთავისუფლებისათვის.* 1964 წელს დაარსებულ პალესტინის ეროვნულ საბჭოს და 1969 წელს პალესტინის განთავი-

სუფლების ორგანიზაციასაც[59] იასირ არაფათი ჩაუდგა სათავეში. 1967 წელს ისრაელმა „6 დღიანი ომის" შემდეგ მოახდინა დასავლეთ ნაპირის და ღაზას სექტორის ოკუპაციაც. პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის მებრძოლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომებში. 1974 წელს ორგანიზაციამ მიიღო დამკვირვებლის სტატუსი გაეროში. რეგიონში დაძაბულობის ზრდის გამო, 1987 წლის დეკემბერში პალესტინაში იფეთქა არაბთა აჯანყებამ (პირველი ინთიფადა) ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. 1987 წლის 14 დეკემბერს კი ჩამოყალიბდა „ჰამას"-ი. ეს სახელწოდება *ჰარაქათ ალ-მუკავამა ალ-ისლამიას* აბრევიატურაა, რაც ქართულად ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობას ნიშნავს. აჯანყებას, რომლის დროსაც დაიღუპა 1162 პალესტინელი და 180 ისრაელის მოქალაქე, თან სდევდა გამუდმებული ტერაქტები ისრაელის წინააღმდეგ და ადგილობრივი სამხედრო ოპერაციები პალესტინის წინააღმდეგ. 1988 წელს ალჟირში გამოცხადდა პალესტინის სახელმწიფოს შექმნა, რომელიც ცნო არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ და რამდენიმე სხვა ქვეყანამ, მაგრამ დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი ვერ მიიღო აშშ-ს და ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ. ამასთანავე, 1988 წლისათვის არ არსებობდა სახელმწიფოს არსებობისათვის სულ მცირე სამი ელემენტი: 1. ხალხი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს განსაზღვრულ ტერიტორიაზე; 2. ტერიტორია, რომელსაც აქვს საზღვრები და ჰყავს ხელისუფლება და ეს უკანასკნელი განახორციელებს თავის ნებას მოცემულ ტერიტორიაზე და ამყარებს ურთიერთობებს სხვა სახელმწიფოებთან; 3. ეკონომიკა, რომელსაც ემყარება დამოუკიდებელი სახელმწიფო. პირველი ინთიფადა დასრულდა ოსლოს შეთანხმების ხელმოწერით. ინთიფადას უწოდებენ აგრეთვე „ქვების ომს", რადგანაც პალესტინელები ისრაელთან ომის დროს ძირითადად იყენებდნენ ქვებს და თვითნაკეთ იარაღს.

ოსლოში (ნორვეგია) ისრაელსა (პრემიერ-მინისტრის შიმონ პერესის სახით) და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას (მაჰმუდ აბასის სახით) შორის ორმხრივი მოლაპარაკებების შემდეგ, ამერიკის შუამავლობით, 1993 წლის 13 სექტემბერს ვაშინგტონში ხელი მოეწერა „პალესტინის დროებით მმართველობაზე შეთანხმებათა პრინციპების დეკლარაციას" (Declaration of Principles on Interim Self-Government Arrangements ან Declaration of Principles). მისი მთავარი მიზანი იყო ხუთწლიან დროებით შუალედურ პერიოდში პალესტინის გარდამავალი თვითმმართველობის შექმნა მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე და ღაზას სექტორში. გარდამავალი პერიოდი დაიწყო 1994 წლის 4 მაისს, როცა კაიროში ხელი მოაწერეს პალესტინელებისა და ისრაელის „ხელშეკრულებას ღაზას სექტორისა და იერიქონის რაიონის შესახებ". 1996 წელს აირჩიეს პალესტინის საკანონმდებლო საბჭო და ავტონომიური ხელისუფლების მეთაური – იასირ არაფათი, რომელიც პრეზიდენტად იწოდებოდა. პალესტინის ადმინისტრაციის მოქმედების თავდაპირველი ვადა გავიდა 1999 წელს, მაგრამ ტერიტორიის სტატუსი დღემდე განსაზღვრული არ არის. 2000 წელს პალესტინაში იფეთქა მეორე ინთიფადამ („ალ-აკსას ინთიფადა"). ის გაგ-

[59] პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია (მუნაზზამა ათ-თაჰრირ ალ-ფილასტინიცა) დაარსდა 1964 წელს პალესტინის ეროვნული საბჭოს პირველ სესიაზე პალესტინის განთავისუფლების მიზნით და დამოუკიდებელი არაბული პალესტინის სახელმწიფოს შექმნისათვის (პრინციპული გადაწყვეტილება ამ ორგანიზაციის დაარსების შესახებ მიიღეს ჯერ კიდევ 1964 წლის იანვარში არაბული სახელმწიფოების ლიდერების თათბირზე და ინიციატივა ეკუთვნოდა ეგვიპტის პრეზიდენტს – გამალ აბდელ ნასერს; ორგანიზაციის დაარსება ოფიციალურად გამოცხადდა 1964 წლის 1 ივნისს). ორგანიზაციის საპროგრამო დოკუმენტი გახდა პალესტინის ქარტია. ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის პირველი თავმჯდომარე გახდა აჰმად შუქაირი (1964-1967), მესამე თავმჯდომარე იყო იასირ არაფათი (1969-2004). 2006 წლიდან თავმჯდომარეა მაჰმუდ აბასი. ორგანიზაციას აქვს დამკვირვებლის სტატუსი გაეროში.

რძელდა იასირ არაფათის გარდაცვალებამდე და „ჰამას"-ის დამაარსებლის – შაიხ აჰმად იასინის და მისი მემკვიდრის – რანტისის განადგურებამდე. ამის შემდეგ პალესტინის ავტონომიას ხელმძღვანელობს უფრო ზომიერი *მაჰმუდ აბასი.* 2005 წელს ისრაელმა საბოლოოდ გაიყვანა თავისი არმია ღაზას სექტორიდან.

2006 წლის 25 იანვარს პალესტინის საკანონმდებლო საბჭოს არჩევნებზე გამარჯვება მოიპოვა ფუნდამენტალისტურმა ისლამურმა მოძრაობამ – „ჰამას"-მა (132-დან 74), რომელიც ისრაელში ტერორისტულ ორგანიზაციად ითვლება. მმართველი პარტიის „ფათჰ"-ის წევრებმა მიიღეს 45 ადგილი. 27 იანვარს ისრაელის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა – ეჰუდ ოლმერტმა გამოაცხადა ყოველგვარი კონტაქტის გაწყვეტა პალესტინის ახალ მთავრობასთან იქამდე, ვიდრე მოძრაობა „ჰამასი" არ ცნობს ებრაული სახელმწიფოს არსებობის უფლებას და უარს არ იტყვის შეიარაღებულ ბრძოლაზე. პალესტინის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ მაჰმუდ აბასმა, განაცხადა, რომ რჩება პალესტინის შეიარაღებული ძალების (50 ათასამდე მებრძოლი) მთავარსარდლად, „ჰამას"-ის პროტესტის მიუხედავად. 2006 წლის 30 იანვარს ლონდონში შედგა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის დარეგულირების საქმეში საერთაშორისო შუამავლების „კვარტეტის" (რუსეთი, აშშ, ევროკავშირი და გაერო) სხდომა, რომელზეც გადაწყდა პალესტინის ახალი ხელმძღვანელობისათვის ფინანსური დახმარების შეწყვეტა.

პალესტინის მთავრობის საერთაშორისო ბლოკადის პირობებში რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი გამოვიდა ინიციატივით და მოსკოვში მიიწვია „ჰამას"-ის დელეგაცია (სათავეში ხალიდ მაშალი) კონსულტაციებისათვის. მოლაპარაკებათა შედეგად რუსეთმა მიიღო გადაწყვეტილება აღმოეჩინა პალესტინის მთავრობისათვის ფინანსური და ტექნიკური დახმარება.

2006 წლის მარტის ბოლოს გამწვავდა კონფლიქტი მოწინააღმდეგე შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის – სალაჰ ად-დინის ბატალიონებსა (სახალხო წინააღმდეგობის კომიტეტების მებრძოლი ფრთა) და პალესტინის უსაფრთხოების სამსახურებს (მათთან ერთად იბრძოდა ფათჰის სამხედრო ფრთა – „ალ-აკსას წამებულთა ბრიგადა") შორის. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ პალესტინის ავტონომია სამოქალაქო ომის ზღვრამდე მივიდა.

2007 წლის თებერვალში საუდის არაბეთის მეფის აბდულლაჰის შუამავლობით მექაში შეთანხმებას მიაღწიეს „ჰამას"-სა და „ფათჰ"-ს შორის ცეცხლის შეწყვეტაზე და „ეროვნული ერთობის" კოალიციური მთავრობის შექმნაზე. მიღწეული შეთანხმებით ახალ მინისტრთა კაბინეტში 9 ადგილი მიიღეს „ჰამას"-ის მომხრეებმა, 6 ადგილი – „ფათჰ"-ის მომხრეებმა, ხოლო 4 მინისტრის პორტფელი – პალესტინის სხვა პარტიებმა და ორგანიზაციებმა. ივნისში კვლავ იფეთქა „ფათჰ"-სა და „ჰამას"-ს შორის დაპირისპირებამ. მაჰმუდ აბასმა დაითხოვა ავტონომიის მთავრობა და შემოიღო საგანგებო მდგომარეობა. „ჰამას"-ის წევრმა ფარჯ ალ-რულმა განაცხადა, რომ იასირ არაფათი მოკლეს და ამ მკვლელობაში დაადანაშაულა უსაფრთხოების სამსახურის უფროსი მუჰამად დაჰლანი. მისივე განცხადებით, ეს ცნობა აღმოჩნდა ღაზაში ერთ-ერთი ადმინისტრაციული ოფისის დოკუმენტებში. 2007 წლის 15 ივნისს „ჰამას"-მა სრული კონტროლი დაამყარა ღაზას სექტორზე. ხოლო მდ. იორდანეს დას. ნაპირზე განმტკიცდნენ პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარისა და „ფათჰ"-ის ლიდერის – მ. აბასის მომხრეები. მ. აბასის განცხადებით, „ჰამას"-მა ამ აქციის დროს ფეხით გათელა პალესტინელთა ეროვნული სიმბოლოები და გაურკვეველი ვადით გადადო დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნის იდეა. მ. აბასმა კანონგარეშე გამოაცხადა „ჰამას"-ის ყველა შეიარაღებული ფორმირება. პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარის ქმედებებს მხარი დაუჭირა საერთაშორისო „კვარტეტმა" (რუსეთის ფედერაცია, აშშ, ევროკავშირი, გაერო) და არაბული ქვეყნების ლიგამ. 2008 წლის 23 მარტს იემენის დედაქალაქ სანაში

„ფათჰ"-ისა და „ჰამას"-ის დელეგაციებმა ხელი მოაწერეს დაზავების თაობაზე ჩარ-ჩო-ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებდა მხარეებს შორის მოლაპარაკებათა განახლებას.

დღეისათვის პალესტინის ავტონომიას არა აქვს რეალური სუვერენიტეტი. სახელმწიფო სტრუქტურები მხოლოდ ნაწილობრივ არის ჩამოყალიბებული. მაგ., არ არის არმია, თუმცა არის მრავალრიცხოვანი პოლიცია და აქტიურად მოქმედებს ნახევრადსამხედრო და ფაქტობრივად ტერორისტული ორგანიზაციები. მდ. იორდანეს დასავლეთი ნაპირის და აღმოსავლეთ იერუსალიმის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი კონტროლირდება ისრაელის არმიის მიერ. ღაზას სექტორი და მდ. იორდანეს დას. ნაპირი წარმოადგენენ ორ ანკლავს, რომელთაგან პირველს აკონტროლებენ „ჰამას"-ის მომხრეები, ხოლო მეორეს – „ფათჰი" და თითოეულში ჩამოყალიბებულია თავისი „მთავრობა". პალესტინის ავტონომიის პასპორტი, რომელიც შემოიღეს 1995 წელს დასავლეთი ნაპირისა და ღაზას სექტორის მოქალაქეებისათვის, აღიარებულია 29 სახელმწიფოს მიერ.

ისრაელ-პალესტინის სამშვიდობო პროცესი დიდხანს გაყინული იყო და განახლდა 2007 წლის 27 ნოემბერს ანაპოლისის (მერილენდის შტატი, აშშ) კონფერენციაზე. ფორუმის დასრულების შემდეგ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ეჰუდ ოლმერტმა და პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარემ – მაჰმუდ აბასმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას. 2008 წლის 19 დეკემბერს ამოიწურა ნახევარწლიანი დაზავების ვადა (19 ივნისიდან) ისრაელსა და „ჰამას"-ს შორის. თუმცა ამ დაზავების პერიოდში გრძელდებოდა ისრაელის დაბომბვა როგორც „ჰამას"-ის, ისე სხვა დაჯგუფებების მიერ. ისრაელმა ადრევე განაცხადა თანხმობა გაეგრძელებინა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი, მაგრამ „ჰამას"-მა, მოწოდებების მიუხედავად, უარი განაცხადა დაზავების ვადის გაგრძელებაზე და გააძლიერა სარაკეტო დარტყმები ისრაელის ტერიტორიაზე. „ჰამას"-ს სურდა ცეცხლის შეწყვეტა მისთვის სასურველი პირობებით. 2008 წლის 26 დეკემბერს ისრაელის მთავრობამ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება სამხედრო ოპერაციის დაუყოვნებლივი დაწყების შესახებ. 2008 წლის 27 დეკემბერს ისრაელის თავდაცვის არმიამ ღაზას სექტორში დაიწყო სამხედრო ოპერაცია – „ტყვიების წვიმა", რომლის მიზანია „ჰამას"-ის ინფრასტრუქტურის განადგურება და ისრაელის ტერიტორიაზე სარაკეტო დარტყმების შეწყვეტა. ამ სამხედრო ოპერაციამ გაამწვავა ვითარება პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის ზონაში.

სახელმწიფო წყობა. პალესტინის ავტონომიის მეთაური არის პრეზიდენტი. პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტის პირველი არჩევნები ჩატარდა 1996 წლის 20 იანვარს „გარდამავალი პერიოდის" ვადით (2000 წლისათვის დაგეგმილი იყო სრულუფლებიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება). პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ჩატარდა იასირ არაფათის სიკვდილის შემდეგ, 2005 წლის 9 იანვარს (საარჩევნო ბიულეტენში იყო 7 კანდიდატი). ამჟამად პრეზიდენტი არის *მაჰმუდ აბასი (არაბ. მაჰმუდ 'აბბასი)*, რომლის პარტიული მეტსახელია – *აბუ მაზენი* (დაბად. 1935 წ.).[60] პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა 4 წელია (მაჰმუდ აბასის უფლებამოსილების ვადა იწურება 2009 წლის 9 იანვარს).[61] შესაძლებელია მხოლოდ ზედიზედ ორი ვადით არჩევა.

---

[60] მაჰმუდ აბასი არის პალესტინელი არაბი. დაამთავრა დამასკოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის ასპირანტურა. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მოსკოვის ფილიალში თემაზე: „საიდუმლო კავშირი ნაციზმსა და სიონიზმს შორის" (ხელმძღვანელი – ე. პრიმაკოვი). ის არის 11 წიგნის ავტორი.

[61] 2008 წლის 23 ნოემბერს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ცენტრალურმა საბჭომ ხელახლა „აირჩია" მაჰმუდ აბასი ახალი ვადით. თუმცა ეს ფაქტი არ ანიჭებს მას ლეგიტიმურობას, რადგანაც ეს ორგანო არ არის უფლებამოსილი მიიღოს ამგვარი საკადრო გადაწყვეტილება.

მეორე პირი პალესტინის ავტონომიაში არის საკანონმდებლო საბჭოს სპიკერი, რომელიც ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას მისი სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში. საბჭოს ირჩევს დასავლეთი ნაპირის, ღაზას სექტორისა და აღმ. იერუსალიმის (1967 წლის 4 ივნისის საზღვრებში) არაბული მოსახლეობა. პირველი მოწვევის საკანონმდებლო საბჭო შედგებოდა 88 დეპუტატისაგან და მის უმრავლესობას შეადგენდნენ „ფათჰ"-ის წევრები. 2006 წლის 25 იანვარს ჩატარდა საბჭოს მეორე არჩევნები, რომლის დროსაც გაიმარჯვა მოძრაობა „ჰამას"-მა. საბჭოს ახალი შემადგენლობა განისაზღვრა 132 წევრით (პრეზიდენტი საბჭოს 133-ე წევრია). საკანონმდებლო საბჭოს უფლებამოსილების ვადა 4 წელია. პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობას (მინისტრთა საბჭოს) პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით იმ პარტიის წარდგინებით, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა საკანონმდებლო საბჭოს არჩევნებში. პრემიერ-მინისტრის პოსტი შემოიღეს 2003 წელს და ამ პოსტს ითავსებდა პრეზიდენტი მაჰმუდ აბასი. საკანონმდებლო საბჭოს არჩევნებში „ჰამას"-ის გამარჯვების შემდეგ პრემიერის პოსტი დაიკავა ისმაილ ჰანიამ. 2007 წლის 15 ივნისიდან პრემიერ-მინისტრი გახდა სალამ ფაიადი. პრემიერ-მინისტრი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე.

პალესტინის ავტონომიაში მოქმედებს ძირითადი კანონი, რომელიც მიიღო პალესტინის საკანონმდებლო საბჭომ 1997 წლის ოქტომბერში და ხელი მოაწერა იასირ არაფათმა 2002 წლის 29 მაისს. შესწორებები შეიტანეს 2003 წლის მარტში და 2005 წლის ივლისში. სახელმწიფო მმართველობის ფორმა არის რესპუბლიკა.

პალესტინის ავტონომია დაყოფილია 16 პროვინციად – 11 დასავლეთ ნაპირში და 5 ღაზას სექტორში.

პოლიტიკური პარტიები. 2006 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 11 პარტიამ. მათ შორის ძირითადია: 1. „დემოკრატიული ფრონტი პალესტინის განთავისუფლებისათვის" – ხელმძღვანელი, ნაიფ ჰავათმე. პარტიას ჰყავს დაახლ. 10 ათასი პარტიული აქტივისტი; 2. „ფათჰ"-ი (ჰარაქათ ათ-თაჰრირ ალ-ვატანი ალ-ფილისტინი; ფათჰ არის ამ სიტყვების შებრუნებული აბრევიატურა) – პალესტინის ეროვნული განთავისუფლების მოძრაობა, რომელიც დაარსდა 1956 წელს. ოფიციალურად მოძრაობის დაბადების დღედ ითვლება 1965 წლის 1 იანვარი – ისრაელის ტერიტორიაზე პირველი საბრძოლო ოპერაციის ჩატარების დღე. 1969 წლიდან, იასირ არაფათის მიერ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ჩამოყალიბების შემდეგ, „ფათჰ"-ის წევრები შეადგენდნენ ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა უმრავლესობას და განსაზღვრავდნენ მის პოლიტიკას. 2006 წლის 25 იანვარს მათ წააგეს პალესტინის საკანონმდებლო საბჭოს მეორე მოწვევის არჩევნები. 2006 წლის თებერვალში „ფათჰ"-ის ლიდერები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მოძრაობა „ჰამას"-ის წარმომადგენლებთან ავტონომიის ახალ მთავრობაში შესაძლო შესვლის თაობაზე. მოლაპარაკება ჩაიშალა, რადგანაც „ჰამასი" არ დათანხმდა მათ მოთხოვნას – მთავრობის მოქმედებათა პროგრამაში შეეტანა თეზისი იმის შესახებ, რომ პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია (პგო) ითვლება პალესტინელი ხალხის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად („ჰამასი" მოითხოვდა პგო-ს რეორგანიზაციას და თავისი წარმომადგენლების ჩართვას აღმასრულებელ კომიტეტში). ამჟამად „ფათჰ"-ის თავმჯდომარე არის მაჰმუდ აბასი; 3. „პალესტინის დემოკრატიული კავშირი"; 4. „ჰამასი" (ჰარაქათ ალ-მუკავამა ალ-ისლამიყა) – ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა. ორგანიზაცია დაფუძნდა 1987 წლის 14 დეკემბერს როგორც „მუსლიმი ძმების" ორგანიზაციის ნაწილი. პალესტინის ეს ისლამური მოძრაობა მიზნად ისახავს დამოუკიდებელი ისლამური პალესტინის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას „მდ. იორდანედან ხმელთაშუა ზღვამდე" (ღაზას სექტორი, მდ. იორდანეს დასავლეთი ნაპირი, ისრაელის სახელმწიფო). ჰამასი ტერორისტულ ორგანიზაციად არის გამოცხადებული ისრაელში, ევროკავშირში და აშშ-ში. იორდანიაში

აკრძალულია ეს ორგანიზაცია. 1988 წლის 18 აგვისტოს შეიქმნა „ჰამას"-ის ქარტია. „ჰამას"-ს არ ჰყავს ოფიციალური ერთპიროვნული ლიდერი. მოძრაობის სულიერი ლიდერი იყო შაიხი აჰმად იასინი, რომელიც მოკლეს 2004 წლის 22 მარტს. მის მემკვიდრედ ითვლებოდა 'აბდ ალ-'აზიზ არ-რანტისი, რომელიც მოკლეს 2004 წლის 17 აპრილს. 2006 წლის საპარლამენტო არჩევნებში მოძრაობის საარჩევნო სიის სათავეში იყო ისმაილ ჰანია. „ჰამას"-მა არჩევნებში მიიღო 74 მანდატი.

ეკონომიკა. ალ-აკსას ინთიფადას ძირითადი შედეგი იყო ისრაელისა და პალესტინის ავტონომიის ეკონომიკის დაცემა. პალესტინის ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ისრაელზე. პალესტინელთა ორი მესამედი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. 2004 წლის აპრილში მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ მოიწონა „რეფორმების ფონდის" შექმნა. ამ ფონდის ძირითადი მიზანი იყო პალესტინის სახელმწიფოს ინიციატივების მხარდაჭერა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსაყვანად. მსოფლიო ბანკისა და პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა მოილაპარაკეს, რომ ყოველ 6 თვეში საერთაშორისო დამკვირვებლები მონიტორინგს გაუწევდნენ პალესტინის ტერიტორიებზე გატარებული რეფორმების შედეგებს. შესაბამისად, დამკვირვებელთა დადებითი შედეგები იქნებოდა ფინანსური დახმარებების მიღების გარანტი. 2005 წლის თებერვლისათვის ფონდში გადაირიცხა 310 მლნ დოლარი. 2005 წლის ბოლოს თანხების გადარიცხვა შეჩერდა, რადგანაც გაირკვა, რომ პალესტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ შეწყვიტა ღონისძიებების გატარება ეკონომიკის მთელ რიგ დარგებში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. 2005 წელს ბიუჯეტის დეფიციტმა შეადგინა 800 მლნ ამერიკული დოლარი. ყველაზე სტაბილურად ვითარდებოდა საბანკო სექტორი. 2005 წელს გაიზარდა ადმინისტრაციის დავალიანება პალესტინის საპენსიო ფონდის წინაშე. უმუშევრობის დონემ დას. ნაპირზე შეადგინა 20%-ზე მეტი, ხოლო ღაზას სექტორში – 30%. უმუშევართა დიდ ნაწილს ახალგაზრდები შეადგენენ. 2006 წლის იანვარს პალესტინის საკანონმდებლო საბჭოს არჩევნებში ჰამასის გამარჯვების შემდეგ დასავლეთის მრავალმა ქვეყანამ და დონორმა ორგანიზაციებმა უარი თქვეს პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციისათვის ფინანსური დახმარების გაგრძელებაზე. ამის შემდეგ ჰამასის ხელმძღვანელებმა დახმარებისათვის მიმართეს არაბულ ქვეყნებს. საუდის არაბეთმა და კატარმა მაშინვე გამოთქვეს დახმარების სურვილი უანგაროდ და ყოველგვარი წინაპირობის გარეშე.

ექსპორტი: ხილი, ბოსტნეული, ზეთისხილი, კირქვა. *იმპორტი:* კვების პროდუქტები, სამომხმარებლო საქონელი, სამშენებლო მასალები. *საგაჭრო პარტნიორები:* ისრაელი, იორდანია.

2007 წლის მონაცემებით, ქვეყნის ეროვნული შემოსავალი იყო 5,034 მილიარდი დოლარი. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი შეადგენდა 1,100 დოლარს.

განათლება. პალესტინის ტერიტორიაზე განათლებას სახელმწიფო აფინანსებს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 70% არის სახელმწიფო, 24 % – ახლო აღმოსავლეთში პალესტინელ ლტოლვილთა სააგენტოს დაქვემდებარებაშია, 6% – კერძოა. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, ქვეყანაში არის 11 უნივერსიტეტი. მათ შორის სახელმწიფო უნივერსიტეტებია: *იერუსალიმის ალ-კუდსის უნივერსიტეტი,* რომელიც დაარსდა 1984 წელს. უნივერსიტეტს აქვს 4 კამპუსი და 10 ფაკულტეტი, სადაც 8200 სტუდენტი სწავლობს (ვებგვერდი – www.alquds.edu); *ალ-აკსას უნივერსიტეტი* დაარსდა 1991 წელს და მდებარეობს ღაზას სექტორში. არის 6 ფაკულტეტი (ვებგვერდი – www. alaqsa.edu.ps/).

ფულის ერთეული – ისრაელის ახალი შეკელი, რომელიც იყოფა 100 აგორად. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 4,14 ისრაელის ახალ შეკელს.

საუდის არაბეთის სამეფო
المملكة العربية السعودية

გეოგრაფია. საუდის არაბეთი მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულზე (ჯაზირათ ალ-'არაბ), სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. სამხრეთით მას ესაზღვრება – იემენი (საზღვრის სიგრძე 1458კმ); ჩრდილოეთით – ერაყი (814 კმ), იორდანია (728კმ), ქუვეითი (222კმ). სამხრეთ-აღმოსავლეთით – ომანი (676კმ) და არაბთა გაერთიანებული საამიროები (457კმ); აღმოსავლეთით – კატარი (60 კმ). დასავლეთით აკრავს მეწამული ზღვის და 'აკაბას ყურის წყლები; აღმოსავლეთით – სპარსეთის ყურე. საზღვრების საერთო სიგრძეა – 4 415 კმ, სანაპირო ზოლის სიგრძე – 2 640 კმ. ქვეყნის საერთო ფართობი – 2,149, 690კვ.კმ. ქვეყნის ტერიტორია უპირატესად განლაგებულია უდაბნოს პლატოზე.

ჰავა. ქვეყნის შიდა რაიონებში ჰავა არის მშრალი და კონტინენტური, ჩრდილოეთით – სუბტროპიკული, სამხრეთით – ტროპიკული. მეწამული ზღვის სანაპირო განეკუთვნება დედამიწის ყველაზე ცხელ და დახუთულ ადგილს. ტემპერატურა აქ არასოდეს არ ეცემა 15°C-ს ქვემოთ და ხშირად აჭარბებს 45°C-ს.

მოსახლეობა. 2008 წ. მონაცემებით, საუდის არაბეთის მოსახლეობა არის 28,146,656. აქედან 5,576,076 უცხოელი რეზიდენტია. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 11 ადამიანს შეადგენს. ზოგიერთ ქალაქსა და ოაზისში მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 1000 ადამიანს შეადგენს. 1960 წლამდე მოსახლეობის უმრავლესობა იყო მომთაბარე, ახლა 95%-ზე მეტი ბინადარ ცხოვრებას ეწევა. 1950 წლისათვის მოსახლეობის 20% – 450,000 მონა იყო. მონობა საბოლოოდ გაუქმდა 1962 წელს. მოსახლეობის 85% ეთნიკური არაბებია (საუდის არაბეთის მკვიდრი მცხოვრებლები), არიან აგრეთვე მომთაბარე ბერბერები. ქვეყანაში არის დაახლ. 7 მლნ მიგრანტი: ინდოელები – 1.4 მლნ; ბანგლადეშელები – 1 მლნ; ფილიპინელები – 950,000; პაკისტანელები – 900,000; ეგვიპტელები – 900,000; იემენელები – 800,000; ინდონეზიელები – 500,000; შრილანკელები – 350,000; სუდანელები – 250,000; სირიელები – 100,000 და თურქები – 80,000. საუდის არაბეთში არის აგრეთვე დაახლ. 100,000 არამუსლიმი, ძირითადად დასავლეთის ქვეყნებიდან. სახელმწიფო ენა არის არაბული, გავრცელებულია აგრეთვე ინგლისური ენა. სახელმწიფო რელიგიაა ისლამი. მოსახლეობის 100% აღიარებს ისლამს (აქედან 90% – მუსლიმი-სუნიტები; 10% – მუსლიმი-შიიტები). საუდის არაბეთში არ არსებობს მკვიდრი მოსახლე, რომელიც არის სხვა აღმსარებლობის მიმდევარი. დროშაზე აწერია: არ არს ღმერთი თვინიერ ალაჰისა და მუჰამადია მოციქული მისი. ზაქათი არის შემოსავლების 2,5% ყოველ მცხოვრებზე. მკაცრად იკრძალება სპირტიანი სასმელების გამოყენება. საუდის არაბეთის ოფიციალური იდეოლოგიის საფუძველია ვაჰაბიზმი. საზოგადოების ზედა ფენას წარმოადგენს მეფის ოჯახი. ოჯახური კლანის საფუძველს შეადგენს დაახლ. 50 წევრი, რომლებიც წყვეტენ ყველა მნიშვნელოვან საქმეებს ქვეყანაში, მათ შორის სახელმწიფო პოსტების განაწილებას. შემდეგ მოდიან მსხვილი ტომების გავლენიანი შაიხები, რომლებიც შეადგენენ არსებული რეჟიმის სამხედრო დასაყრდენს. ტომთა წევრებისაგან ყალიბდება ეროვნული გვარდია.

დედაქალაქი – არ-რიადი (არ-რიაض მომდინარეობს არაბ. „რავდ"-დან – „ბაღი"). 1821 წლიდან იყო საუდელთა საამიროს, ხოლო 1902 წლიდან – ნაჯდის საამიროს დედაქალაქი. 1932 წლიდან საუდის არაბეთის სამეფოს დედაქალაქია, სადაც არის 4,700,000 მცხოვრები.

ისტორიული ნარკვევი. ძვ. წ. IX ს-დან თანამედროვე საუდის არაბეთის ტერიტორიაზე დასახლდნენ არაბული ტომები, რომლებიც მესაქონლეობას მისდევდნენ. იმავდროულად არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში დასახლდნენ ტომები, რომლებმაც განიცადეს ებრაული, ბაბილონური და სპარსული კულტურების გავლენა. ქვეყნის სამხრეთ ნაწილში მცხოვრებმა არაბულმა ტომებმა კი შექმნეს განსაკუთრებული ცივილიზაცია. მოციქულმა მუჰამადმა გააერთიანა ყველა არაბული ტომი და შექმნა პირველი მუსლიმური სახელმწიფო მედინაში. 632 წელს აქ ჩამოყალიბდა არაბთა სახალიფო და ხალიფებმა VII ს-ში ისლამი გაავრცელეს ახლო აღმოსავლეთსა და ეგვიპტეში, ხოლო VIII საუკუნიდან ახალი რელიგია გავრცელდა ჩრდილოეთ აფრიკასა და აზიის მნიშნელოვან ნაწილში. ბაღდადის სახალიფოს ჩამოყალიბების შემდეგ არაბეთის ნახევარკუნძულის როლი მნიშვნელოვნად დაეცა. თუმცა, მექა რჩებოდა მუსლიმთა რელიგიურ ცენტრად. XIII ს-დან თანამედროვე საუდის არაბეთის ტერიტორია მოექცა ეგვიპტის მამლუქთა ხელში, ხოლო 1517 წელს შევიდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. საუდის არაბეთის სახელმწიფოს შექმნისათვის ბრძოლაში შეიძლება გამოიყოს სამი ეტაპი (1747-1818, 1822-1892 და 1901-1932 წლები), რომლის განმავლობაშიც საუდიანთა ოჯახი ვაჰაბიტურ მოძრაობაზე დაყრდნობით აწარმოებდა ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ომებს. მან ისარგებლა ტომთაშორის დაპირისპირებით, დიდ ბრიტანეთსა და ოსმალეთის იმპერიას შორის კონფლიქტით არაბული აღმოსავლეთის ამ რაიონში, ასევე დასავლეთის ქვეყნებს შორის დაპირისპირებით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

XIX ს-ის დასაწყისში საუდის არაბეთის დიდ ნაწილში ჩამოყალიბდა ვაჰაბიტური სახელმწიფო, რომელიც გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მალე ვაჰაბიტები ეგვიპტის არმიამ გააძევა ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში. *აბდულ აზიზ ბინ საუდი (არაბ. 'აბდ ალ-'აზიზ იბნ სა'უდი)* სათავეში ჩაუდგა ბედუინთა აჯანყებას და დაიბრუნა თურქთა მიერ მიტაცებული ტერიტორიები. 1913-1926 წლებში მან დაიმორჩილა ალ-ჰასა, ალ-კატიფი, ნაჯდი და ჰიჯაზი. 1926 წელს აბდულ აზიზ ბინ საუდი (დასავლეთში ცნობილი იყო როგორც იბნ საუდი) გამოცხადდა ჰიჯაზის, ხოლო 1927 წელს ნაჯდის მეფედაც. 1932 წელს ალ-ჰასა, ალ-კატიფი, ნაჯდი და ჰიჯაზი გაერთიანდა და ეწოდა *საუდის არაბეთის სამეფო.* 23 სექტემბერი არის დღესასწაული – სამეფოს გამოცხადების დღე. 1939-1945 წწ. საუდის არაბეთი იღებდა სუბსიდიებს აშშ-დან და დიდი ბრიტანეთიდან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საუდის არაბეთი ღარიბი ქვეყნიდან ნავთობის მსხვილ ექსპორტიორად გადაიქცა. 1953 წლის 9 ნოემბერს ატ-ტა'იფში გარდაიცვალა მეფე აბდულ აზიზ ბინ საუდი. მან დატოვა 34 ვაჟი. მისი პირდაპირი შთამომავლების რიცხვი 300 ადამიანს აღემატებოდა. დაახლოებით 100 პრინცმა ფიცი მისცა მეფე *საუდ ბინ აბდულ აზიზს (სა'უდ იბნ 'აბდ ალ-'აზიზს, 1953-1964)* და ფაისალს, როგორც მემკვიდრე პრინცს. ახალმა მეფემ შეუნარჩუნა ფაისალს პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტები. ძმებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რომელიც არ შეწყვეტილა იბნ საუდის გარდაცვალების შემდეგ. საუდის დროს მექრთამეობამ ეკონომიკური ბანკროტობის ზღვარზე მიიყვანა ქვეყანა. 1958-1964 წწ-ში იყო სახელისუფლებო კრიზისი. საუდიანთა საგვარეულოს ნაწილი და წამყვანი 'ალიმები (ულამები) სასახლის გადატრიალებისაკენ იხრებოდნენ. 1958 წლის 24 მარტს, პრინცთა ჯგუფმა, *ფაჰდ ბინ აბდულ აზიზ ას-საუდის (არაბ. ფაჰდ იბნ 'აბდ ალ-'აზიზი)* მეთაურობით, მეფეს გადასცა ულტიმატუმი მოთხოვნით, გადაეცა ხელისუფლება ფაისალისათვის, შეეჩერებინა ხაზინის ძარცვა, გაეთავისუფლებინა მეფის ოდიოზური მრჩევლები, ხოლო საუდის ძმები უფლებებით გაეთანაბრებინა მის შვილებთან. მეფე დათმობაზე წავიდა და ფაისალი გახდა პრემიერ-მინისტრი, რომელმაც თავის ხელში გააერთიანა მთელი ადმინისტრაციული ხელისუფლება. 1960 წელს მეფემ კვლავ ჩამოაცილა ფაისალი ხელისუფლებას, შეითავსა მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე-

ობა და პრინცი ტალალი და მისი მომხრეები დანიშნა მინისტრთა პოსტებზე. ხელისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში ჩამოყალიბდა სამი დაჯგუფება: მეფე საუდი, რომელიც ეყრდნობოდა რამდენიმე პრინცს და ტომთა შაიხებს; ამირა ფაისალი, რომელსაც მხარს უჭერდნენ სხვა პრინცები, მრავალი 'ალიმი და ჰიჯაზის ვაჭრები; პრინცი ტალალი, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობდა მოხელეთა წრეში და ფორმირების პროცესში მყოფ ინტელიგენციაში. 1962 წლის მარტში მეფე იძულებული გახდა კვლავ დაენიშნა მთავრობის თავმჯდომარედ ფაისალი, რომელმაც ჩამოაყალიბა ახალი მთავრობა და გამოაქვეყნა სამოქმედო პროგრამა. 1962 წლის 7 ნოემბრის სპეციალური დეკრეტით გაუქმდა მონობა. 1964 წლის 29 მარტს 'ალიმებმა გამოაქვეყნეს ფათვა, რომლითაც ხელისუფლება გადაეცემოდა ფაისალს, ხოლო საუდს რჩებოდა მეფის ტიტული. 68 პრინცმა და მთავრობამ მოინონა 'ალიმების ფათვა და საუდის არაბეთის ტახტი დაიკავა მეფე *ფაისალმა* (არაბ. *ფაისალ იბნ 'აბდ ალ-'აზიზ ას-სა'უდი, 1964-1975).* მისი მოსვლა ხელისუფლების სათავეში ნიშნავდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დასაწყისს და დასავლეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის განმტკიცებას. 1975 წლის 25 მარტს, მუსლიმურ დღესასწაულთან დაკავშირებით მიღების დროს, მეფე ფაისალი მოკლა თავისმა ძმისშვილმა პრინცმა ფაისალ იბნ მუსაიდმა. ამ მკვლელობის მოტივები დღემდე უცნობია. მეფე გახდა ფაისალის ძმა *ხალიდ ბინ აბდულ აზიზი (არაბ. ხალიდ იბნ 'აბდ ალ-'აზიზი, 1975-1982),* რომელმაც განაცხადა, რომ გააგრძელებდა თავისი წინამორბედის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. 1975 წელს, ლიბანის ომის დროს, მმართველმა დინასტიამ დაიკავა ორმაგი პოზიცია: მხარს უჭერდა მემარჯვენე ქრისტიანულ დაჯგუფებებს და თან თანამშრომლობდა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობასთან. როდესაც ეგვიპტემ 1977 წელს სეპარატული[62] შეთანხმება დადო ისრაელთან, არ-რიადმა, ერთ-ერთმა პირველმა, გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ეგვიპტესთან და შეუწყვიტა მას ფინანსური დახმარება. ისლამური რევოლუციის გამარჯვებამ ირანში (1979წ.) გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები საუდელი შიიტების ცხოვრებაში. 1979 წლის ნოემბერში აღმოსავლეთ პროვინციაში იფეთქა შიიტთა რელიგიურ-პოლიტიკურმა მოძრაობამ. ზუსტად ამავე პერიოდში „არაბეთის ნახევარკუნძულის მუსლიმ-რევოლუციონერთა ორგანიზაცია" ჯუჰაიმან იბნ მუჰამად ალ-'უთაიბის ხელმძღვანელობით გამოვიდა მოწოდებებით – აღედგინათ ორთოდოქსალური ისლამი, დაემხოთ დესპოტი მმართველები, გაეძევებინათ ქვეყნიდან უცხოელები და დაბრუნებოდნენ „ოქროს საუკუნეს" (ჰიჯრის პირველ საუკუნეს). ანტისამთავრობო გამოსვლების მონაწილეებმა 20 ნოემბერს დაიკავეს მექის მეჩეთი. სამთავრობო არმიამ, ავიაციის, არტილერიისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენებით, მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მოახერხა აჯანყებულების გამოყვანა მეჩეთიდან. 1980 წლის 9 იანვარს ალ-'უთაიბს და მის 62 მომხრეს თავი მოჰკვეთეს.

1980 წელს, ირან-ერაყის ომის დაწყების შემდეგ, საუდის არაბეთმა დაიწყო კავშირების განმტკიცება სპარსეთის ყურის სხვა სახელმწიფოებთან. 1981 წლის 4 თებერვალს საუდის არაბეთის დედაქალაქში მიიღეს გადაწყვეტილება სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს შექმნის შესახებ. მის შემადგენლობაში შევიდნენ ბაჰრაინი, კატარი, ქუვეითი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ომანი და საუდის არაბეთი. საბჭოს წევრებმა მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება, პოლიტიკური და მორალური მხარდაჭერა აღმოუჩინეს ერაყს. 1982 წლის ივნისში ისრაელის არმიის სამხრეთ ლიბანში შეჭრის დროს საუდის არაბეთმა ნეიტრალიტეტის პოზიცია დაიკავა. ამავე წლის 13 ივნისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მეფე ხალიდი გარდაიცვალა და *ფაჰდ ბინ აბდულ აზიზ ას-საუდი (არაბ.*

---

[62] სეპარატული ზავი – ომის დროს კოალიციაში მყოფი სახელმწიფოს მიერ მონინააღმდეგესთან დადებული ზავი თავის მოკავშირეებთან შეუთანხმებლად.

ფაჰდ იბნ 'აბდ ალ-'აზიზ ას-სა'უდი, 1982-2005) გამოცხადდა ახალ მეფედ და პრემიერ-მინისტრად. მეფე და მისი ექვსი ძმა „საუდიანთა შვიდეულს" წარმოადგენდნენ და მათ ეკავათ ყველა მნიშვნელოვანი პოსტი სამეფოში: პრინცი აბდულლაჰი – მემკვიდრე პრინცი. პრინცი სულტანი – თავდაცვისა და ავიაციის მინისტრი, ნაიფი – შინაგან საქმეთა მინისტრი, სალმანი – არ-რიადის გუბერნატორი და სამეფო საოჯახო საბჭოს კოორდინატორი, 'აბდ არ-რაჰმანი – თავდაცვის მინისტრის მოადგილე, აჰმადი – შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე. 1986 წლიდან მეფის ტიტული – „მისი უდიდებულესობა" შეიცვალა ტიტულით: „ისლამის ორი წმინდა ადგილის მსახური". 1989 წელს პილიგრიმობის დროს მექაში კვლავ დაიწყო არეულობა: აფეთქებების შემდეგ მრავალი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. 18 ტერორისტი შეიპყრეს დანაშაულის ადგილზე და ყველას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

1990 წლის 2 აგვისტოს, ერაყის არმიის ქუვეითის ტერიტორიაზე შეჭრის შემდეგ, დაიწყო „ომი სპარსეთის ყურეში". ოკუპაციის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, საუდის არაბეთმა დახმარებისათვის მიმართა ამერიკას და მოძმე არაბულ ქვეყნებს. საერთაშორისო კოალიციის ჩარევით ქუვეითი განთავისუფლდა და მოიხსნა პირდაპირი სამხედრო საფრთხე საუდის სამეფოსათვის. 1991 წელს მეფე ფაჰდი, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად, დასახელდა წლის ადამიანად (ქუვეითის განთავისუფლება, ფრთხილი საშინაო პოლიტიკა) 15 ისლამური ქვეყნის მიერ. თუმცა იმავე 1991 წელს დაიწყო ე. წ. „პეტიციების ხანა" და მეფემ უამრავი „რელიგიური პეტიცია" მიიღო. 1991 წლის მაისის „საპრეტენზიო წერილს („ხიტაბ ალ-მატალიბ"), რომელიც 10 პუნქტისაგან შედგებოდა, ხელი მოაწერა 52 ისლამისტმა. ის გაუგზავნეს უმაღლეს 'ალიმთა საბჭოს[63] თავმჯდომარეს – შაიხ 'აბდ ალ-'აზიზ იბნ ბაზს, რომელმაც მოიწონა და გადასცა მეფე ფაჰდს. ხელმომწერები ითხოვდნენ რეფორმების გატარებას რამდენიმე სფეროში: კანონმდებლობა, სასამართლო სისტემა, საჯარო ადმინისტრაცია, ეკონომიკა და ფინანსები, სოციალური ინსტიტუტები, არმია, საინფორმაციო სისტემა და უცხოური პოლიტიკა. ისლამისტთა პეტიცია ასევე მოითხოვდა შეზღუდვების მოხსნას რელიგიურ წრეებზე და 'ალიმთა როლის გაზრდას სახელმწიფო დაწესებულებებში, მათ შორის სამინისტროებსა და საელჩოებში. 1992 წლის მარტში მეფე ფაჰდმა ხელი მოაწერა სამ დეკრეტს – სახელმწიფოს ძირითად კანონს, კანონს საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ და კანონს პროვინციებზე. 1992-1994 წლებში ხელისუფლებამ დაიწყო ისლამური ოპოზიციის დევნა, დააპატიმრეს 100-მდე მანიფესტანტი. ისლამური ოპოზიციის ექსტრემისტულ ფრთას საუდის არაბეთში წარმოადგენს „შეცთომილთა სექტა". სექტის მომხრეებმა დაარსეს კარგად გაწვრთნილი ჯგუფი – „არაბეთის ნახევარკუნძულის ორი სიწმინდის ლეგიონები", რომლებიც ახორციელებენ ტერორისტულ აქტებს. პირველი ტერორისტული აქტი მათ განახორციელეს 2003 წლის 18 მარტს არ-რიადის ერთ-ერთ კვარტალში (ალ-ჯაზირა). 2003 წლის მაისში და ნოემბერში მათ განახორციელეს მსხვილი ტერორისტული აქტები არ-რიადის კვარტლებში. ტერორისტული აქციები არ შემოიფარგლა მხოლოდ დედაქალაქით. მუჯაჰიდები იყვნენ მექასა და მედინაში, ჯიდდაში და პროვინციულ ქალაქებში. 2004 წლის მაისში განხორციელდა ტერორისტული აქტი ალ-ხუბარში (აღმოსავლეთ პროვინცია).

2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში განხორციელებული ტერორისტულ აქტების 19 მონაწილიდან 15 იყო საუდის არაბეთის მოქალაქე და შესაბამისად გაიზარდა ეჭვი საუდის არაბეთის მიმართ, რომ ის არის ტერორიზმის

[63] 1971 წელს საუდის არაბეთში სამეფო დეკრეტით შეიქმნა უმაღლეს 'ალიმთა საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს უმაღლესი მუფთი. საბჭოს წევრებიც ინიშნებიან მეფის სპეციალური ბრძანებით.

იდეური და ფინანსური მხარდამჭერი. საერთაშორისო ძალისხმევით, 2003 წელს საუდის არაბეთის გახდა ანტიტერორისტული კოალიციის წევრი.

სამეფოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩამოყალიბდა ორი ძირითადი ჯგუფი – მუსლიმი (ვაჰაბიტი) ფუნდამენტალისტები და პროდასავლური ლიბერალები, რომლებიც აკრიტიკებენ ხელისუფლებას და ცდილობენ მასზე ზეგავლენას. 2005 წელს მეფე ფაჰდი გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ და ტახტი დაიკავა მისმა ნახევარძმამ – *აბდულლაჰ ბინ აბდულ აზიზ ას-საუდი (არაბ. 'აბდ ალლაჰ იბნ 'აბდ ალ-'აზიზ).* მეფის ქონება შეადგენს 30 მილიარდ დოლარს. ის გახდა ქვეყნის პირველი მმართველი, რომელმაც საჯაროდ უარი განაცხადა სავალდებულო რიტუალზე, რაც გამოიხატებოდა მონარქის წინაშე ქვეშევრდომების მუხლმოყრასა და ხელზე ამბორში. მან დაიწყო ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოდერნიზაცია. მეფის პირველი ღონისძიება იყო ხელფასების გაზრდა 15%-ით საუდის არაბეთის ყველა მოსამსახურისათვის, ასევე პენსიების გაზრდა 15%-ით, სახელმწიფო დოტაციების გაზრდა, ფასების დაწევა ბენზინზე და დიზელის საწვავზე. დაიწყო საგარეო-პოლიტიკური და საგარეო ეკონომიკური კავშირების დივერსიფიკაცია, რასაც ემსახურება მისი უპრეცედენტო ვიზიტები ჩინეთში, ინდოეთში, მალაიზიაში, მაროკოში, იორდანიაში, თურქეთში, ესპანეთში, საფრანგეთსა და პოლონეთში.

სახელმწიფო წყობა. საუდის არაბეთში მმართველობის ფორმა არის აბსოლუტური მონარქია. ქვეყანას მართავენ პირველი მეფის აბდულ აზიზ ას-საუდის ვაჟები და შვილიშვილები. ქვეყნის კონსტიტუცია არის ყურანი. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია მონარქი. 2005 წლის 1 აგვისტოდან მეფე არის *აბდულლაჰ ბინ აბდულ აზიზ ას-საუდი* (დაბად.1924 წ.). მეფის მრჩევლები და მინისტრები პასუხიმგებელი არიან მეფის წინაშე ინდივიდუალურად და კოლექტიურად.

უმაღლესი კანონმდებელი არის მეფე. უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს *საკონსულტაციო საბჭო*, რომელიც შეიქმნა 1991 წელს. საკონსულტაციო საბჭო განიხილავს ყველა კანონს და დადგენილებას, რათა ისინი შეესაბამებოდეს ყურანს, შარიათსა და სუნას. საბჭოს სათავეში უნდა იდგეს პრეზიდენტი. საბჭოს წევრები არიან ტომთა უხუცესები, რელიგიური ლიდერები, ბიზნესმენები, მეცნიერები, სახელმწიფო მოხელეები და მათ ნიშნავს მეფე. ამჟამად საბჭოს შემადგენლობაში არის 150 წევრი და მისი უფლებამოსილების ვადა 4 წელია. განახლების დროს შემადგენლობის ნახევარი უნდა შეიცვალოს. საბჭოს შემადგენლობაში არის 12 კომიტეტი, რომლებიც განიხილავს საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან პრობლემებს, განათლების, ჯანდაცვისა და კულტურის საკითხებს. საბჭოს შემადგენლობაში შედის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს გენერალური გეგმების, საერთაშორისო ხელშეკრულებების განხილვა და რეკომენდაციების გაცემა, კანონების ინტერპრეტირება, სამინისტროებისა და სამთავრობო უწყებების ყოველწლიური ანგარიშების განხილვა და საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმა. საკონსულტაციო საბჭოსა და აღმასრულებელ შტოს შორის უთანხმოების შემთხვევაში, გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის მეფეს.

უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო არის მინისტრთა საბჭო, რომელსაც მეფე ნიშნავს. მინისტრთა საბჭო შედგება პრემიერ-მინისტრის, პირველი პრემიერ-მინისტრისა და 20 მინისტრისაგან. იგი განახორციელებს კონტროლს მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე.

ქვეყანა დაყოფილია რაიონებად – საამიროებად (14 საამირო, სათავეში – ამირა). ამირასთან არსებობს საბჭო, რომელსაც აქვს სათათბირო ხმის უფლება. მისი წევრი უნდა იყოს არანაკლებ 25 წლის მოქალაქე, ცხოვრობდეს იმ რაიონში, ან ეწეოდეს იქ სამეწარმეო საქმიანობას, შეეძლოს წერა-კითხვა და იყოს ღვთისმოსავი. ორი სხდომის გაცდენის შემდეგ მისი კანდიდატურა იხსნება და ინიშნება ახალი

წევრი. ამირას ბრძანებით საბჭო იკრიბება ყოველ თვეში. ცალკეულ დასახლებებში მომთაბარე ტომებს აქვთ თავიანთი საბჭოები, რომლებსაც ხელმძღვანელობს შაიხი. ამ საბჭოებში შედის შარიათის სასამართლოები და მოსახლეობის ორი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ქვეყნის ეროვნული დღესასწაული – 23 სექტემბერი (1932წ.), სამეფოს გამოცხადების დღე. ეროვნული დღესასწაული ქვეყნის ისტორიაში პირველად აღინიშნა 2005 წლის 23 სექტემბერს.

პოლიტიკური პარტიები. 2007 წლის დეკემბრის ბოლოს, საკონსულტაციო საბჭომ, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, პირველად სამეფოს ისტორიაში, მიიღო კანონი საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და ინსტიტუტებზე. ამის პარალელურად ჩამოყალიბდა „იურიდიული ორგანო", რომელმაც მიიღო სახელწოდება „საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ეროვნული კომიტეტი". მას აქვს საკუთარი ბიუჯეტი (სახელმწიფო ბიუჯეტიდან) და ემორჩილება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს. მისი ფილიალები არის ყველა ადმისტრაციულ პროვინციაში. მას ხელმძღვანელობს მინისტრთა საბჭოს ერთ-ერთი წევრი, რომელიც ინიშნება პრეზიდენტის ბრძანებით. ხოლო კომიტეტის წევრები არიან უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები (სხვადასხვა პროფესიული, სამეცნიერო და ა.შ. ორგანიზაციების წარმომადგენლები) და მათი უფლებამოსილების ვადა 4 წელია.

ეკონომიკა. საუდის არაბეთის ეკონომიკაში ახალი პერიოდი დაიწყო 40-იანი წლების ბოლოს და 50-იანი წლების დასაწყისში, როცა ამერიკამ დაიწყო აქ ნავთობის მოპოვება, მეფე აბდულ აზიზისაგან კონცესიების მიღების შემდეგ. საუდის არაბეთი პატრიარქალური ქვეყნიდან სწრაფად გადაიქცა დანინაურებულ ქვეყნად. 1980 წელს საუდის არაბეთმა გამოისყიდა არამკოს ნავთობ-კომპანიაში უცხოური კაპიტალის წილი და ამ კომპანიას ეწოდა *საუდი-არამკო*, რომელსაც განსაკუთრებული როლი აქვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. კომპანიის შტაბ-ბინა არის დაპრანში. საუდი-არამკოს შტატის 20%-ს შეადგენენ უმაღლესი კატეგორიის მოსამსახურეები (ხელმძღვანელი ადმინისტრაცია და ტექნიკური სპეციალისტები არიან საუნივერსიტეტო განათლებით – ინჟინრები, გეოლოგები, ეკონომისტები, კომპიუტერული ტექნიკის სპეციალისტები. ექიმებიც ამ კატეგორია მიეკუთვნებიან), 70% – ტექნიკური პერსონალი, ხოლო 10% – კანცელარიის თანამშრომლები. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს საკუთარი კადრების აღზრდას. საუდის არაბეთი ფლობს ნავთობის ყველაზე დიდ მარაგს (მსოფლიო მარაგის 26%). საუდის არაბეთის ინდუსტრიის საფუძველი არის ნავთობისა და გაზის მრეწველობა. 2005 წელს საუდის არაბეთის საექსპორტო შემოსავლებმა ნავთობიდან შეადგინა 160 მლრდ დოლარი. თუმცა, საუდის არაბეთს აქვს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შიდა ვალი – 170 მლრდ დოლარი.

1970 წლიდან ქვეყანაში ხორციელდება ხუთწლიანი გეგმები. არის სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის გაზრდისა და იმპორტის წილის შემცირების ტენდენცია. მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება ადგილობრივი მწარმოებლის დასაცავად. ქვეყნის შიდა ბაზარზე ფასების გასაოცარი სტაბილურობაა. ქვეყანამ მიაღწია აგრეთვე ეკონომიკაში კერძო სექტორის წილის გაზრდას. ქვეყანა უზრუნველყოფილია საკუთარი ელექტროენერგიით. სახელმწიფო ვალუტის სტაბილურობა ქმნის ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს. არაბული ქვეყნების წამყვან ბანკებს შორის საუდის საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებს მეოთხე პოზიცია უკავიათ. შიდა საბირჟო ბაზარზე დაიშვებიან მხოლოდ საუდის არაბეთისა და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნების მოქალაქეები. საუდის არაბეთის საკრედიტო ბანკი დაკავებულია მოსახლეობის მცირეშემოსავლიანი ფენის დაფინანსებით, ეხმარება მათ ქორწინების, სახლის შეკეთების ან შემოქმედებითი გეგმების განხორციელებისას. აფინან-

სებს აგრეთვე სასტუმროების, კერძო საავადმყოფოების მშენებლობას და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარებას. ყოველი ოჯახი უფასოდ იღებს 627 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთს და 30 წლით უპროცენტო სესხს 80 ათასი დოლარის ოდენობით სახლის ასაშენებლად. სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკას ახორციელებს თითქმის ყველა სფეროში. მოსახლეობა მთლიანად განთავისუფლებულია გადასახადებისაგან. მოქალაქეები სარგებლობენ უფასო სამედიცინო მომსახურებით. მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება, რათა შენარჩუნდეს მისაწვდომი ფასები კვების პროდუქტებზე. სწრაფი ტემპებით ვითარდება სოფლის მეურნეობა. ქვეყანა სრულად უზრუნველყოფს მოსახლეობას ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, ფინიკი (მეოთხე ადგილზეა ფინიკის წარმოებით), ყურძენი და ციტრუსები (ნაჯრანში). გარკვეული გავრცელება პოვა ბრონეულის, თხილის, ატმისა და გარგარის წარმოებამ. არის თანამედროვე ტიპის რძის ქარხნები, მეფრინველეობისა და საკონდიტრო ნაწარმის ფაბრიკები. ამზადებენ ტომატის პასტას. განვითარებულია თევზჭერაც (თევზის 60%-ს იჭერენ მეწამულ ზღვაში, დანარჩენს – სპარსეთის ყურეში). დიდი რაოდენობით ცოცხალი პირუტყვი შემოჰყავთ საზღვარგარეთიდან. დიდი მემოსავალი აქვს ქვეყანას კონდიციონერების და ანტიბიოტიკების წარმოებით. ქვეყანაში არის უცხოური სამუშაო ძალა (დაახლ. 4 მლნ): იემენელები, ეგვიპტელები, პალესტინელები, პაკისტანელები, სამხრეთკორეელები და სხვა. უცხოელების დიდი ნაწილი მუშაობს ნავთობკომპანიებში, მომპოვებელ მრეწველობაში, ვაჭრობაში, ჯანდაცვაში, მშენებლობაში, მომსახურების სფეროში და სხვა. საუდის არაბეთში იშვიათია კვალიფიციური საუდელი მუშა, რადგანაც ეს პროფესია არაპრესტიჟულად ითვლება. ადგილობრივები უპირატესობას ანიჭებენ ვაჭრობას და არმიაში სამსახურს. საუდის სამეფოს შრომისუნარიანი მოსახლეობის 25-30% უმუშევარია.

2005 წლის დეკემბერში მეფე აბდულლაჰმა, ეკონომიკის დივერსიფიკაციისათვის, დაიწყო ჯიდდას ჩრდილოეთით ახალი ქალაქის მშენებლობა, რომლის სახელი იქნება „მეფე აბდულლაჰის ეკონომიკური ქალაქი". ის გააერთიანებს ნავთობქიმიურ, ფარმაცევტულ, ტურისტულ, საფინანსო, საგანმანათლებლო და კვლევით სფეროებს. მისი მშენებლობა უნდა დასრულდეს 2020 წლისათვის. საუდის არაბეთი ოფიციალურად გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი.

ექსპორტი: ნავთობი და ნავთობპროდუქტები. *იმპორტი:* მოწყობილობები, სამრეწველო საქონელი, ლითონი, ტექსტილი. ძირითადი სავაჭრო პარტნიორები: გერმანია, ჩინეთი, იაპონია, იტალია, დიდი ბრიტანეთი, სამხრეთ კორეა, ტაივანი.

2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 600,4 მილიარდი დოლარი, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი იყო 21,300 დოლარი.

განათლება. სახელმწიფო დიდ ინტერესს იჩენს განათლების სისტემის განვითარებისადმი და დიდ ინვესტიციებს დებს მასში. სამეფოში არის საყოველთაო განათლების 4 საფეხურიანი სისტემა. პირველი საფეხური – სკოლამდელი სწავლება; მეორე საფეხური – უმცროსი სკოლა, რომელიც გათვალისწინებულია 6-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის; საშუალო კლასები, რომლებშიც სწავლობენ 12-15 წლის ბავშვები; უფროსი კლასები – 15-დან 18 წლამდე მოზარდებისათვის. სკოლების უმრავლესობა სახელმწიფოა. ქვეყანაში არის კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებიც. სახელმწიფოს ძირითადი მიზანია საყოველთაო განათლების მიღწევა. სახელმწიფო აკონტროლებს არა მხოლოდ სასწავლო პროცესს, არამედ მასწავლებელთა საქმიანობასაც. მასწავლებლები სარგებლობენ მნიშვნელოვანი უპირატესობით ყველა სხვა სახელმწიფო მოსამსახურესთან შედარებით. მათ აქვთ მაღალი ანაზღაურება. პრაქტიკულად ყველა მასწავლებელს სამეფოში აქვს უმაღლესი სპეციალური განათლება. დაწყებითი სკოლის მასწავლებელს, როგორც მინიმუმი, დაწყებითი განათლების კოლეჯის დიპლომი (ის უტოლდება ბაკალავრის დიპლომს

დაწყებითი განათლების იქ დანერგილი სპეციალური პროგრამის საფუძველზე) მაინც უნდა ჰქონდეს. სკოლებს აქვთ მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სწავლების ყველა საფეხურზე სახელმძღვანელოები მოსწავლეებისთვის უფასოა. საუდის არაბეთში, როგორც ისლამის სამშობლოში, დიდი ყურადღება ეთმობა ახალი პროგრამების შედგენას ყურანის შესასწავლად. განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ ინვალიდი ბავშვებისადმი. მათ უფლება აქვთ მიიღონ განათლება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.

საუდის არაბეთში გარდამავალ ეტაპზე მოწვეული იყო მრავალი უცხოელი სპეციალისტი, ამიტომ ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ინტენსიურად დაიწყო ქვეყანაში ეროვნული კადრების მომზადება. შეიქმნა სახელმწიფო უნივერსიტეტების სისტემა. დღეისათვის არის 7 საუნივერსიტეტო კომპლექსი, 78 ფაკულტეტით და 115 ათასი სტუდენტით. პირველი უნივერსიტეტი ქვეყანაში გაიხსნა 1957 წელს არ-რიადში (1982 წლიდან ის ინოდება *მეფე საუდის უნივერსიტეტად*). დღეს მასში სწავლობს 31 000 სტუდენტი, რომლებთანაც მუშაობს 2500 მასწავლებელი. ეს არის ქვეყნის ყველაზე დიდი უნივერსიტეტი, რომელშიც შედის რამდენიმე კოლეჯი. სწორედ ამ უნივერსიტეტში დაიწყო 1975 წელს გოგონების მიღება. უნივერსიტეტთან შეიქმნა ქალთა კვლევების ცენტრი (ვებგვერდი – www.ksu.edu.sa/Pages/default.aspx); 1961 წელს მედინაში დაარსდა *ისლამური უნივერსიტეტი*, სადაც, ალ-აზჰარისაგან განსხვავებით, ისწავლება მხოლოდ ისლამური თეოლოგია, ისლამური სამართალი, წმინდა ყურანი და არაბული ენა. სტუდენტების 85% (105 ქვეყნიდან) არ არის საუდის არაბეთის მოქალაქე; არ-რიადში არის სხვა ისლამური უნივერსიტეტიც – იმამ მუჰამად იბნ საუდის სახელობისა. ეს სასწავლო დაწესებულება დაარსდა 1953 წელს და 1971 წელს მიიღო უნივერსიტეტის სტატუსი. აქ სწავლობს დაახლოებით 10 000 სტუდენტი, რომელთა 20% ქალებია. ის არის საერთაშორისო მნიშვნელობის უნივერსიტეტი და შედგება რამდენიმე ინსტიტუტისა და ფაკულტეტისაგან; 1967 წელს ჯიდდაში გაიხსნა მეფე *აბდულ აზიზის უნივერსიტეტი*. თავდაპირველად ის დაარსდა როგორც კერძო დაწესებულება, მაგრამ 1971 წელს გადაკეთდა სახელმწიფოდ. აქ არის სწავლების სამივე საფეხური: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტურანტურა; ყველაზე ახალგაზრდაა *უმმ ალ-კურას უნივერსიტეტი,* რომელიც დაარსდა 1979 წელს მექაში და უნივერსიტეტის სტატუსი მიიღო 1981 წელს. აქ დაახლ. 15 ათასი სტუდენტი სწავლობს, რომელთაგან ნახევარი ქალია. ამ უნივერსიტეტში არის არაბული ენის სწავლების ფაკულტეტი არაარაბებისათვის, აგრეთვე კვლევების ცენტრი ფსიქოლოგიისა და განათლების სფეროებში, ჰაჯის კვლევის ცენტრი, ისლამური განათლების საერთაშორისო ცენტრი და ისლამური მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლისა და აღორძინების ცენტრი; *მეფე ფაისალის უნივერსიტეტს* (დაარსდა 1975წ.) და *მეფე ფაჰდის სახ. ნავთობისა და სასარგებლო წიაღისეულის უნივერსიტეტს* (დაარსდა 1964წ. დაჰრანში) აქვთ გარკვეული სპეციალიზაცია. ფაისალის უნივერსიტეტის სხვადასხვა განყოფილებებში მთავარი აქცენტი გადატანილია სოფლის მეურნეობის, ვეტერინარიის, მეცხოველეობის და მედიცინის შესწავლაზე. ფაჰდის უნივერსიტეტში სწავლა უფასოა. სტუდენტებს უხდიან სტიპენდიას, სახელმწიფო დოტაციაზეა კვება და სამედიცინო მომსახურება. ეს პრივილეგია ვრცელდება უცხოელ სტუდენტებზეც. 2006 წელს მომზადდა მსოფლიოს ყველაზე უფრო პრესტიჟული უნივერსიტეტების სია (The Times Higher Education Supplement), რომელშიც მოხვდა საუდის არაბეთის მხოლოდ 1 უნივერსიტეტი და ისიც 2998 ადგილზე (3000-დან). ამას მოჰყვა ფართო დისკუსია. ამავე წელს საკონსულტაციო საბჭოს ინიციატივით შეიქმნა უმაღლესი საბჭო განათლების საკითხებზე, რომელსაც თავმჯდომარეობს მეფე. მის შემადგენლობაში შედიან: მემკვიდრე პრინცი, საშუალო და უმაღლესი განათლების, სამოქალაქო სამსახურის, ეკონომი-

კის და დაგეგმვის, ფინანსებისა და შრომის მინისტრები; 4 სპეციალისტი ტექნიკური განათლების დარგში, რომელთაც ნიშნავს საბჭოს თავმჯდომარე. ქვეყანაში არ არის არცერთი რეგიონი, უნივერსიტეტის ან დედაქალაქის უნივერსიტეტის ფაკულტეტის გარეშე. განათლების სამინისტრომ შეიმუშავა 25 წლიანი გეგმა, რომელსაც მინისტრმა უწოდა ეროვნული საგანმანათლებლო პროექტის „საგზაო რუკა". ეს გეგმა ითვალისწინებს ინფორმატიკის თანამედროვე საშუალებების დანერგვას სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, მასწავლებელთა გადამზადებას, პოსტსაუნივერსიტეტო განათლებისა და სამეცნიერო კვლევების განვითარებას. ვარაუდობენ, რომ ამ გეგმის განხორციელების შემდეგ, 2013 წლისათვის, საუდელ სტუდენტთა (მათ შორის გოგონების) 30% ანუ 200 ათასი ახალგაზრდა ისწავლის კერძო უნივერსიტეტებში (ახლა საუდის არაბეთის კერძო უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში სწავლობს 13 ათასი ახალგაზრდა). 2007 წლის 22 ოქტომბერს ჯიდდას ჩრდილოეთით, მეწამული ზღვის სანაპიროზე – სოლში საფუძველი ჩაეყარა აბდულლაჰის სახელობის პირველ სამეცნიერო-ტექნიკურ უნივერსიტეტს, რომლისთვისაც გამოყოფილია 10 მლნ საუდის რიალი. ის იქნება „საუდის არაბეთის ჰარვარდი", სადაც მომზადდება სპეციალისტები ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ისეთ დარგებში, როგორიცაა ნანოტექნოლოგია, ნავთობქიმია და წყლის გამტკნარება. უნივერსიტეტი უნდა გახდეს მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი, სადაც იმუშავებენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მეცნიერები. 2008 წლის 23 მაისს მეფე აბდულლაჰმა გახსნა ფაჰდის უნივერსიტეტის ახალი შენობა. ეს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კორპუსი განკუთვნილია საინჟინრო, ავიამშენებლობის და სამედიცინო ფაკუტეტებისათვის. 2008 წლის 29 ოქტომბერს მეფე აბდულაჰის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა პირველ ქალთა უნივერსიტეტს სამეფოში. ის იქნება ყველაზე დიდი ქალთა უნივერსიტეტი მსოფლიოში. ამ უნივერსიტეტში იქნება მედიცინის, ფარმაკოლოგიის, მენეჯმენტის, კომპიუტერული მეცნიერების და ენების ფაკულტეტები. საუდის სამეფოში აქტიურად მოქმედებს სტუდენტთა და პროფესორთა გაცვლითი პროგრამები. ყოველწლიურად დაახლ. 4000 სტუდენტი იგზავნება საზღვარგარეთ.

ფულის ერთეული – საუდის არაბეთის რიალი. ის იყოფა 100 ჰალალად. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 3,75 რიალს.

სირიის არაბთა რესპუბლიკა
الجمهورية العربية السورية

გეოგრაფია. სირია მდებარეობს აზიის დას. ნაწილში. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება თურქეთი (საზღვრის სიგრძე 822 კმ), დასავლეთით – ლიბანი (375 კმ); აღმოსავლეთით – ერაყი (605 კმ); სამხრეთით – იორდანია (375 კმ) და ისრაელი (76 კმ). ჩრდილო-დასავლეთით – 183 კმ-ზე ქვეყანას აკრავს ხმელთაშუა ზღვა. საზღვრების საერთო სიგრძეა – 2 253 კმ, სანაპირო ზოლის სიგრძე – 193 კმ. საერთო ფართობი – 185, 180 კვ. კმ. (ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის ჩათვლით – 1 295კმ.).

მოსახლეობა. არაბულ ქვეყნებს შორის სირია გამოირჩევა შობადობის მაღალი კოეფიციენტით და მოსახლეობის მატების სწრაფი ტემპით. სირიის მოსახლეობა არის 19,747,586 (2008წ. მონაცემები). მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 103 ადამიანს შეადგენს. სირიაში არ ტარდება აღწერა ეროვნული ნიშნით, მაგრამ, არაოფიციალური მონაცემებით, მოსახლეობის 90% არაბებია. სხვა ეთნიკური ჯგუფებია: ქურთები – 9% (1,180,000), რომლებიც ძირითადად ცხოვრობენ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (ქვეყნის მთიან რაიონებში); თურქმენები – ძირითადად ლატაკიაში, ალეპოსა და დამასკოში; ასირიელი ქრისტიანები (800 000), ძირითადად – ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით; სომხები (190,000) – ძირითადად ჰალაბში, დამასკოსა და ჰასაქეში. სირიაში ცხოვრობენ XIX საუკუნეში ჩრდილეთ კავკასიიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები: კაბარდოელები, ადიღეელები, ბალყარები, მუსლიმი ოსები, აფხაზები და დაღესტნელები. მათი რაოდენობა, ასევე არაოფიციალური მონაცემებით, 70 000-ს აღწევს. დამასკოსა და ჰალაბში ცხოვრობს დაახლ. 4 ათასი ებრაელი. ამის გარდა ქვეყანაში დაახლ. 2 მლნ. ერაყელი ლტოლვილია. სირიის სახელმწიფო რელიგიაა ისლამი. მოსახლეობის 90%-ს შეადგენენ მუსლიმები (74% სუნიტები, 16% – ალავიტები, დრუზები და სხვ.), ქრისტიანები – 10%-ს. სახელმწიფო ენა არის არაბული, გავრცელებულია ქურთული და სომხური ენები.

ჰავა. სირიაში რამდენიმე კლიმატური ზონაა. საზღვაო სანაპიროზე გაბატონებულია ტიპური ხმელთაშუაზღვის ჰავა: თბილი ზამთარი (იანვრის საშუალო ტემპერატურა 12°C) და მშრალი ზაფხული ზომიერი ტემპერატურით (ივლისის ტემპერატურა – 26°C). სირიის მთიან რაიონებში ჰავა ზომიერია. ზამთარში მთებში არის ყინვები, მოდის თოვლი. სირიის უდაბნოს კლიმატური პირობები გამოირჩევა დიდი სეზონური და დღეღამური ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობით. ზამთარში ღამით ტემპერატურა შეიძლება დაეცეს -10°C-მდე, ხოლო დღისით აიწიოს 20°C-მდე. უდაბნოში ხშირია ქვიშიანი ქარები.

დედაქალაქი – დამასკო (2007წ. მონაცემებით 6,500,000 მცხოვრები). თანამედროვე არაბ. სახელწოდება – დიმაშკ.

ისტორიული ნარკვევი. სხვადასხვა ტომებით (ძირითადად სემიტური) დასახლებული თანამედროვე სირიის ტერიტორია თანმიმდევრულად შედიოდა ძველი ეგვიპტის (ძვ. წ. XVI ს.), ხეთების სამეფოს (ძვ. წ. XIV ს.), ასირიის (ძვ. წ. VIII-VII სს.) შემადგენლობაში. მოგვიანებით ის გახდა ბაბილონის სამეფოს ნაწილი, ხოლო ძვ. წ. 539-მდე აქემენიანთა ირანის შემადგენლობაში შევიდა. ძვ. წ. 333 სირია დაიპყრო ალ. მაკედონელმა. ძვ. წ. III ს-ში სელევკიანთა დინასტიამ დააარსა სირიის სამეფო, რომელიც ძვ. წ. 64 წელს გახდა რომის იმპერიის პროვინცია. 333 წელს სირია შევიდა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში. 634 წელს სირიის დიდი ნაწილი არაბებმა დაიპყრეს. 661 წლიდან დამასკო უმაიანთა სახალიფოს დედაქალაქი გახდა. 1095-1099 წწ-ში პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის შედეგად სირიის ტერიტორიაზე იქმნება მთელი რიგი ქრისტიანული სახელმწიფოები (იერუსალიმის სამეფო). 1516 წელს სირია გახდა ოსმალეთის იმპერიის ნაწილი. 1832 წელს სირია დაიპყრო ეგვიპტის მმართველმა მუჰამად ალიმ. ეგვიპტის მმართველობის პერიოდში არაერთხელ მოეწყო სახალხო აჯანყებები. ყველაზე დიდი თავისი მასშტაბებით იყო 1839-40 წლებში, რასაც შედეგად მოჰყვა ეგვიპტის არმიის გაძევება სირიიდან. 1918 წლის დეკემბერში საფრანგეთმა პრეტენზია განაცხადა სირიის, ლიბანისა და პალესტინის ტერიტორიაზე საიქს-პიკოს ხელშეკრულების საფუძველზე, რასაც მოჰყვა ქვეყანაში საპროტესტო გამოსვლები. 1919 წელს დიდი ბრიტანეთი დათანხმდა დაეთმო საფრანგეთისათვის სირია, რის სანაცვლოდაც უნდა მიეღო საფრანგეთის ხელისუფლების თანხმობა ერაყისა და პალესტინის ინგლისურ ოკუპაციაზე. 1919 წლის სექტემბერში მიღწეულ იქნა შეთანხმება ინგლისის არმიის

გაყვანის თაობაზე სირიიდან და ლიბანიდან. 1920 წელს საფრანგეთმა მიიღო ერთა ლიგის მანდატი სირიაზე. 1941 წლის სექტემბერში სირია გამოცხადდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. თუმცა, სრულიად დამოუკიდებელი სირია გახდა 1946 წელს (17 აპრილი), როდესაც ქვეყნიდან გავიდნენ საფრანგეთისა და ბრიტანეთის არმიები. ისრაელისა და არაბული ქვეყნების პირველი კონფლიქტის (1948-1949) შემდეგ სირიაში მოხდა რამდენიმე სახელმწიფო გადატრიალება. 1949 წლის 27 დეკემბერს პირველი სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოვიდა *ა. შიშეკლი.* 2 წლის განმავლობაში 6 მთავრობა შეიცვალა. ქვეყანაში დამყარდა სამხედრო დიქტატურა, გაერთიანდა ბაასის და არაბთა სოციალისტური პარტიები. 1956 წელს მოხდა ახალი მთავრობის ფორმირება, ხოლო 1958 წელს – სირიისა და ეგვიპტის გაერთიანება. ეგვიპტე დაჰპირდა, რომ დაიცავდა მას თურქეთის აგრესიისაგან და 1957 წელს ლატაკიაში გადასხდა ეგვიპტის არმია. 1958 წლის 1 თებერვალს ხელი მოეწერა დეკლარაციას ამ ორი ქვეყნის გაერთიანების შესახებ და მას ეწოდა *არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა.* 1958 წლის 21 თებერვალს ორივე ქვეყანაში ჩატარდა მოსახლეობის პლებისციტი და გაერთიანება მოინონა მოსახლეობის უმრავლესობამ. გამალ აბდელ ნასერი აირჩიეს მის პრეზიდენტად. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახელმწიფო მოწყობის საფუძვლად აიღეს ეგვიპტის საპრეზიდენტო მმართველობის სისტემა. საკანონმდებლო ხელისუფლება გადაეცა ერთიან პარლამენტს. გათვალისწინებული იყო გარდამავალი პერიოდის დანესება ეკონომიკური პრობლემების დასარეგულირებლად. უნდა შექმნილიყო ორი რაიონი: ჩრდილოეთის (სირიის) და სამხრეთის (ეგვიპტის), ცენტრალური მმართველობით კაიროში და აღმასრულებელი საბჭოთი თითოეულ რეგიონში. 1958 წლის 6 მარტს ჩამოყალიბდა პირველი მთავრობა.

1961 წლის 28 სექტემბერში ოფიცრებმა, რომლებიც იცავდნენ სირიის ბურჟუაზიის ინტერესებს, მოაწყეს სამხედრო გადატრიალება. იმავე საღამოს მათ გამოაცხადეს სირიის გამოსვლა გაერთიანებიდან. 29 სექტემბერს გამოცხადდა ახალი მთავრობა. ქვეყნის პრეზიდენტი გახდა სახალხო პარტიის წარმომადგენელი – *ნაზიმ ალ-კუდსი.* 1961 წლის 1 დეკემბერს ჩატარდა რეფერენდუმი დროებითი კონსტიტუციის დასამტკიცებლად, რომლის თანახმადაც სირია ცხადდებოდა კონსტიტუციურ საპარლამენტო რესპუბლიკად. საკანონმდებლო ხელისუფლება გადაეცემოდა არჩევით დამფუძნებელ კრებას, რომელსაც მომდევნო 5 წლის განმავლობაში უნდა აერჩია პრეზიდენტი და შეემუშავებინა კონსტიტუცია. ამის შემდეგ დამფუძნებელი კრება გადაიქცეოდა პარლამენტად, 4 წლით უფლებამოსილების ვადით. ერთდროულად ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. „მუსლიმმა ძმებმა" მხარი დაუჭირეს გადატრიალების ორგანიზატორს – გენერალ 'აბდ ალ-ქარიმ კასიმს და ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ 1961 წლის 1 დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში, რომლის შედეგადაც 10 წევრმა მიიღო დეპუტატის მანდატი (150-დან). ისლამურ ბლოკში მათ 12 ადგილი ჰქონდათ 173-დან და 1962 წელს ჩამოყალიბებულ მთავრობაშიც რამდენიმე პორტფელი მიიღეს. 1962 წლის ბოლოს და 1963 წლის დასაწყისში მოხდა დაპირისპირება ორ ფრთას შორის – მინისტრ-სოციალისტებსა და „მუსლიმი ძმების" მხარდამჭერებს შორის, სოციალისტურ ქვეყნებთან დაახლოების გამო. „მუსლიმი ძმები" თვლიდნენ, რომ სოციალისტური ღონისძიებები ეწინააღმდეგებოდა ისლამს. ხელისუფლებისათვის ბრძოლამ 1962 წლის 28 მარტს გამოიწვია ახალი სამხედრო გადატრიალება, რომელიც მოაწყეს 1961 წლის მოვლენების მონაწილეებმა. მათ განაცხადეს, რომ სურდათ კონსტრუქციული და სამართლიანი სოციალიზმის მშენებლობა. დაშალეს დამფუძნებელი კრება, დააპატიმრეს პრეზიდენტი და მთელი ხელისუფლება გადავიდა უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის ხელში. 1963 წლის 8 მარტს ქვეყანაში მოხდა ახალი გადატრიალება. ის ორგანიზებული იყო არმიის ოფიცრების მიერ. 1963 წლის 24 მარტს შეიქმნა რევოლუციური ხელმძღვანელობის ეროვნული საბჭო გენერალ ნურ ად-დინ მუსტაფა ალ-ათასის

ხელმძღვანელობით, რომლის ხელშიც გადავიდა მთელი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. კაბინეტის ფორმირება დაევალა ბაასის პარტიის ლიდერს – სალაჰ ად-დინ ალ-ბიტარს. ამის შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა ბაასის პარტია – „არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია". ამან ხელი შეუწყო ხელისუფლების სათავეში ალავიტების დაწინაურებას. ალავიტების აღზევება ხშირად დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ არმიაში სამსახური იყო ერთადერთი საშუალება სოციალური სტატუსის ასამაღლებლად და კარიერის მისაღწევად. 1964 წელს (26 აპრილი) მიიღეს ახალი დროებითი კონსტიტუცია, რომლითაც ქვეყანა გამოცხადდა სახალხო-დემოკრატიულ, სოციალისტურ და სუვერენულ რესპუბლიკად – არაბული სამყაროს ნაწილად. საკანონმდებლო ხელისუფლება გადაეცა უმაღლეს ეროვნულ რევოლუციურ საბჭოს, ხოლო აღმასრულებელი – საპრეზიდენტო საბჭოს. რევოლუციის დღიდან, დაიწყო ფარული ბრძოლა მემარცხენე და მემარჯვენე ბაასისტებს, სამხედროების სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ამას მოჰყვა ახალი სამხედრო გადატრიალება 1966 წლის 23 თებერვალს და გაიმარჯვა მემარცხენე ფრთამ. 1967 წლის 14 მაისს სირიის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განაცხადა „სირიის წინააღმდეგ ისრაელის აშკარა სამხედრო მუქარის" შესახებ. 1967 წლის 5 ივნისს ისრაელმა დაიწყო შეიარაღებული აგრესია სირიის, ეგვიპტისა და იორდანიის წინააღმდეგ. ისრაელმა დაიკავა სირიის ტერიტორიის ნაწილი – ალ-კუნაიტრა და გოლანის (ჯულანის) სიმაღლეები. სირიის მთავრობამ უარი განაცხადა ეცნო რეზოლუცია № 242, რომელიც მიიღო გაერომ 1967 წლის 22 ნოემბერს, რადგანაც ის კომპრომისულ ხასიათს ატარებდა და არ ეთანხმებოდა სირიის პოლიტიკურ პოზიციებს. ისრაელთან სამხედრო კონფრონტაციამ მწვავე უთანხმოება წარმოშვა სირიის ბაასის პარტიულ ხელმძღვანელობაში. ყველაზე დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდა ბაასის პარტიის სამხედრო ფრაქცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა თავდაცვის მინისტრი – ჰაფეზ ალ-ასადი. ის მოითხოვდა არაბულ ქვეყნებთან სამხედრო-პოლიტიკური კონტაქტების დამყარებას ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის. ამ უთანხმოების შედეგად პარტიის ხელმძღვანელობაში სამოქალაქო პირთა პოზიციები დასუსტდა, რითაც ისარგებლა ჰაფეზ ალ-ასადმა და 1970 წლის 13 ნოემბერს ბრძანა პრეზიდენტ ნურედინ ალ-ათასის (არაბ. ნურ ად-დინ ალ-ათასსი, 1966-1970) და ბაასის პარტიის გენერალური მდივნის – სალაჰ ჯადიდის დაპატიმრება. ხელისუფლება გადავიდა სამხედრო ფრაქციის ხელში. შეიქმნა ეროვნული საბჭო, რომელსაც დაეკისრა საკანონმდებლო ფუნქციები, კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და მთელ სახელმწიფო აპარატზე.

1971 წლის 12 მარტის რეფერენდუმის შედეგად *ჰაფეზ ალ-ასადი (არაბ. ჰაფიზ ალ-ასადი)* აირჩიეს სირიის პრეზიდენტად (1971-2000), ხოლო მაისში – ბაასის პარტიის გენერალურ მდივნად. მხოლოდ 1973 წელს მიიღეს სირიის მუდმივი კონსტიტუცია რეფერენდუმის გზით. კონსტიტუციით, სირია გამოცხადდა „სუვერენულ სოციალისტურ სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოდ". თუ მანამდე ხელისუფლება ატარებდა პროგრესულ არაბულ რეჟიმებთან დაახლოვების კურსს, ახალი ლიდერები გამოვიდნენ არაბული ერთობის ლოზუნგის მხარდამჭერად, მისი მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური წყობის ხასიათის მიუხედავად. 1973 წლის 6 ოქტომბერს ახლო აღმოსავლეთში განახლდა სამხედრო მოქმედებები და მდგომარეობა კვლავ დაიძაბა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, 1974 წლის 31 მაისს ჟენევაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა ისრაელის არმიის გაყვანას ოქტომბრის ომის დროს დაპყრობილი რაიონებიდან, ასევე ოკუპირებული ალ-კუნაიტრადან (1967 წ.). სირიამ დაუბრუნა მოწინააღმდეგე მხარეს 21 სტრატეგიული და გამაგრებული პუნქტი. შეიქმნა „ბუფერული ზონა", სადაც განლაგდა გაეროს კონტინგენტები.

1975 წელს სირია ჩაერთო ლიბანის სამოქალაქო ომში. სირიამ დაგმო სეპარატული მოლაპარაკებები და კემპ-დევიდის შეთანხმება ისრაელსა და ეგვიპტეს შორის (ეგვიპტემ ცნო ისრაელი და დაიბრუნა ოკუპირებული სინას ნახევარკუნძული. ხელი შეუწყო ისრაელს შეენარჩუნებინა თავისი პოზიციები მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე და გოლანის სიმაღლეებზე). სირიამ ალჟირთან, ლიბიასთან, ერაყთან, იემენის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან ერთად შექმნა „სიმტკიცისა და წინააღმდეგობის ეროვნული ფრონტი". 1978 წლის 20-23 სექტემბერს ქ. დამასკოში ჩატარებულ თათბირზე ფრონტის წევრებმა უარყვეს კემპ-დევიდის შეთანხმება და გადაწყვიტეს არაბული ქვეყნების მთელი რესურსების მობილიზაცია ეგვიპტე-ისრაელის მორიგებათა ლიკვიდაციისათვის.

1980 წელს დაწყებულმა ირან-ერაყის ომმა განხეთქილება შეიტანა დამასკოსა და ბაღდადის ურთიერთობაში. იმ პერიოდში სირიაში იყო დაახლ. 1,5 მლნ შიიტი, ხოლო პრეზიდენტი ასადი კი მსხვილი შიიტური თემის – ალავიტების წარმომადგენელი იყო. ამასთანავე, სირიას არ სურდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის განმტკიცება. ამიტომ ბაასისტურმა ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა ირანს. 1990 წელს სირიამ მკვეთრად გააკრიტიკა ერაყის მიერ ქუვეითის აგრესია და აღმოუჩინა ქუვეითს დიპლომატიური, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა. ახლო აღმოსავლეთში ვითარების დესტაბილიზაციის გამო, ჰაფეზ ალ-ასადმა გარკვეული ზომები მიიღო მეზობელ არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის განსამტკიცებლად. ამის პარალელურად ქვეყანაში გატარდა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის რეფორმები.

2000 წლის 9 ივნისს გარდაიცვალა ჰაფეზ ალ-ასადი, ხოლო 2000 წლის 10 ივლისს პრეზიდენტად აირჩიეს *ბაშარ ალ-ასადი.* მან მიიღო ამომრჩეველთა ხმების 97,29%. ახალმა პრეზიდენტმა გამოაცხადა ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ბრძოლა კორუფციასთან და სახელმწიფოს მოდერნიზაცია. 2000 წლის 20 ივნისს ბაშარ ალ-ასადი აირჩიეს პარტიის გენერალურ მდივნად და მემკვიდრეობით მიიღო ტიტული „პარტიისა და ხალხის ლიდერი". ჰაფეზ ალ-ასადის მმართველობა ავტორიტარულად ფასდებოდა და ემყარებოდა სამ საფუძველს: სამხედროები, პარტია და ალავიტების თემი. ახალი პრეზიდენტი ატარებს სირიის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების თანმიმდევრული ლიბერალიზაციის კურსს. ბაშარ ალ-ასადმა, მამისაგან განსხვავებით, სტრატეგიული პოლიტიკური კავშირი დაამყარა სუნიტებთან და ქრისტიანულ უმცირესობებთან. 2004 წლის მარტში სირიის ჩრდილოეთში არაბებსა და ქურთებს შორის მომხდარი შეტაკების მიუხედავად, ქვეყანაში არ არის დაპირისპირება ერებსა და კონფესიებს შორის. ეროვნულ უმცირესობებს – ქურთებს და სომხებს ღირსეული ადგილი უკავიათ სახელმწიფო და კერძო სექტორში. ბაშარმა დაიწყო საკადრო ცვლილებები თავისი პოზიციების განმტკიცების მიზნით. მხოლოდ 2000-2004 წლებში მან შეცვალა 15 მაღალი თანამდებობის პირი, მათ შორის სამხედროები.

2006 წლის ივლის-აგვისტოში, მეორე ლიბანის ომში ისრაელთან (ე.წ. „ივლისის ომი"), სირია იარაღს აწვდიდა „ჰიზბალაჰს". ეს იყო შეტაკება ისრაელსა და „ჰიზბალაჰს" შორის, რომელიც ფაქტობრივად აკონტროლებს ქვეყნის სამხრეთ რაიონებს.

სირია და ისრაელი დე იურე არიან ომის მდგომარეობაში, ე. ი. სამშვიდობო ხელშეკრულება დღემდე არ არის ხელმოწერილი. 2007 წლის აგვისტოში ისრაელმა პირველად 1967 წლიდან დაიწყო გოლანის სიმაღლეებზე სამხედრო კონტიგენტის ეტაპობრივი შემცირება.

2008 წელს სირიაში აღკვეთეს პუტჩი, რომლის მიზანი იყო ქვეყნის პრეზიდენტის ბაშარ ალ-ასადის ჩამოგდება. გადატრიალება უნდა მომხდარიყო 2008 წლის მარტში – არაბული ლიგის წევრი ქვეყნების სამიტის დროს. შეთქმულების სათავეში იდგა ბაშარ ალ-ასადის სიძე, სამხედრო დაზვერვის უფროსი ასიფ შავქათი. ის დაპა-

ტიმრებულია სირიის საიდუმლო სამსახურის ასზე მეტ ოფიცერთან ერთად. შეუმონმებელი მონაცემებით, ბაშარ ალ-ასადი მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ გააფრთხილა რადიკალური ისლამისტური ორგანიზაცია „ჰიზბალაჰის" ერთ-ერთმა ლიდერმა.

სახელმწიფო წყობა. სირია არის მრავალპარტიული საპარლამენტო რესპუბლიკა. თუმცა, სირიის ყველა პარტიამ უნდა განაცხადოს, რომ ის მხარს უჭერს ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნების კურსს. ქვეყნის კონსტიტუცია მიიღეს 1973 წლის 13 მარტს. კონსტიტუციაში განმტკიცებულია არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის წამყვანი როლი. სახელმწიფოს თავმჯდომარეა პრეზიდენტი, რომელიც, როგორც წესი, არის პარტიის გენერალური მდივანიცაა. სირიის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის კანდიდატურა უნდა წამოაყენოს ბაასის პარტიამ, რის შემდეგაც პარლამენტს ის გააქვს საყოველთაო რეფერენდუმზე. პრეზიდენტი აირჩევა 7 წლის ვადით. 2000 წლიდან პრეზიდენტია *ბაშარ ალ-ასადი* (დაბად. 1965 წ.).

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის სახალხო საბჭოს (250 ადგილი) – ერთპალატიან პარლამენტს, რომელიც აირჩევა 4 წლის ვადით პირდაპირი, საყოველთაო არჩევნების გზით. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებით, 7 პარტია შევიდა პარლამენტში. ბაასთან ერთად ისინი აყალიბებენ სირიის ეროვნულ პროგრესულ ფრონტს. 83 დეპუტატი უპარტიოა. 18 წლის ყველა მოქალაქე მონაწილეობს არჩევნებში. არმიაში და პოლიციაში სამსახურის დროს ეს უფლება მათ უწყდებათ. პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ ის პირები, რომლებიც 5 წლის მანძილზე ცხოვრობენ სირიაში, არიან 25 წლის და ზემოთ, იციან წერა-კითხვა. პარლამენტის დეპუტატთა ნახევარი მაინც მუშები და გლეხები უნდა იყვნენ. დარეგისტრირებული კანდიდატების ოდენობას კანონი არ განსაზღვრავს. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა მთავრობა, რომელსაც თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი. 2003 წლის 10 სექტემბრიდან პრემიერ-მინისტრია *მუჰამად ნაჯი ალ-ოტარი (არაბ. მუჰამად ნაჯი ალ-'უტრი, დაბად. 1944 წ.).*

ქვეყანა ადმინისტრაციულად დაყოფილია 14 მუჰაფაზად, რომელთა თავმჯდომარეს ნიშნავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. თითოეულ პროვინციაში აირჩევა ადგილობრივი პარლამენტი. პროვინცია კუნეიტრა ოკუპირებულია ისრაელის მიერ 1973 წელს და მისი ნაწილი არის გაეროს მმართველობის ქვეშ. მუჰაფაზები იყოფა 60 რაიონად (მინტაკა), რომლებიც თავის მხრივ თემებად (ნაჰია), თემები კი სოფლად იყოფა.

ეროვნული დღესასწაული – 17 აპრილი (1946 წ.), დამოუკიდებლობის დღე.

პოლიტიკური პარტიები. ძირითადი პარტიები: 1. „არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტია" – ბაასი, მმართველი პარტია (შეიქმნა 1947 წ.). ეს სახელწოდება მიიღო 1952 წელს არაბთა აღორძინების პარტიის არაბთა სოციალისტურ პარტიასთან შერწყმის შემდეგ. ბაასისტური იდეოლოგიის საფუძველია: ერთიანობა, თავისუფლება და სოციალიზმი; 2. „არაბთა სოციალისტური დემოკრატიული აღორძინების პარტია" – ბაასის პარტიის მემარცხენე ფრთა; 3. „სირიის კომუნისტური მოქმედების პარტია" (შეიქმნა 1980 წ.) – მარქსისტული, არასამთავრობო პარტია, რომლის წევრობა ისჯება კანონით; 4. „არაბთა სოციალისტური კავშირი"; 5. პოლიტიკურ ოპოზიციას განეკუთვნება „ეროვნული ხსნის ფრონტი", რომელიც 2006 წელს შეიქმნა სირიის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის – ა. ხადამის მიერ. 6. „რეფორმების პარტია" – ოპოზიციური პარტია, რომელიც დაარსდა 2003 წელს; 7. „დამასკოს დეკლარაცია" (შეიქმნა 2005 წ.), რომელიც გამოდის სირიის საზოგადოების დემოკრატიზაციისათვის, ქვეყნის სახელმწიფო და პოლიტიკური სისტემის საფუძვლიანი რეფორმებისათვის. ხელისუფლება ყველა საშუალებით ეწინააღმდეგება ოპოზიციურ ძალებს. პერიოდულად ტარდება ოპოზიციონერთა დაპატიმრებები.

ეკონომიკა. სირიის ეკონომიკის ძირითადი სექტორია ნავთობგადამამუშავებელი (ექსპორტის მოცულობის თითქმის ნახევარი) მრეწველობა. დიდი შემოსავალი აქვს ქვეყანას ფოსფორიტების მოპოვებით. სახელმწიფო სექტორი წამყვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში, რომელზედაც მოდის ეროვნული შემოსავლის ნახევარი. სახელმწიფო სრულად აკონტროლებს ფინანსებისა და ენერგეტიკის სფეროებს, რკინიგზის და საავიაციო ტრანსპორტს. ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლებაში მოსვლის მომენტში ქვეყანა ფაქტობრივად იყო ეკონომიკური კრიზისის ზღვარზე. 1999 წელს ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი შეადგენდა 1010 ამერიკულ დოლარს, ხოლო ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი – 1,7%-ს. უმუშევრობის დონემ მიაღწია 20%-ს. ქვეყანაში არ არსებობდა სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემა და სასკოლო ასაკის ბავშვები იძულებული იყვნენ ემუშავათ, რათა შეევსოთ ოჯახის ბიუჯეტი. მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია იყო ძალიან მნიშვნელოვანი. ეროვნული შემოსავლების 50%-ს ფლობდა მოსახლეობის 5%. ახალმა ხელისუფლებამ გამოაცხადა კურსი ეკონომიკის თანდათანობითი, ეტაპობრივი ლიბერალიზაციის და მოდერნიზაციისა, რაც სახელმწიფო დაწესებულებებს აძლევს სამეურნეო დამოუკიდებლობის, ინვესტიციების მოზიდვის, საგარეო ბაზარზე გასვლის საშუალებას. 2001 წლის ივლისისათვის მიიღეს დაახლ. 100 ახალი საკანონმდებლო აქტი ეკონომიკის რეფორმირების სფეროში. 2001 წელს გატარდა საფინანსო-საბანკო სექტორის რეფორმა: ქვეყანაში დაუშვეს კერძო ბანკების მოქმედება, შემოიღეს საკრედიტო ბარათები, შეიცვალა საბანკო კრედიტების გაცემის სისტემა და სხვ. ქვეყანაში აქტიურად ვითარდება კერძო სექტორი, მასზე მოდის სამრეწველო პროდუქციის 25%. კერძო სექტორს წამყვანი პოზიცია აქვს სოფლის მეურნეობაში (თითქმის 100%.). ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებია: ხორბალი, ბამბა, ქერი და ყურძენი. განვითარებულია ცხვრის და ძროხის ხორცის, რძის წარმოება. თუმცა, ქვეყანა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას კვების პროდუქტებზე. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილურია. კვლავ მწვავეა უმუშევრობის პრობლემა, რომელმაც 2005 წელს მიაღწია 28%-ს. 2002 წელს პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა ხელი მოაწერა ბრძანებას სახელმწიფო სექტორში ხელფასების მომატების შესახებ (თვეში 6 ათას ლირამდე) – სამხედროების ხელფასი 20%-ით გაიზარდა, ხოლო პენსიები – 15%-ით. პირველად, სირიის ისტორიაში შეიქმნა სააგენტოები უმუშევრობასთან ბრძოლისათვის და გაიხსნა ბიურო სამუშაო ძალის დასაქირავებლად. გამოიყო სახსრები დასაქმების სახელმწიფო პროგრამების მხარდასაჭერად და ინსტიტუტების კურსდამთავრებულებზე დაიწყეს კრედიტების გაცემა კერძო სამეწარმეო საქმიანობისათვის.

იმპორტი: მანქანები და მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები, ვაგონები, რელსები, კვების პროდუქტები, შავი და ფერადი ლითონები, ქიმიკატები, ნართის ძაფი, ქაღალდი. *ექსპორტი*: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბამბა, აბრეშუმი, ტექსტილის ნაწარმი, პარფიუმერია, მწვანე ზეთის ხილი, ხილი და ბოსტნეული, ხორბალი, ხორცი და ცოცხალი პირუტყვი. სირიის საგარეო ვალი – 21,4 მლრდ. დოლარი. *ძირითადი სავაჭრო პარტნიორები*: აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ევროკავშირის ქვეყნები, ერაყი, ლიბანი, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, ირანი.

2008 წელს ქვეყნის ეროვნული შემოსავალი იყო 96,53 მილიარდი დოლარი, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავალმა შეადგინა 4,900 დოლარი.

განათლება. სირიაში განათლების სისტემა ეფუძნება ძველ ფრანგულ სისტემას. სახელმწიფო განათლება უფასოა სირიის მოქალაქეთა შვილებისათვის. სავალდებულოა მხოლოდ 9 წლიანი განათლება. სასკოლო განათლება იყოფა სამ საფეხურად: 1-4 წელი – საბაზო განათლების პირველი დონე (პროგრამა ითვალისწინებს არაბული ენის, არითმეტიკის, ისტორიის, ყურანის, გეოგრაფიის, სიმღერის, ხატვის,

გეოგრაფიის და ფიზკულტურის სწავლებას); 5-9 წელი – საბაზო განათლების მეორე დონე; 10-12 წელი – საშუალო განათლება. ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს პროფესიულ-ტექნიკური განათლება. განათლების რეფორმის შედეგად შემცირდა სასწავლო დანესებულებებში სამხედრო მომზადების საათების მოცულობა. შესაბამისად, შეიცვალა სკოლის მოსწავლეების სამხედრო უნიფორმა სამოქალაქოთი. ქვეყანაში უმაღლესი განათლებაც ფრანგულ მოდელს ეფუძნება. ბაკალავრიატი გრძელდება 4 ან 6 წელი (გაიცემა ლიცენზია), მაგისტრატურა – 1-2 წელი, დოქტურანტურა – 3-5 წელი. სირიაში არის 4 სახელმწიფო უნივერსიტეტი: *დამასკოს უნივერსიტეტში,* რომელიც დაარსდა 1923 წელს, 15 ფაკულტეტზე 85,837 სტუდენტი სწავლობს (ვებგვერდი – www.damasuniv.shern.net/); მეორე არის *ალეპოს უნივერსიტეტი,* რომელიც დაარსდა 1946 წელს, როგორც დამასკოს უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი და 1960 წელს გახდა დამოუკიდებელი. ახლა უნივერსიტეტში 13 ფაკულტეტია; *ლატაკიის უნივერსიტეტი* გაიხსნა 1971 წელს და იქ ფუნქციონირებს 11 ფაკულტეტი (ვებგვერდი – www.tishreen.shern.net/); ყველაზე ახალგაზრდაა *ჰომსის უნივერსიტეტი* – „ალ-ბაას", რომელიც დაარსდა 1977 წელს და აქვს 8 ფაკულტეტი (ვებგვერდი – www.al-baath.univ.ed.sy/). 1922 წელს დაარსდა დამასკოში *არაბული კვლევების ფრანგული ინსტიტუტი,* სადაც მიმდინარეობს არაბული ენის, ისლამის ისტორიის, არქეოლოგიის და გეოგრაფიის, სირიული და ახლოაღმოსავლური ეკონომიკის და სოციოლოგიის სწავლება. 2001 წელს მიიღეს ქვეყანაში კანონი კერძო უნივერსიტეტების დაარსების შესახებ. უმაღლესი განათლების სამინისტროსთან შეიქმნა „ვირტუალური უნივერსიტეტი", სადაც არის დისტანციური სწავლება ინტერნეტის საშუალებით (ვებგვერდი – www.svuonline.org.isis_beta.index.php).

ფულის ერთეული – სირიის ლირა (ფუნტი). ის იყოფა 100 პიასტრად. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 46,5281 ლირას (ფუნტს).

სომალის რესპუბლიკა
جمهورية الصومال

გეოგრაფია. სომალის რესპუბლიკა (ფორმალურად ცნობილია როგორც სომალის დემოკრატიული რესპუბლიკა) მდებარეობს აფრიკის აღმოსავლეთ ნაწილში, სომალის ნახევარკუნძულზე. დასავლეთით მას ესაზღვრება ეთიოპია (საზღვრის სიგრძე 1600 კმ), სამხრ.-დასავლეთით – კენია (682 კმ), ჩრდ.-დასავლეთით – ჯიბუთი (58 კმ), აღმოსავლეთით და სამხრეთით – ინდოეთის ოკეანე, ჩრდილოეთით – ადენის ყურე. საზღვრების საერთო სიგრძეა – 2 340 კმ, სანაპირო ზოლის სიგრძე – 3 025 კმ. საერთო ფართობი – 637,657 კვ. კმ.

მოსახლეობა. სომალის მოსახლეობა არის 9,558,666 (2008 წ. მონაცემები). მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე შეადგენს 13 ადამიანს. აქედან სომალელები – 98%, არაბები, ინდოელები, იტალიელები, პაკისტანელები – 2%. ქვეყნის სახელმწიფო ენაა სომალური, გავრცელებულია აგრეთვე არაბული, იტალიური და ინგლისური ენები. სახელმწიფო რელიგიაა სუნიტური ისლამი. მოსახლეობის 99% სუნიტი მუსლიმებია.

ჰავა. ქვეყნის სამხრეთით ჰავა სუბეკვატორულ-მუსონურია; სომალის ძირითად ტერიტორიაზე მშრალი და ცხელი ტროპიკული ჰავაა. საშუალო ტემპერატურა ზაფხულში არის 25°C -დან 32°C-მდე, ხოლო ზამთარში – 23-24°C.

დედაქალაქი – მოგადიშუ (არაბ. მაკადიშუ; 2007 წ. მონაცემებით 2,000,000 მცხოვრები), რომელიც დაარსდა X ს-ში, ხოლო XII საუკუნეში გახდა მსხვილი სავაჭრო ცენტრი. 1960 წლის 1 ივლისიდან ის დამოუკიდებელი სომალის რესპუბლიკის დედაქალაქია.

ისტორიული ნარკვევი. VII საუკუნემდე შედიოდა ეთიოპიის სახელმწიფო აქსუმის შემადგენლობაში. VII ს-დან არაბებმა დაიპყრეს და დააარსეს რამდენიმე სასულტნო (მათ შორის ადალის სასულტნო), რომლებიც არსებობდა XIX საუკუნემდე. 1899 წელს დაიწყო სომალის კოლონიზაცია ევროპის ქვეყნების მიერ და თანამედროვე სომალის ტერიტორია გაიყვეს დიდმა ბრიტანეთმა და იტალიამ. XX საუკუნის დასაწყისში *მოჰამედ აბდულლაჰ ჰასანი* (არაბ. *მუჰამმად 'აბდ ალლაჰ ალ-ჰასანი)* დიდხანს აწარმოებდა ბრძოლას იტალიის და ინგლისის წინააღმდეგ ჯიჰადის ლოზუნგით. წარმატებას მიაღწია მხოლოდ 20-იან წლებში (დამოუკიდებელი სომალის ისტორიაში ის ითვლება ეროვნულ გმირად. მის სახელს ატარებს ქვეყნის სამხედრო აკადემია). ბრიტანულმა სომალიმ დამოუკიდებლობა მიიღო 1960 წლის 26 ივნისს, ხოლო 1960 წლის 1 ივლისს იტალიური სომალის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, შეიქმნა სომალის ერთიანი სახელმწიფო.

1969 წელს ქვეყანაში მოხდა სამხედროების აჯანყება, მოკლეს ქვეყნის პრეზიდენტი – *აბდირაშიდ ალი შერმარქე (არაბ. 'აბდ არ-რაშიდ 'ალი შარმარქი, 1967-1969).* ამის შემდეგ პრეზიდენტი გახდა გენერალი – *მუჰამედ სიად ბარე (არაბ. მუჰამმად სიიად ბარი),* რომელმაც გამოაცხადა სოციალიზმის მშენებლობის კურსი ისლამური სპეციფიკით. 1970-1977 წლებში სომალიმ საბჭოთა კავშირისაგან მიიღო მნიშვნელოვანი სამხედრო და ეკონომიკური დახმარება. საბჭოთა ფლოტმა კი მიიღო თავის განკარგულებაში ბაზა ბერბერში. 70-იან წლებში ათასობით საბჭოთა სპეციალისტი მუშაობდა სომალიში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სომალიმ ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა მეზობელ ქვეყნებს და ტერიტორიებს: კენიას, ეთიოპიას, ჯიბუთის (იმ დროს აფარისა და ისას ტერიტორია). 1977-78 წლებში მიმდინარეობდა ომი ეთიოპიასთან, რაც გამონვეული იყო ეთიოპიის პროვინცია ოგადენში ეთნიკური სომალელების აჯანყებით. სომალი მალე დამარცხდა. 1980 წელს ქვეყანაში იყო სამხედრო წინააღმდეგობა სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის. 1991 წელს დაიწყო სამოქალაქო ომი, დაამხეს პრეზიდენტი სიად ბარე და ქვეყანა ქაოსმა მოიცვა. მხოლოდ იემენში 60 000 ადამიანზე მეტი გაიქცა. სომალიმ, როგორც სახელმწიფომ, ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა. ქვეყანა გაიყო რამდენიმე ნაწილად, რომლებსაც დაპირისპირებული საველე მეთაურები ხელმძღვანელობდნენ. 1991 წლის მაისში სომალის გამოეყო ჩრდილოეთი ნაწილი და მას ეწოდა სომალილენდის რესპუბლიკა.[64] 1991-1992 წლებში, სოციალური სტრუქტურების რღვევის შედეგად, სომალიში დაიწყო საშინელი შიმშილი, რომელსაც შეეწირა 300 ათასი ადამიანი. 1992 წლის დეკემბერში ოპერაციის ფარგლებში – „იმედის აღორძინება" – ქვეყანაში გაიგზავნა გაეროს სამშვიდობო ძალები, რომლებსაც საველე მეთაურებისაგან უნდა დაეცვათ იმ ორგანიზაციის თანამშრომლები, რომლებიც გასცემდნენ ჰუმანიტარულ დახმარებას. ოპერაცია იყო წარმატებული, მაგრამ

[64] ეს არის პატარა კუნძული, სადაც ცხოვრობს დაახლ. 10 000 სომალელი. დღეისათვის ამ ტერიტორიას აქვს ხელისუფლების არჩევითი ორგანოები, არმია, ადმინისტრაცია, საკუთარი ვალუტა, რომლის ემისიასაც ახორციელებს სომალილენდის ცენტრალური ბანკი. ის არ არის აღიარებული მრავალი ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. რესპუბლიკის დედაქალაქია ჰარგეისა.

ისინი შეეცადნენ სომალის შიდა კონფლიქტში ჩარევას და ბოევიკების თავდასხმის ობიექტად იქცნენ. 1993 წლის 3 ოქტომბერს ბოევიკები თავს დაესხნენ ამერიკის სპეცდანიშნულების რაზმს, ბრძოლის დროს დაიღუპა 19 ამერიკელი ჯარისკაცი და ჩამოაგდეს 2 ვერტმფრენი. საზოგადოებრიობამ ეს ფაქტი შეაფასა როგორც ამერიკის ჩარევა სომალის სამოქალაქო ომში. ამის გამო კლინტონს მოუხდა სომალიდან ჯარის გაყვანა. 1995 წლის მარტში ქვეყანა დატოვეს გაეროს შენაერთებმა სხვა ქვეყნებიდანაც. ამის შემდეგ ქვეყანა გადაიქცა ინდოეთის ოკეანის მეკობრეების ბაზად. გემებზე თავდასხმა და მძევლების აყვანა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა (2007 წელს 31 ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა).[65]

2000 წელს იყო ქვეყნის გაერთიანების წარუმატებელი მცდელობა. 2001 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გაიმარჯვა *აბდიკასიმ სალად ჰასანმა (არაბ. 'აბდი კასიმ სალად ჰასანი – 2001-2004),* მაგრამ უსაფრთხოების გამო ქვეყანას მართავდა ჯიბუთიდან. 2002 წელს სომალის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე რეგიონებმა გამოაცხადეს ავტონომია. ჩამოყალიბდა გარდამავალი ფედერალური სახელმწიფო, ცენტრით ბაიდოა. 2004 წელს შეიქმნა ალტერნატიული გარდამავალი პერიოდის მთავრობა, რომლის სათავეშიც არის *აბდულლაჰი იუსუფ აჰმედი (არაბ. 'აბდ ალლაჰ იუსუფ აჰმადი).* 2006 წლის გაზაფხულზე მოგადიშო გახდა ბრძოლების არენა ისლამური სასამართლოების კავშირსა (ჩამოყალიბდა 1990 წ.) და პროამერიკულ საველე მეთაურებს შორის. 2006 წლის 5 ივნისს „ისლამური სასამართლოების კავშირმა" სრული კონტროლი დაამყარა დედაქალაქზე, ხოლო 24 სექტემბერს სტრატეგიულ პორტ – კისმაიოზე. 2006 წლის ბოლოს ეთიოპია ჩაერია კონფლიქტში საველე მეთაურების მხარეს, გაანადგურა „ისლამური სასამართლოების კავშირის" სამხედრო შენაერთები და აღადგინა მოგადიშოში აჰმად იუსუფის ხელისუფლება. თუმცა ვითარება კვლავ დაძაბულია და ადმინისტრაცია ვერ აკონტროლებს ქვეყნის დიდ ნაწილს.

2008 წლის იანვარში ისლამისტები („სომალის ახალი განთავისუფლების ალიანსი") შეეცადნენ გარდამავალი მთავრობის დამხობას. რამდენიმე სისხლიანი შეტაკება მოხდა მთავრობის შეიარაღებულ ძალებსა და ისლამისტ ბოევიკებს შორის დედაქალაქსა და მის მიდამოებში. იყო მსხვერპლი მშვიდობიანი მოსახლეობიდან. 10 იანვარს დროებითმა პარლამენტმა დაამტკიცა მინისტრთა ახალი კაბინეტი. ძირითადი მიზანი იყო წესრიგის აღდგენა და ეროვნული შერიგება. 2008 წლის 17 იანვარს ეთიოპიის არმია შეეცადა კონტროლი დაემყარებინა ერთ-ერთ სამრეწველო რაიონზე მოგადიშოს სამხრეთით. ისლამისტები შეეცადნენ წინააღმდეგობა გაეწიათ. მათ ცეცხლი გაუხსნა ეთიოპიის არტილერიამ და მშვიდობიანი მოსახლეობიდან დაახლ 9 ადამიანი დაიღუპა. 20 იანვარს ისლამისტებმა დაცხრილეს პრეზიდენტის რეზიდენცია მოგადიშოში, ხოლო 23 იანვარს დაახლ. 5 საარტილერიო ჭურვი აფეთქდა პრემიერ-მინისტრის რეზიდენციის ახლოს, დაშინების მიზნით. 2008 წლის 9 ივნისს ჯიბუთიში, გაეროს ეგიდით, ხელი მოეწერა შეთანხმებას სომალის გარდამავალი პერიოდის მთავრობასა და ოპოზიციურ – „სომალის ახალი განთავისუფლების ალიანსს" (დომინირებენ ისლამისტები) შორის. დოკუმენტით გათვალისწინებული იყო საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა ხელმოწერიდან 30 დღეში. ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი იმოქმედებს ქვეყანაში 90 დღის განმავლობაში, რომლის გასვლის შემდეგ შესაძლებელია მისი განახლება. შეთანხმების ხელმომწერმა მხარეებმა თხოვნით მიმართეს გაეროს 120 დღის შემდეგ განელაგებინა სომალიში „საერთა-

[65] სომალის სანაპირო წყლებში მოქმედებს მეკობრეთა ჯგუფი სახელწოდებით – „სომალელი მეზღვაურები", რომლებიც იტაცებენ ჰუმანიტარულ ტვირთებს. 2008 წლის 12 აპრილს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ფრანსუა ფიონმა მოითხოვა „საერთაშორისო ესკადრის" შექმნა გაეროს ეგიდით მეკობრეთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთივე მოთხოვნა წამოაყენა ევროკავშირმა.

შორისო ძალები", რომლის შემადგენლობაშიც შევიდოდნენ სომალის „მეგობარი" ქვეყნების სამხედრო კონტიგენტები. ეთიოპიის არმიის ნაწილების გაყვანა დაიწყება მაშინ, როცა იქ განლაგდება გაეროს სამხედრო ძალების საკმარისი კონტინგენტი. ეს შეთანხმება მაშინვე უარყო „სომალის ახალი განთავისუფლების ალიანსის" ერთ-ერთმა ლიდერმა – ჰასან დაჰირ ავაიასმა, რომელიც არ ღებულობდა მონაწილეობას მოლაპარაკებებში. იგი იძებნება ამერიკაში და ადანაშაულებენ „ალ-კაიდასთან" კავშირში. უკვე 2008 წლის 13 ივნისს რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციის „შაბაბ"-ის („ახალგაზრდობა") ბოევიკები თავს დაესხნენ ქვეყნის პრეზიდენტის სააეტომობილო კორტეჟს, როცა ის გამოდიოდა დედაქალაქის აეროპორტის ტერიტორიიდან. შეტაკება გადაიზარდა ბრძოლაში ერთი მხრივ, ისლამისტებსა და მეორე მხრივ, პრეზიდენტის მომხრეებს, ეთიოპიის ჯარისკაცებს და აფრიკის სამშვიდობო კონტიგენტის სამხედრო მოსამსახურეთა შორის.

სომალის რესპუბლიკა დღეს ფაქტობრივად მხოლოდ ქვეყნის ცენტრალურ რეგიონს აკონტროლებს. ქვეყანაში არ არის ერთიანი მთავრობა, ერთიანი ვალუტა ან ცენტრალიზებული მმართველობის სხვა ატრიბუტები. რეალური ხელისუფლება არის არაღიარებული სახელმწიფოების (ყველაზე დიდია სომალილენდი და პუნტლენდი) და დაპირისპირებული შეიარაღებული დაჯგუფებების ხელში. არსებობს კლანურ-ტომობრივ პრინციპზე ჩამოყალიბებული 15-ზე მეტი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელთა შორის ყველაზე დიდია გაერთიანებული სომალის კონგრესი, სომალის ნაციონალური მოძრაობა, სომალის ხსნის დემოკრატიული ფრონტი. გაეროს უშიშროების საბჭოს 2008 წლის 19 აგვისტოს დადგენილებით, აფრიკის კავშირის მისიას კიდევ 6 თვით გაუგრძელდა მანდატი სომალიში.

2008 წლის 2 აგვისტოს სომალიში დაიწყო სამთავრობო კრიზისი. აშკარად გამოიკვეთა დაპირისპირება პრემიერსა და პრეზიდენტს შორის, რომელიც დასრულდა მათ შორის ოფიციალური შეთანხმების დადებით ადის-აბებაში (ეთიოპია), ეთიოპელი პოლიტიკოსების მონაწილეობით. თუმცა 2008 წლის 14 დეკემბერს პრეზიდენტმა დაითხოვა მთავრობა. 2008 წლის 29 დეკემბერს პრეზიდენტი აბდულლაჰ იუსუფ აჰმედი გადადგა და პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს გარდამავალი პარლამენტის სპიკერი – *ადან მოჰამედ ნურ მადობე (არაბ. 'ადან მუჰამმად ნურ მადუბი).* ამ სამთავრობო კრიზისმა პრაქტიკულად ყველა სახელისუფლო სტრუქტურის მუშაობის პარალიზება გამოიწვია. გარდამავალმა პარლამენტმა 2009 წლის 29 იანვრამდე უნდა დანიშნოს ახალი პრეზიდენტი.

სახელმწიფო წყობა. სომალი არის გარდამავალი ფედერალური სახელმწიფო. პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით. 2008 წლის 29 დეკემბრიდან პრეზიდენტიის მოვალეობას ასრულებს *ადან მოჰამედ ნურ მადობე* (დაბად. 1957წ.). უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი ეროვნული კრება (275 დეპუტატი). სომალის კონსტიტუციით, სახელმწიფოს თავმჯდომარის არყოფნის დროს (როცა პრეზიდენტს არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება), მის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის სპიკერი. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა მთავრობა. 2007 წლის 24 ნოემბრიდან პრემიერ-მინისტრის პოსტზე დაინიშნა *ნურ ჰასან ჰუსეინი* (დაბად. 1938წ.) – ყოფილი პროკურორი, რომელმაც 2 დეკემბერს ჩამოაყალიბა ახალი კაბინეტი. მასში შევიდა 31 მინისტრი, მათგან 11 სახელმწიფო მინისტრი და 31 გენერალური მდივანი. 24 საათის შემდეგ 4 მინისტრი გადადგა. 2008 წლის 14 დეკემბერს პრეზიდენტმა დაითხოვა ჰუსეინი და მისი მთავრობა და პრემიერ-მინისტრად დანიშნა მოჰამედ გამოდჰორე (არაბ. მუჰამმად მაჰმუდ 'აღმადარი). თუმცა 24 დეკემბერს ის გადადგა და ნურ ჰასან ჰუსეინმა ახალი მთავრობის კაბინეტი ჩამოაყალიბა.

ქვეყანა ადმინისტრაციულად დაყოფილია 18 ოლქად.

ეროვნული დღესასწაული – 1 ივლისი (1960წ.), დამოუკიდებლობის დღე.

პოლიტიკური პარტიები. 1. „სომალის დემოკრატიული მოძრაობა"; 2. „სომალის ეროვნული მოძრაობა"; 3. „სომალის პატრიოტული მოძრაობა"; 4. „სომალის რევოლუციური სოციალისტური პარტია"; 5. „გაერთიანებული სომალის კონგრესი".
ეკონომიკა. სომალი ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანაა. ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორია სოფლის მეურნეობა (მასზე მოდის ეროვნული შემოსავლების 40% და საექსპორტო შემოსავლების 65%), რომელშიც ჭარბობს მეცხოველეობის პროდუქცია. მოჰყავთ შაქრის ლერწამი, სორგო და მზესუმზირა. ნითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის განცხადებით, სომალი განიცდის ყველაზე მწვავე კრიზისს ბოლო ათი წლის მანძილზე, რასაც ამძაფრებს მსოფლიო ბაზარზე კვების პროდუქტებზე და ნავთობზე ფასების მკვეთრი მატება. სომალის 2,5 მლნ მცხოვრები დამოკიდებულია ჰუმანიტარულ დახმარებაზე.

იმპორტი: ბენზინი, სასუქები, კვების პროდუქტები, აღჭურვილობა. მრეწველობა შემოიფარგლება რამდენიმე საწარმოთი, რომელიც აწარმოებს შაქარს, საფეიქრო ნაწარმს და წმენდს ნავთობს. არასტაბილურმა პოლიტიკურმა ვითარებამ ქვეყანაში გამოიწვია წარმოების მოცულობის მნიშვნელოვანი დაცემა. ქვეყნის ვალი შეადგენს – 2,64 მლრდ დოლარს. *ექსპორტი:* ბანანი, ტყავი, შინაური ცხოველები, თევზი, ზღვის პროდუქტები. *სავაჭრო პარტნიორები:* საუდის არაბეთი, კენია, იტალია, ჯიბუთი, ინდოეთი, ბრაზილია, ომანი, არაბთა გაერთიანებული საამიროები, იემენი.

2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა 5,756 მილიარდი დოლარი შეადგინა. ერთ სულ მოსახლეზე საშუალო წლიური შემოსავალი იყო 600 დოლარი.
განათლება. ევროკომისია აქტიურ როლს ასრულებს სომალის მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებაში. 1996 წელს ევროკომისიამ 20 მლნ ევრო გამოყო სასკოლო განათლებისათვის, რასაც მოჰყვა დაწყებითი სკოლების გაორმაგება ქვეყანაში. სომალის რესპუბლიკაში არის ყურანის სკოლებიც. დიდი ყურადღება ეთმობა მასწავლებელთა გადამზადების პროგრამას და ტექნიკურ განათლებას (4 წელი). ქვეყანაში არის 8 უნივერსიტეტი, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია *სომალის ეროვნული უნივერსიტეტი.* ის დაარსდა 1954 წელს მოგადიშოში და აქვს 13 ფაკულტეტი. სომალი იყო ბოლო აფრიკული ქვეყანა, რომელმაც ინტერნეტი მიიღო 2000 წელს.
ფულის ერთეული – სომალის შილინგი. ერთი ამერიკული დოლარი უდრის 1,440 შილინგს (2007წ.). არაოფიციალური მონაცემებით, 2007 წელს შავ ბაზარზე ერთი აშშ დოლარი უდრიდა 23,000 შილინგს.

სუდანის რესპუბლიკა
جمهورية السودان

გეოგრაფია. სუდანი მდებარეობს აფრიკის კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. აღმოსავლეთით მას ესაზღვრება ეთიოპია და ერითრეა (საზღვრის სიგრძე 2 221 კმ); დასავლეთით – ჩადის რესპუბლიკა (1 360 კმ), ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (1 165კმ) და ლიბია(383 კმ); ჩრდილოეთით – ეგვიპტე (1 273კმ); სამხრეთით – ზაირი (628 კმ), უგანდა (435 კმ) და კენია (232 კმ); აღმოსავლეთით სუ-

დანს აკრავს მეწამული ზღვა. ქვეყნის სახელწოდება *ბილად ას-სუდან* ნიშნავს „შავების ქვეყანას". საზღვრების საერთო სიგრძეა 7 697 კმ, ხოლო სანაპირო ზოლისა – 853 კმ. ქვეყნის საერთო ფართობია – 2, 505,813 კვ. კმ.

მოსახლეობა. ქვეყნის მოსახლეობის საერთო რაოდენობა არის 40,218,456 (2008 წ. მონაცემები). მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 14 ადამიანს შეადგენს. მოსახლეობის 48% არაბებია, 42% – ნეგროიდული რასის ტომები (დინკა, ნუერი, შილლუკი). სუდანში არის 597 ტომი, რომლებიც ლაპარაკობენ 400 სხვადასხვა დიალექტზე. 2005 წლის კონსტიტუციით, სუდანის ოფიციალური ენებია – არაბული და ინგლისური. გავრცელებულია აგრეთვე ნუბიური, დინკა. სახელმწიფო რელიგიაა ისლამი. მოსახლეობის 73% აღიარებს ისლამს (99% მუსლიმი-სუნიტები, 1% – შიიტები). ქრისტიანები შეადგენენ 20%-ს, ხოლო დანარჩენი 7% მისდევს ტრადიციულ რელიგიებს.

დედაქალაქი – ხართუმი (2,207,794 მცხოვრები, 2008წ. მონაცემებით) დაარსდა XVI ს-ში. 1825 წლიდან ის სუდანის დედაქალაქია. 1899-1955 წწ. – ინგლისის კოლონიის სუდანის ადმინისტრაციული ცენტრი, 1956 წლიდან – დამოუკიდებელი სუდანის რესპუბლიკის დედაქალაქი. ადმინისტრაციულად იყოფა სამ ნაწილად, რომლებსაც აქვთ ცალკე მუნიციპალიტეტები.

ჰავა. სუდანში ჰავა მერყეობს ეკვატორულ-მუსონურიდან ტროპიკულ, უდაბნოს ჰავამდე. საშუალო ტემპერატურა ქვეყანაში არის 15°C-დან 35°C-მდე. ნალექების საშუალო რაოდენობაა 1000-დან 1400 მმ.

ისტორიული ნარკვევი. ძვ. წ. III ს-ში თანამედროვე სუდანის ჩრდილოეთ ნაწილში ჩამოყალიბდა ნუბიის ცივილიზაცია, რომელიც თავისი ისტორიით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ძველ ეგვიპტესთან. ახ. წ. IV საუკუნეში ნუბია ეთიოპიამ დაიპყრო. VI საუკუნისათვის თანამედროვე სუდანის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა რამდენიმე ქრისტიანული სახელმწიფო, რომლებიც XV ს-ში დაიმორჩილეს ფუჯას შავკანიანმა მუსლიმებმა. მათ დააფუძნეს სასულტნო – სერარი, ხოლო სუდანის დასავლეთ ნაწილში – დარფურის სასულტნო. 1820 წელს სუდანი ეგვიპტემ დაიპყრო. XIX ს-ის დასაწყისში სუდანი პრაქტიკულად დიდი ბრიტანეთის კოლონიად გადაიქცა. 1899 წლის იანვარში ინგლისსა და ეგვიპტეს შორის დადებული კონვენციით, სუდანი გამოცხადდა კონდომინიუმად – ინგლისისა და ეგვიპტის ერთობლივ სამფლობელოდ და ოფიციალურად ეწოდა ინგლის-ეგვიპტის სუდანი. 1953 წლის 12 თებერვალში კაიროში ხელი მოეწერა ინგლის-ეგვიპტის შეთანხმებას სუდანის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა 1899 წლის კონდომინიუმის გაუქმებას და სუდანისათვის თვითმმართველობის, ხოლო სამის წლის შემდეგ დამოუკიდებლობის მინიჭებას. 1953-1955 წლები იყო რთული გარდამავალი პერიოდი, რომლის დროსაც ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები და ჩამოყალიბდა სუდანის ერთპარტიული კაბინეტი (ეროვნულ-იუნიონისტური პარტია). 1955 წლის დეკემბერში ეგვიპტისა და დიდი ბრიტანეთის არმია გაიყვანეს ქვეყნის ტერიტორიიდან. 1956 წლის 1 იანვარს სუდანის პარლამენტმა მიიღო დროებითი კონსტიტუცია, რომლითაც სუდანი გამოცხადდა უნიტარულ დემოკრატიულ რესპუბლიკად. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ორი წლის შემდეგ (1958წ.) ქვეყანაში ვითარება მნიშვნელოვნად გამწვავდა მრავალი მიზეზის – ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, ადმინისტრაციის გამოუცდელობა და კორუფცია – გამო. 1958 წლის 17 ნოემბერს მოხდა სამხედრო გადატრიალება, რომელსაც სათავეში ედგა არმიის მთავარსარდალი, გენერალი *იბრაჰიმ აბუდი.* ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ გამოცხადდა *შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭო,* რომელშიც შევიდა 12 ოფიცერი. აბუდიმ დაიკავა ამ საბჭოს თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრის, თავდაცვის მინისტრისა და მთავარსარდლის თანამდებობები. პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირების საქმიანობა აიკრძა-

ლა, დაითხოვეს პარლამენტი, აიკრძალა დემონსტრაციები და შეკრებები, დაიხურა ყველა გაზეთი, გაუქმდა 1956 წლის კონსტიტუცია და ქვეყანაში გამოცხადდა საგანგებო ვითარება. 1962-64 წლებში სუდანში დაიწყო გაფიცვების სერია ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნებით. 1964 წელს სახალხო აჯანყების შედეგად ხელისუფლება დაემხო. 1968-69 წელს კვლავ იყო სამხედრო გადატრიალების მცდელობა. „თავისუფალი ოფიცრების" ორგანიზაციის წევრებმა შეიმუშავეს ხელისუფლების დამხობის გეგმა კოდური სახელით – „ჩვენ გავიმარჯვებთ". 1969 წლის 25 მაისს მათ დაამხეს კოალიციური მთავრობა. ეს იყო ე. წ. „მაისის რევოლუცია". ხელისუფლებაში მოვიდნენ სამხედროები, *ჯაფარ ნიმეირის (არაბ. ჯა'ფარ მუჰამმად ან-ნუმაირი)* ხელმძღვანელობით *და* სამოქალაქო პირები, რომელთა შორის იყვნენ კომუნისტებიც. ქვეყანამ მიიღო ახალი სახელწოდება – *სუდანის დემოკრატიული რესპუბლიკა.* მოხდა ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურის ძირეული გარდაქმნა. 1973 წელს მიიღეს კონსტიტუცია, რომელშიც ნიმეირიმ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა, რათა ადვილად ჩაეხშო დაპირისპირება რეჟიმთან (მუხლი სახელმწიფო უსაფრთხოების, პოლიტიკური უფლებებისა და იძულებითი სამუშაოების შესახებ). 1973 წლის ივლისს ჯაფარ ნიმეირიმ გამოსცა კანონი, რომლის თანახმადაც მას ოფიციალურად მიენიჭა ტიტული – „პრეზიდენტი-ლიდერი". მან მიიღო აგრეთვე გენერალ-პოლკოვნიკის ჩინი. ქვეყანაში ფაქტობრივად დამყარდა ტოტალიტარული რეჟიმი. აიკრძალა ყველა პოლიტიკური პარტია. შეიქმნა ერთიანი ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაცია – „სუდანის სოციალისტური კავშირი", რომელიც რეჟიმის დასაყრდენად გადაიქცა. *ჰასან ათ-თურაბი (არაბ. ჰასან 'აბდ ალლაჰ ათ-თურაბი)* და „მუსლიმი ძმების" სხვა ორგანიზატორები დააპატიმრეს. 1969-1977წწ-ში მიმდინარეობდა მათი დევნა. ისინი მოღვაწეობდნენ ჯერ არალეგალურად, ხოლო 1977 წლის შემდეგ კი ნახევრადლეგალურად დაიწყეს საქმიანობა. მათმა გააქტიურებამ აიძულა ნიმეირი სათანადო ღონისძიებები გაეტარებინა: ეს იყო ხელისუფლების ორგანოების ისლამიზაცია. „მუსლიმი ძმების" ორგანიზაციის წევრები დაინიშნენ სახელმწიფო პოსტებზე, არმიაში, პოლიციაში და რეგიონალურ ორგანოებში. ეროვნული შერიგების ფარგლებში ნიმეირიმ 1978 წელს გაათავისუფლა ჰასან ათ-თურაბი, შეიყვანა სუდანის სოციალისტური კავშირის პოლიტბიუროში, ხოლო 1979 წელს დანიშნა სუდანის დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრად და ნება დართო მოეხდინა სამართალწარმოების რეორგანიზაცია შარიათის საფუძველზე. 1983 წელს ნიმეირიმ შემოიტანა შარიათის კანონები, დაუშვა ისლამური ბანკები, აიკრძალა ნარკოტიკების წარმოება და გაყიდვა. ნებისმიერი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებისათვის შემოიღო კანონი სიკვდილით დასჯის ან სამუდამო პატიმრობის შესახებ ქონების კონფისკაციით. მაგრამ ნიმეირიმ ვერ შეძლო ქვეყნის გამოყვანა ეკონომიკური კრიზისიდან (პერიოდული გვალვები 1970-77წწ. და შიმშილობა). ქვეყანაში გახანგრძლივდა სამოქალაქო ომი.

1985 წლის აპრილის სამხედრო გადატრიალების შედეგად, ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ისლამისტები. სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე გახდა *აბდელ რაჰმან სუვარ ად-დაჰაბი (არაბ. აბდ არ-რაჰმან სუვარ ად-დაჰაბი).* 1986 წელს დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ კოალიციურ მთავრობას სათავეში ჩაუდგა *სადიკ ალ-მაჰდი* – „ეროვნული ფრონტის" ხელმძღვანელი.[66] ჰასან ათ-თურაბიმ ჩამოაყალიბა „ეროვნული ისლამური ფრონტი", რომელმაც არჩევნებზე მესამე ადგილი დაიკავა. 1986 წლის 6 მაისს ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს *აჰმედ ალ-მირღანი (არაბ. აჰმად ალ-მირღანი).* 1988 წელს ისლამისტებმა კვლავ მოიპოვეს გამარჯვება.

---

[66] ამ ორგანიზაციაში გაერთიანებული იყვნენ ოპოზიციური პარტიები: ალ-უმმა („ერი"), სამხრეთის დემოკრატიული პარტია და „მუსლიმი ძმები" (ხელმძღვანელი – ჰასან ათ-თურაბი). ეს ორგანიზაცია სარგებლობდა საუდის არაბეთის მხარდაჭერით.

ათ-თურაბიმ მიიღო ვიცე-პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. ისლამისტების მოსვლამ გამოიწვია დაპირისპირებები ქვეყნის შიგნით, განსაკუთრებით მის სამხრეთ ნაწილში. 1987-1988 წლებში ქვეყანაში იყო მწვავე ეკონომიკური კრიზისი, რასაც მოჰყვა სახელისუფლებო კრიზისი.

1989 წლის 30 ივნისის სამხედრო გადატრიალების შედეგად სამოქალაქო ხელისუფლება დაემხო და ძალაუფლება აიღო რევოლუციური მმართველობისა და ეროვნული ხსნის საბჭომ (15 არმიის ოფიცერი, სათავეში – გენერალი *ომარ ალ-ბაშირი ('უმარ ჰასან აჰმად ალ-ბაშირი)*. ისლამისტებისა და არმიის ურთიერთობაში რამდენიმე პერიოდი გამოიყოფა: *პირველი პერიოდი* (1989 წ. 30 ივნისი – 1993 წ. 16 ოქტომბერი) ხასიათდება „ეროვნული ისლამური ფრონტის" დომინირებული გავლენით ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. აიკრძალა პოლიტიკური პარტიები. დაითხოვეს არმიის მრავალი ოფიცერი, მოსამართლე, უნივერსიტეტის რექტორი და ისინი შეცვალეს ეროვნული ისლამური ფრონტისათვის მისაღები კანდიდატებით. რელიგიის გავლენის გაძლიერების მიზნით, 1990 წლის დეკემბერში შემოიღეს შარიათის კანონები. ისლამიზაციის პოლიტიკა ზღუდავდა არამუსლიმთა უფლებებს და ხელს უწყობდა მუსლიმური ჩრდილოეთის და ქრისტიანული და ანიმისტური სამხრეთის გამიჯვნას. ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმია გამოვიდა შარიათის კანონების წინააღმდეგ, რამაც გაართულა ქვეყნის შიდაპოლიტიკური ვითარება. ამას დაერთო ეკონომიკური კრიზისიც. ძალიან დიდი იყო ქვეყნის საგარეო ვალიც (მსოფლიო სავალუტო ფონდმა უარი განაცხადა მასთან თანამშრომლობაზე). ეს პერიოდი დასრულდა 1993 წლის 16 ოქტომბერს რევოლუციური საბჭოს დათხოვნით და ქვეყნის პრეზიდენტად *ომარ ალ-ბაშირის* გამოცხადებით.

მეორე პერიოდი (1993 წ. 16 ოქტომბერი – 1996 წ. მარტი) ხასიათდება მზარდი წინააღმდეგობით ისლამისტებსა და არმიას შორის. პირველი მიისწაფოდა შეენარჩუნებინა ან გაეუმჯობესებინა თავისი დომინირებული პოზიციები, მეორე კი – შეეზღუდა ისლამისტების ძალაუფლება. ეს პერიოდი დამთავრდა 1996 წლის მარტში ერთობლივი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებით, რომელსაც ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა. არჩევნებში ასევე არ მიიღო მონაწილეობა სამხრეთის 11 შტატის მოსახლეობამ. პარლამენტის 400 ადგილიდან უმრავლესობა ჰასან ათ-თურაბის მომხრეებმა მიიღეს. ჰასან ათ-თურაბი პარლამენტის თავმჯდომარე გახდა. პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის პოსტი კვლავ ომარ ალ-ბაშირმა დაიკავა.

მესამე პერიოდი (1996წ. მაისი – 1999წ. დეკემბერი) ხასიათდება სამხედროებისა და ისლამისტების კოალიციის დაშლით. ეროვნულმა ისლამურმა ფრონტმა დაიწყო კონსტიტუციის გადასინჯვა და 1998 წლის რეფერენდუმზე მოიწონეს ახალი კონსტიტუცია, რომელმაც დაუშვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ასოციაციების საქმიანობა. ამავე პერიოდში დაიწყო პროპაგანდა ხელისუფლების მიერ ეროვნული შერიგებისა და 16 წლიანი სამოქალაქო ომის შეწყვეტის მიზნით. მოხდა ნიმეირის დაბრუნება კაიროდან, სადაც ის 14 წელი იმყოფებოდა. 1999 წლის დეკემბერში დაიწყო სახელისუფლებო კრიზისი, რის გამოც ბაშირმა კვლავ ოპოზიციასთან შერიგება სცადა, გაათავისუფლა პოლიტპატიმრები, ოპოზიციონერებს დაუბრუნა წართმეული (1989 წელს ჩამორთმეული) ქონება. თუმცა წინააღმდეგობები გამწვავდა და 12 დეკემბერს მან დაითხოვა პარლამენტი. გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და ისლამისტები ჩამოაცილეს ხელისუფლებიდან.

მეოთხე პერიოდი (1999 წ. დეკემბერი – 2008 წ.) აღინიშნა სამხედროებსა და ისლამისტებს შორის წინააღმდეგობის გაზრდით. ალ-ბაშირსა და ჰასან ათ-თურაბის შორის მიმდინარეობდა ბრძოლა ხელისუფლებისათვის. ათ-თურაბიმ ჩამოაყალიბა თავისი პარტია – „ეროვნული სახალხო კონგრესი", მაგრამ დესტაბილიზაციის მცდელობისათვის ციხეში აღმოჩნდა. 2001 წელს ბაშირმა კვლავ დააპატიმრა ჰა-

სან ათ-თურაბი, მაგრამ ერთი წლის შემდეგ გაათავისუფლა. ქვეყანაში კვლავ დიდი საფრთხეა ისლამისტების მხრიდან.

სუდანის საზოგადოებრივი ცხოვრების დესტაბილიზაციას ძირითადად განაპირობებს ქვეყნის სამხრეთი ნაწილის მოუგვარებელი პრობლემა. ჯერ კიდევ 1972 წელს ადის აბებაში ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებდა დაპირისპირებულ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სამოქალაქო ომის შეწყვეტას და საშინაო საკითხებში სამხრეთისათვის გარკვეული ავტონომიის მინიჭებას. მშვიდობა დაახლ. 10 წელს გაგრძელდა და შეიარაღებული კონფლიქტი განაახლა სახალხო არმიამ სუდანის განთავისუფლებისათვის. ამის საბაბი გახდა ქვეყნის ისლამიზაციის პოლიტიკა, რომლის ფარგლებში 1983 წელს მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯაფარ ნიმეირიმ გაყო სამხრეთი პროვინცია – ეკვატორია სამ პროვინციად, ხოლო ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსში კი შეიტანა შარიათით გათვალისწინებული სასჯელის სახეები. ამ კონფლიქტს შეეწირა დაახლ. 2 მლნ მშვიდობიანი მცხოვრების სიცოცხლე, ხოლო 4 მლნ სამხრეთელი იძულებული გახდა გაქცეულიყო მეზობელ ქვეყნებში (ეთიოპია, კენია, უგანდა, ეგვიპტე). 1983 წელსვე სამხრეთელებმა ჩამოაყალიბეს პოლიტიკური ორგანიზაცია – „სუდანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა", რომელსაც სათავეში ჩაუდგა სუდანის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი ჯონ გარანგი. 2003-2004 წლებში სამშვიდობო მოლაპარაკებებმა აჯანყებულ სამხრეთელებსა და მთავრობას შორის შედეგი გამოიღო, მაგრამ შეიარაღებული შეტაკებები სამხრეთის ზოგიერთ რაიონში კვლავ გრძელდება. 2005 წლის 9 იანვარს მონინააღმდეგე მხარეებს შორის დაიდო სამშვიდობო შეთანხმება, რომელმაც სამხრეთ სუდანს ავტონომია მიანიჭა 6 წლის ვადით, ხოლო 2011 წელს ჩატარდება რეფერენდუმი. ამ პერიოდის განმავლობაში ნავთობიდან მიღებული შემოსავლები თანაბრად განაწილდება სამხრეთელებსა და ხელისუფლებას შორის (გამოაკლდება სტაბილიზაციის ფონდის დანახარჯები და 2% იქ მომუშავე პერსონალზე ხელფასების სახით). უსაფრთხოების დაცვის მიზნით გათვალისწინებული იყო ერთიანი არმიის შექმნა (12 ათასი სუდანის შეიარაღებული ძალებიდან და 12 ათასი ეროვნულ-განმათავისულებელი არმიიდან) გარდამავალი პერიოდის შემდეგ. იქამდე კი ისინი იმოქმედებდნენ როგორც დამოუკიდებელი შეიარაღებული ძალები. პროტოკოლი ხელისუფლების შესახებ ითვალისწინებს ხელისუფლების ამგვარ განაწილებას: სუდანის პრეზიდენტს ეყოლება ორი ვიცე-პრეზიდენტი – პირველი ვიცე-პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი. სუდანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი ხდება სუდანის პირველი ვიცე-პრეზიდენტი და ერთდროულად სამხრეთ სუდანის პრეზიდენტი. სუდანის ეროვნულ ასამბლეაში ადგილები ასე ნაწილდება: ადგილების 52% ეკუთვნის სუდანის მმართველ პარტიას – ეროვნულ კონგრესს, 28% – სუდანის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, 14% – ჩრდილოეთ სუდანის სხვა პარტიებს და 6% – სამხრეთ სუდანის სხვა პარტიებს. სუდანის პრეზიდენტი იმავდროულად არის პრემიერ-მინისტრი და ეროვნული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. პირველი ვიცე-პრეზიდენტი და სამხრეთის პრეზიდენტი ხდება სამხრეთ სუდანის მთავრობის მეთაური და სუდანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ქვედანაყოფების მთავარსარდალი. პროტოკოლში განსაზღვრულია აგრეთვე ადგილების განაწილება მინისტრთა კაბინეტში იმავე პროპორციით, როგორც ეროვნულ ასამბლეაში. პირველი ვიცე-პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი შედიან მთავრობის შემადგენლობაში. მხარეებმა დაადასტურეს, რომ არაბული ენა რჩება ძირითად ოფიციალურ ენად ეროვნულ დონეზე, ხოლო ინგლისური ენა – ეროვნული მთავრობის, ბიზნესისა და განათლების ოფიციალურ სამუშაო ენად. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია რაიონებში დამატებითი სამუშაო ენის დაშვება რეგიონალურ დონეზე. სამხრეთ რეგიონის საზღვრები დგინდებოდა 1956 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. სამხრეთის პარლამენ-

ტში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ექნება ადგილების 70%, ეროვნულ ასამბლეას – 15%, დანარჩენი 15 ადგილი – სამხრეთ სუდანის სხვა პოლიტიკურ პარტიებს. საზღვრების, საგარეო პოლიტიკის და სხვა საკითხები განეკუთვნება ცენტრალურ მმართველობას. 2005 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით სუდანში განლაგდა გაეროს სამშვიდობო მისია. 2007 წლის 11 ოქტომბრიდან 26 დეკემბრამდე ქვეყნის სამხრეთი აღარ მონაწილეობდა სუდანის სამთავრობო კაბინეტის მუშაობაში, რაც გამოყოფის ტოლფასი იყო. 2008 წლის 26 აპრილიდან 6 მაისამდე ქვეყანაში ჩატარდა მოსახლეობის აღწერა, რამაც კიდევ ერთხელ გამოინვია სამხრეთელთა მხრიდან პროტესტი. წინააღმდეგობის მიუხედავად, აღწერა დადგენილ ვადებში ჩატარდა.

დარფურის კონფლიქტი. 2003 წელს იფეთქა აჯანყებამ ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, დარფურის რეგიონში.[67] აქ არის ორი აჯანყებული დაჯგუფება, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება ბრძოლის მეთოდებით. ესაა უბრალოდ დამოუკიდებლობის მიღწევა ან ცენტრალური ხელისუფლების დამხობა. სამთავრობო არმიაც და აჯანყებულებიც ერთმანეთს ადანაშაულებენ სხვადასხვა სახის ძალადობრივ ქმედებებში. ძირითადი ბრალდებები ეხება სამთავრობო არაბულ შეიარაღებულ რაზმებს (მილიცია) – „ჯანჯავიდ". გაეროს მონაცემებით, 20 თვის განმავლობაში დაიღუპა დაახლ. 180 ათასი ადამიანი. ეთნიკური წმენდის შედეგად დაახლ. 2 მილიონმა ადამიანმა დატოვა კონფლიქტის ზონა და გადავიდა მეზობელ ჩადის რესპუბლიკაში. სიტუაცია დარფურში შეფასებულია როგორც ჰუმანიტარული კატასტროფა. 2004 წლის 23 აგვისტოს ნიგერიაში დაიწყო მრავალმხრივი მოლაპარაკებები დარფურის კრიზისის დარეგულირებისათვის. მოლაპარაკებებმა პრაქტიკულად შედეგი არ გამოიღო. 2004 წლის 18 სექტემბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია სუდანის მოვლენებზე და მოსთხოვა სუდანის ხელისუფლებას ზეწოლა ბოევიკებზე, რომლებიც ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას დარფურში. გაერომ სუდანისაგან მოითხოვა აგრეთვე აფრიკის კავშირის კონტინგენტის მნიშვნელოვანი გაზრდა დარფურში (ამ დროისათვის იქ იმყოფებოდა 80 ინსპექტორი და 300 სამხედრო მოსამსახურე სხვადასხვა აფრიკული ქვეყნიდან). სუდანის მთავრობა დარფურის კრიზისის განხილვას გაეროში თავის საშინაო საქმეებში ჩარევად მიიჩნევს. 2004 წლის 18 ოქტომბერს ტრიპოლის (ლიბია) სამიტის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ დარფურის პრობლემა უნდა გადაწყდეს საკუთარი ძალებით, საერთაშორისო ჩარევის გარეშე. 2005 წლის 31 მარტს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №1591, რომლითაც დარფურში მომხდარი დანაშაულობების საკითხი გადაეცემოდა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს. სულ მიიღეს სამი რეზოლუცია:

---

[67] დარფური უდიდესი პროვინციაა დასავლეთ სუდანში. მას ესაზღვრება ჩადი და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა. 1994 წლიდან დარფურის რეგიონი ადმინისტრაციულად იყოფა 3 პროვინციად: ჩრდილოეთი დარფური (ცენტრი - ქ. ალ-ფაშორი, არაბ. ალ-ფაშირ), დას. დარფური (ცენტრი - ქ. ელ-გენეინა, არაბ. ალ-ჯუნაინა) და სამხრეთ დარფური (ცენტრი - ქ. ნიალა). დარფურის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: შავკანიანი აფრიკელები და არაბული ტომები, რომლებიც სახლობენ რეგიონში დაახლ. XIII ს-დან. ორივე აღიარებს ისლამს. ყველაზე მრავალრიცხოვანია ფურის ეთნიკური ჯგუფი. აქედან წარმოდგება პროვინციის სახელწოდება დარ ფურ (არაბ. *ფურის ქვეყანა*). აფრიკულ ტომებსა და არაბებს შორის საუკუნეების მანძილზე იყო უთანხმოება და შეიარაღებული კონფლიქტები. XX საუკუნემდე დარფური წარმოადგენდა მონათვაჭრობის ცენტრს, რაც დაპირისპირებას იწვევდა ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის. კონფლიქტს განაპირობებდა აგრეთვე მინისა და წყლის შეზღუდული რესურსები. თანამედროვე კონფლიქტის მიზეზი გახდა შეთანხმება ხართუმსა და აჯანყებულ სამხრეთელებს შორის ნავთობიდან მიღებული შემოსავლების განაწილებაზე. დარფურის შავკანიანი მოსახლეობა თვლის, რომ შეთანხმებაში არ გაითვალისწინეს მათი ეკონომიკური ინტერესები. 2003 წლის 24-25 აპრილს „სუდანის განმათავისუფლებელი არმიის" მიერ დარფურის ადმინისტრაციულ ცენტრზე, ქალაქ ალ-ფაშურზე განხორციელებულ თავდასხმას მოჰყვა ფართომასშტაბიანი ომის დაწყება.

პირველი რეზოლუცია აწესებდა ემბარგოს დარფურში იარაღის შემოტანაზე და კრძალავდა გადაადგილებას იმ პირებისა, რომლებიც ხელს უშლიდნენ მშვიდობის დამყარებას რეგიონში; მეორემ დაგმო დანაშაულობები კაცობრიობის წინაშე დარფურში და იმავდროულად დაადგინა დარფურში საერთაშორისო სამშვიდობო კონტიგენტის გაგზავნა სამშვიდობო პროცესის მონიტორინგისათვის. მესამე რეზოლუცია ითვალისწინებდა დამატებით ანგარიშების გაყინვას და კრძალავდა შემოსვლას იმ პირებისა, რომლებიც ხელს უშლიდნენ სამშვიდობო პროცესს. 2006 წლის მაისში სუდანის ხელისუფლებასა და დარფურის აჯანყებული დაჯგუფებების ხელმძღვანელებს შორის აბუჯში (ნიგერია) ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას, მაგრამ სამხედრო მოქმედებები კვლავ გაგრძელდა. 2007 წლის ივლისში გაეროს უშიშროების საბჭოში შევიდა რეზოლუციის პროექტი, რომელიც შეიმუშავეს საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და განამ. პროექტი ითვალისწინებდა გაეროს 26 ათასიანი კონტიგენტის გაგზავნას დარფურში. ქვეყანაში უკვე არის 7 ათასიანი კორპუსი, რომელშიც შედიან სამხედრო მოსამსახურეები აფრიკის კავშირის ქვეყნებიდან. 2007 წლის 31 დეკემბერს აფრიკის კავშირმა ოფიციალურად გადასცა გაეროს მანდატი ერთობლივი სამშვიდობო ოპერაციის ჩასატარებლად დარფურში, სუდანის დასავლეთით. 2008 წლის ივნისის მონაცემებით, აქ განლაგდა სამშვიდობო კონტიგენტი, რომელშიც შედის 20000 სამხედრო მოსამსახურე და 6 ათასი პოლიციელი და სამოქალაქო პირი.

2008 წლის 13 ოქტომბერს, ომარ ალ-ბაშირმა, სუდანის ეროვნული ასამბლეის სესიაზე სიტყვით გამოსვლისას, შესთავაზა ასამბლეის წევრებს დარფურის პრობლემის გადაჭრის ახალი ვარიანტი – „სუდანის ხალხის ინიციატივა". მისი არსი მდგომარეობს სუდანის სახელმწიფოს ძალისხმევაში – კოორდინაცია გაუწიოს საერთაშორისო შუამავლების საქმიანობას დოჰაში (კატარი) სამშვიდობო პროცესის ფარგლებში და მხარდაჭერა აღმოუჩინოს ამ საქმეში გაეროს და აფრიკის კავშირს. ომარ ალ-ბაშირის აზრით, დარფურის კონფლიქტის ფუნდამენტური გადაწყვეტისათვის აუცილებელია: ძალადობის შეწყვეტა, დევნილთა დაბრუნება, ამ ოლქის ეკონომიკური მდგომარეობის გათანაბრება სუდანის სხვა რეგიონებთან (პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ 2009 წელს დარფურის განვითარებაზე გამოიყოფა 250 მლნ დოლარი); „ფართო თვითმმართველობის" ჩამოყალიბება დარფურში. ანალიტიკოსების აზრით, ოფიციალური ხართუმის პოზიციის ცვლილებაზე იმოქმედა ომარ ალ-ბაშირსა და მის გარემოცვაზე ბოლო პერიოდში განხორციელებულმა საერთაშორისო ზეწოლამ – მუქარამ, რომ საერთაშორისო სასამართლოს გადასცემდნენ ორდერს სუდანის ლიდერის დაპატიმრებაზე. უმარ ალ-ბაშირს ბრალი დასდეს 2003 წ. მარტიდან 2008 წ. ივლისამდე სახელმწიფო აპარატის, შეიარაღებული ძალების და არაბული ტომობრივი შენაერთის – ჯანჯავიდის გამოყენებით: 10 დანაშაულის (ეთნიკური ჯგუფების გენოციდი, განუსაზღვრელი რაოდენობის სამოქალაქო პირთა მკვლელობა დარფურის რაიონში, ამ რაიონის მოსახლეობის ცხოვრების პირობების შეგნებული გაუარესება; ადამიანთა წამება; მოსახლეობის გარკვეული ნაწილის იძულებითი გადასახლება; ქალაქების ძარცვა; მიზანმიმართული სამხედრო იერიშები მშვიდობიან მოსახლეობაზე და სხვ.) ჩადენაში. შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა ამ ინიციატივას ბოიკოტი გამოუცხადეს.

სახელმწიფო წყობა. სუდანი ავტორიტარული სახელმწიფოა, სადაც პოლიტიკური ხელისუფლება არის პრეზიდენტის ხელში. ქვეყნის კონსტიტუცია მიიღეს 1998 წლის 30 ივნისს, შესწორებები შეიტანეს 1999 წლის 12 დეკემბერს. 2005 წლის 5 ივლისს მიიღეს დროებითი კონსტიტუცია. სამხრეთ სუდანის კონსტიტუცია ხელმოწერილ იქნა 2005 წლის დეკემბერში. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი, რომელიც არის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური და გარდამავალი ეროვნული ასამბლეა. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა მთავ-

რობა. სუდანის პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტია *ომარ ალ-ბაშირი* (დაბად. 1944წ.). სუდანის პირველი ვიცე-პრეზიდენტი და სამხრეთ სუდანის ავტონომიური სახელმწიფოს პრეზიდენტია *სალვა კირ მაიარდიტი* (დაბად. 1951წ.).

სუდანის პარლამენტი ჩამოყალიბდა 2005 წელს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის შეთანხმების შემდეგ და ის ორი პალატისაგან შედგება: *ეროვნული ასამბლეა* – 450 დანიშნული წევრისაგან შედგება (გარდამავალ პერიოდში მასში შედის ჩრდილოეთ სუდანის პარტიები 55% და სამხრეთ სუდანის პარტიების 45%) და *შტატების საბჭო*, რომელიც 50 პირდაპირ არჩეული წევრისაგან შედგება (უფლებამოსილების ვადა 6 წელი).

1997 წლიდან ქვეყანა ადმინისტრაციულად დაყოფილია 26 ვილაიეთად. 1983 წლიდან 1997 წლამდე ქვეყანა დაყოფილი იყო ჩრდილოეთის ხუთ და სამხრეთის სამ რეგიონად, რომელთაგან თითოეულს სათავეში ედგა სამხედრო მმართველი.

ეროვნული დღესასწაული – 1 იანვარი (1956წ.), დამოუკიდებლობის დღე.

პოლიტიკური პარტიები. უკვე 1999 წელს 17 პარტია მოქმედებდა. სუდანის ოფიციალური პოლიტიკური პარტია არის ეროვნული კონგრესი, რომელიც 1998 წელს დაარსდა. სხვა ძირითადი პარტიებია: „ლიბერალ-დემოკრატები"; „ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი"; „ეროვნული ისლამური ფრონტი"; „სუდანის ხალხთა ლიბერალური მოძრაობა; „სუდანის კომუნისტური პარტია".

ეკონომიკა. სუდანის ეკონომიკა განიცდის ღრმა კრიზისს, რომელიც გამონვეულია სამოქალაქო ომით, ქრონიკული პოლიტიკური არასტაბილურობით და მაღალი ინფლაციით. ეკონომიკაში დომინირებს სახელმწიფო სექტორი. მრეწველობის ძირითადი დარგებია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავება, სამშენებლო მასალების და სამომხმარებლო საქონლის წარმოება. უკანასკნელ წლებში (1999 წლიდან) სწრაფად ფართოვდება ნავთობის მოპოვება, რომლის ექსპორტი გახდა სავალუტო შემოსავლების ძირითადი წყარო. 2006 წელს მოიპოვეს 132,7 მლნ ბარელი ნავთობი. ძირითადი სამრეწველო ცენტრებია: ხართუმი, ჩრდილოეთი ხართუმი, ომდურმანი, პორტ-სუდანი. კერძო სექტორის მოქმედების ძირითადი სფეროებია სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა. 2007 წელს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას სერიოზული ზარალი მიაყენა წვიმების სეზონმა, რომელსაც წყალდიდობა მოჰყვა. სტიქიური უბედურება შეეხო სუდანის 25 შტატიდან 8-ს. სამხრეთ სუდანის მთავრობამ უბედურების ზონად გამოაცხადა სამხრეთის 10 შტატიდან ექვსი. დაახლ. 400 ათასი სუდანელი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლი, 30 ათასი ნაგებობა დაინგრა და დაიღუპა 12 ათასი სული პირუტყვი.

2007 წლის 29 მაისს ძალაში შევიდა სუდანის ბანკის დადგენილება, რომელმაც დააწესა შეზღუდვები ქვეყანაში უცხოური ვალუტის გადარიცხვებზე, შემოტანასა და მიმოქცევაზე. ახალი წესების შესაბამისად, სუდანელებს არა აქვთ უფლება იყიდონ უცხოური ვალუტა ბანკებში და გადაცვლის პუნქტებში. ეკრძალებათ აგრეთვე უცხოური ვალუტით სარგებლობა ქვეყნის შიგნით. შეზღუდვები არ შეეხო უცხოელებს და უცხოურ ორგანიზაციებს. 2007 წელსვე ამერიკამ გაამკაცრა ეკონომიკური სანქციები სუდანის მიმართ (სანქციები დაუწესა 1997 წლიდან).

ექსპორტი: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ბამბა, ქუნჯუთი, მიწის თხილი, შაქარი, ცოცხალი პირუტყვი. *იმპორტი*: ნავთობი, სატრანსპორტო აღჭურვილობა, კვების პროდუქტები, ხორბალი, საფეიქრო ნაწარმი. *სავაჭრო პარტნიორები*: საუდის არაბეთი, ჩინეთი, იაპონია, ეგვიპტე, ინდოეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები.

2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 88,95 მილიარდი დოლარი, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი იყო 2,200 დოლარი.

განათლება. ქვეყანაში, განსაკუთრებით სამხრეთ სუდანში, ძალიან დაბალია განათლების დონე. სუდანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაცემებით,

ყოველი 4 მოსახლიდან 3 წერა-კითხვის უცოდინარია. ქალებს შორის გაუნათლებლობის დონე უფრო მაღალია. 10 ქალიდან 9 გაუნათლებელია. მასწავლებელთა მხოლოდ 7%-აქვს სათანადო კვალიფიკაცია. სახელმწიფო განათლება უფასოა და სავალდებულოა 6-დან 13 წლამდე ბავშვებისათვის. 1990 წლამდე ქვეყანაში მოქმედებდა სამსაფეხურიანი სწავლება – 6+3+3. ამჟამად მოქმედებს ორსაფეხურიანი სწავლება: დაწყებითი განათლება – 8 წელი და საშუალო განათლება – 3 წელი. ყველა საფეხურზე ისწავლება არაბული ენა. სუდანს აქვს 19 უნივერსიტეტი, რომლებშიც უპირატესად არაბულ ენაზეა სწავლება. ყველაზე ძველია *ხართუმის უნივერსიტეტი* (დაარსდა 1956წ.), სადაც არის 23 ფაკულტეტი და სწავლობს 16,800 სტუდენტი, რომელთა 55% არის ქალი (ვებგვერდი – www.uofk.edu/). სუდანში არის კერძო ქალთა უნივერსიტეტიც – *აჰფადის უნივერსიტეტი* ომდურმანში. დაარსდა როგორც გოგონათა სკოლა 1905 წელს და 1966 წელს მიიღო უნივერსიტეტის სტატუსი (ვებგვერდი – www.ahfad.org/).

ფულის ერთეული – სუდანის ფუნტი. 1992 წლის 12 მაისს მიმოქცევაში შემოვიდა ახალი ფულადი ერთეული – დინარი, რომელმაც შეცვალა სუდანის ფუნტი. 2007 წლის 9 იანვრიდან კვლავ სუდანის ფუნტია მიმოქცევაში. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 2,1 ფუნტს.

ქუვეითის სახელმწიფო
دولة الكويت

გეოგრაფია. ქუვეითი მდებარეობს აზიის კონტინენტის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (სპარსეთის ყურის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირზე). სამხრეთით მას ესაზღვრება საუდის არაბეთი (საზღვრის სიგრძე 222 კმ); ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით – ერაყი (242 კმ), აღმოსავლეთით – სპარსეთის ყურის სანაპირო. საზღვრების საერთო სიგრძეა – 464 კმ, სანაპირო ზოლისა – 499 კმ. ქუვეითის საერთო ფართობია 17 818 კვ. კმ. ფართობის მიხედვით, ქუვეითი ერთ-ერთი ყველაზე პატარა ქვეყანაა მსოფლიოში და ერთადერთი, სადაც არ არის ბუნებრივი ტბა ან წყლის რეზერვუარი. ქვეყნის ტერიტორია შედგება 9 კუნძულისაგან, რომელთაგან ყველა, ფაილაკას გარდა, დაუსახლებელია.

მოსახლეობა. ქუვეითის მოსახლეობა სწრაფად მატულობს მაღალი შობადობისა და დიდი იმიგრაციის გამო. ქუვეითის მოსახლეობის რაოდენობაა 2,596,799 (2008წ. მონაცემები). მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 131 ადამიანს შეადგენს. მოსახლეობის 57% ქუვეითელებია, ხოლო 39% სხვა არაბები (ლიბანელები, ეგვიპტელები და სხვ.). არიან აგრეთვე აზიელები (პაკისტანელები, ირანელები, ინდოელები). მოსახლეობის 4%-ს შეადგენენ ბედუინები. ქუვეითის სახელმწიფო ენა არაბულია. ფართოდაა გავრცელებული ინგლისური ენა. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი – 81,17% – ისლამის აღმსარებელია. აქედან 64,13% სუნიტებია და 35,87% – შიიტები. არიან ქრისტიანებიც (300 000-დან 400 000-მდე), ინდუიზმის (300 000), ბუდიზმის (100 000), სიქჰის (10 000) მიმდევრები.

ჰავა. ქუვეითის ჰავა ხასიათდება ცხელი და მშრალი ზაფხულის პერიოდით, რომელსაც ცვლის ხანმოკლე, თბილი და ზოგჯერ წვიმიანი ზამთარი. ტერიტორიის ძირითადი ნაწილი უდაბნოა. საშუალო ტემპერატურა იანვარში არის 11°C, ივლისში – 34°C. დღისით ხშირად აღწევს 43°C-ს. მაისიდან ოქტომბრამდე ქრის ქვიშიანი ქარები. ნალექების საერთო რაოდენობა წლიურად 100-დან 150 მმ-ია.

დედაქალაქი – ქალაქი *ალ-ქუვაითი* (არაბ. მადინათ ალ-ქუვაით, 2,380,000 მცხოვრები). ქალაქი არის საზღვაო პორტი სპარსეთის ყურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ის არის აგრეთვე ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და ლამაზი ქალაქი. დედაქალაქში თავმოყრილია სამთავრობო ბანკები, სავაჭრო ფირმები და საერთაშორისო აეროპორტი.

ისტორიული ნარკვევი. თანამედროვე ქუვეითის ტერიტორია VII საუკუნიდან შედიოდა არაბთა სახალიფოს, ხოლო XVI ს-დან ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. 1756 წელს მიიღო ავტონომიის სტატუსი და XVIII ს-ში დაფუძნდა ქუვეითის საამირო საბაჰთა დინასტიის მიერ. 1899 წლიდან ქუვეითი იყო ინგლისის პროტექტორატის ქვეშ. 1914 წელს მიიღო დამოუკიდებლობა, მაგრამ ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გამწვავდა ინგლის-ამერიკის ბრძოლა ქუვეითის ნავთობისათვის. ინგლისი ეყრდნობოდა თავის პოლიტიკურ ბატონობას რეგიონში, ხოლო აშშ – თავის უპირატესობას საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში. ინგლის-ამერიკის სანავთობო კომპანიამ 1946 წელს დაიწყო ნავთობის სამრეწველო მოპოვება. 1952 წლის ეგვიპტის რევოლუციამ, 1956 წლის სუეცის კრიზისმა და 1958 წლის ერაყის რევოლუციამ გაამძაფრა ანტიინგლისური განწყობა საამიროში და გააქტიურა პატრიოტული ძალების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1961 წლის 25 თებერვალს ქუვეითი გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. 1961 წლის 19 ივნისს მიიღო დამოუკიდებლობა დიდი ბრიტანეთისაგანაც. 1961 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა უმაღლესი საბჭო – სათათბირო ორგანო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა ას-საბაჰის ოჯახის 10 წარმომადგენელი და ჩატარდა არჩევნები დამფუძნებელი კრებისა, რომელსაც უნდა შეემუშავებინა კონსტიტუციის პროექტი. ამირამ მოიწვია ეგვიპტელი იურისტები. 1962 წელს დაამტკიცეს კონსტიტუცია და ქუვეითი გამოცხადდა მუბარაქ ას-საბაჰის მემკვიდრეობით საამიროდ. კონსტიტუციამ დიდი უფლებამოსილება მიანიჭა ამირას, კანონმდებლობით განამტკიცა სიტყვის თავისუფლება, საყოველთაო საარჩევნო უფლება და ფარული კენჭისყრა არჩევნებზე, რაც იმ პერიოდში სპარსეთის ყურეში რევოლუციურ გარდაქმნად ითვლებოდა. 1963 წელს ჩატარდა პირველი საპარლამენტო არჩევნები.

1965 წლის ნოემბერში ამირა გახდა აბდულლაჰ III-ის ნახევარძმა – *საბაჰ III ას-სალიმ ას-საბაჰი* (1965-1977), რომელმაც გააგრძელა ეროვნული სუვერენიტეტის განმტკიცების პოლიტიკა. 1967 წლის არაბეთ-ისრაელის ომში ქუვეითმა არაბულ ქვეყნებს დაუჭირა მხარი. ქუვეითი გახდა ერთ-ერთი პირველი აქტიური მონაწილე ბაღდადის კონფერენციისა, რომელზედაც ნავთობმომპოვებელმა არაბული ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება ემბარგო შემოეღოთ ნავთობის მიყიდვაზე ისრაელის მხარდამჭერი ქვეყნებისათვის. ქუვეითი იყო აგრეთვე ერთ-ერთი ინიციატორი ხართუმის კონფერენციისა, რომელზედაც გადაწყდა დახმარება აღმოეჩინათ არაბული ქვეყნებისა და ისრაელის ომში დაზარალებული „არაბი ძმებისათვის". 1975 წელს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა შიდაპოლიტიკური ბრძოლის ვითარებაში. ეროვნული კრების შემადგენლობაში შევიდნენ ახალი სოციალური ფენის (ბიზნესმენები, ტექნოკრატები, ფინანსისტები) წარმომადგენელი დეპუტატები. თუმცა, ახალმა პარლამენტმა არ მიიღო მთავრობის მიერ შეთავაზებული მთელი რიგი კანონპროექტებისა და დაიწყო პოლიტიკური კრიზისი. 1976 წლის აგვისტოში ამირამ სპეციალური დეკრეტით დაითხოვა ეროვნული კრება, გააუქმა კონსტიტუციის ზო-

გიერთი მუხლის მოქმედება. ამის პარალელურად გამოაცხადა, რომ დაიხურებოდა ნებისმიერი ბეჭვდითი ორგანო, რომლის „პოლიტიკური ხაზი ერის ინტერესების საწინააღმდეგო იქნებოდა".

1977 წლის დეკემბერში გარდაიცვალა ას-საბაჰ III ას-სალიმ ას-საბაჰი და მისი მემკვიდრე გახდა *ჯაბერ III ალ-აჰმად ალ-ჯაბერ ას-საბაჰი (არაბ. ჯაბირ აჰმად საბიჰ, 1977-2006).* 1978 წლის თებერვალში ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა, რომელშიც ადგილების თითქმის ნახევარი მმართველი დინასტიის წევრებმა დაიკავეს. 1979 წელს ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ხელისუფლებას შეეშინდა ოპოზიციური ძალების ანტისამთავრობო გამოსვლებისა და მკაცრი კონტროლი დააწესა პროირანული დაჯგუფებების საქმიანობაზე. იმავდროულად მიიღეს გადაწყვეტილება ეროვნული კრების მუშაობის განახლებაზე. 1981 წლის 18 თებერვალს ქუვეითი კვლავ დაუბრუნდა საპარლამენტო სისტემას. არჩევნებში გამარჯვებული დეპუტატების ძირითადი ნაწილი ლოიალურად იყო განწყობილი მმართველი დინასტიისადმი. ამასთან, ორჯერ შემცირდა შიიტების მიერ დაკავებული ადგილების რაოდენობა და თავისი მდგომარეობა განიმტკიცეს მუსლიმმა ფუნდამენტალისტებმა, რომლებიც თავიანთი იდეურ-პოლიტიკური შეხედულებებით ახლოს იყვნენ მეზობელი არაბული ქვეყნების „მუსლიმი ძმების" ორგანიზაციებთან. 1983 წლის ბოლოს მუსლიმურმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა რამდენიმე აფეთქება განახორციელეს ქვეყანაში. ფუნდამენტალისტების მხრიდან საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ხელისუფლებამ დაიწყო „ისლამიზაცია ზემოდან": მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაიზარდა რელიგიურ საკითხებზე მასალების მოცულობა და რელიგიური დისციპლინების სწავლების საათები სკოლებში, დაიწყო „ზომიერი ისლამის" პროპაგანდა და მისი ექსტრემისტული გამოვლინებების დისკრედიტაცია. 1985 წლის მაისში მოხდა თავდასხმა ამირაზე, ხოლო ივლისში კვლავ დაიწყო აფეთქებების ახალი ტალღა. ხელისუფლებამ ტერორისტულ აქტებს უცხოელების მასობრივი დეპორტაციით უპასუხა. 80-იან წლებში უკიდურესად გამწვავდა სოციალური და შიდაპოლიტიკური უთანხმოებები. ას-საბაჰის მმართველი დინასტია დაადანაშაულეს საერთო ეროვნული სიმდიდრის უზურპაციასა და კორუფციაში. ეთნიკურმა და კონფესიურმა უმცირესობებმა (შიიტური მოსახლეობა, ქუვეითის ირანელი ქვეშევრდომები) განაცხადეს, რომ ხელისუფლებას სწორედ მათზე გადააქვს კრიზისის მთელი სიმძიმე.

1990 წლის დასაწყისში გამწვავდა ურთიერთობა ერაყთან იმის მიუხედავად, რომ ირან-ერაყის ომში (1980-1988) ქუვეითის ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა ერაყს. 1990 წლის ივლისში ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსაინმა დაადანაშაულა ქუვეითი ნავთობის მოპოვების კვოტების შესახებ ხელშეკრულებების დარღვევაში, „ერაყის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციაში"[68] და „იმპერიალიზმისა და სიონიზმის" დახმარებაში. 1990 წელს 2 აგვისტოს ერაყის არმიამ დაიწყო საბრძოლო ოპერაციები ქუვეითის დასაპყრობად. ეს ომი ცნობილია სახელწოდებით – „ომი სპარსეთის ყურეში". 8 აგვისტოს სადამ ჰუსაინმა ქუვეითი გამოაცხადა ერაყის მე-19 პროვინციად. 1990

[68] ერაყი აცხადებდა, რომ ქუვეითი იყო ქვეყნის სამხრეთი პროვინცია, რომელიც 1913 წელს მიიტაცა დიდმა ბრიტანეთმა. პრაქტიკულად, ერაყის ხელისუფლება, მონარქიული და რესპუბლიკური, არ ცნობდა ინგლისის პროტექტორატს ქუვეითზე. 1961 წელს ერაყი გამოვიდა ქუვეითისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების წინააღმდეგ, ხოლო ერაყის მაშინდელმა სახელმწიფოს მეთაურმა – გენერალმა აბდულ ქარიმ კასიმმა ქუვეითი გამოაცხადა „ერაყის განუყოფელ ნაწილად". ამ პრეტენზიის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ პირველ მსოფლიო ომამდე ქუვეითი ერაყთან ერთად შედიოდა ოსმალეთის პროვინცია ბასრას შემადგენლობაში. 1963 წლის 4 ოქტომბერს ერაყის ბაასისტურმა ხელისუფლებამ ცნო ქუვეითის სუვერენიტეტი, მაგრამ 1973 წელს კვლავ განაცხადა პრეტენზიების ქუვეითის ტერიტორიებზე – ვარბას და ბუბიანის კუნძულებზე სპარსეთის ყურეში.

წლის 9 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭომ დაგმო ერაყის მიერ ქუვეითის ანექსია. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ყველა ცდა მარცხით დამთავრდა. 1991 წელს საერთაშორისო კოალიციის ძალებმა განახორციელეს ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი" და 28 თებერვალს ქუვეითი განთავისუფლდა. ერაყის არმია უკან დახევის დროს ანადგურებდა ნავთობის ჭაბურღილებს და აფეთქებდა ნავთობსადენებს. ამის შედეგად ქუვეითმა მიიღო დიდი ზარალი – 5 მლრდ. დოლარი. 1991 წლის სექტემბერში ხელი მოეწერა ქუვეით-ამერიკის თანამშრომლობის ხელშეკრულებას სამხედრო სფეროში 10 წლის ვადით. ანალოგიური ხელშეკრულებები დაიდო დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთთან (1992 წ.) და რუსეთთან (1993 წ.). 1993 წელს ერაყმა მეორედ სცადა ქუვეითში შეჭრა, მაგრამ ამერიკის ჩარევით უკუაგდეს.

2006 წლი15 იანვარს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა ჯაბირ III და ახალ ამირად გამოცხადდა მემკვიდრე პრინცი, 75 წლის საად აბდ ალლაჰ ას-სალიმ ას-საბაჰი. პირველად ქუვეითის ისტორიაში პარლამენტმა არ დაამტკიცა ამირას კანდიდატურა და გამოვიდა ინიციატივით, რომ აერჩიათ ახალი მმართველი, ვინაიდან მემკვიდრე პრინცი მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ შეძლებდა თავისი მოვალეობების შერულებას. ქუვეითის ამირა გახდა *საბაჰ IV ალ-აჰმად ალ-ჯაბერ ას-საბაჰი (არაბ. საბაჰ ალ-აჰმად ალ-ჯაბირ ას-საბაჰი).* ის 40 წლის განმავლობაში (1963-2003) ასრულებდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას. 2003 წელს გახდა პრემიერ-მინისტრი. პრეზიდენტობის პერიოდში გაატარა მთელი რიგი დემოკრატიული რეფორმები: ქალებს მისცა საარჩევნო ხმის უფლება და ნება დართო დაეკავებინათ სახელმწიფო თანამდებობები, შეარბილა კანონი შეკრებების შესახებ და პრესის კანონი. იმავდროულად 6-ჯერ გაზარდა სამეფო ოჯახზე დანახარჯები. ქუვეითში არის მრავალი გადაუჭრელი პრობლემა: განხეთქილება მდიდრებსა და ღარიბებს, მოქალაქეებსა და ქვეყანაში მომუშავე უცხოელებს შორის; მოქალაქეობის მინიჭების პრობლემა ბედუინებისათვის, რომელთაც ვერ შეძლეს ქვეყანაში ხანგრძლივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა; პოლიტიკური კრიზისი – დაპირისპირება პარლამენტსა და მთავრობას შორის.

სახელმწიფო წყობა. ქუვეითი არის კონსტიტუციური მონარქია. ქვეყნის კონსტიტუცია მიიღეს 1962 წლის 11 ნოემბერს. კონსტიტუციით, სახელმწიფოს მეთაურია ამირა, რომლის პიროვნება ხელშეუხებელია. 2006 წლის 29 იანვრიდან ამირა არის *საბაჰ IV ალ-აჰმად ალ-ჯაბერ ას-საბაჰი* (დაბად. 1929 წ.), აჰმად ალ-ჯაბერის მეოთხე ვაჟი და გარდაცვლილი ამირას – ჯაბერ ალ-აჰმადის ძმა. ქუვეითი მემკვიდრეობითი საამირაა, სადაც ამირები მორიგეობით ხდებიან მუბარაქ ას-საბაჰის (1896-1915) ორი ვაჟის – ჯაბერისა და სალიმის შთამომავლები. საბაჰ ალ-აჰმადის შემთხვევაში ეს ტრადიცია დაირღვა.

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული საბჭო, ასამბლეა (მაჯლის ალ-უმმა) შედგება 50 წევრისაგან, და, დამატებით, მინისტრთა კაბინეტის 15 დანიშნული მინისტრისგან. დეპუტატები აირჩევიან პირდაპირი, ფარული კენჭისყრით. არჩევნები ტარდება ყოველ 4 წელიწადში ერთხელ. კანდიდატი უნდა პასუხობდეს სამ მოთხოვნას: უნდა იყოს მკვიდრი ქუვეითელი, 30 წელზე მეტი ასაკის და შეეძლოს წერა-კითხვა არაბულად. პირველი საპარლამენტო არჩევნები ქვეყანაში ჩატარდა 1963 წლის 23 იანვარს. კონფლიქტებმა პარლამენტსა და მთავრობას შორის განაპირობა მისი დათხოვნა 1976, 1982, 1986, 1999 და 2007 ნლებში. ბოლო ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა 2008 წლის 17 მაისს. გამარჯვება მოიპოვეს კონსერვატორებმა, ისლამისტური ორგანიზაციების კანდიდატებმა და იმათ, ვინც თავის პროგრამაში მხარს უჭერს ხელისუფლების პოზიციას.

უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოა – მინისტრთა საბჭო. პრემიერ-მინისტრი ინიშნება ამირას ბრძანებით „ტრადიციული კონსულტაციების" შემდეგ. მთავრობის მინისტრები არ უნდა იყვნენ ეროვნული კრების წევრები, მაგრამ დანიშვნის

შემდეგ ხდებიან მისი წევრები თანამდებობით. მინისტრებს ნიშნავს ამირა, პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციით და ეროვნული კრება არანაირ როლს არ ასრულებს თანამდებობის პირების არჩევაში. მინისტრების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ეროვნული კრების წევრთა საერთო რაოდენობის ერთ მესამედს. პრემიერ-მინისტრი თავმჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს სხდომებს, რომელიც ტარდება დახურულ კარს მიღმა. 2006 წლის თებერვლიდან პრემიერ-მინისტრია *ნასერ ალ-მოჰამედ ალ-აჰმედ ას-საბაჰი (არაბ. ناصر محمد الأحمد الصباح, დაბად. 1940 წ.).* მისი პრემიერობის პერიოდში ქვეყანამ გადაიტანა ხუთი პოლიტიკური კრიზისი: მთავრობის პირველმა შემადგენლობამ იმუშავა 143 დღე, რის შემდეგაც პარლამენტი დაითხოვეს მთავრობასა და პარლამენტს შორის სერიოზული უთანხმოების გამო. 2006 წლის ზაფხულში ჩატარდა ახალი საპარლამენტო არჩევნები. მთავრობის ახალმა შემადგენლობამ იმუშავა 238 დღე. 2007 წლის მარტში, მორიგი პოლიტიკური კრიზისის შემდეგ, ქუვეითის ამირამ კვლავ დაითხოვა პარლამენტი და 17 მარტს ჩატარდა ვადამდელი არჩევნები. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მთავრობის შემადგენლობაშიც. პარლამენტი მკვეთრად აკრიტიკებს მთავრობის საქმიანობას, გამოდის ცალკეული მინისტრების საქმიანობის შესწავლის მოთხოვნით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი მმართველი ოჯახის წევრები არიან. 2008 წლის მაისში და დეკემბერში, პოლიტიკური კრიზისების შემდეგ, კვლავ ჩამოყალიბდა მინისტრთა ახალი კაბინეტი.

არჩევნებში მონაწილეობენ მხოლოდ მამაკაცები 21 წლის ზემოთ. 2005 წლის მაისში ქალებს ნება დაერთოთ მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა და იმავე წელს ქალი – მასუმა მუბარაქი დაინიშნა სახელმწიფო მინისტრად. ქვეყნის შემადგენლობაში არის 5 გუბერნია (მუჰაფაზა), რომლებსაც ხელმძღვანელობს გუბერნატორი და ის არის ამირას მოადგილე. როგორც წესი, გუბერნატორები არიან მმართველი ოჯახის წევრები ან მასთან დაახლოებული პირები. გუბერნატორს ეხმარება საგუბერნიო საბჭო (მაჯლის ალ-მუჰაფაზა), რომლის შემადგენლობაშიც არის 16 დანიშნული წევრი. გუბერნატორები და მათი საბჭოები თვალყურს ადევნებენ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, რეაგირებას ახდენენ მოქალაქეთა პრობლემებზე და მოქალაქეებსა და ცენტრს შორის შუალედურ რგოლს წარმოადგენენ. თითოეული საგუბერნიო იყოფა რაიონებად ან ოლქებად. თითოეულ რაიონს თავმჯდომარეობს მერი, რომელიც პასუხისმგებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე. ქვეყანაში არის მხოლოდ ერთი მუნიციპალური საბჭო. მასში შედის 16 წევრი – 6 ინიშნება ამირას მიერ, ხოლო 10 აირჩევა 9 საარჩევნო ოლქში. საბჭოს დიდი უფლებები აქვს კომერციული ლიცენზირების, ჯანდაცვის, მინის საკუთრების შეძენის სფეროში, ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებაში, მშენებლობაზე ლიცენზიის გაცემისას ქალაქის ზონაში.

ეროვნული დღესასწაული – 25 თებერვალი (1950წ.).

პოლიტიკური პარტიები. ქვეყანაში პოლიტიკური პარტიები პრაქტიკულად არალეგალურია, მაგრამ არ არის აკრძალული. არსებობს რამდენიმე სხვადასხვა მიმართულების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია. ქუვეითის პოლიტიკური სისტემა არ ეყრდნობა პარტიულ სტრუქტურას. 2008 წლის ნოემბერში ქუვეითის პარლამენტში შევიდა კანონპროექტი პარტიებზე, რომლის მიზანია პარტიული საქმიანობის საკანონმდებლო ბაზის განმტკიცება. თუმცა პარტიები არ მიიღებენ მონაწილეობას მთავრობის ფორმირებაში, რადგანაც ეს იქნება კონსტიტუციის დარღვევა (კონსტიტუციით მხოლო ამირას აქვს უფლება დანიშნოს პრემნიერ-მინისტრი და წარადგინოს მინისტრთა კაბინეტის წევრები. კანონპროექტში ხაზგასმითაა მითითებული, რომ იკრძალება პარტიების შექმნა სამხედრო სტრუქტურებში, საკანონმდებლო ორგანოებში და სპეცსამსახურებში. პარტიებმა უნდა ისარგებლონ და-

ფინანსების მხოლოდ ადგილობრივი წყაროებით და პარტიის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 50-ზე ნაკლები.

ეკონომიკა. ქუვეითის ეკონომიკა ემყარება ხანგრძლივვადიან და მოკლევადიან დაგეგმარებას, თავისუფალ ინიციატივას და კერძო სექტორის სოციალურ პასუხისმგებლობას. არსებობს არაბული ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდი, რომელიც დაეხმარა 26 აფრიკულ ქვეყანას, 12 აზიურ და 9 არაბულ ქვეყანას. ეკონომიკაში არის 4 მთავარი სექტორი: სახელმწიფო სექტორი, რომელსაც წამყვანი როლი აქვს; კერძო სექტორი; შერეული, სადაც საწარმოები ეკუთვნის შერეულ კაპიტალს – სახელმწიფოს და კერძოს და კოოპერატივები, სადაც ადგილობრივ კოოპერატიულ სუპერმარკეტებს ფლობენ ქუვეითის მოქალაქეები.

ქუვეითში პირველად ნავთობის საბადო აღმოჩნდა 1938 წელს, ხოლო ექსპორტი დაიწყო 1946 წელს. ქუვეითი ფლობს გაუსუფთავებელი ნავთობის დიდ მარაგს, რაც შეადგენს მსოფლიო მარაგის9,6%.-ს. ქვეყანას არა აქვს საკმარისი ბუნებრივი გაზი.

მოსახლეობის დაახლ. 92% დასაქმებულია სახელმწიფო სექტორში. ქუვეითს აქვს მსოფლიოში საუკეთესო სოციალური უზრუნველყოფის სისტემა: სახელმწიფო უზრუნველყოფს თავის მოქალაქეებს საცხოვრებლით, სამუშაო ადგილებით, ღირსეული პენსიით, უფასო სამედიცინო მომსახურებით და განათლებით. გამოყოფს სუბსიდიებს ელექტროობაზე, წყალზე, ბენზინზე. გარკვეული შეღავათებია დაწესებული იმიგრანტებზეც (მაგ., სამედიცინო მოსახურების ცალკეული სახეები). ქუვეითში მოქმედებს კანონი ხანდაზმული მოქალაქეების სოციალური დაცვის შესახებ. ის ავალდებულებს ხანდაზმულების ნათესავებს თავის თავზე აიღონ მათზე ზრუნვა. უარის შემთხვევაში საქმე გადაეცემა სასამართლოს. ქუვეითში არსებობს აგრეთვე „მომავალი თაობის ფონდი", სადაც ყოველწლიურად ირიცხება ნავთობიდან მიღებული სახელმწიფო შემოსავლების 10%. 2008 წლის მონაცემებით, ამ ფონდის ბიუჯეტში არის 45-50 მლრდ დოლარი.

ექსპორტი: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, სასუქები, გაზი. *იმპორტი:* მძიმე მანქანათმშენებლობის პროდუქცია და სატრანსპორტო აღჭურვილობა, სამშენებლო მასალები, რკინა, სამოსი. სოფლის მეურნეობა სუსტად არის განვითარებული. ამიტომ შემოაქვს საკვები პროდუქტები და სასმელი წყალი. *სავაჭრო პარტნიორები:* აშშ, იაპონია, ჩინეთი, გერმანია, საფრანგეთი, ინდოეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, არაბთა გაერთიანებული საამიროები, სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური, ნიდერლანდები.

2008 წელს ქვეყნის ეროვნული შემოსავალი იყო 157,9 მილიარდი დოლარი. ქუვეითი არის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანა მსოფლიოში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლებით (მე-4 ადგილზეა) – 60,800 დოლარი.

განათლება. ქუვეითში განათლების მიღება სავალდებულოა 6-დან 14 წლამდე ბავშვებისათვის. თუმცა უფასო სახელმწიფო განათლების მიღების უფლება აქვთ მხოლოდ ქუეითელებს. ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილია ტანსაცმლით, სახელმძღვანელოებით, სატრანსპორტო მომსახურებით და კვებით. ქვეყანაში არის 200-ზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერებით, მაგნიტოფონებით და სხვა თანამედროვე ტექნიკით. ყველა სკოლას, სახელმწიფოსაც და კერძოსაც აკონტროლებს განათლების სამინისტრო. ქუვეითის საშუალო განათლების სისტემა 3 საფეხურიანია: დაწყებითი, გარდამავალი (შუალედური) და საშუალო. თითოეულ ეტაპზე სწავლა გრძელდება 4 წელი. საბავშვო ბაღები უფასოა 4 წლიდან 6 წლამდე ბავშვებისათვის. იმიგრანტთა ბავშვებისათვის 2-დან ოთხ წლამდე არის დიდი რაოდენობით კერძო საბავშვო ბაღები. სახელმწიფო სკოლებში სწავლობენ მხოლოდ ქუვეითის მოქალაქეთა ბავშვები, განათლების სამინისტროში მომუშავე მასწავლებელთა შვილები და იმ იმიგრანტთა შვილები, ვინც მიიღო ქვეყანაში ცხოვრების უფლება 1960 წლამდე. დანარჩენი იმიგრანტების შვილე-

ბი სწავლობენ კერძო სკოლებში. თეორეტიკოსი-პედაგოგების აზრით, ქუვეითელები უპირატესობას ანიჭებენ დასავლურ განათლებას, რადგანაც ეს აძლევთ მათ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. მაღალი გადასახადის მიუხედავად, დიდი პოპულარობით სარგებლობს ამერიკული, ფრანგული და ინგლისური სკოლები. კერძო სკოლები, რომლებიც განკუთვნილია არაარაბულენოვანი ბავშვებისათვის, სწავლობენ შესაბამისი ქვეყნის პროგრამით, მაგრამ ვალდებული არიან ჩართონ პროგრამაში ადგილობრივი კულტურისა და ენის სწავლება. კერძო არაბული სკოლები გარკვეულ დახმარებას იღებენ სამინისტროდან – გადაეცემათ მინის ნაკვეთები სკოლების მშენებლობისათვის, უფასო სახელმძღვანელოები. ქვეყანაში დიდი ყურადღება ეთმობა უმაღლეს განათლებას. ქუვეითში არის 1 სახელმწიფო უნივერსიტეტი და მთელი რიგი ტექნიკური სასწავლო დაწესებულებები. 1966 წელს დაარსდა *ქუვეითის უნივერსიტეტი*, სადაც არის ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი სპეციალობები. ქუვეითის უნივერსიტეტს შეზღუდული აქვს იმიგრანტების მიღება. 20 ადგილი ეთმობა სტუდენტებს, რომელთა მშობლები ასწავლიან უნივერსიტეტში, ხოლო 50 ადგილი იმ სტუდენტებს, რომლებიც იღებენ სტიპენდიას უმაღლესი განათლების სამინისტროდან (ვებგვერდი – www.kuniv.edu/). ქუვეითის უნივერსიტეტთან არსებობს უწყვეტი სწავლების ცენტრი, რომელიც სტუდენტებს 16 წლის ზევით, სთავაზობს სერტიფიკატის მიღებას სხვადასხვა საგნებში – ენაში, პედაგოგიკაში, საინჟინრო საქმეში, კომპიუტერულ ტექნიკაში, სამართალში და სხვ. ამ კურსებზე მიიღებიან იმიგრანტებიც. ქუვეითში არის კერძო უნივერსიტეტებიც, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: *ამერიკის უნივერსიტეტი* (დაარსდა 2004 წ.; ვებგვერდი – auk.edu.kw/default.jsp), *მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სპარსეთის ყურის უნივერსიტეტი* (პირველი კერძო უნივერსიტეტი, რომელიც დაარსდა 2002 წ.; ვებგვერდი – gust.edu.kw), *არაბული ღია უნივერსიტეტი* და *ახლო აღმოსავლეთის ამერიკული უნივერსიტეტი* (გაიხსნა 2008 წ.). სტიპენდია უმაღლეს და სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში ყოველთვიურად 300 ამერიკულ დოლარს შეადგენს. სასწავლო წელი გრძელდება სექტემბრიდან ივნისის შუა რიცხვებამდე.

ფულის ერთეული – ქუვეითის დინარი. ის იყოფა 1000 ფილსად. 2008 წლის ოფიციალური კურსით ერთი აშშ დოლარი უდრის 0,2679 დინარს.

ჯიბუთის რესპუბლიკა
جمهورية جيبوتي

გეოგრაფია. ჯიბუთი მდებარეობს ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში. სამხრეთით და დასავლეთით მას ესაზღვრება ეთიოპია (საზღვრის სიგრძე 337 კმ), ჩრდილოეთით – ერითრეა (113 კმ), სამხრეთ-აღმოსავლეთით – სომალი (58 კმ), აღმოსავლეთით აკრავს ადენის ყურე. საზღვრების საერთო სიგრძეა 508 კმ, სანაპირო ზოლისა – 314 კმ. ქვეყნის საერთო ფართობია – 23,200 კვ. კმ. ჯიბუთის აქვს ხელსაყრელი გეოგრაფიული და სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობა აფრიკისა და აზიის პირაპირზე.

მოსახლეობა. ჯიბუთი ხასიათდება მოსახლეობის სწრაფი ზრდის ტემპით. მოსახლეობის რაოდენობა არის 506, 221 (2008წ. მონაცემები). მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვეა 1 კვ. კმ-ზე 34 ადამიანი ქვეყნის მოსახლეობის 90%-ს შეადგენს ორი ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფი – 'აფარი და 'ისა (სომალური ტომები). ქვეყანაში ცხოვრობენ აგრეთვე ფრანგები, არაბები, იტალიელები, ეთიოპელები – 10%. მოსახლეობის 2/3 ცხოვრობს დედაქალაქში, დანარჩენი ბედუინები არიან. სახელმწიფო ენა არის არაბული და ფრანგული. გავრცელებულია აგრეთვე ადგილობრივი ენები – სომალი და აფარი. სახელმწიფო რელიგიაა სუნიტური ისლამი (სუნიტები შეადგენენ მოსახლეობის 99,95%-ს, შიიტები – 0,005%-ს).

ჰავა. ჯიბუთის ჰავა ძირითადად არის ტროპიკული, მშრალი და ცხელი. საშუალო ტემპერატურა ივლისში არის 32°C, იანვარში – 27°C. ნალექების წლიური ნორმა არის 100-150მმ.

დედაქალაქი – ჯიბუთი (არაბ. ჯიბუთი; 2008 წლის მონაცემებით, 400 000 მცხოვრები), დაარსდა 1883 წ. რას ჯაბუთის კონცხზე. დაარსების დროიდან გახდა მსხვილი სავაჭრო ცენტრი ეთიოპიისათვის.

ისტორიული ნარკვევი. XIX ს. 80-ან წწ-ში საფრანგეთმა დაიპყრო ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი. 1886 წელს ქვეყანა გახდა საფრანგეთის კოლონია სახელწოდებით – სომალის ფრანგული სანაპირო. 1967 წლის ივნისში სომალის ფრანგულმა სანაპირომ მიიღო ახალი სახელწოდება – აფარების და ისას ფრანგული ტერიტორია (რეფერენდუმით). 1977 წლის 27 ივნისს გამოცხადდა ჯიბუთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა. იმავე დღეს ჯიბუთიმ და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მეგობრობასა და თანამშრომლობაზე, რომელიც ითვალისწინებს საფრანგეთის მხრიდან სამხედრო დახმარების აღმოჩენას, თუ ქვეყანას დაემუქრება აგრესია. ხელი მოაწერეს აგრეთვე სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისიწინებდა ჯიბუთისათვის დახმარების აღმოჩენას არმიის შექმნასა და განვრთნაში. ქვეყნის პირველი პრეზიდენტი გახდა *ჰასან გულედ აფთიდონი (არაბ. ჰასსან ჯულიდ აბთიდუნი)*, რომელიც 1999 წლამდე მართავდა ქვეყანას.

ჯიბუთიმ კოლონიური წარსულიდან მემკვიდრეობით მიიღო ეთნიკური დაპირისპირება მოსახლეობის ორ ძირითად ჯგუფს ('აფარი და 'ისა) შორის, რამაც გარკვეული კვალი დაამჩნია დამოუკიდებელი ქვეყნის მთელს ისტორიას. ტერიტორიულად 'აფარები ცხოვრებენ ძირითადად ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში, ხოლო 'ისა – დედაქალაქში და მის შემოგარენში, ასევე ეთიოპიისა და სომალის საზღვრებთან ახლოს. ამასთან, 'ისას ეთნიკური ჯგუფებით დასახლებული ტერიტორიები ეკონომიკურად უფრო განვითარებულია. ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველი წლებიდანვე 'ისას ეკავა საპასუხისმგებლო პოსტები ხელისუფლებაში, სახელმწიფო აპარატსა და არმიაში. 1990-ანი წლების დასაწყისში ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის დაპირისპირება გადაიზარდა ხანგრძლივ შეიარაღებულ კონფლიქტში, რომელმაც თავდაპირველად ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში იფეთქა. სიტუაცია გაამწვავა ლტოლვილთა მზარდმა ნაკადმა სომალიდან და ეთიოპიიდან, სადაც ასევე მიმდინარეობდა შიდა კონფლიქტები. 1991 წლის ზაფხულში 'აფარის ოპოზიციამ შექმნა პოლიტიკური პარტია – „ფრონტი ერთობისა და დემოკრატიის აღსადგენად" და წარმართა ანტისამთავრობო შეიარაღებული გამოსვლები. მისი ხელმძღვანელები გამოვიდნენ ქვეყნის ჩრდილოეთში 'აფართა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის მოთხოვნით. მთავრობამ საფრანგეთს სთხოვა სამხედრო დახმარება, რაც იმით გაამართლა, რომ ოპოზიციის რაზმები მოქმედებდნენ ეთიოპიის ტერიტორიიდან. თუმცა ფრანგებმა უარი განაცხადეს, რადგანაც ეს იყო შიდა კონფლიქტი.

1994 წელს, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, პარტია ორ ნაწილად გაიყო: ზომიერი ფრთა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ალი მოჰამედ დაუდი. მათ სამ-

შვიდობო ხელშეკრულება დადეს ხელისუფლებასთან და ორი მინისტრის პოსტი მიიღეს მთავრობაში; რადიკალური ფრთა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა აჰმედ დინი აჰმედი. მათ უარი თქვეს ხელშეკრულებაზე და გააგრძელეს შეიარაღებული წინააღმდეგობა. 1997 წლის დეკემბერში ზომიერმა ფრთამ მონაწილეობა მიიღო საპარლამენტო არჩევნებში და გაერთიანდა მმართველ პარტიასთან („ხალხის ერთობა პროგრესისათვის") ბლოკში. რადიკალურმა ფრთამ ხელისუფლებასთან სამშვიდობო შეთანხმება დადო მხოლოდ 2001 წლის 12 მაისს (სამშვიდო პროცესი დაიწყო 2000 წლის 7 თებერვალს პარიზში). ამით ხანგრძლივი სამოქალაქო ომი დასრულდა.

1999 წელს პრეზიდენტად აირჩიეს აფთიდონის ძმისშვილი – *ისმაილ ომარ გულეჰი (არაბ. ისმა'ილ 'უმარ ჯულიჰი),* რომელმაც კვლავ გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში 2005 წელს.

ბოლო წლებში გააქტიურდა ჯიბუთის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა აშშ-თან. 2002 წლიდან ქვეყნის ტერიტორიაზეა ამერიკის ანტიტერორისტული ცენტრი. 2006 წლის ბოლოს ამერიკელები რესპუბლიკის ტერიტორიიდან დახმარებას უწევდნენ ეთიოპიის არმიას სომალიში ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო 2007 წელს ამერიკული თვითმფრინავები დარტყმებს აყენებდნენ ტერორისტების ბაზებს სომალის ტერიტორიაზე. ჯიბუთიში დისლოცირებულია ამერიკის შეიარაღებული ძალების კონტინგენტი, დაახლ. 1700 სამხედრო.

დაძაბული ურთიერთობაა ჯიბუთის და ერითრეას შორის. ერითრეას ხელმძღვანელობამ დაადანაშაულა ჯიბუთი ეთიოპიის მხარდაჭერაში 1998-2000 წლების ეთიოპია-ერითრეას კონფლიქტის დროს. 2008 წლის დასაწყისში ერითრეამ წამოიწყო შეიარაღებული სასაზღვრო კონფლიქტი რას-დუმაირას სანაპირო რაიონში. ჯიბუთიმ დაადანაშაულა მეზობელი ქვეყანა აგრესიაში და დახმარებისათვის მიმართა გაეროს უშიშროების საბჭოს. ჯიბუთის მხარი დაუჭირა საფრანგეთმა, ამერიკამ, არაბულ სახელმწიფოთა ლიგამ და კონფლიქტი დროულად აღკვეთეს.

სახელმწიფო წყობა. მმართველობის ფორმა – ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც არის მთავრობის მეთაური და შეიარაღებული ჯარების მთავარსარდალიც. ქვეყნის მოქმედი კონსტიტუცია მიღებულია 1992 წელს. პრეზიდენტი აირჩევა 6 წლის ვადით. 1999 წლიდან პრეზიდენტია *ისმაილ ომარ გულეჰი (დაბად. 1947 წ.).* 2005 წლის 8 აპრილს ის მეორე ვადით აირჩიეს პრეზიდენტად (არ ჰყავდა კონკურენტი და მიიღო ხმების 100%).

უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი პარლამენტი – დეპუტატთა პალატა (65 დეპუტატი), რომლის უფლებამოსილების ვადა 5-დან 9 წლამდე გრძელდება. უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო არის მინისტრთა საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის წინაშე. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ნიშნავს მეფე. 2001 წლიდან პრემიერ-მინისტრია *დილეიტა მუჰამად დილეიტა (არაბ. დილიტა მუჰამმად დილიტა; დაბად. 1958 წ).* პოლიტიკურ ხელისუფლებას ინაწილებენ 'აფარის და 'ისას ეთნიკურ ჯგუფები. პრეზიდენტი არის 'ისას ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი, ხოლო პრემიერ-მინისტრი 'აფარის ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნის. ასევე ნაწილდება მინისტრთა კაბინეტის პოსტებიც.

ქვეყნის შემადგენლობაში არის 5 ოლქი და 1 ქალაქი.

ეროვნული დღესასწაული – 27 ივნისი, ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე.

პოლიტიკური პარტიები. 1981 წლიდან 1992 წლამდე ერთადერთი ლეგალური პარტია იყო „ხალხის ერთობა პროგრესისათვის". სხვა მთავრობის მხარდამჭერი პარტიებია: „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია"; „სოციალ-დემოკრატიული ხალხის პარტია"; „ფრონტი ერთობისა და დემოკრატიის აღსადგენად". ოპოზიციური პარტიები: „რესპუბლიკური ალიანსი დემოკრატიისათვის"; „დემოკრატიული აღორძი-

ნებისა და განვითარების მოძრაობა"; „ჯიბუთის კავშირი დემოკრატიისა და სამართლიანობისათვის".

ეკონომიკა. ჯიბუთი აფრიკის ერთ-ერთი ნაკლებად განვითარებული ქვეყანაა, რომლის ეკონომიკა მნიშვნელოვანნილად დამოკიდებულია მის სტრატეგიულ მდებარეობაზე. ჩრდილოეთ აფრიკაში თავისუფალი სავაჭრო ზონის სტატუსი ჯიბუთს უზრუნველყოფს სატრანზიტო გადაზიდვების მომსახურებით რეგიონში. ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულია საერთაშორისო გადაზიდვების პორტი – ჯიბუთი, რომელსაც დიდი შემოსავალი მოაქვს ქვეყნისათვის. წარმოება შემოიფარგლება სამკერვალო სახელოსნოებით და დიდი ნახევრადკუსტარული სანარმოებით, რომლებიც ამზადებენ კვების პროდუქტებს, ტყავის ნაწარმს, სამშენებლო მასალებს. ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი მოიცავს ელექტროსადგურებს, ნავთობკომპანიებს, ნაწილობრივ ტრანსპორტს და კავშირგაბმულობას. სოფლის მეურნეობაში ძირითადი მიმართულებაა მომთაბარე და ნახევრად მომთაბარე მეცხოველეობა, თევზჭერა, მარჯნის და მარგალიტის მოპოვება. ქვეყანაში არ არის ხელსაყრელი პირობები მიწათმოქმედების განვითარებისათვის და ჯიბუთი იძულებულია შემოიტანოს მოხმარებული კვების პროდუქტების 90%-ზე მეტი. ჯიბუთის ყველაზე დიდი პრობლემაა უმუშევრობა – 40-50%.

ექსპორტი: ტყავი, შინაური ცხოველები, ყავა (ტრანზიტი ეთიოპიის გავლით). იმპორტი: კვების პროდუქტები, სასმელები, სამრეწველო საქონელი, სატრანსპორტო აღჭურვილობა, ნავთობპროდუქტები, ელექტროსაქონელი. სავაჭრო პარტნიორები: საფრანგეთი, ინდოეთი, აშშ, ეთიოპია, იაპონია, იემენი, სომალი, ჩინეთი, საუდის არაბეთი.

2008 წელს ქვეყნის ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 1,93 მილიარდი დოლარი. ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავალი იყო 3,800 დოლარი.

განათლება. სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულ დარგად ითვლება განათლება. ამდენად, ჯიბუთის ბიუჯეტის 20,5% გამოყოფილია განათლების სისტემის განვითარებისათვის. 2007 წლის მონაცემებით, ჯიბუთიში არის 81 საჯარო დაწყებითი, 24 კერძო, 12 საშუალო და 2 პროფესიული სკოლა. ამის მიუხედავად, ჯიბუთში განათლების დონე ძალიან დაბალია. სკოლებს არა აქვთ სათანადო სახელმძღვანელოები, ხოლო მასწავლებლებს სათანადო კვალიფიკაცია. ქვეყანას არა აქვს უნივერსიტეტი თანამედროვე გაგებით. უმაღლესი განათლების სისტემა ეფუძნება ფრანგულ მოდელს. არის ორწლიანი უმაღლესი კურსები, სადაც ძირითადად ფრანგები ასწავლიან. მცირე ნაწილი – შტატის პედაგოგებია, დანარჩენი – მოწვეული პროფესორები, რომლებიც ასწავლიან 2 ან სამი კვირა წელიწადში. სახელმწიფო დაფინანსებით, საზღვარგარეთ სწავლობს დაახლ. 865 სტუდენტი, მათ შორის 70% – საფრანგეთში.

ფულის *ერთეული* – ჯიბუთის ფრანკი. ის იყოფა 100 სანტიმად. ოფიციალური კურსით 2007 წელს ერთი აშშ დოლარი უდრიდა 177,7 ფრანკს.

ძირითადი ლიტერატურა

1. გაჩეჩილაძე რ. *ახლო აღმოსავლეთი. სივრცე, ხალხი და პოლიტიკა.* თბილისი, 2008.
2. **Александров И. А.** *Монархии Персидского залива: этап модернизации.* М., 2000.
3. *Арабский Восток: ислам и реформы* (сборник статей). М., 2000.
4. *Арабские Страны Западной Азии и Северной Африки (новейшая история, экономика и политика).* Выпуск 3. М., 1998.
5. **Борисов А.Б.** *Арабский мир: Прошлое и настоящее.* М., 2002.
6. *История Востока.* Т. 1-3. М., 1995-1997.
7. *Новейшая история стран Азии и Африки, XX век.* Ч.1 1900-1945. М., 2001.
8. *Новейшая история стран Азии и Африки, XX век.* Ч.3 1945-2000. М., 2004.
9. *Политическая элита Ближнего Востока.* М., 2000.
10. **Рыжов Константин.** *Мусульманский Восток XV-XXвв.* М., 2004.
11. **Clevelend, William L.** *A History of Modern Middle East.* Third Edition. Westview Press, 2004.
12. *The Middle East and North Africa 2005.* 51st edition. Europa Publications. L., 2005.

დამატებითი ლიტერატურა

1. დათიაშვილი შ. ლიბან-ისრაელის ურთიერთობები წყლის რესურსების ათვისების სფეროში XIX საუკუნის მე-2 ნახევრიდან დღემდე. – *ქართული დიპლომატია. წელიწდეული,* VIII, თბ, 2001. გვ. 407-427.
2. დათიაშვილი შ., წყალი და მშვიდობა ისრაელ-სირიის ურთიერთობებში. –*ქართული დიპლომატია. წელიწდეული,* X, თბ, 2003. გვ. 294-316.
3. დათიაშვილი შ. წყლის პრობლემა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობებში. – *ქართული დიპლომატია. წელიწდეული,* VI, თბ, 1999. გვ. 275-285.
4. დათიაშვილი შ. წყლის კრიზისი მდ. იორდანეს აუზში და 1967 წლის ომი. – *ქართული დიპლომატია. წელიწდეული,* VII, თბ, 2000. გვ. 399-419.
5. მაკარაძე ე. ისლამი თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში (XX სს. 90-იან წლებში). – *აღმოსავლეთი და კავკასია,* 3, თბ., 2005, გვ. 169-178.
6. მეტრეველი მ. *ლიბანი.* ცნობარი. თბ.,1998.
7. მეტრეველი მ. *კატარი.* ცნობარი. თბ., 1998.
8. მეტრეველი მ. *ბაჰრაინი.* ცნობარი. თბ., 1998.
9. სანიკიძე გ. ისლამიზმი, ფუნდამენტალიზმი, ინტეგრიზმი, ტრადიციონალიზმი - ცნებათა განმარტებისათვის. – *პერსპექტივა-XXI,* 2, თბ., 1999, გვ.15-31.
10. სანიკიძე გიორგი, კილურაძე ნინო. *თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია.* თბილისი, 2001.
11. ქაროსანიძე თ. *ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგვიპტეში: „მუსლიმი ძმების" და რადიკალური ისლამური ორგანიზაციების სტრატეგია.* თბ., 2006 [საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი].
12. ქაროსანიძე თ. ალ-კა'იდა: ორგანიზაცია, დოქტრინა, მიზნები. –*პერსპექტივა-XXI,* VIII(2), გვ. 111-120.
13. ჯაფარიძე გ. *თანამედროვე სირია* (ცნობარი).თბ., 1984.

14. ჯაფარიძე გ. *საუდის არაბეთი* (ცნობარი). თბ., 1989.
15. ჯაფარიძე გ. ჩრდილოკავკასიური დიასპორა არაბულ ქვეყნებში. – გაზ. *„კავკასიონი"*, 18.I.1995.
16. ჯაფარიძე თ. ჰამასი – რადიკალური ისლამური მიმდინარეობა პალესტინაში (ორგანიზაციის ჩამოყალიბება, ინფრასტრუქტურა და მიზნები). – *ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული*. თბ., 2005, გვ.52-70.
17. ჯაფარიძე თ. სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში) ისრაელისა და პალესტინელთა ხელშეკრულებები 1993-1999 წწ.). – *ქართული დიპლომატია. წელიწდეული*. ტ.7 თბილისი, 2000, გვ. 264-300.
18. *Авторитаризм и демократия развивающихся странах*. М., 1996.
19. **Агапин А.Р., Соловьева З.А.** *Современная Иордания*. М., 2003.
20. **Азатян В.В., Ткаченко А.А.** *Интеграционные Процессы в Экономике Стран Северной Африки*. Москва.2000.
21. **Андреасян Р.Н.** *Нефть и арабские страны в 1973-1985 гг.* (Экономический и социальный анализ). М., 1990.
22. *Армия и Власть на Ближнем Востоке:от Авторитаризма к Демократии* (сборник статей). М., 2002.
23. **Ахмедов В. М.** *Сирия при Башаре Асаде: Региональный опыт модернизации в условиях внешней нестабильности*. М., 2005.
24. **Ахмедов В. А.** Арабский национализм и исламский радикализм на Арабском Востоке (перспективы и пределы сотрудничества в свете новых геополитических реалий в регионе). – *Ислам и общественное развитие в начале XXI века*. М., 2005. с. 245-259.
25. **Багдасаров С.Б., Чавушьян А.Н.**. *Военный и военно-экономи-ческий потенциал стран Ближнего и Среднего Востока* (информационно-аналитический справочник, совместно с ИВ РАН). М., 1998.
26. **Батыршин И.М.** Экономическая Интеграция в Рамках Совета Сотрудничества Арабских Государств Персидского Залива. _ *Ближний Восток и современность*.Сборник статей (выпуск двадцать четвертый).М., 2004, с. 84-100.
27. **Белокреницкий В. Я.** Мусульманский Восток в начале века. – *Ислам и общественное развитие в начале XXI века*. М., 2005. с. 6-24.
28. *Ближний Восток: Проблемы Региональной Безопасности* (сборник статей). М., 2000.
29. *Ближний Восток и современность*. Сборник статей. Выпуск 11. М., 2001.
30. **Видясова М. Ф., Умаров М. Ш.** *Египет в последней трети XX века*. М., 2002.
31. **Волькова Л. В.** *Саудовская Аравия. Нефть, ислам, политика*. М., 1988.
32. **Гашев Б.Н., Зудина Л.П.** Арабо-европейское экономическое партнерство. – *Ближний Восток и современность*.Сборник статей (выпуск двадцатый).М., 2003, сс.207-220.
33. **Георгиев А. Г., Озолинг В. В.** *Нефтяные монархии Аравии*. М., 1984.
34. **ГУКАСЯН Г. Л.** Проблемы Экономической Реформы в Саудовской Аравии. _ *Ближний Восток и современность*.Сборник статей (выпуск восемнадцатый). М., 2003, с. 395-406.
35. **Гучетль Г.И.** *Демократизация в Арабском мире: опыт Туниса и Сирии*. М., 1999.
36. **Добаев И. П.** *Исламский радикализм: генезис, эволюция, практика*. Ростов-на-Дону, 2003.
37. **Егорин А.З., Исаев В.А.** *Объединенные Арабские Эмираты*. М., 1997.

38. **Егорин А.З.** *История Ливии – XX век.* М., 1999.
39. *Заид бен Султан аль-Нахайян.*Великое служение. М., 2000.
40. **Закария М.Г., Яковлев А.И.** *Нефтяные монархии Аравии на пороге XXI в.* М., 1998.
41. **Жданов Н.В.** *Исламская концепция миропорядка.* М., 2003.
42. **Жиль Кепель.** *Джихад. Экспансия и закат исламизма.* Перевод с французского. М., 2004.
43. **Игнатенко А. А.** *Халифы без халифата. Исламские неправительственные религиозно-политические организации на Ближнем Востоке: история, идеология, деятельность.* М., 1988.
44. **Игнатенко А. А.** *Ислам и политика.* М., 2004.
45. *Иракский кризис. Международный и региональный контекст. Материалы «круглого стола». Апрель 2003.* М., 2003.
46. **Исаев В. А., Филоник А.О.** *Султанат Оман.* М., 2001.
47. **Исаев В.А., Филоник А.О.** *Королевство Бахрейн. опыт развития в условиях изменения ресурсной ориентации.* М., 2006.
48. **Исаев В.А., Филоник А.О.** *Кувейт: Контуры экономических перемен (опыт развития в условиях перехода от избытка к относительному дефициту капиталов).* М., 2003.
49. **Исаев В.А., Филоник А.О.** *Государство Катар: проблемы развития.* М., 1999.
50. *Ислам на современном Востоке: Регион стран Ближнего и Среднего Востока, Южной и Центральной Азии.* М., 2004.
51. *Ислам и общественное развитие в начале XXI века.* М., 2005.
52. *Исламизм и экстремизм на Ближнем Востоке.* М., 2001.
53. *История Ливии в новое и новейшее время.* М.,1992.
54. *История Судана в новое и новейшее время.* М.,1992.
55. **Капитонов Константин.** *Ближний Восток в лицах.* М.,1998.
56. *Катар.* Серия. Арабские государства. СПб, 2000.
57. **Кеннеди П.** *Вступая в XXI век.* (с англ.) М., 1997.
58. **Ковтунов А. Г.** *Проблемы интеграции стран Магриба.* М., 1998.
59. **Косач Г. Г., Мелкумян Е. С.** *Внешняя политика Саудовской Аравии: Приоритеты, направления, процесс принятия решения.* М., 2003.
60. **Косач Г.Г.** *Саудовская Аравия: внутриполитические процессы "этапа реформ" (конец 1990-2006.*М., 2007.
61. *Кувейт.* Сер.Арабские государства. СПб, 2000.
62. **Ланда Р.Г.** *Политический ислам: предварительные итоги.* М., 2005.
63. **Левин З. И.** *Ислам и национализм в странах зарубежного Востока.* М., 1988.
64. **Луцкий В.** Б. *Новая история арабских стран.* М., 1966.
65. *Мусульмане на Западе* (сборник статей). М., 2002.
66. **Маликов Б.** *Совет сотрудничества арабских государств Персидского залива.* М., 1994.
67. **Мелкумян У. С.** Иракская проблема позиции арабо-мусульманского мира. _ *Ислам и общественное развитие в начале XXI века.* М., 2005. с. 197-211.
68. **Мелкумян Е. С.** *Кувейт в 60-90-е годы: социально-политические процессы и внешняя политика.* М., 1989.
69. **Миронова Е. И.,** Алжир: смена приоритетов развития. М., 2004.

70. *Мусульманские страны у границ СНГ (Афганистан, Пакистан, Иран и Турция – современное состояние, история и перспективы).* М.,2001.
71. **Назири М.** Миграция из Стран Северной Африки:Социально-Экономические и Политические Факторы. _ *Ближний Восток и современность.*Сборник статей (выпуск восемнадцатый). М., 2003, с.432-441.
72. **Никулина И. М.** Союз Арабского Магриба: Современное Состояние и Перспективы Развития. _ *Востоковедный Сборник* (выпуск второй). М., 2001, с.273-282.
73. **Павлуцкая Э.В.** Становление Феминистского Движения в Магрибе как Фактор Демократизации Страны. _ *Ближний Восток и современность.* Сборник статей (выпуск восемнадцатый). М., 2003, с.424-431.
74. **Пиотровская И.Л.** *Страны Аравийского полуострова: нефть, финансы, развитие.* М., 1981.
75. *Республика Ирак в Системе Международных Отношений (80-е годы XX в. – начало XXI в.).* Москва, 2004.
76. **Сапронова М. А.** *Государственный строй и конституции арабских республик.* М., 2003.
77. *Саудовская Аравия: эволюция режима и пределы возможного в политическом развитии.*Сборник. М., 2003.
78. *Сирийская Арабская Республика.* Москва. М., 1998.
79. **Сорокин П.** *Человек, Цивилизация, Общество.* М., 1992.
80. **Поляков К. И.** *Исламский фундаментализм в Судане.* М., 2000.
81. **Ражбадинов М. З.** *Радикальный исламизм в Египте.* М., 2003.
82. **Ражбадинов М. З.** *Египетское движение "братьев-мусульман".* М., 2003.
83. **Руденко Л.Н., Соловьева З.А.** *Лига Арабских государств и интеграционные процессы в Арабском мире.* М., 2007.
84. **Сагадеев А.** Исламский фундаментализм: что это такое? – *Россия и мусульманский мир*, №10, М., 1994.
85. **Смирнова В.** Вода и мир на Ближнем Востоке. – *Востоковедный сборник.* Выпуск 5. М., 2003.
86. **Соловьева З.А.** О Проблеме Бедности в Арабском Мире (на примере Алжира и Марокко). – *Ближний Восток и современность.* Сборник статей (выпуск восемнадцатый). М., 2003, с. 415-423.
87. *Страны Ближнего Востока (актуальные проблемы современности и истории).*М., 1998.
88. **Тураджаев В., Миронов Л.** Нефтью можно захлебнуться. – *Азия и Африка сегодня.* №2.М.,1997.
89. *Терроризм –угроза человечеству в XXI веке.* М., 2003.
90. **Фахрутдинова Н.Г.** Исламский фактор в общественно-политической жизни Судана. М., 2004.
91. *Фундаментализм. М., 2003.*
92. **Хамзин К.З.** Конфликты вокруг водных ресурсов на Ближнем Востоке: нынешнее состояние и перспектив. – *Сборник: "Актуальные проблемы Ближнего Востока". Материалы конференции.* Москва, 30.01.1998 г.
93. **Хачим Ф. И.** *Конституционное право стран Ближнего Востока: Иран, Египет, Израиль, ОАЭ, Ирак.* М., 2001.
94. **Яковлев А. И.** *Саудовская Аравия: пути эволюции.* М., 1999.

95. **Эпштейн Алек Д.** *Хамас в региональной политике. Израиль, Иордания и Палестинская Национальная Администрация перед вызовом исламского фундаментализма.*
96. **Юрченко В.П.** *Египет: проблемы национальной безопасности* (1952–2002 гг.). М., 2003.
97. **Юрченко В.П.** Военно-техническое Сотрудничество США с Арабскими Странами. (Конец XX - начало XXI вв.). _ *Ближний Восток и современность.*Сборник статей (выпуск восемнадцатый). М., 2003, сс.246-266.
98. **Anderson L.** *The State and Social Transformation in Tunisia and Libya. 1830-1980*, Princeton, 1986.
99. *Assesing Travel and Turism Competiveness in the Arab World.* Ed. by Jenifer Blanke and Th. Chiesa. Geneva, 2007.
100. **Barry Rubin.** *The Military in Contemporary Middle East Politics. Armed Forces in the Middle East. Politics and Strategy.* L., 2002.
101. **Bright E. Okogu.** *The Middle East and North Africa in the Changing Oil Market.* IMF, 2003.
102. Cooperation Agreement between the European Economic Community and the Arab Republic of Egypt, 2001. //http://trade-info.cec.eu.int/doclib/docs/2004/june/ tradoc_ 117680.pdf
103. *Islam, globalization and postmodernity.* Ed. By Ahmed A.S., Donnan H., N.Y., 1994.
104. **Kamalipour, Yahya R., and Mowlana, Hamid**, eds. *Mass Media in the Middle East: A Comprehensive Handbook.* Westport, 1994.
105. **Malawi al-Rushed.** *A History of Saudi Arabia.* Cambridge, 2003.
106. **Munson H.** *Religion and Power in Morocco.* New Haven, 1993.
107. **Naff Th.** and **Matson R.** *Water in the Middle East: Conflict or Cooperation* Boulder, 1984.
108. *The Middle East and Islamic World Reader.* Edited by Marvin Gettleman and Stuart Schaar. New York, 2003.

დანართები

1. არაბული ქვეყნების დემოგრაფიული ინდიკატორები

ქვეყანა	დემოგრაფ. ზრდის კოეფიციენტი	შობადობა	ფერტილურობის კოეფიციენტი	სიკვდილიანობა	სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივ.
ალჟირი	1.216%	17.11	1.86	4.62	73.52 წელი
არაბთა გაერთ. საამირ.	3.997%	16.09	2.43	2.16	75.69
ბაჰრაინი	1.392%	17.53	2.57	4.21	74.68
ეგვიპტე	1.721%	22.53	2.77	5.11	71.57
ერაყი	2.618%	31.44	4.07	5.26	69.31
იემენი	3.461%	42.67	6.49	8.05	62.52
იორდანია	2.412%	20.69	2.55	2.68	78.55
კატარი	2.386%	15.56	2.75	4.82	74.14
კომორი	2.84%	36.35	4.97	7.95	72.13
ლიბანი	1.198%	18.08	1.88	6.1	73.15
ლიბია	2.262%	26.09	3.21	3.47	76.88
მავრითანია	2.867%	40.56	5.78	11.89	53.51
მაროკო	1.528%	21.64	2.62	5.54	71.22
პალესტინის ავტონომია: 1.დას. ნაპირი; 2. ღაზა	2.985%; 3.71	30.99; 39.45	4.17; 5.79	3.85; 3.80	72.10 70.12
ომანი	3.234%	35.76	5.7	3.78	73.62
საუდის არაბეთი	1.945%	28.83	3.89	2.52	76.09
სომალი	2.832%	44.6	6.68	16.28	48.84
სირია	2.244%	27.19	3.31	4.74	70.61
სუდანი	2.082%	34.86	4.69	14.39	49.11
ქუვეითი	3.561%	21.95	2.86	2.39	77.36
ჯიბუთი	1.984%	39.07	5.23	19.23	43.25

წყარო: CIA World Factbook. 2008 – http://www.odci.gov/cia/publications/Factbook/geos/countrycode.html

2. არაბული ქვეყნების უდიდესი ქალაქები

ქალაქი	ქვეყანა	მოსახლეობა	დაარსების თარიღი
კაირო	ეგვიპტე	17,250,000	641წ.
ბაღდადი	ერაყი	8,092,000	762წ.
ხართუმი	სუდანი	4,969,000	1821წ.
დამასკო	სირია	4,500,000	ძვ. წ. 8000
არ-რიადი	საუდის არაბეთი	4,260,000	100წ.
კასაბლანკა	მაროკო	3,859,858	768წ.
ჯიდდა	საუდის არაბეთი	3,855,912	ძვ.წ. 500
ალეპო	სირია	3,780,000	ძვ.წ. 8000
ალექსანდრია	ეგვიპტე	3,500,000	ძვ. წ. 331

3. ქრისტიანული თემები არაბულ ქვეყნებში

ქვეყანა	ქრისტიანთა რაოდენობა	მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ქრისტიანების %	მთავარი ეკლესიები
ეგვიპტე	10 მლნ	8,0	კოპტური
მდ.იორდანეს დას. ნაპირი, ღაზას სექტორი	90 ათასი	2,4	მართლმადიდებლური, კათოლიკური
იორდანია	242 ათასი	4,0	მართლმადიდებლური, კათოლიკური
ერაყი	825 ათასი	3,0	ქალდეური, ასირიული
ლიბანი	1,36 მლნ	34	მარონიტული, მართლმადიდებლური
სირია	1,7 მლნ	9,4	მართლმადიდებლური, კათოლიკური

წყარო: International Religious Freedom Report 2007 (US Department of State).

4. ეთნიკური ჯგუფები არაბულ ქვეყნებში

ეთნიკური ჯგუფი	საერთო რაოდენობა
არაბები	295,921,955
აფარები	456,000
არამეელები	75,300
ასირიელები	222,900
ბერბერები	16,364,100
ბერძნები	89,100
დას. ევროპელები	853,950
ებრაელები	9,940
თურქები	152,400
თურქმენები	458,900
ინდუსები	228,900
მალაიზიელები	516,100
ნუბიელები	1,132,000
სომალი, ისა	8,882,500
სომხები	260,500
სპარსელები	1,192,000
სუაჰილი	497,200
ტუარეგები	242,000
ურდუ	963,300
ქურთები	6,216,500
ქალდეელები	161,500
ჩერქეზები	229,600

5. არაბული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დახასიათება

ქვეყანა	ბიუჯეტი ($)	მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ	განათლ. დონე	მიგრაციის დონე (1000 მოსახლეზე)	უმუშევ-რობ. დონე
ალჟირი	73.26	25%	70%	0.31 მიგრანტი	12.9%
ბაჰრაინი	5.806	0%	86.5%	0.4	15%
არაბთა გა-ერთ. საა-მირ.	48.3	0%	77.9%	24.41	2.4%
ეგვიპტე	51.38	20%	57.7%	0.21	8.7%
ერაყი	48.4	-	74.1%	0	25-30%
იემენი	10.55	45.2%	50.2%	0	35%
იორდანია	7.623	30%	89.9%	2.97	15.4%
კატარი	28.08	0%	89%	2.28	0.6%
კომორი	27.6	60%	56.5%	0	20%
ლიბანი	9.456	28%	87.4%	0	20%
ლიბია	29.12	7.4%	82.6%	0	30%
მავრითანია	421მლნ	40%	51.2%	0	20%
მაროკო	28.41	19%	52.3%	0.77	2.1%
ომანი	14.74	0	81.4%	0.33	15%
პალესტინ. ავტონომია	2.885	67%	-	-	39%
საუდის არაბეთი	146.0	0	78.8%	6.82	11.8% მხოლოდ მა-მაკაცებში
სომალი	-	-	37.8%	0	-
სირია	13.77	11.9	79.6%	0	9.0
სუდანი	12.95	40%	61.1%	0.67	18.7
ქუვეითი	63.55	-	93.3%	16.39	2.2%
ჯიბუთი	182მლნ	50%	67.9%	0	59%

წყარო: CIA World Factbook. 2008. – http://www.odci.gov/cia/publications/Factbook/geos/countrycode.html

6. ქალები არაბული ქვეყნების პარლამენტში

ქვეყანა	არჩევნებ. თარიღი	პარლამენტის ქვედა პალატაში ან ერთპალატ. პარლამენტში ადგილების რაოდენობა	ქალების რაოდ.	არჩევნებ. თარიღი	პარლამენტის ზედა პალატაში ადგილების რაოდენობა	ქალების რაოდ.
ალჟირი	05.2007	389	30 (7.7%)	12.2006.	136	4 (2.9%)
არაბთა გაერთ. საამირ.	12.2006	40	9 (22.5%)	–	–	–
კატარი	07.2008.	35	0 (0.0%)	–	–	–
ბაჰრაინი	11.2006.	40	1 (2.5%)	12.2006	40	10 (25.0%
იემენი	04.2003.	301	1(0.3%)	04.2001.	111	2 (1.8%)
ეგვიპტე	11.2005.	442	8(1.8%)	06.2007	264	18(6.8%)
თუნისი	10.2004	189	43(22.8%)	08.2008	112	17 (15,2%
ომანი	10.2007.	84	0(0.0%)	11.2007.	70	14 (20.5%
კომორი	04.2004.	33	1(3.0%)	–	–	–
ლიბია	03.2006	468	36 (7.7%)	–	–	–
ლიბანი	05.2005	128	6 (4.7%)	–	–	–
იორდანია	11.2007	110	7 (6.4%)	11.2007.	55	7 (12.7%)
სომალი	08.2004	276	21 (8.2%)	–	–	–
მაროკო	09.2007	325	34 (10.5%)	9.2006.	270	3 (1.1%)
ჯიბუთი	02.2008	65	9 (13.8%)	–	–	–
სირია	04.2007	250	31 (12.4%)	–	–	–
სუდანი	08.2005	443	80 (18.1%)	08.2005.	50	3(6.0%)
ერაყი	12.2005.	275	70 (25.5%)	–	–	–
მავრითანია	12.2006.	95	21(22.1%)	01.2007	56	9(16.1%)

წყარო: Inter-Parliamentary Union. 30 November, 2008 (www.ipu.org/wmn-e/dassif.htm).

7. ნავთობის მსოფლიო მარაგი და მისი მოპოვება სპარსეთის ყურის ქვეყნებში

ქვეყანა	ნავთობის დადგენილი მარაგი (მილიარდი ბარელი)	მსოფლიო მარაგის წილი (%)	ნავთობის მოპოვება (მილიონი ბარელი დღეში)	მსოფლიო მოპოვების წილი (%)
ბაჰრაინი	1,24	0,1	0,188	0,2
ერაყი	115,0	9,3	2,145	2,7
კატარი	27,4	2,2	1,197	1,4
ქუვეითი	101,5	8,2	2,626	3,3
ომანი	5,6	0,5	0,718	0,9
არაბთა გაერთ. საამიროები	97,8	7,9	2,915	3,5
საუდის არაბეთი	264,2	21,3	10,413	12,6

წყარო: BP Statistical Review of World Energy, June 2008.

8. არაბული ქვეყნების წყლის რესურსები

ქვეყანა	განახლებადი რესურსები ერთ სულ მოსახლეზე 2000წ. კუბ. მ. წელიწადში	განახლებადი რესურსები ერთ სულ მოსახლეზე 2025წ.	მოხმარებული წყლის ოდენობა საყოფაცხ. სექტორის მიერ %	მოხმარებული წყლის ოდენობა სამრეწველო ექტორის მიერ %	მოხმარებ. წყლის ოდენობა სოფლის მეურნეობ. მიერ %
ალჟირი	779	354	22	13	65
ბაჰრაინი	411	–	40	3	57
ეგვიპტე	923	645	8	6	86
ერაყი	1482	2000	3	5	92
თუნისი	261	319	14	4	82
იორდანია	177	91	21	4	75
იემენი	316	72	4	1	95
კატარი	358	–	24	3	73
კომორი	13	–	48	5	47
ლიბანი	385	809	33	1	83
ლიბია	730	55	14	3	75
მაროკო	400	651	10	3	87
საამიროები	189	113	13	7	80
ომანი	529	421	7	2	91
საუდის არაბეთი	705	49	10	1	89
სუდანი	1030	800	3	1	96
სირია	1048	161	3	2	95
ქუვეითი	164	87	45	2	53
ჯიბუთი	25	–	84	0	16

წყარო: The World Factbook. 2008.

9. ტურიზმის ინდუსტრია არაბულ ქვეყნებში

ქვეყანა	რიგითობა (მსოფლიო მასშტაბით)	ტურიზმის კანონმდებლობა	ბიზნესგარემო და ინფრასტრუქტურა	ადამიანური, კულტურული და ბუნებრივი რესურსები
არაბთა გაერთ. საამიროები	18	18	19	24
თუნისი	34	12	47	37
კატარი	36	34	39	49
იორდანია	46	30	54	58
ბაჰრაინი	47	61	34	54
მაროკო	57	47	72	52
ეგვიპტე	58	50	60	68
ქუვეითი	67	71	50	86
მავრითანია	92	95	97	74
ალჟირი	93	89	93	97

წყარო: World Economic Forum. 2007. Assesing Travel and Tourism Competitiveness in the Arab World. Ed.by J. Blanke and Th. Chiesa. Geneva. World Economic Forum.

10. უცხოელი ტურისტების რაოდენობა (ათასებში) არაბულ ქვეყნებში და სავალუტო შემოსავლები (მილიონებში)

ქვეყანა	ჩამოსულ უცხოელ ტურისტთა რიცხვი 1995წ.	ჩამოსულ უცხოელ ტურისტთა რიცხვი 2006წ.	ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 1995წ. (მლნ)	ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები 2006წ. (მლნ)
ალჟირი	520	1,638	33	25
ბაჰრაინი	1,396	4,519	247	1,048
ეგვიპტე	2,871	8,646	2,684	7,591
იორდანია	1,075	3,225	660	1,642
იემენი	61	382	50	181
ლიბანი	450	1,163	არაა მონაცემები	5,05
ლიბია	56	149	2	190
მაროკო	2,602	6,558	1,296	5,984
ომანი	279	1,306	-	538
კატარი	309	946	-	374
საუდის არაბეთი	3,325	8,620	-	4,955
სირია	815	4,422	1,258	2,025
თუნისი	4,120	6,550	1,530	2,275
არაბთა გაერთ. საამიროები	2,315	7,126	632	4,972
ქუვეითი	72	178	121	205

წყარო: UNWTO (World Tourism Organization), 2006. Historical Perspective of World Tourism. – www.unwto.org/facts/menu.html

11. მედიისა და პრესიის თავისუფლების ინდექსი არაბულ ქვეყნებში

მედიის თავისუფლება არაბულ ქვეყნებში	პრესის თავისუფლება არაბულ ქვეყნებში
ქუვეითი	ქუვეითი
კატარი	მავრითანია
მავრითანია	არაბთა გაერთ. საამიროები
არაბთა გაერთ. საამიროები	კატარი
პალესტინა	მაროკო
სომალი	ლიბანი
ომანი	იორდანია
ლიბანი	ბაჰრაინი
მაროკო	ალჟირი
ბაჰრაინი	ეგვიპტე
იორდანია	პალესტინა
ალჟირი	სუდანი
ეგვიპტე	სომალი
სირია	თუნისი
ლიბია	იემენი
ერაყი	ლიბია
საუდის არაბეთი	სირია
სუდანი	ერაყი
თუნისი	საუდის არაბეთი
იემენი	–

წყარო: Summary of the report on "Freedom of the Media in the Arab Countries"2007.

12. 2008 წელს არაბულ ქვეყნებში გამომავალი ძირითადი გაზეთები

ქვეყანა	გაზეთები არაბულ ენაზე	გაზეთები ევროპულ ენებზე
ალჟირი	ალ-შა'აბ (ვებგვერდი – www.ech-chaab.com/); ალ-ფაჯრ (www.al-fadj.com/ar/index.php); ალ-ხაბარ (www.elkhabar.com/accueil); al-massa (www.el-massa.com/)	L'Exspression; Horizons; Le Jeune Independent; Liberté; al-Moudjahid; La Nouvelle République; Soir d'Algerie; La Tribune; al-Watan (ყველა ფრანგულად)
არაბთა გაერთ. საამიროები	ახბარ ალ-'არაბ (www.akhbar.co.ae/); ალ-ბაიან (www.albayan.com/); ალ-ითთიჰად (www.alittihad.ae/); ალ-ხალიჯ (www.alkhaledj.co.ae)	Emirates Today (ინგ.); Gulf News (ინგ.); Kaleej Times (ინგ.)
ბაჰრაინი	ახბარ ალ-ხალიჯ (www.akhbar-alkkhaleej.com/home.asp); ალ-აიამ (alayam.com/); ალ-ვასატ (alwasatnews.com/)	Bahrain Tribune; Gulf Daily News
ეგვიპტე	ალ-აჰრამ (http://www.ahram.org.eg/); 'აკიდათი (aqidati.net.eg/; ალ-ჯუმჰურიიყა (www.algomhuria.net.eg/); ალ-მასა' (almessa.net.eg/); ალ-უსბუ'ა (www. usbua.com/); ას-სიასა ალ-დავლია (www.siyassa.org.eg/asiyassa/index.asp); ალ-ვაფდ (www.al-wafd.com/); ვატანი (www.wataninet.com/)	al-Ahram Weekly (ინგ.); al-Ahram Hebdo (ფრანგ.); Cairo Magazine(ინგ.);Egyptian Gazette (ინგ.); Middle East Times (ინგ.); Le Progrès Dimanche (ფრანგ.); Le Progrès Egyptien (ფრანგ.); al-Siyassa al-Dawliya (ინგ.); Watani (ინგ.)
ერაყი	აზ-ზამან (www.azzaman.com/); ალ-ჯიჰად (www.daawaparty.com/aljihad80/index.htm); ან-ნაჰრაინ (www.nahrain.com/); არ-რაფიდაინ (www.alrafidayn.com/); ას-საბაჰ (www.alsabah.com/); ტარიკ აშ-შა'აბ (www.tareekalshaab.com/)	Azzaman (ინგ.); al-Mendhar (ინგ.)
თუნისი	აშ-შურუკ (www.alchourouk.com/); ას-საბაჰ (www.assabah.com.tn/); ას-საჰჰაფ (www.essahafa.info.tn/aloula/)	La Presse; Le Quotidien; Réalités; Le Renouveau; Le Temps; Tunis Hebdo (ყველა ფრანგულად)
იემენი	ალ-აიიამ (al-ayyam.info/); ალ-ჯუმჰურიიყა (www.y.net.ye/al-gumhuryah/); ალ-მისაკ (www.almethaq.net.ye/); ალ-მუ'თამარ (www.almotamar.net/news/); ნაბა' ალ-ჰაკიკა (www.y.net.ye/naba/); რა'ი (www.ray-yem.com/); ას-საჰვა (www.alsahwa-yemen.net/); აშ-შურა (www.y.net.ye/shoura/); ას-საკაფიიყა (www.y.net.ee/althaqafiah/); ას-საურა (www.althawranews.net/); ალ-ვაჰდავიიყა (http://www.alwahdawi.net/)	al-Sahwa (ინგ.); Yemen Times (ინგ.);Yemen Observer (ინგ.)
იორდანია	ალ-'არაბ ალ-ალავმ (http://alarabalyawm.net/); ად-დუსთურ (www.addustour.com/); ალ-ღად (www.alghad.jo/); არ-რა'ი (www.alrai.com/); ად-დუსთურ (www.addustour.com/); ყოველკვირეული – ას-საბილ (www.assabeel.info/inside/)	Jordan Times (ing.); The Star (ინგ.)
კატარი	არ-რაია (www.raya.com/); აშ-შარკ (www.al-sharq.com/); ალ-ვატან (www.al-watan.com/)	Gulf Times (ინგ.); The Peninsula (ინგ.)
კომორი	–	al-Watwan (ფრანგ.); Wewu (ფრანგ.);

ლიბია	ალ-ფაჯრ ალ-ჯადიდ (www.alfajraljadeed.com/); ალ-ჯამაჰირიიაა (www.aljamahiria.com/); აშ-შამს (www.alshames.com/); აზ-ზაჰფ ალ-ახდარ (www.azzahfalakhder.com/)	–
ლიბანი	ალ-ანვარ (www.alanwar.com/); ალ-ბალად (www.albaladonline.com/home.php); ალ-ქალიმა (www.al-kalima.com/); ალ-ქიფაჰ ალ-'არაბი (www.kifaharabi.com/; ალ-ლივა' (www.aliwaa.com/); ან-ნაჰარ (www.annahar.com/); ალ-მასირა (www.almassira.com/); ალ-მუსთაკბალ (www.almustaqbal.com/default.htm); ალ-უსბუ' ლ-'არაბი (www.arabweek.com/); ას-საფირ (http://www.assafir.com); აშ-შარკ (www.elshark.com/); ალ-ვატან ალ-'არაბი (www.alwatanalarabi.alqanat.com/arabi/); ალ-ვა'ი (www.al-waie.org/); ად-დიიარ (www.journaladdiyar.com/); ალ-ახბარ (www.al-akhbar.com/)	Daily Star (ინგ.); Monday Morning (ინგ.); L'Orient Le Jour (ფრანგ.); La Revue du Liban (ფრანგ.)
მავრითა-ნია	ახბარ ნუაკშუთთ (www.akhbar.n.com/)	Nouakchott info (ფრანგ.)
მაროკო	ალ-'ალამ (http://www.alalam.ma/); ათ-თაჯდიდ (http://www.attajdid.ma/def.asp?); ბაიან ალ-იავმ (http://www.bayanealyaoume.ma/def); ას-საბაჰ (http://www.assabah.press.ma/)	Aujourd'hui Le Maroc; La gazette du Maroc; al-Jarida al-Maghribia; Libération; Maroc Hebdo; Le Matin; Morocco Times; La Nouvelle Tribune; L'Opinion; Telquel; La Verité; La Vie Éco
ომანი	'უმან (www.omandaily.com/); ალ-ვატან (www.alwatan.com/); ალ-იავმ (www.alyaum.com/)	Times of Oman (ინგ.); Theweek (ინგ.)
პალესტი-ნა	ალ-აიიამ (www.al-ayyam.ps/znews/site/default.aspx); ალ-ჰაიათ ალ-ჯადიდა (www.alhayat-j.com/); ალ-ქარმალ (www.alkarmel.org/); ალ-მანარ (www.manar.com/); ალ-მასსარ (www.almassar.com/index.html); ალ-კუდს (www.alquds.com/)	–
საუდის არაბეთი	ალ-ჯაზირა (www.al-jazirah.com/); ნასიჯ (www.naseej.com/); 'უქაზ (www.okaz.com.sa/); ალ-ვატან (www.alwatan.com.sa/news/); არ-რიიად (www.alriyadh.com)	Arab News (ინგ.); Saudi Gazette (ინგ.)
სირია	ალ-ბაას (http://ალ-ფურათ (http://furat.alwehda.gov.sy/); ალ-ჯამაჰირ (http://jamahir.alwehda.gov.sy/); ალ-'ურუბა (http://ouruba.alwehda.gov.sy/); ას-საურა (http://thawra.elwehda.gov.sy/); ათ-თიშრინ (http://www.tishreen.info/); ალ-ვაჰდა (http://wehda.alwehda.gov.sy/)	Syria Times (ინგ.); Syria Today (ინგ.)
სომალი	–	Banadir (ინგ.)
სუდანი	რაიაამ (www.rayaam.net)	–
ქუვეითი	ალ-ანბა'(www.alanba.com.kw/) ალ-კაბას (www.alqabas.com.kw/); არ-რაი (www.alraimedia.com/Temlates/home.aspx); ალ-ვა-ტან (www.al-watan.com.kw/); არ-რა'ი ალ-იავმ(www.alraimedia.com/Templates/home.aspx)	Arab Times (ინგ.); Kuwait Times (ინგ.)
ჯიბუთი	–	La Nation (frang.)

13.საქართველოსა და არაბული ქვეყნების დიპლომატიური ურთიერთობა

ქვეყანა	ცნობა	დიპლომატიური ურთიერთობა
ალჟირი	27.XII.1991	27.V.1993
არაბთა გაერთიანებული საამიროები	20.X.1992	20.X.92
ბაჰრეინი	10.V.1993	10.V.1993
ეგვიპტე	27.XII.1991	11.V.1992
ერაყი	2.I.1992	-
იემენი	5.V.1995	5.V.1995
იორდანია	28.XII.1991	6.IV.1994
კატარი	16.III.1993	16.III.1993
ლიბანი	30.XII.1991	1. IV. 1993
ლიბია	10.V.1994	10.V.1994
ჯიბუთი	22.XI.2000	22.XI.2000

საქართველოს საელჩოები არაბულ ქვეყნებში

1.ეგვიპტე და სირია – Cairo, Egypt. Mohandessin, 11 Tanta Street, Aswan Square.
Fax: +(202) 3304-47-78; Tel: +(202) 3004-47-98;
E-Mail: geoembeg@link.com.eg; Web-site - www.egypt.mfa.gov.ge

2. ქუვეითი, საუდის არაბეთი, ბაჰრაინი, კატარი, ომანი და არაბთა გაერთიანებული საამიროები – Kuwait City, Kuwait. Qurtoba, Block 2, 1-st street area, Aveniy 3, Villa 6,
Fax: +(965)535-29-09; Tel:+(965)535-47-07;
E-Mail: kuwait.emb@mfa.gov.ge, kuwait.con@mfa.gov.ge
Web-site: www.kuwait.mfa.gov.ge

3. იორდანია, ლიბანი და ერაყი – Amman, Jordan. 31, Odeh Abu Tayeh, Shmeisani,
Amman 11185. Hashemite Kingdom of Jordan. P.O. Box 851903;
Tel: + (96 26) 560-38-19; Fax: + (96 26) 560-37-93;
E-Mail: geoemb@wanadoo.jo,geoconsul@wanadoo.jo,
amman.emb@mfa.gov.ge

არაბული ქვეყნების საელჩოები საქართველოში

1. ეგვიპტე – # 6a Sepuhi St. Yerevan, Armenia, 375 028;
Tel: (3741) 22-67-55, 22-01-17, 27-82-13;
Fax: (3741) 22-64-25; E-mail: egyemb@arminco.com

2. ერაყი – Tbilisi, Kobuleti str.16,0179
Tel.:+995 32 913596/290793
Fax: +995 32 294503
E-mail: iraqiugeoemb@yahoo.com

საქართველოს საპატიო კონსულები არაბულ ქვეყნებში

1. ქ. დამასკო, საკონსულო ოლქი – სირიის არაბთა რესპუბლიკა.
Suit 62, Al-Muhandiseen Bldg. Al-Hamra Sq. Damascus, Syria;
Tel:+963 11 3344310/11; Fax: +963 11 3339192;
E-mail:ganama@ganama.com


არაბული
ქვეყნების
რუკა
البحر الأسود
آزاران
طهران
إيران
العراق
سوريا
دمشق
الأردن
قبرص
بيروت
البحر المتوسط
طرابلس
تونس
الجزائر
الرباط
المغرب
الصحراء
ليبيا
القاهرة
مصر
الكويت
الرياض
المدينة
مكة
البحر الأحمر
خليج عمان
موريتانيا
مالي
تمبكتو
النيجر
تشاد
نيامي
بوركينا فاسو
كانو
نيجيريا
غانا
ساحل العاج
أبدجان
أكرا
لاجوس
الكاميرون
جمهورية أفريقيا الوسطى
زائير
الخرطوم
السودان
صنعاء
اليمن
خليج عدن
جيبوتي
الحبشة
أديس أبابا
أوغندا
كينيا
مقديشيو
المحيط الهندي